წიგნები, რომლებზეც მსოფლიო დავარაკობს
TOP თრილერი
★★★★★
სტივენ კინგს თქვენი ნომერი აქვს!
USA Today
სტივენ კინგი
მობილური
www.PDF.ChiaturaINFO.GE

სტივენ კინგი

მობილური

TOP თრილერი

★★★★★

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„იდი დაუკმაყოფილებლობას ვერ იტანს. იგი მუდამ არარეალიზებული ძლიერი სურვილით გამოწვეულ დაძაბულობას გრძნობს“.

ზიგმუნდ ფროიდი

„ადამიანური აგრესია ინსტინქტურია. ადამიანებს საკუთარ თავში არ განუვითარებიათ რიტუალური აგრესია, ამკრძალავი მექანიზმები, რომლებიც სახეობის გადარჩენას უზრუნველყოფს. ამ მიზეზის გამო ადამიანი უალრესად საშიშ ცხოველად უნდა მივიჩნიოთ“.

კონრად ლორენცი

„ახლა გესმით ჩემი?“

ვერიზონი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცივილიზაცია ბნელი საუკუნეების მეორე ეპოქაში სისხლიანი გზით მიექანებოდა, რაც გასაკვირი სრულებით არ არის, მაგრამ ეს ისეთი სისწრაფით ხდებოდა, ყველაზე პესიმისტი ფუტუროლოგიც კი ვერ წარმოიდგენდა. ცივილიზაცია თითქოს სწორედ ამას ელოდა. 1-ელ ოქტომბერს ღმერთი ცად ბრძანდებოდა, დოუ-ჯონსის ინდექსი 10, 140 პუნქტს უტოლდებოდა, თვითმფრინავების უმრავლესობა დადგენილი განრიგით დაფრინავდა (იმათ გარდა, რომლებიც ჩიკაგოში უნდა დაფრენილიყვნენ ან იქიდან გამგზავრებულიყვნენ, მაგრამ ამ აეროპორტისგან სხვას არც არაფერს ელოდნენ). ორი კვირის შემდეგ ცა ისევ ფრინველებმა დაისაკუთრეს, ხოლო საფონდო ბირჟა მოგონებადღა დარჩა. ჰელოუინისთვის ყველა მსხვილი ქალაქი, ნიუ-იორკიდან მოსკოვამდე, ცარიელი ზეცის ქვეშ ყარდა და ახლა უკვე მანამდე არსებული მსოფლიო იქცა მოგონებად.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმპერსია

www.PDF.ChiaturaINFO.GE

1

მოვლენა, რომელსაც იმპულსი უწოდეს, 1-ელ ოქტომბერს, შუადღისას, 3:03-ზე მოხდა, თუ საფუძვლად ავიღებთ აღმოსავლეთ სანაპიროს სასარტყელო დროს[1]. ტერმინი უმართებულოა, მაგრამ მომხდარიდან ათი საათის შემდეგ მეცნიერების უმრავლესობა, ვისაც ამაზე მითითება შეეძლო, ან დაიღუპა, ან ჭკუაზე შეიშალა. ასეა თუ ისე, სახელწოდებას არც ჰქონია განსაკუთრებული მნიშვნელობა, მისი შედეგებისგან განსხვავებით.

იმავე დღის სამ საათზე ბოსტონში, აღმოსავლეთით, ბოილსტონ-სტრიტზე თითქმის ხტუნვა-ხტუნვით მიაბიჯებდა ახალგაზრდა, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში შესამჩნევი კვალის დატოვება ჯერ კიდევ ვერ მოესწრო. მას კლაიტონ რიდელი ერქვა. სახეზე გამოსახული სრული კმაყოფილება სავსებით შეეფერებოდა მის ზამბარისებრ სიარულის მანერას. მარცხენა ხელში ბრტყელი, საკვოიაჟის მსგავსი საკეტებიანი ჩანთა ეჭირა; ამგვარი ჩანთებით მხატვრები თავიანთ სურათებს დაატარებენ. მარჯვენა ხელის თითებით ძაფი ჩაებღუჯა, რომლითაც ყავისფერი ცელოფანის პარკის თავი იყო მოკრული. პაკეტზე **პატარა საგანძურის** სარეკლამო ტექსტის წაკითხვა ნებისმიერ მსურველს შეეძლო.

აქეთ-იქით მოქანავე პაკეტში პატარა მრგვალი საგანი იყო. ალბათ, საჩუქარიაო, სავსებით მართებულად იფიქრებდით. ალბათ, იმასაც ივარაუდებდით, **პატარა საგანძურის** დახმარებით ამ ახალგაზრდას, კლაიტონ რიდელს, პატარა (თუმცა, შესაძლოა, არც ისე პატარა) გამარჯვების მოპოვება სურსო და ამჯერადაც მართა-

[1] *აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროს სასარტყელო დრო გრინვიჩისას ხუთი საათით ჩამორჩება.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლი იქნებოდით. პაკეტში ძვირად ღირებული მინის პრესპაპიე იდო, ცენტრში ფუმფულა გვირილის ყვავილით. კლაიტონმა ეს ხიდი კოპლი-სკვერის ფეშენებელური სასტუმროდან შედარებით იაფფასიან სასტუმრომდე, „ატლანტიკ-ავენიუ-ინამდე", მიმაცალმა გ'ხად შეიძინა. თავად სასტუმრო „ატლანტიკ-ავენიუ-ინში" ცხოვრობდა. ის ფასმა დააშინა, ოთხმოცდაათმა დოლარმა, რომელიც პრესპაპიეს ძირზე მიკრულ ეტიკეტზე მოჩანდა, კიდევ უფრო მეტად დასცა თავზარი იმის გაფიქრებამ, შეეძლო თუ არა ამ თანხის დახარჯვის ფუფუნება მიეცა თავისთვის.

გამყიდველისთვის საკრედიტო ბარათი რომ გაეწოდებინა, მთელ თავის გამბედაობას მოუხმო. საეჭვო იყო, საკუთარი თავისთვის ამგვარი პრესპაპიე ეყიდა, ალბათ, წაიბურდღუნებდა, რომ გადაიფიქრა და მერე მაღაზიიდან გავარდებოდა, მაგრამ პრესპაპიე შერონისთვის იყო განკუთვნილი. მას ასეთი სამშვენისები მოსწონდა და კლაიტონი ისევ უყვარდა. *შენი გულშემატკივარი ვიქნები, ბეიბი,* უთხრა ქალმა ბოსტონში გამგზავრებამდე. თუ გავითვალისწინებთ იმ სიბინძურეს, რითაც უკანასკნელი წლის განმავლობაში ერთმანეთს გაუმასპინძლდნენ, კლაიდს ამ სიტყვებმა გული მოულბო და ახლა შერონის გულის აჩუყება სურდა, თუ ეს კიდევ შესაძლებელი იყო. რასაკვირველია, პრესპაპიე მომცრო ნივთია **(პატარა საგანძური),** მაგრამ დარწმუნებული გახლდათ, შერონს მინის ბურთის შუაში ღრუბლის პაწაწინა ქულის მსგავსი გვირილის ფაფუკი ღინღლი მოეწონებოდა.

2

ზანზალაკის წკრიალმა კლაის ყურადღება მომცრო ფურგონს მიაპყრო — ეს გახლდათ ერთგვარი მოძრავი მაღაზია, რომელიც ნაყინს ყიდდა. ფურგონი სასტუმრო „წელიწადის დრონის" (კოპლი-სკვერის სასტუმროზე მდიდრული) მოპირდაპირე მხარეს გაჩერდა, ბოსტონ-კომონის[1] გვერდით. ამ პარკს ბოილსტონ-სტრიტზე ორი თუ სამი კვარტალი ეჭირა. ფურგონს მოცეკვავე ლოლო-ხა-

[1] *ბოსტონ-კომონი აშშ-ში უძველესი დასასვენებელი პარკია. მისი ფართობი 50 აკრს შეადგენს. სულ ქალაქ ბოსტონში 215 პარკია.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყინების თავზე ცისარტყელას ფერებით შესრულებული წარწერა ამშვენებდა: МИСТЕР СОФТИ. ტკბილეულის მოლოდინში ფურგონის ფანჯარასთან სამი ბიჭი შეჩერდა, სკოლის ჩანთები ფეხებთან, მიწაზე ეწყოთ. მოსწავლეების შემდეგ შარვალსა და კოსტიუმში გამოწყობილი ქალი იდგა, ხელში პუდელით, და კიდევ, ორი მოზარდი გოგონა დაბალწელიან ჯინსებში, აიპოდებითა[1] და ყურსასმენებით, მაგრამ იმ მომენტში ყურსასმენები ყელზე ეკიდათ, რადგან ერთმანეთს, უეჭველია, რალაც სერიოზულ საკითხზე ეჩურჩულებოდნენ, ხითხითისა და კისკისის გარეშე.

კლაიდი მათ უკან დადგა და პატარა ჯგუფი რიგად იქცა. მან საჩუქარი უყიდა ცოლს, რომელსაც ჯერ არ გაეყროდა, მაგრამ უკვე ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ; სასტუმროსკენ მიმავალ გზაზე „კომიქს-სიუპრიმში" შევლასა და შვილისთვის „*სპაიდერმენის*" ახალი ნომრის ყიდვასაც აპირებდა; ასე რომ, შეეძლო საკუთარი თავისთვის განებივრების უფლება მიეცა. ერთი სული ჰქონდა, სიახლეები შერონისთვის გაეზიარებინა, მაგრამ ვიდრე ის შინ არ დაბრუნდებოდა, ეს კი დაახლოებით სამი საათი და ორმოცდახუთი წუთი იქნებოდა, შესაძლოა, უფრო გვიანიც, მასთან დარეკვას აზრი არ ჰქონდა. სატელეფონო ზარამდე სასტუმროს ნომერში უაზროდ უნდა ეყიალა ჩაკეტილ ჩანთაზე მიშტერებულს. ახლა კი „მისტერ სოფტის" წყალობით დროს უფრო სასიამოვნოდ გაატარებდა.

გამყიდველი ფანჯარასთან მდგარ სამ ბიჭუნას მოემსახურა, ორს შოკოლადის ბატონი გადასცა, ხოლო უზარმაზარი შოკოლადისა და ვანილის ლოლო განკუთვნილი იყო შუაში მდგარი მდიდარი სპონსორისთვის, რომელმაც დანარჩენ ორსაც გადაუხადა ტკბილეულის საფასური. ვიდრე ეს უკანასკნელი თავისი მოდური ხალვათი ჯინსის ჯიბიდან ამოლებული დაჭმუჭნილი კუპიურების გროვაში იქექებოდა, პუდელიანმა და საქმიან კოსტიუმში[2] გამოწყობილმა ქალმა მხარზე გადაკიდებულ ჩანთაში ხელი ჩაყო და მო-

[1] *აიპოდი — კომპანია „ეპლის" მიერ შექმნილი პროცესორიანი პლეერი.*

[2] *საქმიანი კოსტიუმი რომანის გამოცემის წელს (2006) წარმოადგენდა წელში მაქსიმალურად დავიწროებულ და ფართომხრებიან კოსტიუმს, რომელსაც ქალები ქვედაკაბასთან ან შარვალთან ატარებდნენ. გარდა ამისა, ლია ფერის ან ნაყშიანი ქსოვილისგან შეკერილი ასეთივე კოსტიუმი სამსახურის გარეთაც ეცვათ.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბილური ტელეფონი ამოიღო — საქმიან კოსტიუმში გამოწყობილი ქალები სახლიდან მობილური ტელეფონისა და ამექსის ბარათის გარეშე ნაბიჯს არ დგამენ, — და წამის შემდეგ მობილური გაშალა. მათ ზურგს უკან, პარკში, ძაღლმა დაიყეფა და ვილაცამ დაიყვირა. კლაიდის აზრით, ყვირილი სიხარულს არ გამოხატავდა, მაგრამ როდესაც შებრუნდა, დაინახა პარკში რამდენიმე მოსეირნე და ასევე, ძაღლი, რომელიც კბილებით მფრინავ დისკს ჩაჰფრენოდა (განა ძაღლებს პარკში საყელურით არ უნდა ასეირნებდნენო, გაიფიქრა კლაიდმა), აკრებზე გადაჭიმული მზით განათებული მწვანე გაზონები და მაცდუნებელი ჩრდილი ხეებქვეშ. პარკი იდეალური ადგილი იყო იმ ადამიანისთვის, რომელმაც თავისი პირველი გრაფიკული რომანი[1] და მისი გაგრძელებაც, ეს-ეს არის, უზარმაზარ თანხად გაყიდა და ახლა მშვიდად შეეძლო შოკოლადის ნაყინის ლოლო დაეგემოვნებინა.

როდესაც კლაიდმა თავი მოაბრუნა, ხალვათ ჯინსში გამოწყობილი სამი ბიჭუნა უკვე წასულიყო, ხოლო ქალი საქმიან კოსტიუმში „სანდეის"[2] უკვეთდა. მის უკან მდგარ ერთ-ერთ გოგონას ბარძაყზე ეკიდა პიტნისფერი მობილური ტელეფონი, ქალმა კი თავისი ტელეფონი ყურთან მიიტანა. კლაიდმა ჩვეულებისამებრ გაიფიქრა, როგორც ყოველთვის ფიქრობდა თავისი გონების რომელიღაც კუნჭულით, მსგავს ქცევას როდესაც აწყდებოდა, ადრე ლამის უპატიებელ შეურაცხყოფად რომ ითვლებოდა, — დიახ, შეურაცხყოფად მაშინაც კი, თუ სრულიად უმნიშვნელო მოლაპარაკებას აწარმოებდი თუნდაც სრულიად უცნობ ადამიანთან, ახლა კი მობილურ ტელეფონზე საუბარი შინ და გარეთ თითქმის ნორმად ქცეულიყო.

ეს ეპიზოდი „სევდიან მაწანწალაში" ჩართე, ძვირფასო, — უთხრა შერონმა. კლაიდის გონებაში არსებული ქალის იპოსტასი მას ხშირად ელაპარაკებოდა და დაჟინებით ითხოვდა, საუბრისას მისთვის ხელი არ შეეშალა. იგივე ახასიათებდა რეალურ შერონსაც და მნიშვნელობა არ ჰქონდა, ერთად ცხოვრობდნენ თუ ცალცალკე, მაგრამ მობილური ტელეფონით ქალი ვერაფერს ეტყოდა, იმიტომ, რომ კლაის მობილური არ ჰქონდა.

---

[1] *გრაფიკული რომანი დასურათებული რომანია.*

[2] *„სანდეი" სიროფმოსხმული ნაყინია.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პიტნისფერმა ტელეფონმა ჯონის საყვარელი მელოდიის, შეშლილი ბაყაყის[1] პირველი აკორდები დაუკრა -- Axel F[2]-ი ჰქვია, ხომ ასეა? კლაიმ ზუსტად ვერ გაიხსენა, რადგან ამგვარ ინფორმაციას ცხრილავდა ხოლმე. ტელეფონის მფლობელმა გოგონამ მობილურს ხელი დასტაცა, — ბეთ? — უსმენდა და ილიმებოდა, მერე თანმხლებს უთხრა, — ბეთია.

მეორე გოგონამ თავი წინ გადახარა და ახლა ორივენი უსმენდნენ, ერთნაირი, ფერიის ვარცხნილობა ჰქონდათ (კლაიდისთვის ისინი შაბათ დილას ნაჩვენები მულტფილმების პერსონაჟებს ჰგავდნენ, მაგალითად, „*ენერგიულ გოგონებს*"), რომელიც შუადღის ქარის დაქროლაზე სინქრონულად ირხეოდა.

— მედი? — თითქმის იმავე წამს წარმოთქვა საქმიან კოსტიუმში გამოწყობილმა ქალმა. მისი პუდელი თვითკმაყოფილი სახით იჯდა საყელურის ბოლოში (წითელი, ოქროსფერი ბრჭყვიალებით მორთული საყელური იყო) და ბოილსტონ-სტრიტზე მანქანების მოძრაობას უმზერდა. ქუჩის მეორე მხარეს, სასტუმროსთან „წელიწადის ოთხი დრო", ყავისფერ უნიფორმაში — ყოველთვის ყავისფერ ან ლურჯ უნიფორმებს ატარებენ, — გამოწყობილი შვეიცარი ხელს იქნევდა, ალბათ, ტაქსის აჩერებდა. ჩაიარა ხალხით სავსე, ტურისტებისთვის გადაკეთებულმა ამფიბიამ,[3] დიდმა და ხმელეთზე მეტისმეტად მოუქნელმა; მძღოლი ხმის გამაძლიერებლის მეშვეობით რომელილაც ისტორიული მოვლენის შესახებ ჰყვებოდა.

---

[1] *შეშლილი ბაყაყი (Crazy Frog) — 2002-2003 წლებში შვედი დიზაინერის, ერიკ ვერნკვისტის მიერ შექმნილი კომპიუტერული ანიმაციური პერსონაჟი. ის 17 წლის შვედის, დანიელ მალმედალის მიერ 1997 წელს დაწერილი უცნაური ხმოვანი ეფექტის (მოტოციკლეტის ძრავის ხმაურის იმიტაცია) თანხლებისთვის გამოიყენეს. პოპულარობა მოიპოვა 2005 წელს გამოსული კლიპით, რაც „Axel F"-ის რემიქსი იყო, ასევე, ალბომებით „Crazy Frog Presents Crazy Hits" და „Crazy Frog Presents More Crazy Hits". შეიქმნა მრავალფეროვანი პროდუქცია, სათამაშოები და ორი ვიდეოთამაში.*

[2] *Axel F — ელექტრონული ინსტრუმენტული თემა 1984 წელს ჰაროლდ ფალტერმეიერის გადაღებული კინოფილმისთვის „Beverly Hills Cop". 1985 წელს პლანეტის №1 ჰიტი გახდა. სახელი ეწოდება ფილმის მთავარი პერსონაჟის, აქსელ ფოლის (როლი შეასრულა ედი მერფიმ) მიხედვით.*

[3] *ამფიბია — 1941 წელს კომპანია „ჯენერალ-მოტორსმა" აშშ-ის არმიისთვის დაიწყო ხმელეთსა და წყალზე გადაადგილებისთვის საჭირო სატრანსპორტო საშუალების (DUKW) გამოშვება. ბოსტონში ტურისტული მარშრუტები წყლიან ადგილებში გავლასაც ითვალისწინებს.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გოგონებმა, რომლებიც პიტნისფერ მობილურ ტელეფონს უსმენდ-ნენ, ერთმანეთს გადახედეს, და ორივემ გაილიმა გაგონილის გამო, მაგრამ ხითხითი არ დაუწყიათ.

— მედი? გესმის ჩემი? *შეგიძლია...*

საქმიან კოსტიუმში გამოწყობილმა ქალმა ძაღლისსაყელურია-ნი ხელი ასწია და გრძელფრჩხილიანი ხელი მეორე ყურში ჩაიდო. კლაი შეკრთა და შიშით წარმოიდგინა, რა შეიძლებოდა ყურის და-ფის აპკს დამართოდა. მერე თვალწინ დაუდგა, როგორ ხატავს ამ ქალს: ძაღლს საყელურითურთ, საქმიან კოსტიუმს, მოდურ მოკლე ვარცხნილობას და... ყურში გარჭობილი თითის გარშემო სისხლის წვრილ ზოლს. ტურისტებით სავსე ამფიბიასა და შვეიცარს — ფო-ნად. ასეთი დეტალები ნახატს დამაჯერებლობას მატებს. ყოველ-თვის ასე იყო. ეს ხომ ისეთი რამ არის, რასაც ყველა ხედავს.

— მედი, სად დაიკარგე?! მხოლოდ იმის თქმას ვაპირებდი, რომ თმა შევიჭერი იმ ახალ... *ჩემი თმა?.. მე...*

„მისტერ სოფტის“ ფურგონის გამყიდველი წინ გადმოიხარა და ქალს „სანდეით“ სავსე ჭიქა გაუწოდა — ჭიქიდან ალპებივით ამოზიდულიყო თეთრი ნაყინი, რომელსაც შოკოლადისა და მარწყ-ვის სიროფი ჰქონდა მოსხმული. გამყიდველს აუღელვებელი სახე ჰქონდა. ესე იგი, ეს ყველაფერი უკვე ნანახი აქვს. მეტიც, კლაი დარწმუნებული გახლდათ, რომ — არაერთხელ. პარკში ვილაცამ დაიყვირა. კლაიმ ისევ მიაბრუნა თავი და ჩათვალა, რომ სიხარულის ყიჟინა უნდა ყოფილიყო. შუადღის სამ საათზე, დარში, ბოსტონის საუკეთესო პარკში მხოლოდ სიხარულისგან შეიძლება იყვირო, ხომ მართალია?

ქალმა მედის რაღაც გაუგებარი უპასუხა, ხელის ჩვეული მო-ძრაობით დახურა მობილური ტელეფონი. აპარატი ჩანთაში ჩააგ-დო, მერე იდგა, თითქოს დაავიწყდა, აქ რას აკეთებდა ან შესაძლოა, ისიც ალარ ახსოვდა, სად იმყოფებოდა.

— ოთხი დოლარი და ორმოცდაათი ცენტი, — გამყიდველს მოთმინებით ეჭირა ხელში ნაყინიანი ჭიქა. კლაიმ იმის გაფიქრე-ბაც მოასწრო, რომ ამ ქალაქში ყველაფერი ძალიან *ძვირი* იყო. შე-საძლოა, საქმიან კოსტიუმში გამოწყობილ ქალსაც იმავე აზრმა გაუელვა — ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით ასე ჩანდა, — რა-დგან წამით გაუნძრევლად მისჩერებოდა სიროფმოსხმული ნაყინის გორას, თითქოს ასეთ რამეს პირველად ხედავდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კიდევ ერთი შეყვირება მოისმა, ამჯერად, კომონის მხრიდან, მაგრამ ადამიანის ყვირილის ნაცვლად, რაღაც საშუალო გახლდათ შეკივლებასა და ტკივილით გამოწვეულ ღმუილს შორის. კლაიდი შებრუნდა და ისევ ის ძაღლი დაინახა, რომელიც მფრინავ დისკს კბილებით ჩაჰფრენოდა. დიდი, ყავისფერბეწვიანი ძაღლი იყო, შესაძლოა, ლაბრადორი — კლაი ძაღლის ჯიშებში ვერ ერკვეოდა, საჭიროების დროს ილუსტრირებული ენციკლოპედიიდან იხატავდა ხოლმე. კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცი ძაღლის გვერდით მუხლებზე იდგა, ცხოველს კისერში ჩაჰფრენოდა და... — *„რასაკვირველია, ამ ყველაფერს კი არ ვხედავ, მხოლოდ მეჩვენება“*, — გაიფიქრა კლაიმ, — ძაღლის ყურს ღრღნიდა. ტკივილისგან შეწუხებული ძაღლი ისევ აყმუვლდა და თავის დახსნა დააპირა. კაცს მაგრად ეჭირა, ძაღლის ყური უკვე პირში მოექცია, მერე კი, კლაის თვალწინ კაცმა ყური მოაგლიჯა. ცხოველმა ადამიანივით გულგამგმირავად დაიღრიალა და ამ ხმაზე გუბურის შუაგულიდან რამდენიმე დაშინებული იხვი კრიახით აიჭრა ცაში.

— *ა-ა-ა-რ!* — ვილაცამ კლაის ზურგს უკან იყვირა. მოესმა, თითქოს დაიყვირეს „ა-ა-ა-რ-ა“. ან რა ან შესაძლოა, *ხარ*. მაგრამ იმან, რაც შემდგომში მის თვალწინ მოხდა, ის აზრი განუმტკიცა, რომ იყვირეს სწორედ „ა-ა-ა-რ“: არა რაიმე სიტყვა, არამედ რაღაც დაუნაწევრებელი, აგრესიის გამომხატველი ბგერა.

ის იყო, ბორბლებიანი მაღაზიისკენ შებრუნდა, რომ დაინახა საქმიან კოსტიუმში გამოწყობილი ქალი, რომელმაც ფანჯრისკენ გაიწია, „მისტერ სოფტის“ ნაყინის გამყიდველს რომ მისწვდომოდა. მის ფართო თეთრი ხალათის ნაოჭებს ხელი წაავლო, მაგრამ გაოგნებული გამყიდველის მიერ უკან გადადგმული ერთი ნაბიჯი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ხელი ეშვა ხალათისთვის. ქალის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი წამით მოსწყდა ტროტუარს. კლაიმ გაიგონა ქსოვილის შარიშური, ფანჯრის რაფაზე კოსტიუმის ღილების გაწკარუნება, როდესაც ქალის მკერდზე პიჯაკი ჯერ დახლის ზემოთ აიწია, შემდეგ ჩამოიწია.

„სანდეი“ გაქრა. კლაიმ ქალის მარცხენა მხარსა და იდაყვზე ნაყინისა და სიროფის ლაქები დაინახა, როდესაც მისი ფეხსაცმლის ქუსლებმა ისევ დაიკაკუნა ასფალტზე. ქალი შექანდა, მუხლები მოეკვეთა. თუ მანამდე კლაის წინ თავის ფიქრებში წასული, კარგად აღზრდილი ქალი იდგა, რომელიც საკუთარ თავს სხვა ქალებ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზე მაღლა აყენებდა — კლაის აზრით, ეს ქუჩისთვის განკუთვნილი ნიღაბი გახლდათ — ახლა წინანდელმა გამომეტყველებამ ადგილი დაუთმო კონვულსიურ ღრენას, მოწკურულ თვალებსა და დაკრეჭილ კბილებს. ზედა ტუჩი ცხვირამდე ავიდა და გამოჩნდა ვარდისფერი ხავერდოვანი შიგთავსი, საშვილოსნოსავით ინტიმური ადგილი. პუდელი ქუჩაში გაიქცა, წითელ საყელურს მიათრევდა. ჩავლილმა შავმა ლიმუზინმა პუდელი იმაზე ადრე გაიტანა, ვიდრე ის გზის ნახევარს გადაჭრიდა. წამში ფაფუკი არსებისგან ასფალტზე სისხლიანი შიგნეულობა დარჩა.

„საბრალო, ალბათ, ვიდრე მოკვდებოდა, მანამდე მიალწია ძალლების სამოთხეს“, — გაიფიქრა კლაიდმა. კარგად ესმოდა, რომ გარკვეული თვალსაზრისით, შოკურ მდგომარეობაში იყო, თუმცა, მისი გაოცების ხარისხზე ეს ნამდვილად არ აისახებოდა. ცალ ხელს ჩანთა ამძიმებდა, მეორე ხელს — ყავისფერი პაკეტი, ხოლო ქვედა ყბა, საკუთარი სიმძიმის წყალობით, მიწისკენ მიიწევდა.

სადღაც — ხმის მიხედვით, ნიუბერის ქუჩა უნდა ყოფილიყო, — რაღაც აფეთქდა.

აიპოდიან გოგონებს ერთნაირი ვარცხნილობა ჰქონდათ, მაგრამ სხვადასხვა ფერის თმა. პიტნისფერი მობილურის მფლობელი ქერა იყო, მისი მეგობარი — წაბლისფერთმიანი, ქერა ფერია და წაბლისფერთმიანი ფერია. ქერათმიანმა ფერიამ თავისი მობილური ტროტუარზე დაანარცხა და ის გატყდა, მერე საქმიან კოსტიუმში გამოწყობილ ქალს წელზე ხელი მოხვია. კლაიმ ჩათვალა (თუ ჩავთვლით, რომ მას ჯერ კიდევ შეეძლო რაიმე მოესაზრებინა), რომ გოგონას ქალის შეჩერება სურდა, რათა მას თავი დაენებებინა ნაყინის გამყიდველისთვის, არც გაქცეულ ძაღლს გაჰკიდებოდა. სულ ერთ წამს კლაის გონების რომელიღაც კუნჭულმა გოგონას ცივსისხლიანობა აპლოდისმენტებითაც დააჯილდოვა. მისმა მეგობარმა, წაბლისფერთმიანმა ფერიამ, გაკვირვებულმა უკან დაიხია, თვალები დაჭყიტა და პატარა თეთრი ხელები მკერდზე დაიკრიფა.

კლაიმ ხელიდან გააგდო ნივთები, ერთ მხარეს — ჩანთა, მეორე მხარეს — პაკეტი. მერე წინ გადადგა ნაბიჯი ქერა ფერიის დასახმარებლად. ქუჩის მეორე მხარეს — მხოლოდ თვალის კუთხით ხედავდა — ავტომობილი დატრიალდა და სასტუმრო „წელიწადის დროის“ წინ ტროტუარზე ისეთი სისწრაფით ავარდა, შვეიცარი განზე გახტა, ბორბლების ქვეშ რომ არ აღმოჩენილიყო. სასტუმროს წინა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეზოდან ყვირილი მოისმა და ვიდრე კლაი ქერათმიან ფერიას ქალის გაკავებაში მიეშველებოდა, გოგონამ გველისთვის დამახასიათებელი სისწრაფით ასწია თავი, მჭრელი ახალგაზრდული კბილები გამოაჩინა და ქალს კისერში ჩაასო. სისხლმა შადრევანივით ამოხეთქა. გოგონა-ფერიამ სახე მიუშვირა, არა მხოლოდ სისხლში განიბანა, არამედ, შესაძლოა, გემოც გაუსინჯა (კლაი თითქმის დარწმუნებული გახლდათ, რომ ასე მოხდა) და თოჯინასავით ააჯანჯღარა საქმიან კოსტიუმში გამოწყობილი ქალი. ქალი გოგონაზე მაღალი და ორმოციოდე ფუტით მძიმე იყო, მაგრამ გოგონა ისე ძლიერად ეჯაჯგურებოდა, რომ ქალის თავი აქეთ-იქით ყანყალებდა და სისხლი უფრო და უფრო მეტად ასხამდა. იმავე წამს ქერა ფერიამ სისხლით მოსვრილი სახე ოქტომბრის ცისფერი ცისკენ ასწია და გულმკერდიდან ველურმა, გამარჯვებულის ყმუილმა ამოხეთქა.

„*გაგიუდა*, — გაიფიქრა კლაიმ, — *სრულიად შეიშალა*“.

ნაბლისფერთმიანი ფერია აყვირდა:

— *ვინ ხარ? რა ხდება?*

მეგობრის ხმაზე ქერა ფერიამ სისხლით მოსვრილი თავი მიაბრუნა. სისხლის წვეთები მოკლე თმიდან შუბლზე წვეთებად ჩამოსდიოდა. სისხლისფერი გუგების ფონზე თვალები თეთრ სანათებს ჰგავდა.

ქერა ფერიამ ხელი უშვა საქმიან კოსტიუმში გამოწყობილ ქალს და ისიც ტროტუარზე გაიშხლართა გამოლადრული საძილე არტერიით, საიდანაც ისევ მოწვეთავდა სისხლი, თავად კი მეგობარ გოგონას ეცა, რომელთანაც სულ რამდენიმე წუთის წინ მობილურ ტელეფონს იყოფდა.

კლაი არაფერზე ფიქრობდა. რომ ეფიქრა, ნაბლისფერთმიან ფერიასაც, ალბათ, საძილე არტერიას გამოულადრავდნენ ისევე, როგორც ეს საქმიან კოსტიუმში გამოწყობილ ქალს დაემართა. ძირს არც კი დაუხედავს. ქვემოთ და მარჯვნივ დაიხარა, ხელი ჩაავლო ყავისფერი ცელოფანის პაკეტს, წარწერით: **პატარა საგანძური,** და მთელი ძალით ჩასცხო ქერა ფერიას კეფაში სწორედ იმწამს, როდესაც მისი გაშლილი ხელები (ცისფერი ცის ფონზე თითები თევზის მოსანადირებლად გამზადებული თოლიას ბრჭყალებს ჰგავდა) თითქმის მისწვდა ყოფილ მეგობარს. რომ აეცდინა...

მაგრამ ზუსტად მოახვედრა, თუმცა, ისე, რომ ძალიან დიდი ზიანი არ მიუყენებია. პაკეტი მინის პრესპაპიეთი ქერა ფერიას კეფაზე დაეშ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვა. ყრუ ხმა გაისმა, ქერა ფერიას გაშლილი ხელები გაუშეშდა, ცალი სისხლით ჰქონდა მოსვრილი, მეორე კი — სუფთა, და თავისი მეგობრის ფეხებთან წერილებით სავსე ტომარასავით მოწყვეტით დაეცა.

— *რა ჯოჯოხეთია, რა ხდება?!* — არაბუნებრივად დაწვრილებული ხმით წამოიძახა ნაყინის გამყიდველმა. შესაძლოა, განცდილმა შოკმა მისგან ტენორი ჩამოაყალიბა.

— არ ვიცი, — უპასუხა კლაიმ. გული ურისავით უცემდა, — დროზე მომეხმარეთ. ეს ქალი სისხლისგან იცლება.

მათ უკან, ნიუბერი-სტრიტიდან, ავტომობილების შეჯახების ხმა მოისმა, რასაც ღრიალი მოჰყვა. „მისტერ სოფტის“ ფურგონის უკან კიდევ ერთმა ავტომობილმა ბოილსტონ-სტრიტის სავალი ნაწილის სამი რიგი გადაკვეთა და სასტუმრო „წელიწადის დრონის“ წინა ეზოში აღმოჩნდა, გზად ორი კაცი გაიტანა და იმ მანქანას შეასკდა, რომელიც წინა ბამპერითა და კაპოტით გაჩხერილიყო სასტუმროს ტრიალა კარში. ამ შეჯახებამ პირველი მანქანა წინ გასწია. ტრიალა კარი კიდევ უფრო შეიჭყლიტა. კლაი ვერ ხედავდა, შიგნით ვინმე დაშავდა თუ არა: ყველაფერს პირველი მანქანის გამსკდარი რადიატორიდან ამოსული კვამლი ფარავდა. მაგრამ სასტუმროს მხრიდან აგონიაში მყოფთა ხმები ისმოდა და ეს კარგს არაფერს მოასწავებდა. ყველაფერი ცუდად, ძალიან ცუდად იყო.

„მისტერ სოფტის“ ნაყინის გამყიდველი ფურგონის ფანჯრიდან გადმოიხარა და კლაის მიაჩერდა.

— გამაგებინეთ, რა ხდება?

— არ ვიცი. რამდენიმე ავარიაა. ადამიანები დაშავდნენ. არა აქვს მნიშვნელობა. მოდით, მომეხმარეთ.

კლაიმ საქმიან კოსტიუმში გამონყობილი ქალის სიახლოვეს, ქერა ფერიის მობილური ტელეფონის ვარდისფერ ნამსხვრევებს[1] შორის ჩაიმუხლა. ქალის კრუნჩხვები სუსტდებოდა.

— კვამლი ნიუბერის თავზეა, — დააკვირდა ჰორიზონტს „მისტერ სოფტის“ ნაყინის გამყიდველი, რომელიც თავის დაცვის მიზნით თავისი ფურგონიდან არ გადმოდიოდა, — იქ რალაც აფეთქდა. რალაც დიდი. შეიძლება ტერორისტები არიან.

როგორც კი ეს სიტყვები გაიგონა, კლაიმ იგრძნო, რომ თავადაც ეთანხმებოდა ამ მოსაზრებას.

[1] *პიტნას ლია მწვანე ფოთლები აქვს, ყვავილები კი — ვარდისფერი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მომეხმარეთ.

— **მე ვინ ვარ?** — დაიყვირა უეცრად წაბლისფერთმიანმა ფერრიამ.

კლაის მისი არსებობა დავიწყებოდა. როდესაც თავი ასწია, დაინახა, გოგონამ როგორ მიირტყა შუბლზე ხელი, მერე სამჯერ სწრაფად დატრიალდა თავისი სპორტული ფეხსაცმლის წვერებზე. ნანახმა კოლეჯში, ლიტერატურის კურსზე, შესწავლილი ლექსი გაახსენა — *„სამჯერ შემოუარეს გარს“*. კოლრიჯისაა[1], ხომ ასეა? გოგონა შექანდა, შემდეგ ტროტუარზე გაიქცა, პირდაპირ გარე განათების ბოძისკენ. გვერდის ავლა არ უცდია, თავის დასაცავად ხელებიც არ აუფარებია. სახით დაეჯახა და დარტყმის ძალით უკან გადაქანდა, დაბარბაცდა, მერე ისევ სახით შეასკდა ბოძს.

— *შეწყვიტე!* — ულრიალა კლაიმ. წამოხტა და მისკენ გაიქცა, ქალის სისხლზე ფეხი გაუცურდა, კინალამ დაეცა, მაგრამ თავის შემაგრება მოახერხა, მერე ქერა ფერრიის სხეულს წამოჰკრა ფეხი და კინალამ ისევ დაეცა.

წაბლისფერთმიანმა ფერრიამ მისკენ მიიხედა. ცხვირი გასტეხოდა, სახის ქვემო ნაწილი სისხლით ჰქონდა მოსვრილი. შუბლზე ამოსული კოპი ელვის სისწრაფით იზრდებოდა, ისე, როგორც ზაფხულის საავდრო ღრუბელი. ერთი თვალი ორბიტიდან ამოუვარდა და ქუთუთოს ქვეშ მოექცა. პირი გააღო (ორთოდონტის, სავარაუდოდ, ძვირად ღირებული ნამუშევარი განადგურებული იყო) და გაუცინა. კლაის ეს სიცილი სამუდამოდ დაამახსოვრდა.

მერე ყვირილით გაიქცა ქუჩაზე.

კლაის ზურგს უკან ძრავა აზუზუნდა და ზანზალაკებმა „სეზამის ქუჩის“ მელოდია ააწკარუნეს. შებრუნდა და დაინახა, რომ „მისტერ სოფტის“ ნაყინის ფურგონი სწრაფად შორდებოდა ტროტუარს. სწორედ იმწამს ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, სასტუმროს ზედა სართულზე, ზრიალით ჩამოიშალა ფანჯრის მინა. ადამიანის სხეული ოქტომბრის დღის სინათლეზე გარეთ გამოვარდა და ტრო-

[1] *სემუელ ტეილორ კოლრიჯი (1772-1834) — შოტლანდიელი რომანტიკოსი პოეტი, კრიტიკოსი, ფილოსოფოსი. მოყვანილია სტრიქონი მისი დაუსრულებელი პოემიდან „კუბლა ხანი ანუ სიზმრისეული ზმანება“ (**Kubla Khan, or A Vision in a Dream**) და ოპიუმის დოზის მიღების შემდეგ ნანახ ზმანებას — ხუბილაი ყაენის კარზე მარკო პოლოს სტუმრობას ეხება.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტუარს დაასკდა. მისი ნაწილი იქვე დარჩა, ნაწილი კი სხვადასხვა მხარეს გაიფანტა. წინა ეზოდან ყვირილი ისმოდა. ყვირილი თავზარდამცემი შიშის, ტკივილით გამოწვეული ყვირილი.

— *არა!* — იყვირა კლაიდმა და ფურგონს გაეკიდა, — *არა, დაბრუნდი და დამეხმარე. დახმარება მჭირდება, ნაგავო!*

მძღოლად ქცეულ გამყიდველს არაფერი უპასუხია, შესაძლოა, ზანზალაკების წკარუნში ვერც კი გაიგონა კლაის ხმა. კლაის ამ მელოდიის შესატყვისი ტექსტი შეეძლო გაეხსენებინა იმ პერიოდიდან, როდესაც ვერც კი წარმოედგინა, თუ მის ოჯახურ ცხოვრებას ბზარი გაუჩნდებოდა. მაშინ ჯონი თავის პატარა ლურჯ სკამზე იჯდა, ხელებში წყლის ბოთლი ჩაებლუჯა და ყოველდღე უყურებდა „სეზამის ქუჩას“. სიმღერა მზიან დღეზეა, როდესაც ცაზე ღრუბლის ფთილაც კი არ მოჩანს.

კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცი პარკიდან გამოიქცა, მთელი ხმით გაუგებარ მარცვლებს ღრიალებდა. ზურგს უკან მოფრიალე მისი პიჯაკის კალთები ფრთებს ჰგავდა. კლაიმ ნიკაპზე ძაღლის ბალნისგან წარმოქმნილი წვერით იცნო. კაცმა ისე გადაჭრა ბოილსტონ-სტრიტი, ტრანსპორტისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მანქანები მისთვის გვერდის აქცევას ცდილობდნენ, რამდენიმეს კინალამ ბორბლებში ჩაუვარდა. კაცმა მეორე მხარეს გადასვლა მოახერხა და სასტუმრო „წელიწადის დრონის“ წინა ეზოში გაუჩინარდა, მაგრამ ისე ეტყობოდა, რომ იქ ვილაცას თავს დაესხა, რადგან იქიდან მომავალმა ყვირილის ხმამ იმატა.

კლაი დანებდა და „მისტერ სოფტის“ ფურგონის დევნას თავი დაანება. ახლა ცალი ფეხით — ტროტუარზე, მეორით კი წყლის ჩასადენ ღარში იდგა და უმზერდა, როგორ გავიდა „მისტერ სოფტის“ ნაყინის ზანზალაკებიანი ფურგონი ბოილსტონ-სტრიტის სავალი ნაწილის შუა ზოლზე. ის იყო, გონებადაკარგული გოგონასა და მომაკვდავი ქალისკენ უნდა მიბრუნებულიყო, რომ ქუჩაზე კიდევ ერთი ამფიბია გამოჩნდა. კი არ მოზოზინებდა, მთელი სიჩქარით მოქროდა, ძრავის ღრიალში აქეთ-იქით უცნაურად აწყდებოდა. ზოგიერთი მგზავრი, რომელსაც მანქანა გვერდიდან გვერდზე ისროდა, საწყალობლად კვნესოდა და მძღოლს შეჩერებას *ევედრებოდა*, დანარჩენები კი ბოილსტონ-სტრიტზე მომავალი ამ მახინჯი სატრანსპორტო საშუალების ღია გვერდების ლითონის მოაჯირს ჩაჰფრენოდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაისურიანმა მამაკაცმა უკნიდან ჩაბღუჯა მძღოლი და კლაიმ ისევ ის დაუნაწევრებელი, აგრესიული ყვირილი გაიგონა, მაგრამ ამჯერად ამფიბიას პრიმიტიული ხმის გამაძლიერებელი სისტემით. ეს იყო არა „ა-ა-ა-რ“, არამედ უფრო ხორხისმიერ „ღ-ღ-ღ-რ“-ს ჰგავდა. წამის შემდეგ ამფიბიას მძღოლმა „მისტერ სოფტის“ ფურგონი დაინახა — კლაი სრულებით დარწმუნებული გახლდათ, — რომელმაც კურსი შეცვალა და ახლა პირდაპირ მისკენ მოდიოდა.

— ღმერთო, ძალიან გთხოვ, ოღონდ ეს არა! — იყვირა ამფიბიას წინა ნაწილში მჯდარმა ქალმა. ამფიბიას მასზე ექვსჯერ მცირე ზომის ნაყინის გასაყიდ ფურგონამდე უკანასკნელი იარდები ყოფდა. კლაის შესანიშნავად ახსოვდა ტელევიზორში ნანახი აღლუმი რედ-სოქსის ბეისბოლის მსოფლიოს სერიაში[1] გამარჯვების აღსანიშნავად. გუნდი ნელა მოძრავ ამფიბიებში იჯდა და ხელს უქნევდა აღფრთოვანებულ ბრბოს, რომელიც ყურადღებას არ აქცევდა შემოდგომის ცივ ჟინჟღლს.

— *ღმერთო, გთხოვ, არა!* — ისევ იკივლა ქალმა, ხოლო კლაის გვერდით ვიღაცამ ძლივს გასაგონად ამოთქვა, — ღმერთო დიდებულო!

ამფიბია ფურგონს შეეჯახა და სათამაშოსავით მოისროლა. ფურგონი გვერდზე გადაწვა, მისი ხმის გამაძლიერებლიდან ჯერ ისევ ისმოდა „სეზამის ქუჩის“ მელოდია, მერე უკან, კომონზე გასრიალდა და ასფალტზე ლითონის ხოხიალის შედეგად ნაპერწკლების შადრევანი გატყორცნა. ორი ქალი, რომლებიც ამ ყველაფერს ტროტუარზე მდგარი ადევნებდნენ თვალს, ხელჩაკიდებული გაიქცა და ძლივს აარიდეს თავი ფურგონს, რომელიც ბორდიურს შეეჯახა, სულ ერთი წამით ჰაერში ავარდა, მერე პარკისა და ტროტუარის გამყოფ რკინის მესერს შეასკდა და გაჩერდა. მუსიკამ ორჯერ წამოიკნავლა და ისიც მიჩუმდა.

ამასობაში ამფიბიას მძღოლმა სრულიად დაკარგა სატრანსპორტო საშუალებაზე კონტროლი. ამფიბია მოაჯირებს ჩაფრენილი

[1] *მსოფლიო სერია ბეისბოლის მთავარი ლიგის (თამაშობენ ამერიკის ლიგისა და ნაციონალური ლიგის საუკეთესო გუნდები) სეზონის უმთავრესი თამაშებია. იმართება 1903 წლიდან. „რედ-სოკსმა“ აღნიშნული გამარჯვება 1918 წლის შემდეგ მეორედ 2004 წელს მოიპოვა. ამ გამარჯვებას მიუძღვნა სტივენ კინგმა წიგნი „Faithful“, რომელიც ჟურნალისტ სტიუარტ ო' ნანთან ერთად დაწერა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტურისტების სასოწარკვეთილი ყვირილის თანხლებით ბოილსტონ-სტრიტის განივად გადასაჭრელად გაექანა. იმ ადგილიდან ორმოცდაათიოდე იარდის დაშორებით, სადაც „მისტერ სოფტის" ზანზალაკების წკარუნი უკანასკნელად გაისმა, ამფიბიამ ავეჯის მოდური მაღაზია „ქალაქის სინათლეების" პანორამული ვიტრინის ქვემოთ დაბალი აგურის კედელი გაიტანა. დამტვრეული ვიტრინის არამუსიკალური ზრიალის ხმა გაისმა. ამფიბიას განიერი უკანა ნაწილი (მასზე ვარდისფერი წარწერა: ნავსადგურის დიასახლისი მოჩანდა) ხუთი ფუტის სიმაღლეზე აიწია. ინერცია ამფიბიას გადაბრუნებას მოითხოვდა, მაგრამ სატრანსპორტო საშუალების მასამ ხელი შეუშალა. უკანა ბორბლები ისევ ტროტუარს შეეხო და ამფიბია მაღაზიის საგამოფენო დარბაზის ძვირად ღირებულ დივნებსა და სკამებში ცხვირით გაეჩხირა. ამასობაში თორმეტიოდე კაცმა, მუქარით რომ იქნევდნენ ხელებს, ამფიბია დატოვა და თვალს მიეფარა. მაღაზიაში სიგნალიზაცია ჩაირთო.

— ღმერთო, დიდებულო, — წარმოთქვა იმავე ხმამ კლაის მარჯვენა მკლავის სიახლოვეს. კლაი შებრუნდა და ტანმორჩილი მამაკაცი დაინახა შეთხელებული მუქი თმით, პანაწინა შავი ულვაშითა და ოქროსჩარჩოიანი სათვალით, — რა ხდება?

— არ ვიცი, — უპასუხა კლაიმ. ლაპარაკს ძლივს ახერხებდა. შენიშნა, რომ სიტყვები ძალდატანებით უნდა ამოეთქვა. ჩათვალა, რომ ეს განცდილი შოკის შედეგი იყო. ქუჩის მეორე მხარეს ხალხი გარბოდა: ერთნი — სასტუმროდან, მეორენი — ამფიბიადან. მის თვალწინ ერთი კაცი, რომელიც ამფიბიადან ჩავიდა, შუბლით შეეჯახა სასტუმროდან გამოსულ მეორე კაცს. დარტყმის ძალამ ორივე ტროტუარზე მოისროლა. კლაის ისლა დარჩენოდა, საკუთარი თავისთვის შეკითხვა დაესვა: იქნებ ჭკუაზე შეიშალა და ახლა, რომელიღაც საგიჟეთის პალატაში ჩაკეტილი ჰალუცინაციას ხედავს? ვთქვათ, ოგასტაში მდებარე ჯუნიპერ-ჰილშია[1], — იმ ბიჭმა, ნაყინის გამყიდველმა, თქვა, შეიძლება, ტერორისტები არიანო.

— შეიარაღებულ ხალხს ვერ ვხედავ, — შენიშნა ტანმორჩილმა ულვაშიანმა მამაკაცმა, — ვერც ბომბებით სავსე ზურგჩანთებიან ბიჭებს.

---

[1] *ეს ფსიქიატრიული საავადმყოფო სტივენ კინგის მრავალ ნაწარმოებშია მოხსენიებული.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მათ ვერც კლაი ხედავდა, მაგრამ სანაცვლოდ შეეძლო, დაენახა თავისი შენაძენის პაკეტი, წარწერით **პატარა საგანძური,** და ნახატებით სავსე ჩანთა. ორივე ტროტუარზე იდო. და სისხლი, რომელიც საქმიან კოსტიუმში გამოწყობილი ქალის ყელიდან მოედინებოდა, — *„ღმერთო,* — გაიფიქრა მან, — *რამდენი სისხლია“,* — და რომელიც, სადაც იყო, ჩანთამდე მიაღწევდა. ჩანთაში *„სევდიანი მაწანწალისთვის“* დახატული თორმეტიოდე ნახატი დარჩენილიყო და ახლა კლაი მხოლოდ მათზე ფიქრობდა. სწრაფი ნაბიჯით გაეშურა ჩანთისკენ. ტანმორჩილი მამაკაცი უკან მიჰყვა. როდესაც მეორე დამცავი (ან, შესაძლოა, რაიმე სხვა სახის) სიგნალიზაცია ჩაირთო, რამაც მეტი ხრინწიანობა შემატა პირველს, ტანმორჩილი მამაკაცი შეხტა.

— ეს სასტუმროშია, — თქვა კლაიმ.

— ვიცი, უბრალოდ... ღმერთო ჩემო, — მან საქმიან კოსტიუმში გამოწყობილი ქალი დაინახა, რომელიც იმ ჯადოსნური ნივთიერების ტბაში იწვა, რომელიც მის სხეულს მართავდა, — რამდენი ხნის წინ? ოთხი წუთის? თუ ორის?

— მკვდარია, — ამოიოხრა კლაიმ, — ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, ასეა. ამ გოგონამ... — თითით ანიშნა ქერა ფერიაზე, — ამან ჩაიდინა. კბილებით.

— ხუმრობთ.

— ძალიან მინდა, ასე იყოს.

ბოილსტონ-სტრიტზე მოშორებით რალაცამ დაიგრუხუნა. მამაკაცები შეხტნენ. კლაიმ კვამლის სუნი იგრძნო. ასფალტიდან **პატარა საგანძურის** პაკეტი და ჩანთა აილო და სისხლის გუბისგან მოშორებით გადადო, გუბე კი სულ უფრო იზრდებოდა.

— ეს ჩემია, — ამ სიტყვებს რომ ამბობდა, თავადაც გაუკვირდა, რისთვის დასჭირდა მოქმედების ახსნა.

ტვიდის კოსტიუმში გამოწყობილი ტანმორჩილი მამაკაცი — *„მოხდენილად აცვია“,* — გაიფიქრა კლაიმ, — ჯერ კიდევ თავზარდაცემული უმზერდა ტროტუარზე დაცემულ სხეულს იმ ქალისას, რომელიც ნაყინის საყიდლად შეჩერდა და ჯერ ძალლი დაკარგა, მერე სიცოცხლეს გამოეთხოვა. მათ გვერდით სამმა ახალგაზრდამ გაირბინა. იცინოდნენ და აღტაცებულები ყვიროდნენ. ორს რედ-სოკსის კეპები ეხურა, შებრუნებულად. ერთს კი ყუთი მოჰქონდა, რომლის გვერდზე მოჩანდა ლურჯი წარწერა: **Panasonic.**

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სწორედ მან ჩააბიჯა მარჯვენა ბოტასით საქმიან კოსტიუმში გამოწყობილი ქალის სისხლის გუბეში და მცირე ხანს ცალი ფეხით სისხლიან კვალს ტოვებდა. სამეული კომონის აღმოსავლეთით, პარკის მიღმა მდებარე ჩაინათაუნისკენ მიემართებოდა.

3

კლაი ცალ მუხლზე დაეშვა და ცალი ხელით, რომლითაც ჩანთის სახელურს არ იყო ჩაფრენილი (**Panasonic**-ის ყუთით გაქცეული ბიჭის დანახვაზე უფრო მეტად შეეშინდა, არ დაეკარგა თავისი ჩანთა), ქერა ფერიას მაჯა გაუსინჯა. პულსი მაშინვე იგრძნო. ნელი იყო, მაგრამ ძლიერი და რეგულარული. კლაიმ შვებით ამოისუნთქა. გოგონას საქციელის მიუხედავად, ის ხომ ბავშვი იყო. სრულებით არ სურდა, ცოლისთვის საჩუქრად ნაყიდი მინის პრესპაპიეს დარტყმით შემოჰკვდომოდა.

— *შეხედეთ, შეხედეთ!* — წაიმღერასავით ტანმორჩილმა ულვაშიანმა მამაკაცმა. კლაის დრო არ ჰქონდა შესახედად. საბედნიეროდ, ამ შემთხვევაში რეაქციის სისწრაფეს მნიშვნელობა არც ჰქონდა. უზარმაზარმა ჯიპმა ბოილსტონ-სტრიტზე იმ ადგილიდან ოცოდე იარდის დაშორებით შემოუხვია, სადაც ცალ მუხლზე ჩაჩოქილი კლაიდი იმყოფებოდა, გაიტანა რკინის მესრის ერთი სექცია და სვლა წინა ბამპერით იხვების გუბურაში დაასრულა.

მანქანის კარი გაიღო და იქიდან ყმაწვილი გადმოვიდა, ცას რაღაც ასძახა, დაიჩოქა, გუბურიდან მუჭით წყალი ამოიღო და დალია (კლაის თავში გაუელვა, რომ სწორედ ამ გუბურაში მრავალი ათწლეულია, იხვები ისაქმებდნენ), მერე წამოდგა და შორეული ნაპირისკენ გაეშურა. ხეებს შორის გაუჩინარდა, ხელებს იქნევდა და გაუგებარ ბგერებს ყვიროდა.

— ამ გოგონას უნდა დავეხმაროთ, — მიუბრუნდა ტანმორჩილ მამაკაცს, — უგონოდაა, მაგრამ ცოცხალი.

— ვიდრე გაგვჭყლეტენ, აქედან რაც შეიძლება სწრაფად უნდა წავიდეთ, — იყო მამაკაცის პასუხი და თითქოს ამის დასადასტურებლად, ტაქსი ავეჯის მაღაზიაში შეჭრილ ამფიბიას შეასკდა. ლიმუზინიც დაზიანდა, მაგრამ უფრო მეტად — ტაქსი. კლაიმ დაინახა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საქარე მინიდან (თავად მინა მანამდე ჩამოიშალა) როგორ გადმოვარდა მძღოლი და შორიახლოს, ტროტუარზე გაიშხლართა; გასისხლიანებული ხელი გულზე ჰქონდა მიკრული და ყვიროდა.

ტანმორჩილი ულვაშა მამაკაცი მართალს ამბობდა. გადატანილი შოკით დაბინდულ კლაის გონებაში გაჭირვებით გამოღწეული ნამცეცა კეთილგონიერება ერთგვაროვნად კარნახობდა, რომ სწორედ ეს იყო ბოილსტონ-სტრიტის დატოვების ოპტიმალური მომენტი, რათა სადმე შეეფარებინა თავი. თუ ყველაფერი ის, რაც მის გარშემო ხდებოდა, ტერორისტების ნამოქმედარი გახლდათ, მსგავსი მანამდე არაფერი უნახავს და არც წაუკითხავს. ამიტომ ის/ისინი სადმე შეუმჩნეველ ადგილზე უნდა დაიმალოს/დაიმალონ მანამ, სანამ ყველაფერი გაირკვევა. მაგრამ არ სურდა გონებადაკარგული გოგონას დატოვება ქუჩაში, რომელიც მოულოდნელად საგიჟეთად იქცა. მისი სული — და, რასაკვირველია, ცივილიზებულობა — ამ მოსაზრებას მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა.

— თქვენ წადით, — უხალისოდ თქვა კლაიმ. ამ ტანმორჩილ მამაკაცს პირველად ხედავდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ის სისულელეებს არ ბოდავდა და მისკენ დაკრეჭილი კბილებით არ იწევდა, — სადმე შეაფარეთ თავი, მე კი... — აღარ იცოდა, როგორ დაესრულებინა წინადადება.

— თქვენ, რა? — შეეკითხა ულვაშა, მერე მხრებში მოიხარა და შეაჟრჟოლა, იმიტომ, რომ კიდევ ერთი აფეთქების ხმა მოისმა. ამჯერად, სასტუმროდან. შავმა კვამლმა დაიწყო ამოსვლა და ცისფერი ცა დაფარა, მერე ისეთ სიმაღლეს მიაღწია, რომ ქარმა შორს წაილო.

— პოლიციას დავურეკავ, — უეცრად გაახსენდა კლაის, — ამას მობილური აქვს, — კლაიმ თითი საკუთარი სისხლის გუბეში მწოლიარე მკვდარი ქალისკენ გაიშვირა, — ტელეფონზე რეკავდა, ვიდრე... ხომ გესმით, ვიდრე ეს კოშმარი დაიწყებოდა, მანამდე...

კლაი დადუმდა და შეეცადა, გონებაში აღედგინა ყველაფერი, რაც ამ საგიჟეთის დატრიალებამდე მოხდა. მკვდარი ქალისგან მზერა გონდაკარგულ გოგონაზე გადაიტანა, მერე — გოგონას პიტნისფერი მობილურის ნამსხვრევებზე.

შორს ორი სხვადასხვა ტონალობის სირენების ხმა გაისმა. კლაიმ ჩათვალა, რომ ერთი სახეობის სირენა საპატრულო პოლიციის მანქანებზე იყო დამონტაჟებული, მეორე კი — სახანძროებზე. მისი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აზრით, ქალაქ ბოსტონის მცხოვრებნი მათ ერთმანეთისგან ადვილად გაარჩევდნენ, მაგრამ თავად ხომ კენტ-პონდში, მენის შტატში, ცხოვრობდა და ძალიან უნდოდა, სწორედ ამ წუთში შინ ყოფილიყო.

აი, რა მოხდა მანამდე, სანამ მთელი ეს საზიზღრობა დატრიალდებოდა: საქმიან კოსტიუმში გამოწყობილმა ქალმა მობილურით დაურეკა მეგობარ მედის და აცნობა, რომ თმა შეიჭრა, ქერა ფერიას კი მეგობარმა გოგონამ დაურეკა. ბოლო საუბარს წაბლისფერთმიანი ფერიაც უსმენდა. ამის შემდეგ სამივე გაგიჟდა.

„იმას ხომ არ ფიქრობ, რომ...“

მათ ზურგს უკან, აღმოსავლეთით, ისეთი გრგვინვა გაისმა, თითქოს ვილაცამ გიგანტური თოფი ისროლა. კლაი წამოხტა. მან და ტვიდის კოსტიუმში გამოწყობილმა ტანმორჩილმა მამაკაცმა ჯერ ერთმანეთს გადახედეს, მერე ჩაინათაუნისა და ბოსტონის ნორტ-ენდისკენ გაიხედეს. იქ რა აფეთქდა, ვერ ხედავდნენ, მაგრამ იმ მხარეს, შენობების თავზე, შავი კვამლის უზარმაზარი ღრუბელი გაჩნდა.

ვიდრე კვამლს უყურებდნენ, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, სასტუმროსთან „წელიწადის დრონი“, რადიოკავშირით აღჭურვილი ბოსტონის პოლიციის განყოფილების საპატრულო მანქანა და გასაშლელკიბიანი სახანძრო მივიდა. კლაიმ თავი ასწია და დაინახა, ვილაც მამაკაცი როგორ გადმოხტა სასტუმროს ბოლო სართულიდან, კიდევ ორი — სახურავიდან. მოეჩვენა, თითქოს ის ორნი მიწაზე დანარცხებამდეც ცდილობდნენ, ერთმანეთისთვის დაერტყათ.

— იესო, მარიამ, იოსებ, არა! — აკივლდა ვილაც ქალი, — არა! საკმარისია! საკმარისია!

პირველი თვითმკვლელი საპატრულო მანქანის უკანა ნაწილს დაეცა, საბარგული თმითა და ტვინის ნარჩენებით მოთხვარა, უკანა მინა ჩამოიღო. დანარჩენი ორი სახანძრო მანქანის კიბესა და კაპოტს დაეცა, მეხანძრეები მანქანიდან გადმოხტნენ და უზარმაზარი ფრინველების დარად სხვადასხვა მხარეს გაიქცნენ.

— არა! — კიოდა ქალი, — საკმარისია! საკმარისი! ძვირფასო ღმერთო, საკმარისია!

მაგრამ მეხუთე თუ მეექვსე სართულიდან მალაყებით ქვემოთ მიექანებოდა ვილაც ქალი და დაეცა პოლიციელს, რომელიც ზემოთ იხედებოდა. ისიც მოკლა და თავადაც დაიღუპა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სადღაც, ჩრდილოეთით, კიდევ ერთი აფეთქების ხმა გაისმა, თითქოს ეშმაკი ჯოჯოხეთში თოფს ისროდა. კლაიმ კვლავ ტანმორჩილ მამაკაცს გადახედა და მის შეშფოთებულ მზერას წააწყდა. ქალაქის თავზე სულ უფრო იმატებდა კვამლი, და ქარის მიუხედავად, ცის სილურჯე თითქმის ყველგან გაშავდა.

— ისევ თვითმფრინავებს იყენებენ, — თქვა ტანმორჩილმა მამაკაცმა, — ეს საზიზღარი არამზადები ისევ თვითმფრინავებს იყენებენ.

თითქოს მისი სიტყვების დადასტურება სურდათ, მესამე საზარელი აფეთქების ხმა ჩრდილო-აღმოსავლეთითაც გაისმა.

— მაგრამ... იქ ხომ ლოგანია[1], — კლაის ისევ გაუჭირდა ლაპარაკი, კიდევ უფრო მეტად — ფიქრი. თავში ერთმა სულელურმა ხუმრობამ გაუელვა, — *თუ გსმენიათ ანეკდოტი (აქ შესაძლებელია სასურველი ეროვნების ჩასმა) ტერორისტების შესახებ, რომლებმაც ამერიკის დაჩოქება აეროპორტის აფეთქებით გადაწყვიტეს?*

— და მერე? — უკმეხად ჰკითხა ტანმორჩილმა მამაკაცმა.

— რატომ არ ააფეთქეს ჰენკოკ-ბილდინგი?[2] ან პრუ?[3]

ტანმორჩილი მამაკაცი მოიბუზა.

— არ ვიცი. მხოლოდ ის მინდა, რაც შეიძლება სწრაფად მოვშორდე ამ ქუჩას.

ამ აზრის მარტო ის არ იყო. მათ გვერდით ათიოდე ახალგაზრდამ ჩაირბინა. ბოსტონი ახალგაზრდების ქალაქია — აქ ბევრი კოლეჯია, გაახსენდა კლაის. ის ექვსნი, სამი გოგონა და სამი ვაჟი, ნაქურდალს მაინც არ მიათრევდნენ და არც იცინოდნენ. სირბილში ერთ-ერთმა ყმაწვილმა ჯიბიდან მობილური ამოიღო და ყურთან მიიდო.

კლაიმ ქუჩის მეორე მხარეს გაიხედა და დაინახა შავ-თეთრი საპატრულო მანქანა, რომელიც პირველის გვერდით გაჩერდა. სა-

[1] *ლოგანი ბოსტონის საერთაშორისო აეროპორტია.*

[2] *ჰენკოკ-ბილდინგი ბოსტონის მაღალი, მრავალსართულიანი ადმინისტრაციული შენობაა. სახელი ეწოდა ბოსტონელი ვაჭრის, ჯონ ჰენკოკის (1737-1793) პატივსაცემად, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიების დამოუკიდებლობის მომხრე იყო და ერთ-ერთმა პირველმა მოაწერა ხელი დამოუკიდებლობის დეკლარაციას.*

[3] *პრუ, იგივე პრუდენშელ-ტაუერი, ბოსტონის მეორე მაღლივი ნაგებობაა, ადმინისტრაციული-სავაჭრო-საცხოვრებელი კომპლექსი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქმიან კოსტიუმში გამოწყობილი ქალის მობილური ტელეფონის გამოყენების აუცილებლობა აღარ იყო (ამან მხოლოდ გაახარა, რადგან დაასკვნა, რომ სრულებით არ სურს მობილურით დარეკვა). შეეძლო, გადაეჭრა ბოილსტონ-სტრიტი და პოლიციელებს დალაპარაკებოდა, თუმცა, შექმნილ გარემოებაში რამდენად ეყოფოდა ქუჩაზე გადასვლის გამბედაობა, საკითხავი იყო. და რომც გადაეწყვიტა მათთან მისვლა, განა მოისურვებდნენ უგონო გოგონას სანახავად გადმოსვლას ახლა, როდესაც ქალაქში დაჭრილებისა და დაზარალებულების რიცხვი ყოველგვარ გონივრულ რაოდენობას აღემატებოდა? მის თვალწინ მეხანძრეებმა მანქანის მონესრიგება დაიწყეს, სხვა ადგილზე წასასვლელად ემზადებოდნენ. აშკარად ლოგანის აეროპორტში ან...

— ღმერთო ჩემო, იმ კაცს მოერიდეთ! — კლაის ფიქრი ულვაშიანმა ტანმორჩილმა მამაკაცმა შეაწყვეტინა. კლაიმ დასავლეთით, ქალაქის ცენტრისკენ გაიხედა, იქით, საიდანაც თავად ცოტა ხნის წინ მოდიოდა და მისი აზრით, ახლა ყველაზე მთავარი შერონთან დარეკვა გახლდათ. ისიც კი მოიფიქრა, როგორ დაეწყო საუბარი: *„ისეთი კარგი ახალი ამბავი მაქვს, ძვირფასო — არ ვიცი, ჩვენი ურთიერთობა როგორ გაგრძელდება, მაგრამ ბიჭის ფეხსაცმლისთვის ფული ყოველთვის გვექნება“*, — ეს წინადადება მის გონებაში მხიარულად და გულღიად ისმოდა.

სინამდვილეში კი სამხიარულო არაფერი იყო. მათ ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი უახლოვდებოდა — მართალია, არ მორბოდა, მაგრამ საკმაოდ დიდი, გაბედული ნაბიჯებით მოიწევდა. კოსტიუმისგან შემორჩენილი შარვალი და პერანგის ნაფლეთები ეცვა, ჰალსტუხი ეკეთა. შარვალი ნაცრისფერი იყო, ხოლო ჰალსტუხისა და პერანგის ფერის გარჩევა შეუძლებელი გახლდათ, რადგან ორივე სისხლში ჰქონდა ამოსვრილი. მარჯვენა ხელში, როგორც კლაის მოეჩვენა, მამაკაცს გასაშლელი დანა ეჭირა, თვრამეტინჩიანი მჭრელი პირით. ახლა გაახსენდა ეს დანა, კოპლი-სკვერის სასტუმროდან რომ ბრუნდებოდა, მაღაზია „სამზარეულოს სულის“ ვიტრინაში დაინახა. იქ სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების დანები იყო გამოფენილი (დანების რიგს ამშვენებდა მეტალის ფირფიტა ზედ ამოტვიფრული წარწერით: **ШВЕДУРИ ФОЛАДИ**) და ოსტატური განათების წყალობით ლამაზად ლაპლაპებდნენ. მაგრამ ამ დანას ეტყობოდა, ვიტრინის დახშული სივრციდან გათავისუფლე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბის შემდეგ თავი არ შეურცხვენია (ან პირიქით, უსინდისოდ მოიქცა) და ახლა სისხლს გაემქრქალებინა.

დახეულპერანგიანი მამაკაცი დანის ქნევითა და მტკიცე ნაბიჯებით მიიწევდა მათკენ, დანის მჭრელი პირი ჰაერში წრეებს ხაზავდა. მხოლოდ ერთხელ შეწყვიტა მოძრაობის სიმწყობრე, რათა დანა სხეულზე გაესვა და ამის შემდეგ პერანგზე კიდევ ერთი ნახვრეტიდან სისხლმა იწყო დენა. მათ შორის დისტანციის მინიმუმამდე შემცირების შემდეგ, უდაბნოდან ახალგამოსული წინასწარმეტყველივით მიმართა, მხოლოდ თავისთვის და იმ ღვთაებისთვის გასაგებ ენაზე რომ ლაპარაკობს, რომელიც გამოეცხადა.

— *თვალლაბი!* — დაიყვირა მან, — *იიილაჰ-თვალლაბი-ა-ბაბალაჰი ნაზ! ა-ბაბალაჰი რატომ? ა-ბუნნალუ მიუდგომელი? კაზზალაჰი! კაზზალაჰ-ᲙᲐᲜᲘ! ფაი! ᲨᲐᲘ-ფაი!* — ახლა დანა მისი მარჯვენა ბარძაყისკენ დაიხარა, შემდეგ სხეულის უკან დაიმალა და კლაი, რომელსაც მეტად განვითარებული ვიზუალური წარმოსახვის უნარი ჰქონდა, მიხვდა, რომ ამ მოძრაობას მთელი ძალით დარტყმა მოჰყვებოდა. დარტყმა მუცელში, მოულოდნელი, რომელიც ვერ შეაჩერებს ამ გიჟურ სრბოლას არსაით ოქტომბრის დღის მეორე ნახევარში, ვერ შეანელებს მტკიცე ნაბიჯებით სვლას.

— ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ ᲘᲧᲐᲕᲘᲗ! — დაიყვირა ტანმორჩილმა ულვაშიანმა მამაკაცმა, მაგრამ თავად კი არ ფრთხილობდა. ის იყო პირველი *ნორმალური* ადამიანი, რომელსაც კლაი რიდელი მას შემდეგ დაელაპარაკა, რაც ეს სიგიჟე დაიწყო — სიმართლე ითქვას, ტანმორჩილი მამაკაცი თავად გამოელაპარაკა, რაც შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, გამბედაობას მოითხოვდა — ახლა ის გაუნძრევლად იდგა, ოქროსჩარჩოიანი სათვალის მინებს მილმა თვალები გაფართოებოდა. გიჟი კი სწორედ მისკენ მიემართებოდა, ალბათ, გადაწყვიტა, რომ ორი მამაკაციდან ტანმორჩილს უფრო იოლად გაუმკლავდებოდა? თუ ასეა, შესაძლოა მისტერ პოლიგლოტი სრულებითაც არ იყო *წყალწალებული* გიჟი, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა.

და უეცრად იმ შიშს, რომელმაც კლაი მოიცვა, დაემატა გაბოროტება, სწორედ ისეთი, რომელიც დაეუფლებოდა მაშინ, სკოლის მესერთან დიდი ბიჭების მიერ პატარის დამცირება რომ დაენახა.

— ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ! — აღრიალდა ტანმორჩილი ულვაშიანი მამაკაცი, მაგრამ თავად არ იძვროდა, მისკენ კი დაუნდობლად მიიწევდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიკვდილი, „სამზარეულოს სულის" ვიტრინიდან გათავისუფლებული სიკვდილი, იმ მაღაზიიდან, სადაც უეჭველია, ანგარიშსწორებისას „დაიხერს-კლაბისა" და „ვიზა" საკრედიტო ბარათებსაც იღებდნენ და პირად ჩეკებსაც, თუ მათ საკრედიტო ბარათიც ახლდა.

კლაის ბევრი აღარ უფიქრია, ჩანთას ორივე ხელი ჩაავლო და დანასა და ტვიდის კოსტიუმში გამოწყობილ ახალ ნაცნობს შორის ჩააკვეხა. დანამ ჩანთა გაჭრა, მაგრამ მისი წვერი ტანმორჩილი მამაკაცის მუცლიდან ოთხი დუიმის დაშორებით შეჩერდა. ეს უკანასკნელი, როგორც იქნა, ტრანსიდან გამოერკვა, კომონისკენ დაიხია და მთელი ხმით აღრიალებული შველას ითხოვდა.

პერანგსა და ჰალსტუხის ნაფლეთებში გამოწყობილმა მამაკაცმა ლოყები ჩამოშვებოდა და კისერზე ღაბაბი ემჩნეოდა, თითქოს რამდენიმე წლის წინ კალორიულ საკვებსა და ინტენსიურ ფიზიკურ ვარჯიშს შორის ბალანსი დაირღვა, — უეცრად შეწყვიტა მხოლოდ მისთვის გასაგები მონოლოგი. სახეზე აღებეჭდა უაზრო გამომეტყველება, რომელიც არც გაკვირვებად ქცეულა და არც გაოგნებად.

კლაი კი განრისხდა. დანამ *„სევდიანი მაწანწალის"* სურათები გახვრიტა (მისთვის ისინი ყოველთვის სურათები იყო და არა გრაფიკული ნახატი თუ ილუსტრაცია) და მოეჩვენა, თითქოს გახეული ჩანთიდან დანის წვერი მისი გულის განსაკუთრებულ კუნჭულშიც ჩაესო. რეაქციაც, რასაკვირველია, არაადეკვატური გახლდათ იმის გათვალისწინებით, რომ ყველა სურათის, მათ შორის — ოთხფერიანის, ასლი ჰქონდა, მაგრამ მაინც განრისხდა. დანამ გახვრიტა ჯადოქარი ჯონი (რა თქმა უნდა, მისი ვაჟის სახელი ერქვა), ჯადოქარი ფლეკი, ფრენკი და ძმები პოსეები, მძინარა ჯინი, საძაგელი სალი, ლილი ასტოლეტი, ცისფერი კუდიანი დედაბერი და, რასაკვირველია, რეი დეიმონი, სევდიანი მაწანწალა — კლაის შექმნილი ფანტასტიკური პერსონაჟები, რომლებიც მისი წარმოსახვის მღვიმეში ცხოვრობდნენ და მათი შემოქმედი მენის შტატის ათობით პატარა სკოლაში ხატვის მასწავლებლის დამღლელი საქმიანობისგან უნდა გაეთავისუფლებინათ — ის ხომ, ფაქტობრივად, მანქანაში ცხოვრობდა.

შეეძლო, დაეფიცა, რომ მათი კვნესა გაიგონა, როდესაც გიჟის დანა ჩაესო ჩანთაში, სადაც ტკბილად ეძინათ.

გაცოფებულს ყურადღება არ მიუქცევია დანისთვის (ყოველ შემთხვევაში, იმ წუთს), ჩანთა ორივე ხელით ეჭირა და გიჟს მიაწვა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩანთას ფარივით იყენებდა, ხოლო მრისხანებამ უფრო იმატა, როდესაც დაინახა, ჩანთაში გაჩხერილი დანა დიდ ლათინურ V-ს დარად როგორ მოიხარა.

— *ბლეტ!* — იღრიალა გიუმა და ჩანთიდან დანის ამოძრობა სცადა, მაგრამ პირი ძალიან მაგრად იჯდა, — *ბლეტ კუიამ დოუ-რამ კაზზალაჰ ა-ბაბბალაჰ!*

— ახლა გიჩვენებ შენს ბაბბალაჰ-კაზზალაჰს, ნაგავო! — დაიყვირა კლაიმ, მარცხენა ფეხი გიუის ფეხს უკნიდან დაუხვედრა. მოგვიანებით აზრმა გაუელვა, რომ სხეულმა დამოუკიდებლად იცის, საჭიროების შემთხვევაში როგორ იბრძოლოს. სხეული ამ საიდუმლოს ინახავს, ისევე როგორც სხვა საიდუმლოებებს: შეუძლია სწრაფად სირბილი, განიერ მდინარეზე გადახტომა ან ყველაფრის ფეხებზე დაკიდება ან — როგორც ჩანს — სიკვდილიც, თუ სხვა არჩევანი არ არის. ასე რომ, ექსტრემალურ პირობებში სხეული თავის თავზე იღებს ინიციატივას, იმას აკეთებს, რაც საჭიროდ მიაჩნია, ხოლო გონება სადღაც განზეა, აღარაფერი ძალუძს, სტვენის, ფეხის დაბაკუნებისა და ზეცაში ცქერის გარდა. ან, ბოლოს და ბოლოს, იმაზე ფიქრობს, როგორ ხმას გამოსცემს შენს ოცდამერვე დაბადების დღეზე ცოლის ნაჩუქარი ჩანთა, როდესაც მას დანა ხვრეტს.

გიუმა კლაის ფეხზე ფეხი წამოჰკრა და როგორც ამას სხეული ითვალისწინებდა, ზურგზე დაეცა. კლაი დაიხარა, მძიმედ სუნთქავდა და ისევ ორი ხელით ეჭირა ჩანთა, რომელიც ახლა მართლაც ბრძოლაში შეჭყლეტილ ფარს ჰგავდა. დანა ისევ ჩანთაში იყო გაჩრილი, ცალ მხარეს მისი ტარი მოჩანდა, მეორე მხარეს — წვერი.

გიუმა წამოდგომა სცადა, მაგრამ ამ დროს მასთან კლაის ახალი მეგობარი მიიჭრა და მთელი ძალით ჩასცხო კისერში. ტანმორჩილი მამაკაცი ხმამაღლა ქვითინებდა, ცრემლები ლოყებზე ჩამოსდიოდა და სათვალის მინებს ნამით ფარავდა. გიუი ტროტუარზე გადავარდა, პირიდან ენა გადმოუვარდა. ენასა და ბაგეებს შორის რაღაც კვნესისმაგვარი ისმოდა. კლაის მოეჩვენა, რომ ისინი დიდად არ განსხვავდებოდა იმ სიტყვებისგან, ცოტა ხნის წინ რომ სწყდებოდა ამ გიუის ბაგეებს.

— ჩვენი მოკვლა სცადა! — ტანდაბალი მამაკაცი ისევ ტიროდა, — ჩვენი *მოკვლა* სცადა!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰო, ჰო, — თავი დაუქნია კლაიმ და გაახსენდა, დიდი ხნის წინ ასევე უპასუხა შვილს, როდესაც მას ჯერ კიდევ პატარა ჯონის ეძახდნენ და ატირებული, გადაყვლეფილი მუხლებითა და იდაყვებით მივიდა, — სისხლი მაქვს!

ტროტუარზე გაშხლართული მამაკაცი (მას სისხლი საკმარისად ჰქონდა) იდაყვებზე წამოიწია, ისევ სცადა ადგომა. ამჯერად ინიციატივა თავის თავზე კლაიმ აიღო, ცალ იდაყვში ნაძირალას წიხლი ჰკრა და ისევ ტროტუარზე დააბრუნა, მაგრამ წიხლები მხოლოდ დროებითი ზომა იყო და არც ისე სანდო. კლაი დანის ტარს ჩაეჭიდა და უსიამოვნოდ შეიშმუშნა, რადგან მასზე ჯერ კიდევ შეუდედებელი სისხლი იგრძნო (ეს იგივეა, ღორის ქონის ლაქას ხელისგული გადაუსვა) და მოქაჩა. დანა ცოტათი მიჰყვა კლაის ხელს, მერე ან გაჩერდა, ან კლაის ჩამოუცურდა თითები. მოეჩვენა, თითქოს ბნელ ჩანთაში პერსონაჟები ერთმანეთს რაღაცაზე სევდიანად ეჩურჩულებოდნენ და თავად წამოიყვირა, გეგონებოდათ, რაღაც ეტკინა. თავს ვერაფერი მოუხერხა. ჯერ კიდევ არ გასჩენოდა კითხვა: რას იზამდა, როდესაც დანას ჩანთიდან ამოაძრობდა? გიჟს მოკლავს? კლაიმ გაიფიქრა, რომ ამის შესრულება მაშინ, აფექტის მომენტში შეეძლო, როდესაც გიუმა ჩანთაში დანა ჩაასო, მაგრამ ახლა ველარ შეძლებდა.

— რამე მოხდა? — ულონო ხმით შეეკითხა ტანმორჩილი მამაკაცი. ფიქრებში ჩაძირული კლაი მის ხმაში გახმაურებულმა მზრუნველობამ შეძრა, — ხომ არ მოგწვდათ? ჩემს მხედველობის არეს ჩამოეფარეთ და რამდენიმე წამს ვერ გხედავდით. დაგარტყათ? დაჭრილი ხომ არა ხართ?

— არა, — უპასუხა კლაიმ, — ყველაფერი რიგ...

ჩრდილოეთიდან მორიგი გიგანტური აფეთქების ხმა მოისმა, უეჭველად ბოსტონის ნავსადგურის მხრიდან, ლოგანის აეროპორტი იყო. ორივე მამაკაცმა თავი მხრებში ჩარგო, შეხტნენ.

გიუმა ამით ისარგებლა და წამოჯდა, ის იყო, უნდა წამომდგარიყო, რომ ტვიდისკოსტიუმიანმა ტანმორჩილმა მამაკაცმა მოუხერხებლად, მაგრამ ძალიან ეფექტურად ფეხი ჩაარტყა ზუსტად დაფლეთილი ჰალსტუხის ცენტრში და კვლავ ასფალტზე გააწვინა. გიუმა ილრიალა და ტანმორჩილი მამაკაცის ფეხს ჩააფრინდა. წააქცევდა და თავის მკლავებში სულსაც ამოხდიდა, მაგრამ კლაიმ თავის ახალ ნაცნობს მხარში ჩაავლო ხელი და გიჟს მოაშორა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჩემი ფეხსაცმელი აიღო! — დაიყვირა ტანმორჩილმა მამაკაცმა. მათ ზურგს უკან კიდევ ორი ავტომანქანა შეასკდა ერთმანეთს. ყვირილი და სირენების ხმა იმატებდა, ასევე, ავტომობილების, სახანძრო მანქანების, დაცვის, შორიდან პოლიციის მანქანების სიგნალი ბაკიაც ისმოდა.

— *ამ საზიზღრობამ ჩემი ფეხსაცმ...*

უეცრად მათ გვერდით პოლიციელი გაჩნდა. ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, სასტუმროში გამოიძახეს, იდარაუდა კლაიმ, როდესაც პოლიციელმა რალაცის მბოდავი გიჟის გვერდით ცალ მუხლზე ჩაიჩოქა. დრო და საშუალება გამონახა, რომ აქ მოსულიყო! შენიშნა, აქ რაც დაგვატყდა თავს!

— ფრთხილად იყავით მაგასთან, — ნერვიულად თქვა ტანდაბალმა მამაკაცმა, — ეგ...

— ვიცი, ვინც არის, — უპასუხა პოლიციელმა და კლაიმ მის ხელში საფაბელო ავტომატური პისტოლეტი დაინახა. წარმოდგენა არ ჰქონდა, პოლიციელმა იარაღი ჩაჩოქების დროს ამოიღო ბუდიდან თუ მანამდეც ხელში ეჭირა. მადლიერების გრძნობამ უარყოფითად იმოქმედა დაკვირვებულობაზე.

პოლიციელი გიჟს დასცქეროდა. მერე მისკენ დაიხარა, თითქოს *სთავაზობდა*, თავს დამესხიო.

— ეი, მეგობარო, როგორ ხარ? — ჩასჩურჩულა გიჟს, — მაინტერესებს, რა დაგემართა?

გიჟმა პოლიციელისკენ გაიწია, ხელები წესრიგის დამცველს კისერზე შემოაჭდო და იმავე წამს პოლიციელმა იარაღი მის საფეთქელს მიაბჯინა და სასხლეტს გამოჰკრა. გიჟის ჭალარაშერეული თავის მეორე მხარეს სისხლმა ამოხეთქა და ის ტროტუარზე დაეცა, ხელები თეატრალურად გაეშალა, თითქოს ამბობდა: *დედიკო, შეხედე, მოვკვდი.*

კლაიმ ულვაშიან ტანმორჩილ მამაკაცს შეხედა, მან კი — კლაის. მერე ორივე მიუბრუნდა პოლიციელს, რომელმაც იარაღი ბუდეში შეინახა, ხოლო გულის ჯიბიდან ტყავის ფუტლარი ამოიღო. კლაის გაუხარდა, როდესაც შენიშნა, პოლიციელს ხელი უკანკალებდა. მას უკვე ეშინოდა პოლიციელის და შიში მოემატებოდა, თუ დაინახავდა, რომ ხელი არ აუკანკალდა. და მათ თვალწინ მომხდარი სრულებით არ იყო ერთადერთი შემთხვევა. გასროლამ კლაის სმენაზე მოახდინა გავლენა ან შესაძლოა, ყურები დაეწმინდა, ან რალაც სხვა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ახლა უკვე გარკვევით ესმოდა სხვა, ცალკეული სროლის ხმა, ტკაცანი, რომელიც ამ დღის მზარდ კაკოფონიაში იჭრებოდა.

პოლიციელმა ტყავის ფუტლარიდან ბარათი ამოიღო — კლაიმ გაიფიქრა, სავიზიტო ბარათი იქნებაო, — მერე ფუტლარი უკან, გულის ჯიბეში ჩაიდო. ბარათი მარცხენა ხელის დიდ და საჩვენებელ თითებს შორის ჩაიდო, მარჯვენა ხელი კი იარაღის ბუდეს დაადო. მისი უზადოდ გაპრიალებული ფეხსაცმლის ახლოს სისხლის გუბე დადგა, რომელიც გიჟის გახვრეტილი თავიდან მოედინებოდა. მოშორებით საქმიან კოსტიუმში გამოწყობილი ქალი იწვა სხვა სისხლის გუბეში, რომელიც შედედებასა და გამუქებას იწყებდა.

— თქვენი სახელი, სერ? — მიმართა პოლიციელმა.

— კლაიტონ რიდელი.

— შეგიძლიათ დაასახელოთ, დღეს ვინ არის პრეზიდენტი?

კლაიმ უპასუხა.

— სერ, თუ შეგიძლიათ თქვათ, დღეს რა დღეა?

— პირველი ოქტომბერი. იცით თუ არა, რომ...

პოლიციელი ახლა ტანმორჩილ მამაკაცს მიაჩერდა.

— თქვენი სახელი?

— ტომას მაკორტი ვარ, მოლდენში ვცხოვრობ, სალემ-სტრიტის ასმეორმოცე ნომერში. მე...

— თუ შეგიძლიათ იმ ადამიანის გვარი დაასახელოთ, რომელიც ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა?

ტომ მაკორტმა დაასახელა.

— ბრედ პიტი ვისზეა დაქორწინებული?

მაკორტმა ხელები ცისკენ ასწია.

— საიდან უნდა ვიცოდე? ალბათ, რომელიმე კინომსახიობზე.

— კარგი, — პოლიციელმა კლაის თეთრი მართკუთხედი გაუწოდა, რომელიც მარცხენა ხელით ეჭირა და მართლაც სავიზიტო ბარათი გახლდათ, — პატრულის თანამშრომელი ულრიკ ეშლენდი ვარ. ეს ჩემი სავიზიტო ბარათია. შესაძლოა, სასამართლოში მოწმედ გამოგიძახონ, რათა იმას მოჰყვეთ, რაც აქ მოხდა. მოხდა კი შემდეგი რამ: დახმარება დაგჭირდათ, მოვედი, თავს დამესხნენ, მეც ისე ვიმოქმედე, როგორც საჭირო იყო.

— მისი მოკვლა გინდოდათ, — მიუთითა კლაიმ.

— დიახ, სერ, ჩვენ, რამდენადაც შეგვიძლია, ამ ადამიანებს ტანჯვას ავარიდებთ ხოლმე თავიდან. თუ სასამართლოს ან ნებისმიერ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საგამოძიებო კომისიას ჩემს სიტყვებს გაუმეორებთ და ჩემზე მიანიშნებთ, ყველაფერს უარვყოფ. მაგრამ ამგვარად მოქმედების გარეშე შეუძლებელია. ისინი ყველგან ჩნდებიან. ზოგიერთი მხოლოდ თავს იკლავს. ბევრი კი სხვას ესხმის თავს, — ყოყმანობდა, მერე დაამატა, — ისინი, *ყველანი*, სხვებს ესხმიან თავს, — და თითქოს მისი სიტყვების დამტკიცება იყო საჭირო, ქუჩის მეორე მხრიდან პისტოლეტის გასროლის ხმა მოისმა, ცოტა ხნის შემდეგ, ერთმანეთის მიყოლებით, კიდევ სამი გასროლის ხმა სასტუმროს დახურული წინა ეზოდან, რომელიც სავსე იყო ჩამსხვრეული მინებით, დამახინჯებული სხეულებით, დამტვრეული ავტომობილებითა და სისხლით.

— ნამდვილი დაწყევლილი ცოცხლად მოსიარულე მკვდრების ღამეა, — პატრულის თანამშრომელი ულრიკ ეშლენდი ბოილსტონ-სტრიტის სავალი ნაწილისკენ ისე გაემართა, ხელი ისევ იარაღის ბუდეზე ედო, — მაგრამ ეს ადამიანები მკვდრები არ არიან.მათი გამოკლებით, ვისაც აი, ასე დავეხმარეთ.

— რიკ! — დაუყვირეს ქუჩის მეორე მხრიდან, — რიკ, ლოგანში უნდა წავიდეთ! ყველა საპატრულო მანქანა გამოიძახეს! აქ მოდი!

პოლიციელმა ეშლენდმა ქუჩა მოათვალიერა, მაგრამ მოძრავი მანქანა არ ჩანდა. იმ მომენტისთვის ბოილსტონ-სტრიტზე მხოლოდ დამსხვრეული მანქანები იყო, მაგრამ მეზობელი ქუჩებიდან აფეთქებებისა და მანქანების შეჯახების ხმები ისმოდა. კვამლის სუნი გაძლიერდა. პოლიციელი სავალი ნაწილის შუამდე მივიდა, მერე კლაისა და ტომის მიუბრუნდა:

— სადმე დაიმალეთ. რომელიმე შენობაში. ერთხელ ბედმა გაგიღიმათ. სხვა დროს შეიძლება ასე ალარ მოხდეს.

— პატრულო ეშლენდ, თქვენ მობილური ტელეფონით არ სარგებლობთ, ხომ ასეა? — შეეკითხა კლაი.

ეშლენდმა ბოილსტონ-სტრიტის სავალი ნაწილის შუიდან გამოხედა, კლაის აზრით, არც ისეთი უსაფრთხო ადგილიდან. იმას იხსენებდა, რა ჩაიდინა იმავე ქუჩაზე ამფიბიამ.

— არა, სერ. ჩვენს მანქანებს რადიოკავშირი აქვს. პორტატიულ რაციებს ვატარებთ, — ხელი დაარტყა ქამარზე დამაგრებულ რაციის ბუდეს. კლაის, რომელსაც კომიქსები მას შემდეგ შეუყვარდა, რაც კითხვა ისწავლა, მაშინვე გაახსენდა ბეტმენის გასაოცარი ქამარი, რომელშიც უამრავი საჭირო რამ ინახებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არ გამოიყენოთ, — გააფრთხილა კლაიმ, — სხვებიც გააფრთხილეთ. *მობილური ტელეფონები არ გამოიყენოთ.*

— ამას რატომ ამბობთ?

— იმიტომ, რომ *მათ,* ყველამ, მობილურით დარეკეს, —კლაიმ გარდაცვლილ ქალსა და უგონოდ მყოფ გოგონაზე მიუთითა, — სწორედ იმ წუთამდე, სანამ ჭკუაზე შეიშლებოდნენ... და მზად ვარ, დავიფიცო, რომ ეს დანიანი ყმაწვილიც...

— *რიკ!* — ისევ იყვირა პოლიციელმა ქუჩის მეორე მხრიდან, — *დაუჩქარე, ამის დედაც!*

— სადმე შეაფარეთ თავი, — გაიმეორა პოლიციელმა ეშლენდმა და ქუჩის მეორე მხარისკენ სწრაფად გაემართა, იქ, სადაც სასტუმრო „წელიწადის ოთხი დრო“ იდგა. კლაის გული დასწყდა, კიდევ ერთხელ რომ არ გააფრთხილა პოლიციელი მობილური ტელეფონების მავნებლობის შესახებ, მაგრამ ის კი გაუხარდა, რომ პატრული ეშლენდი სახიფათო ზონად ქცეულ ქუჩას გაშორდებოდა. თუმცა, იმავე წუთს ისიც გაიფიქრა, რომ იმ დღეს მთელი ბოსტონი სახიფათო ზონად გადაიქცა.

4

— რას აკეთებთ? — შეეკითხა კლაი ტომ მაკორტს, — ხელით არ შეეხოთ, იქნებ... არ ვიცი... იქნებ გადამდებია.

— შეხებას არ ვაპირებ, მაგრამ ჩემი ფეხსაცმელი მჭირდება.

ფეხსაცმელი გიჟის მარცხენა ხელის გაფარჩხული თითების ქვეშ მოქცეულიყო, მისი სისხლის გუბისგან გვარიანად მოშორებით. ტომი ფრთხილად ჩაეჭიდა ქუსლს და ფეხსაცმელი თავისკენ გასწია, მერე ბოილსტონ-სტრიტის ბორდიურის ქვაზე ჩამოჯდა — სწორედ იმ ადგილას, სადაც, კლაის აზრით, წინა ცხოვრებაში „მისტერ სოფტის“ ბორბლებიანი მაღაზია იდგა, — და ფეხსაცმელში ფეხი ჩაყო.

— თასმები გამწყდარა, — თქვა მან, — ამ ნაძირალამ თასმები განწყვიტა, — და ატირდა.

— როგორმე რამე მოახერხეთ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კლაი ჩანთიდან დანის ამოძრობას შეუდგა. დარტყმა ისეთი სიძლიერის იყო, რომ კლაი მიხვდა, მხოლოდ წინ და უკან მოძრაობით თუ შეძლებდა დანის ამოღებას — ცოტათი თავისკენ უნდა გაექაჩა, მერე უკან ჩაებრუნებინა, მერე ისევ თავიდან. მართალია, მეთოდმა გაამართლა, მაგრამ დანას ჩანთის დატოვება რატომღაც არ სურდა, დაუსრულებელი მოძრაობებისას გულის გამანვრილებელი ჭრიალი ისმოდა, რის გამოც კლაის ჟრუანტელმა დაუარა, თან იმაზე ფიქრობდა, ჩანთაში ჩადებული სურათებიდან ყველაზე მეტად რომელი დაზიანდა. სულელური აზრი იყო, მხოლოდ და მხოლოდ შოკით გამოწვეული, მაგრამ თავიდან ვერ იშორებდა.

— მხოლოდ ზედა ნახვრეტებშიც ვერ გაუყრით, რომ შეკრათ?

— ჰო, მგონი, შევძ...

კლაიმ მექანიკური კოლოს ბზუილის მსგავსი ხმა გაიგონა, რომელმაც თანდათან იმატა და თანაბარზომიერ გუგუნში გადაიზარდა. ბორდიურზე ჩამომჯდარმა ტომმა კისერი წაიგრძელა და მიმოიხედა. კლაი პარკისკენ შებრუნდა. ბპს-ს[1] საპატრულო მანქანების ქარავანი, რომელიც სასტუმრო „წელიწადის დრონიდან" გავიდა, მაღაზია „ქალაქის სინათლეებისა" და მის ვიტრინაში გაჩხერილი ამფიბიას გვერდით შეჩერდა. პოლიციელებმა მანქანებიდან თავები გადმოყვეს, როდესაც საშუალო ზომის კერძო თვითმფრინავი, შესაძლოა, Cessna ან Twin Bonanza — კლაი თვითმფრინავებში ცუდად ერკვეოდა, — ბოსტონის ნავსადგურსა და კომონს შორის სახლების თავზე გამოჩნდა, დაბლა დაფრინავდა და სიმაღლეს სწრაფად კარგავდა. რამდენიმე წამის შემდეგ თვითმფრინავი პარკის თავზე იყო, მისი ფრთა თითქმის შეეხო შემოდგომის მოკაშკაშე ფოთლებით დაფარული ხეების ტოტებს, შემდეგ ჩარლზ-სტრიტში ჩაიკარგა, თითქოს პილოტმა იქაურობა დასაჯდომ ბილიკად მიიჩნია. მერე, მიწიდან დაახლოებით ოცდაექვსი ფუტის სიმაღლეზე, თვითმფრინავი მარცხნივ გადაქანდა და მისი ფრთა ჩარლზ- და ბიკონ-სტრიტების კუთხეში მდებარე რუხი ქვის შენობის, სავარაუდოდ, ბანკის, ფასადს შეეჯახა. სწორედ იმ წუთს გაქრა იმის შეგრძნება, რომ თვითმფრინავი ძალიან ნელა მოფრინავდა, თითქმის ნარნარით. ფასადთან შეჯახების შემდეგ, თვალის დახამხამებაში, თვითმფრინავი არნახული სისწრაფით

[1] *ბპს — ბოსტონის პოლიციის სამმართველო.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფრთის გარშემო დატრიალდა, მეზობელ აგურის შენობას დაეჯახა და მაშინვე გაუჩინარდა წითელ-ნარინჯისფერი ალის ენებში. მთელ პარკში დარტყმის ტალღა გავრცელდა. მანამდე იხვები ცაში აფრინდნენ.

კლაიმ თვალები დახარა და დაინახა, რომ ხელში ხორცის დასამუშავებელი დანა უჭირავს. ჩანთიდან ამოძრობა მაშინ მოახერხა, ვიდრე ის და ტომი თვითმფრინავის განადგურებას უყურებდნენ. დანა პერანგზე გაწმინდა ჯერ ერთი, მერე მეორე მხრიდან, დიდი სიფრთხილით, რომ არ დაჭრილიყო (ახლა *მას* უკანკალებდა ხელები), ზურგს უკან ქამარში გაირჭო, ასევე ძალიან ფრთხილად, ტარამდე. ამ დროს გაახსენდა ყმაწვილობის დროინდელი პირველი მცდელობა, კომიქსი შეექმნა.

— მეკობრე ჯოქსერი თქვენს განკარგულებაშია, ჩემო მშვენიერო, — ბურტყუნებდა თავისთვის.

— რაო? — შეეკითხა ტომი. ის კლაის გვერდით იდგა და კომონის შორეულ ბოლოში აალებულ თვითმფრინავს შესცქეროდა. გიგანტური კოცონიდან საფრენი აპარატის მხოლოდ კუდი მოჩანდა. მასზე კლაიმ საბორტო ნომერი გაარჩია: 6409. ნომრის თავზე წარწერა რომელიღაც სპორტული გუნდის ლოგოს ჩამოჰგავდა.

მერე კუდიც გაქრა.

კლაიმ სახეზე სითბოს ტალღების შეხება იგრძნო.

— არაფერი, — უპასუხა ტანმორჩილ ტვიდისკოსტიუმიან მამაკაცს, — საქმეს მივხედოთ.

— ბატონო?

— აქედან წავიდეთ.

— ჰო, კარგი.

კლაი კომონის სამხრეთი ნაწილისკენ გაემართა, სწორედ იქით, საითაც დღის სამ საათზე მიდიოდა თვრამეტი წუთისა და ახლა უკვე მთელი მარადისობის წინ. ტომ მაკორტი სწრაფად ადგამდა მოკლე-მოკლე ნაბიჯებს, რომ დასწეოდა — ის მართლაც *მეტისმეტად* ტანმორჩილი გახლდათ.

— მითხარით, სისულელეებს ხშირად ამბობთ ხოლმე? — დაინტერესდა ტომი.

— დარწმუნებული იყავით, ასეა, — თქვა კლაიმ, — შეგიძლიათ, ჩემს ცოლს ჰკითხოთ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

5

— სად მივდივართ? — შეეკითხა ტომი, — მე ტრამვაის სადგურისკენ[1] მივდიოდი, — და ხელით ანიშნა დაახლოებით ერთი კვარტალის დაშორებით მდებარე მწვანე ჯიხურზე. იქ ახლა მომცრო ბრბო შეკრებილიყო, — მაგრამ ახლა არა მგონია, მიწის ქვეშ ჩასვლა კარგი აზრი იყოს.

— მეც ასე ვფიქრობ. სასტუმროში ნომერი დავიქირავე, „ატლანტიკ-ავენიუ-ინში", აქედან ხუთი კვარტალის დაშორებითაა.

ტომს სახე გაუბრწყინდა.

— თუ არ ვცდები, ეგ სასტუმრო ვიცი. ლოდენ-სტრიტზეა, „ატლანტიკის" გვერდით.

— მართალია. იქ წავიდეთ. ტელევიზორში რას ამბობენ, გავიგოთ, და გარდა ამისა, მინდა ცოლს დავურეკო.

— ნომრიდან?

— რა თქმა უნდა, ნომრიდან. მობილური ტელეფონი არა მაქვს.

— მე კი მაქვს, მაგრამ შინ დავტოვე. გატყდა. რაფმა, ჩემმა კატამ, სამზარეულოს მაგიდიდან გადააგდო. დღეს ახლის ყიდვას ვაპირებდი... მაგრამ მისმინეთ, მისტერ რიდელ...

— კლაი.

— კარგი, კლაი. დარწმუნებული ხარ, რომ სასტუმროს ნომრიდან ჩვეულებრივი ტელეფონით დარეკვა უსაფრთხოა?

კლაი გაშეშდა. ასეთი რამ აზრადაც არ გაუვლია. თუ კაბელური კავშირგაბმულობაც სახიფათოა, მაშინ *რალაა უსაფრთხო?* ის იყო, ეს ტომისთვის უნდა ეკითხა, რომ ტრამვაის სადგურზე უეცრად ჩხუბი ატყდა. იქიდან პანიკური ყვირილი, კივილი და გაურკვეველი სიტყვები ისმოდა. დანით თავდამსხმელთან შეხვედრის შემდეგ კლაიმ უკვე კარგად იცოდა, რომ ეს ბოდვა სიგიჟის ნიშანი იყო. რუხი ქვით ამოშენებულ პარაპეტთან, საიდანაც ქვემოთ კიბე ჩადიოდა, ადამიანებს მოეყარათ თავი და ახლა ისინი გაიფანტნენ: ერთნი სავალ ნაწილზე გადავიდნენ, ორნი ერთმანეთს ჩახვეოდ-

[1] *ბოსტონში ტრამვაის ქსელი მეტროპოლიტენის მსგავსია – ორ-სამვაგონიანი ტრამვაის შემადგენლობები მიწის ქვეშ მოძრაობს ქალაქის ცენტრსა და გარეუბნებში.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნენ და აქეთ-იქით იხედებოდნენ. უმრავლესობა პარკისკენ გაიქცა, სხვადასხვა გზით, რამაც კლაის იმედი გაუცრუა. მას უფრო მეტად ის ორი მოსწონდა, სირბილის დროსაც რომ არ სცილდებოდნენ ერთმანეთს.

მაგრამ ტრამვაის სადგურთან ფეხზე მდგომი დარჩენილიყვნენ კიდევ ორი მამაკაცი და ორი ქალი.

კლაი დარწმუნებული გახლდათ, რომ სწორედ ისინი ამოვიდნენ სადგურიდან და დანარჩენები დააფრთხეს. როდესაც კლაი და ტომი ნახევარი კვარტალის დაშორებით შეჩერდნენ მათთვის თვალის მისადევნებლად, ოთხეული ერთმანეთს დაერია. ჩხუბს ის დაუოკებელი, მომაკვდინებელი სისასტიკე ახლდა, რომელსაც კლაი უკვე პირისპირ შეეფეთა, ხოლო ამ ჩხუბში მოჩხუბრები და გალახულები არ არსებობდნენ. ორი ორზე ან სამი ერთზე კი არ ჩხუბობდა და არც ბიჭები გოგონების წინააღმდეგ, მეტიც, ქალებიდან ერთი სამოცდახუთი წლის იყო, ჩასკვნილი, მკაცრი ვარცხნილობით, რომელიც კლაის მის ნაცნობ რამდენიმე მასწავლებელს მოაგონებდა, პენსიაზე გასასვლელად რომ ემზადებოდნენ.

ფეხებითა და მუშტებით, ფრჩხილებითა და კბილებით ჩხუბობდნენ, ღმუოდნენ და ყვიროდნენ, ასფალტზე მიყრილ-მოყრილ, ამ ოთხეულის მცდელობით გონებადაკარგულ ან მკვდარ ადამიანებს შორის გზას იკვალავდნენ. ერთ-ერთი მამაკაცი ვიღაცის გაშვერილ ფეხს წამოედო და მუხლებზე დაეცა. უფრო ახალგაზრდა ქალი მაშინვე ეცა. მუხლებზე მდგარმა კაცმა კიბის ზედა საფეხურის ახლოს, ასფალტიდან, რაღაც აიღო — კლაის არ გაჰკვირვებია, როდესაც დაინახა, რომ ეს მობილური ტელეფონი იყო, — და ქალს სახეში ჩაარტყა. მობილური გატყდა, ქალს ლოყა დაუსერა და სისხლი ღია ფერის კოსტიუმზე ჩამოეღვარა, მაგრამ დაჭრილის ყვირილში ტკივილზე მეტად მრისხანება ისმოდა. ჩაჩოქილ მამაკაცს ორივე ყურში ხელი ჩაავლო, თითქოს ქოთნის სახელურებიაო, მუცლის ქვედა ნაწილში დამიზნებით ჰკრა წიხლი და უკან, ტრამვაის სადგურისკენ მიმავალი ჩაბნელებული კიბისკენ უბიძგა. ორივე თვალთახედვიდან გაქრა, შენყვილებით დაკავებული კატების დარად ერთმანეთში გადახლართულები.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— წავიდეთ, — დაიჩურჩულა ტომმა და უცნაური დელიკატურობით შეეხო სახელოზე, — წავედით. ქუჩის მეორე მხარეს გადავიდეთ. წავედით.

კლაიმ ნება დართო და ბოილსტონ-სტრიტის მეორე მხარეს გადააყვანინა თავი. ან ტომ მაკორტმა იცოდა, სადაც მიდიოდნენ, ან, უბრალოდ, ილბლიანი გახლდათ, რადგან მეორე მხარემდე ორივემ საღ-სალამათმა, დაუზიანებლად მიაღწია. ისევ შეჩერდნენ „კოლონიური წიგნების" („ძველებიდან საუკეთესო, ახლებიდან საუკეთესო") მაღაზიის ვიტრინასთან და იქიდან ადევნებდნენ თვალს, ტრამვაის სადგურთან გამართულ ორთაბრძოლაში გამარჯვებული ქალი, როგორ გაემართა დიდი ნაბიჯებით პარკისკენ, სადაც თვითმფრინავი იწვოდა. შეთხელებული ჭაღარა თმიდან სისხლის წვეთები საყელოზე ეცემოდა. თუმცა, კლაის არ გაჰკვირვებია, რომ ოთხეულიდან ფეხზე მდგარი მხოლოდ ქალი დარჩა, რომელსაც იმ ბიბლიოთეკარის თუ ლათინური ენის მასწავლებლის გარეგნობა ჰქონდა, ოქროს საათის[1] მიღებამდე ორიოდე წელი რომ დარჩენია. ასეთი ქალების გვერდით დიდი ხანი ჰქონდა გატარებული და იცოდა, შეუძლებელია, მოერიო იმას, ვინც ამ ასაკშიც კი მასწავლებლობას აგრძელებს.

პირი გააღო, რომ ტომისთვის გაეზიარებინა — როგორც თავად მიაჩნდა, გონებამახვილური აზრი, — მაგრამ ყელიდან მხოლოდ ჩხავილივით ხმა ალმოხდა. საეჭვოდ დაებინდა მხედველობა. ალბათ, ტვიდისკოსტიუმიანი ტანმორჩილი ტომ მაკორტი არ გახლდათ ერთადერთი, ვინც საცრემლე ჯირკვლებმა შეაწუხა. კლაიმ თვალებზე ხელი ჩამოისვა, ისევ რაღაცის თქმა სცადა, მაგრამ სლუკუნისა და ხრიალის გარდა, ბგერა არ ამოსდიოდა.

— ყველაფერი რიგზეა, — თქვა ტომმა, — იტირე.

კლაი ასეც მოიქცა. იდგა მაღაზიის ვიტრინის წინ, სადაც უთვალავი ძველებური წიგნის შუაში „როიალის" ფირმის საბეჭდი მანქანა იდო, იმ დროების გადმონაშთი, როდესაც მობილური ტელეფონის ეპოქა ჯერ კიდევ შორეულ მომავალს წარმოადგენდა. დასტიროდა საქმიან კოსტიუმში გამოწყობილ ქალს, ქერა ფერიას, წაბლისფერთმიან ფერიას, საკუთარ თავსაც, რადგან ბოსტონი მისი მშობლიური ქალაქი არ იყო, სახლი კი ახლა ისეთი მიუწვდომელი ეჩვენებოდა.

[1] *ოქროს საათს, ჩვეულებრივ, პენსიაზე გასვლისას გადასცემენ ხოლმე.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

6

კომონის შემდეგ ბოილსტონ-სტრიტი დავიწროვდა, ხოლო დამტვრეული და მიტოვებული მანქანა იმდენი იყო, უკვე აღარ ეშინოდათ კამიკაძე-ლიმუზინების თუ საგზაო მოძრაობის ყველა წესის დამრღვევი ამფიბიების. ყოველი მხრიდან მტვრევისა და ჯახანის ხმა ისმოდა, თითქოს ჯოჯოხეთში ახალ წელს დღესასწაულობდნენ. ხმები როგორც შორიდან, ისე ახლოდანაც ისმოდა: საავტომობილო და დაცვის სიგნალიზაციები წიოდა, მაგრამ თავად ქუჩა, მათ გასაკვირად, სრულიად ცარიელი იყო. *სადმე შეაფარეთ თავი,* — ურჩია ორივეს პატრულის თანამშრომელმა ულრიკ ეშლენდმა, — *ერთხელ გაგიღიმათ ბედმა, სხვა დროს შეიძლება ასე აღარ მოხდეს.*

მაგრამ აღმოსავლეთით ორი კვარტალის გავლის შემდეგ, როდესაც ერთი კვარტალილა იყო დარჩენილი კლაის სასტუმრომდე, რომელზედაც ძნელი იყო, გეთქვა, რწყილების რეზიდენციაა, მათ ბედმა ისევ გაულიმა. კიდევ ერთი გიჟი, ამჯერად, ოცდახუთიოდე წლის ახალგაზრდა, სტეროიდებით დაბერილი კუნთებით შეჯახებული ავტომობილების ბამპერებს ახტებოდა, ხოლო ბაგიდან გაურკვეველი სიტყვების ნაკადი ამოსდიოდა. ორივე ხელში მანქანის ანტენები ჩაებღუჯა და ჰაერში ხანჯალივით ატრიალებდა, მზად იყო, გზაზე ნებისმიერი შემხვედრისთვის სხეულში გაეყარა. სრულიად შიშველი გარბოდა, მხოლოდ „ნაიკის“ ფირმის ახალთახალი ბოტასები ეცვა, საფირმო კაშკაშა წითელი ლოგოთი. სასქესო ასო აქეთ-იქით უქანავებდა, როგორც პაპისეულ სახლში დგამსაათის ქანქარა. მორბენალმა ტროტუარის მეორე მხარეს მიაღწია და დასავლეთით, კომონისკენ აიღო გეზი. მისი დუნდულები ფანტასტიკურ რიტმში იკუმშებოდა და იშლებოდა.

ტომ მაკორტი კლაის ხელს ჩაეჭიდა და მხოლოდ მას შემდეგ გაუშვა, რაც გიჟი გაიქცა.

— რომ დავენახეთ... — წამოიწყო მან.

— ჰო, მაგრამ ვერ დაგვინახა, — თქვა კლაიმ და უეცრად სულელურმა სიხარულის გრძნობამ აიტანა. იცოდა, ეს გრძნობა გაივლიდა, მაგრამ, ჯერჯერობით, ამ სიხარულით ტკბებოდა. იმ ადამიანს ჰგავდა, რომელსაც მის წინ მაგიდაზე დაწყობილი ფსონების მთელი თანხა ხელში აქვს.

— მეცოდება ის, *ვისაც* დაინახავს, — თქვა ტომმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მე კი ის, *ვინც* მას პირველი მოჰკრავს თვალს, — უპასუხა კლაიმ, — წავედით.

7

სასტუმრო „ატლანტიკ-ავენიუ-ინის" კარი ჩაკეტილი იყო.

კლაის ისე გაუკვირდა, რომ რამდენიმე წუთს იდგა, ისევ და ისევ ატრიალებდა სახელურს და გრძნობდა, როგორ უსრიალებდა თითებს შორის. მომხდარის გააზრებას ცდილობდა: კარი ჩაკეტილია. მისი სასტუმროს კარი ჩაკეტილია და არ სურს, გაიღოს.

ტომი მის გვერდით დადგა, შუბლი მინას მიადო, რომ მზის ათინათებს ხელი არ შეეშალათ, თვალები მოწკურა და ვესტიბიულის დათვალიერებას შეუდგა. ჩრდილოეთიდან, უეჭველია, ლოგანი იყო, კიდევ ერთი საზარელი აფეთქების ხმა მოისმა, მაგრამ კლაიმ ამჯერად მხოლოდ წარბები შეყარა, ხოლო ტომ მაკორტს რეაქციაც არ ჰქონია. მას უფრო მეტად ის აინტერესებდა, რაც სასტუმროს შიგნით დაინახა.

— იატაკზე მკვდარი მამაკაცი გდია, — გამოაცხადა ბოლოს, — უნიფორმა აცვია, მაგრამ მეტისმეტად ხანდაზმულია იმისთვის, რომ მეკორიდორე იყოს.

ტომმა უცნაური ბგერა გამოსცა. კლაიმ გაიფიქრა, ისევ ტირისო, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ლამის სიცილით გაგუდულიყო.

ვესტიბიულში უზარმაზარი მინისპანელებიანი ორი კარი შედიოდა. ცალ პანელზე მართებული წარწერა მოჩანდა: **სასტუმრო „ატლანტიკ-ავენიუ-ინი"**, მეორეზე კი ნამდვილი ტყუილი ეწერა: **ქალაქ ბოსტონის საუკეთესო სასტუმრო.** ტომმა მარცხენა მინის პანელზე ხელისგულით ბრახუნი დაიწყო, სადღაც შუაში, საუკეთესო სასტუმროს შესახებ წარწერასა და იმ საკრედიტო ბარათების გამოსახულებებს შორის, რომელთაც სასტუმრო იღებდა.

ახლა კლაი მიეკრა შუბლით მინას. ვესტიბიული თავისი ფართობით მნახველს ნამდვილად არ გააოცებდა. მარცხნივ სარეგისტრაციო დახლი იდგა, მარჯვნივ ორი ლიფტის კაბინა იყო. იატაკი წითელ ხალიჩას დაეფარა. უნიფორმიანი მოხუცი ხალიჩაზე პირქვე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ინვა, ცალი ფეხი დივანზე ჰქონდა შემოდებული, ხოლო უკანალს ჩარჩოში ჩასმული კომპანია „კარიე-ი-ივსის“ რეპროდუქცია უფარავდა: ზღვის ცისფერ ტალღებში მცურავი აფრიანი ნავი.

კლაის კარგი განწყობა ერთი ხელის მოსმით გაქრა, ხოლო როდესაც ტომმა ხელისგულით ტყაპუნი შეწყვიტა და მუშტები დაუშინა კარს, ხელში ხელი წაავლო.

— ტყუილად წვალობ. ჩვენს შეშვებას არ აპირებენ, იმის მიუხედავად, რომ ცოცხლები და ფსიქიკურად ნორმალურები ვართ, — საკუთარ სიტყვებს ჩაუფიქრდა, თავი დააქნია და გააგრძელა, — განსაკუთრებით, თუ ნორმალურები ვართ.

ტომი გაოგნებული მიაჩერდა:

— შენ მაინც ვერაფერი გაიგე, ხომ ასეა?

— რა? რა ვერ გავიგე?

— ყველაფერი შეიცვალა. არ შეუძლიათ, არ შეგვიშვან.

ტომმა კლაის თითებიდან ხელი გამოაძვრინა, მაგრამ ბრახუნი აღარ გაუგრძელებია, ისევ შუბლით მიეყრდნო მინას და დაიყვირა. კლაის აზრით, ტანმორჩილობის მიუხედავად, ძალიანაც ძლიერი ხმა ჰქონდა, — *ეი, ეი, რომელი ხართ მანდ!*

ხმა არავის გაუცია. არც ვესტიბიულში შეცვლილა რაიმე. უნიფორმიანი მოხუცი ისევ ისე მკვდარი იწვა უკანალში ჩარჭობილი სურათით.

— *ეი, თუ მანდ ვინმე ხართ, თქვენთვისვეა უკეთესი, კარი გაალოთ! ეს მამაკაცი, რომელიც ჩემთან ერთად არის, ამ სასტუმროს ნომერში ცხოვრობს, მე კი მისი სტუმარი ვარ. გაალეთ, თორემ ტროტუარიდან ბორდიურის ქვას ამოვგლეჯ და ამ მინის კარს ჩამოვილებ. გესმით, თუ არა!*

— *ბორდიურის ქვა?* — შეეკითხა კლაი. სიცილს ველარ იკავებდა, — ბორდიურის ქვაო, თქვი? გადასარევია, — ახლა უკვე ახარხარდა. თავს ველარ ერეოდა. მერე მარცხენა მხარეს გაკვრით შენიშნა რაღაც მოძრაობა. თავი მიაბრუნა და დაინახა გოგონა, რომელიც მოშორებით, ქუჩაში იდგა. დაშინებული ცხოველის ცისფერი თვალებით უმზერდა. თეთრი კაბა ეცვა, მკერდზე სისხლის დიდი ლაქა უჩანდა. ცხვირის ქვეშ, ტუჩებზე, ნიკაპზე სისხლი შესდედებოდა. გატეხილი ცხვირის გარდა, სხვა ჭრილობები, წესით, არ უნდა ჰქონოდა. შესახედავად უფრო გაოგნებულს ჰგავდა, ვიდრე ჭკუაზე შეშლილს. გაოგნებულს ლამის სიკვდილის პირამდე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კარგად ხარ? — შეეკითხა კლაი და მისკენ ნაბიჯი გადადგა, გოგონამ კი სწრაფად დაიხია უკან. შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით ვერ დაადანაშაულებდა. კლაი შეჩერდა, ხელი ასწია გზაჯვარედინზე მდგარი მოძრაობის მარეგულირებელი პოლიციელივით და დაუძახა, — *შეჩერდი!*

ტომმა მოიხედა, მერე ისევ გააგრძელა მინაზე მუშტების ბრახუნი, თანაც ისე ძლიერად, რომ მინა აზრიალდა და ტომის გამოსახულებაც აცახცახდა.

— *ეს უკანასკნელი გაფრთხილებაა, მერე თავად შემოვალთ!*

კლაი მიუბრუნდა, უნდოდა, ეთქვა, სიტყვებით ვერავის დაიყოლიებ, განსაკუთრებით, ასეთ დღესო, მაგრამ სწორედ იმწამს სარეგისტრაციო დახლის თავზე მელოტი თავი გამოჩნდა. კლაიმ თავი იქამდე იცნო, ვიდრე სახე გამოჩნდებოდა, — პორტიე იყო, რომელმაც გუშინ სალამოს დაარეგისტრირა და სასტუმროდან ერთი კვარტალის დაშორებით მდებარე ავტოსადგომის საშვზე ბეჭედი დაარტყა, დილით კი დაწვრილებით აუხსნა, როგორ მისულიყო სასტუმრო ში.

პორტიეს სრულებით არ სურდა დახლიდან გამოსვლა, მაგრამ კლაიმ მინაზე ნომრის გასაღები მიადო, სასტუმროს მწვანე პლასტმასის ბრელოკითურთ, მეორე ხელით კი ჩანთა ასწია, იმედი ჰქონდა, პორტიე ასე უკეთ გაიხსენებდა მის ვინაობას.

შესაძლოა, გაიხსენა კიდეც, მაგრამ უფრო მართებული ის იქნება, ვივარაუდოთ, რომ მიხვდა, სხვა არჩევანი არ ჰქონდა. ასეა თუ ისე, სარეგისტრაციო დახლიდან გამოვიდა და სწრაფი ნაბიჯით შესასვლელისკენ გამოემართა, მკვდარს კი რაც შეიძლებოდა შორიდან მოუარა. კლაი რიდელმა აღიარა, რომ ცხოვრებაში პირველად ნახა არასასურველი მოქმედების არნახული სისწრაფით შესრულება. როდესაც პორტიე კარამდე მივიდა, ჯერ კლაის შეხედა, მერე ტომს, ბოლოს ისევ კლაის მიაჩერდა. მართალია, ნანახმა ვერ დაამშვიდა, მაგრამ ჯიბიდან გასაღებების აცმა ამოიღო, სწრაფად მოძებნა საჭირო გასაღები და საკლიტეში ჩადო. როდესაც ტომმა სახელურისკენ გაიშვირა ხელი, მელოტმა პორტიემ სწორედ ისე ასწია ხელი, როგორც წელან კლაიმ, და მოშორებით მდგარ გასისხლიანებულ გოგონას შეხედა. პორტიემ მეორე გასაღებიც მოძებნა, ახლა მეორე საკეტი გახსნა, ბოლოს კი — კარი.

— შემოდით, — თქვა სწრაფად და მაშინ დაინახა გოგონა, რომელიც ოდნავ მოშორებით იდგა და ყურადღებით ადევნებდა მათ თვალს, — ოლონდ მაგის გარეშე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მასთან ერთად, — დაიჟინა კლაიმ, — შემოდი, საყვარელო.

მაგრამ გოგონა არ შევიდა. როდესაც კლაიმ მისკენ გადადგა ნაბიჯი, შებრუნდა და გაიქცა, ზურგს უკან კაბის კალთები უფრიალებდა.

8

— შეიძლება, იქ მოკლან, — თქვა კლაიდმა.

— ეგ ჩემი პრობლემა არ არის, — მხრები აიჩეჩა პორტიემ, — მისტერ რიდლ, შემოდიხართ თუ არა? — წარმოთქვა ბოსტონურ ყაიდაზე და არა ისეთი სამხრეთული მუშური კილოთი, რომელიც უფრო ნაცნობი იყო კლაისთვის მენის შტატიდან, სადაც ყოველი მესამე წარმოშობით მასაჩუსეტსიდანაა, მაგრამ თავგამოდებული გიმტკიცებს, რომ ძირძველი ბრიტანელია.

— რიდელი ვარ, — რასაკვირველია, შესვლას აპირებდა, ასეა თუ ისე, ამ მელოტს მისი ქუჩაში დატოვება არ შეეძლო მას შემდეგ, რაც კარი გააღო, მაგრამ რამდენიმე წუთს კლაი ტროტუარზე შეყოვნდა და გაქცეულ გოგონას გასცქეროდა.

— წავედით, — გაისმა ტომის მშვიდი ხმა, — რას ვიზამთ, რაც არის — არის.

და მართალიც იყო. ვერაფერს გააწყობდნენ. სწორედ ეს გახლდათ ნამდვილი ჯოჯოხეთი. ვესტიბიულში ტომს შეჰყვა, ხოლო პორტიემ მაშინვე ჩაკეტა სასტუმრო „ატლანტიკ-ავენიუ ინის“ კარი ორი საკეტით, თითქოს ამას შეეძლო მათი დაცვა ქუჩებში გამეფებული ქაოსისგან.

9

— ეს ფრანკლინია, — თქვა პორტიემ, როდესაც ხალიჩაზე პირქვე დაგდებულ ცხედარს ჩაუარეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— *ხანდაზმულია იმისთვის, რომ მეკორიდორედ მუშაობდეს,* — თქვა ტომმა, როცა ტონირებული მინის გადაღმა ვესტიბიულს აკვირდებოდა და კლაიმაც იგივე გაიფიქრა. მოკლული ტანდაბალი იყო, ხშირი ჭაღარა თმით. ფრანკლინის საუბედუროდ, თავი, რომელზედაც, ალბათ, ჯერ კიდევ იზრდებოდა თმა (კლაის სადღაც წაეკითხა, რომ თმა და ფრჩხილები ადამიანის გარდაცვალებას მაშინვე ვერ იგებს და აგრძელებს ზრდას), სხეულთან შედარებით ისეთი დიდი კუთხით იყო შეტრიალებული, ჩამოხრჩობილისას წააგავდა.

— ინში, სულ მცირე, ოცდათხუთმეტი წელი მუშაობდა და დარწმუნებული ვარ, ყველა ბინადარს ამის შესახებ უყვებოდა. უმეტესობას, ალბათ, ორჯერაც.

ბოსტონური გამოთქმა კლაის ისედაც დაწყვეტილ ნერვებზე გამაღიზიანებლად მოქმედებდა, ერთგვარი ტვირთი იყო. იმ ბგერებს აგონებდა, რომელსაც ასთმით დაავადებული ბავშვი ბუკზე დაკვრისას გამოსცემს.

— ვილაც კაცი ლიფტიდან გამოვიდა, — აგრძელებდა პორტიე, რომელიც თავის მაგიდასთან დადგა. როგორც ჩანს, იქ დაბრუნებული თავს ისე გრძნობდა, როგორც სახლში. მაგიდის თავზე განთავსებულმა სინათლის წყარომ სახე გაუნათა და კლაიმ დაინახა, ცარცივით თეთრი იყო, — ერთ-ერთი გიჟი. ფრანკლინს არ გაუმართლა. ამ კარის წინ იდგა.

— არა მგონია, თავში აზრად მოგსვლოდათ, რომ მისი უკანალიდან სურათის ამოღებაა საჭირო, — კლაი დაიხარა და „კარიე-ი-ივსის“ რეპროდუქცია დივანზე დადო. იმავდროულად, მსუბუქი მოძრაობით ფრანკლინის ფეხი დივნიდან ჩამოაგდო. ფეხი კლაისთვის ნაცნობი ხმაურით დაეცა. კომიქსების უმეტესობაში მას ასე აღნიშნავენ: „ბრახ“.

— ლიფტიდან გამოსულმა კაცმა მხოლოდ ერთხელ ჩაარტყა. საბრალო ფრანკლინი კედელს მიენარცხა და, მგონი, სწორედ მაშინ მოიტეხა კისერი. ყოველ შემთხვევაში, მინარცხების ძალამ სურათი კედლიდან ჩამოაგდო.

პორტიეს აზრით, ეს იყო დარტყმის ძალის განმსაზღვრელი ყველაზე რეალური კრიტერიუმი.

— იმ კაცზე რა იცით, ვინც დაარტყა? — შეეკითხა ტომი, — იმ გიჟზე? სად წავიდა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ქუჩაში, — უპასუხა პორტიემ, — სწორედ მაშინ გადავწყვიტე, რომ კარის ჩაკეტვა ყველაზე ბრძნული გადაწყვეტილება იყო. მას შემდეგ, რაც ის გავიდა, — პორტიეს მზერაში ერთდროულად შიში და მომაბეზრებელი, ხარბი ცნობისმოყვარეობა იკითხებოდა, რაც კლაისთვის განსაკუთრებულად გულის ამრევი გახლდათ, — *რა ხდება* იქ, გარეთ? რამდენად ცუდად არის საქმე?

— ვფიქრობ, თავადაც კარგად ხვდებით, — უპასუხა კლაიმ, — განა ამიტომ არ ჩაკეტეთ კარი?

— ჰო, მაგრამ...

— ტელევიზორში რას ამბობენ? — იკითხა ტომმა.

— არაფერს. საკაბელო გამოირთო, — პორტიე საათს უყურებდა, — დაახლოებით ნახევარი საათის წინ.

— რადიო?

პორტიემ ისე შეხედა ტომს, თითქოს ამბობდა, ალბათ, ხუმრობთო. კლაის აზრით, კარგი იქნებოდა, ეს ადამიანი რაც შეიძლება მალე გასცნობოდა წიგნს „*როგორ მოვიქცეთ, რომ ადამიანებს არ მოვეწონოთ*", — რადიო აქ? ქალაქის ცენტრის ნებისმიერ სასტუმროში? ალბათ, ხუმრობთ!

ქუჩიდან შეშინებულის ღრიალი გაისმა. სისხლისლაქიან თეთრ კაბაში გამოწყობილი გოგონა კართან გამოჩნდა და ხელისგულით დაიწყო ბრახუნი, თან უკან იხედებოდა. კლაი მაშინვე მასთან გაჩნდა.

— არა, ისევ ჩაკეტა კარი, არ გახსოვს? — დაუძახა ტომმა.

კლაის აღარ ახსოვდა. პორტიეს მიუბრუნდა:

— გააღეთ.

— არა, — პორტიემ ვიწრო გულმკერდზე ხელები მტკიცედ დაიკრიფა, რათა ეჩვენებინა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეასრულებდა მოთხოვნას.

გოგონამ ისევ უკან მიიხედა და მთელი ძალით ააბრახუნა კარზე. სისხლით მოსვრილ სახეზე შიში აღბეჭდოდა.

კლაიმ ქამრიდან დანა ამოიღო. თითქმის დაავიწყდა მისი არსებობა და გაუკვირდა, როგორ სწრაფად და ძალდაუტანებლად გაახსენდა.

— კარი გააღე, ნაბიჭვარო, — უთხრა პორტიეს, — თორემ ყელს გამოგჭრი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

10

— ამდენი დრო არ არის, — დაიყვირა ტომმა და დივნის ორივე მხარეს მდგარ ანა დედოფლის დროინდელი ავეჯის[1] იმიტაციით შექმნილ ერთ-ერთ მაღალზურგიან სკამს ხელი დაავლო და კარისკენ გაიქცა სკამით ხელში.

გოგონამ დაინახა და შეშინებულმა უკან დაიხია, ორივე ხელი სახეზე აიფარა. სწორედ იმწამს გამოჩნდა კართან მამაკაცი, რომელიც მას მოსდევდა. ეს იყო ზორბა მუშა-მშენებელი, ყვითელ მაისურში გადმოგდებული ღიპითა და ქონიანი, ცხენის კუდად შეკრული შეჭაღარავებული თმით.

სკამის ფეხები ორმაგი კარის მინის პანელებს შეეხეთქა. ორმა მარცხენა ფეხმა ჩამოიღო პანელი, წარწერით **„ატლანტიკ-ავენიუ-ინი“**, ხოლო ორმა მარჯვენამ არც ერთი ასო აღარ დატოვა წარწერისგან **„ბოსტონის საუკეთესო სასტუმრო“**. მარჯვენა ფეხები მშენებელს ყვითელმაისურიან ბეჭში ჩაესო მაშინ, როდესაც მან გოგონას კისერში სტაცა ხელი. სკამის ძირი მინის პანელების გამყოფ ხის ძელს მოხვდა და გაიჭედა. გაოცებულმა ტომ მაკორტმა უკან დაიხია.

მშენებელი ღრიალებდა, კლაისა და ტომისთვის უკვე ნაცნობ, ყველასთვის გაუგებარ ენაზე რაღაცას ბოდავდა, მისი მარცხენა ბიცეფსიდან სისხლი წვეთავდა. გოგონამ ხელიდან გასხლტომა მოახერხა, მაგრამ ყვითელმაისურიანი კაცის ფეხს წამოედო. ტკივილისა და, იმავდროულად, შიშისგან ყვიროდა, ნაწილობრივ ტროტუარზე იწვა და ნაწილობრივ — წყალსადინარ არხში.

კლაი ერთ-ერთ ჩატეხილ პანელთან აღმოჩნდა. არ ახსოვდა, ვესტიბიული როგორ გადაჭრა და მხოლოდ ბუნდოვანი ხსოვნა შემორჩა იმისა, თუ როგორ მოისროლა სკამი.

---

[1] *დედოფალ ანას სტილი ბრიტანეთში ინგლისური ბაროკოს მეორე სახელწოდებაა და დაკავშირებულია დედოფალ ანას მეფობის პერიოდთან (1702-1714). განსაკუთრებული პოპულარობა ამ სტილმა ინგლისსა და აშშ-ში მოიპოვა XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში და XX საუკუნის პირველ ათწლეულში. ავეჯს სისადავე და მოხდენილობა ახასიათებს. ამზადებდნენ მაღალსაზურგიან და მოხრილფეხებიან სკამებს.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ეი, შენ! — დაიყვირა და ძალიან გაიხარა, როდესაც მშენებელმა პირი დახურა და წამით გაირინდა, — ჰო, შენ! — ღრიალებდა კლაი, — შენ გეუბნები, დედაშენი ვიხმარე, ის კიდევ მორივით იდო!

ჩასკვნილმა ყვითელმაისურიანმა მანიაკმა გაუგებრად დაიყვირა, თითქოს „აარრ-რრ", რაც საქმიან კოსტიუმში გამოწყობილ ქალს აღმოხდა სიკვდილამდე წამით ადრე, მერე მიუბრუნდა შენობას, რომელსაც, მისდა გასაკვირად, კბილები ამოსვლოდა, ხმა შეეძინა და თავს დაესხა. ძნელი სათქმელია, რა დაინახა, მაგრამ ეს ნამდვილად არ იქნებოდა განრისხებული მამაკაცის ოფლიანი სახე, რომელსაც ხელში დანა ეჭირა და სულ ცოტა ხნის წინ დაბურული მინით დაფარული ღიობიდან იხედებოდა, იმიტომ, რომ კლაის ბევრი არც არაფერი მოუმოქმედია. ყვითელმაისურიანი მშენებელი თავად წამოეგო დანის მჭრელ პირზე. შვედური ფოლადი სულ ადვილად შესრიალდა მზით გარუჯულ, ცოტათი მოშვებულ კანში ნიკაპის ქვემოთ და გზა დაუთმო წითელ ჩანჩქერს. ჩანჩქერმა კლაის ხელი დაფარა, ცხელი იყო, თითქმის ახალმოდუღებული ყავის ტემპერატურისა, და კლაიმ ძლივს დასძლია ზიზღი, ხელი მაშინვე უკან გამოსწია, მაგრამ თავს მოერია, წინ გადაიწია და იგრძნო, დანას, როგორც იქნა, წინააღმდეგობა შეხვდა. ხელის მოძრაობა შენელდა, თუმცა, გადაულახავი დაბრკოლება აღარ ყოფილა. დანის პირმა ხრტილი გაჭრა და ახლა თმის ქვემოთ, კანიდან გამოვიდა. მშენებელი წინ გადაიხარა — ორას სამოც გირვანქას ან მეტსაც იწონიდა, ამიტომ კლაის ცალი ხელით მისი დაჭერა არ შეეძლო, — კარს მიეყუდა, როგორც მთვრალი მონახავს ხოლმე განათების ბოძს, ნაცრისფერი თვალები გადმოკარკლოდა, პირიდან ნიკოტინისლაქებიანი ენა გადმოუვარდა, ყელი გამოჭრილი ჰქონდა. მერე მუხლები მოეკვეთა და დაეცა. კლაის ისევ მაგრად ეჭირა დანის ტარი და გაუკვირდა, მისი პირი როგორ ადვილად გამოვიდა სხეულიდან. ჩანთიდან დანის ამოძრობას ბევრად მეტი დრო დასჭირდა. მას შემდეგ, რაც გიჟი დაეცა, კლაიმ ისევ შეძლო გოგონას დანახვა. მუხლებზე იდგა, ცალი მუხლით ტროტუარზე, მეორით — წყალსადინარ თხრილში, სახეს თმა უფარავდა და ყვიროდა.

— საყვარელო, — დაუძახა გოგონას, — არ გინდა, შვილო!

მაგრამ გოგონა ისევ ყვიროდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

11

მას ელის მაქსველი ერქვა. ამის თქმა თავად შეძლო. კიდევ ისიც თქვა, რომ დედასთან ერთად მატარებლით ჩამოვიდა ბოსტონში — ბოკსფორდიდან, დააზუსტა მერე, — ჩვეულებრივ, საყიდლებისთვის ჩამოდიოდნენ ოთხშაბათობით, როდესაც სკოლაში მოკლე დღე ჰქონდა. მატარებლიდან სამხრეთის სადგურზე ჩამოვიდნენ და ტაქსიში ჩასხდნენ. მძღოლს ცისფერი ჩალმა ეხურა. გოგონას სიტყვებიდან გაირკვა, რომ მხოლოდ ეს უკანასკნელი მოგონებაღა შემორჩა იმ წუთისთვის, როდესაც მელოტმა პორტიემ, როგორც იქნა, „ატლანტიკ-ავენიუ-ინის" მინებჩამსხვრეული ორმაგი კარი გააღო და შესვლის ნება დართო.

კლაის აზრით, გოგონას კიდევ მეტი რამ უნდა ხსომებოდა. ამის საფუძველს ის ცახცახი წარმოადგენდა, რომლითაც ელისი ტომ მაკორტის შეკითხვას შეხვდა, ჰქონდა თუ არა მობილური ტელეფონი. თქვა, რომ არ ახსოვს, მაგრამ კლაი ეჭვობდა, რომ მობილური ერთ-ერთს აუცილებლად ექნებოდა, შესაძლოა, ორივესაც. ახლა ხომ მობილური ტელეფონი ყველას აქვს. გამონაკლისი თავად იყო, რაც აღნიშნულ წესს ადასტურებდა. ტომს რაც შეეხება, მას სიცოცხლე საკუთარმა კატამ შეუნარჩუნა, როდესაც მისი მობილური ტელეფონი მაგიდიდან გადააგდო.

ელისს სასტუმროს ვესტიბიულში ესაუბრებოდნენ — გოგონა თავჩაღუნული დასცქეროდა თავის დაკაწრულ მუხლებს და ხანდახან კლაის შეკითხვებს თავის ქნევით პასუხობდა. კლაიმ და ტომმა ფრანკლინის ცხედარი სარეგისტრაციო მაგიდის უკან გადაიტანეს მელოტი პორტიეს პროტესტის მიუხედავად, ფეხებში მომედება და ხელს შემიშლისო. ამის შემდეგ პორტიე, რომელიც მათ მისტერ რიკარდის სახელით გაეცნო, თავის კაბინეტში გავიდა, რომლის კარი მაგიდის უკან იყო. კლაი კაბინეტში შეჰყვა, რამდენიმე წუთს დაყოვნდა და დარწმუნდა, რომ მისტერ რიკარდიმ ტელევიზიის შესახებ სიმართლე თქვა, მერე ისევ ვესტიბიულში დაბრუნდა. შერონ რიდელი იტყოდა, რომ მისტერ რიდელმა თავის კარავში სევდიან ფიქრებს მისცა თავი.

მაგრამ, ვიდრე კლაი კაბინეტიდან გავიდოდა, მელოტმა პორტიემ ვერ მოითმინა და უსაყვედურა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ახლა აქაურობა ყველასთვის გახსნილია, — სევდიანად თქვა მან, — იმედია, ასე გგონიათ, რამეს მიაღწიეთ.

— მისტერ რიკარდი, — კლაი ცდილობდა, მოთმინება არ დაეკარგა, — ერთი საათიც კი არ გასულა მას შემდეგ, რაც ბოსტონ-კოლონის მეორე მხარეს საკუთარი თვალით დავინახე თვითმფრინავის კატასტროფა. თუ აფეთქებების ხმებით ვიმსჯელებთ, ლოგანის აეროპორტში იგივე დაემართა დიდ სამგზავრო ლაინერებსაც. შესაძლოა, ისინი ტერმინალებსაც შეეჯახა. ამას ქალაქის ცენტრში აფეთქებებიც დაუმატეთ. ასე რომ, ჩემი აზრით, დღეს მთელი ბოსტონია სრულიად სამყაროსთვის გახსნილი.

თითქოს მისი სიტყვები უნდა დადასტურდესო, მათ თავზე რაღაც მძიმე ზრიალით დაეშვა. მისტერ რიკარდის ჭერში არ აუხედავს, მხოლოდ კლაის მხარეს ხელი ჩაიქნია. ვინაიდან ტელევიზორი არ მუშაობდა, მისტერ რიკარდი იჯდა და კედელს მისჩერებოდა.

12

კლაიმ და ტომმა დედოფალ ანასეული ეპოქის ავეჯის იმიტაცია, ორი სკამი გადააბრუნეს და მათმა გრძელმა საზურგეებმა ჩატეხილი მინები შეცვალა. კლაის აზრით, ჩაკეტილი შემოსასვლელი უსაფრთხოების მხოლოდ ფუჭი შეგრძნება იყო, თუმცა, უცხო თვალის მორიდების წინააღმდეგი სრულებითაც არ გახლდათ. ტომი დაეთანხმა. სკამების შემოსასვლელში ჩადგმის შემდეგ ვესტიბიულის დიდ ფანჯარაზე რკინის ჟალუზი ჩამოუშვეს. შენობაში დაბნელდა, ხოლო წითელ ხალიჩაზე ციხის საკნის ცხაურის მსგავსი მოგრძო ჩრდილები გაიჭიმა.

ეს საქმე რომ მოათავეს და ელისის მოკლე მონათხრობი მოისმინეს, კლაი, ბოლოს და ბოლოს, სარეგისტრაციო დახლის იქით, მაგიდაზე მდგარ ტელეფონის აპარატს მიუახლოვდა. საათს შეხედა. შუადღის 4:22 იყო, თითქოსდა ჩვეულებრივი დრო, მაგრამ დღევანდელ დღეს დროის ჩვეულებრივ მდინარებაზე საუბარი უაზრობა გახლდათ. გრძნობებს თუ დაუჯერებდა, საათები უნდა გასულიყო იმ წამიდან, როდესაც პარკში კაცი დაინახა, ძაღლს რომ კბენდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თან ისიც ეჩვენებოდა, რომ დრო ალარ არსებობს, მაგრამ, რასაკვირველია, ის არსებობდა, მას ჩვეულებრივი საზომით ზომავდნენ ადამიანები და კენტ-პონდში შერონი, ალბათ, უკვე დაბრუნდა იმ სახლში, რომელსაც კლაი თავის სახლადაც თვლიდა. მასთან საუბარი სჭირდებოდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ კარგადაა, და ეთქვა, თავადაც ცოცხალი და საღ-სალამათი რომ გახლდათ. თუმცა, მთავარი ეს არ იყო. ყველაზე მნიშვნელოვნად იმის გაგება მიაჩნდა, როგორ გრძნობდა თავს ჯონი და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, საკითხიც უნდა გაერკვია.

თავად მობილური არ ჰქონდა, არც შერონს, ეს დანამდვილებით იცოდა. რასაკვირველია, შერონს შეეძლო, ტელეფონი ეყიდა, მას შემდეგ, რაც ერთმანეთს აპრილში დაშორდნენ, მაგრამ პატარა ქალაქში ცხოვრობდნენ, კლაი მას ყოველდღე ხვდებოდა და კლაის აზრით, შერონს თუ მობილური ჰქონდა, აუცილებლად ეცოდინებოდა. პირველ რიგში, ნომერს ჩაანერინებდა, ხომ ასეა? ასეა, მაგრამ...

მაგრამ მობილური ტელეფონი ჯონის ჰქონდა. პატარა ჯონი-ჯის, რომელიც სულაც ალარ იყო პატარა. თორმეტი წელი არც ისე ცოტაა და სწორედ ეს საჩუქარი ისურვა ბოლო დაბადების დღეზე. წითელი მობილური ტელეფონი, რომლის ზარი მისი საყვარელი ტელეგადაცემის მელოდიას უკრავდა. რასაკვირველია, სკოლაში აკრძალული იყო ტელეფონის არათუ ჩართვა, არამედ ზურგჩანთიდან ამოღებაც კი, მაგრამ გაკვეთილები უკვე დიდი ხანია, დასრულდა. თანაც, კლაი და შერონი, ორივენი, ავალდებულებდნენ, მობილური თან ეტარებინა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ახლა ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. მობილურს კარგი სამსახურის გაწევა შეეძლო განსაკუთრებულ შემთხვევაში, ან ისეთი ყოფითი უსიამოვნების დროს, როგორიც ავტობუსზე დაგვიანებაა. ამიტომ კლაი მხოლოდ შერონის სიტყვების იმედად იყო, რომ ბოლო დროს შვილის ოთახში შესული სულ უფრო ხშირად ხედავდა საწერ მაგიდაზე ან ფანჯრის რაფაზე დატოვებულ აპარატს დასატენი აკუმულატორით, შესაბამისად, ისეთივე გამოუსადეგარს, როგორიც ძალლის ექსკრემენტებია.

და მაინც, აზრი ჯონის წითელი მობილური ტელეფონის შესახებ კლაის გონებაში ბომბის საათის მექანიზმივით წიკწიკებდა.

კლაი სარეგისტრაციო დახლის მაგიდაზე მდგარ ჩვეულებრივ, ხაზის ტელეფონს შეეხო. მერე ხელი უკან გასწია. გარეთ რალაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აფეთქდა. ამჯერად, შორს. ასეთი ხმა საარტილერიო დანადგარს აქვს გასროლისას, როდესაც თავად ფრონტზე კი არა, ზურგში ხარ.

„ასეთ რალაცებს ნუ ფიქრობ, — გაუელვა გონებაში, — *ნურც კი დაუშვებ, რომ წინა ხაზზე ხარ“.*

ვესტიბიული მოათვალიერა. ტომი დივანზე მჯდარი ელისის ფეხებთან ჩაცუცქულიყო, ხელით გოგონას ფეხსაცმელს ეხებოდა, რალაცას ეჩურჩულებოდა და სახეში უყურებდა. *ეს კარგია.* ტომიც კარგი ადამიანია. კლაის სულ უფრო მეტად უხაროდა, რომ ტომს გადაეყარა. თუ ტომ მაკორტი გადაეყარა მას?!

საკაბელო კავშირი სახიფათო არ უნდა ყოფილიყო. მხოლოდ იმის გაგებალა იყო საჭირო, რამდენად დიდია საშიშროების საფრთხე. გარკვეული თვალსაზრისით, მას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა ცოლისთვის, ხოლო ჯონის რაც შეეხება, პასუხისმგებლობაზე ორი აზრი არ არსებობდა. ჯონიზე ფიქრიც კი უკვე ხიფათს შეიცავდა. ყოველთვის, როდესაც ბიჭი ახსენდებოდა, კლაი გრძნობდა საკუთარ თავში თაგვივით ჩაბუდებულ პანიკას, რომელსაც მოყანყალებული გალიიდან გამოსვლა სურდა, მზად იყო, გზად ყველაფერი გაენადგურებინა, ვიდრე თავისი მჭრელი კბილებით ჩააფრინდებოდა. კლაის დანამდვილებით რომ სცოდნოდა, შერონი და ჯონი უსაფრთხოდ იყვნენ, შესაძლოა, თაგვი გალიაში დაეკავებინა და იმაზე ეფიქრა, შემდეგ რას მოიმოქმედებდა, მაგრამ მის ყოველგვარ სულელურ საქციელს შედეგად ის მოჰყვებოდა, რომ ველარავის დაეხმარებოდა. პირიქით, ამჟამად მის გვერდით მყოფ ადამიანებსაც საფრთხეს შეუქმნიდა. კლაი დაფიქრდა და მერე პორტიეს დაუძახა.

კაბინეტიდან ხმა არ გაუციათ, კლაიმ ისევ დაიძახა. შედეგი იგივე იყო. მაშინ კლაიმ თქვა:

— ვიცი, რომ ჩემი ხმა გესმით, მისტერ რიკარდი! ნუ მაიძულებთ, მანდ შემოვიდე და აქამდე ძალით მოგიყვანოთ! შეიძლება, ძალიან გავბრაზდე! შეიძლება, ისე ძალიან გავბრაზდე, რომ ქუჩაში მოგისროლოთ!

— ამას ვერ გააკეთებთ, — გაისმა მისტერ რიკარდის უკმეხი ხმა, — *თქვენ ჩვენი სტუმარი ბრძანდებით!*

კლაიმ გაიფიქრა, რომ ახლა სწორედ შესაფერისი მომენტი იყო, ტომის სიტყვები გაემეორებინა, ქუჩაში, სასტუმროს კართან რომ უთხრა: „ყველაფერი შეიცვალა“, მაგრამ რალაცამ აიძულა, გაჩუმებულიყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რა გნებავთ?! — ბოლოს გამოეხმაურა მისტერ რიკარდი. კიდევ უფრო უკმეხი ხმა ჰქონდა. ზემოთ ბრახუნი გაისმა, თითქოს ავეჯის ნაწილი დაეცა. მაგალითად, ბუფეტი. ამჯერად გოგონამაც კი ასწია თავი. კლაის მოეჩვენა, რომ მოგუდული ყვირილიც მოესმა, იქნებ ტკივილით გამოწვეული კვნესა, მაგრამ არც ყვირილი და არც კვნესა აღარ გამეორებულა. რა იყო მეორე სართულზე? მისტერ რიკარდის ნათქვამი ახსოვდა რეგისტრაციის დროს, სასტუმროში რესტორანი არა გვაქვს, სამაგიეროდ, გვერდით შენობაში კაფე „მეტროპოლიაო“. *„საკონფერენციო დარბაზები. თითქმის დარწმუნებული ვარ, ეს საკონფერენციო დარბაზებია ინდური სახელწოდებებით“*, — გაიფიქრა კლაიმ.

— *რა გნებავთ?* — გაიმეორა მისტერ რიკარდიმ. მისი ხმა კიდევ უფრო უკმეხად ჟღერდა.

— როცა ეს ყველაფერი დაიწყო, ვინმესთან დარეკვა თუ სცადეთ?

— *რასაკვირველია!* — უპასუხა მისტერ რიკარდიმ, რომელიც კაბინეტის კარსა და მრავალგანყოფილებიან, სათვალთვალო კამერების მონიტორებითა და კომპიუტერებით აღჭურვილ სარეგისტრაციო დახლს შორის მდებარე კართან იდგა და კლაის გაბრაზებული უმზერდა, — სახანძრო სიგნალიზაცია ჩაირთო და გამოვრთე. დორისმა მითხრა, რომ მესამე სართულზე ნაგვის ყუთი დაიწვა, ამიტომ მეხანძრეებს დავურეკე, არავის გამოგზავნა საჭირო არ იყო. ხაზი დაკავებული აღმოჩნდა! *დაკავებული*, წარმოგიდგენიათ!

— ალბათ, ძალიან მოულოდნელი იყო თქვენთვის, — ჩაურთო ტომმა.

მისტერ რიკარდის პირველად შეეტყო ოდნავი დამშვიდება.

— პოლიციაში დავრეკე, როცა ყველაფერი დაიწყო... თქვენც ხვდებით... ყველაფერი აირ-დაირია.

— დიახ, — თქვა კლაიმ, — ყველაფერი აირ-დაირია, ასეც შეიძლება დაახასიათო. მოახერხეთ დარეკვა?

— მამაკაცმა მიბრძანა, ყურმილი დამეკიდა და ხაზი გამეთავისუფლებინა, მერე თავად გათიშა ტელეფონი, — უპასუხა მისტერ რიკარდიმ, მის ხმაში ისევ გამოსჭვიოდა გაღიზიანება, — როდესაც ის გიჟი ლიფტიდან გამოვარდა და ფრანკლინი მოკლა, მეორედ დავრეკე. ქალმა მიპასუხა. მითხრა, — მისტერ რიკარდის ხმა აუკანკალდა და კლაიმ მის ღრმა ნაოჭებით დაღარულ სახეზე ცრე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მლები დაინახა, რომლებიც პორტიეს ცხვირის ფრთებიდან მოგორავდნენ, — მითხრა...

— რა გითხრათ? — შეეკითხა კლაი, რომელსაც პორტიე შეეცოდა, — რა გითხრათ იმ ქალმა, მისტერ რიკარდი?

— მითხრა, თუ ეგ თქვენი ფრანკლინი უკვე მკვდარია, ხოლო მკვლელი ქუჩაში გაიქცა, პრობლემაც აღარ გქონიათო. სწორედ მან მირჩია შემოსასვლელი კარის ჩაკეტვა და კიდევ, ისიც მითხრა, ლიფტები პირველ სართულზე გამოიძახე და მერე ყველა გამორთეო. ასეც მოვიქეცი.

კლაიმ და ტომმა ერთმანეთს გადახედეს და ორივეს უსიტყვოდ გაუელვა: *კარგი აზრია*. კლაიმ უეცრად ნათლად წარმოიდგინა დახურულ ფანჯარასა და ბადეს შორის მოქცეული ბუზი, რომელიც გააფთრებული ბზუის, მაგრამ გარეთ გაფრენის ყოველგვარ შესაძლებლობას მოკლებულია. რაც წარმოიდგინა, მჭიდრო კავშირში იყო იმ ხმაურთან, დროდადრო მათ თავზემოთ რომ ისმოდა. მხოლოდ ის აინტერესებდა, რამდენ ხანში იპოვიდნენ ავეჯზე მონადირენი თუ მონადირე კიბეს.

— მერე ყურმილი *დაკიდა*. ამის შემდეგ ცოლს დავურეკე მილტონში.

— მოახერხეთ დარეკვა? — კლაის ყველაფრის გარკვევა სურდა.

— ძალიან შეშინებული ჩანდა. მთხოვა, შინ მივსულიყავი. ვუთხარი, როგორ მირჩიეს, ქუჩაში თავი არ გამეყო და კარი ჩამეკეტა... პოლიციამ მირჩია... და ვთხოვე, თავადაც ასე მოქცეულიყო, კარი ჩაეკეტა და შინიდან ფეხი არ გაედგა. შინ მისვლას მევედრებოდა. ქუჩიდან სროლის ხმა ესმოდა, სულ ახლოს კი რაღაც აფეთქდა. თურმე დაუნახავს, როგორ გარბოდა ბენზიკების ეზოში შიშველი კაცი... ბენზიკები ჩვენი მეზობლები არიან.

— დიახ, დიახ, — ისევ ისეთი დამამშვიდებელი ხმით თქვა ტომმა. კლაი დუმდა. იმ მრისხანების რცხვენოდა, პორტიეს მიმართ რომ დაეუფლა, მაგრამ ტომიც ხომ გაბრაზდა მისტერ რიკარდიზე?!

— მითხრა, იმ შიშველ კაცს, *თითქოს*, ასე თქვა, *თითქოსო*, ეეეე... მმმმ... პატარა ბავშვი ეჭირა. ან იქნებ ეს თოჯინა იყო... ისევ მეხვეწა, სასტუმრო მიმეტოვებინა და შინ დავბრუნებულიყავი.

კლაიმ ყველაფერი შეიტყო, რაც აინტერესებდა. ჩვეულებრივი სატელეფონო კომუნიკაცია სახიფათო არ იყო. მისტერ რიკარდი შოკირებული გახლდათ, მაგრამ ნამდვილად არ შეშლილა. კლაიმ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხელი ყურმილს მოჰკიდა. მისტერ რიკარდიმ ხელზე ხელი მანამდე დაადო, სანამ ყურმილის აღებას მოასწრებდა. მისტერ რიკარდის გრძელი, ფერმკრთალი და ცივი თითები ჰქონდა. მას მოყოლა ჯერ არ დაესრულებინა. მისტერ რიკარდი ითხოვდა, მისთვის მოესმინათ.

— ნაგავი მიწოდა და ყურმილი დაახეთქა. ვიცოდი, ბრაზობდა და მისი კარგად მესმის, მაგრამ პოლიციამ მიბრძანა კარის ჩაკეტვა და ადგილზე დარჩენა. პოლიციამ მიბრძანა, ქუჩაში ფეხი არ გამედგა. პოლიციამ. *ხელისუფლებამ.*

კლაიმ თავი დაუქნია.

— რასაკვირველია, ხელისუფლებამ.

— მიწისქვეშა ტრამვაით მოხვედით? — შეეკითხა მისტერ რიკარდი, — ყოველთვის ტრამვაით ვმგზავრობ. სადგური სასტუმროდან ორი კვარტალის დაშორებითაა. ძალიან მოსახერხებელია.

— დღეს არა, — უპასუხა ტომმა, — მას შემდეგ, რაც ცოტა ხნის წინ საკუთარი თვალით ვიხილეთ, სიკვდილის მუქარითაც კი ვერავინ მაიძულებს მიწის ქვეშ ჩასვლას.

მისტერ რიკარდიმ კლაის ისეთი ხარბი ინტერესით შეხედა, როგორსაც ზოგჯერ დაკრძალვებზე იჩენენ ხოლმე.

— თქვენ ნახეთ?

კლაიმ თანხმობის ნიშნად კვლავ დაუქნია თავი.

— უმჯობესია, აქ იყოთ, — ეს სიტყვები ისე წარმოთქვა, რომ იცოდა, თავად სახლამდე მისვლა და შვილის ნახვა უნდოდა. შერონისაც, რასაკვირველია, მაგრამ პირველ რიგში, შვილის. იცოდა, სიკვდილის გარდა, ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებდა. დაბრუნების აუცილებლობა მძიმე ტვირთად აწვა, მის ყველა ფიქრზე ახდენდა გავლენას. მით უკეთესი. ყურმილი აიღო და 9-იანი აკრიფა, ქალაქის ფარგლებიდან რომ გასულიყო. არ ელოდა უწყვეტი სიგნალის გაგონებას, მაგრამ სწორედ ასე მოხდა. აკრიფა 1, მერე მენის შტატის კოდი — 207, შემდეგ 692 — იმ ზონის კოდი, რომელიც კენტ-პონდსა და მეზობელ პატარა ქალაქებს მოიცავდა. ბოლო ოთხი ციფრიც აკრიფა და თითქმის მიაღწია სახლამდე, რომელსაც ისევ მშობლიურად თვლიდა, მაგრამ ფიქრი შორეულმა სამმა მოკლე ზუმერმა შეაწყვეტინა. მერე ყურმილში ფირზე ჩაწერილი ქალის ხმა გაისმა: „ვწუხვართ, მაგრამ ყველა ხაზი დაკავებულია. თუ შეიძლება, მოგვიანებით დარეკეთ“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს ხმა ხშირმა და მოკლე ზუმერებმა შეცვალა, რადგან მენში რომელიღაც ავტომატურმა დანადგარმა სატელეფონო კავშირი გაწყვიტა, თუ, რასაკვირველია, ფირზე ჩაწერილი ხმა მენიდან მოდიოდა. კლაიმ ყურმილი მხარს მიაბჯინა, თითქოს ის უეცრად ტყვიასავით დამძიმდა, შემდეგ ადგილზე დადო.

13

ტომმა უთხრა, რომ ჭკუაზე შეიშალა, თუ სასტუმროდან წასვლა უნდა.

ჯერ ერთი, მიუთითა მან, „ატლანტიკ-ავენიუ-ინში“ მეტ-ნაკლებად უსაფრთხოდ იყვნენ იმის გათვალისწინებით, რომ ლიფტები გამორთული იყო პირველ სართულზე, ხოლო კიბეზე გამავალი კარი — დაბლოკილი. ეს კარი ლიფტის შახტების უკან, ვიწრო და პატარა დერეფანში მდებარეობდა, რომელიც ბარგის შესანახი ოთახიდან გამოტანილი ყუთებითა და ჩემოდნებით გაჭედეს. თუ რომელიმე განსაკუთრებული ძალის მქონე საპირისპირო მხრიდან კარის გაღებას შეეცდებოდა, მთელი ხარახურის კედლისკენ მიწევასა და დაახლოებით ექვსი დუიმი სიგანის გასაძრომზე მეტს ვერ გამოათავისუფლებდა, რომელშიც მოზრდილი ადამიანი ვერ გაეტევა.

გარდა ამისა, მათი მომცრო თავშესაფრის მიღმა, ქალაქში, ქაოსის მასშტაბი გაიზარდა. გარედან დაუსრულებლად ისმოდა სხვადასხვა სახეობის სიგნალიზაციის სირენების კივილი, ყვირილი, ღრიალი, ძრავების გუგუნი, ზოგჯერ ვესტიბიულში კვამლის სუნი შემოდიოდა, რომელსაც მალევე ფანტავდა ქარი. *„ჯერ კიდევ ფანტავს“*, — გაიფიქრა კლაიმ, თქმით კი არაფერი უთქვამს, გოგონას შეშინება არ სურდა. ზალპებივით ისმოდა აფეთქებების ხმა. ერთი აფეთქება ძალიან ახლოს მოხდა და მაშინვე ერთმანეთს გადახედეს, დარწმუნებული იყვნენ, ვესტიბიულის დიდი ფანჯარა ჩამოიშლებოდა, მაგრამ არა. ამ აფეთქების შემდეგ ყველამ მისტერ რიკარდის კაბინეტს შეაფარა თავი.

ტომის მიერ დასახელებული მესამე მიზეზი იმის დასამტკიცებლად, რომ კლაი ჭკუაზე შეიშალა, თუ „ატლანტიკ-ავენიუ-ინის“ მეტ-ნაკლებად უსაფრთხო თავშესაფრის დატოვება სურდა, შემდე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გი გახლდათ: საათი ექვსის ოც წუთს უჩვენებდა. საღამოვდებოდა. ტომი ამტკიცებდა, ღამის ბოსტონში ქუჩაში გასვლა სრული სიგიჟეაო.

— იქით გაიხედე, — და ტომმა მისტერ რიკარდის კაბინეტის პატარა ფანჯარაზე მიუთითა, რომელიც ესექს-სტრიტზე გადიოდა. სავალი ნაწილი მიტოვებული მანქანებით იყო სავსე. სხეული კი მხოლოდ ერთი მოჩანდა — ახალგაზრდა ქალის, რომელსაც ჯინსი და რედ-სოკსისემბლემიანი სვიტრი ეცვა. ქალი ტროტუარზე პირქვე ეგდო, ხელები ისე გაეშალა, თითქოს მიცურავსო. VARITEK[1] — მოჩანდა წარწერა სვიტრზე, — შენი აზრით, მანქანით წასვლა შესაძლებელია? გირჩევ, ამაზე კარგად დაფიქრდე.

— მართალს ამბობს, — ჩაერია მისტერ რიკარდი. ჩაბნელებულ კაბინეტში მაგიდასთან იჯდა და ვიწრო გულმკერდზე ხელები დაეკრიფა, — თქვენ ხომ ავტომანქანა გარაჟში დატოვეთ, ტემუორტ-სტრიტზე. ვეჭვობ, თუნდაც გასაღების მოპოვება შეძლოთ.

კლაი უკვე შეეგუა იმ აზრს, რომ ავტომანქანა სამუდამოდ დაკარგა. პირი გააღო იმის სათქმელად, რომ არც აპირებდა მანქანით წასვლას (ყოველ შემთხვევაში, სასტუმროდან), მაგრამ მათ თავზე რაღაცამ ისეთი ძალით დაიბრახუნა, რომ ჭერი აზანზარდა. ხმაურს დალეწილი ჭურჭლის წკრიალიც ახლდა. მაგიდის მეორე მხარეს სკამზე მჯდარმა ელის მაქსველმა ნერვიულად აიხედა მაღლა და უფრო ღრმად ჩაიკეტა საკუთარ თავში.

— იქ რა არის? — იკითხა ტომმა.

— ირიკეზების დარბაზი, — უპასუხა მისტერ რიკარდიმ, — ყველაზე დიდი ჩვენი სამი საკონფერენციო დარბაზიდან. საწყობად ვიყენებთ. იქ ინახება სკამები, მაგიდები, აუდიო-ვიდეოაპარატურა, — ცოტა ხანს დუმდა, — რესტორანი, მართალია, არა გვაქვს, მაგრამ კოქტეილ-ფართის დროს შვედურ მაგიდას ვაწყობთ ხოლმე, თუ ჩვენს კლიენტებს სჭირდებათ. როდესაც ზემოთ ბოლო ზრიალი გაისმა...

მაგრამ არ დაუსრულებია წინადადება და კლაის აზრით, ამის საჭიროებაც არ იყო. როდესაც ბოლოს ზრიალი გაისმა, ირიკეზების დარბაზში ჭურჭლით სავსე ურიკა გადააყირავეს, მანამდე კი დარბაზში მოთარეშე შეშლილი ცარიელ ურიკებს, მაგიდებსა და სკამებს აყირავებდა. მეორე სართულზე ზუზუნებდა დახურულ ფანჯარასა და ბადეს შორის მოქცეული ბუზივით.

[1] *ჯეისონ ვეირიტეკი „რედ-სოკსის“ 2004 წელს გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში თამაშობდა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გასასვლელის საპოვნელად ჭკუა არ ჰყოფნიდა, მხოლოდ სირბილი და დარბევა, სირბილი და დარბევა შეეძლო.

უეცრად ელისი ალაპარაკდა, რომელიც ბოლო ნახევარი საათი დუმდა, და პირველად დაილაპარაკა თავად, ისე, რომ არავის არაფერი უკითხავს.

— თქვენ რაღაცას ამბობდით ვილაც დორისზე.

— დორის გუტიერესი, — თავი დაუქნია მისტერ რიკარდიმ, — უფროსი მოსამსახურე. შესანიშნავი თანამშრომელია. შესაძლოა, საუკეთესოც. ბოლოს რომ ველაპარაკე, მესამე სართულზე იყო.

— მას თუ ჰქონდა... — უკანასკნელი სიტყვები ელისს არ წარმოუთქვამს და შეცვალა ყველასთვის ასეთი ნაცნობი ჟესტით: მარჯვენა ხელი ისე მიიდო სახეზე, რომ დიდი თითი ყურის ბიბილოს შეეხო, ხოლო ნეკი ტუჩის კუთხეში მოხვდა.

— არა, — მტკიცედ თქვა მისტერ რიკარდიმ, — თანამშრომლებმა მოსვლისთანავე გასახდელში უნდა დატოვონ. პირველივე დარღვევა გაფრთხილებით ისჯება. თუ განმეორდა, შეიძლება, სამსახურის დატოვებად დაუჯდეთ. ამას სამუშაოზე აყვანამდე ვუხსნი, — მხრები აიწურა და მერე ისევ ჩამოუშვა, რაღაცნაირად, სანახევროდ, — ასეთია ადმინისტრაციის პოლიტიკა, ჩემი ახირება არ არის.

— მეორე სართულზე თუ შეძლებდა ჩასვლას, რომ ხმაურის მიზეზი გაერკვია? — შეეკითხა ელისი.

— სავარაუდოდ, შეძლებდა, — უპასუხა მისტერ რიკარდიმ, — არ ვიცი. მხოლოდ ერთი რამ ვიცი: უკანასკნელად მაშინ ველაპარაკე, როდესაც მესამე სართულიდან დამირეკა და მაცნობა, რომ ნაგვის ყუთში ცეცხლი ჩააქრო. პეიჯერზე არ პასუხობს. შეტყობინება ორჯერ გავუგზავნე.

კლაის არ უთქვამს, *ხომ ხედავთ, არც აქ არის უსაფრთხო ადგილი*, მხოლოდ ტომს შეხედა, იქნებ ის მაინც მიმხვდარიყო.

— თქვენი აზრით, მაღლა რამდენი ადამიანი უნდა იყოს? — შეეკითხა ტომი.

— წარმოდგენა არა მაქვს.

— მაინც, მიახლოებით.

— არც ისე ბევრი. თუ მოსამსახურე ქალებს ავიღებ, მხოლოდ დორისი. დილის ცვლა სამზე მიდის, საღამოსი კი ექვსზე მოდის, — მისტერ რიკარდიმ ტუჩები მოკუმა, — ეკონომიურობის პაროდიაა. ეკონომიურ ღონისძიებად ამას ვერ ჩავთვლით, იმიტომ, რომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შედეგი არა აქვს. სტუმრებს რაც შეეხება, — პორტიე ჩაფიქრდა, — შუადღის შემდეგ ჩვენთან სრული შტილია. გუშინ საღამოს ჩამოსულები, რასაკვირველია, უკვე წავიდნენ, ანგარიშსწორება „ატლანტიკ-ავენიუ-ინში“ ზუსტად შუადღეზეა. ჩვეულებრივ დღეებში, თუ ვინმე შემოსვლას დააპირებდა, ეს ოთხზე მოხდებოდა. დღეს კი, მოგეხსენებათ, სრულებით არ არის ჩვეულებრივი დღე. რამდენიმე დღით გაჩერებული კლიენტები ბოსტონში თავიანთ საქმეებზე ჩამოდიან. როგორც თქვენ, მისტერ რიდლ.

კლაიმ თავი დაუქნია და აღარ შეუსწორა მისტერ რიკარდის, რომელმაც ცოტათი დაამახინჯა მისი გვარი.

— ბოსტონში საქმეზე ჩამოსულები, ჩვეულებრივ, დილაობით სასტუმროს ტოვებენ საქმეების მოსაგვარებლად. ამიტომ, თავადაც გესმით, სასტუმროში თითქმის არავინაა.

თითქოს პორტიეს სიტყვების გაბათილება სურდათ, ზემოთ ისევ გაისმა ჭურჭლის წკრიალი და ოდნავ გასაგონი ცხოველური ღრენის ხმა. ყველამ ზემოთ აიხედა.

— კლაი, მისმინე, — მიუბრუნდა ტომი, — თუ ამ ბიჭმა კიბე იპოვა, არ ვიცი, ამ ადამიანებს აზროვნება შეუძლიათ თუ არა, მაგრამ...

— თუ იმით ვიმსჯელებთ, რაც ქუჩაში ვნახეთ, — უპასუხა კლაიმ, — მათ ადამიანები უწოდო, მეტად რთულია. ის ბიჭი, ზემოთ რომ არის, ბუზად წარმომიდგენია, რომელიც ფანჯარასა და ბადეს შორის ხაფანგში გაება. ბუზს შეუძლია თავი დააღწიოს, ბადეში ნახვრეტს თუ იპოვის. ზუსტად ასევე, შესაძლოა, იმ ბიჭმაც კიბე იპოვოს, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევის წყალობით მოხდება.

— როცა ქვემოთ ჩამოვა და ვესტიბიულში შემოსასვლელ ჩახერგილ კარს აღმოაჩენს, სათადარიგო კარით ისარგებლებს და შესახვევში აღმოჩნდება, — მისთვის უჩვეულო სიმკვირცხლით დაამატა მისტერ რიკარდიმ, — ჩვენ კი სიგნალიზაციის ხმას გავიგონებთ, რომელიც მაშინ ირთვება, თუ ვინმე რაზას გადასწევს... და მივხვდებით, რომ ეს ტიპი აქედან მოშორდა და ერთი გიჟით ნაკლებია.

სადღაც, სამხრეთით, ისევ რაღაც დიდი აფეთქდა და ოთხივე შეხტა. კლაიმ გადაწყვიტა, რომ უკვე გაიგო, რას ნიშნავდა 1980-იან წლებში ბეირუთში ცხოვრება.

— ვცდილობ, ერთი მნიშვნელოვანი რამ გაგაგებინოთ, — თქვა მან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არა მგონია, ასე იყოს, — თავი გააქნია ტომმა, — შენ მაინც წახვალ, იმიტომ, რომ ცოლ- შვილზე ნერვიულობ. ცდილობ, დაგვარწმუნო, იმიტომ, რომ კომპანიონი გჭირდება.

გაღიზიანებულმა კლაიმ ხმაურით ამოიოხრა.

— რასაკვირველია, კომპანიონი მჭირდება, მაგრამ არ ვაპირებ, გითხრათ, გამომყევით-მეთქი, ეს არ არის მიზეზი. სულ უფრო ძლიერდება კვამლის სუნი. ბოლოს როდის გაიგონეთ სახანძრო მანქანების სირენების ხმა?

პასუხი არავის გაუცია.

— არც მე გამიგია და არა მგონია, ბოსტონში ვითარება გაუმჯობესდეს, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს ხანში. უფრო და უფრო ცუდად წავა საქმე. თუ მიზეზი მობილური ტელეფონებია...

— მამისთვის ავტომოპასუხეზე შეტყობინების დატოვება უნდოდა, — გააწყვეტინა ელისმა. ძალიან სწრაფად ლაპარაკობდა, თითქოს სურდა, ყველაფრის თქმა მოესწრო, ვიდრე მახსოვრობა ულალატებდა, — უნდოდა, შეეხსენებინა, ქიმწმენდაში შეევლო. კომიტეტის ხვალინდელი სხდომისთვის ყვითელი შალის პალტო სჭირდებოდა, მე კი შაბათის გასვლითი თამაშისთვის — მეორე სასკოლო ფორმის კომპლექტი... ტაქსიში მოხდა. მერე რალაცას შევეჯახეთ! *იმ კაცს გუდავდა და კბენდა, მძღოლს თავიდან ჩალმა მოსძვრა, სახეზე სისხლი ჩამოსდიოდა და ჩვენც რალაცას შევეჯახეთ!*

ელისმა სამივეს სახეებს თვალი შეავლო, მერე ხელები აიფარა და ატირდა. ტომს მისი დამშვიდება სურდა, მაგრამ მისტერ რიკარდიმ კლაი გააოცა. ის წამოდგა, მაგიდას შემოუარა, გოგონას ხელი მოხვია.

— არ არის საჭირო ამდენი ნერვიულობა, ახალგაზრდა ქალბატონო. დარწმუნებული ვარ, რალაც გაუგებრობა იყო, სხვა არაფერი.

ელისმა ფართოდ გახელილი, ველურის თვალებით შეხედა.

— *გაუგებრობა?* — კაბაზე შემხმარ სისხლის ლაქაზე ანიშნა, — თქვენი აზრით, ეს გაუგებრობაა? სკოლაში თავდაცვის გაკვეთილზე ნასწავლი კარატეს ილეთების გამოყენება დამჭირდა, რომ მშობელი დედისგან თავი დამეცვა. მგონი, ცხვირი გავუტეხე, *დარწმუნებული ვარ*, ასე იყო, — ელისმა თავი გააქნია, თმა უფრიალებდა, — და ზურგს უკან კარის სახელურის მოძებნა და გაღება რომ ვერ მომეხერხებინა...

— მოგკლავდა, — მონოტონური ხმით დაასრულა კლაიმ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მომკლავდა, — ჩურჩულით დაეთანხმა ელისი, — არ იცოდა, ვინ ვარ. ჩემმა მშობელმა დედამ, — მერე ჯერ კლაის შეხედა, შემდეგ ტომს, — ეს მობილური ტელეფონების ბრალია, — განაგრძო ისევ ჩურჩულით, — მობილური ტელეფონების, ასეა.

14

— მაშ, რამდენი ცალია ეს დაწყევლილი აქ, ბოსტონში? — იკითხა კლაიმ, — რამდენად არის ბაზარი ათვისებული?

— თუ კოლეჯების სტუდენტების ოდენობას გავითვალისწინებთ, უზარმაზარი რიცხვი გამოდის, — უპასუხა მისტერ რიკარდიმ. ის მაგიდას დაუბრუნდა და ცოტათი გამოცოცხლდა. იქნებ მასზე ასე იმოქმედა გოგონას დაწყნარებამ ან ბიზნესთან დაკავშირებული შეკითხვის ბრალი იყო, — მაგრამ მობილური ტელეფონები, რასაკვირველია, მხოლოდ ახალგაზრდებს არა აქვთ. ერთი თუ ორი თვის წინ წავიკითხე „ინკში" გამოქვეყნებული სტატია, რომლის ავტორი ამტკიცებდა, რომ კონტინენტურ ჩინეთში იმაზე მეტი მობილური ტელეფონი აქვთ, ვიდრე აშშ-ში ადამიანი ცხოვრობს. შეგიძლიათ, ეს წარმოიდგინოთ?

კლაიდს სულაც არ სურდა წარმოდგენა.

— გასაგებია, — უხალისოდ დაუქნია თავი ტომმა, — მესმის, რის თქმაც გსურს. სადღაც რომელიღაც ტერორისტულმა ორგანიზაციამ მობილური ტელეფონების სიგნალებით მანიპულირება შეძლო. როდესაც ვიღაცას ურეკავ ან გირეკავენ, ან შეტყობინებას გზავნი, ან იღებ, მაშინ... ერთგვარი... რა ხდება? ალბათ, რაიმე ბრძანება მოდის ქვეცნობიერის დონეზე და ჭკუაზე გშლის. სამეცნიერო ფანტასტიკას ჰგავს, მაგრამ თხუთმეტი თუ ოცი წლის წინ ადამიანების უმრავლესობისთვის მობილური ტელეფონი მართლაც ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა.

— თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ რაღაც ამის მსგავსია, — დაეთანხმა კლაი, — და ამგვარი ბრძანება არანაკლებ მოქმედებს იმაზე, ვინც საუბარს *უსმენს*, — წაბლისფერთმიან ფერიაზე გაიფიქრა, — მაგრამ ყველაზე საზარელი სხვა რამ გახლავთ: როდესაც ადამიანები ხედავენ, მათ გარშემო რა ხდება, მათი უპირველესი იმპულსია...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მობილურ ტელეფონს სტაცონ ხელი, — დაასრულა წინადადება ტომმა.

— ჰო, — ამოიოხრა კლაიმ, — ეს თავად ვნახე.

ტომმა სევდიანად შეხედა:

— მეც.

— მაპატიეთ, მაგრამ ვერ ვხვდები, ეს როგორ უკავშირდება თქვენს სურვილს, დატოვოთ ისეთი უსაფრთხო ადგილი, როგორიც ჩვენი სასტუმროა, თანაც უკვე ღამდება, — თქვა მისტერ რიკარდიმ.

თითქოს ვილაცამ უპასუხა, აფეთქების ხმა გაისმა, რასაც კიდევ ათიოდე ხმა მოჰყვა სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან, თითქოს დევკაცი დადიოდა. ზედა სართულიდანაც ისევ რაღაც ბრახუნი მოისმა, ვილაცამ მრისხანედ დაიღრიალა.

— არა მგონია, ჭკუაზე შეშლილებმა ქალაქის დატოვება შეძლონ. ის გიჟი, ზემოთ რომ არის, კიბეს ხომ ვერ პოულობს, — განმარტა კლაიმ.

წამით შენიშნა, როგორ შეეცვალა სახე ტომს. მერე მიხვდა, ეს გაოცებისგან მოხდა ან გაოგნების მიზეზით, და შესაძლოა, ჩასახული იმედის გამოც.

— ოჰ, ღმერთო, — თქვა ტომმა და სახეზე ხელისგულიც კი დაირტყა, — *მათ* არსად წასვლა არ შეუძლიათ. ამაზე არ მიფიქრია.

— კიდევ არის რაღაც... — წამოიწყო ელისმა. ქვედა ტუჩს იკვნეტდა და ხელებზე იყურებოდა, რომელთა თითებსაც ხან გადააჭდობდა, ხანაც გაშლიდა. ბოლოს, თავს ძალა დაატანა და კლაის შეხედა, — ღამის დადგომასთან ერთად წასვლა უფრო *უსაფრთხო* იქნება.

— რატომ, ელის?

— თუ ვერ გხედავენ, თუ რაიმეს ამოეფარები, თუ დაიმალები, მაშინვე ივიწყებენ შენს არსებობას.

— ეს საიდან იცი, საყვარელო? — ჰკითხა ტომმა.

— იმიტომ, რომ იმ ყვითელმაისურიან კაცს დავემალე, რომელიც მომდევდა, — ხმადაბლა უპასუხა გოგონამ, — მანამ, სანამ თქვენ გამოჩნდებოდით. შესახვევში დავიმალე. ნაგვის ერთ-ერთი კონტეინერის უკან. ძალიან შემეშინდა, არ ვიცოდი, სად წავსულიყავი, შესახვევიდან ვერ გავაღწევდი, უკან გამომეკიდებოდა და სხვა ველარაფერი მოვიფიქრე, კონტეინერს ამოვეფარე. ვხედავდი, როგორ შეჩერდა შესახვევის დასაწყისში, აქეთ-იქით იხედებოდა, ბოლთას სცემდა, — როგორც პაპაჩემი ამბობდა, ნუხილისგან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წრეებს ურტყამსო, — და ჯერ ვიფიქრე, რომ რაღაცას მემაიმუნებოდა, თითქოს მცდიდა. იმიტომ, რომ *შეუძლებელია,* არ დაენახა, როგორ შევირბინე შესახვევში. სულ რამდენიმე ფუტით გავასწარი, რომ არა ის რამდენიმე ფუტი... შეიძლებოდა, დავეჭირე... — ელისს ააკანკალა, — მაგრამ მას შემდეგ, რაც კონტეინერის უკან დავიმალე... არ ვიცი...

— თვალი თვალს რომ მოშორდება, გონება გადასხვაფერდებაო, — გადააკეთა ანდაზა ტომმა, — მაგრამ თუ ასე ახლოს იყო, უფრო შორს რატომ არ გაიქეცი?

— იმიტომ, რომ ველარ შევძელი, — უპასუხა ელისმა, — უბრალოდ, ვერ შევძელი. ფეხები აღარ მემორჩილებოდა, მთელი სხეული მიკანკალებდა, ასე მეგონა, სადაცაა შიგნიდან ავფეთქდებოდი, მაგრამ მერე გაირკვა, რომ უფრო შორს გაქცევა სრულებით არ ყოფილა საჭირო. ცოტა ხანს იბორიალა, თან რაღაც უაზრობას ბოდავდა, მერე სულაც წავიდა. თავიდან ვერც კი დავიჯერე. მეგონა, დაიმალა, ჩემი შესახვევიდან გატყუება უნდოდა, რომ მერე თავს დამსხმოდა, მაგრამ იმას კი ვხვდებოდი, ამგვარი გეგმების დასაწყობად მეტისმეტად შექანებული რომ იყო, — გოგონამ სულ ერთი წამით შეავლო თვალი კლაის და მერე ისევ თავის ხელებს დააცქერდა, — არ გამიმართლა, იმიტომ, რომ მეორედ შემთხვევით გადავაწყდი. მაშინვე უნდა გამოგყოლოდით. თუმცა, ზოგჯერ ასე სულელურად ვიქცევი ხოლმე.

— შენ ხომ მაშინ გადატანილისგან გა... — დაიწყო კლაიმ და იმავე წუთს სადღაც აღმოსავლეთით ისეთი გამაყრუებელი აფეთქების ხმა გაისმა, რამაც ისინი აიძულა, იატაკზე გაწოლილიყვნენ და ყურები თითებით დაეცოთ. მაშინვე გაიგონეს ვესტიბიულში ფანჯრის მსხვრევის ხმა.

— ღმერთო ჩემო! — აღმოხდა მისტერ რიკარდის. თვალებგაფართოებული და მელოტი, კლაის ობოლი ენის[1] აღმზრდელს აგონებდა, — როგორც ჩანს, შელის ავტოგასამართი სადგურია ნილენდ-სტრიტზე. მას ყველა ტაქსი და ამფიბია იყენებს. სწორედ იმ მხარეს არის, საიდანაც აფეთქების ხმა იყო.

კლაის წარმოდგენა არ ჰქონდა, მართალი იყო თუ არა რიკარდი, ცეცხლმოკიდებული ბენზინის სუნი არ იდგა (ყოველ შემთხვევა-

[1] *ობოლი ენი მხატვარ ჰაროლდ გრეის მიერ შექმნილი პერსონაჟია. ამერიკელი ბავშვების წიგნებისა და რადიოპიესების საყვარელი გმირი 1920-1930-იან წლებში.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ში, ჯერჯერობით), მაგრამ როგორც მხატვარს, გონების თვალით ვიზუალიზაციის პრობლემა არასოდეს ჰქონია და წარმოიდგინა ბინდში პროპანით დატენილი ჩირაღდანივით აალებული ქალაქის ასფალტის სამკუთხედი.

— თანამედროვე დიდი ქალაქი შეიძლება იწვოდეს? — შეეკითხა ტომს, — ძირითადად, ბეტონის, ლითონისა და მინისგან აგებული? შეიძლება თუ არა ისე დაიწვას, როგორც ჩიკაგო[1], როდესაც იმ ძროხა მისის ო'ლირმა ნავთქურას ფეხი ჰკრა და გადააბრუნა?

— მაგ ძროხის ამბავი მხოლოდ და მხოლოდ ლეგენდაა, — ჩაურთო ელისმა. კისერსა და კეფას ისრესდა, თითქოს თავი ასტკივდა, — ასე ამბობს მისის მეიერსი, ჩვენი ამერიკის ისტორიის მასწავლებელი.

— რასაკვირველია, შეიძლება, — თქვა ტომმა, — ხომ ნახე, მსოფლიო სავაჭრო ცენტრს რა დაემართა კოშკებთან თვითმფრინავების შეჯახების შემდეგ.

— საწვავით სავსე ავზის მქონე თვითმფრინავების, — დაამატა მისტერ რიკარდიმ.

საკმარისი იყო, მელოტ პორტიეს თვითმფრინავის საწვავით სავსე ავზები ეხსენებინა, რომ დამწვარი ბენზინის სუნმა პატარა ოთახი მოიცვა. ეს სუნი ვესტიბიულში ჩამსხვრეული კარის პანელებიდან და ფანჯრიდან შემოდიოდა, კაბინეტის კარის ქვემოდან ბოროტი სულივით მოძვრებოდა.

— როგორც ვხედავ, შელის ავტოგასამართი სადგური ზუსტად გამოიცანით, — თქვა ტომმა.

მისტერ რიკარდი კაბინეტსა და ვესტიბიულს შორის მდებარე კართან მივიდა და გამოაღო. ღია კარიდან კლაიმ ვესტიბიული დაინახა, მიტოვებული, ბნელი, უკაცრიელი. მისტერ რიკარდიმ ჰაერი ხმაურით შეისუნთქა. კარი დახურა და ჩაკეტა.

— სუნი შესუსტდა.

— ეს უფრო თქვენი სურვილია, ვიდრე სინამდვილე, — თქვა კლაიმ, — ან ასეა, ან თქვენი ყნოსვა უკვე შეეჩვია სუნს.

— მგონი, მართალს ამბობს, — შეეპასუხა ტომი, — საკმაოდ ძლიერი დასავლეთის ქარია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჰაერი ოკე-

[1] *1871 წლის 8-10 ოქტომბერს ჩიკაგოში მძვინვარებდა ხანძარი, რომელსაც 300 კაცი ემსხვერპლა, უსახლკაროდ დარჩა 100 000 და განადგურდა ქალაქის ფართობის 9 კმ².*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ანისკენ მოძრაობს და თუ მართლაც ნილენდისა და ვაშინგ-ტონ-სტრიტის კუთხეში, ახალი ინგლისის სამედიცინო ცენტრთან მდებარე, ახალაგებული ავტოგასამართი სადგური აფეთქდა...

— სწორედ ის, — გააწყვეტინა მისტერ რიკარდიმ, მის სახეზე უკიდურესი კმაყოფილება აისახა, — მშენებლობამ ისეთი პროტეს-ტი გამოიწვია, მაგრამ ყველაფერი ქრთამებმა გადაწყვიტა, შეგი-ძლიათ...

— მაშინ საავადმყოფოც იწვის... — არ დაამთავრებინა ტომმა, — იმათთან ერთად, ვინც ახლა იქაა...

— არა, — ელისმა პირზე ხელი მიიდო.

— მე კი მგონია, სწორედ ასეა... და ახლა ვანგის ცენტრის[1] რი-გია. დაბნელებას შეიძლება ბრიზი მოჰყვეს, თუ არადა, ღამის ათი საათისთვის ყველაფერს, რაც მასაჩუსეტსის ავტომაგისტრალის ალმოსავლეთითაა, ცეცხლი მოედება.

— ჩვენ *დასავლეთით* ვართ, — ხაზგასმით აღნიშნა მისტერ რი-კარდიმ.

— მაშინ არაფერი გვემუქრება, — თქვა კლაიმ, — ყოველ შემ-თხვევაში, *ამ* ხანძრით, — მისტერ რიკარდის კაბინეტის პატარა ფანჯარასთან მისულმა ფეხის წვერებზე აიწია, რომ ესექს-სტრიტი მოეთვალიერებინა.

— რას ხედავ? — შეეკითხა ელისი, — ადამიანები თუ ჩანან?

— არა... კი... ერთი კაცია. ქუჩის მეორე მხარეს.

— გიჟების რიცხვიდან? — შეეკითხა გოგონა.

— არ ვიცი, — მაგრამ შეეძლო ეთქვა, რომ გიჟია, მისი ნერვიუ-ლი სირბილის, მუდმივად უკან-უკან ყურების გამო. ვიდრე მამაკა-ცი ლინკოლნ-სტრიტის გზაჯვარედინზე კუთხეში შეუხვევდა, კი-ნალამ გადააყირავა სასურსათო მაღაზიის წინ ქუჩაში გამოტანილი ხილ-ბოსტნეულის დახლი. მართალია, კლაის არ ესმოდა, რას ამ-ბობდა, მაგრამ კარგად ხედავდა მის მოცმაცუნე ტუჩებს, — ახლა აღარ ჩანს, წავიდა.

— სხვა არავინაა? — დაინტერესდა ტომი.

— ამჟამად, არა. მარტო კვამლი ჩანს, — კლაი მცირე ხანს დუმ-და, — კიდევ, ჭვარტლი და ფერფლი. რამდენად ბევრია, ვერაფერს ვიტყვი. ქარი ატრიალებს.

[1] *კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო არაკომერციული ცენტრი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კარგი, დამარწმუნე, — გადაწყვეტილება მიიღო ტომმა, — გაკვეთილს ნელა ვითვისებ ხოლმე, მაგრამ იმათი რიცხვიდან ნამდვილად არა ვარ, ვინც ვერაფერს სწავლობს. ქალაქი დასაწვავადაა განწირული და მასში მხოლოდ გიჟები დარჩებიან.

— მგონი, მართალს ამბობ, — უპასუხა კლაიმ, თუმცა, არ ეგონა, რომ ტომის ნათქვამი მხოლოდ ბოსტონს მიესადაგებოდა. უბრალოდ, მოცემულ მომენტში ამ ქალაქის საზღვრებს გარეთ გახედვა არ სურდა. დროთა განმავლობაში თვალთახედვის არეალს გააფართოებდა, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჯონის უსაფრთხოებაში დარწმუნდებოდა. ან იქნებ მომხდარის ზოგადი სურათი მისი აღქმის უნარს საერთოდაც სცილდებოდა? ბოლოს და ბოლოს, ის ხომ პურის ფულს პატარა სურათების გაყიდვით შოულობდა, მაგრამ იმ ეგოისტმა არსებამ, რომელიც მისი ქვეცნობიერის ყველაზე მიყრუებულ კუნჭულში ცხოვრობდა, არ დაიზარა და ერთი ძალიან ცხადი აზრი მიაწოდა. ეს იყო ლურჯი და მუქი, კაშკაშა ოქროსფრით შეფერადებული აზრი. *რატომ მოხდა ამგვარი რამ დღეს? სწორედ მას შემდეგ, რაც, როგორც იქნა, მოვახერხე და სოლიდური გარიგება დავდე?*

— თუ წახვალთ, შეიძლება, მეც თქვენთან ერთად წამოვიდე? — იკითხა ელისმა.

— რა თქმა უნდა, — კლაიმ პორტიეს შეხედა, — მისტერ რიკარდი, თქვენც შეგიძლიათ წამოხვიდეთ.

— ჩემს სამუშაო ადგილზე დავრჩები, — ამაყად უპასუხა მან, მაგრამ კლაიმ მის თვალებში, რომელთა არიდებას ცდილობდა, სევდა დაინახა.

— არა მგონია, უფროსობა გაბრაზდეს, თუ შექმნილ მდგომარეობაში კაბინეტს გასაღებით ჩაკეტავთ და წახვალთ, — ტომი, როგორც ყოველთვის, ახლაც დაყვავებით ლაპარაკობდა და მისი ეს მანერა კლაის მოსწონდა.

— მე აქ დავრჩები, — გაიმეორა პორტიემ, — მისტერ დონელი, დღისით მომუშავე მენეჯერი, ბანკში წავიდა ფულის ჩასაბარებლად და სასტუმროში მე დამტოვა. თუ დაბრუნდა, მაშინ შესაძლოა...

— გთხოვთ, მისტერ რიკარდი, — ჩაერია ელისი, — აქ აღარ შეიძლება დარჩენა.

მაგრამ მისტერ რიკარდიმ ჩვეულებისამებრ გულზე ხელები დაიკრიფა და თავი ჯიუტად გადააქნია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

15

დედოფალ ანას ეპოქის სტილში დამზადებული სკამები გასწიეს და მისტერ რიკარდიმ საკეტში გასაღები გადაატრიალა. კლაიმ ქუჩაში გაიხედა. ქუჩის ვერც ერთ მხარეს ადამიანებს ვერ ხედავდა, მაგრამ ჭვარტლისა და ფერფლის ბუქის გამო შესაძლოა, ცდებოდა კიდეც. ქარში შავი ფიფქები დაფრიალებდა.

— წავედით, — თქვა მან. დასაწყისისთვის მეზობელ შენობაში მდებარე კაფე „მეტროპოლამდე“ აპირებდნენ მისვლას.

— კარს ჩავკეტავ და სკამებს თავის ადგილზე დავაბრუნებ, — გააფრთხილა ისინი მისტერ რიკარდიმ, — მაგრამ ყურს მივუგდებ. თუ რაიმე უსიამოვნებას გადაეყარეთ ან ისინი... ის ხალხი... კაფე „მეტროპოლს“ თავს აფარებს და უკან დახევა გახდა საჭირო, თუ შეიძლება, დაიხსომეთ, უნდა დაიყვიროთ: „მისტერ რიკარდი, მისტერ რიკარდი, გვჭირდებით!“ და მაშინ მეცოდინება, რომ უშიშრად შემიძლია კარის გაღება. გასაგებია?

— დიახ, — თქვა კლაიმ და მისტერ რიკარდის გამხდარ მხარზე ხელი მოუჭირა. პორტიე არ განძრეულა (თუმცა, არც კმაყოფილება გამოუხატავს მეგობრული გრძნობის ამგვარი გამოვლინების გამო), — კარგი კაცი ხართ. თავიდან ასე არ ვფიქრობდი, მაგრამ ახლა მივხვდი, ვცდებოდი.

— ვიმედოვნებ, ყველაფერს ვაკეთებ, რაც შემიძლია, — მკაცრად თქვა მელოტმა პორტიემ, — მთავარი ის არის, დაიმახსოვროთ...

— დავიმახსოვრეთ, — უპასუხა ტომმა, — და შესაძლოა, სულაც ათ წუთში დავბრუნდეთ. თუ *თქვენ* გაგიჭირდათ რამე, იყვირეთ.

— კარგი.

მაგრამ კლაი ფიქრობდა, რომ პორტიე ასე არ მოიქცეოდა. ვერ ახსნიდა, ასე რატომ გაიფიქრა; ძნელი წარმოსადგენია ადამიანი, რომელიც არ იყვირებს მაშინაც კი, თუ ამას მისი სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია, მაგრამ რატომლაც ზუსტად იცოდა, პორტიეს ყვირილს ისინი ვერ გაიგონებდნენ.

ელისმა თქვა:

— *გთხოვთ*, მისტერ რიკარდი, გადაიფიქრეთ. ბოსტონში დარჩენა სახიფათოა, ეს თავადაც უნდა იცოდეთ.

პასუხად მისტერ რიკარდი შებრუნდა და კლაიმ გაკვირვებულმა გაიფიქრა: *„აი, როგორია ადამიანი, რომელმაც დაასკვნა, რომ ცვლილებას სიკვდილი ურჩევნია“*.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— წავედით, — კლაი პირველი დაიძრა, — მოდი, სენდვიჩები მოვამზადოთ, ვიდრე ჯერ კიდევ არის ელექტრობა და სინათლის ანთება შეიძლება.

— ბოთლით წყალიც არ გვაწყენდა, — დაამატა ტომმა.

16

სინათლე მაშინ ჩაქრა, როდესაც უკანასკნელ სენდვიჩს კაფე „მეტროპოლის" პატარა, სუფთა, თეთრი კაფელით გაწყობილ სამზარეულოში ახვევდნენ. იმ დროისთვის კლაიმ სამჯერ სცადა მენის შტატში დარეკვა: ერთხელ — სახლში, მეორედ — კენტ-პონდის დაწყებით სკოლაში, სადაც შერონი ასწავლიდა, და მესამედ — ჯოშუა ჩემბერლენის სახელობის საბაზო სკოლაში, სადაც ჯონი სწავლობდა, მაგრამ შტატის კოდის, 207-ის, აკრეფის შემდეგ, კავშირი წყდებოდა.

როდესაც „მეტროპოლში" სინათლე ჩაქრა, ელისმა, როგორც კლაის მოეჩვენა, უკუნ სიბნელეში იყვირა. მერე სათადარიგო განათება ჩაირთო, მაგრამ ელისი ამან ვერ დაამშვიდა. ცალი ხელით ტომს ჩაჰფრენოდა, მეორით კი იქნევდა პურის საჭრელ უზარმაზარ დანას, რომლითაც სენდვიჩებს ჭრიდა. თვალები გაფართოებოდა და თითქოს გაშეშებოდა.

— ელის, დანა დადე, — კლაიმ იმაზე მკაცრად თქვა, ვიდრე სურდა, — თორემ რომელიმეს დაგვჭრი.

— ან თავს დაისახიჩრებ, — ჩვეულებისამებრ ალერსიანად და დამამშვიდებლად უთხრა ტომმა. ავარიულ სინათლეზე მისი სათვალის ჩარჩო ბრჭყვიალებდა.

გოგონამ დანა დადო, მერე ისევ სტაცა ხელი.

— მჭირდება, თან წამოვილებ. შენ ხომ გაქვს დანა, კლაი, მეც მინდა.

— კარგი, — თავი დაუქნია კლაიმ, — მაგრამ ქამარი არა გაქვს. სუფრისგან უნდა გავაკეთოთ, მანამდე კი ფრთხილად იყავი.

სენდვიჩების ნაწილი ყველითა და შემწვარი ხორცის ნაჭრებით დაამზადეს, მეორე ნაწილი კი — ყველითა და ლორით. ელისმა სენდვიჩები ქაღალდში გაახვია. სალარო-აპარატის ქვეშ კლაიმ სახელუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რიანი პაკეტების დასტები იპოვა. ცალ მხარეს იყო პაკეტები წარწერით — „ძაღლებისთვის“, მეორე მხარეს კი — „ადამიანებისთვის“. ტომთან ერთად სენდვიჩები ორ პაკეტში ჩაალაგა, მესამეში კი სამი ბოთლი წყალი ჩადო.

კაფეში მაგიდები სადილისთვის გაეწყოთ, რომელიც, საუბედუროდ, აღარ შედგებოდა. ორი-სამი მაგიდა გადაებრუნებინათ, დანარჩენი კი ხელუხლებელი იდგა, ჭურჭელი და დანა-ჩანგალი ავარიული განათების კედლის ნათურების სინათლეს ირეკლავდა. მათი მოწესრიგებულობის დანახვაზე კლაის გული შეეკუმშა. ქათქათა ხელსახოცები, ყოველ მაგიდაზე პატარა ელექტროსანათი. ისინი არ ენთო და კლაი ეჭვობდა, რომ კიდევ დიდი ხანი გაივლიდა, ვიდრე აინთებოდა.

გახედა ელისსა და ტომს, რომლებიც დარბაზს ათვალიერებდნენ, და მათ სახეებზეც იგივე სევდა ამოიკითხა, რასაც თავად გრძნობდა. უეცრად ძალიან, — თითქმის მანიაკურად, — მოუნდა, ისინი როგორმე გაემხნევებინა. გაახსენდა ფოკუსი, რომლითაც დიდი ხნის წინ ვაჟიშვილს ართობდა. ისევ შეახსენა თავი ჯონის მობილურმა ტელეფონმა და გონებაში ჩაბუდებულმა თაგვმა-პანიკამ გალიის სიმყარე შეამოწმა, მაგრამ კლაი მთელი გულით იმედოვნებდა, რომ ის მობილური ტელეფონი მივიწყებული ეგდო ჯონის საწოლქვეშ, მტვრის გორგლებს შორის, უიმედოდ დამჯდარი აკუმულატორით.

— თუ შეიძლება, აქეთ მოიხედეთ, — სენდვიჩიანი პაკეტები გვერდით გადადო, — და ყურადღება მიაქციეთ ჩემი ხელების სიმარჯვეს, — კლაი მაგიდიდან ჩამოშვებულ სუფრას ჩაეჭიდა.

— ახლა ფოკუსების დრო არ არის, — შენიშნა ტომმა.

— მე კიდევ მინდა ვნახო, — არ დაეთანხმა ელისი და პირველად ამდენი ხნის განმავლობაში მის სახეზე ღიმილი დაინახეს. სულ მცირე, მაგრამ მაინც ღიმილი.

— სუფრა გვჭირდება, — აუხსნა ტომს კლაიმ, — სულ ერთი წამი უნდა, გარდა ამისა, ქალბატონს ნახვა სურს, — მერე ელისს მიუბრუნდა, — მაგრამ ჯადოსნური სიტყვა უნდა თქვა. შეიძლება, *სეზამიც* გამოდგეს.

— *სეზამ*! — წამოიძახა ელისმა და კლაიმ ორივე ხელით მაგრად გამოსწია სუფრა.

ეს ფოკუსი ორი თუ სამი წელი იყო, აღარ უჩვენებია და კინალამ ჩააფლავა, მაგრამ მისმა შეცდომამ — სავარაუდოდ, არასაკმარისი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიძლიერით სუფრის გამოწევამ, — ფოკუსს მეტი პენი შესძინა. თეფშები, დანა-ჩანგალი, ჭიქები, მაგიდის ნათურა იმის ნაცვლად, რომ ადგილზე დარჩენილიყო მათ ქვეშიდან სუფრის მაგიურად გაქრობის შემდეგ, დაახლოებით მეოთხედი დუიმით მარჯვნივ წანაცვლდა, კლაისთან ყველაზე ახლოს მდებარე ჭიქა კი ზედ მაგიდის კიდეზე შეჩერდა, ხოლო ძირის სულ მცირე ნაწილი იატაკის თავზე დაეკიდა.

ელისმა ტაშით დააჯილდოვა, მერე გაიცინა. კლაიმ თავი დაუკრა და ხელები გაშალა.

— ახლა შეგვიძლია, წავიდეთ, დიდო ვერმიჩელი? — შეეკითხა ღიმილით ტომი. კლაი განათების შუქზე ხედავდა, როგორ ელავდა მისი პატარა კბილები.

— როგორც კი ქამარს გავუკეთებ, — უპასუხა კლაიმ, — მაშინ შეეძლება ცალ მხარეს დანა ატაროს და მეორე მხარეს კი — სენდვიჩები. შენ წყალს აიღებ.

მერე კლაიმ კვადრატული სუფრა დიაგონალზე გადაკეცა და სამკუთხედი მიიღო, რომელიც სწრაფად გადაახვია და ქამრის ფორმა მისცა. ბოლოები პაკეტის სახელურებში გაუყარა და გოგონას წელზე შემოახვია. ერთ-ნახევარი შემოხვევა საკმარისი აღმოჩნდა, ბოლოები ზურგზე გაუკვანძა. მარჯვენა მხარეს პურის საჭრელი კბილანიანი დანა ჩაუმაგრა.

— ხელმარჯვე ყოფილხარ, — უთხრა ტომმა.

— მარჯვე ხელები და ყველაფერი გამოვა, — უპასუხა კლაიმ და იმავე წამს გარეთ რაღაც აფეთქდა, ისე ახლოს, რომ კაფეს კედლები შეაზანზარა. მაგიდის კიდეზე მდგარმა ჭიქამ წონასწორობა დაკარგა, იატაკზე დაენარცხა და დაიფშვნა. სამივემ ნამსხვრევებს დახედა. კლაის მათთვის უნდოდა ეთქვა, რომ ავის მომასწავებელი ნიშნების არ სჯერა, მაგრამ ხმა არ ამოულია, ამით ვერაფერს გამოასწორებდა. გარდა ამისა, ასეთი ნიშნების სწორედაც სჯეროდა.

17

კლაის სასტუმრო „ატლანტიკ-ავენიუ-ინში“ დაბრუნებისთვის საკუთარი მიზეზები ჰქონდა. ჯერ ერთი, თავისი ჩანთის წამოღება უნდოდა, რომელიც ვესტიბიულში დარჩა. გარდა ამისა, ელი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სის დანისთვის ბუდე იყო საჭირო. მისი აზრით, ამისთვის საპარსი მოწყობილობის ტომსიკა გამოდგებოდა, თუ სათანადო სიგრძისას იპოვიდნენ. და მესამეც, უნდოდა, მისტერ რიკარდისთვის მათთან ერთად წასვლის მესამე შანსი მიეცა. გააოცა იმის გაცნობიერებამ, რომ საკუთარ ჩანთასა და სურათებზე მეტად მელოტი პორტიეს დაყოლიება უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა. მართალია, უხალისოდ, მაგრამ მაინც სიმპათიით განიმსჭვალა ამ ადამიანისადმი.

ტომს თავისი ფიქრები გაუმხილა და მანაც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— იმავეს ვგრძნობ ანჩოუსიანი პიცის მიმართ. საკუთარ თავს ვარწმუნებ, რა საზიზღრობაა ყველის, ტომატის საწებლისა და მკვდარი თევზის შეხამება-მეთქი, მაგრამ ზოგჯერ სამარცხვინო სურვილი დამრევს ხელს და მისი ჭამისგან თავს ვერ ვიკავებ.

ქუჩაში, შენობებს შორის, ჭვარტლისა და ფერფლის შავი ქარბორბალა ტრიალებდა. წიოდა, ზრიალებდა, ჭყვიტინებდა სიგნალიზაციები: ავტომობილების, სახანძრო მანქანების, შენობების დაცვის სისტემების. ჰაერი თბილი არ იყო, მაგრამ კლაის ხანძრისთვის დამახასიათებელი ტკაცატკუცი ესმოდა იმ ადგილის სამხრეთითა და აღმოსავლეთით, სადაც ახლა იმყოფებოდნენ. ხანძრის მაუწყებელ მოძლიერებულ სუნსაც გრძნობდა. კომონის მხრიდან, იქ, სადაც ბოილსტონ-სტრიტი ფართოვდება, ყვირილი და ღრიალი ისმოდა.

როდესაც სასტუმრო „ატლანტიკ-ავენიუ-ინს“ მიუახლოვდნენ, ტომი კლაის კარის მინის პანელის ნაცვლად დარჩენილ ღიობში ჩაჭედილი სკამის ჩამოლებაში დაეხმარა. ვესტიბიულში უკვე ბნელოდა. უცნაურ ჩრდილებად მოჩანდა მისტერ რიკარდის სარეგისტრაციო დახლი და დივანი. კლაი უკვე ნამყოფი რომ არ ყოფილიყო შიგნით, ვერაფრით მიხვდებოდა, რას წარმოადგენდა ეს ჩრდილები. ავარიული განათების ერთადერთი ნათურა ლიფტების თავზე ენთო. ნათურის ქვემოთ მთელ ხმით ღმუოდა აკუმულატორი.

— მისტერ რიკარდი! — დაიძახა ტომმა, — მისტერ რიკარდი, დავბრუნდით! გვაინტერესებს, ხომ არ გადაიფიქრეთ?!

პასუხი არავის გაუცია. წამის შემდეგ ელისმა კარის პანელიდან მინის დარჩენილი ნამსხვრევების ამოძრობა დაიწყო.

— *მისტერ რიკარდი!* — ისევ დაიძახა ტომმა და რაკი პასუხი ისევ ვერ მიიღო, კლაის მიუბრუნდა, — გადაძრომას შეძლებ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰო, ჩემი ჩანთა უნდა ავილო. შიგ სურათებია.

— ასლები არა გაქვს?

— ესენი ორიგინალებია, — უპასუხა კლაიმ, თითქოს ეს ორი სიტყვა ყველაფერს განმარტავდა. გარდა ამისა, არც მისტერ რიკარდი უნდა დაევიწყებინათ. მან თქვა: *ყურს მოგიგდებთო.*

— თუ იმ გიჟმა იპოვა მეორე სართულიდან? — შეეკითხა ტომი.

— ეს რომ მომხდარიყო, გავიგონებდით, აქ როგორ დაბრაგუნებს, — უპასუხა კლაიმ, — ჩვენი ხმის გაგონებაზეც გამოვარდებოდა, როგორც ის შეშლილი ბიჭი, კომონთან რომ უნდოდა ჩვენი მოკვლა.

— ეს ხომ დანამდვილებით არ იცი, — ელისი ქვედა ტუჩს იკვნეტდა, — ჯერ კიდევ ადრეა იმის თქმა, რომ ყველა წესი გასაგებია.

რასაკვირველია, გოგონა მართალს ამბობდა, მაგრამ შეუძლებელი იყო, დაუსრულებლად შესასვლელთან მდგარიყვნენ და ამ, მართლაც მნიშვნელოვან საკითხზე ემსჯელათ. ამგვარი საუბარი არავითარ სარგებლობას არ მოიტანდა.

— ფრთხილად ვიქნები, — დაჰპირდა კლაი, ვიწრო ჭრილის ძირზე დადგა ფეხი და სივიწროვის მიუხედავად, გაძრომა შეძლო, — მხოლოდ მის კაბინეტში შევიხედავ. თუ იქ არ არის, ვესტიბიულში ბოდიალს არ დავიწყებ, როგორც საშინელებათა ფილმებში შეშინებული გოგონები იქცევიან. მარტო ჩემს ჩანთას ავიღებ და მერე აქედან დავახვევთ.

— იყვირე, — უთხრა ელისმა, — რაღაც ამის მსგავსი: ყველაფერი რიგზეა, კარგად ვარ, რაღაც ამდაგვარი. სულ იყვირე ხოლმე.

— კარგი. თუ გავჩუმდი, აქედან *მოუსვით.* ჩემ გამო ნუ შემოხვალთ.

— ნუ ღელავ, — ისე უპასუხა ელისმა, არ გაუღიმია, — მეც მაქვს ეგ ფილმები ნანახი. სინემაქსი[1] ჩვენთანაცაა.

18

— ოკეი, ყველაფერი რიგზეა, — დაიყვირა კლაიმ, თავის ჩანთას ხელი დასტაცა და სარეგისტრაციო დახლზე დადო. „*უკან დაბრუ-*

[1] *სინემაქსი — საკაბელო სატელევიზიო არხი, რომელიც, ძირითადად, მხატვრულ ფილმებს უჩვენებს.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნებაც შეიძლება", — გაიფიქრა თავისთვის, მაგრამ კიდევ ერთი პატარა საქმე რჩებოდა.

სარეგისტრაციო დახლს შემოუარა და დაინახა, რომ გატეხილი მინის პანელის ერთი ნაწილი ცოტათი ანათებდა გარემომცველ სიბნელეში და ჩამავალი დღის ფონს ორი სილუეტი ნაწილობრივ ფარავდა.

— კარგად ვარ, წინანდებურად კარგადაა ყველაფერი, მარტო მის კაბინეტში შევიხედავ. ყველაფერი რიგზეა, ისევ და ისევ.

— კლაი! — დაიძახა აღელვებულმა ტომმა, მაგრამ კლაის მის დასამშვიდებლად პასუხის გაცემა არ შეეძლო. კაბინეტის ცენტრში, მაღალ ჭერში, ჭალი მოჩანდა, ხოლო ჭალზე, ფარდების შესაკრავ თასმაზე, მისტერ რიკარდი ეკიდა. თავზე თეთრი ცელოფანი ჰქონდა ჩამოცმული. კლაიმ გაიფიქრა, რომ ასეთ ცელოფანებს სასტუმროს კლიენტებს ურიგებდნენ გასარეცხი ან გასაწმენდი სამოსის ჩასადებად.

— კლაი, როგორ ხარ?!

— კლაი! — ელისს ხმაზე ეტყობოდა, უკვე ისტერიკის ზღვარზე იყო.

— რიგზე ვარ! — გაიგონა საკუთარი ხმა. პირი დამოუკიდებლად მოქმედებდა, თავის ტვინის ბრძანებას არ დალოდებია, — ჯერ აქა ვარ! — მერე გაახსენდა, როგორ გამოიყურებოდა მისტერ რიკარდი, როდესაც თქვა: *ჩემს სამუშაო ადგილზე დავრჩები.* მაღალფარდოვნად ჟღერდა ეს სიტყვები, მაგრამ მის თვალებში შიში და ბედისწერისადმი მორჩილება იკითხებოდა; პატარა ენოტს ჰგავდა, რომელიც გარაჟის კუთხეში დიდმა, ბოროტმა ძაღლმა მიიმწყვდია, — უკვე მოვდივარ.

უკან-უკან წავიდა, თითქოს იმის ეშინოდა, რომ თუ ზურგს შეაქცევდა, მისტერ რიკარდი თვითნაკეთი თოკიდან გამოსრიალდებოდა და ზედ დაეცემოდა. ახლა შერონისა და ჯონის გამო არა მხოლოდ ღელავდა და ეშინოდა. თავით ფეხამდე დაფარა სახლის, მათი მონატრების სევდიანმა ტალღამ. ეს გრძნობა ისეთი ძლიერი იყო, რომ უეცრად გაახსენდა თავისი პირველი დღე სკოლაში, როდესაც დედამ სკოლის ჭიშკართან მარტო დატოვა. დანარჩენი მშობლები შვილებთან ერთად შედიოდნენ, დედამ კი უთხრა: *წადი, კლაიტონ, ეს შენი პირველი საკლასო ოთახია. ყველაფერი კარგად იქნება, ბიჭმა მარტომ უნდა შეაბიჯოს ამ ჭიშკარში.* მაგრამ, სანამ დედის მოთხოვნას შეასრულებდა, იდგა და უყურებდა, როგორ მიუყვებოდა ის კედრის ქუჩას... ლურჯ პალტოში გამოწყობილი... და აი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ახლა, სიბნელეში იდგა და კიდევ ერთხელ იგრძნო, რომ მშობლიური სახლის მონატრება ნამდვილ ავადმყოფობასავითაა.

ტომი და ელისი ურიგო კომპანიონები არ არიან, მაგრამ როგორ უნდოდა იმათ გვერდით ყოფნა, ვინც უყვარდა.

სარეგისტრაციო დახლს შემოუარა, პირით ქუჩისკენ შებრუნდა და ვესტიბიული გაიარა. კართან საკმარისად ახლოს მივიდა და ახალი მეგობრების შეშინებული სახეები შენიშნა. სწორედ მაშინ გაახსენდა, რომ ის დაწყევლილი ჩანთა ისევ დახლზე დარჩა და ახლა მის წამოსაღებად უნდა მიბრუნებულიყო. ჩანთის სახელურს ხელი რომ ჩასჭიდა, დარწმუნებული იყო, სადაცაა მისტერ რიკარდის ხელი დახლის მეორე მხრიდან მის ხელს შეხვდებოდა. მსგავსი არაფერი მომხდარა, მაგრამ მეორე სართულზე ისევ რაღაცამ დაიბრახუნა. იქ ვილაც ისევ იყო, ისევ აგრძელებდა თავის გარშემო ყველაფრის ნგრევას უკუნეთ სიბნელეში... და ის ვილაც დღის სამ საათამდე ჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ.

უკვე გაიარა იმ მანძილის ნახევარი, რომელიც სარეგისტრაციო დახლს შემოსასვლელისგან აშორებდა, როდესაც ავარიული განათების ერთადერთი ნათურა, რომელიც აკუმულატორით იკვებებოდა, აციმციმდა და ჩაქრა.

„ეს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების დარღვევაა, — გაიფიქრა კლაიმ, — *საჩივარი უნდა დავწერო*".

ჩანთა ტომს გაუწოდა. მან ჩამოართვა.

— სად არის? — შეეკითხა ელისი, — იქ არ იყო?

— მკვდარია, — თქვა კლაიმ. თავში გაუელვა, ტყუილი ეთქვა, მაგრამ მიხვდა, ვერ შეძლებდა. მეტისმეტად ძლიერი იყო ნანახით გამოწვეული შთაბეჭდილება. როგორ შეიძლება ადამიანმა სიცოცხლე მოისწრაფოს? მისთვის ასეთი რამ სრულიად გაუგებარი გახლდათ, — თვითმკვლელობაა.

ელისი ატირდა. კლაიმ გაიფიქრა, გოგონამ არ იცოდა, რომ სასტუმროს შესასვლელ კართან მოკვდებოდა, კლაისა და ტომს მისტერ რიკარდისთვის რომ დაეჯერებინათ. კლაის კი ეს კარგად ახსოვდა, მაგრამ ცრემლებს თავადაც ძლივს იკავებდა, იმიტომ, რომ მისტერ რიკარდი ისე მოიქცა, როგორც ნამდვილ ადამიანს შეეფერება. ასე იქცევა ადამიანების უმეტესობა, როდესაც მათ სათანადო შესაძლებლობა მიეცემათ.

ჩაბნელებულ ქუჩაზე დასავლეთიდან, კომონის მხრიდან, ისეთი ლრიალი მოესმათ, რომელიც შეუძლებელია ადამიანის ფილტვე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიდან ამოსულიყო. ალბათ, ასე ღრიალებს სპილო. ყვირილში არც ტკივილი იგრძნობოდა, არც სიხარული. მხოლოდ სიგიჟე. ელისი მიეკრა. კლაიმ ხელი მოხვია და თითქოს ელექტრონის მავთულს შეეხო, რომელშიც მაღალი ძაბვის ელექტროენერგია გადის.

— აქედან წასვლას თუ ვაპირებთ, არ უნდა გადავდოთ, - თქვა ტომმა, — რაიმე უსიამოვნებას თუ არ გადავეყარეთ და ჩრდილოეთისკენ ვიარეთ, მოლდენამდე ჩავალთ და ჩემს სახლში გავათევთ ღამეს.

— ჯოჯოხეთურად მშვენიერი აზრია, — უპასუხა კლაიმ.

ტომმა ფრთხილად გაიღიმა.

— მართლა ასე ფიქრობ?

— ჰო. ვინ იცის, იქნებ იქ უკვე გველოდება ოფიცერი ეშლენდი.

— ვინ არის ოფიცერი ეშლენდი? — იკითხა ელისმა.

— საპატრულო პოლიციის ოფიცერი, რომელიც კომონთან შეგვხვდა, — თქვა ტომმა, — მან... როგორ ვთქვა, მოკლედ, დაგვეხმარა.

სამივენი ალმოსავლეთისკენ, ატლანტიკ-ავენიუსკენ მიდიოდნენ. ციდან ფერფლი ეშვებოდა, გარშემო სირენების გამაყრუებელი ხმები ისმოდა.

— რასაკვირველია, მას ვერ შევხვდებით, — იხუმრა კლაიმ.

— ოჰ, — თქვა ელისმა, — კარგია, ვილაც მაინც რომ ცდილობს ხუმრობას.

ტროტუარზე, ნაგვის ურნის გვერდით, ცისფერი მობილური ეგდო გაბზარული კორპუსით. ელისს ნაბიჯი არ შეუნელებია, ტელეფონს ფეხი ჰკრა და წყალსადინარ თხრილში მოისროლა.

— მშვენიერი დარტყმაა, — თქვა კლაიმ.

ელისმა მხრები აიჩეჩა.

— ხუთი წელია, სოკერს[1] ვთამაშობ, — სწორედ იმწუთას ქუჩის განათება ჩაირთო, თითქოს იმის ნიშნად, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ არ იყო დაკარგული.

[1] *ევროპულ ფეხბურთს აშშ-ში სოკერს უწოდებენ.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამოცდანი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

1

ათასობით ადამიანი მისტიკის ხიდზე[1] იდგა და თვალს ადევნებდა, როგორ იწვოდა ყველაფერი კომონუელს-ავენიუსა[2] და ბოსტონის ნავსადგურს შორის, ზოგან კი იმ წუთს იწყებოდა ხანძარი. დასავლეთის ქარი ჩადგომას არ აპირებდა, მზის ჩასვლის შემდეგაც კი თბილი რჩებოდა, ცეცხლი კი ისე ტკაცუნობდა, როგორც ღუმელში, და ვარსკვლავების სინათლეს აქრობდა. ჰორიზონტზე სავსე, საზიზღარი მთვარე გამოჩნდა. ზოგჯერ კვამლი ფარავდა, მაგრამ სხვა დროს დრაკონის გადმოკარკლული თვალივით ეკიდა ცაში და ქვემოთ იყურებოდა, თან დაბინდულ ნარინჯისფერ სინათლეს აფრქვევდა. კლაი ფიქრობდა, რომ ეს იყო მთვარე საშინელებათა კომიქსიდან, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

ხმას თითქმის არავინ იღებდა. ხიდზე მდგარი ადამიანები უმზერდნენ ქალაქს, რომელიც ცოტა ხნის წინ დატოვეს, აკვირდებოდნენ, როგორ მიაღწია ალმა სანაპიროზე მდებარე ძვირად ღირებულ კონდომინიუმებამდე და მათ შთანთქმას შეუდგა. სხვადასხვა სახეობის სიგნალიზაციის ზუზუნი ისმოდა და ერთმანეთს ფარავდა — ავტომობილებისა და სახანძრო მანქანების სიგნალიზაციას სირენების კივილიც ერთვოდა. ერთხანს დინამიკებით გაძლიერებული მექანიკური ხმა მოქალაქეებს არწმუნებდა, დაეტოვებინათ ქუჩები. მერე მეორემ დაიწყო რჩევის მიცემა: „ქალაქიდან ფეხით გადით ცენტრალური ქუჩების გავლით, რომლებიც დასავლეთიდან ჩრდილოეთისკენ მიემართება“. ეს ორი ურთიერთ-

[1] *მისტიკის ხიდი — ქალაქ ბოსტონის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა.*

[2] *კომონუელს-ავენიუ ბოსტონის ბეკ-ბეის რაიონის ცენტრალური ქუჩაა. აგებულია პარიზის პროსპექტების მიბაძვით და ძველებური სახლები ამშვენებს.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამომრიცხავი რეკომენდაცია რამდენიმე წუთის განმავლობაში ეპაექრებოდა ერთმანეთს, ბოლოს პირველი (ДАТОВЕТ ДУЧЕБИ) დადუმდა. ხუთი წუთის შემდეგ მეორის (ДАЛАДИДАН ФЕХИТ ГАДИТ ЦЕНТРАЛУРИ ДУЧЕБИС ГАВЛИТ, РОМЛЕБИЦ ДАСАВЛЕТИДАН ЧРДИЛОЕТИСКЕН МИЕМАРТЕБА) ხმაც შეწყდა და ისმოდა მხოლოდ ქარით გაძლიერებული ხანძრის დამშეული ხმაური, ასევე მონოტონური, ზრიალის დაბალი ხმა (კლაიმ ჩათვალა, რომ ხანძრის სიმხურვალის გამო შენობებში მინები სკდებოდა). აინტერესებდა, რამდენი ადამიანი აღმოჩნდა ხანძარსა და წყალს შორის ხაფანგში მოქცეული.

— გახსოვს, რომ იკითხე, შეიძლება თუ არა იწვოდეს თანამედროვე ქალაქი? — მიუბრუნდა ტომ მაკორტი. ხანძრის სინათლეზე მისი პატარა ინტელიგენტური სახე დაღლილი და ავადმყოფური ჩანდა. ერთ ლოყაზე ჭვარტლი ეცხო, — გახსოვს?

— გაჩუმდით და წავედით, — ჩაერია ელისი. იმით გაოგნებული, რაც მის თვალწინ ხდებოდა, ტომის მსგავსად ისიც ჩურჩულით ლაპარაკობდა. *„თითქოს ბიბლიოთეკაში ვიყოთ,* — გაიფიქრა კლაიმ. მაგრამ ეს აზრი მაშინვე სხვამ შეცვალა, — *არა, დასაფლავებაზე“,* — არ შეგვიძლია წავიდეთ? სადაცაა გული ამერევა.

— რა თქმა უნდა, — თავი დაუქნია კლაიმ, — შეგვიძლია წასვლა. ტომ, შენს სახლამდე შორია?

— აქედან ორ მილზე ცოტა ნაკლებია, — უპასუხა ტომმა, — ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ხანძარი მხოლოდ ჩვენ უკან არ არის, — ახლა ჩრდილოეთისკენ შებრუნდნენ და ტომმა მარჯვნივ მიუთითა. იქაც ისეთივე სინათლე მოჩანდა, როგორიც ბოსტონის ამ მხარეს, ისეთი, როგორიც ლრუბლიან ღამეში ქუჩის ლამპიონებიდან იღვრება ხოლმე, მაგრამ ახლა მოწმენდილი ღამე იდგა, ხოლო ლამპიონები არ ენთო. ყოველ შემთხვევაში, მათ კვამლი მაინც არ ასდიოდა.

ელისმა ამოიკვნესა, მერე პირზე ხელი მიიდო, თითქოს ეშინოდა, რომ ისინი, ვინც მდუმარედ უმზერდნენ ბოსტონის ხანძარს, სიჩუმის დარღვევისთვის უსაყვედურებდნენ.

— ნუ ღელავ, — ტომის ხმაში იდუმალი სიმშვიდე იგრძნობოდა, — ჩვენ მოლდენში მივდივართ, ხანძარი კი რივერში უნდა იყოს. ქარი ისე ქრის, მოლდენს არაფერი ემუქრება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ამით დაასრულე და გაჩუმდი“, — გაიფიქრა კლაიმ, მაგრამ ტომს ეს არ გაუგონია.

— ჯერჯერობით, — დაამატა მან.

2

ხიდის ქვედა დონეზე ათეულობით მიტოვებული მანქანა იდგა, ასევე, სახანძრო მანქანა მუქ-მწვანე ბორტზე წარწერით „ალმოსავლეთი ბოსტონი“, რომელსაც ბეტონსარევი შესჯახებოდა (კაბინები ცარიელი იყო), მაგრამ ხიდის ეს დონე, ძირითადად, ქვეითად მოსიარულეებისთვის იყო განკუთვნილი. *„მაგრამ მათ ახლა, ალბათ, ლტოლვილები უნდა დავუძახოთ*, — გაიფიქრა კლაიმ, მერე მიხვდა, რომ ნაცვალსახელი „მათ“ შეცდომით გამოიყენა, — *ჩვენ. ჩვენ შეიძლება ლტოლვილები გვეწოდოს“.*

ხმას თითქმის არავინ იღებდა. ადამიანები, ძირითადად, იდგნენ და ალმოდებულ ქალაქს უმზერდნენ. ვინც არ იდგა, ძალიან ნელა მიდიოდა და ხშირ-ხშირად იხედებოდა უკან. როდესაც ხიდის ბოლოს მიაღწიეს (ძველი ჯავშნოსანი[1] დაინახა, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩათვალა, რომ ღუზაზე ძველი ჯავშნოსანი იდგა, ცეცხლისგან მოშორებით, უსაფრთხო ადგილზე), ერთ უცნაურ გარემოებას მიაქცია ყურადღება. ბევრი მისჩერებოდა ელისს. თავდაპირველად, სრულიად პარანოიდულმა იდეამ გაუელვა: ადამიანებს ჰგონიათ, მან და ტომმა გოგონა მოიტაცეს და ახლა ქალაქიდან მიჰყავთ, ღმერთმა იცის, რა სახის ამორალური მიზნებისთვის. მერე საკუთარ თავს შეახსენა, რომ მისტიკის ხიდზე მდგარი ეს მოჩვენებად ქცეული ადამიანები შოკურ მდგომარეობაში იყვნენ, მათი ცხოვრება იმაზე მეტად შეიცვალა, ვიდრე ქარიშხალ „კატრინაში“[2] მოხვე-

[1] *ძველი ჯავშნოსანი — სამხედრო გემი, სახელწოდებით „კონსტიტუციური“ ბოსტონში 1797 წელს ჩაუშვეს წყალში. ის აშშ-ის ერთ-ერთი უძველესი ხომალდია, რომელიც 42 საზღვაო ბრძოლაში მონაწილეობდა. დღეს ბოსტონის ერთ-ერთი მუზეუმია.*

[2] *ქარიშხალი „კატრინა“ 2005 წელს დაატყდა თავს აშშ-ის ატლანტის ოკეანის სანაპიროს და ის ქვეყნის ისტორიაში ყველაზე დამანგრეველი შედეგით გამოირჩევა. ძირითადად, დაზარალდა ქალაქი ნიუ-ორლეანი და მიმდებარე ტერიტორიები.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დრილების (მაშინ წინასწარ მაინც გააფრთხილეს მოსახლეობა) და, ალბათ, ამგვარი აზრი არც კი გაუელვებდათ. უმრავლესობა ისე იყო საკუთარ თავში ჩაძირული, მორალური პრობლემები სრულებით არ აწუხებდა. შემდეგ მოლონიერებულმა მთვარემ მეტად გაანათა და მაშინ კი მიხვდა: ელისი ერთადერთი მოზარდი გახლდათ. კლაიც კი, გასაჭირში მყოფ დანარჩენ ლტოლვილებთან შედარებით, თავს ახალგაზრდად გრძნობდა. მისტიკის ხიდზე მდგართა დიდი ნაწილი, რომელიც ახლა ბოსტონის ადგილზე აბრიალებულ ცეცხლს უცქერდა ან მოლდენისა თუ დენვერსისკენ მიდიოდა, ორმოც წელს იყო მიღწეული. უმეტესობას კი უკვე გადაებიჯებინა საპენსიო ასაკისთვის და სწრაფი მომსახურების კაფეებში ფასდაკლებით სარგებლობაც ეკუთვნოდა. რამდენიმე წყვილი დაინახა პატარა ბავშვებითურთ, ორი-სამი ჩვილი ეტლებში, ამით ამოიწურებოდა ახალგაზრდების რიცხვი.

მოშორებით კიდევ რაღაც შენიშნა. გზის გაყოლებაზე ლამის ყოველ ნაბიჯზე მობილური ტელეფონები ეყარა. მათ შორის არც ერთი მთელი აღარ იყო. მიწაზე დანარცხებულებს მერე ფეხით ან ქვით ამტვრევდნენ, რომ მისგან მხოლოდ პლასტმასის ნამსხვრევები და მავთულების კონა დარჩენილიყო, ანადგურებდნენ საშიში შხამიანი ქვეწარმავლების დარად, კიდევ რომ არ ეკბინათ.

3

— რა გქვია, ძვირფასო? — შეეკითხა მსუქანი ქალი, რომელიც მათ გზატკეცილზე მიუახლოვდა. მას შემდეგ, რაც ხიდი დატოვეს, ხუთი წუთიც არ იყო გასული. ტომის თქმით, თხუთმეტ წუთში სეილემის ქუჩის შესასვლელთან იქნებოდნენ, იქიდან კი მის სახლამდე ოთხი კვარტალი იყო დარჩენილი. მერე ისიც დაამატა, როგორ გახარებული შეხვდებოდა მათ მისვლას მისი კატა, რასაც ელისმა განაწამები ღიმილით უპასუხა. *„სულ არაფერს, განაწამები ღიმილი მაინც სჯობს“*, — გაიფიქრა კლაიმ.

ელისმა ინსტინქტური უნდობლობით შეხედა მსუქან ქალს, რომელიც ჩამოშორდა მდუმარე ქალებისა და მამაკაცების ჯგუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფებსა და მწკრივს (ისინი ძლივს გამოირჩეოდნენ იმ ჩრდილე-ბისგან, რომლებსაც ჩემოდნები, სუპერმარკეტების გატენილი ცელოფანები მიჰქონდათ ან ზურგჩანთები ეკეთათ), მდინარე მისტიკი უკან მოიტოვეს და ახლა ჩრდილოეთისკენ მიუყვებოდ-ნენ ნომერ 1-ლ გზატკეცილს. გაურბოდნენ სამხრეთში გაჩენილ უზარმაზარ ხანძარს და სრულად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ კიდევ ერთი ხანძარი ჩრდილო-აღმოსავლეთში, რივერში გაჩნდებოდა.

მსუქანი ქალი ელისს დაუფარავი ინტერესით ათვალიერებდა. მისი ჭალარა თმა საპარიკმახეროში აკურატულ კულულებად დაეხ-ვიათ. სათვალე ეკეთა და ეცვა ის, რასაც კლაის დედა „მოკლე პალ-ტოს" უწოდებდა. ერთ ხელში ცელოფანის პაკეტი ეჭირა, მეორეში — წიგნი. თითქოს სახიფათო არ იყო. რასაკვირველია, სრულებით არ ჰგავდა მობილოგიჟებს[1] (არც ერთი მსგავსი არსება არ შეხვე-დრიათ მას შემდეგ, რაც საკვებითა და სასმლით დატვირთული პაკეტებით „ატლანტიკ-ავენიუ-ინი" დატოვეს), მაგრამ კლაი მაინც დაიძაბა. მსუქანი ქალი ტრადიციული ჩაის სმის მონაწილესავით იქცეოდა, რომლის დროსაც ადამიანები ერთმანეთის გასაცნობად დადიან და სრულებითაც არ ეტყობოდა, რომ ქალაქიდან გარბო-და. ეს კი ნამდვილად ნორმალური საქციელი იყო, მაგრამ შექმნილ გარემოებაში რას შეიძლება ნორმალური საქციელი დაერქვას? შესაძლოა, ყველაფერს ეჭვის თვალით უცქერდა, მაგრამ ასევე იქ-ცეოდა ტომიც, იმიტომ, რომ თვალს არ აცილებდა ამ მსუქან ქალს, რომელიც მზრუნველ დედიკოს ჰგავდა, ტომს კი სახეზე აშკარად ეწერა: „შენი გზით წადი".

— ელისი, — უპასუხა ბოლოს გოგონამ, როდესაც კლაიმ უკვე გადაწყვიტა, რომ ის ხმის გაცემას არ აპირებდა. იმ მოსწავლის ხმა ჰქონდა, რომელსაც, მისი აზრით, ძალიან ეშმაკური შეკითხვა დაუსვეს მისთვის ძნელ საგანში, — ელის მაქსველი მქვია.

— ელისი, — გაიმეორა მსუქანმა ქალმა და დედობრივი ღიმილი გადაეფინა სახეზე, ისეთივე დამტკბარი, როგორიც გოგონასადმი მისი ინტერესი იყო. ამ ღიმილს თითქოს კლაი არ უნდა შეეშფოთე-ბინა, მაგრამ სწორედაც რომ შეაშფოთა, — მშვენიერი სახელია. „ღმერთისგან დალოცვილს" ნიშნავს.

[1] *მობილოგიჟები — ადამიანები, რომლებიც ჭკუაზე შეშალა მობილური ტელეფონით მიღებულმა იმპულსმა (სიგნალმა, ბრძანებამ).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— სინამდვილეში, მემ, ელისი „მეფური ან კეთილშობილური წარმომავლობისას“ ნიშნავს, — ჩაერია ტომი, — ახლა კი, გთხოვთ, მოგვიტევოთ, იმიტომ, რომ გოგონამ დღეს დედა დაკარგა და...

— დღეს ჩვენ *ყველამ ვილაცა* დავკარგეთ, ასე არ არის, ელის? — მსუქან ქალს ტომის შენიშვნისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ის ელისს გვერდში ამოუდგა, მისი კულულები ყოველ ნაბიჯზე ირხეოდა. ელისი უნდობლად და, იმავდროულად, მოჯადოებულივით შესცქეროდა. გარშემო ადამიანები მიაბიჯებდნენ, ძირითადად, ნელა, მაგრამ ზოგჯერ სწრაფადაც, თავდახრილები. უჩვეულო სიბნელეში მოჩვენებებისგან დიდად არ განსხვავდებოდნენ და კლაი ისევ ვერ ხედავდა მათ რიგებში მოზარდებს, თუ ეტლში რამდენიმე პაწიას და ცოტათი წამოზრდილს არ ჩავთვლით, და ელისს. არ იყო არც ერთი ტინეიჯერი, იმიტომ, რომ მათ მობილური ტელეფონები აქვთ, როგორც იმ ქერათმიან ფერიას, რომელსაც „მისტერ სოფტის“ ბორბლებიან მაღაზიასთან შეხვდა. ან როგორ მის ვაჟს, რომელსაც წითელი „ნეკსტელი“ აქვს, ზარად კი — *„მონსტრების კორპორაციის“* მელოდია და მასწავლებელი დედა ჰყავს. ახლა შეიძლება დედა მის გვერდით იყოს, შეიძლება სადმე... *„შეწყვიტე! არ გაბედო ამ თაგვის გარეთ გამოშვება! მას მარტო სირბილი, კბენა და საკუთარი კუდის ღრღნა შეუძლია“*.

ამასობაში მსუქანი ქალი თავის კანტურს აგრძელებდა. მისი კულულები თავის ყოველ დაქნევაზე ირხეოდა.

— დიახ, ჩვენ ყველამ ვილაც დავკარგეთ, იმიტომ, რომ დიდი განსაცდელის ჟამი დადგა. ეს ყველაფერი აქ არის, „გამოცხადებაში“, — ქალმა წიგნი ასწია და, რასაკვირველია, ეს წიგნი ბიბლია იყო. და კლაიმ სწორედ მაშინ გაიფიქრა, რომ სათვალის მინებს მილმა ახლა კარგად დაინახა მისი თვალების ელვარება, რომელიც არა ინტერესს, არამედ შეურაცხადობას მოწმობდა.

— აბა, მორჩა, ვინც ზედმეტია, უნდა მოგვშორდეს, — ტომის ხმაში უკმაყოფილებასთან ერთად (იმის გამო, რომ ამ მსუქან ქალს მიახლოებასა და გამოლაპარაკებაში ხელი არ შეუშალა) შეშფოთებაც იგრძნობოდა.

მსუქან ქალს მისი სიტყვებისთვის კვლავ ყურადღება არ მიუქცევია. ელისი თავისი მზერით მონუსხა, ვის ძალუძდა მისი ჩამოშორება? პოლიციას სხვა საქმეებიც თავზე საყრელი ჰქონდა, რასაკვირველია, თუკი ისევ არსებობდა. მათ გარშემო მხოლოდ გასაცო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დავებული ლტოლვილები იყვნენ, ძლივს რომ მილასლასებდნენ და სრულებით არ აინტერესებდათ შექანებული კულულებიანი მსუქანი ქალი ბიბლიით ხელში.

— უგუნურების ჭურჭელი ჩაიღვარა ცოდვილთა გონებაში და ცოდვის ქალაქი განწმენდისთვის განკუთვნილმა ჩირაღდანმა ააგიზგიზა, იე-ღო-ვას ჩირაღდანმა! — წამოიძახა მსუქანმა ქალმა. ტუჩები წითელი პომადით ჰქონდა დაფერილი. კბილები მეტისმეტად სწორი მოუჩანდა, ესე იგი, არა მეტალკერამიკას, არამედ ძველმოდურ პროთეზებს იყენებდა, — ახლა კი ხედავთ, ცოდვების მოუნანიებელნი როგორ გარბიან, დიახ, სწორედაც ასე, ჭიაღუა გამსკდარი ფაშვიდან მი...

ელისმა ყურებზე ხელები აიფარა, „ხმა ჩააწყვეტინეთ!“ — იყვირა გოგონამ, თუმცა, ჩრდილ-მოჩვენებებად ქცეული ლტოლვილები, ცოტა ხნის წინ დიდ ქალაქ ბოსტონში რომ ბინადრობდნენ, მათ გულგრილად უვლიდნენ გვერდს, მხოლოდ ზოგიერთი შეავლებდა დაბინდულ მზერას, რომელშიც ინტერესის ნატამალი არ ჩანდა, მერე ისევ სიბნელეს აშტერდებოდნენ. იქ, სადღაც მათ წინ, ნიუ-ჰემფშირის შტატი მდებარეობდა.

მსუქანი ქალის გაოფლიანებული სახე ალაპლაპდა, ბიბლია ისევ თავზემოთ აღმართა, თვალები უელავდა, პარიკმახერის დავარცხნილ-დალაგებული კულულები ირხეოდა და დახტოდა.

— ხელები ჩამოუშვი, გოგონა, და ღმერთის სიტყვა შეისმინე, ვიდრე ეს ადამიანები წაგიყვანენ და შეურაცხგყოფენ ჯოჯოხეთის გახსნილი კარის ზღურბლზე! იმიტომ, რომ ცაზე მოციმციმე ვარსკვლავი დავინახე, აბზინდა ჰქვია, და ის, ვინც მას გაჰყვა, პირდაპირ ლუციფერისკენ მიდის, ხოლო ვინც ლუციფერის კვალზე მიდის, ის ცე...

კლაიმ ჩაარტყა. უკანასკნელ წუთს დარტყმა მოზომა, მაგრამ მაინც მთელი გულითა და სულით დაუმიზნა ყბაში, კარგად იგრძნო, როგორ დაუარა დარტყმის უკუცემამ მკლავში და ბეჭამდე მიაღწია. მსუქანი ქალის სათვალე მის მოზრდილ ცხვირზე ახტა და მერე თავის ადგილს დაუბრუნდა. თვალებმა მინებს მილმა ელვარება დაკარგა და ქუთუთოებში შეიმალა. მუხლები მოეკეცა, ქალი ეცემოდა, ბიბლია ხელიდან გაუსხლტა. ჯერ კიდევ გაოგნებულმა და დაშინებულმა ელისმა სასწრაფოდ მოიშორა ყურებიდან ხელები და წიგნს ხელი სტაცა, ტომ მაკორტმა კი ქალს ხელი შეაშველა. ეს ყველაფერი ქორეოგრაფიული სიზუსტით მოახერხეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კლაიზე ამ ინციდენტმა უფრო მეტად იმოქმედა, ვიდრე ყველაფერმა იმან, რაც სამყაროს ჭკუაზე შეშლის შემდეგ მოხდა. რატომ მოახდინა მასზე უფრო მეტი შთაბეჭდილება მსუქანმა ქალმა, ვიდრე კბილებით ყელის გამომღადვრელმა გოგონამ ან დანით ხელში მოსიარულე ბიზნესმენმა, უფრო მეტად, ვიდრე მისტერ რიკარდიმ, რომელმაც თავზე ცელოფანი ჩამოიცვა და თავისი კაბინეტის ჭალზე ჩამოიხრჩო თავი, კლაიმ არ იცოდა, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ასე მოხდა. დანიან ბიზნესმენს ჩაარტყა, მერე ტომიც ამგვარადვე მოიქცა, მაგრამ ბიზნესმენის ჭკუაზე შეშლა მობილურმა ტელეფონმა გამოიწვია, ეს მსუქანი, ხანში შესული კულულებიანი ქალი კი მხოლოდ და მხოლოდ...

— ღმერთო, — ამოიოხრა მან, — შექანებულია, ესაა და ეს, მე კი დავარტყი.

კლაის ააკანკალა.

— გოგონა დააშინა, რომელმაც დღეს დედა დაკარგა, — თქვა ტომმა და კლაი მიხვდა, რომ ტანმორჩილი მამაკაცის ხმაში არა სიმშვიდე, არამედ უცნაური სიცივე ისმოდა, — სწორად მოიქეცი. გარდა ამისა, ამისთანა ბებერ რკინის ცხენებს წყობიდან ასე იოლად ვერ გამოიყვან. შეხედე, უკვე გონს მოდის. მომეხმარე, გზის გადაღმა გადავიყვანოთ.

4

გზატკეცილის იმ ნაწილს მიაღწიეს, რომელსაც ხან „საოცრებათა გზას“ უწოდებდნენ, ხანაც „ჭუჭყიან შესახვევს“. თუ გზატკეცილიდან გადასახვევები მანამდე იშვიათად ხვდებოდათ, ახლა ყოველ ნაბიჯზე იყო. ეს გადასახვევები მიდიოდა ღვინის სუპერმარკეტებთან, ფასდაკლებული სამოსით მოვაჭრე მაღაზიებთან, სპორტული აღჭურვილობის სავაჭრო ცენტრებსა და იაფფასიან რესტორნებთან „ფადრუკესის“ მსგავსი უცნაური დასახელებებით. აქ ექვსზოლიანი სავალი ნაწილი, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გავსებული იყო შეჯახებული და ასევე, მიტოვებული ავტომობილებით, რომელთა პანიკაში ჩავარდნილმა მძღოლებმა მობილურებს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სტაცეს ხელი და მაშინვე ჭკუაზე შეიშალნენ. ლტოლვილები ამ მანქანებს შორის გასასვლელებს გაჭირვებით ეძებდნენ. კლაი რიდელს ისინი იმ ჭიანჭველებს აგონებდნენ, რომლებიც ვიღაც უგუნურის ჩექმის დარტყმით მოშლილი ბუდიდან ახალ ადგილზე გადადიან.

მწვანე სინათლის ამრეკლავი დიდი დაფა მოჩანდა წარწერით: ᲛᲝᲚᲓᲔᲜᲘ, ᲨᲔᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲡᲔᲘᲚᲔᲛᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, 1/4 ᲛᲘᲚᲘ. დაფა დაბალი, ვარდისფერი შენობის გვერდით იდგა, რომელშიც მძარცველებმა უკვე მოასწრეს სტუმრობა. შენობის წინ მიწა მინის ნამსხვრევებით იყო დაფარული, ხოლო აკუმულატორზე მომუშავე სიგნალიზაციის სისტემა რალაც ბგერების გამოცემას ლამობდა და შემონახულ ელექტროენერგიას ხარჯავდა. კლაიმ კიდევ ერთხელ შეავლო თვალი მუქი ფერის ფირნიშს და მაშინვე მიხვდა, რამ მიიზიდა მძარცველები: ᲛᲘᲡᲢᲔᲠ ᲑᲘᲒᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐ ᲑᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲤᲐᲡᲓᲐᲙᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ.

ქალის ცალ ხელს ჩაეჭიდა, ტომი — მეორეს, ელისს კი მობუტბუტე ქალის თავი ეჭირა. სარეკლამო დაფის ორი სვეტიდან ერთ-ერთთან დასვეს. ქალმა მაშინვე გაახილა თვალები და სამივეს დაბინდული მზერა შეავლო.

ტომმა ქალის თვალების წინ თითები ორჯერ გაატკაცუნა. ქალმა თვალები დაახამხამა და მერე კლაის შეხედა.

— თქვენ... გამარტყით, — თქვა და ხელით მოისინჯა ყბა, რომელიც თანდათან უსივდებოდა.

— დიახ, ვწუხ... — წამოიწყო კლაიმ.

— შეიძლება, ეს წუხს, მაგრამ მე კი სრულებით არა, — ტომი წინანდებურად ცივად ლაპარაკობდა, — თქვენ ჩვენი მეურვეობის ქვეშ მყოფი გოგონა დააშინეთ.

მსუქან ქალს გაეცინა, მაგრამ თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

— *მეურვეობის ქვეშ მყოფი*! ამას რა სახელს არ ეძახდნენ, მაგრამ ასეთი რამ პირველად მესმის. თითქოს არ ვიცოდე, რა ხალხი ხართ მამაკაცები და რა გინდათ ასეთი ნაზი გოგონასგან, განსაკუთრებით, ასეთ ვითარებაში. „არ შეინანეს არც თავიანთი მკვლელობანი და არც თავიანთი გრძნეულებანი, არც თავიანთი სიძვანი...“[1]

[1] *ციტატა იოანეს გამოცხადებიდან, 9:21.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ხმა ჩაიწყვიტე, — წინადადება არ დაასრულებინა ტომმა, — თორემ ჩემგანაც მოგხვდება... და ჩემი მეგობრისგან განსხვავებით, ძალას არ დავზოგავ. მგონი, ბედმა გაულიმა, შენნაირი ღვთისმოსავი დეიდების გარემოცვაში რომ არ გაიზარდა და თქვენი ნამდვილი არსის თაობაზე არაფერი იცის. გაგაფრთხილე, აბა, გაბედე და კიდევ ამოიღე ხმა! — ტომის მუშტი ქალის თვალების წინ ტრიალებდა და მართალია, კლაიმ უკვე დაასკვნა, რომ ტომი განათლებული ადამიანი ბრძანდებოდა და ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ პირობებში მუშტებს არ იქნევდა, მაინც აღელდა ამ პატარა, მაგრამ მტკიცედ შეკრული მუშტის დანახვაზე, რომელიც ახალი დროების სიმბოლოდ მოეჩვენა.

ბებრუხანა მუშტს უყურებდა და ხმას არ იღებდა. ავარდისფრებულ ლოყაზე კიდევ ერთი ცრემლი ჩამოუგორდა.

— გეყოფა, ტომ, — ჩაერია ელისი, — ახლა კარგად ვარ.

ტომმა ცელოფანის პარკი ბებრუხანას კალთაში ჩაუგდო. კლაიმ ვერც კი შენიშნა, როდის მოასწრო ტომმა პაკეტის დაჭერა, როდესაც ის ქალმა ხელიდან გაუშვა. მერე ელისს ბიბლია გამოართვა, ქალის პუტკუნა, ბეჭდებით დაფარული ხელი აიღო და წიგნის ყდა ჩაუდო. შებრუნდა, მერე ისევ ქალს შეხედა.

— ტომ, საკმარისია, წასვლის დროა, — მხარი აუბა ელისს კლაიმ.

ტომს მისი რეპლიკისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ქალისკენ დაიხარა, რომელიც გზის მაჩვენებლის სვეტს მიყრდნობილი იჯდა. ხელები მუხლებზე ესვენა და კლაის ორივენი — სათვალიანი მსუქანი ქალი, რომელიც მაღლა იხედება, და მისკენ დახრილი, მუხლებზე ხელებდაყრდნობილი ტანმორჩილი სათვალიანი მამაკაცი, — ჩარლზ დიკენსის რომანების ძველებური ილუსტრაციის ერთგვარ პაროდიად მოეჩვენა.

— ერთ რამეს გირჩევ, დაო, — წამოიწყო ტომმა, — პოლიცია ისე, როგორც აქამდე, ველარ დაიცავს შენი და შენისთანების დემონსტრაციებს, რომლებსაც ოჯახის დაგეგმვის კლინიკებსა და უოლთემში ემილი კეტკარტის კლინიკასთან მართავდით...

— ეგ აბორტების ფაბრიკაა! — ქალმა გადააფურთხა, ბიბლია ისე მოიმარჯვა, თითქოს დარტყმის მოგერიებას აპირებსო.

ტომს არ დაურტყამს, მხოლოდ პირქუშად გაიცინა.

— უგუნურების ჭურჭელზე არაფერი ვიცი, მაგრამ ამაღამ მთელ სამყაროში სიგიჟეა გამეფებული. გინდა უფრო მარტივად გითხრა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გალიებიდან ლომები გამოუშვეს და, სავარაუდოდ, ისინი პირველად ენაჭარტალა ქრისტიანებს დაგლეჯენ. დღეს, ნაშუადღევის სამ საათზე, სიტყვის თავისუფლების თქვენეული უფლება ვილაცამ გააუქმა. ჩათვალე, რომ ბრძენის რჩევა მოისმინე, — მერე ელისსა და კლაის შეხედა და კლაიმ დაინახა, ოდნავ შესამჩნევად როგორ უთრთოდა ზედა ტუჩი ულვაშის მილმა, — წავიდეთ?

— ჰო, — თავი დაუქნია კლაიმ.

— ოჰო! — წამოიძახა ელისმა, როდესაც ისევ სეილემის ქუჩის გასასვლელისკენ გააგრძელეს გზა და უკან მოიტოვეს МИСТЕР БИГИС ЦВИНИС МАЦАЗИА ГРАНДИОЗУЛИ ФАСДАКЛЕБЕБИТ, — შენ რა, ამნაირების გარემოცვაში გაიზარდე?

— დედაჩემი და მისი ორი და ამისგან დიდად არაფრით განსხვავდებოდნენ, — უპასუხა ტომმა, — ახალი ინგლისის მხსნელი იესოს პირველი ეკლესია. იესო პირადი მხსნელი ეგონათ, ეკლესია კი მათზე პირადად იყო პასუხისმგებელი.

— ახლა სად არის დედაშენი? — ჰკითხა კლაიმ.

ტომმა თვალი შეავლო.

— ზეცაში. თუ, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც არ გააცურეს. არადა, დარწმუნებული ვარ, სწორედ ასეა.

5

გასასვლელის ბოლოს, ავტოსაგზაო ნიშანთან **„ШЕСДЕЦИ!“**, ორი მამაკაცი ლუდის მომცრო კასრისთვის ჩხუბობდა. კლაისთვის რომ გეკითხათ, ეს კასრი ვილაცამ აწაპნა მისტერ ბიგის ღვინის მაღაზიიდან, რომელიც თავს იწონებდა გრანდიოზული ფასდაკლებებით, ახლა კი მივიწყებული და მიჭყლეტილი ეგდო მოაჯირთან, ქაფი სდიოდა, ორი დაკუნთული მამაკაცი კი, უკვე დასისხლიანებული, ერთმანეთს გამეტებით უმასპინძლდებოდა მუშტებით. ელისი მაშინვე კლაის მიეკრა, კლაიმ კი ხელი მოხვია, მაგრამ ამ მოჩხუბრებს უფრო სიხარულით უყურებდა, ვიდრე შიშით. ბოროტები იყვნენ, მეტიც, განრისხებულები, მაგრამ არა — შეშლილები. ქალაქში დარჩენილებს არ ჰგავდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთ-ერთი, რომელსაც კელტების[1] ლოგოიანი ქურთუკი ეცვა, მეორეს ჩინებული დარტყმით გაუმასპინძლდა, ტუჩი გაუხეთქა და მოწინააღმდეგე მიაწვინა. როდესაც კელტებისქურთუკიანმა მისკენ გაიწია, ის უკან გახოხდა, მერე წამოდგა და უკან დახევა განაგრძო. სისხლი გადმოაფურთხა.

— აიღე, ნაგავო! იმედია, შიგ ჩაიხრჩობი! — დაიყვირა ბოსტონური კილოთი.

კელტებისქურთუკიანმა მელოტმა თავი მოაჩვენა, თითქოს მასზე თავდასხმას აპირებდა, ამიტომ დამარცხებული შებრუნდა და გასასვლელის გავლით, პირველი ავტომაგისტრალისკენ გაიქცა. მელოტი უკვე თავისი მონაპოვრის ასაღებად დაიხარა, როდესაც უეცრად კლაი, ტომი და ელისი დაინახა და მაშინვე წელში გაიმართა. ისინი სამნი იყვნენ, თავად კი — ერთი, თვალი უკვე გაუხეთქეს და გამსკდარი ყურიდან ლოყაზე სისხლი მოჟონავდა. ამის მიუხედავად, რივერის ხანძრის სუსტ სინათლეზე კლაის მის სახეზე შიშის ნატამალი არ შეუმჩნევია. კლაის ბაბუა ასეთ შემთხვევაში იტყოდა, ირლანდიელის სუნი სცემსო და ეს დასკვნა შესანიშნავად ეხამებოდა ქურთუკის ზურგზე ამოქარგულ სამყურას[2] გამოსახულებას.

— რას მომშტერებიხართ, თქვენი დედაც? — იკითხა მან.

— არაფერს. უბრალოდ, აქეთ მივდიოდით, თუ წინააღმდეგი არა ხართ, — შემრიგებლურად უპასუხა ტომმა, — სეილემის ქუჩაზე ვცხოვრობ.

— გინდა, სეილემის ქუჩაზე წადი, გინდა, იმის იქით, ჯანდაბამდე, რა მესაქმება, — წაიბურტყუნა კელტებისქურთუკიანმა მელოტმა, — ეს ჯერ კიდევ თავისუფალი ქვეყანაა, ხომ ასეა?

— დღეს? — შეეკითხა კლაი, — მეტისმეტად თავისუფალი.

მელოტი ცოტა ხნით ჩაფიქრდა, მერე გადაიხარხარა, თუმცა, უსიხარულოდ.

— ამის დედაც, რა ჯანდაბა ხდება? ვინმემ იცის?

— მობილურების ბრალია, — უპასუხა ელისმა, — მათ შეშალეს ხალხი.

---

[1] *ბოსტონის „კელტები“ — ქალაქის პროფესიული საკალათბურთო კლუბი.*

[2] *სამყურა ირლანდიის სიმბოლოა. ქალაქ ბოსტონსა და შემოგარენში მრავლად ცხოვრობენ ირლანდიიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მელოტმა ლუდის პატარა კასრი აიღო. ადვილად გაუმკლავდა სიმძიმეს და ხელში ისე დაიჭირა, რომ არსაიდან აღარ წვეთავდა.

— დაწყევლილი რამეებია. მათთან საქმე არასოდეს მქონია. გარდამავალი წუთები[1] რა ჯანდაბაა?

კლაიმ არ იცოდა. შესაძლოა, ტომი ერკვეოდა, მას ხომ მობილური ჰქონდა, მაგრამ ტომს ხმა არ ამოუღია. ალბათ, მელოტთან საუბრის გაგრძელება აღარ სურდა და ეს, სხვათა შორის, სრულებითაც არ იყო ცუდი იდეა. კლაის აზრით, მელოტი ჯერ აუფეთქებელ ნალმს ჰგავდა.

— ქალაქი იწვის? — იკითხა მელოტმა, — ხომ ასეა?

— ჰო, — თქვა კლაიმ, — არა მგონია, წელს კელტებმა ფლიტზე[2] თამაში შეძლონ.

— ჭირსაც წაუღია ეგენი, — ხელი ჩაიქნია მელოტმა, — დოკ რივერსი[3] უნარშეზღუდულებსაც კი ვერ გაწვრთნის.

იდგა და მათ შეჰყურებდა მხარზე შემოდგმული კასრით, ლოყაზე კი სისხლი ჩამოსდიოდა, მაგრამ ახლა მტრული განწყობა დამცხრალიყო, სახეზე თითქმის უდარდელობა ეხატა.

— წადით, საითაც მიდიოდით, მაგრამ თქვენს ადგილას ქალაქთან ასე ახლოს დიდხანს არ დავრჩებოდი. ვიდრე საქმე გამოსწორდება, ყველაფერი უარესად იქნება. ჯერ ერთი, მოიმატებს ხანძრები. თქვენ გგონიათ, ყველას, ვინც ჩრდილოეთისკენ გაქუსლა, შინ გაზის ონკანის გადაკეტვა დაავიწყდა? ძალიან მეეჭვება, ასე იყოს.

გზა გააგრძელეს, მაგრამ ელისი უეცრად შეჩერდა. თითით ანიშნა კასრზე.

— ეს თქვენია?

მელოტმა დამრიგებლურად შეხედა.

— ასეთ დროს რას გაიგებ, ჩემო ძვირფასო, ვისი რა არის. წარსული ფა-ფუ, გაქრა. მარტო აწმყო და შეიძლება, მომავალი დარჩა.

---

[1] *გარდამავალი წუთები — სატარიფო გეგმა, რომლის თანახმად, თვის განმავლობაში გამოუყენებელი წუთები მომდევნო თვეში გადადის.*

[2] *ფლიტი — ქალაქ ბოსტონის მთავარი სპორტული არენა, სადაც საშინაო შეხვედრებს მართავენ კალათბურთელთა გუნდი „კელტები“ და პროფესიული ჰოკეის გუნდი „დათვები“.*

[3] *გლენ ენტონ „დოკ“ რივერსი (დაბ. 1961) — ყოფილი პროფესიონალი კალათბურთელი, მწვრთნელი. 1999-2003 წლებში ორლანდოს „ჯადოქრებს“ წვრთნიდა, 2004-2013 წლებში — ბოსტონის „კელტებს“, ხოლო 2013 წლიდან დღემდე „ლოს-ანჯელეს კლიპერსის“ მწვრთნელია.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დღეს ჩემია, ხვალ კი, თუ მანამდე შიგ რამე ჩარჩა, შეიძლება ისევ ჩემი იყოს. ახლა კი წადით. ვილაპარაკეთ და ბასტა.

— ბედნიერად, — ხელის აწევით დაემშვიდობა კლაი.

— არ ვისურვებდი შენს ადგილზე ყოფნას, — სერიოზული სახით უთხრა მელოტმა, მაგრამ თავისუფალი ხელი მანაც ასწია.

ჩაუარეს საგზაო ნიშანს **„ᲨᲔᲡᲓᲔᲥᲘ!“** და ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გადავიდნენ, კლაის აზრით, ეს იყო სეილემის ქუჩა. უეცრად მელოტის ხმა გაიგონეს:

— ეი, ლამაზო ბიჭო!

კლაიცა და ტომიც შებრუნდნენ, მერე ერთმანეთს მიაჩერდნენ და უნებურად გაიღიმეს.

მელოტი მხარზე გადებული კასრით გზატკეცილის პანდუსზე ამავალი ბნელი სილუეტილა იყო. მხარზე კეტით გამოქვაბულის ადამიანსაც ემსგავსებოდა.

— სად არიან ახლა ის შეშლილები? — იკითხა მელოტმა, — იმას ხომ ვერ იტყვით, რომ ყველა ამოწყდა? მაგის არ მჯერა.

— კარგი შეკითხვაა, — უპასუხა კლაიმ,

— მართალი ხარ, ამის დედაც, ძალიან კარგი. გაუფრთხილდი მაგ პატარას, — და პასუხისთვის აღარ დაუცდია კაცს, რომელმაც კასრისთვის ორთაბრძოლა მოიგო, შებრუნდა და სიბნელეს შეერია.

6

— აი, ისიც, — თქვა ტომმა ათი წუთის შემდეგ, როდესაც მთვარემ ისევ გამოანათა კვამლსა და ღრუბლებიდან, დაახლოებით ერთი საათი რომ ფარავდნენ მას. გეგონებოდა, ტანმორჩილი ულვაშა მამაკაცის ბრძანებას დაემორჩილა. მისმა ამჟამად ვერცხლისფერმა, და არა ავადმყოფურ-ნარინჯისფერმა, სხივებმა გაანათა სახლი — მუქ ლურჯად, მწვანედ ან შესაძლოა, რუხად შეღებილი. ქუჩის ლამპიონები არ ენთო, მათ გარეშე კი ფერის გარჩევა შეუძლებელი გახლდათ. მაგრამ კლაის დარწმუნებით შეეძლო ეთქვა, რომ სახლი მოვლილი და სიმპათიურია, თუმცა, არც ისეთი დიდი, როგორიც ერთი შეხედვით ჩანდა. პირველი შთაბეჭდილების მი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზეზი, რასაკვირველია, მთვარის სინათლე იყო, მაგრამ კიდევ უფრო მეტად კიბე, რომელიც აკურატულად გაკრეჭილი მოლიდან იმ ქუჩაზე ერთადერთი სვეტებიანი შესასვლელისკენ მიემართებოდა. მარცხენა მხარეს, სახურავის თავზე, ქვის საკვამური მოჩანდა. ქუჩას მანსარდის სარკმელი გადმოჰყურებდა.

— ტომ, რა მშვენიერია! — კლაის ელისის ხმა მეტისმეტად აღტაცებული ეჩვენა და ჩათვალა, რომ ამის მიზეზი უკიდურესი დაღლილობა და ისტერიკის ზღვარზე ყოფნა იყო. თავად სრულებით არ მიაჩნდა, რომ სახლი მშვენიერია, პირიქით, იმ ადამიანის სახლს ჰგავდა, რომელსაც აქვს როგორც მობილური ტელეფონი, ისე ოცდამეერთე საუკუნის სხვა სიკეთეები. ანალოგიურად გამოიყურება სეილემის ქუჩის ამ მხარეს სხვა სახლებიც და კლაის ეეჭვებოდა, რომ მათ მფლობელებსაც ისევე გაუღიმა ბედმა, როგორც ტომს. მან ნერვიულად მიიხედ-მოიხედა. სახლები სიბნელეში იდგა. ელექტრობა გამოერთოთ. შესაძლოა, სახლებში არავინ იყო. მაგრამ ნუთუ მხოლოდ თავად გრძნობდა ვიღაცის მზერას?

შეშლილის თვალების? მობილოგიჟის? გაახსენდა საქმიან კოსტიუმში გამოწყობილი ქალი და ქერათმიანი ფერია; რუხშარვლიანი და ჰალსტუხ-პერანგიანი გიჟი, რომლის სამოსი ნაფლეთებად იქცა; კოსტიუმიანი მამაკაცი, რომელმაც ძაღლს ყური მოაჭამა; შიშველი მორბენალიც, რომელიც ჰაერს ავტომობილის ანტენით მიაპობდა. არა, მობილოგიჟებმა თვალთვალი არ იცოდნენ. ისინი, უბრალოდ, თავს გესხმოდნენ... მაგრამ თუ ამ სახლებში ნორმალური ადამიანები აფარებდნენ თავს, სად გაქრნენ მობილოგიჟები?

კლაის ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შეეძლო.

— არ ვიცი, მშვენიერია-მეთქი, ვერ ვიტყვი, — უპასუხა ტომმა, — მაგრამ იქ დგას, სადაც უნდა იდგეს და ჩემთვის ესეც საკმარისია. უკვე შევეგუე იმ აზრს, რომ აქ მოსულებს ხანძარი დაგვხვდებოდა, — მერე ჯიბეში ხელი ჩაიყო და ბრელოკი ამოიღო რამდენიმე გასაღებითურთ, — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება და ასე შემდეგ.

ბილიკზე შეაბიჯეს და სახლისკენ წავიდნენ, მაგრამ ათი ნაბიჯიც კი არ გადაედგათ, რომ ელისმა წამოიყვირა:

— მოიცადეთ!

კლაი შებრუნდა, მოუსვენრობასთან ერთად დაღლილობასაც გრძნობდა. როგორც ჩანს, ახლა კარგად ესმოდა, რას გრძნობენ ჯარისკაცები, რომლებიც შეუსვენებლად იბრძვიან. მისი ადრენა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლინიც კი დაილალა. მაგრამ უკან არავინ მოჩანდა. არც მობილოგი-ჟები, არც გაგლეჯილი ყურიდან ლოყაზე სისხლმდინარე მელოტი კაცი, არც აპოკალიფსზე მოღალადე ფაშფაშა დედაკაცი. მხოლოდ ელისი, რომელიც ცალ მუხლზე ჩაჩოქილიყო იქ, სადაც ტომის სახლისკენ მიმავალი ბილიკი ტროტუარს სცილდებოდა.

— მანდ რა არის, საყვარელო? — შეეკითხა ტომი.

გოგონა გაიმართა და კლაიმ მის ხელში პატარა ბოტასი დაინახა.

— ბეიბი-ნაიკია[1], — უპასუხა ელისმა, — შენს სახლში...

ტომმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— მარტო ვცხოვრობ. რაფს თუ არ ჩავთვლით. მისი აზრით, მეფეა, მაგრამ სინამდვილეში, მხოლოდ და მხოლოდ კატაა.

— მაშ, ვინ დატოვა? — გაკვირვებული და დაღლილი თვალებით ელისმა ახლა კლაის შეხედა.

კლაიმ მხრები აიჩეჩა.

— ვინ იცის, ელის. თამამად შეგიძლია გადააგდო.

მაგრამ კლაიმ იცოდა, პატარა ბოტასს გოგონა არ გადააგდებდა და ეს déjà vu-ს განცდა ყველაზე მეტად აბნევდა. გოგონას ბოტასი გულში ჰქონდა ჩახუტებული, როდესაც პარმალზე ავიდა და ტომის უკან დადგა, რომელიც სიბნელეში საჭირო გასაღებს არჩევდა.

— *ახლა კატის ხმას გავიგებთ,* — გაიფიქრა კლაიმ და მართლაც, კატა, რომელმაც ტომ მაკორტი გადაარჩინა, კარის მილმა აკნავლდა.

7

ტომი დაიხარა და რაფი, იგივე რაფერი, შემოკლებულად — რაფაელი, მკლავებზე შეახტა ხმამაღალი კნავილით, კისერი წაიგრძელა, რომ კარგად დაეყნოსა ტომის მოკლედ შეკრეჭილი ულვაში.

— ჰო, მეც ძალიან მოვიწყინე უშენოდ, — თქვა ტომმა, — ყველაფერი გაპატიე, შეგიძლია, სიტყვაზე მენდო.

[1] *ბეიბი-ნაიკი — კომპანია „ნაიკის“ მიერ ახალფეხადგმული პატარებისთვის გამოშვებული ბოტასი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რაფერით ხელში შინ შევიდა, თან თავზე ეფერებოდა. ელისი უკან მიჰყვა. კლაიმ უკანასკნელმა გადააბიჯა ზღურბლს, კარი ჩაკეტა, საკეტს ბლოკი დაადო და მხოლოდ ამის შემდეგ დაეწია დანარჩენებს.

— სამზარეულოში გამომყევით, — თქვა ტომმა, როდესაც ყველა ერთად დაინახა. სახლში ავეჯის საპრიალებლისა და როგორც კლაიმ ჩათვალა, ტყავის სასიამოვნო სურნელი იდგა, რაც, მისი აზრით, სავსებით მიესადაგებოდა მარტო მცხოვრები მამაკაცების მოსაწყენ ცხოვრებას და სრულებით არ იყო აუცილებელი, ამ ცხოვრების ნაწილი ქალებიც ყოფილიყვნენ, — მეორე კარი ხელმარჯვნივ. ჩემთან ახლოს იყავით. იატაკზე არაფერია, მაგრამ ორივე მხარეს მაგიდები დგას და აქ კი ისეთი სიბნელეა, როგორიც თვალებზე ჩამოფხატული ქუდის შიგნით. თავადაც ხედავთ.

— ეს მეტაფორული გამონათქვამია, — შენიშნა კლაიმ.

— ჰა-ჰა!

— ელექტროფარნები თუ გაქვს? — შეეკითხა კლაი.

— ფარნებიც მაქვს და კოულმენის ლამპაც,[1] რომელიც მაგათზე უკეთესია, მაგრამ ჯერ სამზარეულომდე უნდა მივიდეთ.

დერეფანს გაუყვნენ. ელისი ორ მამაკაცს შორის მიაბიჯებდა. კლაის მისი აჩქარებული სუნთქვა ესმოდა. გოგონა მისთვის უცხო ადგილზე ცივსისხლიანობის შენარჩუნებას ცდილობდა, თუმცა, ძალიან უჭირდა. ჯანდაბა, ეს ხომ კლაისთვისაც არ იყო იოლი საქმე. ორიენტირებაში ხელს სიბნელე უშლიდა. სინათლის უმცირესი სხივიც კი დიდი დახმარება იქნებოდა, მაგრამ...

კლაი მუხლით ტომის დასახელებულ ერთ-ერთ მაგიდას წამოედო და მასზე რაღაც აზრიალდა, გატეხისთვის მზადმყოფი. კლაიმ ნერვებს თავი მოუყარა, ნივთის მტვრევის ხმისა და ელისის ყვირილისთვის მოემზადა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გოგონა იყვირებდა. მერე იმ აზრიალებულმა ნივთმა, ლარნაკმა თუ სამშვენისმა, ნატეხებად ქცევა გადაიფიქრა და ადგილზე დარჩა.

ძალიან დიდხანს მიდიოდნენ, სანამ ტომის ხმა გაიგონებდნენ:

— აქა ხართ? ახლა მარჯვნივ.

---

[1] *კოულმენის ლამპა — ლამპა, რომელშიც ანათებს შეკუმშული აირი. მონყობილობის გამომგონებელია უილიამ კოფინ კოულმენი (1870-1957). 1901 წლიდან მოყოლებული, ამ ლამპებს დღესაც უშვებს კოულმენის დაარსებული საწარმო.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სამზარეულოშიც თითქმის ისევე ბნელოდა, როგორც დერეფანში, და კლაი იმაზე ფიქრობდა, რა აკლდა აქ და, ალბათ, იმასვე გრძნობდა ტომიც: მიკროტალღური ღუმლის პანელზე საათის მწვანედ ციმციმი, მაცივრის ყრუ ზუზუნი, შესაძლოა, მეზობელი სახლიდან სინათლე, რომელიც, ალბათ, ბაკანზე ეცემოდა და ონკანი ირეკლავდა.

— აი, აქ მაგიდაა, — გაისმა სიბნელეში ტომის ხმა, — ელის, ახლა ხელს მოგკიდებ. ეს სკამია, იგრძენი? მაპატიეთ, თუ ისე ვლაპარაკობ, როგორც ბავშვები „ბრმების ქვეყნის" თამაშისას.

— ყველაფერი რიგ... — დაიწყო ელისმა, მაგრამ უეცრად ისე ნამოიყვირა, კლაი შეხტა და დანის ტარს ხელი მახამ წააღლო (ახლა კლაი დანას თავისად თვლიდა), სანამ გააცნობიერებდა, რომ მექანიკურად მოიმარჯვა დანა.

— რა მოხდა? — პირქუშად იკითხა ტომმა, — რა?

— არაფერი, — უპასუხა ელისმა, — არა, არაფერი. კატა. მისი კუდი ჩემს ფეხს ეხება.

— ოჰ, უკაცრავად.

— ყველაფერი რიგზეა. რა *სულელი* ვარ, — საკუთარი თავისადმი ისეთი ზიზღით დაამატა ელისმა, რომ კლაი შეიქმუხნა.

— არა, — თქვა მან, — არ გინდა თავის ლანძღვა, ელის. უბრალოდ, დღეს ოფისში მძიმე დღე იყო.

— ოფისში მძიმე დღე იყო! — გაიმეორა ელისმა და გაიცინა, მისი სიცილი კლაის არ მოეწონა. ის ინტონაცია მოაგონა, როდესაც ტომის სახლს მშვენიერი უწოდა.

„ახლა თავს ველარ შეიკავებს და მაშინ რალა ექნა? — გაიფიქრა მან, — *ფილმებში ისტერიკაში ჩავარდნილს გემრიელ სილას გაარტყამენ ხოლმე და მაშინვე გონს მოდის, მაგრამ ფილმებში ჩანს, გოგონა სად დგას".*

მაგრამ კლაის არ დასჭირვებია არც სილის გარტყმა, არც მისი შენჯღრევა ან მოხვევა (საქმე საქმეზე თუ მიდგებოდა, ალბათ, სწორედ ამით დაიწყებდა). შესაძლოა, გოგონას თავისივე ხმაში პანიკა მოესმა, მოეჭიდა და უკან, საკუთარ თავში ჩააბრუნა. მის ყელში რაღაც ბუყბუყი მოისმა, ამოიხვნეშა და მიჩუმდა.

— დაჯექი, — თქვა ტომმა, — ალბათ, დაიღალე. შენც, კლაი, მე კი შუქზე ვიზრუნებ.

კლაიმ ხელით მოძებნა სკამი, მიუჯდა მაგიდას, რომელზედაც თითქმის ვერაფერს ხედავდა, თუმცა, თვალები სიბნელეს უკვე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უნდა შესჩვეოდა. მის მუცელს ქვემოდან რაღაც შეეხო, მერე კრუ-ტუნი და ჩუმი კნავილი მოესმა. რაფი.

— წარმოგიდგენია? — სიბნელეში იმ მხარეს მიბრუნდა, საითაც გოგონა უნდა მჯდარიყო. დერეფანში ტომის ნაბიჯების ხმა თით-ქმის მიწყდა, — ბებერმა რაფერმა ეს-ესაა, მეც შემაშინა, თუმცა, არა, არ შევუშინებივარ, სრულებითაც არა.

— უნდა ვაპატიოთ, — უპასუხა ელისმა, — ამ კატის გარეშე ტომი სხვებივით შეიშლებოდა, იმიტომ, რომ ტელეფონით იმპულსს დაიჭერდა. ეს კი საშინელება იქნებოდა.

— რასაკვირველია.

— ისე მეშინია, — ალიარა ელისმა, — როგორ ფიქრობ, ხვალ, დღის სინათლეზე, ვითომ უკეთესი იქნება? შიშს ვგულისხმობ?

— არ ვიცი.

— ალბათ, ცოლისა და ბიჭის გამო ძალიან ნერვიულობ.

კლაიმ ამოიოხრა და სახეზე ხელები მოისვა.

— ყველაზე მძიმე უმწეობასთან შეგუებაა. ისე, ახლა ცალ-ცალკე ვცხოვრობთ, — მერე გაჩუმდა და თავი გააქნია. არც გააგრძელებდა, სიბნელეში გოგონას მისი ხელი რომ არ მოეძებნა. მაგარი და ცივი თითები ჰქონდა, — გაზაფხულიდან მოყოლებული ცალ-ცალკე ვცხოვრობთ, მაგრამ ერთ პატარა ქალაქში. დედაჩემი ამგვარ ურთიერთობას ჩალის ქორწინებას დაარქმევდა. ჩემი ცოლი დაწყებით სკოლაში ასწავლის.

წინ გადაიხარა, სიბნელეში გოგონას სახის დანახვას ცდილობდა.

— და იცი, ყველაზე საშინელი რა არის? ეს ყველაფერი ერთი წლით ადრე რომ მომხდარიყო, ჯონი მასთან იქნებოდა, მაგრამ ამ წლის სექტემბერში ჯონი საბაზო სკოლაში გადავიდა, რომელიც ქალაქიდან ხუთი მილითაა დაშორებული. სულ იმაზე ვფიქრობ, მოასწრო თუ არა შინ დაბრუნება, ვიდრე სამყარო ჭკუაზე შეიშა-ლა. მეგობრებთან ერთად სკოლაში ავტობუსით მიდი-მოდის. ჩემი აზრით, სამისთვის შინ უნდა დაბრუნებულიყო. და ასე მგონია, მა-შინვე დედამისთან მივიდა.

„ან ზურგჩანთიდან მობილური ამოიღო და დაურეკა“, — მხია-რულად ივარაუდა ვირთხა-პანიკამ და უკბინა. კლაიმ იგრძნო, რო-გორ დაეჭიმა ელისს თითები და თავი აიძულა, ამაზე არ ეფიქრა, მაგრამ ოფლი მაინც უხვად სდიოდა სახესა და ხელებზე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მაგრამ შენ ეს არ იცი.

— არა.

— მამაჩემს ნიუტონში ჩარჩოების დამამზადებელი და სამხატვრო სალონი აქვს. დარწმუნებული ვარ, არაფერი მოსვლია. მას მხოლოდ საკუთარი თავის იმედი აქვს, ასე იყო ყოველთვის, მაგრამ ჩემ გამო ინერვიულებს. ჩემზე და ჩემს... ჩემს... მოკლედ, ხომ იცი?

კლაიმ იცოდა.

— სულ იმაზე ვფიქრობ, ვახშმად რა შეჭამა. ვიცი, რომ ეს სიგიჟეა, მაგრამ სულ არ ეხერხება მომზადება.

კლაის სურდა ეკითხა, მამამისს მობილური ჰქონდა თუ არა, მაგრამ რალაცამ უკარნახა, ეს კითხვა არ დაესვა. სხვა რამ ჰკითხა:

— ცოტათი დაწყნარდი?

— ჰო, — უთხრა გოგონამ და მხრები აიჩეჩა, — რაც დაემართა, დაემართა, მე ველარაფერს შევცვლი.

„უკეთესი იქნებოდა, ეს სიტყვები ხმამაღლა არ გეთქვა“, — გაიფიქრა კლაიმ.

— ჩემს ბიჭს მობილური აქვს, ეს გითხარი? — კლაის საკუთარი ხმა ყვავის ყრანტალივით ჩაესმა.

— ჰო, ხიდს სანამ გადმოვიდოდით, მანამდე.

— გასაგებია, — სიმწრით ქვედა ტუჩს იკვნეტდა, მაგრამ მერე თავს ძალა დაატანა და მოეშვა, — ტელეფონს ყოველთვის არ ტენის ხოლმე, ალბათ, ესეც გითხარი.

— ჰო.

— იმის საშუალებაც არა მაქვს, გავიგო, ახლა როგორ არიან.

ვირთხა-პანიკა გალიიდან გამოვარდა. აქეთ-იქით სირბილსა და კბენას მოჰყვა.

გოგონამ ორივე ხელი დააფარა ხელისგულზე. არ სურდა, ელისის მიერ შეთავაზებულ ნუგეშს დანებებოდა (ეძნელებოდა იმ სიხისტის მოშვება, რომელმაც აქამდე მოიყვანა), მაგრამ დათმო, ფიქრობდა, რომ ნუგეშისცემა გოგონასთვის უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ, ვიდრე მისთვის ამ ნუგეშის მიღება. ასე ხელჩაჭიდებულები ისხდნენ სამარილისა და საპილპილისთვის განკუთვნილი სადგამის გვერდით, ტომ მაკორტის სამზარეულოს პატარა მაგიდასთან, როდესაც ტომი სარდაფიდან ოთხი ელექტროფარნითა და კოულმენის ლამპის ყუთით ხელში დაბრუნდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

8

კოულმენის ლამპა საკმარის სინათლეს იძლეოდა იმისთვის, რომ ფარნების გარეშეც იოლას გასულიყვნენ. მას მკვეთრი და თეთრი სინათლე ჰქონდა, მაგრამ კლაის მოსწონდა მისი სიმკვეთრე, რადგან სამზარეულოდან ყველა ჩრდილი, მათი საკუთრისა და კატის ჩათვლით, განდევნა. ყველა დანარჩენი ზემოთ, ჭერზე ახტა, როგორც შავი გოფრირებული ქაღალდისგან გამოჭრილი ფიგურა, და იქ მიიმალა.

— მგონი, ფარდები უნდა ჩამოვაფაროთ, — თქვა ელისმა.

ტომი კაფე „მეტროპოლიდან“ წამოღებულ ერთ-ერთ პაკეტს ხსნიდა, რომელსაც ცალ მხარეს ეწერა — „ძაღლებისთვის“, მეორე მხარეს კი ამშვენებდა წარწერა — „ადამიანებისთვის“. საქმეს თავი დაანება და გოგონას ცნობისმოყვარეობით შეხედა.

— რატომ?

ელისმა მხრები აიჩეჩა და გაიღიმა. კლაის აზრით, ეს ყველაზე უცნაური ღიმილი იყო, რაც კი მოზარდი გოგონას სახეზე აქამდე ენახა. ელისმა ცხვირიდან და ნიკაპიდან სისხლი ჩამოიბანა, მაგრამ თვალების ქვეშ დაღლილობის გამომხატველი მუქი წრეები მოუჩანდა, კოულმენის ლამპა კი სახის დანარჩენ ნაწილს მკვდრისფრად ანათებდა და ღიმილი, რომელმაც უკვე პომადამოცილებულ მთრთოლარე ტუჩებს შორის მოციმციმე კბილების ვიწრო ზოლი გამოაჩინა, ასაკით დიდ ქალთან ხელოვნური მსგავსების გამო დამაბნეველი გახლდათ. კლაიმ გაიფიქრა, რომ ელისი შორეული 40-იანი წლების კინომსახიობ ქალს ჰგავდა, რომელიც ნერვიული აშლილობის ზღვარზე მყოფ მაღალი წრის ქალბატონს განასახიერებდა. გოგონას წინ მაგიდაზე პაწაწინა ბოტასი იდო. ელისი ცალი ხელით ატრიალებდა მას. თასმები მაგიდას ეხლებოდა და წკარუნი ისმოდა. კლაი იმედოვნებდა, რომ მალე ელისიც გატყდებოდა. რაც უფრო მეტხანს შეიკავებდა თავს, მით უფრო მძლავრი იქნებოდა განტვირთვა. ამ სამიდან ყველაზე მეტი დაძაბულობა სწორედ გოგონაში იყო დაგროვილი.

— არა მგონია, კარგი აზრი იყოს, თუ ვინმე ჩვენს აქ ყოფნას შეიტყობს, ეს არის და ეს, — უპასუხა ტომს ელისმა, თან ბოტასს ატრიალებდა, რომელსაც ბეიბი-ნაიკი უწოდეს. ბოტასი ტრიალებ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და, თასმის წვერები ტომის სამზარეულოს მაგიდის გაპრიალებულ ზედაპირს ეხლებოდა და წკარუნებდა, — ჩემი აზრით, შესაძლოა, ეს... ცუდად დამთავრდეს.

ტომმა კლაის შეხედა.

— მგონი, მართალს ამბობს, — დაეთანხმა კლაი ელისს, — არ მომწონს, რომ მთელ კვარტალში სინათლე მხოლოდ ჩვენთან ანთია, თუმცა, ფანჯრები ეზოში გადის.

ტომი ადგა და ფანჯარას ბაკნის თავზე ფარდა უსიტყვოდ ჩამოაფარა. სამზარეულოში კიდევ ორი ფანჯარა იყო და ისინიც ფარდებით დაგმანა. მერე მაგიდისკენ წავიდა, მაგრამ გეზი შეიცვალა და დერეფანში გამავალი კარიც დაკეტა. ელისი თავის წინ დადებულ ბოტასს ატრიალებდა. კოულმენის ლამპის უმოწყალო სინათლეზე კლაი ხედავდა, რომ ბოტასი ვარდისფერი და იასამნისფერი იყო. ასეთი ფერები მხოლოდ ბავშვს შეიძლება მოეწონოს. ბოტასი ტრიალებდა. თასმები მაგიდას ეხლებოდა და წკარუნებდა. ტომი წარბშეჭმუხნილი იდგა და გოგონას უყურებდა, ხანდახან მაგიდასთან ჯდებოდა და კლაიმ გაიფიქრა: *„უთხარი, მაგიდიდან მოაშოროს ბოტასი. უთხარი, რომ არ იცი, სად ჯანდაბაში იპოვა და არ გინდა, შენს მაგიდაზე იდოს. ეს საკმარისი იქნება, ნერვები უმტყუნებს, მერე კი მის ისტერიკასთან გამკლავებას დავიწყებთ. უთხარი. მგონი, მასაც სწორედ ეს უნდა. ჩემი აზრით, სწორედ ამიტომაც ატრიალებს ამ ბოტასს დაუსრულებლად“.*

მაგრამ ტომმა მხოლოდ სენდვიჩები ამოალაგა პაკეტიდან, სენდვიჩები როსტბიფითა და ყველით, ლორითა და ყველით, და ჩამოარიგა. მაცივრიდან გრაფინი გამოდგა ყინულიანი ჩაით („ჯერ კიდევ ცივია“, — თქვა მან) და პაკეტში ჩარჩენილი უმხორციანი ჰამბურგერის ნარჩენებით კატას გაუმასპინძლდა.

— დაიმსახურა, — მის ხმაში მობოდიშება ისმოდა, — გარდა ამისა, გამორთული ელექტროენერგიის გამო მაცივარში ხორცი გაფუჭდება.

კედელზე ტელეფონის აპარატი ეკიდა. კლაიმ მაინც აიღო ყურმილი, მაგრამ ამჯერად უწყვეტი ზუმერიც კი აღარ ისმოდა. სატელეფონო ხაზიც მოკვდა, ისევე როგორც... როგორც, ვთქვათ, საქმიან კოსტიუმში გამოწყობილი ქალი ბოსტონ-პარკის გვერდით. დაჯდა და სენდვიჩების ჭამას შეუდგა. მოშივდა, თუმცა, ჭამის სურვილი ნამდვილად არ ჰქონდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელისმა სამი ლუკმის შემდეგ სენდვიჩი თეფშზე დადო.

— არ შემიძლია. ახლა არ შემიძლია. ალბათ, ძალიან დავიღალე. მეძინება... და მინდა, ეს კაბა თავიდან მოვიშორო. გასაგებია, რომ რიგიანად დაბანა შეუძლებელია, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ ეს დაწყევლილი კაბა თავიდან მოვიშორო. ოფლისა და სისხლის სუნით ყარს, — ისევ ბოტასს ატრიალებდა, დაჭმუჭნილი ქაღალდის გვერდით, რომელზედაც მოკბეჩილი სენდვიჩი იდო, — და კიდევ, დედაჩემის სუნი ასდის. მისი სუნამოსი.

რამდენიმე წამს ყველა დუმდა. კლაიმ ხმის ამოღების უნარი დაკარგა. წარმოიდგინა ელისი, რომელმაც კაბა გაიხადა და თეთრ ტრუსებსა და ბიუსტჰალტერში, ფართოდ გახელილი თვალებით დგას, თითქოს თოჯინა იყოს. მხატვრის წარმოსახვამ, რომელსაც დეტალების სიზუსტე ახასიათებს და მუდამ მზად არის სამსახური გაუწიოს ხელოვანს, მხრებზე და ფეხების ქვემოთ ქაღალდის სამაგრებიც[1] დაამატა. სადღაც შორიდან რაღაცის აფეთქების ხმა მოისმა.

სიჩუმე ტომმა დაარღვია, რისთვისაც კლაი მისი მადლობელი იყო.

— დარწმუნებული ვარ, ერთი ჩემი ჯინსი შესანიშნავად მოგერგება, თუ მანჟეტივით აკეცავ ბოლოებს, — მერე წამოდგა, — იცი, მგონი, ძალიანაც მოგიხდება, ისე იქნები, როგორც ჰაკ ფინი სპექტაკლში „დიდი მდინარე“, რომელიც ქალთა სკოლაში დაიდგა. ზემოთ წამოდი. დილისთვის სამოსს მოგიმზადებ, მერე სტუმრების საძინებელში წაგიყვან. პიჟამა საკმარისზე მეტი მაქვს. აქაურობა პიჟამებს მიაქვს. კოულმენი გჭირდება?

— მგონი... ფარანიც მეყოფა. შეგვიძლია, წავიდეთ?

— ჰო, — უთხრა ტომმა. ერთი ფარანი თავისთვის აიღო, მეორე კი ელისს გაუწოდა. ჩანდა, პატარა ბოტასის შესახებ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა და სულ სხვა რამ თქვა, — დაბანასაც შეძლებ. წყალი ბევრი არ იქნება, თუმცა, ელექტრობის გათიშვის მიუხედავად, ონკანებიდან რაღაც მაინც წამოვა. ერთ ბაკანს აავსებს, — გოგონას თავზემოთ კლაის გახედა, — სარდაფ-

[1] *ქაღალდის სამაგრები — პატარა გამონაშვერი, რომელიც ქაღალდისგან გამოჭრილ გამოსახულებებს აქვს მოდელზე მოსარგებად (მაგალითად, ქაღალდისგან გამოჭრილ ტანსაცმლის მოდელებს ქაღალდის თოჯინას სხეულზე მისამაგრებლად).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ში ყოველთვის მაქვს ყუთი სასმელი წყლით, ასე რომ, წყურვილით არ დავიხოცებით.

კლაიმ თავი დაუქნია.

— ღამე მშვიდობისა, ელის.

— შენც ასევე, — დაბნეულად უპასუხა გოგონამ, მერე კიდევ უფრო დაბნეულმა დაამატა, — სასიამოვნო იყო შენი გაცნობა.

ტომმა გოგონას კარი გაულო. ფარნების სინათლეები დერეფანში ათამაშდა. შემდეგ კარი მიიხურეს. კლაიმ კიბეზე ამავალთა ნაბიჯების ხმა გაიგონა, შემდეგ ნაბიჯების ხმა თავზემოთ გაისმა. გაიგონა წყლის ჩხრიალი. მილებში ჰაერის ქშენის ხმას ელოდებოდა, მაგრამ წყლის დენა მალევე შეწყდა. ბაკანიო, ტომმა თქვა, ესე იგი, სწორედ ამდენი წყალი ერგო.

კლაიც მტვერსა და სისხლში იყო ამოგანგლული და მისი ჩამორეცხვა სურდა (ალბათ, ტომსაც, ჩათვალა მან), მაგრამ ისიც ივარაუდა, რომ სააბაზანო პირველ სართულზეც უნდა ყოფილიყო და რამდენადაც ტომი ყველაფერში აკურატულია, უნიტაზსა და ჩასარეცხ ბაკანშიც სუფთა წყალი იქნებოდა.

რაფი ტომის სკამზე შეხტა და კოულმენის ლამპის თეთრი სინათლის შუქზე თათების ლოკვა დაიწყო. ლამპის ხმადაბალი შიშინის მიუხედავად, კლაის კატის კრუტუნი ესმოდა. რაფისთვის ცხოვრება ძველებურად მშვენიერი იყო.

ელისზე ფიქრობდა, რომელიც ხელში პაწაწინა ბოტასს ატრიალებდა, და თავს ჰკითხა, რატომ უნდა დამართოდა თხუთმეტი წლის გოგონას ნერვიული მოშლილობა?

— ნუ სულელობ, — უთხრა კატას, — რასაკვირველია, ეს შესაძლებელია. ასეთი რამ ყოველ ნაბიჯზე ხდება. ამ თემაზე ლამის ყოველ კვირას ახალ ფილმს იღებენ.

რაფერი მწვანე, ბრძნული თვალებით მისჩერებოდა და თათების ლოკვას აგრძელებდა. *„მითხარი, — თითქოს ამბობდა ეს თვალები, — ბავშვობაში თუ გცემდნენ? დედაზე სექსუალურ-რ-რი აზრ-რ-რები თუ მოგსვლია თავში?*

„დედაჩემის სუნი ასდის. მისი სუნამოსი“.

ელისი ქალალდის თოჯინაა მხრებსა და ფეხებზე დამაგრებული სამაგრებით.

„სისულელეზ ნუ რ-რ-ოშავ, — თითქოს ეს ამოიკითხა რაფერის მწვანე თვალებში, — *სამაგრ-რ-რ-ები და იარ-რ-რ-ლიყები ტანსაც-*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მელს აქვს და არ-რ-რ-ა თოჯინებს. შენ რ-რ-ისი მხატვარ-რ-რ-რ-ი ხა-რ-რ?"

„უმუშევარი მხატვარი, — გაიფიქრა კლაიმ, — *ახლა კი, ხმა ჩაიწყვიტე, კარგი?"* თვალები დახუჭა, მაგრამ თავი უფრო ცუდად იგრძნო. ახლა რაფის მწვანე, უსხეულო თვალები ლუის კეროლის ჩეშირული კატის თვალების მსგავსად სიბნელეში დაცურავდა: *„აქ ყველანი გიჟები ვართ, ძვირფასო ელის".* კოულმენის ლამპის ხმა-დაბალ შიშინს კატის კრუტუნი ერთოდა.

9

ტომი თხუთმეტი წუთი იყო გასული. დაბრუნებულმა უცერემონიოდ ჩააგდო რაფი სკამიდან და სენდვიჩის მოზრდილი ლუკმა ჩაკბიჩა.

— სძინავს, — აცნობა ტომმა, — ჩემი პიჟამა ჩაიცვა, ვიდრე დერეფანში ვიდექი და ველოდებოდი, მერე ერთად ჩავაგდეთ კაბა ნაგვის ვედროში. მგონი, ბალიშზე თავის დადებიდან ორმოც წამში დაიძინა. კაბის გადაგდებით თითქოს ხაზი გადაუსვა რალაცას, დარწმუნებული ვარ. მართლაც საშინელი სუნი ასდიოდა.

— ვიდრე აქ არ იყავი, რაფი შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატად წარვადგინე. ის ერთხმად აირჩიეს, ხმის მიცემის გარეშე, საყოველთაო მხარდაჭერით.

— კარგია, — თქვა ტომმა, — ბრძნული არჩევანია... და ვისი მხარდაჭერით სარგებლობდა?

— მილიონების. ყველა იმათი, ვისაც ჯერ კიდევ შერჩა სალი გონება. მათ აზრ-ბიულეტენები გამოგზავნეს, — კლაიმ თვალები ფართოდ გაახილა და თითი საფეთქელზე მიიკაკუნა, — მე ხომ *აზრ-რ-რ-ების* კითხვა შემიძლია!

ტომმა ღეჭვა შეწყვიტა, მერე ისევ დაიწყო, ოღონდ ამჯერად უფრო ნელა.

— იცი, თუ არსებულ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, სრულებით არ არის ხუმრობის დრო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კლაიმ ამოიოხრა, ყინულიანი ჩაი მოსვა, თავს ძალა დააატანა და სენდვიჩი მოკბიჩა. გუნებაში გაუელვა, რომ სენდვიჩზე, როგორც სხეულის საწვავზე, ისე უნდა იფიქროს, მხოლოდ ასე შეიძლება, აიძულოს, ის კუჭში მოხვდეს.

— ჰო, მართალს ამბობ, ხუმრობის დრო არ არის. მაპატიე.

ტომმა, ვიდრე ჩაის მოსვამდა, ჭიქა მიუჭახუნა.

— ყველაფერი რიგზეა. ვაფასებ მეომრული სულისკვეთების ამაღლებისკენ შენს მისწრაფებას. მისმინე, შენი ჩანთა სადღაა?

— პარმაღზე დავტოვე. ვიდრე ტომ მაკორტის სიკვდილის დერეფანს გავივლიდით, მინდოდა, ორივე ხელი თავისუფალი მქონოდა.

— მაშინ არაფერი უჭირს. მისმინე, კლაი, ძალიან ვწუხვარ შენი ოჯახის გამო.

— ჯერჯერობით, ნუ წუხხარ, — კლაის ხმა ოდნავ ჩაუწყდა, — სამწუხარო ჯერ არაფერია.

— მაგრამ მოხარული ვარ, რომ შეგხვდი. აი, ამის თქმა მინდოდა.

— იმავეს გამეორება შემიძლია. მესმის, როგორი მნიშვნელოვანია უსაფრთხო ადგილის პოვნა ღამის გასათევად. დარწმუნებული ვარ, ეს ელისსაც შესანიშნავად ესმის.

— აქ სიმშვიდე იქნება, სანამ მოლდენში რაიმე არ აფეთქდება ან ცეცხლი არ წაეკიდება.

კლაიმ თავი დაუქნია და მხოლოდ ბაგეებით გაილიმა.

— სიმშვიდეა, ჯერჯერობით. ის ბოტასი გამოართვი?

— არა. მასთან ერთად დაწვა, როგორც... არ ვიცი, პლუშის დათუნიასთან ერთად რომ იძინებენ, ისე. თუ ამაღამ მთელი ღამე იძინა, ხვალ უკეთ იქნება.

— გგონია, იძინებს?

— არა, — უპასუხა ტომმა, — მაგრამ თუ შეშინებულს გამოელვიძა, ღამეს მასთან ერთად გავატარებ. თუ საჭიროა, ერთ საწოლშიც, შენ უნდა იცოდე, ამ მხრივ, საშიში არა ვარ, ხომ გესმის?

— ჰო, — კლაიმ იცოდა, რომ არც თავად იყო საშიში, მაგრამ მიხვდა, ტომი რის შესახებაც ამბობდა, — ხვალ დილით ჩრდილოეთისკენ ვაპირებ წასვლას. შესაძლოა, შენი და ელისის წამოსვლაც კარგი აზრი იყოს.

ტომი ჩაფიქრდა, მერე შეეკითხა:

— მამამისი?

— როგორც ამბობს, მის სიტყვებს ვიმეორებ, „მხოლოდ საკუთარი თავის იმედადაა“. და ძალიან ნერვიულობდა, რას შეჭამდა ვახშ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მად, იმიტომ, რომ არაფრის მომზადება არ ეხერხება. ამით მივხვდი, რომ მამის ბედი დიდად არ ანაღვლებს. რასაკვირველია, უნდა ვკითხოთ, მისი აზრიც გავიგოთ, მაგრამ მერჩივნა, ჩვენთან დარჩენილიყო და თანაც, ძალიან არ მინდა დასავლეთით, ამ სამრეწველო ქალაქებისკენ წასვლა.

— შენ არ გინდა დასავლეთით წასვლა.

— არ მინდა, — აღიარა კლაიმ.

ეგონა, ტომი კამათს დაიწყებდა, მაგრამ შეცდა.

— ამაღამ რა ვქნათ? — შეეკითხა ტომი, — შენი აზრით, მორიგეობა საჭიროა?

აქამდე კლაის ეს აზრი თავში არც კი მოსვლია.

— არა მგონია, ამით რაიმე სარგებელი ვნახოთ. თუ შეიარაღებული გიჟების ბრბო ჩირაღდნებით ხელში სეილემის ქუჩაზე შემოიჭრება, რა უნდა ვქნათ?

— სარდაფში ჩავიდეთ?

კლაი ჩაფიქრდა. სარდაფში ჩასვლა უკანასკნელი ნაბიჯი იყო, ერთგვარი ბუნკერი, რისი გამორიცხვაც არ შეიძლებოდა: ჰიპოთეტურ შეშლილთა ბრბო ჩათვლიდა, რომ შინ არავინაა და გზას გააგრძელებდა. „ეს უმჯობესია, ვიდრე სამზარეულოში სიკვდილი, — ჩათვალა მან, — შესაძლოა, მას შემდეგ, რაც ჩვენ თვალწინ ელისს სათითაოდ გააუპატიურებენ“.

„შეუძლებელია, საქმე აქამდე მივიდეს, — გაიფიქრა კლაიმ, თუმცა, ნაკლებად იყო დარწმუნებული, — *ეს მხოლოდ და მხოლოდ ჰიპოთეტური ვერსიაა. ტყუილად აშინებ თავს. შეუძლებელია, საქმე აქამდე მივიდეს“.*

თუმცა, მათ ზურგს უკან ბოსტონი იწვოდა. ღვინის მაღაზიებს ძარცვავდნენ, ხოლო მამაკაცები ერთმანეთს ასისხლიანებდნენ ლუდის კასრის დასაუფლებლად. აქამდე უკვე მივიდა საქმე.

ამასობაში ტომი აკვირდებოდა, დასკვნის გამოტანაში ხელის შეშლას არ აპირებდა; იმგვარი დასკვნის, რომელიც თავად ტომმა უკვე გააცნობიერა. რაფი მუხლებზე შეახტა. ტომმა სენდვიჩი მაგიდაზე დადო და კატას ზურგზე მოეფერა.

— აი, რას გეტყვი, — კლაიმ ტომს შეხედა, — რამდენიმე დამატებითი საბანი თუ გაქვს, რომლებშიც გახვევა შეიძლება? რა მოხდება ღამე შენს პარმალზე რომ გავატარო? ის ჩაკეტილია, იქ უფრო ბნელა, ვიდრე ქუჩაში. ამიტომ, თუ ვინმე სახლს მოუახლოვდება,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმაზე ადრე დავინახავ, ვიდრე ისინი შემამჩნევენ. განსაკუთრებით, თუ მობილოგიჟები მოვლენ. რალაც ვერ შევატყვე, შენიღბვა რომ ეხერხებოდეთ.

— არა, მაგათ მიპარვა ნამდვილად არ შეუძლიათ. სამზარეულოს მხრიდან რომ შემოვიდნენ? ლინ-ავენიუ მხოლოდ ერთი კვარტალის დაშორებითაა.

კლაიმ მხრები აიჩეჩა. შეუძლებელია, მთელი სახლის პერიმეტრის დაცვა, საერთოდ, თუ არის დაცვა შესაძლებელი. თუმცა, არაფერი უთქვამს.

— კარგი, — ტომმა სენდვიჩის კიდევ ერთი ლუკმა მოკბიჩა, რაფს კი ლორი მისცა, — მაგრამ სამ საათზე შეგვიძლია ერთმანეთს შევენაცვლოთ. მანამდე ელისი არ გაიღვიძებს, შესაძლოა, დილამდეც იძინოს.

— მოდი, ვნახოთ, რა მოხდება, — თქვა კლაიმ, — მისმინე, პასუხი თავადაც ვიცი, იარაღი არა გაქვს, ხომ ასეა?

— არა, — დაუდასტურა ტომმა, — მეისის ბალონიც[1] კი, — შეუჭმელ სენდვიჩს დახედა და მაგიდაზე დადო. როდესაც კლაის შეხედა, მის თვალებში ენით აუწერელი სევდა იკითხებოდა. ხმადაბლა ალაპარაკდა, თითქოს დიდი საიდუმლოს გამხელას აპირებდა, — გახსოვს, პოლიციელმა რა უთხრა იმ გიჟს, ვიდრე მოკლავდა?

კლაიმ თავი დაუქნია. *„ეი, მეგობარო, როგორ ხარ? მაინტერესებს, რა დაგემართა?“* — ეს სიტყვები სიცოცხლის ბოლომდე არ დაავიწყდებოდა.

— ვიცოდი, რომ ცხოვრებაში ყველაფერი არ არის ისე, როგორც კინოში, — წაიჩურჩულა ტომმა, — მაგრამ წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ტყვიას დარტყმის ასეთი ძალა აქვს და კიდევ ის მოულოდნელი ბგერა, როდესაც შემადგენლობა... თავის ქალის შემადგენლობა...

უეცრად წინ გადაიხარა, პატარა ხელი პირზე აიფარა. ამ მოძრაობამ რაფერი ისე დააშინა, რომ იატაკზე ჩახტა. ტომმა სამი ყრუ ხორხისმიერი ბგერა ამოუშვა. კლაი დაიძაბა, უკვე მოემზადა იმისთვის, რომ ამ ბგერებს გულისრევაც მოჰყვებოდა. მხოლოდ იმას იმედოვნებდა, რომ თავადაც რწყევას არ დაიწყებდა, მაგრამ

[1] *მეისის ბალონი — ცრემლსადენი აირის ბალონი, რომელიც გამოიყენება თავდაცვის მიზნით, ასევე პოლიციის მიერ ქუჩებში წესრიგის აღდგენის დროს. იწვევს თავბრუსხვევას, სუნთქვის მოშლას და ა.შ.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეჭვობდა, რომ ეს სრულიად მოსალოდნელი იყო. კარგად გრძნობდა იმ სუსტ ზღვარს, რომლის გადაბიჯება ასეთი ადვილი გახლდათ და რის შემდეგაც დაუსრულებელი რწყევა დაიწყებოდა. ხვდებოდა, რას გულისხმობდა ტომი — გასროლა, მერე კი ასფალტზე გასხმული ის წებოვანი ნივთიერება.

მაგრამ გულისრევა არ დაწყებულა. ტომი საკუთარ კუჭს მოერია, ჭერს აცრემლებული თვალებით მიაჩერდა.

— მაპატიე. ამაზე საუბარი არ უნდა წამომეწყო.

— რა არის საპატიებელი.

— მგონი, თუ გვინდა, ამ ყველაფერს თავი დავალწიოთ, უნდა მოვძებნოთ საკუთარ თავში უნარი და სქელი ტყავი გადავიკრათ, უგრძნობები გავხდეთ. ჩემი აზრით, ვინც ამას შეძლებს, — გაჩუმდა და მერე ისევ გააგრძელა, — მგონი, ვინც ამას შეძლებს, — ისევ გაჩუმდა და მესამედ წამოიწყო, — ვინც ამას მოახერხებს, მხოლოდ ის გადარჩება.

და კოულმენის ლამპის თეთრ სინათლეზე ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს.

10

— მას შემდეგ, რაც ქალაქიდან წამოვედით, არც ერთი იარაღიანი ადამიანი არ შემხვედრია, — გაუზიარა თავისი დაკვირვება კლაიმ, — თავიდან ყურადღებას არ ვაქცევდი, მერე კი სწორედ იარაღიანი ხალხის თვალით ძებნა დავიწყე.

— ამის მიზეზი თავადაც კარგად იცი, ასე არ არის? თუ არ ჩავთვლით, ალბათ, კალიფორნიასა და მასაჩუსეტსს, სხვაგან ყველგან ძალზე მკაცრი კანონია იარაღის ფლობისა და ტარების შესახებ.

კლაის გაახსენდა რამდენიმე წლის წინ შტატის საზღვარზე ნანახი ბილბორდები, რომლებიც იმავეს ადასტურებდა. შემდეგ ისინი შეცვალა ახალმა ბილბორდებმა, რომელთა თანახმად, თუ მანქანაში სასმელს ან ნარკოტიკს აღმოაჩენდნენ, მძღოლი დაკავების პირველ ღამეს ციხეში გაატარებდა.

— თუ პოლიციელები შენი მანქანის საბარგულში ან უჯრაში სარეგისტრაციო ტალონსა და სადაზღვევო პოლისთან ერთად გადა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მალულ პისტოლეტს ან რევოლვერს აღმოაჩენენ, ციხეში დაახლოებით შვიდი წლით წახვალ, — განაგრძო ტომმა, — თუ გაგაჩერეს, ხოლო შენი პიკაპის მისაბმელში, ნადირობის სეზონზეც კი, დატენილი კარაბინი ან თოფი იპოვეს, ჯარიმას იხდი ათი ათასი დოლარის ოდენობით და ორწლიან საზოგადოებრივ სამუშაოსაც აიკიდებ, — მაგიდიდან შეუჭმელი სენდვიჩი აიღო, დაათვალიერა და ისევ დადო, — შეგიძლია პისტოლეტი ან რევოლვერი სახლში გქონდეს, თუ დამნაშავე არა ხარ, მაგრამ ტარების ლიცენზია? თუ მამა ო'მოლი[1] ბიჭების კლუბიდან სიტყვას შეგაწევს, მაშინ კიდევ არა უშავს, მაგრამ ეს ხომ ყოველთვის არ მოხდება.

— იარაღის არქონამ რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა, მათ შორის, იმათი, ვინც ქალაქიდან წავიდნენ.

— სრულიად გეთანხმები, — თქვა ტომმა, — ის ორი ბიჭი გაიხსენე, კასრისთვის რომ ჩხუბობდნენ, მადლობა ღმერთს, რომ ერთ-ერთს 38 კალიბრის რევოლვერი არ ჰქონდა.

კლაიმ თავი დაუქნია.

ტომი საზურგეს მიეყრდნო, ვიწრო მკერდზე ხელები დაიწყო, მიმოიხედა. მისი სათვალე ბრწყინავდა. კოულმენის ლამპის სინათლის წრე მკვეთრი, მაგრამ პატარა იყო.

— პისტოლეტზე უარს არ ვიტყოდი, — დაამატა ტომმა, — მას შემდეგაც კი, რაც საკუთარი თვალით ვნახე, რა დაემართა ადამიანს, და არ დაგავიწყდეს, თავს პაციფისტად ვთვლი.

— აქ დიდი ხანია ცხოვრობ, ტომ?

— დაახლოებით თორმეტი წელია. საკმარისად დიდი ხანი, რათა დაინახო, რა გზა გაიარა მოლდენმა და როგორ იქცა სანაგვედ. საბოლოო წერტილამდე ჯერ არ მისულა, მაგრამ დასასრული უკვე ახლოსაა.

— კარგი, მოდი, ახლა ამაზე დავფიქრდეთ. შენი მეზობლებიდან ვის შეიძლება შინ იარაღი ჰქონდეს?

ტომმა დაუფიქრებლად უპასუხა:

— არნი ნიკერსონს. ქუჩის გადაღმა, სამი სახლით ქვემოთ ცხოვრობს. „ტოიოტა კამრის“ ბამპერზე მსროლელთა ეროვნული ასო-

[1] *მამა ო'მოლი — მთავარი პერსონაჟი ფილმისა „შენი გზით იარე“ (1944) ძნელად აღსაზრდელი ყმაწვილების ჭეშმარიტების გზაზე მოქცევას ცდილობდა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ციაციის[1] სტიკერი აქვს მიკრული, კიდევ „ყვითელი ლენტის“[2] ორი გადასაყვანი სურათი და „ბუში-ჩეინის“ გამოსახულებიანი ძველი სტიკერი...

— შეგიძლია ალარ...

— ამას დაამატე მსროლელთა ეროვნული ასოციაციის ორი სტიკერი პიკაპზე, რომელსაც ბორბლებიან მისაბმელს აბამს და ნოემბერში შენს მხარეში ჩამოდის სანადიროდ.

— ჩვენ კი ბედნიერები ვართ, რადგან ჩვენს შტატში ნადირობის ლიცენზიისთვის ფულს იხდის, — თქვა კლაიმ, — მოდი, ხვალ მის სახლში შევიპაროთ და იარაღი ავიღოთ.

ტომ მაკორტმა ისე შეხედა, როგორც შეშლილებს უყურებენ.

— ეს კაცი ისეთი პარანოიკი არ არის, როგორიც ზოგიერთი იუტის სახალხო არმიაში. იმის თქმა მინდა, რომ გადასახადების გადამხდელ შტატში კი ცხოვრობს, მაგრამ მის სახლში დამცავი სიგნალიზაციაა ჩართული, გაზონზე კი ყველგან ასეთი წარწერებია: ᲒᲘᲜᲓᲐ, ᲑᲔᲓᲘ ᲡᲪᲐᲓᲝ, ᲜᲐᲒᲐᲕᲝ? — დარწმუნებული ვარ, კარგად იცი მსროლელთა ეროვნული ასოციაციის წევრების დამოკიდებულება მათთვის იარაღის წართმევის მოსურნეთა მიმართ.

— როგორც ვხვდები, უკვე მკვდარს გაშეშებული თითებიდან უნდა გამოაცალო.

— სწორედ ასეა.

კლაი წინ გადაიხარა და საბოლოოდ ჩამოაყალიბა ის, რაც მისთვის თვალნათელი გახდა მას შემდეგ, რაც გზატკეცილიდან გადმოუხვიეს: პირველი — მოლდენი მხოლოდ ერთ-ერთია ამერიკის შეერთებულუჯრედიანი შტატებიდან და მოცემულ მომენტში მთელი ეს ქვეყანა წყობიდან გამოვიდა, უკაცრავად, კავშირი არ არის, თუ შეიძლება, მოგვიანებით დარეკეთ. თითქოს სეილემ-სტრიტზე არც ერთი ცოცხალი არსება ალარ დარჩა. ეს მაშინ იგრძნო, როდესაც სახლს უახლოვდებოდნენ... ასე არ არის?

„არა. სრული სისულელეა. რატომლაც ვგრძნობდი, ვილაც როგორ გვითვალთვალებდა“.

---

[1] *მსროლელთა ეროვნული ასოციაცია (NRA) — გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც იარაღის ფლობისა და ტარების აქტიური მომხრე და დამცველია.*

[2] *„ყვითელი ლენტი“ აშშ-ის შეიარაღებული ძალების მხარდაჭერის სიმბოლოა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მართლა? და რომც ეგრძნო ასეთი რამ, ნუთუ შეიძლებოდა ამ ინტუიციაზე დაყრდნობა, მის საფუძველზე მოქმედება მას შემდეგ, რაც ასეთი დღე გადაიტანა? სასაცილო აზრი იყო.

— ტომ, მისმინე. ხვალ, გათენებულზე, ერთ-ერთი ჩვენგანი ამ ნაკლესონთან უნდა მივიდეს და...

— ნიკერსონია, და არა მგონია, ეს კარგი იდეა იყოს, იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც სვამი მაკორტმა არნი სასტუმრო ოთახის ფანჯარასთან ჩამუხლული ავტომატური კარაბინით ხელში დაინახა, ცხადი გახდა, რომ ის სამყაროს დასასრულისთვისაც კი მზად არის. სამყაროს დასასრული კი უკვე დადგა.

— მასთან მივალ, — არ დაეთანხმა კლაი, — მაგრამ არ წავალ იმ შემთხვევაში, თუ ამაღამ ან ხვალ დილით ნიკერსონის სახლიდან სროლის ხმას გავიგონებთ. სულაც არ მინდა, გაზონზე მკვდრები დავინახო, ცეცხლსასროლი ჭრილობებით ან მათ გარეშე. ეს ყველაფერი უკვე ნანახი მაქვს სერიალში „*ბინდის ზონა*", რომელშიც ნაჩვენებია, რომ ცივილიზაცია მხოლოდ და მხოლოდ შელაკის თხელი ფენაა.

— ასეც არის, — პირქუშად შენიშნა ტომმა, — პოლ პოტი, იდი ამინი, ბრალდების მხარემ მტკიცებულებათა წარდგენა დაასრულა.

— ხელებანეული წავალ. ზარს დავრეკავ. თუ ვინმე მიპასუხებს, ვეტყვი, რომ მასთან საუბარი მსურს. ცუდი რა უნდა მოხდეს? ბოლოს და ბოლოს, ჯანდაბაში გამგზავნის.

— არა, ცუდი ის მოხდება, რომ თავისი პარმალის დაწყევლილ ფეხსანმენდზე გაგაგორებს, მე კი პირისპირ დავრჩები გოგონასთან ერთად, რომელმაც, ეს-ეს არის, დედა დაკარგა, — უხეშად უთხრა ტომმა, — თუ გინდა, მუდმივად გახსოვდეს ეპიზოდები სერიალიდან „*ბინდის ზონა*", მაგრამ ნუ დაგავიწყდება დღეს ტრამვაის სადგურთან მოჩხუბრები.

— ეს იყო... არ ვიცი, *ამას* რა დავარქვა, მაგრამ ისინი ჭკუიდან გადამცდარნი იყვნენ. ამაში ხომ ეჭვი არ გეპარება, ტომ?

— ბერტაზე რალას იტყვი, ბიბლიას რომ იქნევდა აქეთ-იქით? ან იმ ორ ტიპზე, ლუდის კასრისთვის რომ დაასისხლიანეს ერთმანეთი? ისინიც შეიშალნენ?

არა, რასაკვირველია, არა, მაგრამ თუ ქუჩის გადალმა სახლში იარალი იყო, ამ იარაღის ხელში ჩაგდება სურდა და სიხარულით შეაიარაღებდა ტომსაც და ელისსაც.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჩრდილოეთისკენ ასობით მილი უნდა ვიაროთ, — შენიშნა კლაიმ, — შესაძლოა, მანქანაც მოვიგდოთ ხელში და ნაწილი ასე გავიაროთ, მაგრამ, ძირითადად, ფეხით მოგვიწევს სიარული. მარტო დანების ამარა გინდა ვიაროთ? ამას გეკითხები როგორც პასუხისმგებლიანი ადამიანი მეორე პასუხისმგებლიან ადამიანს, იმიტომ, რომ ის, ვინც გზაზე გადაგვეყრება, იარაღით იქნება. იმედია, ეს თავადაც იცი.

— ჰო, — თავი დაუქნია ტომმა, ხელი გადაისვა აკურატულად დაწყობილ თმაზე და ვარცხნილობა გაიფუჭა, — ვიცი, რომ არნისა და ბეტს სახლში ვერ ნახავ. ორივე შეშლილია არა მარტო იარაღზე, არამედ თანამედროვე ნივთებზეც. ყოველთვის მობილურზე საუბრობდა, როდესაც თავისი უზარმაზარი „დოჯ-რემის“ პიკაპის, ამ დეტროიტული ფალოსის, საჭესთან იჯდა.

— ხედავ? ესე იგი, ჩემს მხარეზე ხარ.

ტომმა ამოიოხრა.

— კარგი. გააჩნია, დილით რა მოხდება. შევთანხმდით?

— შევთანხმდით, — კლაი ისევ სენდვიჩს მიუბრუნდა. ახლა ჭამის სურვილი მოემატა.

— სად წავიდნენ? — შეეკითხა ტომი, — ისინი, ვისაც მობილოგიუებს ეძახი? სად გაქრნენ?

— წარმოდგენა არა მაქვს.

— მე გეტყვი: ჩემი აზრით, ყველანი სახლებსა და ადმინისტრაციულ შენობებში შეიკეტნენ და დაიხოცნენ.

კლაი დაეჭვებული უმზერდა.

— ეს ყველაფერი საღი გონებით შეაფასე და მიხვდები, რომ მართალი ვარ. ეს უფრო რაღაც ტერორისტული აქტის მსგავსი იყო, მეთანხმები?

— ყველა დანარჩენზე დამაჯერებელი ახსნაა, მაგრამ ეშმაკმა დალახვროს, ვერ გამიგია, რაღაც სიგნალმა, როგორი დამანგრეველიც უნდა იყოს, ასე როგორ უნდა იმოქმედოს ფსიქიკაზე?

— მეცნიერი ხარ?

— კარგად იცი, რომ არა. მხატვარი ვარ.

— ჰოდა, როდესაც მთავრობა ამბობს, რომ შეუძლია ავიამზიდიდან კომპიუტერით მართული ჭკვიანი ბომბები დაუშინოს ბუნკერს, რომელიც სადღაც, ხომალდიდან ორი ათასი მილით დაშორებულ უდაბნოშია, ისღა დაგრჩენია, ფოტოებს უყურო და ამგვარი ტექნიკური საშუალებების არსებობის გჯეროდეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ტომ კლენსი[1] რატომ მომატყუებდა? — იკითხა კლაიმ ყოველგვარი ირონიის გარეშე.

— და თუ *ამგვარი* ტექნოლოგია არსებობს, რატომ არ უნდა დაიჯერო ამის არსებობისაც, თუნდაც უბრალო ვარაუდის სახით?

— კარგი. თქვი ყველაფერი, რასაც ფიქრობ, ოღონდ მარტივად, თუ შეიძლება.

— პირველ ოქტომბერს, ნაშუადღევის სამ საათზე, ტერორისტული ორგანიზაცია, შეიძლება რომელიმე გარიყული სახელმწიფოც კი, ახდენს ერთგვარი იმპულსის გენერირებას, ანუ სიგნალის, რომელიც გადაეცემა დედამიწის ყველა მობილურ ტელეფონს. იმედია, ეს ის შემთხვევა არ არის, მაგრამ, ვფიქრობ, მოცემულ მომენტში ყველაზე ცუდი ვერსია უნდა განვიხილოთ.

— სიგნალის გენერირება აღარ ხდება?

— არ ვიცი, — ტომმა მხრები აიჩეჩა, — გინდა მობილური ვიპოვოთ და ვცადოთ?

— ტუში, — უპასუხა კლაიმ, — ასე ამბობს ჩემი ბიჭი სიტყვას *touché*[2]. *„და, ღმერთო, გევედრები, ისე მოახერხე, რომ ისევ ამბობდეს“*.

— თუ ამ ჯგუფს შეუძლია, გადასცეს სიგნალი, რომელიც გაგონებისთანავე აგიჟებს ყველას, სრულიად შესაძლებელია, იგივე სიგნალი შეიცავდეს დირექტივას მათთვის, რომ თავი მოიკლან ხუთი საათის შემდეგ ან, უბრალოდ, დაწვნენ და სუნთქვა შეწყვიტონ.

— ჩემი აზრით, ეს შეუძლებელია.

— მე კი იმას გიპასუხებ, რომ შეუძლებელი იყო, წარმოგედგინა შეშლილი, რომელიც დანით ხელში თავს გესხმის სასტუმრო „წელიწადის დრონის“ მოპირდაპირე მხარეს, — უპასუხა ტომმა, — ან კიდევ, დაფერფლილი ბოსტონი, რომლის მოსახლეობის ის ბედნიერი ნაწილი, რომელსაც მობილური ტელეფონი არა აქვს, მისტიკისა და ზაკიმის[3] ხიდის გავლით ტოვებს მას.

---

[1] *ტომ კლენსი (1947-2013) — თანამედროვე ამერიკელი მწერალი, რომლის თრილერებში ხშირად არის აღწერილი სამხედრო მიზნით გამოყენებული თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები.*

[2] *Touché — ფრანგულად ნიშნავს „გნებდები“.*

[3] *ლეონარდ პოლ „ლენი“ ზაკიმი (1953-1999) — ებრაული წარმოშობის ბოსტონელი რელიგიური მოღვაწე, ადამიანის უფლებათა დამცველი, ეთნოსთა შორის ურთიერთობების განმტკიცების მომხრე. მისი სახელი ეწოდა ქალაქის მთავარ მდინარეზე, ჩარლზზე აგებულ ხიდს.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომი წინ გადაიხარა და დაუინებით დააცქერდა კლაის. *„სურს, ამის სჯეროდეს,* — გაიფიქრა კლაიმ, — *არ ღირს გადარწმუნებაზე დროის დახარჯვა, იმიტომ, რომ ძალიან, ძალიან სჯერა იმის, რასაც ფიქრობს“.*

— გარკვეული თვალსაზრისით, ეს არაფრით განსხვავდება ბიოტერორიზმისგან, რომლისაც მთავრობას ასე ეშინია 9/11-ის[1] შემდეგ, — განაგრძობდა ტომი, — მობილური ტელეფონების გამოყენებით, რომლებიც დღეს ყველაზე გავრცელებული კავშირგაბმულობის საშუალებაა ყოველდღიურ ცხოვრებაში, მოსახლეობას, იმავდროულად, საკუთარი არმიის რეკრუტებად გადააქცევ, იმ არმიის, რომელსაც არაფრის ეშინია, იმიტომ, რომ ჭკუაზე არის შეშლილი, და მისი მეშვეობით ანგრევ ინფრასტრუქტურას. სად არის ახლა, ამ ღამით, ეროვნული გვარდია?[2]

— ერაყში? — ვარაუდით იკითხა კლაიმ, — ლუიზიანაში?[3]

დიდი უკბილო ხუმრობა გამოდგა, ტომს არ გაუღიმია.

— არსად. როგორ შეიძლება გამოიყენო მოხალისეთა არმია, რომლის მობილიზაცია მხოლოდ და მხოლოდ *მობილურ კავშირგაბმულობას* ემყარება? თვითმფრინავებს რაც შეეხება, უკანასკნელი მფრინავი აპარატი, რომელიც ვნახე, იყო ის პატარა, რომელმაც ჩარლზ-სტრიტისა და ბიკონ-სტრიტის კუთხეში კატასტროფა განიცადა, — ტომი ცოტა ხანს დუმდა, შემდეგ ისევ განაგრძო, კლაის თვალებში უყურებდა, — მათ, ვინც უნდა იყვნენ ისინი, ეს მოახერხეს. საიდანღაც, სადაც ცხოვრობენ, გვიყურებენ, საკუთარ ღმერთებს ეთაყვანებიან და რას ხედავენ?

სათვალის მიღმა მოკიაფე ტომის თვალებით მოჯადოებულმა კლაიმ თავი გაიქნია, თითქოს წინასწარმეტყველის თვალები იყო.

---

[1] *9/11 — იგულისხმება 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმები აშშ-ში, რომლებიც ორგანიზებული იყო „ალ-ქაიდას“ თვითმკვლელი ტერორისტების მიერ.*

[2] *ეროვნული გვარდია — მოხალისეთა (რეზერვისტთა) შეიარაღებული ფორმირებები, რომლებიც შტატებში ყალიბდება. გვარდიის დანაყოფები სახმელეთო ჯარისა და სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაში შედის.*

[3] *ქარიშხალმა „კატრინამ“ ყველაზე მეტად ლუიზიანის შტატი დააზარალა. შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოებში ფართოდ იყო ჩართული ეროვნული გვარდია.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ისინი ხედავენ, რომ ისევ ავაგეთ ბაბილონის გოდოლი, ოღონდ ამჯერად ელექტრონული ქსელის მეშვეობით. რამდენიმე წამში დაშალეს ეს ქსელი და ჩვენი გოდოლიც დაინგრა. აი, რა გააკეთეს, ჩვენ კი მხოლოდ და მხოლოდ ხოჭოები ვართ, რომელთაც შემთხვევით გაუმართლათ. მიწაზე დაშვებული გიგანტის ტერფქვეშ არ მოვყევით და არ გავიჭყლიტეთ. თუ ეს ყველაფერი მოახერხეს, შენ გგონია, სიგნალში იმის კოდირება გაუჭირდებოდათ, რომ ხუთი საათის შემდეგ ყველას სუნთქვა შეეწყვიტა? ნუთუ ეს წინანდელთან შედარებით ასეთი რთული ამოცანა უნდა იყოს? ჩემი აზრით, სრულებითაც არა.

— ჩემი აზრით კი, ძილის დროა, — თქვა კლაიმ.

რამდენიმე წამის განმავლობაში ტომს მდგომარეობა არ შეუცვლია, ისევ მაგიდაზე იყო გადახრილი და კლაის მისჩერებოდა. თითქოს არც კი გაუგონია მისი ნათქვამი, მერე გადაიხარხარა.

— ჰო, — აღმოხდა ტომს, — ჰო, მართალი ხარ. ძალიან კი გავუტიე, მაპატიე.

— სრულებითაც არა, — არ დაეთანხმა კლაი, — იმედია, ყველაფერი სწორედ ისეა, როგორც შენ თქვი და ღამით ყველა ეს შეშლილი სულს გააფრთხობს, — დადუმდა და მერე დაამატა, — იმის თქმა მინდა, რა კარგი იქნებოდა, ჩემს ბიჭს... ბიჭუნა ჯონის... — მაგრამ წინადადების დასრულება ველარ შეძლო, ნაწილობრივ ერთი მიზეზის გამო: თუ დღის მეორე ნახევარში ჯონიმ მობილური ტელეფონი გამოიყენა და იგივე სიგნალი მიიღო, რაც ქერათმიანმა ფერიამ და საქმიან კოსტიუმში გამოწყობილმა ქალმა, კლაიმ დანამდვილებით არც კი იცოდა, სურდა თუ არა, საკუთარი ვაჟი ცოცხალი ეხილა.

ტომმა კლაისკენ გადაიწია და მან მისი თხელი, გრძელთითებიანი ხელი თავის ხელებში მოიქცია. ამ ყველაფერს თითქოს გვერდიდან ხედავდა, გეგონებოდა, სხეულიდან გავიდაო, და როდესაც ლაპარაკი დაიწყო, თითქოს თავად არ ლაპარაკობდა, თუმცა, მოძრავ ბაგეებსა და ლოყებზე ჩამოსულ ცრემლს გრძნობდა.

— ისე ვღელავ და მეშინია მის გამო, — ამბობდა კლაის პირი, — ორივეს გამო ვღელავ, მაგრამ უფრო მეტად ჩემი ბიჭის გამო.

— ყველაფერი კარგად იქნება, — თქვა ტომმა და თუმცა, კლაიმ იცოდა, ტომს მისთვის მხოლოდ სიკეთე სურდა, ამ სიტყვების გაგონებაზე შეძრწუნდა, იმიტომ, რომ ჩვეულებრივ, ამ წინადადებას მაშინ ამბობენ, როდესაც სხვა გამოსავალი აღარ არსებობს. ეს იგივეა, *რაც ამ ყველაფერს გადაიტან* ან *ის ახლა უკეთეს ადგილზეა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

11

ელისის ყვირილმა კლაი არეულ-დარეული, მაგრამ სასიამოვნო სიზმრისგან გამოაფხიზლა. ესიზმრა, თითქოს ოჰაიოს შტატის ქალაქ აკრონში ბაზრობაზეა, ბინგოს პავილიონში. ექვსი წლისაა (შესაძლოა, ნაკლებისაც, მაგრამ მეტის — ნამდვილად არა) და გრძელი მაგიდის ქვეშ შეძვრა, რომელთანაც დედამისი იჯდა, ქალების ფეხებს უყურებდა, ნახერხის მოტკბო სურნელს იყნოსავდა მაშინ, როდესაც წამყვანი აცხადებდა: „B-12, მოთამაშეებო, B-12! ეს *მზის სინათლის* ვიტამინია!"

ერთ მომენტში მისმა გონებამ გოგონას ყვირილის სიზმარში ჩართვა სცადა, თითქოს სასტვენის ხმა მოესმა, რაც შაბათის შუადღის დადგომას იუწყებოდა, მაგრამ ეს ძალიან ცოტა ხანს გაგრძელდა. კლაიმ ტომის პარმალზე თავს დაძინების უფლება მას შემდეგ მისცა, რაც ერთი საათი ქუჩას უთვალთვალა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არაფერი მოხდებოდა, ყოველ შემთხვევაში, იმ ღამეს, მაგრამ, ამასთან, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ელისი დილამდე ვერ დაიძინებდა, ამიტომ მაშინვე მიხვდა, ვინ ყვიროდა (და რატომ), და არც იმის გარკვევა გასჭირვებია, საიდან მოდიოდა ხმა. სულ ცოტა ხნის წინ პატარა ბიჭუნა იყო ოჰაიოს შტატში, გრძელი მაგიდის ქვეშ შემალული, რომელზედაც ბინგოს თამაშობდნენ, და ახლა გრძელ, მოხერხებულ ტახტზე ინვა ტომ მაკორტის სახლის შემინულ პარმალზე, მუხლები და ტერფები საბანში ჰქონდა გახვეული, სახლში კი ელის მაქსველი ყვიროდა, ხმამაღლა, გამყივანად, სულ ცოტათი აკლდა იმ სიხშირემდე, რომელზედაც ბროლი სკდება. ეს ბგერები გამოხატავდა გასული დღის მთელ საშინელებას, რომ შეუძლებელია, ასეთი რამ ხდებოდეს და ყველაფერი, რაც მოხდა, უნდა უარყო.

კლაიმ სცადა საბნიდან გამოძრომა, რომელსაც თავდაპირველად მისი გაშვება არ სურდა. შიდა კარისკენ გაქანდა, თან გზადაგზა საბანს იშორებდა, ცალი თვალით კი სეილემის ქუჩას უმზერდა დარწმუნებული, რომ მეზობელ სახლებში ის-ის იყო, სინათლეები აინთებოდა, თუმცა, ის კი ახსოვდა, რომ ელექტრობა გამორთეს; დარწმუნებული გახლდათ, რომ ვილაც, ვისაც, ალბათ, იარაღი აქვს და თანამედროვე ტექნიკა უყვარს, მისტერ ნიკერსონი, აქედან სამი სახლის დაშორებით, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მცხოვრები, თავის გაზონზე გამოვარდება და ყვირილით მოითხოვს, ვინმემ დააწყნაროს ეს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გოგო. *„ნუ მაიძულებთ მანდ მოსვლას!* — დაიღრიალებდა მისტერ ნიკერსონი, — *ნუ მაიძულებთ, მანდ მოვიდე და მივახვრიტო!“*

ან მის ყვირილს შეიძლებოდა, მიეზიდა მობილოგიჟები, რომლებიც მოირბენდნენ როგორც ფარვანები ლამპის სინათლეზე. დაე, ტომმა ჩათვალოს, რომ ისინი ყველანი დაიხოცნენ, მაგრამ კლაის ამის ისე სჯეროდა, როგორც სადღაც, ჩრდილოეთ პოლუსზე სანტა-კლაუსის სახლის არსებობის.

სეილემის ქუჩაზე, ყოველ შემთხვევაში, ამ კვარტალში, ქალაქის ცენტრიდან დასავლეთით და იმ ნაწილის გვერდით, რომელსაც ტომი გრანადა-ჰალდენსს უწოდებდა, სიბნელე და მდუმარება, სრული უმოძრაობა სუფევდა. რივერის ხანძრის სიკაშკაშეც კი მინავლდა.

კლაიმ, როგორც იქნა, საბანს თავი დააღწია და სახლში შევიდა, კიბესთან შეჩერდა და სიბნელეს დააცქერდა. ახლა ტომის ხმა ესმოდა, სიტყვებს ვერ არჩევდა, მაგრამ მშვიდი, გაწონასწორებული, დამამშვიდებელი ხმა იყო. გოგონას სისხლის გამყინავი ყვირილი ხრინწიანი ამოოხვრებით შეიცვალა, შემდეგ ქვითინით, გაურკვეველი ბგერებით, რაც ბოლოს სიტყვებად იქცა. კლაიმ ერთი სიტყვა გაიგონა: *კოშმარი.* ტომის ხმა არ ცხრებოდა, მონოტონურად ისმოდა, სიმშვიდის შენარჩუნების მიზნით იტყუებოდა, რომ უკვე ყველაფერი კარგადაა, დილით, აი, ნახავ, ყველაფერი უკეთესად იქნება. კლაიმ ნათლად წარმოიდგინა ორივენი, გვერდიგვერდ ჩამომჯდარი სტუმრების ოთახში, საწოლზე, პიჟამებში, რომელთა გულის ჯიბეებზე ამოქარგულია მონოგრამა **TM.** დახატვაც კი შეეძლო. ამ აზრმა გაახალისა და გაილიმა.

როდესაც დარწმუნდა, ყვირილს აღარ გაიგონებდა, კლაი ისევ პარმალზე დაბრუნდა. გრილოდა, მაგრამ სიცივეს ადვილად გაუმკლავდა, რადგან ისევ საბანში შეიყუჟა. ტახტზე წამოჯდა და ქუჩის იმ ნაწილს ათვალიერებდა, რისი დანახვაც შეეძლო. მარცხნივ, ტომის სახლის აღმოსავლეთით, საქმიანი რაიონი მდებარეობდა. მოეჩვენა, რომ ქალაქის მოედანზე, შესასვლელთან, შუქნიშანს მოჰკრა თვალი. მეორე მხარეს, საიდანაც მოვიდნენ, ტომის სახლის მსგავსი სახლების რიგი მოჩანდა. სახლები სიბნელეში ჩაძირულიყო.

„სად ხართ? — დაიჩურჩულა კლაიმ, — *ნაწილი ჩრდილოეთით და დასავლეთით წავიდა, ისინი, ვისაც სალი აზრი შერჩა, მაგრამ დანარჩენები სად დაიკარგეთ?“*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქუჩიდან პასუხი არავის გაუცია. ჯანდაბა! იქნებ ტომი მართალი იყო და მობილურით მართლაც გადასცეს ბრძანება, სამ საათზე ჭკუაზე შეშლილიყვნენ, ხოლო რვაზე დახოცილიყვნენ, მაგრამ ასეთი რამ მეტისმეტად კარგია იმისთვის, რომ სიმართლე გამოდგეს. მეორე მხრივ, ისიც ახსოვდა, ზუსტად ეს გაიფიქრა ჩამწერი CD-დისკების შესახებაც.

მის წინ, ქუჩაში, სიჩუმე იდგა. სიჩუმე იყო სახლში, მის ზურგს უკან. მცირე ხნის შემდეგ კლაი ტახტზე გაწვა და თვალებს დახუჭვის უფლება მისცა. გაიფიქრა, რომ მხოლოდ ჩათვლემს, დაძინებას ვერ შეძლებს, მაგრამ შეძლო და ამჯერად არაფერი დასიზმრებია. მხოლოდ ერთხელ, გათენებას ცოტა აკლდა, რომ სახლის წინ, გაზონზე, მაწანწალა ძაღლმა ჩაიარა, ერთი კი შეხედა საბანში გახვეულ მხვრინავ მამაკაცს, მერე გზა გააგრძელა. ძაღლს არსად ეჩქარებოდა. იმ დილას მოლდენში საჭმელი თავზე საყრელი ექნებოდა... და მომდევნო დღეებშიც.

12

— კლაი, გაიღვიძე.

შეანჯღრიეს. კლაიმ თვალები გაახილა და ტომი დაინახა. ჯინსი და რუხი პერანგი ეცვა. პარმალს მზის მქრქალი სინათლე ანათებდა. კლაიმ საათს დახედა და ტახტიდან ფეხები ჩამოიღო. შვიდის ოცი წუთი.

— ეს უნდა ნახო, — ჩურჩულით უთხრა მან.

ტომი ფერმკრთალი და აღელვებული იყო, მისი ულვაშის ორივე მხარეს გასაპარსი ჯაგარი ჩანდა. ჯინსის ცალ მხარეს პერანგის ძირი ამოსჩროდა, კეფაზე თმა ყალყზე ედგა.

კლაიმ სეილემის ქუჩას გახედა და დაინახა ძაღლი, რომელსაც პირით რაღაც ეჭირა და ორ მიტოვებულ ავტომობილს ჩაუარა ტომის სახლის დასავლეთით, ნახევარი კვარტალის დაშორებით. სხვა მოძრაობა ქუჩაზე არ შეინიშნებოდა. ჰაერში დამწვრის სუსტი სუნი იგრძნობოდა, რომელიც ან ბოსტონიდან მოდიოდა, ან რივერიდან, ან შესაძლოა, ორივე ნახანძრალიდან, თუმცა, ქარი, საბედნიეროდ, ჩადგა. კლაი ტომს მიუბრუნდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— აქ არა, — ტომი ისევ ჩურჩულით ლაპარაკობდა, — ეზოში. მაშინ დავინახე, როდესაც სამზარეულოში შევდიოდი ყავის მოსადუღებლად, ვიდრე გამახსენდებოდა, რომ ყავა აღარ იქნება, ყოველ შემთხვევაში, ერთხანს. იქნებ ეს ყველაფერი სისულელეა, მაგრამ რაც დავინახე, ძალიან არ მომეწონა.

— ელისს სძინავს? — კლაი საბნის ქვეშ წინდების ძებნას შეუდგა.

— ჰო და ეს კარგია. თავი დაანებე წინდებსა და ფეხსაცმელს, „რიცში" ვახშამზე კი არ მიდიხარ. წამოდი.

ტომს უკან მიჰყვა, რომელიც მოსახერხებელი საშინაო ფეხსაცმლით დერეფნის გავლით სამზარეულოსკენ მიდიოდა. მაგიდაზე ყინულიანი ჩაის დაუცლელი ჭიქა იდგა.

— იცი, კოფეინის გარეშე დღის დაწყება არ შემიძლია, — აუხსნა ტომმა, — თუ გინდა, ჩაი შენც დაისხი, ჯერ კიდევ ცივია... ჰოდა, ბაკნის თავზე ფარდა გადავწიე, რომ ჩემი ბოსტნისთვის შემეხედა. მიზეზი არ მქონია, უბრალოდ, გარემოს დანახვა მინდოდა და დავინახე... თუმცა, უმჯობესია, თავად შეხედო.

კლაიმ ბაკნის თავზე სარკმელში გაიხედა. მოვლილი, პატარა, კედლებით შემოზღუდული და აგურით მოკირწყლული შიდა ეზო დაინახა, სადაც აირის გრილიც იდგა. გრილის იქით საკუთრივ ეზო იწყებოდა, ნაწილი გაზონს ეკავა და მეორე ნახევარი ბოსტანს ეთმობოდა. ეზოს შემოსაზღვრავდა მაღალი მესერი ჭიშკრით. ჭიშკრის ჩასაკეტი ურდული ვილაცას მოეტეხა და ახლა გვერდულად ეკიდა, მოტეხილი ძვალივით. კლაიმ გაიფიქრა, რომ ტომს შეეძლო ყავა აირის გრილზეც კი მოედუღებინა, რომ არა მამაკაცი, რომელიც მის ბოსტანში დეკორატიულის მსგავსი საზიდრის გვერდით იჯდა, გახეთქილი გოგრის რბილობს შეექცეოდა და კურკებს იფურთხებოდა. მექანიკოსის კომბინეზონი ეცვა, გაქონილი კეპი ეხურა, რომელზედაც გახუნებული მთავრული ასო B მოჩანდა. კომბინეზონის მარცხენა გულის ჯიბეზე ფერგადასული წარწერა — George — იკითხებოდა. კლაის წკლაპუნის ხმა ესმოდა ყოველ ჯერზე, როდესაც მამაკაცის თავი გოგრაში უჩინარდებოდა.

— შენი დედაც, — წაიჩურჩულა კლაიმ, — ეს ერთ-ერთი იმათგანია.

— ჰო... და იქ, სადაც ერთია, სხვებიც იქნებიან.

— რომ შემოსულიყო, ურდული გატეხა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რასაკვირველია, გატეხა. არ მინახავს, ეს როგორ გააკეთა, მაგრამ გუშინ, ჩემს წასვლამდე, ჭიშკარი ურდულით იყო დაკეტილი, შეგიძლია, სიტყვაზე მენდო. მესრის მეორე მხარეს მცხოვრებ სკოტონისთან არცთუ ჩინებული ურთიერთობა მაქვს. ჩემნაირებს დასანახად ვერ იტანს და არაერთხელ უთქვამს, — ტომი დადუმდა, მერე უფრო ჩუმად განაგრძო. მანამდეც ჩურჩულით ლაპარაკობდა, მაგრამ ახლა კლაის დახრამ მოუწია, რომ სიტყვები გაერჩია, — იცი, ყველაზე საზარელი რა არის? ამ ჯეელს ვიცნობ. „სონის“ კუთვნილ „ტექსაკოს“ ავტოგასამართ სადგურში მუშაობს. ქალაქის ცენტრში. ეს მოლდენში ერთადერთი ავტოგასამართი სადგურია, სადაც ჯერ კიდევ არემონტებენ მანქანებს... ან არემონტებდნენ. ერთხელ რადიატორის შლანგი გამომიცვალა. მიყვებოდა, ძმასთან ერთად შარშან ნიუ-იორკში როგორ ჩავიდნენ „იანკების“ სტადიონზე გამართული თამაშის სანახავად და ნახეს, როგორ დაამარცხა კურტ შილინგმა[1] „დიდი გუნდი“[2]. მშვენიერი ბიჭი ჩანდა. ახლა კიდევ, შეხედე! ჩემს ბოსტანში ზის და უმ გოგრას თქვლეფს!

— რა ხდება, ბიჭებო? — იკითხა სამზარეულოში შესულმა ელისმა.

ტომი შებრუნდა, სახეზე შეშფოთება ეტყობოდა.

— ეს არ უნდა ნახო.

— სწორედაც რომ პირიქით, უნდა ნახოს, — ჩაერია კლაი.

კლაი ილიმებოდა და ამისთვის თავისთვის ძალის დატანება სულ არ სჭირდებოდა. გოგონას ტომმა პიჟამა მისცა, მართალია, მასზე ამოქარგული არაფერი ჩანდა, მაგრამ ცისფერი იყო, როგორც კლაის წარმოედგინა, და გოგონა ძალიან მიმზიდველად გამოიყურებოდა ფეხშიშველი, მუხლებამდე აკეცილი შარვლით, ძილის დროს გაწეწილი თმით. კოშმარების მიუხედავად, აშკარად ჩანდა, რომ მან ტომზე უკეთ დაისვენა. კლაი დარწმუნებული გახლდათ, გოგონა მასზე დასვენებულადაც გამოიყურებოდა.

— ეს არ არის ავარია ან რაღაც ასეთი. მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცი, რომელიც ტომის ბოსტანში უმ გოგრას თქვლეფს.

გოგონა მათ შორის დადგა, ხელებით ბაკნის ნაპირს დაეყრდნო, ფეხის წვერებზე აიწია ფანჯარაში გასახედად. მისი ხელი კლაისას

---

[1] *კურტ შილინგი — ბოსტონის პროფესიული ბეისბოლის გუნდის, „რედ-სოკსის“ მოთამაშე.*

[2] *ნიუ-იორკის ბეისბოლის პროფესიული გუნდის, „იანკების“, მეტსახელი. „იანკებს“ ყველაზე მეტჯერ აქვთ მოგებული ქვეყნის ჩემპიონატი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეეხო და კლაიმ იგრძნო ძილისგან გამოყოლილი სითბო. ელისი დიდხანს უყურებდა, მერე ტომს მიუბრუნდა:

— შენ ხომ თქვი, მათ თავი მოიკლესო?

კლაის ვერ გაეგო, ტომს ადანაშაულებდა ტყუილში თუ საყვედურობდა. *„ალბათ, ეს თავადაც არ იცის“*, — გაიფიქრა კლაიმ.

— მე ხომ ეს დანამდვილებით არ ვიცოდი, — თავი იმართლა ტომმა.

— თუ იმას გავითვალისწინებთ, გუშინ საღამოს რას ამბობდი, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ იცოდი, — გოგონამ ისევ ფანჯარაში გაიხედა.

„ყოველ შემთხვევაში, პანიკაში არ ჩავარდნილა“, — გაიფიქრა კლაიმ. მეტიც, მისი აზრით, მეტისმეტად თავდაჭერილიც კი იყო, მაგრამ დიდ პიჟამაში რალაცით ჩაპლინისეულ პერსონაჟს მოაგონებდა.

— ეჰე... ბიჭებო!

— რაო? — ორივე ერთდროულად გამოეხმაურა.

— იმ საზიდარს შეხედეთ, რომლის გვერდითაც ზის, საზიდრის ბორბალს.

კლაიმ უკვე შენიშნა ის, რაზედაც ელისი მიუთითებდა: გოგრის ქერქის ნაფლეთები, რბილობის ნაჭრები და გოგრის თესლი.

— გოგრა ბორბალს დაარტყა, — ივარაუდა ელისმა, — იმისთვის, რომ გაეხეთქა და მერე რბილობი ეჭამა. მგონი, ერთ-ერთი იმათგანია...

— ჰო, ერთ-ერთი იმათგანია, ასეა, — თავი დაუქნია კლაიმ.

მექანიკოსი ჯორჯი ბოსტანში ფეხებგაჩაჩხული იჯდა და კლაი ხედავდა, გუშინდელს შემდეგ როგორ დაავიწყდა დედიკოს გაფრთხილება, რომ ფისის დროს შარვალი უნდა ჩაეხადა.

— ...მაგრამ ეს ბორბალი იარაღად გამოიყენა. ჩემი აზრით, ეს სიგიჟეს არ ჰგავს.

— გუშინ ერთ-ერთმა ამნაირმა დანა გამოიყენა იარაღად, — არ დაეთანხმა ტომი, — მეორე კიდევ ავტომობილის ანტენას იქნევდა.

— ჰო, მაგრამ... ეს მაინც სხვა რამ არის.

— იმის თქმა გინდა, რომ ეს უფრო... მშვიდობიანია? — ტომმა ისევ თავის ბოსტანს გახედა, — სიმართლე გითხრა, რატომლაც სურვილი არა მაქვს, გარეთ გავიდე და ეს გავარკვიო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არა, ეს არა. მშვიდობიანია თუ არა, არ მიგულისხმია. არც კი ვიცი, როგორ ავხსნა.

კლაიმ კი ჩათვალა, რომ ესმოდა, გოგონა რასაც ამბობდა. გუშინ მათ მიერ ნანახი აგრესიულობა ბრმა, გაუცნობიერებელი სისასტიკე გახლდათ. მობილოგიჟები თავს ესხმოდნენ ყველას, ვისაც გადაეყრებოდნენ. ჰო, სწორედ ასე იქცეოდა ის ბიზნესმენი დანით ხელში და დაკუნთული ჯეელი, ასევე, მამაკაცი, რომელმაც პარკში ძაღლს ყური მოაჭამა. ქერათმიანმა ფერიამაც იარაღად საკუთარი კბილები გამოიყენა. ჯორჯის ქცევა კი მათი საქციელისგან განსხვავდებოდა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის არავის კლავდა, მაგრამ ელისის მსგავსად, კლაისაც უჭირდა იმის *ზუსტად გაგება*, ეს განსხვავება რაში მდგომარეობდა.

— ოჰ, ღმერთო! კიდევ ორი, — თქვა ელისმა.

ღია ჭიშკრიდან ბოსტანში შევიდა დაახლოებით ორმოციოდე წლის ქალი, რომელსაც ჭუჭყიანი შარვალი და კოსტიუმი ეცვა, ასევე, ხანდაზმული მამაკაცი სპორტულ შორტსა და მაისურში, მკერდზე წარწერით „გაჭაღარავებულთა ძალაუფლება“. ქალის მწვანე ბლუზა ნაფლეთებად ქცეულიყო და ბაცი მწვანე ბიუსტჰალტერი მოუჩანდა. მოხუცი კაცი ძლიერად კოჭლობდა, წონასწორობის შესანარჩუნებლად ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ხელების აქნევა სჭირდებოდა. გამხდარი მარცხენა ფეხი შემხმარი სისხლით ჰქონდა დაფარული, ცალი ბოტასი არ ეცვა... გრძელი, გუშინ ჯერ კიდევ სუფთა თეთრი წინდა, დღეს სისხლსა და ჭუჭყში ამოსვრილი... მხოლოდ წინა ნაწილი იყო მთელი, დანარჩენი კი ნაფლეთებად ეკიდა კოჭთან. მოხუცის უმეტყველო სახეს კაპიუშონივით ეფარებოდა გრძელი ჭაღარა. ქალი, რომელიც ეზოსა და ბოსტანს ათვალიერებდა, გამუდმებით ერთსა და იმავე გაუგებარ ბგერებს წარმოთქვამდა, რაღაც — *„გუმ! გუმ“* — ამის მსგავსს. გოგრების მთქვლეფავ ჯორჯს ისე შეხედა, თითქოს იქ ცარიელი ადგილი იყო, მერე კიტრის კვალს დაადგა თვალი. მუხლებზე დადგა, ერთი ცალი მოწყვიტა და ჭამას შეუდგა. გაჭაღარავებულთა ძალაუფლების მომხრე მოხუცი ბოსტნის კიდემდე მივიდა, რობოტივით შეჩერდა, რომელსაც აკუმულატორის ენერგია შემოაკლდა. ოქროსფერჩარჩოიანი მინიატიურული სათვალე ეკეთა (*„სათვალე კითხვისთვის“*, — გაიფიქრა კლაიმ) და ჩარჩო ამომავალი მზის სინათლეზე ბრწყინავდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კლაის აზრით, მოხუცი ისე გამოიყურებოდა, თითქოს ადრე ძალიან, ძალიან ჭკვიანი იყო, ახლა კი ჭკუის ნატამალი აღარ შერჩენოდა.

სამზარეულოს ფანჯარასთან თავმოყრილი სამეული სუნთქვაშეკრული გასცქეროდა ბოსტანს. მოხუცმა ჯორჯი დაინახა, რომელმაც გოგრის ერთი შეჭმული ნატეხი გადააგდო და დანარჩენის ჭამა განაგრძო. ახალმოსულებთან ჯორჯს აგრესია არ გამოუხატავს, თითქოს მათ ვერც კი ამჩნევდა.

მოხუცი დაიხარა და ფეხბურთის ბურთისხელა გოგრას დაეჯაჯგურა. ჯორჯისგან სამი ფუტით იყო დაშორებული. კლაის ტრამვაის სადგურთან ჩხუბი გაახსენდა, იდგა და დაძაბული ელოდა, რა მოხდებოდა.

იგრძნო, როგორ მოუჭირა ელისმა ხელზე ხელი. ხელების ადრინდელი სითბო გამქრალიყო.

— ახლა რა მოხდება? — ხმადაბლა იკითხა გოგონამ.

კლაიმ მხოლოდ თავი გააქნია.

მოხუცმა გოგრის ჩაკბეჩა მოინდომა, მაგრამ მხოლოდ ცხვირი დაახალა მას. ეს სასაცილოდ მოეჩვენებოდა ადამიანს, ასეთი სამწუხარო რომ არ ყოფილიყო. სათვალე კინაღამ ჩამოუვარდა, მაგრამ მოასწრო და ხელის ერთი მოძრაობით ადგილი მიუჩინა. ისეთი ნორმალური, ბუნებრივი მოძრაობით, რომ კლაიმ წამის მეათასედში ისიც კი გაიფიქრა, თავად ხომ არ იყო უფრო შეშლილი, ვიდრე მოხუცი.

— *გუმ!* — წამოიყვირა დაფლეთილბლუზიანმა ქალმა და საბახევროდ შეჭმული კიტრი მოისროლა. რამდენიმე პამიდორი შენიშნა და ახლა მათკენ გაფორთხდა. თმა სახეზე სცემდა. ჭუჭყისგან შარვლის უკანა მხარეს სრულიად შესცვლოდა ფერი.

მოხუცმა დეკორატიული საზიდარი დაინახა. გოგრა იქამდე მიიტანა, მერე გვერდით მჯდარი ჯორჯი შენიშნა. შეხედა და თავი გვერდზე გადახარა. ჯორჯმა ნარინჯისფერი წვენით მოსვრილი ხელით საზიდარზე მიანიშნა ისეთი ჟესტით, რომელიც კლაის ათასჯერ უნახავს.

— ჩემი სტუმარი ხართ, — წაიბურტყუნა ტომმა, — ეშმაკმა წამილოს!

მოხუცი ბოსტანში ოთხზე დადგა და ამ მოძრაობამ, როგორც ჩანს, დიდი ტკივილი მიაყენა. დანაოჭებული სახე დაემანჭა, თვალები ცისკენ ალმართა და გაუგებარი ბგერები ალმოხდა. მერე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გოგრა ბორბლის თავზე ალმართა. რამდენიმე წამს მოძრაობის ტრაექტორიაზე ფიქრობდა, ბებრული ბიცეფსები დაძაბულობისგან უკანკალებდა, მერე გოგრა ბორბალზე დაუშვა. დარტყმისგან გოგრა ორად გასკდა. შემდეგ ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. ჯორჯმა თითქმის ბოლომდე შეჭმული გოგრის ნაჭერი მუხლზე დაიდო, წინ გადაიხარა, მოხუცის თავს ორივე, ნარინჯისფერი წვენით მოსვრილი დიდი ხელი შემოხვია და მოატრიალა. მინის მილმაც კი გაიგონეს მოხუცის მოტეხილი კისრის ტკაცუნი. ჭალარა შეირხა. სათვალე გაქრა, როგორც ტომმა ივარაუდა, ჭარხლის კვალში ჩავარდა. სხეული შეტოკდა და მერე სამუდამოდ გაირინდა. ჯორჯმა თავი დახარა. ელისი აყვირდა, მაგრამ ტომმა მაშინვე პირზე ხელი მიაფარა. გოგონა შიშით შეძრწუნებულ თვალებს ფანჯარას ვერ აცილებდა, ბოსტანში კი ჯორჯმა გოგრის ახალი ნაჭრის რბილობის ჭამა განაგრძო.

ქალმა ერთი წამით მიიხედა, ისე, უბრალოდ, მერე მეორე პამიდორი მოწყვიტა და კბილები ჩაასო. წითელი წვენი ნიკაპიდან ჭუჭყიან კისერზე ელვრებოდა. ის და ჯორჯი ტომ მაკორტის ბოსტანში ისხდნენ, ბალჩეულს ჭამდნენ და კლაის რატომღაც გაახსენდა თავისი ერთ-ერთი საყვარელი მხატვრული ტილოს სათაური: *„მშვიდობისმოყვარე სამეფო“*[1].

ეს სიტყვები რომ ხმამაღლა წარმოთქვა, მხოლოდ მას შემდეგ მიხვდა, რაც ტომმა პირქუშად შეხედა და თქვა:

— უკვე აღარ.

13

ფანჯარასთან იდგნენ და ხუთი წუთის შემდეგ სადღაც ახლოს დაცვის სიგნალიზაციის ხმა გაისმა. მოქანცული და ხრინწიანი ხმა იყო, თითქოს სადაც იყო, გამოირთვებოდა.

— შენი აზრით, რა უნდა იყოს? — იკითხა კლაიმ.

[1] *ამერიკელი თვითნასწავლი მხატვრის, კვაკერისა და მქადაგებლის, ედვარდ ჰიქსის (1780-1849) ნაწარმოები მგლისა და ცხვრის ერთად ძოვის საყოველთაოდ ცნობილ ბიბლიურ თემაზე.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოსტანში ჯორჯმა გოგრებს თავი დაანება და მოზრდილი კარტოფილი ამოთხარა. კარტოფილის კვალში გადანაცვლებასთან ერთად ქალსაც მიუახლოვდა, მაგრამ მისდამი არავითარ ინტერესს არ ამჟღავნებდა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

— სავარაუდოდ, „სეიფუეის“ სუპერმარკეტის გენერატორია, რომელიც ცენტრშია და მწყობრიდან გამოვიდა, — უპასუხა ტომმა, — ალბათ, ამ შემთხვევაში სიგნალიზაცია ირთვება, რომელიც აკუმულატორზე მუშაობს, იმიტომ, რომ იქაურობა მალფუჭებადი პროდუქტითაა სავსე. როგორც ვიცი, მოლდენის პირველი ბანკი და...

— შეხედეთ, — თქვა ელისმა.

ქალმა მორიგი პამიდორი ალარ მოწყვიტა, წამოდგა და ტომის სახლის აღმოსავლეთ კედლისკენ გაეშურა. ჯორჯიც წამოდგა, როდესაც ქალმა ჩაუარა და კლაის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მასაც მოკლავდა, როგორც მოხუცი გამოასალმა სიცოცხლეს. მოსალოდნელი საშინელების მოლოდინში თავი ცუდად იგრძნო და დაინახა, ტომი როგორ აეფარა ელისს, რომ მას არაფერი დაენახა. მაგრამ ჯორჯი მხოლოდ უკან მიჰყვებოდა ქალს და მასთან ერთად გაუჩინარდა კუთხეში.

ელისი შებრუნდა და სამზარეულოს კარისკენ გაემართა.

— ყურადღებით იყავი, არ დაგინახონ, — ჩურჩულით დაადევნა ტომმა.

— ნუ გეშინია, — უპასუხა გოგონამ.

კლაიც ელისს მიჰყვა, რადგან ამ ორის გამოც ღელავდა.

სასტუმრო ოთახში გადასულებმა დაინახეს, როგორ ჩაიარეს ფანჯრებთან ჭუჭყიან შარვალსა და კოსტიუმში გამოწყობილმა ქალმა და ჯორჯმა, ასევე ამოსვრილ კომბინეზონში. გამოსახულება ფანჯარაზე ჩამოშვებული ჟალუზის წყალობით სეგმენტებად იყო დაყოფილი. ფანჯრისთვის არც ერთს არ შემოუხედავს, ჯორჯი კი ისე ახლოს იდგა ქალთან, რომ თავისუფლად შეეძლო, კბილებით გამოეღადრა მისთვის ყელი. ელისი, ტომი და კლაი ერთმანეთის მიყოლებით გადავიდნენ ტომის პატარა კაბინეტში. ჟალუზები აქაც დაკეტილი იყო, ამიტომ მხოლოდ ფანჯრის სიახლოვეს სწრაფად ჩავლილ ორ ჩრდილს მოჰკრეს თვალი. ელისმა გზა გააგრძელა და შემინული პარმაღის გამოღებული კარისკენ გადაინაცვლა. საბანი, როგორც კლაიმ დატოვა, ნაწილობრივ ტახტზე იდო და სანახე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვროდ იატაკზე ეთრეოდა. პარმალს დილის მზის თვალისმომჭრელი სინათლე ანათებდა, თითქოს ფეხსაწმენდებს ცეცხლი წაუკიდესო.

— ელის, ფრთხილად იყავი! ნუ... გააფრთხილა კლაიმ.

მაგრამ ელისი უკვე შეჩერდა. მხოლოდ უყურებდა. მერე მის გვერდით ტომი დადგა, ზუსტად მისი სიმაღლის იყო. უკნიდან დაძმას ჰგავდნენ. არავის ანალვლებდა, რომ ქუჩიდან მათი შემჩნევა შეიძლებოდა.

— ჯანდაბამდე გზა გქონიათ ყველას, — ალმოხდა ტომს. თითქოს სხეულიდან მთელი ჰაერი ამოუშვა. მის გვერდით მდგარი ელისი ატირდა. ალბათ, ასე უნდა ტიროდეს აქოშინებული, დაღლილი ბავშვი, რომელიც ხშირად დასჯას მიეჩვია.

კლაი ტომსა და ელისს ამოუდგა. ქალმა ტომის სახლის წინ გაზონი გადაიარა. ჯორჯი წინანდებურად ფეხდაფეხ მისდევდა. ორივე სრულყოფილი სინქრონულობით მოძრაობდა, მაგრამ ბორდიურთან ადგილები შეიცვალეს, ჯორჯმა მარცხნივ გადაინაცვლა და ახლა წინ მიდიოდა.

სეილემის ქუჩა შეშლილებით აივსო.

ერთი შეხედვით, კლაიმ ჩათვალა, რომ ათასია, ან იქნებ მეტიც. მერე მასში ობიექტურმა დამკვირვებელმა გაიმარჯვა (მხატვრის ცივსისხლიანი, აუღელვებელი თვალი) და მიხვდა, რომ ეს გადაჭარბება იყო, რაც მოულოდნელობამ (გასაკვირი არ არის, როდესაც ამდენ ხალხს ხედავ ქუჩაზე, რომელიც, წესით, ცარიელი უნდა ყოფილიყო) და იმის შეგნების შოკმა გამოიწვია, რომ მხოლოდ *მათ* ხედავდა. არ ცდებოდა, რასაც ადასტურებდა უმეტყველო სახეები, არსაით მზირალი თვალები, ჭუჭყიანი, გასისხლიანებული, დაფლეთილი სამოსი (ზოგი სულაც შიშველი იყო), იშვიათი, გაურკვეველი წამოძახილები და სხეულის მკვეთრი მოძრაობები. მამაკაცი, მჭიდროდ მომდგარ ოდესლაც თეთრ ტრუსსა და პოლო-მაისურში, დაუსრულებლად სამხედრო სალამს აძლევდა. ფაშფაშა ქალს ორად გახეთქილი ქვედა ტუჩი ფურცლებად გადმოჰკიდებოდა ნიკაპზე და ქვედა ყბა მოუჩანდა, კბილებიანად. ტანმაღალი ყმაწვილი ჯინსის შორტში სეილემის ქუჩის გამყოფ ზოლზე მიაბიჯებდა და როგორც კლაის მოეჩვენა, ხელში ეჭირა ქანჩების მოსაშვები ზედ შემხმარი სისხლით. ინდოელმა ან პაკისტანელმა ჯენტლმენმა ჩაიარა, ყბას აქეთ-იქით აქნევდა და კბილს კბილზე ურაკუნებდა. ბიჭუნა — ღმერთო ჩემო, ჯონის ასაკის, — ტკივილს არ ამჟღავნებდა, თუმ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცა, ცალი ხელი ამობრუნებული ეკიდა მკლავის სახსარზე. ლამაზმა ახალგაზრდა ქალმა მოკლე კაბასა და ტოპში, როგორც ჩანს, ყვავის წითელი მუცლიდან რაღაც ამოჭამა. ზოგიერთი კვნესოდა, სხვებს გაურკვეველი ბგერები აღმოხდებოდათ, შესაძლოა, ესენი სიტყვებიც იყო, და ყველანი აღმოსავლეთით მიდიოდნენ. კლაის წარმოდგენა არ ჰქონდა, სიგნალიზაციის ზუზუნი იზიდავდათ თუ საკვების სუნი, მაგრამ ყველა მოლდენის ცენტრისკენ მიაბიჯებდა.

— ღმერთო, დიდებულო, ზომბების სამოთხეა, — წაიჩურჩულა ტომმა.

კლაის პასუხისთვის თავი არ შეუწუხებია. ეს ადამიანები ნამდვილი ზომბები არ იყვნენ, მაგრამ ტომის ნათქვამი ჭეშმარიტებისგან არც ისე შორს იყო. *„თუ რომელიმე მათგანი აქეთ გამოიხედავს, დაგვინახავს და ჩვენზე თავდასხმას გადაწყვეტს, დავილუპებით. გადარჩენის უმცირესი იმედიც კი არ არსებობს. მაშინაც კი, თუ სარდაფში ჩავიკეტებით. მეზობელ სახლში იარაღის მოპოვება? არა, ამაზე ფიქრიც კი არ ღირს“.*

კლაი შეაძრწუნა იმის წარმოდგენამ, რომ მის ცოლსა და შვილს ასეთ არსებებთან ექნებოდათ საქმე — ეს კი სავსებით რეალური გახლდათ, მაგრამ რაც ხდებოდა, სულაც არ იყო კომიქსების წიგნი, თავად კი — ამ წიგნის გმირი: ცხოვრებაში ვერაფერს იღონებდა. სახლში სამივეს მეტ-ნაკლებად უსაფრთხოდ შეიძლებოდა, თავი ეგრძნო, მაგრამ უახლოეს მომავალს რაც შეეხება, ვერ წარმოედგინა, რომ რომელიმეს, მას, ტომს ან ელისს, სახლი დაეტოვებინა.

14

— ჩიტებს ჰგვანან, — ელისმა ცრემლები ხელისგულით მოიწმინდა, — ჩიტების გუნდს.

კლაი მაშინვე მიხვდა, გოგონამ რაც იგულისხმა და ინსტინქტურად მხარზე მოხვია ხელი. სიტყვებით ელისმა ის გრძნობა გამოხატა, რაც მასაც გაუჩნდა, როდესაც თვალს ადევნებდა ქალის ფეხდაფეხ მიმავალ მექანიკოს ჯორჯს, რომელმაც რამდენიმე წუთის წინ მოხუცი მოკლა. ორივეს თავში სრული სიცარიელე იყო და ამის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიუხედავად, რალაც ენით გამოუთქმელი შეთანხმებულობით, მათ გვერდი აუარეს ტომის სახლს და ქუჩაში გავიდნენ.

— არაფერი მესმის, — წაიბურტყუნა ტომმა.

— როგორც ჩანს, „პინგვინების მოგზაურობა"[1] არ გინახავს, — შენიშნა ელისმა.

— თუკი ასეა საქმე, როდესაც მინდა ვნახო, ვინმე ფრაკში გამოწყობილი როგორ დადის, ფრანგულ რესტორანში მივდივარ ხოლმე.

— მაგრამ ნუთუ არასოდეს შეგინიშნავს, როგორ იქცევიან ჩიტები, განსაკუთრებით გაზაფხულსა და შემოდგომაზე? — შეეკითხა კლაი, — უეჭველია, შეგიმჩნევია. ყველა ერთ ხეზე ან ერთ სატელეფონო ბოძზე ზის.

— ხშირად იმდენი ჩიტია სატელეფონო მავთული დაბლა იწევს, — განაგრძო ელისმა, — მერე უეცრად აფრინდებიან. მამაჩემი ამბობდა, ჯგუფის ლიდერი ჰყავთო, მაგრამ მისტერ სალივანმა, საბაზო სკოლაში ბუნებისმეტყველების მასწავლებელმა, აგვიხსნა, რომ ეს ჯოგის გრძნობაა. იმავე მიზეზის გამო ჭიანჭველები ბუდიდან გამოდიან, ხოლო ფუტკრები — სკიდან.

— ჩიტების გუნდი მარჯვნივ ან მარცხნივ მიფრინავს, ჩიტები ერთდროულად ასრულებენ ამა თუ იმ მანევრს და ერთმანეთს არასოდეს ეჯახებიან, — დაამატა კლაიმ, — ხშირად ცა ფრინველებითაა გაშავებული და ყურისწამლები ჟრიამული დგას, — ცოტა ხნით დადუმდა, — ყოველ შემთხვევაში, ასეა იქ, სადაც მე ვცხოვრობ, — და მცირეხნიანი დუმილის შემდეგ ტომს ჰკითხა, — ტომ, ნუთუ ამ ადამიანებიდან ვინმეს იცნობ?

— რამდენიმეს. ეს მისტერ პოტოვამია საცხობიდან, — მან ინდუსზე მიუთითა, რომელიც ყბას ამოძრავებდა და კბილს კბილზე აცემინებდა, — ეს ლამაზი ქალი კი, დარწმუნებული ვარ, ბანკში მუშაობს. გახსოვს, მესრის გადალმა მცხოვრები სკოტონი რომ ვახსენე?

კლაიმ თავი დაუქნია.

---

[1] *„პინგვინების მოგზაურობა" ფრანგი რეჟისორის, ლიუკ ჟაკეს დოკუმენტური ფილმია საიმპერატორო პინგვინების შესახებ, რომლებიც ყოველ წელს ანტარქტიდის შუაგულისკენ მოგზაურობენ შთამომავლობის გასაჩენად და გამოსაზრდელად. ფილმმა 2005 წელს „ოსკარი" მიიღო. მას ერთი წლის განმავლობაში ორი ოპერატორი იღებდა ადელის მიწაზე მდებარე დიუმონ დ'ურვილის სახელობის საფრანგეთის სამეცნიერო სადგურის გარშემო.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომი წინანდელზე მეტად გაფითრდა და ფეხმძიმე ქალზე ანიშნა, რომელსაც საჭმლით დასვრილი ხალათი მხოლოდ ბარძაყების ზედა ნაწილს უფარავდა. ლია თმის კულულები დამუწუკებულ ლოყებზე ეყარა, ხოლო ცხვირის ფრთაზე მინის ნატეხი ან რალაც ძვირფასი თვალი უბრწყინავდა.

— ეს მისი რძალია, ჯუდი. ერთმანეთთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა, — დაამატა მშრალად, — გული ლამის გამისკდეს.

ქალაქის ცენტრიდან გასროლის ხმა მოისმა. ელისმა წამოიყვირა, მაგრამ ამჯერად ტომს მისთვის პირზე ხელის აფარება არ დასჭირვებია: ელისმა ეს თავად მოახერხა. ასეა თუ ისე, ქუჩაში მიმავალთაგან გოგონასკენ არავის გამოუხედავს. რეაქცია მათ არც სროლის ხმაზე ჰქონიათ — კლაის აზრით, თოფს ისროდნენ, — წინანდებურად მიაბიჯებდნენ, არც სწრაფად და არც ნელა. კლაი მეორე გასროლას ელოდა. ამის ნაცვლად ვიღაცის ყვირილი გაისმა, წყვეტილი, რომელიც მაშინვე შეწყდა, თითქოს მოგუდეს.

სამივე პარმალზე, ჩრდილში იდგა და უხმოდ ადევნებდა თვალს ქუჩას. ის არსებები, უკლებლივ ყველა, აღმოსავლეთით მიდიოდნენ და თუმცა, წესრიგზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, მაინც არსებობდა გარკვეული ორგანიზებულობა. კლაისთვის ამას განასახიერებდნენ არა თავად მობილოგიჟები, რომლებიც კოჭლობით მიჩლახუნებდნენ ან ბარბაცით დადიოდნენ, რალაცას ბურტყუნებდნენ, უცნაურად იქნევდნენ ხელებს, არამედ სავალ ნაწილზე არეკლილი მათი მდუმარე ჩრდილები. ეს ჩრდილები მეორე მსოფლიო ომის შესახებ ნანახ დოკუმენტურ ფილმს აგონებდა, რომელშიც ცაში ერთმანეთის მიყოლებით ავიაგამანადგურებელთა რაზმების აფრენას აჩვენებდნენ. ორას ორმოცდაათი მობილოგიჟი დაითვალა, მერე თავი დაანება. მამაკაცები, ქალები, მოზარდები. ჯონის ასაკის ბავშვებიც მრავლად იყვნენ. ბავშვები სჭარბობდნენ ხანდაზმულებს, ხოლო რამდენიმე ბავშვი ათი წლისაც არ იყო. არც კი სურდა იმაზე ეფიქრა, რა დაემართათ გოგონებსა და ბიჭუნებს მაშინ, როდესაც მათზე არავინ იზრუნა იმპულსის თავს დატყდომის მომენტში.

არც იმ ბიჭუნებსა და გოგონებზე, რომლებიც იმ წუთს მობილურებიანი უფროსების გვერდით იყვნენ.

ბავშვების ცარიელ თვალებს რომ უყურებდა, კლაის ერთი კითხვა აეკვიატა: ახლა ქუჩაში ჩავლილთაგან, გასულ წელს რამდენმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაიყოლია მშობლები, მისთვის მობილური ტელეფონი ეყიდათ განსაკუთრებული რინგტონით. ჯონიც ხომ ასე მოიქცა.

— საერთო გონი, — სიჩუმე დაარღვია ტომმა, — მართლა გჯერათ ამის?

— უფრო ჰო, ვიდრე არა, — უპასუხა ელისმა, — იმიტომ, რომ... როგორ გგონიათ... ნუთუ თითოეულ მათგანში გონიერების ნატამალი დარჩა?

— მართალს ამბობს, — ელისს დაუჭირა მხარი კლაიმ.

მიგრაცია (პროცესის აღსაწერად მხოლოდ ეს სიტყვა გამოდგებოდა, სხვა შესაფერისი ვერაფერი მოიფიქრა) შემცირდა, მაგრამ სრულად ნახევარი საათის შემდეგაც არ შეწყვეტილა. ერთრიგად სამმა მამაკაცმა ჩაიარა: ერთს ბოულინგის სათამაშოდ განკუთვნილი პერანგი ეცვა, მეორეს — დაფლეთილი კოსტიუმი და მესამეს სახის ქვედა ნაწილი სისხლიან პულპად გადაქცეოდა. მათ მიჰყვნენ ორი მამაკაცი და ქალი, რომელიც თეძოების რხევით მიაბიჯებდა, მერე კიდევ ერთი შუახნის ქალი, რომელიც შესახედავად ბიბლიოთეკარს ჰგავდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოშიშვლებულ ცალ ძუძუს. მას მოუქნელი ახალგაზრდა ქალი უმშვენებდა გვერდს, რომელიც ბიბლიოთეკარის თანაშემწედ შეიძლებოდა ჩაგეთვალათ. მცირე ხნით ქუჩა დაცარიელდა, მერე თორმეტიოდე კაცი გამოჩნდა, რომლებიც ლამის კვადრატს ქმნიდნენ, დაახლოებით ისეთს, როგორც ეწყობოდნენ ჯარისკაცები ნაპოლეონის დროს. შორიდან შეტაკების ხმა მოისმა: ისროდნენ თოფებსა და პისტოლეტებს. ერთხელაც, სულ ახლოდან, შესაძლოა, მეზობელი მედფორდიდან ან სულაც, თავად მოლდენში, ავტომატური მსხვილკალიბრიანი იარაღის ჯერიც გაიგონეს. ყვირილიც ისმოდა. ძირითადად, სადღაც შორიდან, მაგრამ კლაიმ ზუსტად იცოდა, რომ ვილაც სადღაც ყვიროდა.

აქაურ ადგილებში კიდევ შემორჩენილიყვნენ საღ გონებაზე მყოფი ადამიანები და ზოგიერთმა იარაღამდე მისვლა მოახერხა. როგორც ჩანს, სწორედ ისინი ხოცავდნენ მობილოგიჟებს. სხვებს კი არ გაუმართლათ, რადგან მზის ამოსვლისა და თავშესაფრიდან შეშლილების გამოსვლის შემდეგ ლია ცის ქვეშ აღმოჩნდნენ. გაახსენდა მექანიკოსი ჯორჯი, რომელმაც გოგრის ნარინჯისფერი წვენით მოსვრილი ხელებით მოხუცის თავი ჩაბლუჯა, მერე კი მოატრიალა, მინიატიურული საკითხავი ოქროსფერჩარჩოიანი სათვა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლე, ჭარხლის კვალში რომ ჩავარდა და იქვე დარჩა. დარჩა სამუდამოდ. სამუდამოდ.

— უმჯობესია, სასტუმრო ოთახში დავჯდე, — თქვა ელისმა, — ალარ მინდა მათი ყურება და ალარც ხმის გაგონება. უკვე გული მერევა.

— რასაკვირველია, — თავი დაუქნია კლაიმ, — ტომ, იქნებ შენც...

— არა, — შეაწყვეტინა ტომმა, — შენ წადი. აქ დავრჩები, თვალყურს ვადევნებ. მგონი, ჩვენგან ერთ-ერთი მუდმივად უნდა მორიგეობდეს, მეთანხმები?

კლაიმ ისევ დაუქნია თავი. ისიც ამავე აზრს იზიარებდა.

— მაშინ დაახლოებით ერთი საათის შემდეგ შეგიძლია შემცვალო. ასე გავაგრძელოთ.

— კარგი. შევთანხმდით.

როდესაც დერეფანში მიდიოდნენ, კლაიმ ელისს მხარზე ხელი მოხვია, მაგრამ ისინი ტომის ხმამ შეაჩერა.

— ერთი წუთით.

ორივე შებრუნდა.

— ჩემი აზრით, დღეს რაც შეიძლება კარგად უნდა დავისვენოთ და ძალა მოვიკრიბოთ. თუ, რასაკვირველია, ისევ ვაპირებთ ჩრდილოეთისკენ წასვლას.

კლაი ტომს მიაჩერდა იმაში დასარწმუნებლად, რომ ის ჯერ კიდევ საღ გონებაზე იყო. თითქოს იყო, მაგრამ...

— ვერ ხედავ, რა ხდება? — ჰკითხა მან, — სროლის ხმა არ გესმის? ასევე... — ელისის გამო ალარ თქვა, ყვირილი და კვნესაო, თუმცა, ღმერთი იყო მოწმე, ყველაფერმა ისეთ ზღვარს მიაღწია, სხვის გრძნობებზე ფიქრის დრო ალარ იყო, — ყვირილი?

— რასაკვირველია, მესმის, მაგრამ გასულ ღამეს შეშლილები ქუჩებში არ ყოფილან, ხომ ასეა?

წამით კლაი და ელისი გაშეშდნენ, მერე ელისმა უჩუმრად ტაშის დაკვრა დაიწყო, კლაიმ კი გაიღიმა.

ღიმილი იმდენად უადგილო იყო, რომ ნაძალადევად გამოჩნდა და მასთან ერთად მოტანილმა იმედმაც ტკივილი მიაყენა.

— ტომ, ნამდვილი გენიოსი ხარ, — თქვა კლაიმ.

ტომს საპასუხოდ არ გაუღიმია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მაგის იმედი ნუ გექნება. აკადემიურ სტანდარტულ ტესტში[1] ათასზე მეტი ქულა არასოდეს დამიგროვებია.

15

ბევრად ხასიათგამოკეთებული ელისი — კლაიმ ეს კარგ ნიშნად ჩათვალა, — ზემოთ ავიდა, რათა ტომის გარდერობში შესაფერისი სამოსი მოეძებნა. კლაი დივანზე იჯდა, შერონსა და ჯონიზე ფიქრობდა და ცდილობდა, მოესაზრებინა, რა მოიმოქმედეს, სად წავიდნენ, თან მუდამ ისე წარმოიდგენდა, რომ მათ ბედმა გაუღიმათ და ერთად არიან. ჩასთვლიმა და ორივე შერონის დაწყებით სკოლაში დაესიზმრა. სპორტულ დარბაზში იყვნენ თავშეფარებული ათიოდე სხვა ადამიანთან ერთად, კაფეტერიაში ნაყიდ სენდვიჩებს ჭამდნენ და რძეს აყოლებდნენ პატარა პაკეტებიდან. ისინი...

ელისმა ზედა სართულიდან დაუძახა და გააღვიძა. კლაიმ საათს დახედა. დაახლოებით ოცი წუთი ეძინა, ნერწყვიც კი გამოუვიდა პირის კუთხეში.

— ელის? — კლაი კიბეს მიუახლოვდა, — ყველაფერი რიგზეა? — დაინახა, რომ ტომი მისკენ იხედებოდა.

— ჰო. შეგიძლია, ერთი წუთით ამოხვიდე?

— რასაკვირველია, — კლაიმ ტომს შეხედა, მხრები აიჩეჩა და მეორე სართულზე ავიდა.

ელისი სტუმრებისთვის განკუთვნილ საძინებელში იპოვა, სადაც, როგორც ეტყობოდა, სტუმრები იშვიათად ჩერდებოდნენ. ორი ბალიში იმას მოწმობდა, რომ ღამის დიდი ნაწილი ტომმა ელისის გვერდით გაატარა, ხოლო აბურდული ზეწარი იმას მიუთითებდა, რომ ღრმა ძილით არც ერთს არ სძინებია. გოგონამ ხაკისფერი შარვალი იპოვა, რომელიც თითქმის ზუსტად მოერგო, სპორტული სვიტრი გულზე წარწერით: ტბა კენობის პარკი და ამერიკულ

[1] *აკადემიური სტანდარტული ტესტი (SAT) — ტესტი, რომელიც აშშ-ის უმაღლეს სასწავლებელში მიღებამდე უნდა ჩააბაროს სტუდენტობის მსურველმა. შედგება სამი ნაწილისგან: კითხვა, წერა და მათემატიკა და თითოეულში 800 ქულა უნდა მოაგროვოს.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მთებად წოდებული ატრაქციონის გამოსახულებით. იატაკზე დიდი გადასატანი სტერეოფირსაკრავი იდო, სწორედ ისეთი, როგორზეც ოდესღაც კლაი და მისი მეგობრები ოცნებობდნენ; სწორედ ისე, როგორც ბიჭუნა ჯონის უნდოდა წითელი მობილური ტელეფონი. კლაი და მისი მეგობრები ასეთ ფირსაკრავებს გეტობლასტერებს ან ბუმბოქსებს უწოდებდნენ.

— კარადაში იდო, — განუმარტა ელისმა, — ბატარეები სულ ახალი ჩანს. მინდოდა ჩართვა და რომელიმე მომუშავე რადიოსადგურის დაჭერა, მაგრამ შემეშინდა.

კლაიმ შეხედა გეტობლასტერს, რომელიც სტუმრების საძინებლის გაპრიალებულ პარკეტზე იდო და მასაც შეეშინდა. ეს დანადგარი დატენილი ცეცხლსასროლი იარაღის ტოლფასი იყო. მაგრამ თან ვერ დაეძლია ძლიერი სურვილი, ხელი გაეშვირა, ღილაკი გადაერთო CD-დან FM-ზე. მაშინვე მიხვდა, რომ ელისსაც იგივე სურვილი გაუჩნდა, აი, რატომ დაუძახა. ეს იყო დატენილ იარაღთან შეხების სურვილი.

— ჩემმა დამ მაჩუქა დაბადების დღეზე, ორი წლის წინ, — კართან მდგარი ტომის ხმა მოისმა და მოულოდნელობისგან ორივე შეხტა, — წელს, ივლისში, ახალი ბატარეები ჩავსვი და თან წავიღე პლაჟზე. ბიჭობაში ხშირად დავდიოდით პლაჟზე და რადიოს ვუსმენდით, მაგრამ ასეთი დიდი რამ არასოდეს მქონია.

— არც მე, — თქვა კლაიმ, — მაგრამ ძალიან მინდოდა, მქონოდა.

— ნიუ-ჰემფშირში წავიღე, ჰემპტონ-ბიჩზე, ვან ჰალენისა და მადონას უამრავი დისკითურთ, მაგრამ ის შთაბეჭდილება აღარ იყო. საერთოდ არ ჰგავდა იმას, რაც ბავშვობისას განმიცდია. მერე აღარც გავკარებივარ. ჩემი აზრით, არც ერთი რადიოსადგური არ მუშაობს.

— სანაძლეოს დავდებ, რომ ზოგიერთი მუშაობს, — არ დაეთანხმა ელისი. ქვედა ტუჩს კბენდა. კლაიმ გაიფიქრა, რომ მალე ტუჩიდან სისხლი დაიწყებდა დენას, თუ არ შეწყვეტდა მის ნვალებას, — იმ სადგურებს, რომლებსაც ჩემი მეგობრები „რობო-80“-ს ეძახიან, სასიამოვნოდ მოსასმენი სახელები აქვთ: ბობი ან ფრენკი. ამ რადიოსადგურების მთელ პროგრამას კოლორადოში არსებული უზარმაზარი რადიოკომპიუტერი ადგენს, რომელიც შემდეგ თანამგზავრზე იგზავნება და ისე გადაიცემა. ყოველ შემთხვევაში, ჩემი მეგობრები ასე ამბობენ, — ელისმა ტუჩის ის ადგილი გაილოკა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელსაც კბენდა. ტუჩის დაკბენილი ნაწილი ულაპლაპებდა და სისხლის მიწოლის გამო გაუწითლდა, — და სწორედ ასე მიდის სიგნალი მობილურ ტელეფონზეც, ხომ ასეა? თანამგზავრის გავლით.

— არ ვიცი, — უპასუხა ტომმა, — თუ ზარი შორიდანაა... შესაძლოა, ტრანსატლანტიკურით... ზუსტად არ ვიცი, მაგრამ რომელიმე გენიოსს შეეძლო, განსაკუთრებული სიგნალი გაეშვა თანამგზავრიდან ამ ყველა მიკროტალღურ რეტრანსლატორებზე, რომლებსაც ვხედავთ... და ისინი უშუალოდ გადასცემენ სიგნალს მობილურ ტელეფონებს...

კლაიმ კარგად იცოდა, რომელ რეტრანსლატორებს გულისხმობდა ტომი — მეტალის ბოძებს, რომლებსაც ყოველი მხრიდან სატელიტური ანტენები ჰქონდა მიკრული. მათი რაოდენობა ყოველწლიურად იმატებდა და ისინი ყველგან ხვდებოდა.

— თუ შევძელით ადგილობრივი რადიოსადგურის დაჭერა, შეიძლება, ახალი ამბები მოვისმინოთ. რაიმე რეკომენდაცია, როგორ მოვიქცეთ, სად წავიდეთ...

— ჰო, მაგრამ თუ ეს რადიოთიც გადაიცემა? — იკითხა ელისმა, — აი, რას ვამბობ. იქნებ იმას წააწყდე, რაც მოისმინა ჩემმა... — გოგონამ ტუჩი მოილოკა და ისევ იკბინა, — დედაჩემმა? და მამაჩემმა... მასაც ჰქონდა მობილური ტელეფონი, უახლესი მოდელი, ვიდეოთი, ინტერნეტში შესვლით, ნომრების ავტომატური აკრეფით და ასე შემდეგ და ძალიან უყვარდა თავისი პაწია! — გოგონას ბაგეებს ერთდროულად ისტერიკული და ნაღვლიანი სიცილი მოსწყდა, ფრიად უსიამოვნო შეხამება, — ვაითუ, იმას წავაწყდეთ, რაც მათ მოისმინეს! ჩემმა მშობლებმა და იმათ, ვინც ახლა ქუჩებშია? გინდათ ასეთ რისკზე წასვლა?

ტომი ჯერ დუმდა, მერე ფრთხილად, მოზომილად ალაპარაკდა, თითქოს იდეას გემოს უსინჯავდა:

— *ერთ* ჩვენგანს შეუძლია გარისკოს, დანარჩენი ორი დერეფანში დადგება და დაელოდება, ვიდრე...

— არა, — შეაწყვეტინა კლაიმ.

— *ძალიან გთხოვთ*, არა, — ელისი ისევ ისტერიკის ზღვარზე იყო, — *ორივენი* მინდიხართ. *ორივე* მჭირდებით.

მცირე ხანს სტერეოფირსაკრავის გარშემო იდგნენ, თვალს არ აშორებდნენ. კლაის ყმაწვილობაში წაკითხული სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის რომანები გაახსენდა (პლაჟზე ზოგჯერ ვან ჰა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლენს არა, მაგრამ „ნირვანას“ უსმენდა). ასეთ რომანებში ხშირად სამყაროს დასასრულია აღწერილი. მერე მთავარი მოქმედი პირები მას ხელახლა აშენებენ. მართალია, ბრძოლით, შეცდომებით, მაგრამ იყენებდნენ მათ ხელთ არსებულ ტექნიკურ მიღწევებს და აშენებდნენ. არ ახსოვდა, იყო თუ არა ასეთ რომანებში ეპიზოდი, როდესაც მთავარი მოქმედი პირები საძინებელში იდგნენ და სტერეოფირსაკრავს მისჩერებოდნენ მასში ჩადგმული რადიომიმღებით. *„ადრე თუ გვიან, ვილაცას მოუწევს რომელიმე მექანიკური დანადგარის ან რადიოს ჩართვა,* — გაიფიქრა მან, — *იმიტომ, რომ სხვა გამოსავალი აღარ ექნება“*.

— ჰო, ოღონდ ამ დილით არა.

კლაიმ თავი რაღაც დიადის, რისი გაცნობიერებაც ჯერ არ შეეძლო, მოღალატედ იგრძნო, მერე იატაკიდან აიღო გეტობლასტერი, უკან, კარადაში შედო და კარი მიხურა.

16

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ აღმოსავლეთისკენ მიგრაცია დასრულდა. კლაი მორიგეობდა. ელისი სამზარეულოში იჯდა და ბოსტონიდან მოტანილ ერთ-ერთ სენდვიჩს შეექცეოდა — როგორც ამბობდა, ჯერ ყველა სენდვიჩი უნდა ეჭამათ, ვიდრე ტომის საკუჭნაოში შენახულ კონსერვებზე გადავიდოდნენ, იმიტომ, რომ არავინ იცის, ახალი ხორცისთვის გემოს გასინჯვას კიდევ როდის მოახერხებდნენ, — ტომს კი სასტუმრო ოთახში დივანზე ეძინა. კლაის მისი გულიანი ფშვინვა ესმოდა.

რამდენიმე კაცი დაინახა, ახლა საპირისპირო მიმართულებით მიდიოდნენ, საყოველთაო ნაკადის შესახვედრად, მერე სეილემის ქუჩაზე არსებულ ვითარებაში ოდნავი ცვლილება შენიშნა, ისეთი მცირედი, რომ მისმა გონებამ ეს მხოლოდ ინტუიციის დონეზე აღიქვა და არა თვალით მიღებული გამოსახულების საფუძველზე. ჯერ ჩათვალა, რომ ეს ნორმიდან გადახრა იყო, რაც რამდენიმე მოხეტიალემ გამოიწვია, რომელთა თავის ტვინი დანარჩენებისაზე მეტად დაზიანდა, ამიტომაც ისინი უკან, დასავლეთით მიდიოდნენ და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არა აღმოსავლეთით. მერე ჩრდილებს შეხედა. აკურატული, ნახატის მსგავსი ჩრდილების პარალელურობა, რაც ადრე შენიშნა, ახლა დარღვეულიყო. მალე ჩრდილები სრულებითაც აღარ ჩამოჰგავდა ნახატს.

ახლა სულ უფრო მეტი ადამიანი მიდიოდა დასავლეთით, ზოგიერთი მიაბიჯებდა და ილუკმებოდა იმას, რაც სასურსათო მაღაზიაში ან ტომის ნახსენებ „სეიფუეის“ სუპერმარკეტში აღმოაჩინეს. სკოტონის რძალი, ჯუდი, უზარმაზარ კონტეინერს მოათრევდა გამდნარი შოკოლადის ნაყინით, რომელსაც მოეთხვარა არა მხოლოდ მისი ხალათი, არამედ ქალიც, ცხვირიდან მუხლებამდე. შოკოლადის ქაფით დაფარული სახით რომელიმე მისის ბონსს ჰგავდა მუსიკალური შოუდან, რომელშიც თეთრკანიანი მსახიობები შავკანიანებად არიან გადაცმული და შესაბამისი გრიმიც აქვთ. თუ მანამდე მისტერ პოტოვამი, ალბათ, ვეგეტარიანელთა შეხედულებებს იზიარებდა, ახლა მათზე უარი უთქვამს, ხელისგულებში ჰამბურგერებისთვის განკუთვნილი უმი ხორცის ფარში ედო და შეექცეოდა. ჭუჭყში ამოგანგლულკოსტიუმიან მსუქან მამაკაცს, სავარაუდოდ, სანახევროდ გამდნარი გაყინული ცხვრის ბარკალი ეჭირა, ხოლო როდესაც ჯუდი სკოტონმა მისი მონაპოვრის წართმევა დააპირა, კაცმა უბოდიშოდ ჩაარტყა ბარკალი შუბლში. ქალი მონადირებული ირმის მსგავსად უხმოდ, მოცელილი დაეცა, გამობერილი მუცლით ნაყინის დაჭყლეტილ კონტეინერზე.

არეულობამ იმატა, ძალადობამაც, მაგრამ ეს არ იყო გუშინ დღისით ნანახი ყველას ბრძოლა ყველას წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში, ეს არ მომხდარა ამ ქუჩაზე. მოლდენის ცენტრში ამოქმედებული სიგნალიზაცია, რომელიც სულს ძლივს ღაფავდა, დიდი ხანია მიწყდა. შორიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისმოდა სროლა, მაგრამ ტომის სახლის სიახლოვეს, ცენტრში, ავტომატური იარაღის ჯერის შემდეგ აღარ უსვრიათ. კლაი ყურადღებით აკვირდებოდა შეშლილებს, რათა გამოეცნო, სახლებში ხომ არ შედიოდნენ. ზოგჯერ ისინი გაზონებზე დაბოდიალებდნენ, მაგრამ კერძო საკუთრების თვითნებური ხელყოფიდან სახლის გატეხამდე საქმე არ მისულა. მხოლოდ სეილემის ქუჩაზე მილასლასებდნენ, ზოგჯერ ერთმანეთს საჭმელს ართმევდნენ, ჩხუბობდნენ და კბენდნენ კიდეც. სამი თუ ოთხი, მათ შორის, ჯუდი სკოტონი, ქუჩაში იწვა, მკვდარი ან გონებადაკარგული. კლაის აზრით, ტომის სახლთან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩავლილებმა ქალაქის მთავარ მოედანზე ან ღია ცის ქვეშ საცეკვაო სალამო ან მოლდენის პირველი ყოველნლიური ფესტივალი გამართეს უმი ხორცის ჭამაში. ჯანდაბამდის გზა ჰქონიათ! უცნაური იყო მხოლოდ ეს ჯოგის გრძნობა, საერთო გონი, რომელიც მობილოგიჟებს ერთად კრავდა, უეცრად როგორ მოეშვა, და ჯოგიც დაიფანტა.

ნაშუადღევს, როდესაც კლაიმ იგრძნო, ძილს ველარ უმკლავდებოდა, სამზარეულოში გავიდა და ელისი დაინახა, რომელსაც მაგიდასთან ეძინა, თავი ხელებზე დაედო. პატარა ბოტასი, რომელსაც გოგონა ბეიბი-ნაიკს უწოდებდა, ცალი ხელის თითებიდან თითქმის გავარდნოდა. ელისი როცა გააღვიძა, გოგონამ ამღვრეული თვალებით შეხედა, მაშინვე ბოტასს სტაცა ხელი და გულში ჩაიკრა, თითქოს ეშინოდა, რომ წაართმევდნენ.

კლაი შეეკითხა, შეეძლო თუ არა მორიგეობა ჰოლში, ისე, რომ არ ჩასძინებოდა და არც შეშლილებს შესჩხიროდა თვალში. ელისმა დადებითად უპასუხა. კლაიმ დაუჯერა და სკამი ჰოლში გაიტანა. წამით ელისი სასტუმრო ოთახის კართან გაჩერდა.

— შეხედე.

კლაიმ მის მხარს იქით გაიხედა და კატა რაფი დაინახა, რომელსაც ტომის მუცელზე მოეკალათებინა და ეძინა. ჩაეცინა.

ელისი სკამზე დაჯდა. სკამი საკმარისად შორს იდგა კარისგან, ისე, რომ ქუჩიდან თუ ვინმე შეხედავდა სახლს, გოგონას ვერ დაინახავდა. ერთი შეხედვითაც კი მიხვდა, რომ რაღაც შეიცვალა.

— ეს ალარ არის გუნდი. რა მოხდა?

— არ ვიცი.

— რომელი საათია?

კლაიმ საათს შეხედა.

— პირველის ოცი წუთი.

— როდის შევნიშნეთ, რომ გუნდივით მოქმედებდნენ?

— არ ვიცი, ელის, — საუბრის გაგრძელებას ძლივს ახერხებდა, გრძნობდა, საცა იყო, თვალებს დახუჭავდა, — შვიდის ნახევარზე? შვიდზე? არ ვიცი. ამას რამე მნიშვნელობა აქვს?

— თუ გვინდა, მათი მოქმედების კანონზომიერება დავადგინოთ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. შენ ასე არ ფიქრობ?

კლაიმ უპასუხა, რომ ახლა მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობს, როგორმე დაწვეს და დაიძინოს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ერთი-ორი საათი იჯექი, მერე ან მე გამალვიძე, ან ტომი. თუ რამე მოხდა მანამდე.

— რაც უკვე მოხდა, იმის მერე სხვა აღარაფერი მოხდება, — ალერსიანად უთხრა გოგონამ, — ზემოთ ადი. სულ ძალაგამოცლილი ხარ.

სტუმრებისთვის განკუთვნილ საძინებელში ავიდა, ფეხსაცმელი გაიხადა და დაწვა. გოგონას ნათქვამზე დაფიქრდა: *„თუ შევძელით მათი მოქმედების კანონზომიერების ამოცნობა“*. შესაძლოა, ეს მართლაც რაღაც არის. თუმცა, არა, მაგრამ...

მყუდრო ოთახი იყო, ძალიან მყუდრო, მზით განათებული. ასეთ ოთახში ადვილად ივიწყებდი, რომ კედლის კარადაში იდგა რადიო, რომლის ჩართვის შეგეშინდა. მაგრამ არც ისე იოლი დასავიწყებელი აღმოჩნდა სხვა რამ: ცოლი, რომელთან ერთადაც არ ცხოვრობ, მაგრამ მაინც გიყვარს, რომელიც შეიძლება დაიღუპოს, და ვაჟიშვილი, რომელიც არათუ გიყვარს, არამედ აღმერთებ, და ის შეიძლება ჭკუაზე შეიშალოს. მაგრამ სხეული თავისას ითხოვდა, ხომ ასეა? და თუ არსებობდა ისეთი ოთახი, სადაც ადამიანს შეუძლია დღისით დაწვეს და დაიძინოს, სწორედ ამგვარ ოთახში მოხვდა. ვირთხა-პანიკამ კუდი მოიქნია, მაგრამ არ უკბენია და კლაის თვალების დახუჭვისთანავე ჩაეძინა.

17

ამჯერად ელისმა გააღვიძა, მხარზე ჩასჭიდებოდა და ანჯღრევდა, პატარა იისფერი ბოტასი კი ამ დროს აქეთ-იქით ქანაობდა. მარცხენა მაჯაზე დაიმაგრა და თილისმად აქცია, რომლის დანახვაზე კლაის კანი ებურძგლებოდა. ოთახის განათება შეიცვალა. სინათლემ იკლო და სხვა კუთხით ეცემოდა. კლაი გვერდზე იწვა და მოშარდვა სურდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საკმარისზე მეტხანს ეძინა. სწრაფად წამოჯდა და გაუკვირდა, ლამის თავზარი დაეცა, როდესაც დაინახა, რომ უკვე ექვსს ოცი წუთი აკლდა. ხუთ საათზე მეტი ეძინა. თუმცა, რასაკვირველია, წინა ღამე სრულებით არ იყო მის ცხოვრებაში პირველი, როდესაც დაძინება ვერ შეძლო. იმის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წინა ლამესაც ცუდად ეძინა. თავისი გრაფიკული რომანის კომიქსების გამომცემლობა „შავ რაშში" წარდგენის გამო ნერვიულობდა.

— ყველაფერი რიგზეა? — შეეკითხა ელისს და მკლავში ჩაეჭიდა, — ამდენ ხანს ძილი რატომ დამაცადე?

— იმიტომ, რომ გჭირდებოდა, — უპასუხა ელისმა, — ტომს ორამდე ეძინა, მერე მე მეძინა ოთხამდე, ამის შემდეგ ქუჩას ორივენი ვუყურებდით. ჩამოდი და შენ თვითონ ნახე. ძალიან სასაცილოა.

— ისევ გუნდად იქცნენ?

გოგონამ თავი დაუქნია.

— ოლონდ საპირისპირო მიმართულებით მიდიან და ეს ყველაფერი არ არის. წამოდი, თავად ნახავ.

ტუალეტში საქმის მოთავების შემდეგ კლაი ქვემოთ ჩავიდა. ტომი და ელისი კართან, პარმალზე იდგნენ, ერთმანეთისთვის წელზე შემოეხვიათ ხელი. ქუჩიდან მათი დანახვა შეუძლებელი იყო. ცა ღრუბლებს დაეფარა და სახლი ჩრდილებში ჩაფლულიყო. სეილემის ქუჩაზეც მხოლოდ რამდენიმე კაცი მოჩანდა. დანარჩენები დასავლეთით წავიდნენ, სირბილით — არა, მაგრამ საკმარისად სწრაფი ნაბიჯით. ოთხკაციანმა ჯგუფმა ჩაიარა, სხეულებსა და ზეზეური ნასუფრალის შემდეგ დარჩენილ ნაგავზე მიაბიჯებდნენ: ძვლამდე გამოხრული ცხვრის ბარკალი, დახეული ცელოფანები, მუყაოს ყუთები, ხილისა და ბოსტნეულის მოკბეჩილი ნარჩენები. მერე ექვსმა ჩაიარა, ბოლოში ვინც იდგა, ტროტუარზე მიდიოდა. ერთმანეთს არც კი უყურებდნენ, მაგრამ იდეალურად ინარჩუნებდნენ სიმწყობრეს და როდესაც ტომის სახლის კარს ჩაუარეს, გეგონებოდა, ერთი კაცი მიდიოდა. მხოლოდ მაშინ მიხვდა კლაი, რომ ხელებსაც სინქრონულად ამოძრავებდნენ. მერე თოთხმეტიოდე წლის ყმანვილი გამოჩნდა. კოჭლობდა, გაუგებარ ბგერებს ღრიალებდა, ძროხის ზმუილს ჰგავდა, და ცდილობდა, უფრო მეტად არ ჩამორჩენოდა დანარჩენებს.

— მკვდრები და გონდაკარგულები დატოვეს, — თავისი დაკვირვება გაუზიარა ტომმა, — მაგრამ დაეხმარნენ იმათ, ვინც გაინძრა.

კლაიმ ქუჩა მოათვალიერა, ფეხმძიმე ქალს ეძებდა და ვერ დაინახა.

— მისის სკოტონი?

— დაეხმარნენ, — დაუდასტურა ტომმა.

— ანუ ისევ ადამიანებივით იქცევიან?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ოჰ, სულაც არა, — თავი გააქნია ელისმა, — ერთ კაცს დაეხმარნენ, მაგრამ მას სიარული არ შეეძლო და მას შემდეგ, რაც მეორედ წაიქცა, ერთ-ერთ ჯეელს ბოისკაუტობა მოჰბეზრდა და...

— მოკლა, — დაასრულა წინადადება ტომმა, — მაგრამ ჯორჯივით ხელებით კი არა, კბილებით. ყელი გამოლადრა.

— მივხვდი, რაც უნდა მომხდარიყო და შევბრუნდი, — თქვა ელისმა, — მაგრამ მაინც მესმოდა. იმან... ისე *დაიგმინა*.

— დამშვიდდი, — ტომმა ნაზად მოუჭირა ხელი, — დამშვიდდი.

ახლა ქუჩა თითქმის დაცარიელდა. კიდევ ორი გამოჩნდა. მართალია, გვერდიგვერდ მოდიოდნენ, მაგრამ ორივე ძლიერად კოჭლობდა და ამიტომ მათ სვლაში სინქრონულობა არ შეინიშნებოდა.

— სად მიდიან? — იკითხა კლაიმ.

— ელისის აზრით, სადღაც აფარებენ თავს, შენობაში, — ტომის ხმაში მღელვარება იგრძნობოდა, — უნდათ, დაბნელებამდე მიასწრონ. შეიძლება, მართლაც ასეა.

— მაგრამ სად? *სად* მიდიან? ამ კვარტალში, რომელიმე სახლში შესული ხომ არ დაგინახავთ?

— არა, — თქვა ორივემ.

— ყველა არ დაბრუნებულა, — დაამატა ელისმა, — დღის მეორე ნახევარში სეილემის ქუჩაზე ბევრად *ნაკლები* ხალხი იყო, ვიდრე დილით. ასე რომ, დიდი ნაწილი მოლდენის ცენტრში დარჩა ან უფრო შორს წავიდა. შესაძლოა, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებს უფრო ეტანებიან, ვთქვათ, სკოლების სპორტულ დარბაზებს.

სკოლების სპორტული დარბაზები. კლაის ეს აზრი ძალიან არ მოეწონა.

— ის ფილმი თუ გაქვს ნანახი, „მკვდრების განთიადი“?[1]

— ჰო, — თავი დაუქნია კლაიმ, — იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ ამ ფილმის სანახავად სეანსზე შეგიშვეს?

ელისმა ისე შეხედა, თითქოს კლაი შეშლილი იყო, ან მიხრწნილი მოხუცი.

— ჩემს ერთ-ერთ მეგობარს ჰქონდა დი-ვი-დი დისკზე ჩაწერილი. ჯერ კიდევ მერვე კლასში ვიყავით, როცა ვუყურეთ, —

[1] *„მკვდრების განთიადი“ 1978 წელს გადაიღო ჯორჯ რომერომ ზომბების შესახებ. კლაი მომდევნო წინადადებაში საუბრობს ამ ფილმის რიმეიკზე, რომელიც ეკრანებზე 2004 წელს გამოვიდა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს ისე თქვა, თითქოს იმ დროს გზებზე ჯერ კიდევ დადიოდა პონი-ექსპრესი[1], ხოლო პრერიებში ბიზონების ჯოგები დახეტიალებდნენ, — ამ ფილმში ყველა მკვდარი, უფრო სწორად, ყველა — არა, მაგრამ ძალიან ბევრი, როცა ილვიძებდა, სავაჭრო ცენტრში მიდიოდა.

ტომ მაკორტი თვალებდაჭყეტილი უყურებდა გოგონას, მერე ახარხარდა. ვერაფრით ჩერდებოდა, ისე იცინოდა, რომ იძულებული გახდა, კედელს მიჰყუდებოდა და კლაიმ გაიფიქრა, ხომ არ აჯობებდა, ჰოლიდან პარმალზე გამავალი კარი დაეკეტათ. დანამდვილებით არავინ იცოდა, როგორი სმენა ჰქონდათ ქუჩებში მობოდიალე ამ შეშლილებს, მაგრამ კარგად ახსოვდა — ედგარ პოს მოთხრობის, „საიდუმლოს გამთქმელი გული", შეშლილი მთხრობელი შესანიშნავი სმენით იყო დაჯილდოებული.

— ჰო, მიდიოდნენ, — ელისი დოინჯშემოყრილი იდგა. ციცქნა ბოტასი ქანაობდა, — პირდაპირ სავაჭრო ცენტრში.

ტომი თავს ველარ აკონტროლებდა. მუხლები მოეკეცა, კედელზე ნელ-ნელა ჩაცურდა, ხარხარებდა და ხელებს იქნევდა.

— დაიხოცნენ, — ჰაერს პირით ხარბად ისუნთქავდა, — და მერე ამქვეყნად დაბრუნდნენ, რომ სავაჭრო ცენტრში წასულიყვნენ, ღმერთო, იცის თუ არა ჯერი ფოლუელმა...[2] — ისევ ახარხარდა, თვალებიდან ცრემლები მოსდიოდა, მერე მაინც შეძლო თავს მორეოდა და წინადადება დაესრულებინა, — იცის თუ არა ჯერი ფოლუელმა, რომ ზეცა ეს ნიუკასლის სავაჭრო ცენტრია?

კლაისაც გაეცინა. მერე მათ ელისი აჰყვა, თუმცა, კლაი ფიქრობდა, რომ გოგონა ბრაზობს, იმიტომ, რომ მისი ინფორმაცია ზომბების ქცევის შესახებ სერიოზულად არ მიიღეს, მეტიც, ხარხარით შეხვდნენ. მაგრამ, როდესაც ადამიანები იცინიან, რთულია, მათ არ აჰყვე. მაშინაც კი, თუ ბრაზობ.

---

[1] *პონი-ექსპრესი — საფოსტო მომსახურება, რომელიც დააფუძნა ფირმამ „რასელი, მეიჯორმი&უორდელი". კურიერი 1860 წლის აპრილიდან 1861 წლის ოქტომბრამდე მიმოდიოდა მისურის შტატის ქალაქ სენტ-ჯოზეფსა და კალიფორნიის შტატის ქალაქ საკრამენტოს შორის. ველური დასავლეთის ათვისებასთან დაკავშირებული ლეგენდები ფოსტის თანამშრომელთა სიმამაცეზეც მოგვითხრობს.*

[2] *ჯერი ფოლუელი (1933-2007) — ამერიკელი მქადაგებელი, ევანგელისტი, რომელსაც ტრადიციული სატელევიზიო გადაცემა მიჰყავდა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როდესაც სიცილი მიწყნარდა, კლაიმ ზემოთ თქმულს დაამატა:

— თუ ზეცა სრულებით არ ჰგავს „დიქსის"[1], მაშინ არ მინდა იქ მოხვედრა.

სამივეს ისევ გაეცინა, მერე ელისმა, რომელიც ისევ იცინოდა, თქვა:

— თუ ისინი ჯოგად დადიან, ხოლო ღამღამობით სპორტულ დარბაზებს, ეკლესიებს, სავაჭრო ცენტრებს აფარებენ თავს, ადამიანებს ასობით შეუძლიათ ტყვიამფრქვევებით მშვიდად ჩაცხრილონ.

კლაიმ პირველმა შეწყვიტა სიცილი, მერე ტომმა. გოგონას დაკვირვებით შეხედა და აკურატულად შეკრეჭილი ულვაში შეიმშრალა.

ელისმა თავი დააქნია. სიცილისგან ლოყები ავარდისფრებოდა და ისევ ილიმებოდა, მაგრამ ამ მომენტში ჩვეულებრივი სიმპათიური გოგონადან ენით აუწერელ ლამაზ ქალიშვილად იქცა.

— შესაძლოა, ათასობითაც, *თუ* ყველა ერთ ადგილზე *მოიყრის* თავს.

— ღმერთო, — ტომმა სათვალე მოიხსნა და მინების წმენდა დაიწყო, — შენ უალრესად სერიოზული გოგონა ყოფილხარ.

— ეს თვითგადარჩენაა, — ჩვეულებრივი ტონით მიუგო ელისმა, მაჯაზე გამობმულ ბოტასს შეხედა, მერე მამაკაცებს და ისევ დააქნია თავი, — ჩვენ უნდა დავადგინოთ მათი ქცევის კანონზომიერება: იკრიბებიან თუ არა ჯოგად და *როდის*, ღამეს ერთ ადგილზე ათევენ თუ არა და *სად* იკრიბებიან. იმიტომ, რომ თუ ასეთი კანონზომიერებები არსებობს, მაშინ...

18

კლაიმ ისინი ბოსტონიდან გამოიყვანა, მაგრამ ახლა, ოცდაოთხი საათის შემდეგ, როდესაც სამივე სეილემის ქუჩაზე მდებარე სახლს ტოვებდა, მეთაურობა, რასაკვირველია, თხუთმეტი წლის ელის მა-

[1] *დიქსი — სამხრეთის შტატების საერთო სახელი. სიმღერა „Dixie's Land" ამერიკის სამოქალაქო ომის დროს კონფედერატების ჰიმნი გახდა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქსველის ხელში გადავიდა. რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამაზე კლაი, მით უფრო ნაკლებად უკვირდა.

ტომ მაკორტს არასოდეს აკლდა ის, რასაც მისი ბრიტანელი ბიძაშვილები შინაგან ცეცხლს ეძახდნენ, მაგრამ ნამდვილი ლიდერი არასოდეს ყოფილა. კლაის ჰქონდა ლიდერობის მონაცემები, მაგრამ იმ სალამოს ელისის ღირსებებს, ჭკუასა და თავის გადარჩენის სურვილს კიდევ ერთი მიემატა: მან უკვე გამოიგლოვა ახლობლები და თავისი ცხოვრების ახალი გვერდი გადაშალა. მამაკაცებმა კი სეილემის ქუჩაზე მდებარე სახლის დატოვებით, ახალი დანაკარგი განიცადეს: კლაის საშინელი დეპრესია დაატყდა თავს, რაც, მისი აზრით, განაპირობა გადაწყვეტილებამ, თავისი ჩანთა ტომის სახლში დაეტოვებინა (სიმართლე ითქვას, გარდაუვალი გადაწყვეტილება გახლდათ). მაგრამ შემდეგ, ღამით, გაიაზრა, რომ ნამდვილი მიზეზი იმის შიში იყო, რა დახვდებოდა კენტ-პონდში.

ტომის საქმე უფრო მარტივად გახლდათ: ძალიან არ უნდოდა რაფის ბედის ანაბარა მიტოვება.

— ტომ, კარი შეღებული დაუტოვე, — უთხრა ელისმა, ახალმა, უფრო ძლიერმა ელისმა, რომელსაც, ისე ეტყობოდა, ყოველწუთიერად ემატებოდა გაბედულება, — კარგად იქნება, ტომ. საჭმელი ეყოფა. ჯერ კიდევ ბევრი დრო გავა იქამდე, ვიდრე კატები შიმშილობას დაიწყებენ ან მობილოგიჟები კატების ჭამაზე გადავლენ.

— გაველურდება, — ტომი სასტუმრო ოთახში დივანზე იჯდა და შესანიშნავად გამოიყურებოდა ქამრიან საწვიმარსა და ტრილბიში[1]. რაფერი მის მუხლებზე იწვა, კრუტუნებდა და აშკარად მოწყენილი იყო.

— ეს მართალია, — უთხრა კლაიმ, — მაგრამ, აბა, სხვა შინაურ ცხოველებზე დაფიქრდი, დიდებსა და პატარებზე. მათ ხომ გარდაუვალი სიკვდილი ელით.

— უკვე იმდენი ხანია ჩემთან ცხოვრობს. ჯერ კიდევ კნუტი მოვიყვანე, — კლაის შეხედა და ისიც მიხვდა, რომ ტომი სადაც იყო, ატირდებოდა, — გარდა ამისა, ყოველთვის ილბალი მოჰქონდა. ჩემს თილისმად ვთვლიდი. არ დაგავიწყდეთ, სიცოცხლე შემინარჩუნა.

---

[1] *ტრილბი — მამაკაცის ფეტრის შლაპა ოდნავ ჩაკეცილი შუა ნაწილით. სახელი ეწოდა ჯორჯ დიუმორიეს (1834-1896) იმავე სახელწოდების რომანის მიხედვით.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ახლა შენი თილისმა ჩვენ ვართ, — შენიშნა კლაიმ. არ უნდოდა იმის შეხსენება, რომ ერთხელ მანაც იხსნა ტომი სიკვდილისგან, მაგრამ ხომ ასე იყო, — მართალს ვამბობ, ელის?

— ჰო, — დაეთანხმა ელისი.

ტომმა გოგონას პონჩო მოუძებნა, ზურგჩანთა ეკეთა, რომელშიც, ჯერჯერობით, მხოლოდ ფარნების ბატარეები იდო და კლაის ეჭვი არ ეპარებოდა, ნამცეცა ბოტასიც, რომლის გოგონას მაჯაზე დანახვისთანავე ძარღვებში სისხლი ეყინებოდა. კლაის ზურგჩანთაშიც იდო ბატარეები კოულმენის ლამპისთვის.

ელისის წინადადებით, თან სხვა ალარაფერი უნდა წაელოთ. „რა აზრი აქვს ისეთი რამის ტარებას, რაც გზაშიც შეიძლება იშოვო“, — თქვა მან.

— სამი მუშკეტერი ვართ, ტომ, ერთი ყველასთვის, ყველა ერთისათვის. ახლა კი წავიდეთ იმ ნიკლბის სახლისკენ და ჩვენი მუშკეტები მოვიპოვოთ.

— ნიკერსონის, — ტომი ისევ კატას ეალერსებოდა.

ელისს ჭკუა და შესაძლოა, თანაგრძნობა ეყო, რომ არ ეთქვა, „იმ ვილაცის სახლში“, მაგრამ კლაიმ იგრძნო, გოგონას მოთმინება ეწურებოდა, ამიტომ ინიციატივა საკუთარ თავზე აიღო.

— ტომ, წასვლის დროა.

— ჰო, ალბათ, მართალი ხარ, — უკვე აპირებდა კატის დივანზე დასმას, მაგრამ ისევ აიყვანა და ყურებს შორის აკოცა. რაფმა მხოლოდ თვალები მოწკურა. ტომმა დივანზე დასვა და წამოდგა.

— ორი ულუფა სამზარეულოში, ქურასთან არის, პატარავ. გარდა ამისა, იქვეა დიდი თასი რძითა და ნაღებით. უკანა კარი ღია იქნება. ეცადე, არ დაივიწყო, სად არის შენი სახლი და... ვინ იცის, იქნებ კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს.

კატა დივნიდან იატაკზე ჩახტა, კუდი აპრიხა და სამზარეულოსკენ გაემართა. კატების რეპუტაციის თანახმად, უკან არც კი მიუხედავს.

კლაის ჩანთა, ორივე მხრიდან დანით გახვრეტილი, სასტუმრო ოთახის კედელთან იდო. კლაიმ შეხედა და ძლივს მოერია მისი შეხების სურვილს. იმ პერსონაჟებზე გაიფიქრა, რომელთა გამოსახულებები ჩანთაში ეწყო. მათთან ერთად იმდენ ხანს იცხოვრა პატარა სტუდიაშიც და თავისი წარმოსახვის უფრო ფართო (იმედი ჰქონდა, რომ ნამდვილად ასეა) ასპარეზზე: ჯადოქარი ფლეკი, მძინარა ჯინი, ხტუნია ჯეკ-ფლეში, მავნე სალი და, რასაკვირველია, თავად სევდიანი მაწანწალა, რეი დეიმონი. ორი დღით ადრე ვარაუდობდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ ისინი ვარსკვლავები გახდებოდნენ, ახლა კი მისი იმედისგან მხოლოდ ნახვრეტი დარჩა ჩანთაში, ხოლო მათ კომპანიონად ტომ მაკორტის კატა.

მძინარა ჯინზე გაიფიქრა, რომელმაც რობი რობოკრუიზერი შემდეგი სიტყვებით დატოვა: *„დ-დ-დროებით, ბ-ბ-ბიჭებო! ი-ი-იჭ-ნებ ა-ა-ამ გ-გ-გ ზით კ-კ-კიდევ დ-დ-დაებრუნდე!“*

— კარგად, ბიჭებო, — ხმამაღლა გამოემშვიდობა მათ, ცოტათი შერცხვა, ძალიან არა. ბოლოს და ბოლოს, სამყაროს დასასრული დადგა. გამოსამშვიდობებელი სიტყვები ბევრს არაფერს ნიშნავდა, მაგრამ მაინც, მათ გარეშეც არ შეეძლო. როგორც მძინარა ჯინს შეიძლებოდა, ეთქვა: *„უ-უ-უკეთესია, ვ-ვ-ვიდრე თ-თ-თვალში ს-ს-საჩხრეკი ი-ი-ითხარო“*.

კლაი ელისსა და ტომს პარმალზე გაჰყვა, შემოდგომის წვიმის ჩუმ შრიალში.

19

ტომმა ტრილბი დაიხურა, ელისის პონჩოს კაპიუშონი ჰქონდა, კლაისთვის კი ტომმა „რედ-სოკსის“ ბეისბოლისტის კეპი მოძებნა, რომელიც მცირე ხნით მაინც მშრალად შეუნარჩუნებდა თმას, მანამდე, სანამ მსუბუქ წვიმას კოკისპირული არ შეცვლიდა, ხოლო თუ ასე მოხდებოდა... ელისის თქმით, ახალი სამოსის შოვნა პრობლემას არ წარმოადგენდა. მათ შორის, არც უამინდობისთვის საჭირო სამოსის. ამაღლებული პარმალიდან სეილემის ქუჩის დაახლოებით ორ კვარტალს ხედავდნენ. დღის სინათლე სწრაფად იკლებდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ქუჩა სრულიად ცარიელი იყო, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე სხეულსა და შეშლილების დანატოვარ ნაგავს.

სამივეს თან ჰქონდა დანა, კლაის შეკერილ სარჩულებში ჩამალული. თუ ტომი ნიკერსონების თაობაზე არ ცდებოდა, უახლოეს ხანში საფუძვლიანად შეიარაღდებოდნენ. კლაის ამის დიდი იმედი ჰქონდა. შესაძლოა, მაღაზია „სამზარეულოს სულისგან“ ნათხოვარი დანის გამოყენება ისევ დასჭირვებოდა, მაგრამ უკვე ალარ იყო დარწმუნებული, რომ მისი ადამიანისთვის ჩარტყმა შეეძლო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელისს მარცხენა ხელში ფარანი ეჭირა. როდესაც დარწმუნდა, რომ ფარანი ტომსაც აქვს, თავი დაუქნია და ჰკითხა:

— ნიკერსონის სახლისკენ წაგვიყვან, ასეა?

— ასეა.

— და თუ გზად ვინმეს გადავეყარეთ, მაშინვე ვჩერდებით და სამივენი ფარანს მივანათებთ, — ისევ ტომსა და კლაის შეხედა, რომელიც აღელვებული ჩანდა. ეს ყველაფერი უკვე მოილაპარაკეს. კლაიმ ჩათვალა, ელისი, ალბათ, ნერვიულობსო, როგორც სერიოზული გამოცდის წინ ნერვიულობენ... გამოცდა კი წინ მართლაც რთული ელოდათ.

— ჰო, რა თქმა უნდა, — უპასუხა ტომმა, — და ვეუბნებით, რომ ტომი, კლაი და ელისი გვქვია. ჩვენ ნორმალური ადამიანები ვართ. თქვენ რა გქვიათ?

— თუ ფარნებს ისინიც მოგვანათებენ, — განაგრძო კლაიმ, — შეგვიძლია, ვივარაუდოთ...

— არაფრის ვარაუდი არ შეგვიძლია, — მოუთმენლად შეაწყვეტინა გაღიზიანებულმა ელისმა, — როგორც მამაჩემი ამბობს, ჩვენ ვბჭობთ და თავს ვიტყუებთ, რეალობა კი დაგვცინის.

— გასაგებია, — თავი დაუქნია კლაიმ.

ელისმა ხელით მოიშორა თვალებიდან ცრემლი ან წვიმის წვეთები, კლაის დარწმუნებით თქმა არ შეეძლო. მერე თავის თავს შეკითხვა დაუსვა და ამ შეკითხვამ ახალი ტკივილი მოუტანა: ვაითუ, ჯონი ახლა ტირის, მამის მოსვლას ელოდება. კლაის იმედი ჰქონდა, რომ ჯონი ტიროდა. იმედი ჰქონდა, რომ მისმა შვილმა ასეთი უნარი შეინარჩუნა. და კიდევ... მეხსიერება.

— და თუ შეძლებენ, გვიპასუხონ, თუ შეძლებენ სახელების თქმას, ესე იგი, ისინიც ნორმალურები არიან და შესაძლოა, მათგან არაფერი დაგვემუქროს, — განაგრძო ელისმა, — ასეა?

— ასეა, — დაეთანხმა კლაი.

— ჰო, — ტომიც დაეთანხმა, მაგრამ რაღაც უგულისყუროდ. ქუჩას ათვალიერებდა, რომელზედაც არ ჩანდნენ ადამიანები, არც მოხტუნავე ფარნის სინათლეები, არც ახლოს, არც შორს.

სადღაც შორს ისევ ისროლეს. პეტარდების აფეთქებას ჰგავდა. ჰაერში ნახანძრალის სუნი იდგა, ისე როგორც მთელი დღის განმავლობაში. კლაიმ ჩათვალა, რომ წვიმის გამო ეს სუნი კიდევ უფრო გაძლიერდა. დაინტერესდა, რამდენი ხანი გავიდოდა, ვიდრე მთელი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოსტონი გახრწნილი სხეულების სუნით აყროლდებოდა. გადაწყვიტა, რომ ეს ყველაფერი მომდევნო დღეებში ჰაერის ტემპერატურაზე იქნებოდა დამოკიდებული.

— თუ ნორმალური ადამიანები შეგვხვდნენ და გვკითხეს, საით მივდივართ, ხომ გახსოვთ, რას ვპასუხობთ? — იკითხა ელისმა.

— გადარჩენილებს ვეძებთ.

— მართალია, იმიტომ, რომ ისინი ჩვენი მეგობრები და მეზობლები არიან. ადამიანები, ვისაც შევხვდებით, ამ ქალაქზე გაივლიან. მათ უფრო შორს წასვლა ენდომებათ. მოგვიანებით კი, ალბათ, ჩვენც შევუერთდებით დანარჩენ ნორმალურ ადამიანებს, იმიტომ, რომ რაოდენობა თავის გადარჩენის გარანტიაა, მანამდე კი...

— მანამდე კი შეიარაღება კარგი იქნებოდა, — გააწყვეტინა კლაიმ, — იმ პირობით, რომ იარაღი არსებობს. წავედით, ელის, გავარკვიოთ ეს ამბავი.

გოგონამ დაშინებულმა შეხედა.

— რამე ისე არ არის? რაღაც გამომრჩა? შეგიძლია, მითხრა, ვიცი, მე ხომ მხოლოდ გოგონა ვარ.

მოთმინებით, რამდენადაც კი მისი ისარივით დაჭიმული ნერვების გადამკიდე შეიძლებოდა, კლაიმ აუხსნა:

— არა, საყვარელო, არაფერი გამოგრჩენია. უბრალოდ, მინდა, დროზე წავიდეთ. გარდა ამისა, მეეჭვება, ვინმე შეგვხვდეს. ჩემი აზრით, ახლომახლო აქ არავინაა.

— იმედია, მართალს ამბობ, — უპასუხა გოგონამ, — ჩემს თავში ისეთი არეულობაა და თანაც, ფრჩხილი გამიტყდა.

რამდენიმე წამს უხმოდ მისჩერებოდნენ, მერე სიცილი აუტყდათ. ამის შემდეგ დაძაბულობა ხელის ერთი მოსმით გაქრა, ხასიათი გამოუკეთდათ და აღარც წახდენიათ.

20

— არა, — თქვა ელისმა და მის ყელში რაღაც აბუყბუყდა, — არა, არ შემიძლია, — ბუყბუყმა იმატა, — სადაცაა გული ამერევა. მაპატიეთ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და გოგონამ კოულმენის ლამპის სინათლიდან ნიკერსონების სასტუმრო ოთახის სიბნელეს შეაფარა თავი. ოთახი სამზარეულოს დიდი თაღით უერთდებოდა. კლაიმ ყრუ ხმა გაიგონა, შესაძლოა, ელისი მუხლებზე დაეშვა ხალიჩაზე, მერე ისევ ბუყბუყის ხმა მოისმა, მერე კი აღებინა. კლაიმ, შეიძლება ითქვას, შვებით ამოისუნთქა.

— ღმერთო, — წაიჩურჩულა ტომმა და ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. ამასთან, მის ხმას რეზონანსი მოემატა, — ოჰ, *ღმერთოოოო*!

— ტომ, — თქვა კლაიმ და მიუბრუნდა ტანმორჩილ მამაკაცს, რომელიც იდგა და ქანაობდა და მიხვდა, საცა იყო, გრძნობას დაკარგავდა. რა გასაკვირია? ეს სისხლიანი ნაფლეთები მისი მეზობლები იყვნენ.

— ტომ! — კლაი ტომსა და სამზარეულოს მაგიდაზე ორ სხეულს შორის ჩადგა. კოულმენის ლამპის სინათლეზე სისხლი ტუშივით შავად მოჩანდა. თავისუფალი ხელით ტომს ლოყაზე შემოარტყა, — გონი არ დაკარგო! — როცა დაინახა, რომ ტომმა ქანაობა შეწყვიტა, ხმა უფრო დაიდაბლა, — იქითა ოთახში გადი და ელისს მიეხმარე. მე სამზარეულოს მივხედავ.

— იქ რატომ უნდა შეხვიდე? — შეეკითხა ტომი, — ეს ბეტ ნიკერსონია, მისი გასხმული ტვინით... მისი გასხმული ტვინით, — ნერწყვი ხმაურით გადაყლაპა. ყელიდან რალაც უცნაური ხმა მოისმა, — სახისგან თითქმის აღარაფერი დარჩა, მაგრამ მაშინვე ვიცანი მისი ცისფერი, თეთრფიფქებიანი სვიტრით... და იქ ცენტრში, სამზარეულოს დახლთან, ჰეიდი წევს. მათი ქალიშვილი. *ვიცანი*, იმის მიუხედავად, რომ — ტომმა თავი გააქნია, თითქოს იმ ბურანის მოცილება უნდოდა, მის თავის ტვინს რომ ემუქრებოდა, — იქ *რისთვის* უნდა შეხვიდე?

— თითქმის ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ რისთვისაც მოვედით, იქ დავინახე, — კლაი გააოგნა იმ სიმშვიდემ, რომელიც საკუთარ ხმაში გაიგონა.

— *სამზარეულოში?*

ტომმა სცადა, კლაის მხარს იქით გადაეხედა, მაგრამ კლაი მისი მხედველობის არეს გადაეფარა.

— მენდე. მიდი, ელისს მიხედე. თუ შეძლებთ, იარაღი მოძებნეთ. დამიძახეთ, როცა სამალავს იპოვით... და ფრთხილად იყავი, შესაძლოა, მისტერ ნიკერსონი სადღაც აქვეა. იმის თქმა მინდა, თუ ჩავთვლით, რომ ამის დროს სამსახურში იყო, მაგრამ როგორც ელისის მამა ამბობს...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჩვენ ვბჭობთ და თავს ვიტყუებთ, რეალობა კი დაგვცინის, — გაიმეორა ტომმა. სახეზე ღიმილისმაგვარი რამ გამოესახა, — ყველაფერი გავიგე, — შებრუნებას აპირებდა, მაგრამ მერე კლაის შეხედა, — კლაი, ჩემთვის სულერთია, მერე სად წავალთ, მაგრამ აქ იმაზე მეტხანს დარჩენა, ვიდრე საჭიროა, არ მინდა. არნი და ბეტ ნიკერსონები გულზე არ მეხატებოდნენ, მაგრამ ისინი ჩემი მეზობლები იყვნენ და იმაზე უკეთ მექცეოდნენ, ვიდრე ის იდიოტი სკოტონი, რომელიც ჩემი სახლის მეზობელ ნაკვეთზე ცხოვრობდა.

— გასაგებია.

ტომმა ფარანი გამორთო და ნიკერსონების სასტუმრო ოთახში გავიდა. კლაიმ გაიგონა, რაღაცას როგორ ეჩურჩულებოდა ელისს და ამშვიდებდა.

კლაიმ გამბედაობა მოიკრიბა, სამზარეულოში შევიდა, კოულმენის ლამპა მაღლა ასწია და ხის იატაკზე სისხლის გუბეს გადააბიჯა. ის უკვე გამხმარიყო, მაგრამ მაინც არ სურდა სისხლის გუბეში ფეხის ჩადგმა.

გოგონა, რომელიც დახლთან იწვა, ტანმაღალი იყო, მაგრამ ორ კუდად გაყოფილი თმა და მოუქნელი სხეული იმას მოწმობდა, რომ ელისზე ორი ან სამი წლით იქნებოდა უმცროსი. კისერი მოღრეცოდა. მკვდარი თვალები თითქოს ბუდიდან გადმოსცვენოდა. ჩალისფერი თმა ჰქონდა, მაგრამ თავის ის მხარე, სადაც ჩაარტყეს, უკვე მუქი წაბლისფერი გახდომოდა, ისეთი, როგორიც სისხლის გუბეები იატაკზე.

დედამისი დასამუშავებელ მაგიდაზე გაწოლილიყო, ქურის მარჯვნივ, იქ, სადაც ალუბლის ხის თაროები ერთმანეთს ხვდებოდა. წამებისგან ხელები გასთეთრებოდა. იწვა, უშნოდ გაეჩაჩხა დასისხლიანებული, დაკბენილი ფეხები. ერთხელ, ვიდრე მცირე ტირაჟით გამოსულ კომიქსზე, სათაურით *„ჯოჯოხეთური ბრძოლა“* მუშაობას დაიწყებდა, კლაიმ ინტერნეტში ტყვიით მიჯრით მოკლულთა ფოტოები მოიძია — ეგონა, მათი დათვალიერება მუშაობაში დაეხმარებოდა, მაგრამ შეცდა. მიჯრით ნატყვიარი განსაკუთრებული ფატალიზმით გამოირჩეოდა და ახლა ამგვარ ნატყვიარებს ცხადად ხედავდა. ბეტ ნიკერსონის მარცხენა თვალი შუბლსა და ლოყაზე გადღაბნილიყო. მარჯვენა ზედა ქუთუთოს ქვეშ ისე იმალებოდა, თითქოს სურდა, თავის ქალა დაეთვალიერებინა. მისი შავი თმა და რუხი ნივთიერების დიდი ნაწილი ახლა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალუბლის ხის კარადის კარზე იყო, იმ თაროს კარის, რომლის გვერდითაც იდგა, როდესაც სასხლეტს თითი გამოჰკრა. ცხედარს რამდენიმე ბუზი დაბზუოდა.

კლაიმ გულისრევა იგრძნო, შებრუნდა და პირზე ხელი აიფარა. თავს ჩააგონა, რომ ნერვები უნდა გააკონტროლოს. სასტუმრო ოთახში ელისმა ღებინება შეწყვიტა — ესმოდა, ხმადაბლა როგორ ელაპარაკებოდა ტომს, მერე ისედაც ხმადაბალი ხმები მიწყდა, ისინი სახლის სილრმეში შევიდნენ — და კლაის არ სურდა, ყველაფერი თავიდან დაწყებულიყო.

„მათზე ისე იფიქრე, თითქოს კინოფილმისთვის საჭირო მულაჟებია“, — გაამხნევა თავი, მაგრამ კარგად ხვდებოდა, ეს ამაო იყო.

შებრუნდა და ყურადღება ცხედრიდან სხვა ნივთებზე გადაიტანა, რასაც იატაკზე ხედავდა. იარაღი უკვე დაინახა. სამზარეულო ფართო იყო, იარაღი კი კარისგან შორს ეგდო, მოპირდაპირე კედელთან, მაცივარსა და ერთ-ერთ ბუფეტს შორის დარჩენილ ღიობში. მკვდარი ქალისა და გოგონას დანახვის შემდეგ კლაიმ მაშინვე მოარიდა მათ მზერა და სწორედ მაშინ დაინახა იარაღი.

„მაგრამ იქნებ არც კი ვიცოდი, რომ სამზარეულოში იარაღი უნდა ყოფილიყო“.

ახლა იმასაც მიხვდა, სად უნდა ყოფილიყო იარაღი მანამდე: კედელზე დამაგრებულ ტელევიზორსა და საკონსერვო ქილების გასახსნელ ელექტრომანქანას შორის, კედელზე, სპეციალურ სამაგრში იდო ხოლმე. *„მარტო იარაღზე კი არა, ყოველგვარ თანამედროვე ხელსაწყოებზე აფრენენ,* — ამბობდა ტომი, — *ჰო, პისტოლეტი სამზარეულოშია, რომელიც თითქოს მხოლოდ იმას ელოდება, ხელი სტაცო“*. დიახ, პისტოლეტი სამზარეულოშია და თუ ეს არ არის საუკეთესო რამ ამ ორ სამყაროში, მაშ, რა უნდა იყოს?!

— კლაი! — შორიდან ელისის ხმა მოისმა.

— რა?

კიბეზე ასვლისას ნაბიჯების ხმაური, მერე ისევ ელისის ხმა, ამჯერად, სასტუმრო ოთახიდან.

— ტომმა მითხრა, მაშინვე გამაგებინეთ, თუ იარაღის სამალავს იპოვითო. ჰოდა, ვიპოვეთ. ქვემოთ. სამუშაო კაბინეტი იარაღითაა გაძეძგილი. თოფებიცაა და პისტოლეტებიც. ყველაფერი დალუქულია. დაცვის ფირმის ბეჭდები ადევს. ასე რომ, ახლა შეიძლება დაგვაპატიმრონ. ვხუმრობ. გესმის?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ერთი წუთით, საყვარელო. აქ არ შემოხვიდე.

— ნუ ღელავ. ძალიან *არ შეყოვნდე*, თორემ ცუდად გახდები.

ამაზე ცუდად ალარ გახდებოდა. საკუთარი შეგრძნებები უკვე დაივიწყა. ნიკერსონის სამზარეულოს გასისხლიანებულ ხის იატაკზე კიდევ ორი საგანი ეგდო. ერთი იყო ცომის გასაბრტყელებელი და გასაგები იყო, რატომაც. სამზარეულოს ცენტრალურ დახლზე ღვეზლის გამოსაცხობი თუნუქის ფორმა, ცომის მოსაზელი ჯამი და ლია ყვითელი ქილა იდგა, წარწერით „ფქვილი". ცომის გასაბრტყელებლის გარდა, ჰეიდის ხელიდან გავარდნილი მობილური ტელეფონი მოჩანდა, სწორედ ისეთი მოდელი, რომელიც მხოლოდ მოზარდს შეიძლება მოეწონოს — ცისფერი, კორპუსზე გაბნეული დიდი, ნარინჯისფერი ზიზილების გამოსახულებებით.

კლაის უკვე შეეძლო, *დაენახა*, რაც მოხდა, თუმცა, ძალიან არ სურდა. ბეტ ნიკერსონმა ღვეზლის გამოცხობა დააპირა. იცოდა თუ არა, რა კოშმარი დატრიალდა ბოსტონში, ამერიკაში ან იქნებ მთელ მსოფლიოშიც? შესაძლოა, ეს ტელევიზორში გადმოსცეს. თუ ასეა, ჭკუიდან გადამყვანი შეტყობინება მას ტელევიზიით არ მიუღია, კლაი დარწმუნებული იყო.

იგი მისმა ქალიშვილმა მიიღო. ჰო, ჰო... და ჰეიდი დედას თავს დაესხა. ბეტ ნიკერსონი შვილის მოთოკვას შეეცადა თუ არა, ვიდრე ცომის გასაბრტყელებელს მოუქნევდა, თუ მაშინვე ჩაარტყა? არა გაბრაზების, არამედ ტკივილისა და შიშის გამო? ნებისმიერ შემთხვევაში, პირველი დარტყმა საკმარისი არ ალმოჩნდა... და ბეტი უშარვლოდ იყო. გრძელი სვიტრი ეცვა, მაგრამ ფეხები შიშველი ჰქონდა.

კლაიმ ქალის სვიტრის ქვედა კიდე ფრთხილად ასწია. ძალიან ფრთხილად, ისე რომ არ გამოჩენილიყო სადა საშინაო ტრუსები, რომელიც სიკვდილის წინ დასვარა.

ჰეიდი, რომელიც თოთხმეტი წლის ჯერ არ უნდა ყოფილიყო, უფრო კი თორმეტი წლისას ჰგავდა, ალბათ, იმ ველურ, გაუგებარ ენაზე ღრიალებდა, რომელიც ყველამ დაისწავლა ჭკუიდან გადამყვანი შეტყობინების მიღების შემდეგ, ღრიალებდა რაღაცას, *ა-რ-რ-რ*, ან *ი-ი-ლაბ* ან *კაზალაჰ-კან*! ცომის გასაბრტყელებლის პირველმა დარტყმამ ძირს დასცა, მაგრამ გრძნობა არ დააკარგვინა და შეშლილი გოგონა დედამისის ფეხებს ეცა. კი არ კბენდა, კბილებით ხორცს გლეჯდა, ალაგ-ალაგ ძვლამდე ჩადიოდა. კლაი არა მხოლოდ კბილების, არამედ საკორექციო ფირფიტების კვალ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საც ხედავდა. და მაშინ — უდავოდ, ყვიროდა, არნახულად ტკიოდა, ვერც აცნობიერებდა, რას სჩადიოდა — ბეტ ნიკერსონმა ისევ ჩაარტყა, მაგრამ ახლა ბევრად ძლიერად. კლაიმ ლამის გაიგონა გოგონას გადატეხილი კისრის მალების ტკაცანი. საყვარელი ქალიშვილი მკვდარი ეგდო თანამედროვე სამზარეულოს იატაკზე, კბილებზე საკორექციო ფირფიტებითა და ხელიდან გაგდებული ულტრათანამედროვე მობილური ტელეფონით.

და მოასწრო თუ ვერა დედამისმა იმის გააზრება, რა მოხდა, ვიდრე ტელევიზორსა და კონსერვების გასახსნელის ელექტრომანქანას შორის მდებარე იარაღს წამოავლო ხელი, რომელიც ამ სუფთა, მზის სინათლით სავსე სამზარეულოში მძარცველის ან მოძალადის შეჭრის დროისთვის დღის სინათლეზე გამოსვლას ელოდა მთელი ეს დრო? კლაი ფიქრობდა, რომ ვერა. მისი აზრით, პაუზა არც ყოფილა. დედას მხოლოდ ის სურდა, გოგონას გაფრენილ სულს დასწეოდა, ვიდრე ჩადენილისთვის თავის გასამართლებელი სიტყვები ჯერ კიდევ არ მოსწყვეტოდა მის ბაგეებს.

კლაი ბუფეტთან მივიდა იარაღის ასაღებად. არნი ნიკერსონის ტექნიკური სიახლეებისადმი სიყვარულს თუ გავითვალისწინებთ, იმედი ჰქონდა, რომ იპოვიდა ავტომატურ პისტოლეტს, შესაძლოა, ლაზერული სამზირითაც, მაგრამ სადა, დიდი ხნიდან ცნობილ ორმოცდახუთკალიბრიან „კოლტს“ წააწყდა. და კლაის აზრით, ეს არჩევანი გამართლებული იყო. არნის ცოლი ამ იარაღის წყალობით, ალბათ, თავს უფრო მშვიდად გრძნობდა. საჭიროების შემთხვევაში, არ მოუწევდა იმის შემოწმება, დატენილი იყო თუ არა (ან, მეორე შემთხვევაში, ტყვიების ძებნა სანელებლების ქილებს შორის), არც იმის შემოწმება, იყო თუ არა ვაზნები სავაზნეში. არა, ამ ბებერ საბრძოლო მეგობარს მხოლოდ ცილინდრის გადაწევა სჭირდებოდა და კლაიმ ეს სულ ადვილად მოახერხა. სწორედ ამ რევოლვერის ათასობით ვერსია ჰქონდა დახატული თავისი „სევდიანი მაწანწალისთვის“. როგორც ვარაუდობდა, ექვსი სავაზნიდან მხოლოდ ერთი აღმოჩნდა ცარიელი. მერე მასრები გადმოყარა და ეჭვიც არ შეპპარვია, რას ნახავდა. ბეტ ნიკერსონმა თავის ორმოცდახუთკალიბრიან რევოლვერში კანონით აკრძალული ლეტალური ტყვიები ჩააწყო. წაკვეთილი თავით. გასაკვირი არ არის, რატომ ჰქონდა წაცლილი თავის ზედა ნაწილი. უცნაური ის იყო, რომ ქვედა ადგილზე დარჩა. ქალის ცხედარს დახედა და კლაი აფირდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კლაი! — ახლა სარდაფიდან კიბით ამოსული ტომი ეძახდა, — მისმინე, არნის ყველაფერი აქვს! სანაძლეოს დავდებ, ეს იარაღი საკმარისია, რომ სიცოცხლის ბოლომდე უოლპოლში[1] გამოგამწყვდიონ... კლაი, კარგად ხარ?

— მოვდივარ, — კლაიმ თვალები შეიმშრალა, რევოლვერის მცველის საკეტელა შეამოწმა და იარაღი ქამარში ჩაიმაგრა. მერე დანა ამოიღო და სამზარეულოს დასამუშავებელ ზედაპირზე დადო, თითქოს მან და ბეტ ნიკერსონმა იარაღი გაცვალეს, — ხუთ წუთს დამაცადე.

— მოსულა.

კლაიმ გაიგონა, ტომი როგორ ჩავიდა სარდაფში, არნი ნიკერსონის არსენალში, და გაილიმა, იმის მიუხედავად, რომ ლოყებზე ცრემლები ჩამოსდიოდა. ჰო, ეს უნდა დაემახსოვრებინა: საკმარისია, მოლდენელი კანონმორჩილი ტანდაბალი გეი იარაღით სავსე ოთახში შეუშვა და იქ თამაშის უფლება მისცე, რომ უკვე სილვესტერ სტალონესავით გიპასუხებს: „მოსულა“.

კლაიმ უჯრების გამოწევა და დათვალიერება დაიწყო. მესამეში, სამზარეულოს პირსახოცების თავზე, მძიმე წითელი ყუთი იპოვა, წარწერით: **ამერიკის დამცველი .45 კალიბრი, ამერიკის დამცველი 50 ვაზნა.** ყუთი ჯიბეში ჩაიდო და ტომისა და ელისისკენ წავიდა. ამ სახლის რაც შეიძლება მალე დატოვება სურდა. მხოლოდ მათი დარწმუნება იყო საჭირო, არნი ნიკერსონის მთელი არსენალი არ წაელოთ.

თაღში რომ გადიოდა, შეჩერდა და უკან მიიხედა, კოულმენის ლამპა მაღლა ასწია. სვიტრის მაღლა აწევამ მხოლოდ ცოტათი უშველა. იქ ისევ ცხედრები იყო, ცხედრები ჭრილობებით, ისეთივე შიშვლები, როგორიც მთვრალი ნოე, რომელსაც ვაჟმა წაასწრო. შეეძლო რაღაც მოეძებნა და მათი სხეულები დაეფარა, მაგრამ თუ ერთხელ დაიწყებდა ამას, რით დაასრულებდა? ვისი სხეულის დაფარვით? შერონის? საკუთარი ვაჟის?

„ღმერთო, დამიფარე“, — წაიჩურჩულა, მაგრამ ეჭვი ეპარებოდა, თითქოს ღმერთი ყველაფერს ასრულებს, რასაც შესთხოვენ. ლამპა დასწია და ქვემოთ, ელისისა და ტომის მოციმციმე ფარნებისკენ დაეშვა.

[1] *უოლპოლი ციხეა მასაჩუსეტსის შტატის იმავე სახელწოდების ქალაქში.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

21

ორივეს დიდი კალიბრის ავტომატური პისტოლეტის თასმები მოერგო სხეულის გარდიგარდმო. ტომს მხარზე პატრონტაშიც ეკიდა. კლაიმ აღარ იცოდა, ეცინა თუ ისევ ეტირა. მისი გონების რომელილაც ნაწილს სურდა, კიდეც ეტირა და, იმავდროულად, ეცინა. რასაკვირველია, ასე რომ მოქცეულიყო, ორივე ჩათვლიდა, რომ ისტერიკა აქვს. და არც შეცდებოდნენ.

კედელზე დიდი, იმაზე დიდი პლაზმური ტელევიზორი ეკიდა, ვიდრე სამზარეულოში ნახა. კიდევ ერთ, ოლონდ მომცრო ტელევიზორს ვიდეოთამაშების კონსოლი ჰქონდა მიერთებული, რომელსაც, დრო რომ ჰქონოდა, კლაი სიამოვნებით გაეცნობოდა. თითქოს კონტრასტისთვის, კუთხეში, პინგ-პონგის სათამაშო მაგიდის გვერდით, „სიბერგის“ ფირმის ძველი მუსიკალური ავტომატი იდგა, მაგრამ ჩამქრალი, უსიცოცხლო, ცისარტყელას ფერები მის კორპუსზე ერთმანეთს არ ენაცვლებოდა. და, რასაკვირველია, კაბინეტში იარაღით დაძეძგილი კარადები იდგა — ორი, ჯერ კიდევ ჩაკეტილი, მაგრამ შემტვრეული მინის პანელებით.

— აქ ბოქლომები იყო, — აუხსნა ტომმა, — მაგრამ გარაჟში იარაღების ყუთი ჰქონიათ, ელისმა ქანჩის გასაღები მოიტანა და მოაგლიჯა.

— თავისით მოსძვრა, — მორცხვად თქვა ელისმა, — ეს კიდევ გარაჟში ვიპოვე. იარაღების ყუთის უკან იდო, საბანში გახვეული. ის არის, რასაც ვფიქრობ? — მერე პინგ-პონგის მაგიდაზე დადებულ საგანს ხელი ფრთხილად მოჰკიდა და კლაის მიუტანა.

— ჯანდაბა, — ამოიხვნეშა კლაიმ, — ეს ხომ... — მცველის საკეტელაზე ამოტვიფრულ ასოებს დააკვირდა, — მგონი, რუსული ასოებია.

— დარწმუნებული ვარ, — თქვა ტომმა, — შენი აზრით, კალაშნიკოვია?

— ასე უნდა იყოს. ამის ვაზნები არის? ყუთებზე ასეთივე ასოები უნდა ეწეროს.

— ათობით. მძიმე ყუთებია. ეს ავტომატია, არა?

— მგონი, ასეც შეიძლება უწოდო, — კლაიმ ბერკეტი გადასწია, — დარწმუნებული ვარ, ერთ პოზიციაში ერთეულ ვაზნებს ისვრის და მეორე პოზიციაზე თუ გადაიყვან, ჯერით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— და წუთში რამდენს? — შეეკითხა ელისი.

— არ ვიცი, — უპასუხა კლაიმ, — მაგრამ უმჯობესი იყო, გეკითხა, წამში რამდენს.

— მართლა? — გაოგნებისგან ელისს თვალები გაუფართოვდა, — და შეგიძლია, გაარკვიო, ამ იარაღს როგორ ისვრიან?

— ელის, ელის, დარწმუნებული ვარ. ასეთი ავტომატის სროლას თექვსმეტი წლის ბიჭებს ასწავლიან. ჰო, გარკვევას შევძლებ, მაგრამ, ალბათ, სანამ გავარკვევ, ვაზნების ერთი ყუთი დაიხარჯება.

„ღმერთო, ისე ნუ იზამ, რომ ხელში ამიფეთქდეს“, — გაიფიქრა კლაიმ.

— მასაჩუსეტსში ასეთი იარაღის ქონა ნებადართულია? — იკითხა გოგონამ.

— ახლა უკვე კი, ელის, — უპასუხა ტომმა, — წასვლის დრო არ მოვიდა?

— ჰო, — თავი დაუქნია გოგონამ, მერე ეტყობა, შერცხვა, გადაწყვეტილების მიღება რომ უწევდა, და კლაის შეხედა.

— ჰო, — დაუდასტურა კლაიმ, — ჩრდილოეთისკენ[1].

— მშვენიერია, მაწყობს, — თქვა ელისმა.

— მეც, — მხარი აუბა ტომმა, — ჩრდილოეთისკენ. წავედით.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

[1] *ბოსტონის ჩრდილოეთით ნიუ-ჰემფშირისა და იმის შემდეგ, მენის შტატებია.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბეიზების აკადემია

www.PDF.ChiaturaINFO.GE

1

როდესაც წვიმიანი მეორე დილა გათენდა, კლაი, ელისი და ტომი ნორტ-რიდინგში, ცხენსაშენის, ამჟამად კი მიტოვებული ფერმის გვერდით აგებულ ბელელში იყვნენ დაბანაკებული. კარიდან უყურებდნენ, როგორ გამოჩნდნენ შეშლილთა პირველი ჯგუფები, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთის 62-ე მაგისტრალზე მიაბიჯებდნენ, უილმინგტონისკენ. სველი და ჭუჭყიანი სამოსი ეცვათ. ზოგიერთი სულაც ფეხშიშველი იყო. ნაშუადღევს ალარ ჩანდნენ. ოთხ საათზე, როდესაც ღრუბლებიდან მზის გრძელმა, დაფერდებულმა სხივებმა გამოანათა, ისევ გამოჩნდნენ, ისევ ჯგუფებად მიდიოდნენ, ოღონდ საპირისპირო მიმართულებით. გზადაგზა ბევრი იღეჭებოდა. ზოგიერთი იმათ ეხმარებოდა, ვისაც სიარული უჭირდა. თუ იმ დღეს ვინმე მოკლეს, ეს კლაის, ელისსა და ტომს არ უნახავთ.

დაახლოებით ათიოდე შეშლილი დიდ და მძიმე ნივთებს ძლივს მიათრევდა. კლაის მოეჩვენა, რომ ისინი ეცნო: სწორედ ამგვარი ნივთი გადმოიღო ელისმა ტომის სახლში, სტუმრებისთვის განკუთვნილი საძინებლის კედლის კარადიდან.

მაშინ სამივენი იმ დანადგართან იდგნენ და ჩართვას ვერ ბედავდნენ.

— კლაი, ზოგიერთი მათგანი თან რატომ დაატარებს ბუმბოქსებს? — იკითხა ელისმა.

— არ ვიცი, — უპასუხა მან.

— ეს ძალიან არ მომწონს, — თქვა ტომმა, — არ მომწონს მათი ჯოგური ქცევა, არ მომწონს, რომ ერთმანეთს ეხმარებიან, ყველაზე მეტად კი ის არ მომწონს, რომ თან დაათრევენ პორტატიულ სტერეოფირსაკრავებს.

— მარტო ზოგიერთს აქვს, — დაიწყო კლაიმ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— აბა, იმას შეხედე, — ტომმა მიუთითა საშუალო ასაკის ქალზე, რომელსაც დივნის ბალიშისხელა რადიო/სი-დი-პლეიერი ეჭირა. მძინარე ბავშვივით გულში ჩაეკრა. კორპუსში არსებული შესანახი ნიშიდან გამოვარდნილ სადენს ასფალტზე მიათრევდა, — იმას ხომ ვერ ხედავ, რომ მაგიდის ლამპებსა და ტოსტერებს დაატარებენ, ასეა? თუ ისე არიან დაპროგრამებული, რომ ბატარეებზე მომუშავე რადიომიმღებები აილონ, ჩართონ და მერე ის მელოდია, იმპულსი თუ გზავნილი ქვეცნობიერისთვის, რაც გინდა, ის დაარქვი, გადასცენ? იქნებ სურთ, იმათაც მისწვდნენ, ვინც პირველ შეტევას გადაურჩა?

ისინი. მუდამ პოპულარული პარანოიდული *ისინი.* ელისმა საიდანლაც პატარა ბოტასი ამოაძვრინა და ხელს უჭერდა, როდესაც ლაპარაკი დაიწყო. მშვიდი ხმა ჰქონდა.

— ჩემი აზრით, ეს შეუძლებელია.

— რატომაც არა? — ჰკითხა ტომმა.

გოგონამ თავი გააქნია.

— ახსნა არ შემიძლია. უბრალოდ, ვგრძნობ, მორჩა და გათავდა.

— ქალური ინტუიცია, — გაილიმა ტომმა, თუმცა, დაცინვა მის ხმაში სრულიად არ იგრძნობოდა.

— შესაძლოა, — უპასუხა გოგონამ, — მაგრამ, ვფიქრობ, ერთი რამ ცხადია.

— კერძოდ, რა, ელის? — შეეკითხა კლაი. მან კარგად წარმოიდგინა, გოგონას რაც უნდა ეთქვა, მაგრამ სურდა, საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულიყო.

— ჭკვიანდებიან. თავისით კი არა, არამედ იმიტომ, რომ ერთობლივად ფიქრობენ. შესაძლოა, რასაც ახლა ვამბობ, ბოდვად გეჩვენებათ, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს უფრო ახლოა სინამდვილესთან, ვიდრე იმის ვარაუდი, რომ ამ FM-გადამცემებს იმიტომ დაათრევენ, მერე ყველა ერთად მოაგროვონ, მთელ ხმაზე ჩართონ და ყველანი შეშლილების ქვეყანაში გაგვისტუმრონ.

— ტელეპათიური ჯგუფური აზროვნება, — თქვა ტომმა და ჩაფიქრდა. ელისი თვალს არ აშორებდა. კლაი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გოგონა სიმართლეს ამბობდა, და ბელლის კარიდან დღეს გაჰყურებდა, რომელიც ილეოდა. კიდევ იმაზე ფიქრობდა, როგორმე ისეთ ადგილზე მოხვედრილიყვნენ, სადაც გზების ატლასის შოვნა შეიძლებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომმა თავი დააქნია.

— მართლაცდა, რატომაც არა? ბოლოს და ბოლოს, ალბათ, სწორედ ამას ემყარება ჩიტების გუნდის მოქმედება.

— ამას მართლა ამბობ, თუ გინდა, ისე გამომიყვანო, თითქოს...

— არა, ნამდვილად ასე ვფიქრობ, — ტომი ელისის ხელს შეეხო, რომელსაც მუჭით პატარა ბოტასი ჩაებღუჯა, — მართლა ასე ვფიქრობ და ამ პატარის წვალებას თავი დაანებე, კარგი?

გოგონას სახე დაბნეულმა, წამიერმა ღიმილმა გაანათა. კლაიმ თვალი მოჰკრა და გაიფიქრა, როგორი ლამაზი იყო ელისი, ნამდვილად ლამაზი... და კიდევ, ნერვიული აშლილობის ზღვარზე.

— ჩალა ისეთი რბილი ჩანს, მე კი ძალიან დავიღალე. დავწვები და საღამომდე დავიძინებ.

— დაწექი და კარგად გამოიძინე, — უთხრა კლაიმ.

2

კლაის დაესიზმრა, რომ შერონსა და ბიჭუნა ჯონისთან ერთად კენტ-პონდის პატარა სახლის უკან პიკნიკი მოაწყვეს. შერონმა ბალახზე ნავახოს ინდიელების მოქსოვილი სუფრა გაშალა. სენდვიჩებს ჭამდნენ და ყინულიან ჩაის აყოლებდნენ. უეცრად ჩამობნელდა. შერონმა სადღაც, კლაის მხარს მიღმა ანიშნა: — *შეხედე! ტელეპათები*, მაგრამ, როდესაც კლაი შებრუნდა, მხოლოდ ყვავების გუნდი დაინახა, ისეთი უზარმაზარი გუნდი, რომ მზეს ჩრდილავდა. მერე ზანზალაკის წკარუნი გაისმა. თითქოს ასეთივე ხმა ისმოდა „მისტერ სოფტის“ ნაყინის გასაყიდ მანქანასთან, რომლის დინამიკები *სეზამის ქუჩის* პროგრამის მელოდიას გადასცემდა, მაგრამ კლაიმ იცოდა, სინამდვილეში, მობილურის ზარი იყო და შეძრწუნდა. როდესაც მობრუნდა, ბიჭუნა ჯონი გამქრალიყო. შერონს ჰკითხა ბიჭის შესახებ, იმიტომ, რომ ძალიან შეშინდა, თუმცა, პასუხი იცოდა, ქალმა კი უთხრა, რომ ბიჭუნა ჯონი ტელეფონზე საპასუხოდ სუფრის ქვეშ შეძვრა. სუფრა მართლაც ამოიბურცა. კლაი სუფრის ქვეშ შეძვრა — ჩალის ყოვლისმომცველი სურნელი იდგა, — ყვიროდა, ჯონი, არ უპასუხო, არ უპასუხოო, მისკენ გაიშ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვირა ხელი, მაგრამ ვაჟიშვილის ნაცვლად ცივი მინის ბურთი შერჩა ხელთ: პრესპაპიე, რომელიც მაღაზია „პაწია საგანძურში“ იყიდა, სწორედ ის, შუაში ფუმფულა, ღრუბლის მსგავსი ბაბუაწვერათი.

ტომი უკვე ანჯღრევდა, ეუბნებოდა, რომ საღამოს ცხრა საათია, მთვარე ამოვიდა და თუ გზის გაგრძელებას აპირებენ, დროა. კლაის გაღვიძება ასე ძალიან არასოდეს გახარებია. „ბინგოს“ პავილიონის შესახებ სიზმრის ნახვა ერჩივნა.

ელისმა უცნაურად შეხედა.

— რა იყო? — ჰკითხა კლაიმ, რომელიც ავტომატური იარაღის მცველის საკეტელას ამოწმებდა. უკვე ჩვევად ექცა, ყოველთვის შეემოწმებინა, უსაფრთხო მდგომარეობაში იყო თუ არა იარაღი.

— ძილში ლაპარაკობდი. იმეორებდი, არ უპასუხო, არ უპასუხოო.

— ამ ზარებს არავინ უნდა უპასუხოს და არც თავად უნდა დარეკოს. ასე ბევრად უკეთესი იქნება ჩვენთვის.

— ჰო, მაგრამ, ვინ შეძლებს წინ აღუდგეს ცდუნებას, როდესაც ტელეფონი რეკავს? — იკითხა ტომმა, — მერე კი შენ წინ ახალი ასპარეზი იშლება.

— ასე იტყოდა ის დაწყევლილი ზარატუსტრა! — გამოაცხადა კლაიმ და ელისმა გაიცინა, ვიდრე ატირდებოდა.

3

ღრუბლებიდან დროდადრო მთვარე გამოანათებდა ხოლმე (*„ისეა, როგორც მეკობრეების შესახებ საბავშვო რომანის ილუსტრაციებს ხატავენ“*, — გაიფიქრა კლაიმ). მის სინათლეზე უკან მოიტოვეს ფერმა, სადაც ოდესღაც ცხენების მოშენებას მისდევდნენ მისი პატრონები, და გეზი ჩრდილოეთისკენ აიღეს. იმ ღამეს პირველად შეხვდნენ ისეთებს, როგორიც თავად იყვნენ.

„იმიტომ, რომ ჩვენი დრო დადგა, — გაიფიქრა კლაიმ, ავტომატი ცალი ხელიდან მეორეში გადაიტანა. სრული საბრძოლო აღჭურვილობით იარაღი ძალიან მძიმე იყო, — *მობილოგიუებს ეკუთვნით დღე. ვარსკვლავების ამოსვლისთანავე ჩვენ გამოვჩნდებით. ეს*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არის ვამპირებისგან ჩვენი განმასხვავებელი ნიშანი. ღამეში გამოგვამწყვდიეს. ახლოს მისულები ერთმანეთს ვცნობთ, იმიტომ, რომ მეტყველების უნარი შეგვრჩა. ერთმანეთს ვცნობთ აკიდებული ზურგჩანთებითა და სალაშქრო ტომრებით, იარაღით, რომელსაც სულ უფრო მეტს ვაგროვებთ. შორ მანძილზე კი ჩვენიანის ამოცნობა ფარნის მოციალე სინათლით შეგვიძლია. სამი დღის წინ ჩვენ ვმართავდით პლანეტას, მაგრამ გამოგვარჩევდა დანაშაულის გრძნობა მინის პირისგან უკვე სამუდამოდ გადაშენებული ფლორისა და ფაუნის სახეობების გამო; ნირვანას საკაბელო ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებების ყურებასა და მიკროტალღურ ღუმელში მომზადებულ პოპკორნში ვეძებდით. ახლა კი, ფარნის სინათლის ადამიანები ვართ".

ტომს შეხედა.

— სად მიდიან? მზის ჩასვლის შემდეგ, ეს შეშლილები სად მიდიან?

ტომი კლაის მიუბრუნდა.

— ჩრდილოეთ პოლუსზე. ელფებს ჩრდილოეთის ირმის სიგიჟე შეეყარათ და არც ერთი ცოცხალი აღარ დარჩა. ჰოდა, ახლა იქ მიდიან, სანტას რომ დაეხმარონ, ვიდრე ახალი ელფები არ ჩავლენ.

— ღმერთო, — თქვა კლაიმ, — დღეს ვილაც ჩალის საწოლიდან სულ სხვა მხრიდან ადგა?

ტომს პასუხად არ გაულიმია.

— ჩემს კატაზე ვფიქრობ. სულ ეს მიტრიალებს თავში, კარგად არის თუ არა. რასაკვირველია, ჩათვლი, რომ ეს სისულელეა.

— არა, — უპასუხა კლაიმ, თუმცა, თავად ცოლსა და ვაჟიშვილზე დარდობდა და ტომის ნათქვამი მართლაც სისულელედ მიაჩნდა.

4

გზების ატლასს პატარა ქალაქ ბალარდვეილის მაღაზიაში — „წიგნები და საფოსტო ბარათები" — მიაგნეს. ჩრდილოეთისკენ მიდიოდნენ და გაუხარდათ, რომ, ასე თუ ისე, 93-ე და 95-ე მაგისტრალებს, სოფლურ დასახლებებს შორის განაგრძობდნენ სვლას. გზად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემხვედრი სხვა მოგზაურები (ძირითადად, დასავლეთით მიდიოდნენ) საზარელი საცობებისა და შემზარავი ავარიების შესახებ ჰყვებოდნენ. ალმოსავლეთისკენ მიმავალი ერთ-ერთი იშვიათი მოგზაური კი ბენზინმზიდის ავარიის ამბავს მოჰყვა A-93-ზე, უეიკვილდის შესასვლელთან. თურმე ხანძარს აფეთქებების სერია დაერთო და სავალ გზაზე ერთი მილის არეალში ყველა ავტომობილი დაინვა. როგორც ამბობდა, იქაურობა ისე ყარდა, თითქოს ჯოჯოხეთში თევზებს ხრუკავდნენ.

უფრო მეტი ფარნის სინათლის ხალხი ანდოვერის ჩრდილოეთის გარეუბანში შეხვდათ. ძალიან ხშირად ესმოდათ ერთი ჭორი, რომელიც უკვე სინამდვილედ მიაჩნდათ: ნიუ-ჰემფშირის საზღვარი დაკეტილია. ნიუ-ჰემფშირის პოლიცია და მისი მოხალისე დამხმარეები ჯერ ისროდნენ, მერე კითხვებს სვამდნენ. მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, გიჟი იყავი თუ ნორმალური.

— ეს მაგათი დედაატირებული დევიზის ახალი ვერსიაა, იმ დევიზის, რომელსაც საუკუნეებია, თავიანთ დედაატირებულ საგზაო ნიშნებზე აწერენ, — ამბობდა პირქუში მოხუცი, რომელმაც ცოტა ხანს მათთან ერთად იარა. ძვირად ღირებულ პალტოზე ზურგჩანთა მოეგდო, ხელში გრძელი ფარანი ეჭირა. ჯიბიდან რევოლვერის ტარი მოუჩანდა, — თუ ნიუ-ჰემფშირში *ხართ*, იცხოვრეთ თავისუფლად. თუ ნიუ-ჰემფშირში *შესვლა გსურთ*, მოკვდით თავისუფლად.[1]

— ეს... ძნელი დასაჯერებელია, — საერთო აზრი გამოთქვა ელისმა.

— გინდ, დაიჯერეთ, გინდ, არა, მისი[2], — უპასუხა თანამგზავრმა, — რამდენიმე კაცი შემხვდა, ვინც ჯერ ჩრდილოეთით მიდიოდა თქვენსავით, მერე სწრაფად დაიხიეს, როდესაც დაინახეს, როგორ ცივსისხლიანად ხვრეტდნენ ადამიანებს, რომლებიც ნიუ-ჰემფშირში შესვლას დანსტებლის ჩრდილოეთით ცდილობდნენ.

— როდის? — შეეკითხა კლაი.

— წუხელ.

კლაის რამდენიმე კითხვა უტრიალებდა თავში, მაგრამ ხმა არ ამოულია. ანდოვერში პირქუში მოხუცი და იმათი უმრავლესობა,

---

[1] *ნიუ-ჰემფშირის შტატის დევიზია „Live Free or Die" — „იცხოვრე თავისუფლად ან მოკვდი".*

[2] *მისი ხუმრობით, იშვიათად აგდებით, ახალგაზრდა ქალისადმი მიმართვის ფორმა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვინც მათთან ერთად მიაბიჯებდა მიტოვებული ავტომობილებით გაჭედილ გზაზე, 133-ე გზატკეცილზე გადავიდა, ლოუელისა და დასავლეთის მიმართულებით. ტომი, კლაი და ელისი ანდოვერის დაცარიელებულ მთავარ ქუჩაზე იდგნენ — მაღაზიებში შემორჩენილი რამდენიმე ფარნიანი ადამიანის გარდა, — რათა გადაწყვეტილება მიეღოთ.

— ამ მონაყოლის გჯერა? — ჰკითხა კლაიმ ელისს.

— არა, — უპასუხა და ტომს შეხედა.

ტომმა თავი გააქნია.

— არც მე. ასე მგონია, იმ ლეგენდას ჰგავს, კანალიზაციაში ნიანგების შესახებ.[1]

ელისმა თანხმობა თავის დაქნევით დაუდასტურა.

— ახლა ახალი ამბები ისე სწრაფად ველარ გავრცელდება, ყოველ შემთხვევაში, ტელეფონების გარეშე.

— ჰო, — განაგრძო ტომმა, — ეს უკვე ქალაქური ზღაპრების შემდეგი თაობაა. და მაინც, საუბარია შტატზე, რომელსაც ჩემი ერთი მეგობარი ნიუ-ჰემსტერს[2] ეძახდა. ამიტომ, გთავაზობთ, საზღვარი რაც შეიძლება წყნარ და მიყრუებულ ადგილზე გადავლახოთ.

— მშვენიერი გეგმა ჩანს, — თქვა ელისმა და გზა გააგრძელეს ტროტუარზე, ვიდრე ქალაქში იყვნენ და ჯერ კიდევ შეიძლებოდა ტროტუარზე სიარული.

5

ანდოვერის გარეუბანში სუპერმარკეტ IGA-ს ჩამსხვრეული ვიტრინიდან გამოვიდა მამაკაცი, რომელსაც საფეთქლებზე როგორლაც ფარნები მიემაგრებინა. მეგობრულად დაუქნია ხელი და მათკენ გაემართა, თან მარჯვედ უქცევდა გვერდს სუპერმარკეტის ურიკებს, ხოლო კონსერვის ქილებს ჩანთაში აწყობდა, ფოსტალიო-

[1] *ნიუ-იორკში გავრცელებულია ლეგენდა, თითქოს კანალიზაციის ქსელის მილებში ნიანგები ბინადრობენ.*

[2] *ნიუ-ჰემსტერი — ინგლისური სიტყვიდან „hamster", რაც „ზაზუნას" ნიშნავს.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნისას რომ ჰგავდა. გადაბრუნებულ პიკაპთან გაჩერდა, მეტუენელ როსკოუ ჰენდტად გაეცნო და ჰკითხა, საით მიდიხართო. როდესაც კლაიმ მენი ახსენა, ჰენდტმა თავი გააქნია.

— ნიუ-ჰემფშირის საზღვარი ჩაკეტეს. ნახევარი საათის წინ შემხვდა ორი კაცი — უკან გამობრუნდნენ. თურმე ნიუჰემფშირელები მობილოგიჟების ჩვენნაირი ნორმალური ადამიანებისგან გარჩევას კი ცდილობენ, მაგრამ თავსაც დიდად არ იწუხებენო.

— იმ ორმა ყველაფერი საკუთარი თვალით ნახა? — შეეკითხა ტომი.

როსკოუ ჰენდტმა ისე გადახედა, როგორც შეშლილს უყურებენ ხოლმე.

— სხვების ნათქვამს უნდა ენდოთ. ხომ გესმით, ახლა ვერავის დაურეკავ გადასამოწმებლად, ხომ ასეა? — მერე ცოტა ხნით გაჩუმდა, — სეილემსა და ნეშუაში გვამებს წვავენ, აი, რა მითხრა იმ ორმა. და ისეთი სუნი დგას, თითქოს გოჭი იწვება. ესეც იმათ მითხრეს. ხუთი კაცი დასავლეთისკენ მიმყავს და გვინდა, რამდენიმე მილის გავლა გათენებამდე მოვასწროთ. გზა დასავლეთისკენ თავისუფალია.

— ესეც გაიგეთ, ხომ ასეა? — შეეკითხა კლაი.

ჰენდტის მზერაში ზიზღი გაკრთა.

— ჰო, მართალია, გავიგონე. დედაჩემი ამბობდა, ჭკვიანს სხვისი ნათქვამი სიტყვაც ჰყოფნისო. თუ მართლაც ჩრდილოეთით გსურთ წასვლა, მაშინ საზღვარზე შუალამისას უნდა გადახვიდეთ. შეშლილები დაბნელების შემდეგ გარეთ არ გამოდიან.

— ვიცით, — უპასუხა ტომმა.

საფეთქლებზე ფარნებდამაგრებულმა მამაკაცმა ტომს ზედაც არ შეხედა, ის ჯგუფის ლიდერად კლაის მიიჩნევდა და, ძირითადად, მას ელაპარაკებოდა.

— და ფარნებს არ იყენებენ. აქეთ-იქით მთელი ძალით იქნიეთ ანთებული ფარნები. ილაპარაკეთ. იყვირეთ. არც ეს შეუძლიათ. მეეჭვება, საზღვარზე გადაგიშვან, მაგრამ თუ ბედმა გაგიღიმათ, არ დაგხოცავენ.

— ისინი დაჭკვიანდნენ, — ჩაურთო ელისმა, — და თქვენ ეს იცით, ხომ ასეა?

ჰენდტმა ჩაიფრუტუნა.

— ჯოგებად დადიან და ერთმანეთს აღარ ხოცავენ. არ ვიცი, ეს იმას ნიშნავს თუ არა, რომ დაჭკვიანდნენ, მაგრამ ჩვენს დახოცვას რომ აგრძელებენ, ეს კი დანამდვილებით ვიცი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩანს, ჰენდტმა კლაის მზერაში უნდობლობა შენიშნა, იმიტომ, რომ გაილიმა. ფარნების სინათლეზე გამოჩნდა მისი სახის უსიამოვნო გამომეტყველება.

— ამ დილით თავად ვნახე, ქალი როგორ დაიჭირეს. საკუთარი თვალით, გესმით?

კლაიმ თავი დაუქნია.

— მესმის.

— მგონი, ვიცი, ქუჩაში როგორ მოხვდა. აქედან ალმოსავლეთით, ათი მილის დაშორებით ტოპსფილდში, მე და ჩემი ხალხი მეექვსე მოტელში ვიყავით. ქალი მოტელისკენ მოდიოდა. უფრო სწორად, კი არ მოდიოდა, ძალიან ჩქარა მოაბიჯებდა. თითქმის მორბოდა, თან სულ უკან იხედებოდა. დავინახე, — იმიტომ, რომ ვერაფრით დავიძინე, — თავი გადააქნია, — ძალიან ძნელია დღისით ძილს შეეჩვიო.

კლაის უკვე იმის თქმა სურდა, დღისით ძილს უნდა შეეჩვიოთო, მაგრამ გადაიფიქრა. დაინახა, ელისს ისევ თავისი თილისმა ეჭირა. არ უნდოდა, გოგონას ეს ამბავი მოესმინა, მაგრამ იცოდა, მოუწევდა. ჯერ ერთი, შესაძლოა, ინფორმაცია მათ გადარჩენაში დახმარებოდა (განსხვავებით, ჭორებისგან ნიუ-ჰემფშირის საზღვრის დახურვის შესახებ, ეს მონაყოლი, კლაის აზრით, სიმართლე იყო), და კიდევ, მან იცოდა, უახლოეს ხანებში კიდევ ბევრჯერ მოისმენდნენ ამგვარ ამბავს, და მათი მოსმენის შემდეგ საშუალება ექნებოდათ, ამბები დაეხარისხებინათ, რათა თავიანთთვის სასარგებლო დასკვნა გამოეტანათ.

— ალბათ, დღის გასატარებლად უკეთეს ადგილს ეძებდა, ეს იყო მიზეზი. მეტი არაფერი. დაინახა მოტელი #6 და გაიფიქრა: „აჰა, აქ არის ოთახი საწოლითურთ. აი, იქ, ეკსონის ავტოგასამართ სადგურთან, სულ რაღაც ერთი კვარტალის იქით", მაგრამ ჯერ მხოლოდ ნახევარი კვარტალი ჰქონდა გავლილი, რომ საიდანღაც, რომელიღაც შესახვევიდან, მათი ჯგუფი გამოჩნდა. მოდიოდნენ... იცით, ახლა როგორ დადიან?

როსკოუ მათკენ კალის ჯარისკაცივით გამართული ხელ-ფეხით გაემართა, მის გვერდს ფოსტალიონის ჩანთა ეხლებოდა. მობილოგიუები არ დადიოდნენ ასე, მაგრამ სამივე მიხვდა, რას გულისხმობდა, და თავი დაუქნიეს.

— ქალი კიდევ... — როსკოუ ისევ პიკაპს მიეყუდა და სახეზე ხელები ჩამოისვა, — არა, მინდა, ეს ყველაფერი კარგად გაიგოთ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რატომ არ შეიძლება, მათ თვალი მოგკრან და რატომ არ უნდა გეგონოთ, თითქოს ნორმალურები გახდეს, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ ერთი-ორს ბედმა გაუღიმა, ბუმბოქსზე საჭირო ღილაკებს დააჭირეს თითი და სი-დი დისკმა დაუკრა.

— თქვენ ეს თავად ხახეთ? შეეკითხა ტომი, — მოისმინეთ?

— ჰო, ორჯერ. მეორე ბიჭი, ვინც დავინახე, გზაზე მოაბიჯებდა და სტერეოსაკრავს ისეთი ძალით იქნევდა აქეთ-იქით, რომ სი-დი დისკი დროდადრო ნაწყვეტებს ტოვებდა, მაგრამ, ჰო, უკრავდა. მოკლედ, მუსიკა უყვართ, ეს დადგენილია, და შესაძლოა, ამ დროს თავში რალაცები ულაგდებათ, მაგრამ სწორედ ამიტომ უფრო ფრთხილად უნდა იყოთ, გესმით?

— ქალს რა დაემართა? — შეეკითხა ელისი, — იმას, რომელიც დაიჭირეს.

— სცადა, შეშლილებივით მოქცეულიყო, — უპასუხა ჰენდტმა, — ოთახის ფანჯარასთან ვიდექი და ვიფიქრე, მიდი, გოგონა, მიდი, გამოგივა, შესაძლოა, შანსი გაქვს, თუ ცოტა ხანს კიდევ გააგრძელებ და ასე მოიქცევი, მერე გაიქცევი და სადმე შეაფარებ თავს, სადმე, შენობაში დაიმალები, იმიტომ, რომ შიდა სივრცეში ყოფნა არ უყვართ-მეთქი. ეს შენიშნეთ?

კლაიმ, ტომმა და ელისმა უარის ნიშნად თავი გააქნიეს.

მამაკაცმაც დააქნია თავი.

— შედიან, ეს თავად დავინახე, მაგრამ არ მოსწონთ.

— როგორ მიხვდნენ, რომ ნორმალური იყო? — იკითხა ელისმა.

— არ ვიცი. იქნებ სუნით ან რალაც სხვა გზით.

— ან მისი აზრები გაიგეს, — ივარაუდა ტომმა.

— ან, პირიქით, მისი აზრები *ვერ* წაიკითხეს, — დაამატა ელისმა.

— ამაზე ვერაფერს გეტყვით, — უპასუხა ჰენდტმა, — მაგრამ ის კი ვიცი, რომ ნაკუწებად აქციეს. იქვე, ქუჩაში. ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, დაანაკუწეს.

— ეს როდის მოხდა? — იკითხა კლაიმ. შენიშნა, რომ ელისი წაბარბაცდა და მხარზე ხელი მოხვია.

— დღეს დილით, ცხრაზე. ტოპსფილდში. ამიტომაც, თუ ყვითელ აგურის გზაზე[1] იმათ ბრბოს დაინახავთ ბუმბოქსითურთ, რომელიც

[1] *ყვითელი აგურის გზა ფრენკ ბაუმის „ოზის ქვეყნის ჯადოქარში" განასახიერებს გზას, რომლის ბოლოში ადამიანი დასახულ მიზანს აღწევს ან ოცნება აუსრულდება.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მთელ ხმაზე უკრავს „რატომ არ შეგვიძლია, მეგობრები ვიყოთ", — სამივეს საფეთქელთან მიმაგრებული ფარნების სინათლეზე პირ-ქუშად მიაცქერდა, — არ გირჩევდით მათკენ ხელგაშლილი, მხია-რული ყიჟინით გაქცევას, ეს არის და ეს, — მერე მცირე ხანს დუმ-და, — მე ჩრდილოეთისკენ არ წავიდოდი, თუნდაც საზღვარზე არ დაგხოცონ, დროს დაკარგავთ.

მაგრამ სუპერმარკეტ IGA-ს ავტოსადგომზე ხანმოკლე თათბი-რის შემდეგ მაინც გადაწყვიტეს, გზა ჩრდილოეთისკენ გაეგრძელე-ბინათ.

6

ნორტ-ანდოვერში შეჩერდნენ, 495-ე ავტომაგისტრალის თავზე აგებულ საფეხმავლო ხიდზე. ლრუბლიანობამ იმატა, მაგრამ მთვა-რე ცაზე ხანდახან მაინც მოჩანდა და მათ უმოძრაო ავტომანქანე-ბის ექვსი რიგი დაინახეს. იმ ხიდის ახლოს, რომელზედაც იდგნენ, სამხრეთისკენ მიმავალი გზატკეცილის ნაწილზე, გადაბრუნებული თექვსმეტბორბლიანი ტრეილერი მოჩანდა. მკვდარ სპილოს ჰგა-ვდა. მის გარშემო შემოწყობილი ნარინჯისფერი კონუსები მონ-მობდა, რომ ვილაცის რეაგირება ავარიაზე სათანადო იყო. კიდევ, საპატრულო პოლიციის ორი მანქანა დაინახეს, ერთი — გადაბრუ-ნებული. უკანა ნაწილი ერთიანად დამწვარიყო. იმ მცირე მონაკ-ვეთებში, როდესაც მთვარე ლრუბლებს თავს აღწევდა, იქაურობა მოათვალიერეს, მაგრამ გვამები ვერ დაინახეს. რამდენიმე კაცი მიაბიჯებდა ასფალტირებულ ბორდიურზე, რომელზეც ასევე მრა-ვლად იყო მანქანები.

— მეტ რეალობას მატებენ ნანახს, ხომ ასეა? — იკითხა ტომმა.

— არა, — ელისის ხმაში ემოცია არ ისმოდა, — ჩემი აზრით, უფრო სპეცეფექტს ჰგავს საზაფხულო ზედმეტად რეკლამირებულ ფილმში. პოპკორნის დიდ სათლსა და კოკას ყიდულობ და სამყაროს დასასრულს უყურებ... რას ეძახიან? კომპიუტერულ გრაფიკულ გამოსახულებებს? კგგ? ცისფერ ეკრანებს თუ რაღაც ამგვარ ნა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გავს? — გოგონა პატარა ბოტასის თასმას მოეჭიდა, — აი, ჩემთვის ეს არის საკმარისი, რომ მომხდარი რეალობად შევიგრძნო, რაღაც ძალიან პატარა, ხელში დაჭერა რომ შემეძლოს. კარგი, წავედით.

7

28-ე ავტომაგისტრალზეც მრავლად იყო მიტოვებული მანქანები, მაგრამ 495-სთან შედარებით, შეიძლებოდა, ჩაგეთვალათ, რომ ცარიელია. ასე რომ, დილის ოთხი საათისთვის სულ ოლად მიაღწიეს მეტუენს, ფარნებიანი მისტერ როსკოუ ჰენდტის მშობლიურ ქალაქს. ჰენდტის მონათხრობი იმდენად დაიჯერეს, რომ გათენებამდე მართლაც რომელიმე შენობაში თავის შეფარება გადაწყვიტეს. 28-ე და 110-ე გზატკეცილების გადაკვეთაზე მდებარე მოტელი შეარჩიეს. ნომრების წინ ათობით ავტომანქანა იდგა, მაგრამ კლაის ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ისინი პატრონებმა მიატოვეს. რატომაც არა? ორივე გზატკეცილზე მხოლოდ საკუთარი ფეხით თუ შეძლებდი გავლას. კლაი და ტომი ავტოსადგომის საზღვართან შეჩერდნენ და თავზემოთ ანთებული ფარნების ქნევა დაიწყეს.

— თქვენიანები ვართ! — დაიყვირა ტომმა, — ნორმალურები! თქვენთან მოვდივართ!

შენობას მიუახლოვდნენ, მაგრამ პასუხი მოტელიდან „მშვენიერი დაბლობი“, სადაც სტუმრების განკარგულებაში იყო აუზი გათბობითა და საკაბელო ტელევიზია, ხოლო ჯგუფები ფასდაკლებით სარგებლობდნენ, არავის გაუცია.

— წავედით, — ელისი მოტელისკენ გაემართა, — ფეხები მტკივა, თანაც, მალე გათენდება, ასე არ არის?

— ამას შეხედეთ, — კლაიმ ასფალტიდან სი-დი დისკი აიღო და ფარანი მიანათა. *სიმღერები სიყვარულზე* მაიკლ ბოლტონის[1] შესრულებით.

---

[1] *მაიკლ ბოლტონი (დაბ. 1953) — ამერიკელი მომღერალი, როკბალადების შემსრულებელი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— შენ კიდევ ამბობ, დაჭკვიანდნენო, — ჩაიფრუტუნა ტომმა.

— დასკვნა ნაჩქარევია, — უპასუხა კლაიმ, როდესაც მოტელისკენ მიდიოდნენ, — ეს დისკი ვისიც იყო, გადააგდო, ხომ ასეა?

— უფრო, დაუვარდა, — თქვა ტომმა.

ელისმა სი-დი დისკს ფარანი მიანათა.

— ეს ყმაწვილი *ვინ* არის?

— საყვარელო, უკეთესია, არ იცოდე, — უპასუხა ტომმა. სი-დი დისკი აიღო და შორს მოისროლა.

გვერდიგვერდ მდებარე სამი ოთახის კარი ისე გააღეს, რომ შიგნიდან მათი ჩაკეტვა შესაძლებელი ყოფილიყო. თითქმის მთელი დღე ეძინათ, საბედნიეროდ, ამჯერად ნამდვილ საწოლებზე. ელისმა თქვა, რომ თითქოს სადღაც შორიდან მუსიკის ხმა ესმოდა და დასძინა, ალბათ, მუსიკა იმ სიზმრის ნაწილი იყო, რომელიც ვნახეო.

8

მოტელ „მშვენიერი დაბლობის“ ვესტიბიულში რუკებს ყიდდნენ, რომლებიც გზების ატლასზე დაწვრილებითი იყო. ისინი მინის სტენდის თაროებზე ეწყო. სტენდის კარის ჩამსხვრევა უკვე მოესწროთ. კლაიმ ერთი მასაჩუსეტსის რუკა აიღო და ერთიც — ნიუ-ჰემფშირის. ფრთხილად ჩამოიღო თაროდან, რომ მინის ნატეხებზე ხელი არ გაეჭრა, და სწორედ მაშინ დაინახა სარეგისტრაციო დახლის იქით გაშხლართული ახალგაზრდა. მისი თვალები არსაით იმზირებოდა. წამით კლაიმ იფიქრა, რომ მიცვალებულს ვილაცამ პირზე უცნაური ყვავილების თაიგული დაადო. როდესაც დააკვირდა, ლოყებიდან ამოშვერილი მინის მწვანე ნამსხვრევები შენიშნა და ისინი ძალიან ჰგავდა ჩამსხვრეული სტენდის მინას. მკერდზე ბეიჯი მოჩანდა წარწერით: ჰენკი მძვია. მკითხეთ ნომრების ამ კვირის საფასური.

კლაი ჰენკს დაჰყურებდა და მისტერ რიკარდი გაახსენდა.

ტომი და ელისი ვესტიბიულის კართან ელოდებოდნენ. საათი რვა საათსა და ორმოც წუთს უჩვენებდა და უკვე ბნელოდა.

— აბა, რა მოახერხე? — შეეკითხა ელისი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— აი, ეს დაგვეხმარება, — რუკები ელისს გადასცა და კოულმენის ლამპა მაღლა ასწია, რომ მას და ტომს რუკების შესწავლა, გზების ატლასთან შედარება და ღამის მარშრუტის დადგენა შესძლებოდათ. თავის დარწმუნებას ცდილობდა: თუ შერონსა და ჯონის რაიმე დაემართათ, ველარაფერს გამოასწორებს, სურდა, მცირე ხნით დავიწყებას მისცემოდა მისი ოჯახის ბედი. კენტ-პონდში რაც მოხდა, მოხდა.

მისი ვაჟი და ცოლი ან კარგად არიან, ან — არა. ზოგჯერ ასეთი თვითჰიპნოზი საქმეს შველოდა, მაგრამ ყოველთვის — არა.

მძიმე დეპრესიის მოახლოებისას, თავს ეუბნებოდა: შენ ხომ ბედმა გაგილიმა, გადარჩიო, და ეს სრული სიმართლე იყო, მაგრამ მის ილბლიანობას ის ფაქტი წამლავდა, რომ იმპულსის გადაცემის მომენტში ბოსტონში, კენტ-პონდიდან სამხრეთით, ასი მილის დაშორებით იმყოფებოდა (ეს იყო მანძილი, თუ ამ ორ პუნქტს სწორი ხაზით შეაერთებდით; სინამდვილეში, ამგვარი მარშრუტი არ არსებობდა). რაც მართალია, მართალია, კარგ ადამიანებს გადაეყარა; ადამიანებს, რომლებსაც მეგობრებად თვლიდა. სხვებიც ნახა — ლუდისკასრიანი ჯეელი, ფაშფაშა დედაკაცი ბიბლიით ხელში, მისტერ როსკოუ ჰენდტი მეტუენიდან, — ნაკლებად ილბლიანები.

„თუ შენამდე მოალწია, შერ, თუ ჯონიმ შენამდე მოსვლა მოახერხა, უმჯობესია, მასზე იზრუნო. უმჯობესია, იზრუნო“.

მაგრამ დავუშვათ, ტელეფონი თან ჰქონდა? ვთქვათ, წითელი მობილური სკოლაში წაილო? იქნებ ამ ბოლო დროს უფრო ხშირად ატარებდა? უკვე ბევრი ბავშვი ატარებს თან მობილურს.

ღმერთო!

— კლაი, კარგად ხარ? — ჰკითხა ტომმა.

— ჰო. რატომ მეკითხები?

— არ ვიცი. რაღაც ძალიან პირქუში ხარ.

— სარეგისტრაციო დახლის მილმა გვამია. არც ისეთი სასიამოვნო სანახაობაა.

— აქ ნახეთ, — ელისმა რუკაზე თითი გაავლო. ხაზი საზღვარს კვეთდა და ნიუ-ჰემფშირის ტერიტორიაზე 38-ე ავტომაგისტრალზე შედიოდა, პელემის ოდნავ აღმოსავლეთით, — ეს გზა მომწონს. თუ გზატკეცილზე დასავლეთის მიმართულებით რვა-ცხრა მილს გავივლით, — 110-ე გზატკეცილზე მიუთითა, რომელზედაც წვრილ წვიმასა და ნისლში ერთნაირად ანათებდნენ როგორც ავტომო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბილები, ისე ასფალტი, — აი, მაგ გზატკეცილზე გავალთ. რას ფიქრობთ?

— ჩემი აზრით, ცუდი არ უნდა იყოს, — თქვა ტომმა.

გოგონა კლაის მიუბრუნდა. პატარა ბოტასი არსად ჩანდა, ალბათ, ზურგჩანთაში ედო. კლაი ატყობდა, ძალიან უნდოდა, ხელში სჭეროდა, ხელი მოეჭირა და გაეშვა, ისევ და ისევ. *„კარგია, სიგარეტს რომ არ ეწევა, თორემ დღეში ოთხი კოლოფი არ ეყოფოდა“*.

— და თუკი შესაძლებელია, დაცულ საზღვარზე გადასვლა... — წამოიწყო ელისმა.

— ამაზე მაშინ ვიდარდოთ, როდესაც ასეთი საჭიროება დადგება, — გააწყვეტინა კლაიმ, მაგრამ არ ღელავდა. იცოდა, ნებისმიერი გზით მენამდე ჩავიდოდა. თუნდაც ამისთვის ბუჩქებში ძრომიალი დასჭირვებოდა, როგორც ეს ოქტომბერში, კანადის საზღვრის გადაკვეთისას ხდება ვაშლის მოსაკრეფად. თუ ტომი და ელისი მასაჩუსეტსში დარჩენას გადაწყვეტენ, რასაკვირველია, ცუდი იქნება. ის ორივეს გულდაწყვეტილი გამოემშვიდობება, მაგრამ ჩრდილოეთისკენ გზას გააგრძელებს, იმიტომ, რომ უნდა გაიგოს, როგორ არის მისი ოჯახი.

მოტელ „მშვენიერი დაბლობის“ სტელაჟიდან აღებულ რუკაზე ელისის მოძებნილი წითელი ხაზი, დოსტი-სტრიმ-როუდი, პრაქტიკულად, ცარიელი აღმოჩნდა. შტატის საზღვარს ოთხი მილი აშორებდათ. ხუთი თუ ექვსი ავტომობილი შემოხვდათ და მხოლოდ ერთი ავარია. ორ სახლს ჩაუარეს — ორივე განათებული იყო და გენერატორების გუგუნი ისმოდა. ისიც კი იფიქრეს, ხომ არ დაეკაკუნებინათ, მაგრამ გადაიფიქრეს.

— ვინმეს ტყვიას წავაწყდებით, ვინც თავის სახლსა და ოჯახს იცავს, — თქვა კლაიმ, — ეჭვიც არ მეპარება, იმ სახლებში ვილაც არის. გენერატორები მაშინ აამუშავეს, როდესაც ელექტროენერგიის ცენტრალიზებული მიწოდება შეწყდა და იმუშავებენ საწვავის ამოწურვამდე.

— თუნდაც იქ ნორმალური ადამიანები იყვნენ და სახლში შეგვიშვან, — თუ შეიძლება ასეთ საქციელს გონივრული ეწოდოს, — რა უნდა გავაკეთოთ? — იკითხა ტომმა, — ტელეფონზე დარეკვის ნებართვა ვთხოვოთ?

სხვა ვარიანტიც განიხილეს: სადმე ავტომობილის მითვისება („მითვისება“ — ეს სიტყვა ტომმა გამოიყენა), მაგრამ მერე ამაზე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაც უარი თქვეს. თუ საზღვარს შეიარაღებული პოლიცია და მოხალისეები იცავდნენ, არ იყო საჭირო „შევროლე-ტაჰოეს“ ჯიპით ზედმეტი ყურადღების მიპყრობა.

ამიტომ ოთხი მილი ფეხით იარეს, ხოლო საზღვარზე მხოლოდ ერთი სარეკლამო დაფა შეხვდათ (პატარა, ორხაზიანი გზატკეცილისა და სოფლური დასახლების შესაფერისი) შემდეგი წარწერით: ნიუ-ჰემფშირის შტატში შედიხართ და კეთილი იყოს თქვენი მოგზაურობა! სიჩუმეს მხოლოდ გზის ორივე მხარეს ფოთლებიდან წვიმის წვეთების წკაპუნი და ხანდახან ქარის დაბერვაზე ხეების შრიალი არღვევდა. იქნებ ტყეში რალაც ცხოველებიც დაფათურებდნენ. დაფაზე წარწერის წასაკითხად ნამით შეჩერდნენ და მასაჩუსეტსი უკან მოიტოვეს.

9

შეგრძნება, რომ მარტონი არიან, მაშინვე გაქრა, როგორც კი დოსტი-სტრიმ-როუდი შეწყდა მაჩვენებელ დაფასთან, წარწერით: 38-ე მაგისტრალი, მანჩესტერი, 19 მლ. 38-ზე კანტიკუნტად შეხვდნენ გამვლელები, მაგრამ როგორც კი ფართო, ჩრდილოეთისკენ მიმავალი უამრავი დამტვრეული ავტომობილით გადავსებულ 128-ე გზატკეცილზე გავიდნენ, ლტოლვილების უწყვეტი ნაკადი გამოჩნდა. ნაკადი მცირე ჯგუფებისგან შედგებოდა, თითოეულში სამი-ოთხი კაცი იყო და კლაი გააოგნა იმ ინდიფერენტულობამ, რომლითაც ჯგუფის არანევრს ეპყრობოდნენ.

ორმოციოდე წლის ქალსა და მასზე, ალბათ, ოციოდე წლით უფროს მამაკაცს შეხვდნენ. ორივე სუპერმარკეტის საზიდარს მიაგორებდა. საზიდრებში ბავშვებს ეძინათ. მამაკაცს ბიჭი მიჰყავდა, რომელიც უკვე დიდი იყო, მაგრამ როგორღაც მოეხერხებინა, მოკუნტულიყო და ისე ეძინა. როდესაც კლაიმ მეგობრებთან ერთად ამ სანიმუშო ოჯახს ჩაუარა, საზიდარს, რომელიც მამაკაცს ხელის კვრით მიჰყავდა, ბორბალი მოსძვრა. საზიდარი გადაიხარა, ბიჭი, რომელიც ასე, შვიდი წლის იქნებოდა, გადმოვარდა. ტომმა მხრის შეშველება მოასწრო, ბიჭი ძალიან არ დაშავებულა, მხოლოდ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მუხლი გადაიყვლიფა, მაგრამ, რასაკვირველია, შეშინდა. როდესაც ტომმა ააყენა, უცხო მამაკაცის დანახვაზე ტირილი მორთო და ხელიდან გასხლტომა დააპირა.

— ყველაფერი რიგზეა, დიდი მადლობა, მე მივხედავ, — თქვა მამაკაცმა, ბავშვი აიყვანა, მასთან ერთად ბორდიურზე ჩამოჯდა და თავისებურად დამშვიდება დაუწყო. კლაიმ იფიქრა, ალბათ, მეც ასე მამშვიდებდნენ, როცა შვიდი წლის ვიყავიო, — ახლა გრეგორი აკოცებს და აღარ ეტკინება, — მამაკაცმა გაკაწრულ მუხლზე აკოცა, ბიჭმა კი მხარზე მიადო თავი და ისევ დაძინება დააპირა, — გრეგორიმ კლაისა და ტომს გაულიმა და თავი დაუქნია. ქანცგაწყვეტილი ჩანდა. მამაკაცი, რომელზეც ერთი კვირის წინ ვერავინ იტყოდა, სამოცი წლისაა, ისეთი შემართული და ენერგიული იყო, ახლა იმ სამოცდაათი წლის ებრაელს ჰგავდა, რომელიც პოლონეთის საზღვრამდე მილწევას ცდილობდა, ვიდრე ჯერ კიდევ დრო ჰქონდა.

— ყველაფერი რიგზე იქნება, — თქვა მამაკაცმა, — შეგიძლიათ, გზა გააგრძელოთ.

კლაიმ უკვე პირი გაალო, დააპირა, ეკითხა: „*რატომ არ შეგვიძლია ერთად ვიაროთ? რომ გავერთიანდეთ? ამაზე რას ფიქრობ, გრეგ?* — სწორედ ასეთი კითხვებით მიმართავენ ერთმანეთს სამეცნიერო-ფანტასტიკური რომანების მთავარი პერსონაჟები, რომლებსაც ყმაწვილობისას კითხულობდა, — *იქნებ გავერთიანდეთ?*“

— წადით, რაღას დგახართ? — იკითხა ქალმა მანამ, სანამ კლაი კითხვას დაუსვამდა ან სხვა რაიმეს თქმა მოასწრებდა. მის საზიდარში ხუთიოდე წლის გოგონას ეძინა. ქალი საზიდრის გვერდით იდგა, იცავდა, თითქოს ფასდაკლებული საქონლის ბაზრობაზე რაღაც ძვირფასი შეიძინა და ახლა ეშინოდა, რომ კლაი და მისი მეგობრები წაართმევდნენ, — გგონიათ, ისეთი რამე გვაქვს, თქვენ რომ გჭირდებათ?

— ნატალი, გეყოფა, — გრეგორიმ მისი შეჩერება სცადა.

მაგრამ ნატალი არ ჩუმდებოდა და კლაი მიხვდა, ამ მცირე ინციდენტმა რატომ დაანაღვლიანა. იმიტომ არა, რომ ასეთი შეურაცხყოფით — შეურაცხყოფით *შუალამისას* — ეს ქალი გაუმასპინძლდა, დაღლილობასა და შიშს პარანოიის ზღვრამდე რომ მიეყვანა. ეს კარგად ესმოდა და მზად იყო, ეპატიებინა. ხასიათი სხვა რამის გამო გაუფუჭდა: გარშემო დანარჩენები გზას აგრძელებდნენ, ფარნებს იქნევდნენ, ერთმანეთს ჩურჩულით ესაუბრებოდნენ, მიდიოდნენ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პატარა ჯგუფებად, დროდადრო ჩემოდანი ცალი ხელიდან მეორეში გადაჰქონდათ. ვიღაც მოტოროლერზე იჯდა და ნაგავში, მიტოვებულ ავტომობილებსა და ადამიანებს შორის, გზის გაკვალვას ცდილობდა. ადამიანებიც გზას უთმობდნენ და უკმაყოფილოდ ბურტყუნებდნენ. კლაიმ გაიფიქრა, რომ არაფერი შეიცვლებოდა, თუ საზიდრიდან გადმოვარდნილი ბიჭი განაკაწრით კი არ გადარჩებოდა, არამედ კისერს მოიტეხდა. არაფერი შეიცვლებოდა, თუ ტროტუარზე ქოშინით მიმავალი აი, ის მსუქანი მამაკაცი, უზარმაზარ მძიმე ჩანთას ძლივს რომ მიათრევდა, უცებ ინფარქტის შეტევით წაიქცეოდა. დასახმარებლად თავს არავინ შეიწუხებდა, ხოლო 911-ის ეპოქა ისტორიას ჩაჰბარდა.

არავინ გამოჩნდა ისეთი, ვინც დაიძახებდა: *„ყველაფერი უთხარით, ლედი!“* ან *„ეი, შენ, ჯეელო, არ გინდა, უთხრა, ხმა ჩაიწყვიტოს?!“*

— იმიტომ, რომ ახლა ამ ბავშვების მეტი არაფერი გაგვაჩნია, არც კი ველოდით, თუ ასეთი პასუხისმგებლობა დაგვაწვებოდა, განსაკუთრებით ახლა, როცა საკუთარ თავზე ზრუნვაც არ შეგვიძლია, იმას კიდევ კარდიოსტიმულატორი აქვს ჩადგმული და რა უნდა ვქნათ, როცა ბატარეის მუშაობის ვადა ამოიწურება, ძალიან მაინტერესებს? ახლა კიდევ ეს ბავშვები! ბავშვი გინდათ? — ყველას შეშლილის მზერა მოავლო, — *ეი! ვინმეს ბავშვი არ უნდა?*

პატარა გოგონა შეირხა.

— ნატალი, პორტიას შეაშფოთებ, — გააფრთხილა გრეგორიმ.

ქალმა, რომელსაც ნატალის ეძახდნენ, გაიცინა.

— დიდი ამბავი! მსოფლიოში ისედაც ყველა შეშფოთდა! — გარშემო ადამიანები ისევ ლტოლვილისთვის შესაფერისი ნაბიჯებით მიდიოდნენ, მათ ყურადღებას არავინ აქცევდა, უმცირეს ყურადღებასაც კი, და კლაიმ გაიფიქრა: *„აი, თურმე როგორი ვყოფილვართ. აი, თურმე რა ხდება, როდესაც ჩვენი სამყარო ინგრევა. როდესაც ალარ არის ვიდეოკამერები, ალმოდებული შენობები, არ არის ანდერსონ კუპერი, რომელიც ამბობს: „ახლა კი ატლანტაში მდებარე სი-ენ-ენ-ის სტუდიაში ვბრუნდებით“. აი, თურმე რა ხდება, როდესაც ნაციონალური უსაფრთხოების სამინისტრო შეშლილობის გამო ფუნქციონირებას წყვეტს“.*

— ნება მომეცით, ბავშვი ხელში ავიყვანო, — შესთავაზა კლაიმ, — იქამდე ვატარებ, ვიდრე ჩამოსაჯდომ ადგილს არ ვიპოვით. საზიდარი ხომ გატყდა, — მერე ტომს შეხედა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომმა მხრები აიჩეჩა.

— ახლოს არ მოხვიდეთ, — გააფრთხილა ნატალიმ და მის ხელში პისტოლეტი გამოჩნდა. პატარა, სავარაუდოდ, 22-კალიბრიანი, მაგრამ საჭირო ადგილზე ტყვიის მოხვედრის შემთხვევაში, ზიანის მიყენება შეეძლო.

კლაიმ გაიგონა, მის გვერდით მდგომებმა იარაღი როგორ დაუმიზნეს. ტომმა და ელისმა ნიკერსონების სახლიდან წამოღებული ავტომატური პისტოლეტები დაუმიზნეს ქალს, რომელსაც ნატალი ერქვა. როგორც ჩანს, ეს დროის სახასიათო ნიშანი ხდებოდა.

— იარაღი შეინახეთ, ნატალი, — თქვა მან, — მივდივართ.

— კარგსაც აკეთებთ, თქვენი დედაც, — და ქალმა თავისუფალი ხელით თვალზე ჩამოშლილი კულული გადაიწია. თითქოს ვერ ხედავდა, რომ კლაის აქეთ-იქით მდგარი ახალგაზრდა მამაკაცი და ნორჩი გოგონა შეიარაღებული იყვნენ და მას უმიზნებდნენ. ახლა ადამიანები მათ *აცქერდებოდნენ*, მაგრამ ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა სწრაფად გაევლოთ ის ადგილი, სადაც სისხლის ღვრა იყო მოსალოდნელი.

— წავედით, კლაი, — ელისი მაჯაში ჩაეჭიდა, — წავედით, სანამ ვინმე არ დაცხრილეს.

გზა გააგრძელეს. ელისი მიდიოდა და ისევ კლაის ჩაჰფრენოდა მაჯაში, თითქოს მისი ბოიფრენდი იყო. *„შუალამის გასეირნება“*, — გაიფიქრა კლაიმ, თუმცა, არ იცოდა, რომელი საათი იყო და დიდად არც აინტერესებდა. გული ყრუდ უცემდა. გვერდით ტომი მიაბიჯებდა, ზურგით წინ, და კლაიმ გაიფიქრა, რომ ტომი დაუფიქრებლად ჩაცხრილავდა ნატალის, თუ ქალი იარაღის გამოყენებას გაბედავდა, იმიტომ, რომ ახლა, მას შემდეგ, რაც შემდგომ განკარგულებამდე სატელეფონო კავშირი გამორთული იყო, სროლაზე სროლით პასუხობდნენ.

10

გათენებამდე რამდენიმე საათით ადრე, მანჩესტერიდან აღმოსავლეთით მდებარე 102-ე მაგისტრალზე, სადღაც, ძალიან შორიდან მუსიკის ხმა გაიგონეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ღმერთო, — ტომი შეჩერდა, — ეს ხომ „სპილუჩას გასეირნებაა“.

— რა არის? — ელისი სიცილს ძლივს იკავებდა.

— დიდი ორკესტრი, იმ ეპოქის, როდესაც გალონი ბენზინი 25 ცენტი ღირდა. ლეს ბრაუნი[1] და მისი ვირტუოზების ორკესტრი თუ რაღაც ამგვარი. დედაჩემს ჰქონდა ფირფიტა.

ორი მამაკაცი მათ ჯგუფს მიუახლოვდა და სალაპარაკოდ შეჩერდა. ორივე ასაკოვანი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ მხნე. *„პენსიაზე გასულ ფოსტალიონებს ჰგვანან, რომლებიც კოტსუოლდსში[2] მოგზაურობენ,* — გაიფიქრა კლაიმ, — *მნიშვნელობა არა აქვს, სინამდვილეში, ვინ არიან“*. ერთს ზურგჩანთა ეკეთა. ისეთი ბრიყვული კი არა, როგორიც ელისს, არამედ ნამდვილი, კარკასით, სიგრძით წელამდე სწვდებოდა. მეორეს ცალ მხარზე სალაშქრო ტომარა მოეგდო, მეორეზე 30-კალიბრიანი ვინჩესტერი ეკიდა.

ზურგჩანთიანმა შუბლიდან ოფლი ხელისგულით მოიწმინდა და თქვა:

— შესაძლოა, დედათქვენს ლეს ბრაუნის ვერსია მოსმენილი ჰქონდა, მაგრამ უფრო სავარაუდო ის არის, რომ დონ კოსტას[3] ან ჰენრი მანჩინის[4] უსმენდა. მათი არანჟირებები ყველაზე პოპულარული იყო. ეს კიდევ, — იმ მხარეს გაიქნია თავი, საიდანაც მუსიკა ისმოდა, — ლოურენს უელკია[5], ეს ისეთივე სიმართლეა, როგორიც ის, რომ ცოცხალი ვარ და ვსუნთქავ.

— ლოურენს უელკი, — მოწიწებით წარმოთქვა ტომმა.

— ვინ? — შეეკითხა ელისი.

— უსმინე, როგორ დადის სპილუჩა, — უპასუხა კლაიმ და გაიცინა. დაილალა და თავს ცუდად გრძნობდა. მერე იმაზე იფიქრა, რომ ბიჭუნა ჯონის ეს მუსიკა მოეწონებოდა.

---

[1] *ლეს ბრაუნი (1912-2001) — ამერიკელი მუსიკოსი და შემსრულებელი, რამდენიმე ორკესტრის ხელმძღვანელი.*

[2] *კოტსუოლდსი ახალი ინგლისის თვალწარმტაცი ადგილია, სადაც ლამაზი გორაკები და ინგლისის სოფლების იდენტური სახლებია. მეტად პოპულარულია ქვეითი ტურიზმის მოყვარულთა შორის.*

[3] *დონ კოსტა (1925-1981) — ამერიკელი გიტარისტი და ორკესტრის ხელმძღვანელი.*

[4] *ჰენრი მანჩინი (1924-1994) — ცნობილი ამერიკელი კომპოზიტორი. 437 ფილმისთვის დაწერა მუსიკა.*

[5] *ლოურენს უელკი (1903-1992) — ცნობილი ამერიკელი მუსიკოსი, ორკესტრის ხელმძღვანელი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზურგჩანთიანმა აგდებულად გადახედა და მერე ისევ ტომს შეხედა.

— ეს ლოურენს უელკია, მართლა. თვალი ძველებურად აღარ მიჭრის, მაგრამ სმენას რაც შეეხება, ყველაფერი რიგზეა. დიდი ხნის წინ ჩემს ცოლთან ერთად მის შოუს ყოველ დაწყებულ შაბათ საღამოს ვუყურებდით.

— არც ჯორჯი ატარებდა ცუდად დროს, — ჩაურთო სალაშქროტომრიანმა კაცმა. მხოლოდ ეს იყო მისი მონაწილეობა საუბარში და კლაის წარმოდგენა არ ჰქონდა, ეს წინადადება რას ნიშნავდა.

— ლოურენს უელკი და მისი „შამპან-ბენდი“, — წამოიძახა ტომმა, — დაუჯერებელია!

— ლოურენს უელკი და მისი „შამპან-მიუზიკ-მეიკერსი“, — დააზუსტა ზურგჩანთიანმა, — ღმერთო.

— დები ლენონები[1] და მომხიბლავი ელის ლონი[2] არ დაგავიწყდეთ, — დაამატა ტომმა.

შორიდან მომავალი მუსიკის ხმა შეიცვალა.

— ეს „კალკუტაა“, — ამოიოხრა ზურგჩანთიანმა, — კარგი, ჩვენი წასვლის დროა. სასიამოვნო იყო თქვენთან დღის რამდენიმე მშვენიერი წუთის გატარება.

— ღამის, — შეუსწორა კლაიმ.

— არაფერიც, — თავი გაიქნია ზურგჩანთიანმა, — ახლა ეს არის ჩვენი დღეები. თუ თქვენ ვერ შენიშნეთ? დღის კარგად გატარებას გისურვებთ, ბიჭებო. თქვენც ასევე, პატარა ქალბატონო.

— გმადლობთ, — ოდნავ გასაგონი ხმით უპასუხა პატარა ქალბატონმა, რომელიც კლაისა და ტომს შორის იდგა.

ზურგჩანთიანმა გზა გააგრძელა. სალაშქროტომრიანმა ფეხი აუწყო. გარშემო, ფარნების სინათლეებზე, ჩანდა, რომ ადამიანები ნიუ-ჰემფშირის სილრმეში მიემართებოდნენ. მერე ზურგჩანთიანი შეჩერდა და უკან მობრუნდა რამდენიმე სიტყვის სათქმელად:

— გზაზე საათზე მეტხანს არ უნდა დარჩეთ. მოტელი ან სახლი იპოვეთ და იქ შედით. ფეხსაცმელზე უკვე იცით, ხომ ასეა?

— ფეხსაცმელზე? — შეეკითხა ტომი.

---

[1] *დებმა ლენონებმა (დაიანა, პეგი, კეტი და ჯანეტი) საყოველთაო პოპულარობა მოიპოვეს 1955 წელს ლოურენს უელკის შოუში მონაწილეობის შემდეგ.*

[2] *ელის ლონი (1926-1981) — ცნობილი ამერიკელი მომღერალი და კინომსახიობი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზურგჩანთიანმა მოთმინებით შეხედა, როგორც შეხედავდა ნებისმიერს, რომელმაც რაღაც სისულელე წამოროშა. სადღაც შორს „კალკუტა", თუ ნამდვილად ეს მელოდია ყღერდა, შეცვალა პოლკამ, რომელიც ამ ნისლიან, წვიმიან ღამეს სრულ სიგიჟედ მოეჩვენებოდა ადამიანს. ახლა კიდევ ეს დიდზურგჩანთიანი მოხუცი რაღაცას ამბობს ფეხსაცმელზე.

— როდესაც სახლში შეხვალთ, ფეხსაცმელები გარეთ, პარმალზე დატოვეთ, — თქვა მოხუცმა, — შეშლილები ხელს არ ახლებენ, ამის ნუ გეშინიათ, მაგრამ სხვა ადამიანებს მიანიშნებს, რომ სახლი დაკავებულია და სხვა ადგილი უნდა მოძებნონ თავის შესაფარებლად. ეს აგარიდებთ თავიდან... — მან კლაის ხელში ავტომატს შეხედა, — თავიდან აგარიდებთ ინციდენტებს.

— და რა, უკვე იყო ინციდენტები? — იკითხა ტომმა.

— რა თქმა უნდა, — სისხლის გამყინავი განურჩევლობით უპასუხა ზურგჩანთიანმა, — ინციდენტები ყოველთვის ხდება, ასეთია ადამიანის ბუნება. მაგრამ თავისუფალი ადგილები საკმარისზე მეტია, ასე რომ, ინციდენტები არ გემუქრებათ. უბრალოდ, ფეხსაცმელები პარმალზე დატოვეთ.

— ეს საიდან იცით? — დაინტერესდა ელისი.

მოხუცმა გაულიმა, რის გამოც მისი სახე ბევრად სიმპათიური გახდა. გარდა ამისა, მეტად რთული იყო, ღიმილით არ ეპასუხა ელისისთვის, ასეთი ახალგაზრდისა და ღამის სამ საათზეც კი ასეთი ლამაზისთვის.

— ხალხი ამბობს. მე ვუსმენ. როცა მე ვლაპარაკობ, *ზოგჯერ* სხვები მისმენენ. თქვენ უსმენდით?

ელისმა თავი დაუქნია.

— მოსმენა ყველაზე უკეთ მეხერხება.

— მაშინ ეს სხვებსაც მოუყევით. უკვე ის არის ცუდი, რომ *მათთან* გვაქვს საქმე, — დაზუსტება საჭიროდ არ ჩათვალა, — და კიდევ უფრო ცუდი იქნება, თუ ჩვენ შორის მოხდება ინციდენტები.

კლაის ნატალი მოაგონდა, რომელმაც 22-კალიბრიანი პისტოლეტი დაუმიზნა.

— მართალს ბრძანებთ. მადლობას მოგახსენებთ.

— ეს პოლკა „ლუდის კასრია", ხომ ასეა? — იკითხა ტომმა.

— არ ცდები, შვილო, — დაუდასტურა ზურგჩანთიანმა, — მაირონ ფლორენის ხმაა. ღმერთო, გაანათლე მისი სული. თქვენ, ალ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბათ, გეიტენში გაჩერებას მოისურვებთ. პატარა მყუდრო ქალაქია, აქედან დაახლოებით ორ მილზე.

— თქვენც იქ გაჩერდებით? — შეეკითხა ელისი.

— არა, მე და როლფი უფრო შორს წავალთ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ შეგვიძლია.

საწინააღმდეგო არაფერი უთქვამთ, იმის მიუხედავად, რომ ორივე მოხუცი სამოცდაათი წლის უნდა ყოფილიყო. მალე ორივენი თვალს მიეფარნენ იმ ერთადერთი ფარნის სინათლეზე, რომელიც როლფს, სალაშქროტომრიანს, ეჭირა ხელში.

— „სპილუჩას გასეირნება", — თქვა კლაიმ და გადაიხარხარა.

— ლოურენს უელკი და მისი „შამპან-მიუზიკ-მეიკერსი", — ტომის ხმაში ალფრთოვანება იგრძნობოდა.

— არცთუ ურიგოდ რატომ ატარებდა დროს ჯორჯი? — იკითხა ელისმა.

— იმიტომ რომ, ჩემი აზრით, შეეძლო თავისთვის ამის უფლება მიეცა, — უპასუხა ტომმა და მისი დაბნეული სახის დანახვაზე გადაიხარხარა.

11

მუსიკის ხმა გეიტენიდან მოდიოდა, პატარა, მყუდრო ქალაქიდან, სადაც დასაძინებლად შეჩერება ზურგჩანთიანმა მოხუცმა ურჩიათ. ისეთი ლრიალი არ ისმოდა, როგორც AC/DC[1]-ს კონცერტზე, ბოსტონში, რომელსაც კლაი სიყმაწვილეში დაესწრო (კონცერტის შემდეგ ყურებში ზრიალი რამდენიმე დღე არ შესწყვეტია), თუმცა, საკმარისად ხმამაღლა უკრავდნენ, რომ საუტ-ბერუიკში მშობლებთან ერთად მოგზაურობისას ორკესტრების საზაფხულო კონცერტები გახსენებოდა. რატომღაც გადაწყვიტა, რომ მუსიკის წყარო ქალაქის მთავარ მოედანზე უნდა ყოფილიყო. ვთქვათ, ვიღაც მოხუცი, და არა მობილოგიჟი, არამედ ავადმყოფობის გამო

[1] *1973 წელს ჩამოყალიბებული ავსტრალიური როკჯგუფი, რომელიც ჰარდროკს უკრავს.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უმოძრაო, ასე, გარდასული დროის საცეკვაო მუსიკით მიაცილებდა ადამიანებს, მუსიკას ასმენინებდა მათ ფირსაკრავის ბატარეებზე მომუშავე დინამიკებით.

გეიტენის მთავარ მოედანზე გავიდნენ, მაგრამ ის ცარიელი იყო, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე კაცს. ისინი ან ძალიან გვიან ვახშმობდნენ, ან ძალიან ადრე საუზმობდნენ რამდენიმე ხელის ფარნისა და კოულმენის ლამპების შუქზე. მუსიკის წყარო ჩრდილოეთით იყო. იმ დროისთვის უელკი სხვამ, საყვირზე დამკვრელმა შეცვალა. მუსიკა დაძინების სურვილს აღძრავდა.

— უინტონ მარსალისია[1], ასე არ არის? — იკითხა კლაიმ. უკვე მიხვდა, რომ ამ ღამით ძალიან ბევრი იარეს და ელისი ძლივს იდგა ფეხზე.

— ან ეგ, ან კენი ჯი[2], — უპასუხა ტომმა, — იცი, კენი ჯიმ ლიფტიდან გამოსვლისას რა თქვა?

— არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მეტყვი.

— „ღმერთო, აი, ამას ჰქვია როკი!“[3]

კლაიმ უპასუხა:

— პირდაპირ ისეთი სასაცილოა, რომ ჩემი იუმორის გრძნობა, უბრალოდ, ააორთქლა.

— ვერ გავიგე, — გულახდილად აღიარა ელისმა.

— ახსნად არ ღირს, — თქვა ტომმა, — მისმინეთ, ჩემი აზრით, თავშესაფრის მოძებნის დროა. სადაცაა, წავიქცევი.

— მეც, — მხარი აუბა ელისმა, — მეგონა, სოკერის წყალობით კარგ ფორმაში ვიყავი, მაგრამ ქანცი გამძვრა.

— ჰო, — დაეთანხმა კლაი, — შენი ჩათვლით სამი დაღლილი გვყავს.

გეიტენის სავაჭრო უბანი გაიარეს და აბრების თანახმად, მთავარი ქუჩა (იგივე 102-ე გზატკეცილი) აკადემ-ავენიუდ იქცა. კლაის არ გაჰკვირვებია, რადგან გარეუბნებში განთავსებული სარეკლა-

---

[1] *უინტონ მარსალისი (დაბ. 1961) — მუსიკოსების ოჯახის წარმომადგენელი, ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე მესაყვირე.*

[2] *კენი ჯი (კენეთ ბრიუს გორელიკი) (დაბ. 1956) — ცნობილი ამერიკელი საქსოფონისტი, უკრავს საყვირზეც.*

[3] *ინგლისური სიტყვის **Rock** მნიშვნელობებს შორისაა როკ-ენ-როლი და ჯაყჯაყი. ზოგიერთი მუსიკალური კრიტიკოსი კენი ჯის მუსიკას ლიფტებში დასაკრავად შესაფერისად მიიჩნევდა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მო წარწერების თანახმად, ქალაქში გეიტენის ისტორიის აკადემია იყო და კლაის მასზე ჭორებიც სმენოდა. მისი ფიქრით, ეს იყო მოსამზადებელ სკოლათაგან[1] ერთ-ერთი ახალი ინგლისის იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც ექსეტერსა თუ მილტონში მოხვედრა არ შეეძლოთ. მისი აზრით, ახლა სწრაფი კვების კაფეების, ხმის დამხშობების სარემონტო სახელოსნოებისა და იაფი მოტელების უბანი უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ამის ნაცვლად ნიუ-ჰემფშირის 102-ე გზატკეცილის ამ მხარეს კოხტა სახლები დაინახა. ცუდი ის იყო, რომ თითქმის ყველა სახლის წინ ფეხსაცმელები ეწყო, ზოგან — ოთხი წყვილიც კი.

ფეხით მოსიარულეთა ნაკადი მნიშვნელოვნად შეთხელდა, იმიტომ, რომ უმეტესობამ თავშესაფარი იპოვა. ავტოგასამართ სადგურ ACADEMY-GROUV-SITGOს რომ ჩაუარეს, წინ მიმავალი ტრიო დაინახეს: ორი ხანდაზმული მამაკაცი და ქალი. ტროტუარზე ნელა მიაბიჯებდნენ, სახლებს ყურადღებით ათვალიერებდნენ და ისეთს ეძებდნენ, რომლის პარმაღზეც ფეხსაცმელები არ მოჩანდა. ქალი შესამჩნევად კოჭლობდა, ერთ-ერთ მამაკაცს მისთვის წელზე მოეხვია ხელი.

მარცხენა მხარეს გეიტენის აკადემია მოჩანდა და კლაი მიხვდა, რომ მუსიკა სწორედ იქიდან ისმოდა (ახლა მელოდიის „წამიყვანე მთვარეზე“ გიტარაზე შესრულებული ვერსია ისმოდა). ამ ადგილის ორი თვალში საცემი თავისებურება აშკარა იყო: ჯერ ერთი, უამრავი ნაგავი — დახეული პაკეტები, შეუჭმელი ხილი და ბოსტნეული, ხორცშემოცლილი ძვლები — როგორც ქუჩაში, ისე ხრეშით დაფარულ გზაზე, რომელიც აკადემიის ტერიტორიის სიღრმეში შედიოდა; მეორე — აკადემიის შესასვლელთან ორი კაცი იდგა: ერთი ხელჯოხზე დაყრდნობილი, წელში მოხრილი მოხუცი იყო, მეორე — ყმანვილი, რომლის ფეხებთან ბატარეებზე მომუშავე ფარანი იდგა. დაახლოებით თორმეტი წლის უნდა ყოფილიყო და ერთ-ერთ სვეტზე მიყრდნობილი თვლემდა. სავარაუდოდ, აკადემიის ფორმა ეცვა: რუხი შარვალი, რუხი სვიტრი, მუქი შინდისფერი პიკაჯი, გულის ჯიბეზე ამოქარგული აკადემიის გერბით.

[1] *მოსამზადებელი სკოლა ძვირად ღირებული კერძო სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც აბიტურიენტებს პრესტიჟულ ფაკულტეტებზე შესვლისთვის ამზადებს. ახალი ინგლისის ყველაზე ცნობილი მოსამზადებელი სკოლა-პანსიონებია ექსეტერისა და მილტონის.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როდესაც კლაისა და მისი თანამგზავრების წინ მიმავალი ტრიო აკადემიის შესასვლელს გაუსწორდა, ტვიდისპიჯაკიანი მოხუცი, რომელსაც იდაყვების დასაცავად სახელოებზე ტყავის ნაჭრები ჰქონდა დაკრული, წელში გაიმართა და ხმამაღალი ხმით, აუდიტორიის უშორეს კუთხეშიც რომ კარგად ისმინებოდა, მათ მიმართა:

— მოგესალმებით ყველას! მოგესალმებით-მეთქი! ჩვენთან ხომ არ შემოივლიდით? შეგვიძლია, თავშესაფარი შემოგთავაზოთ და რაც მთავარია, ჩვენ ვალდებულნი ვართ...

— არავის მიმართ აღარავითარი ვალდებულება აღარ გაგვაჩნია, — გააწყვეტინა ქალმა, — ფეხებზე ოთხი ბებერა უკვე გამისკდა, თითოზე — ორ-ორი და ძლივს დავდივარ.

— მაგრამ ჩვენთან თავზე საყრელია ღამის გასათევი ადგილი, — არ ეშვებოდა მოხუცი. მამაკაცმა, რომელიც ქალს ეხმარებოდა, ალბათ, ისეთი გაბრაზებით შეხედა მოხუცს, რომ ის დადუმდა. ტრიომ აკადემიის შესასვლელს, სვეტებსა და ძველებურ, S-ის მსგავს კაუჭებზე ჩამოკიდებულ წარწერას — **ᲒᲔᲘᲢᲔᲜᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ 1846. *ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲒᲣᲚᲘ ᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲚᲐᲛᲞᲐᲠᲘᲐ ᲡᲘᲒᲜᲔᲚᲔᲨᲘ*** — ჩაუარა.

მოხუცი ისევ მოიხარა, ხელჯოხს დაეყრდნო, მერე კლაი, ტომი და ელისი დაინახა და მაშინვე გაიმართა. მათთან დალაპარაკება სურდა, მაგრამ ეტყობა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისი ლექტორისეული მიდგომა არ ჭრიდა. ამიტომ ხმა არ ამოუღია, ჯოხის ბოლოთი ყმაწვილს ნეკნებზე შეეხო. ბიჭი სვეტს მოსცილდა, შეშლილის მზერით გასწორდა, ხოლო ჭიშკრის იქით, სადაც სიბნელეში ოდნავ მოჩანდა დაქანებულ ფერდობზე შენობების კონტურები, მუსიკის ხმა ისმოდა. კომპოზიცია „წამიყვანე მთვარეზე“ სხვა, ასეთივე ნელმა არანჟირებამ შეცვალა, თუმცა, ძირითად მელოდიას, სავარაუდოდ, „შენზე ვგიჟდები“ ერქვა.

— ჯორდან, ახლა შენი რიგია! მოინიე!

ბიჭი, რომელსაც ჯორდანი ერქვა, შეხტა, თვალები აახამხამა, მოხუცს შეხედა, მერე უნდობლად მიაჩერდა მოახლოებულ უცნობებს. კლაის მარტის კურდღელი და ძილისგუდა გაახსენდა წიგნიდან *„ელისი საოცრებათა ქვეყანაში“*. შესაძლოა, ცდებოდა, სავარაუდოდ, უფრო ცდებოდა, როდესაც მოხუცი და ყმაწვილი ამ წყვილს შეადარა, მაგრამ ძალიან დაღლილი იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— სერ, ისინი დანარჩენებს ჰგვანან. ჩვენთან არ შემოვლენ. არავინ შემოვა. ხვალ ღამით კიდევ ვცადოთ. ისე მეძინება.

და კლაი მიხვდა, რომ დაღლილობის მიუხედავად, უნდა გაერკვიათ, რა სურდა მოხუცს, თუ, რა თქმა უნდა, ტომი და ელისი წინააღმდეგი არ იყვნენ. ნაწილობრივ იმიტომ გადაწყვიტა, რომ მოხუცის კომპანიონი ჯონის მოაგონებდა, და კიდევ სხვა მიზეზიც იყო: კლაიმ უკვე დაასკვნა, რომ ამ არც ისე გამბედავ სამყაროში[1] დახმარებას არავისგან არ უნდა ელოდო. ბიჭუნა და ის, ვისაც სერ-ს უწოდებდა, საკუთარი თავის ანაბარა არიან, იმიტომ, რომ ასე ინება ილბალმა, მაგრამ, თუ ეს ყველაფერი მართალია, მაშინ ამ სამყაროში გადარჩენის ღირსი აღარაფერი დარჩენილა.

— მიდი, — მოხუცმა გასამხნევებლად ბიჭს ისევ ხელჯოხის წვერით უბიძგა, მაგრამ მსუბუქად, რომ არ სტკენოდა, — უთხარი, რომ თავშესაფარს ვთავაზობთ, რომ ბევრი ადგილი გვაქვს, მაგრამ მანამდე რაღაც უნდა ნახონ. რაღაც ისეთი, რისი ნახვაც აუცილებელია. და თუ იუარებენ, დღეს ამით დავასრულებთ.

— კარგი, სერ.

მოხუცმა გაიღიმა და უზარმაზარი კბილები გამოუჩნდა.

— გმადლობ, ჯორდან.

ყმაწვილი მათკენ უხალისოდ გამოემართა, მტვრიან ფეხსაცმელს მოაფრატუნებდა, სვიტრის ქვემოთ პერანგის კიდე მოუჩანდა. ლამპა ხელში ეჭირა. ლამპას მცირე სინათლე ჰქონდა. ღამენათევ ბიჭს თვალები ჩაშავებოდა, თმა დიდი ხნის დასაბანი ჰქონდა.

— ტომ, — მიმართა კლაიმ.

— უნდა გავიგოთ, რა სურთ, იმიტომ, რომ ვხედავ, ეს შენც გაინტერესებს, მაგრამ...

— ბატონებო, ბოდიშს გიხდით, ბატონებო.

— ერთი წამით, — მიმართა ტომმა ყმაწვილს, მერე კლაის მიუბრუნდა. სერიოზული სახე ჰქონდა, — ერთი საათის შემდეგ გათენდება. შეიძლება უფრო ადრეც. დიდი იმედი მაქვს, მოხუცი არ გვატყუებს, როდესაც ამბობს, რომ შეიძლება თავშესაფარი ვიპოვოთ.

— ოჰ, არა, სერ, — ჯორდანს ხმაზე ეტყობოდა, თავისი მისიის წარმატებაში დარწმუნებული არ იყო, მაგრამ ვერც გაჩუმების

[1] *ავტორს გადაკეთებული აქვს ოლდოს ჰაქსლის ცნობილი რომანის სათაური „The Brave New World". ქართულ ენაზე გამოვიდა სათაურით „საოცარი ახალი სამყარო" (გამომცემლობა „სიესტა", თბილისი, 2013 წელი).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უფლებას აძლევდა თავს, — საერთო საცხოვრებელში ასობით ოთახია, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩითემ-ლოჯზე. გასულ წელს აქ ტობიას ვულფი იყო ჩამოსული და იქ ცხოვრობდა. ლექცია წაიკითხა თავისი წიგნის შესახებ „*ძველი სკოლა*".

— წაკითხული მაქვს, — ელისის ხმაში გაკვირვება ისმოდა.

— ბიჭები, რომლებსაც მობილური ტელეფონები არ ჰქონდათ, გაიქცნენ, იმათ კი, ვისაც ჰქონდათ...

— ყველაფერი ვიცით მათზე, — დაარწმუნა ელისმა.

— ამ სკოლაში სწავლისთვის სტიპენდია მივიღე. ჰელოუეიში ვცხოვრობდი. მობილური არ მქონდა. საერთო საცხოვრებლის კომენდანტი ქალის ტელეფონით ვსარგებლობდი, როდესაც სახლში დარეკვა მჭირდებოდა, და სხვა ბიჭები დამცინოდნენ.

— ისე, ეტყობა, ბოლოს შენ გაიცინე, ჯორდან, — ჩაურთო ტომმა.

— დიახ, სერ, — დაუდასტურა ჯორდანმა, მაგრამ ლამპის სუსტ სინათლეზე კლაი სიცილის ნაცვლად სევდასა და დაღლილობას ამჩნევდა, — შეგიძლიათ, დირექტორს გაეცნოთ?

მართალია, ტომი დაღლილობისგან სულს ძლივს ითქვამდა, მაგრამ მისი რეაქცია ისეთი თავაზიანი იყო, თითქოს მზით განათებულ ტერასაზე იდგნენ მშობლებთან ერთად გამართულ ჩაის სმის საღამოზე და არა ნაგვით სავსე აკადემიის შესასვლელში, დილის ოთხ საათზე:

— დიდი სიამოვნებით, ჯორდან.

12

— ეშმაკისეული ინტერკომები[1], აი, რას ვეძახდი ადრე, — თქვა ჩარლზ არდაიმ, რომელიც ოცდახუთი წელი გეიტენის აკადემიის ინგლისური ენისა და ლიტერატურის კათედრას ხელმძღვანელობდა, ხოლო იმპულსის მომენტში მისი დირექტორი იყო.

[1] *ინტერკომი (Intercommunication System) — ორმხრივი შიდასატელეფონო ან სელექტორული კავშირი; ასეთი კავშირის დამყარებისთვის საჭირო მოწყობილობა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ახლა მოხუცი გასაოცარი სიმარდით ავიდა ფერდობზე, ხელ-ჯოხზე დაყრდნობილი ტროტუარს მიუყვებოდა, ნაგვით სავსე გზის სავალ ნაწილს, რომელიც აკადემიის კორპუსებისკენ მი-დიოდა, თავს არიდებდა. გვერდით ჯორდანი მიჰყვებოდა, და-ნარჩენები უკან მისდევდნენ. ჯორდანს იმის ეშინოდა, მოხუცს წონასწორობა არ დაეკარგა. კლაის კი ეშინოდა, რომ მას გულის შეტევა დაემართებოდა, რადგან ერთდროულად კიდეც ლაპა-რაკობდა და ფერდობზეც ადიოდა, თუმცა, არც ისე დაქანებულ-ზე, — რასაკვირველია, რაიმე აზრი ამ სიტყვებში არ ჩამიქსოვია, უბრალო ხუმრობა იყო, თუ გნებავთ, გადაჭარბებაც დაარქვით, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ეგ ნივთები არასოდეს მომწონდა, განსაკუთრებით აქ, აკადემიის ტერიტორიაზე. რა თქმა უნდა, შემეძლო, ამეკრძალა გამოყენება, მაგრამ ჩემს განკარგულებას აუცილებლად გააუქმებდნენ. ეს იგივეა, კანონმდებლობით აკრ-ძალო მიქცევა-მოქცევა, ხომ გესმით? — რამდენჯერმე ხმაურით ამოიოხრა, — ჩემმა ძმამ მაჩუქა, სამოცდახუთი წლის რომ გავხ-დი. იქამდე ვიყენებდი, ვიდრე აკუმულატორი არ დაჯდა, — ჩა-სუნთქვა-ამოსუნთქვა, — მერე, უბრალოდ, აღარ დავტენე. მათ გამოსხივება აქვთ, იცოდით? მართალია, მინიმალური, მაგრამ მაინც, და გამოსხივების წყარო ძალიან ახლოსაა თავთან... თავის ტვინთან...

— სერ, იქნებ მოგეცადათ, ვიდრე ტონიმდე მივალთ, — ჯორ-დანმა დამპალ ხილზე ფეხაცურებულ არდაის ხელი შეაშველა, დი-რექტორი სულ ერთი წამით მარცხნივ გადაიხარა.

— შესაძლოა, კარგი იდეაა, — მხარი აუბა კლაიმ.

— ჰო, — დაეთანხმა დირექტორი, — მაგრამ... მე მათ არასოდეს ვენდობოდი, აი, რისი თქმა მინდა. ჩემი კომპიუტერის შესახებ მსგავსს არაფერს ვიტყვი. მაშინვე მოვერგე, როგორც იხვი წყალსატევს.

ფერდობის თავზე კამპუსის მთავარი გზა ლათინური Y-ს მსგა-ვსად დაიტოტა; მარცხენა იმ შენობებისკენ მიდიოდა, რომლებიც მხოლოდ საერთო საცხოვრებლები შეიძლება ყოფილიყო, მარჯვე-ნა კი სასწავლო კორპუსებისკენ, ადმინისტრაციული ბლოკისა და თაღისკენ, რომელიც სიბნელეში ბუნდოვნად მოჩანდა. ნარჩენები-სა და ნაგვის ზღვა სწორედ თაღისკენ მიემართებოდა. დირექტორი არდაიც იქით გაეშურა, ცდილობდა, ნაგავზე ფეხი არ დაებიჯებინა. ჯორდანს მისი მარჯვენა იდაყვი ეჭირა. მუსიკა, ამჯერად, ბეტ მიდ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლერის[1] შესრულებული „ქარი ჩემს ფრთებქვეშ“, თაღიდან ისმოდა. ხორცშემოცლილ ძვლებსა და კარტოფილის ჩიფსების დახეულ პაკეტებს შორის კლაი ათობით კომპაქტდისკს ხედავდა. ცუდმა წინათგრძნობამ შეიპყრო.

— ჰმმმ, სერ? ბატონო დირექტორო? იქნებ უკეთესია...

— არაფერი გვემუქრება, — უპასუხა დირექტორმა, — ბავშვობაში მუსიკალური სკამობანა ხომ გითამაშიათ? რასაკვირველია, გითამაშიათ. ჰოდა, სანამ მუსიკა უკრავს, სანერვიულო არაფერია. მარტო შევხედავთ და მაშინვე ჩითემ-ლოჯში წავალთ. ეს დირექტორის რეზიდენციაა. ტონი-ფილდამდე იქიდან ორას იარდზე ნაკლებია. გპირდებით.

კლაიმ შეხედა ტომს, რომელმაც მხოლოდ მხრები აიჩეჩა. ელისმა თავი დაუქნია.

ჯორდანი სწორედ ამ დროს შემობრუნდა (შეშფოთებული ჩანდა) და ეს უხმო დიალოგი დაინახა.

— ეს უნდა ნახოთ, — თქვა მან, — დირექტორი მართალს ამბობს. ვიდრე არ ნახავთ, ვერ მიხვდებით.

— რა უნდა ვნახოთ, ჯორდან? — ჰკითხა ელისმა.

მაგრამ ჯორდანმა მხოლოდ თავისი გაფართოებული მოზარდის თვალებით შეხედა, რომლებიც სიბნელეში ანათებდა.

— მოითმინეთ.

13

— შენი დედაც, — ვერ მოითმინა კლაიმ. შესაძლოა, მის თავში ეს განცვიფრებისა და თავზარის გამომხატველ გრგვინვად გაისმა (შეიძლება, გაბრაზებისაც), მაგრამ ბაგეებს მხოლოდ გასაცოდავებული გმინვა ალმოხდა, ნაწილობრივ იმიტომაც, რომ ახლა უკვე ძალიან ახლოს იყვნენ მუსიკის წყაროსთან და ის ისევე ხმამაღლა ისმოდა, როგორც AC/DC-ის იმ შორეულ კონცერტზე (თუმცა, დები

[1] *ბეტ მიდლერი (დაბ. 1945) — ცნობილი ამერიკელი მომღერალი, სიმღერების ავტორი, კომედიოგრაფი, კინომსახიობი, ფილმების პროდიუსერი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბუნი[1], თავისი დაშაქრული ხმით „ჩემი სიცოცხლის სინათლეს“ რომ მღეროდა, ხმის უმაღლესი რეგისტრითაც მაინც ვერ სწვდებოდა „ჯოჯოხეთის ზარს“), ნაწილობრივ კი — შოკისგან. ეგონა, იმპულსისა და ბოსტონიდან ლტოლვილობის შემდეგ ველარაფერი გააკვირვებდა, მაგრამ შეცდა.

რას იფიქრებდა, თუ კერძო პანსიონებში წახალისებული იყო სპორტის ისეთი პლებეური (კბილებჩასალენი) სახეობა, როგორიც ფეხბურთია, მაგრამ გეიტენის აკადემიაში სოკერს პატივს სცემდნენ. მოედნის ოთხივე მხარეს აღმართულ ტრიბუნებზე, სულ ცოტა, ათასამდე მაყურებელი დაეტეოდა. ტრიბუნები მოერთოთ დროშებით, რომლებიც ბოლო დღეებში წვიმიანი ამინდების გამო უფრო ჭუჭყიან ძონძებს ჰგავდა. მინდვრის შორეულ ბოლოში ლამაზი ტაბლო მოჩანდა, დიდი ასოებით შესრულებული წარწერით. სიბნელეში კლაიმ ვერ დაინახა, რა ეწერა და, ალბათ, არც წაიკითხავდა, მზიანი დღეც რომ ყოფილიყო, რადგან სინათლე კმაროდა ფეხბურთის მოედნის დასანახად, სხვა დანარჩენს კი არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

მოედნის თითოეულ კვადრატულ მეტრზე მობილოგიჟები იწვნენ. იწვნენ ზურგზე, ქილაში ჩაწყობილი სარდინებივით, ერთმანეთის გვერდიგვერდ, ფეხი ფეხის გვერდით, ბარძაყი ბარძაყის გვერდით, მხარი მხრის გვერდით. სახეებით შუალამის შავ ცას მიშტერებოდნენ.

— ღმერთო, — ტომმა ხმა პირზე მიფარებული მუშტით დაიხშო.

— გოგონას ხელი მოჰკიდეთ, — წამოიძახა დირექტორმა, — სადაცაა გონებას დაკარგავს.

— არა, კარგად ვარ, — უპასუხა ელისმა, მაგრამ როდესაც კლაიმ მხარზე ხელი მოხვია, მის მხარს მიეყრდნო, ხშირ-ხშირად სუნთქავდა. თვალები გახელილი ჰქონდა, მაგრამ მზერა უმოძრაო გაუხდა, როგორც დოზამიღებულ ნარკომანს.

— ტრიბუნების ქვემოთაც არიან, — დაამატა ჯორდანმა. მოჩვენებითი სიმშვიდით ლაპარაკობდა, რაც კლაიში უნდობლობას აღძრავდა. ეს იმ ბიჭის ხმა იყო, რომელიც მეგობრებს არწმუნებს, რომ გული არ ერევა მკვდარი კატის თვალებში დანახული მატლების დანახვაზე... წუთის შემდეგ კი გულ-მუცელს იტრიალებს, — მე

[1] *დეები ბუნი (დაბ. 1956) — თანამედროვე ამერიკელი მომღერალი, მწერალი, მსახიობი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და დირექტორი ვფიქრობთ, რომ სწორედ იქ აწვენენ ავადმყოფებსა და დაჭრილებს, რომლებსაც აღარაფერი ეშველებათ...

— დირექტორი და მე, ჯორდან.

— მაპატიეთ, სერ.

დები ბუნმა სიმღერის აპოთეოზს მიაღწია და დადუმდა. პაუზა და მერე ლოურენს უელკის „შამპან-მიუზიკ-მეიკერსმა“ თავიდან დაიწყო „სპილუჩას გასეირნება“. *„ჯორჯი არცთუ ურიგოდ ატარებდა დროს“*, — გაიფიქრა კლაიმ.

— რამდენი ბუმბოქსია ერთად შეერთებული? — შეეკითხა დირექტორ არდაის, — და როგორ მოახერხეს? ღმერთო, ესენი ხომ *უტვინო* ზომბები არიან?! — საზარელმა, ალოგიკურმა, მაგრამ სავსებით დამაჯერებლად მიჩნეულმა აზრმა გაუელვა, — ეს... თქვენ გააკეთეთ? ღამით რომ წყნარად იყვნენ თუ... აღარ ვიცი...

— ეს მისი გაკეთებული არ არის, — თქვა კლაის მკლავქვეშ მყუდროდ მოკალათებულმა ელისმა.

— არ გამიკეთებია, — დაადასტურა დირექტორმა, — და... თქვენი ორივე ვერსია მართალია.

— ორივე? მე არ...

— ეტყობა, მუსიკის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ, — ტომი ხმამაღლა ფიქრობდა, — იმიტომ, რომ შენობებში შესვლა არ უყვართ, დისკები კი სწორედ იქ არის, ხომ ასეა?

— ბუმბოქსებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, — დაამატა კლაიმ.

— ახლა ახსნის დრო არ არის, თენდება. აუხსენი, ჯორდან.

ჯორდანმა სხაპასხუპით, იმ ადამიანივით, რომელმაც გაკვეთილი დაისწავლა, მაგრამ შინაარსი არ ესმის, თქვა:

— ყველა კარგი ვამპირი მამლის პირველი ყივილისთვის შინ უნდა იყოს, სერ.

— სრული სიმართლეა. მამლის პირველი ყივილისთვის. ჯერჯერობით კი, უყურეთ. ახლა მხოლოდ ეს მოგეთხოვებათ. არც კი იცოდით, ასეთი ადგილი თუ არსებობდა, ხომ მართალია?

— ელისმა იცოდა, — უპასუხა კლაიმ.

ისევ გახედეს მობილოგიჟებს. რაკი ღამე ადგილს უთმობდა დღეს, კლაიმ კარგად დაინახა, რომ თვალები ყველას გახელილი ჰქონდა. იოტისოდენა ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეს თვალები ვერაფერს ხედავდნენ, მხოლოდ გახელილიყვნენ.

„აქ რაღაც ცუდი ხდება, — გაიფიქრა მან, — *ჯოგობა მხოლოდ დასაწყისია“*.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გვერდიგვერდ მწოლიარე სხეულებისა და უაზრო სახეების (ძირითადად, თეთრკანიანების, ეს ხომ ახალი ინგლისია) ყურება სასიამოვნო ნამდვილად არ იყო, მაგრამ თვალები, ცისკენ მიმართული ცარიელი თვალები, თავზარს სცემდა. სადღაც, სულ ახლოს, დილის პირველი ჩიტი აჭიკჭიკდა. მამალი არ იყო, მაგრამ დირექტორი მაინც შეხტა. მერე შეტორტმანდა. ამჯერად ტომმა შეაშველა ხელი.

— წავედით, — თქვა დირექტორმა, — ჩითემ-ლოჯი აქვეა, მაგრამ დაყოვნება არ ღირს. ნესტისგან სახსრები მტეხს. ჯორდან, მოდი, იდაყვში მომკიდე ხელი.

ელისი კლაის მკლავს დაუძვრა, მოხუცს მეორე მხრიდან ამოუდგა. მან გოგონას გაულიმა და თავი გააქნია.

— ჩემზე ჯორდანი იზრუნებს. ახლა ჩვენ ერთმანეთზე ვზრუნავთ, ასე არ არის, ჯორდან?

— დიახ, სერ.

— ჯორდან, — მიმართა ტომმა. დიდ (და ძალზე პრეტენზიულ), ტიუდორების ეპოქის სტილში აშენებულ ნაგებობას უახლოვდებოდნენ, როგორც კლაიმ ჩათვალა, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ჩითემ-ლოჯი.

— სერ?

— ეს წარწერა, ტაბლოზე... ვერ გავარჩიე, რა წერია?

— კეთილი იყოს თქვენი მოგზრძანება კურსდამთავრებულების ყოველწლიურ შეხვედრაზე, — ჯორდანმა გაიღიმა, მერე გაახსენდა, რომ წელს ეს შეხვედრა ველარ შედგებოდა — ტრიბუნებზე დროშების დახევას ცოტაღა აკლდა, — და მოიღუშა. უკიდურესი დაღლილობა რომ არა, ალბათ, თავს შეიკავებდა, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო, გათენებამდე სულ ცოტა დრო დარჩა და როდესაც დირექტორის რეზიდენციას მიუახლოვდნენ, გეიტენის აკადემიის უკანასკნელი მოსწავლე, ჯერ ისევ რუხ-შინდისფერ სასკოლო ფორმაში გამონყობილი, აქვითინდა.

14

— დაუჯერებელია, სერ, — კლაიმ სწრაფად და ბუნებრივად გადაიღო მიმართვის ჯორდანისეული მანერა, ისევე როგორც ტომმა და ელისმა, — მადლობას მოგახსენებთ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— დიახ, — თავი დააქნია ელისმა, — დიდი მადლობა. ცხოვრებაში არასოდეს მიჭამია ორი ბურგერი, ყოველ შემთხვევაში, ასეთი უზარმაზარი.

ნაშუადღევის სამი საათი იყო. ჩითემ-ლოჯის უკანა პარმალზე ისხდნენ. ჩარლზ არდაიმ, დირექტორმა, როგორც ჯორდანი ეძახდა, ჰამბურგერები აირის პატარა გრილზე შეწვა. თქვა, რომ ხორცით მონამვლა გამორიცხული იყო, რადგან გენერატორი, რომელიც კაფეტერიის საყინულეს ამუშავებდა, მხოლოდ გუშინ საღამოს გამოირთო. და მართლაც, საკუჭნაოდან ტომისა და კლაის მოტანილი ნახევარფაბრიკატები ჭირხლით იყო დაფარული, სიმაგრით კი ჰოკეის შაიბას არ ჩამოუვარდებოდნენ. ისიც თქვა, რომ ხორცის შეწვა ხუთ საათამდე უსაფრთხოდ შეუძლიათ, თუმცა, სიფრთხილისთვის სადილობის უფრო ადრე დასრულება ჯობდა.

— საჭმლის სუნს გრძნობენ? — იკითხა კლაიმ.

— მოდი, ასე ვთქვათ, არა გვაქვს ამის გარკვევის სურვილი, ხომ ასეა, ჯორდან?

— დიახ, სერ, — ჯორდანმა თავისი მეორე ბურგერი ჩაკბიჩა. ძველებური სისწრაფით აღარ ჭამდა, მაგრამ, კლაის აზრით, თავის თეფშზე არაფრის დატოვებას არ აპირებდა, — გვინდა შინ ვიყოთ, როდესაც ილვიძებენ და ქალაქიდან ბრუნდებიან. ახლა იქ, ქალაქში არიან, ისე იცავენ მას, როგორც ჩიტები ნათესს, საიდანაც მოსავალი უკვე აიღეს. ასე ამბობს დირექტორი.

— ჩვენთანაც ჯოგად შეიკრიბნენ, როდესაც მოლდენში ვიყავით, — თქვა ელისმა, — მაგრამ მაშინ არ ვიცოდით, ლამეს როგორ ატარებენ, — გოგონა პუდინგისულუფებიან ლანგარს უყურებდა, — შეიძლება, ერთი ავიღო?

— დიახ, რა თქმა უნდა, — დირექტორმა ლანგარი გოგონასკენ მისწია, — და თუ გინდა, კიდევ ერთი ჰამბურგერი. რასაც არ შევჭამთ, უახლოეს ხანში გაფუჭდება.

ელისმა ამოიკვნესა და თავი გააქნია, მაგრამ პუდინგის ერთი ულუფა მაინც აიღო. ისევე, როგორც ტომმა.

— თითქოს ყოველ დილით ერთსა და იმავე დროს მიდიან, მაგრამ ჯოგური ქცევა აქ უფრო *გვიან* გამოვლინდა, — შენიშნა დაფიქრებულმა არდაიმ, — რატომ მოხდა ასე?

— იქნებ მოსანადირებელი შემოაკლდათ? — ივარაუდა ელისმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— შეიძლება, — დირექტორმა თავისი ჰამბურგერის უკანასკნელი ლუკმა ჩაიდო და დარჩენილებს ქალალდის ხელსახოცი გადააფარა, — იცით, რა, ჯოგები ბევრია. შესაძლოა, ორმოცდაათი მილის რადიუსში ათეულობით იყოს. ეს სამხრეთიდან მოსულებისგან ვიცით. ასე რომ, ჯოგები არიან სენფორდში, ფრიმონტში, კანდიაში. დღისით დახეტიალებენ, შესაძლოა, არა მარტო საკვებს, არამედ მუსიკასაც ეძებენ, და მერე იმ ადგილზე ბრუნდებიან, საიდანაც დილით წამოვიდნენ.

— ეს დანამდვილებით ვიცით, — ტომმა პუდინგის დარჩენილი ულუფა შეჭამა და მეორისკენ წაიღო ხელი.

არდაიმ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— დანამდვილებით არაფერი ვიცით, მისტერ მაკორტ, — მის გრძელ ჭალარას („*რასაკვირველია, ინგლისური ენისა და ლიტერატურის პროფესორის ჭალარა*", — გაიფიქრა კლაიმ) ქარი არხევდა. ღრუბლები გაიფანტა. უკანა პარმალიდან ჯერ კიდევ ცარიელი კამპუსის შესანიშნავი ხედი იშლებოდა. ჯორდანი დროდადრო სახლს გარშემო უვლიდა, რომ ფერდობისთვის თვალი შეევლო და მოეხსენებინა, სიწყნარე იყო თუ არა, — სხვა ადგილები, სადაც იკრიბებიან, ნახეთ?

— არა.

— ჩვენ ხომ სიბნელეში მოვდიოდით, — შეახსენა კლაიმ, — ახლა კი სიბნელე *მართლაც* სიბნელეა.

— დიახ, — დაეთანხმა დირექტორი და მეოცნებე ხმით თქვა, — როგორც Le Moyen Âge. თარგმნე, ჯორდან.

— შუა საუკუნეები, სერ.

— ყოჩალ, — ბიჭს მხარზე ხელი დაარტყა.

— დიდი ჯოგები რომც ვერ შეამჩნიო, სავსებით შესაძლებელია, — თქვა კლაიმ, — თუმცა, მათ დამალვა არ სჭირდებათ.

— არა, არ იმალებიან, — დაეთანხმა დირექტორი არდაი და თითები შეატყუპა, — ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, არ იმალებიან. ჯოგებად იკრიბებიან... და ნადავლის მოსაძებნად გადიან... და მათი ჯგუფური გონება, როგორც ჩანს, სუსტდება, სანამ იმას არ მოიპოვებენ, რაც სჭირდებათ, მაგრამ შესაძლებელია, სულ უფრო ნაკლებად სუსტდება. ალბათ, ყოველდღიურად სულ უფრო ნაკლებად.

— მანჩესტერი ფერფლად იქცა, — მოულოდნელად ჩაურთო ჯორდანმა, — დღეს ვუყურებდით ხანძარს, ასე არ არის, სერ?

www.PDF.GeniaturaINFO.GE

— ჰო, — თავი დაუქნია დირექტორმა, — სევდიანი და შემაშფოთებელი სანახაობა იყო.

— მართალია, რომ აქედან მასაჩუსეტსში წასულებს საზღვარზე ხვრეტდნენ? — იკითხა ჯორდანმა, — ხალხი ამბობდა, უსაფრთხო მხოლოდ ვერმონტისკენ მიმავალი მარშრუტიაო.

— ჭორია, — დაარწმუნა კლაიმ, — ზუსტად იმავეს ამბობდნენ, ოლონდ, პირიქით, ნიუ-ჰემფშირის საზღვრის შესახებ.

ჯორდანი კლაის მიაშტერდა, მერე გადაიხარხარა. მისი წკრიალა, მშვენიერი სიცილი გარშემო დასადგურებულ სიჩუმეში შორ მანძილზე ისმოდა. მერე, სადღაც შორს, სროლა მოისმა და უფრო ახლოს, ვიღაცამ ბრაზისა თუ ტკივილისგან შეჰყვირა.

ჯორდანმა სიცილი შეწყვიტა.

— მოგვიყევით იმ უცნაურ მდგომარეობაზე, რომელშიც გუშინ ღამით იყვნენ, — სთხოვა ელისმა, — და მუსიკაზე. სხვა ჯოგებიც უსმენენ ღამღამობით მუსიკას?

დირექტორმა ჯორდანს შეხედა.

— დიახ, — უპასუხა ბიჭმა, — ეს მსუბუქი, საცეკვაო მუსიკაა, არც როკი და არც ქანთრი...

— როგორც ვხვდები, არც კლასიკაა, — ჩაურთო დირექტორმა, — ყოველ შემთხვევაში, არაფერი ისეთი, რასაც ალქმა სჭირდება.

— ეს მათი იავნანაა, — დააზუსტა ჯორდანმა, — ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობთ მე და დირექტორი, ხომ ასეა, სერ?

— დირექტორი და *მე*, ჯორდან.

— დირექტორი და მე, სერ.

— მართლაც ასე ვფიქრობთ, — დირექტორმა სტუმრებს გადახედა, — თუმცა, ეჭვი მაქვს, რომ აქ კიდევ ბევრი სხვა რამ არის ჩადებული. დიახ, ძალიან ბევრი რამ.

კლაი დაიბნა. აღარ იცოდა, საუბარი როგორ გაეგრძელებინა. მეგობრებს გადახედა და მათი სახის გამომეტყველებით მიხვდა, ისინიც იმავე მდგომარეობაში იყვნენ: მათ სახეებზე იკითხებოდა არა მხოლოდ გაოგნება, არამედ მეტის გაგების შიშიც.

დირექტორი არდაი წინ გადაიხარა.

— ნებას მომცემთ, გულახდილად ვილაპარაკო? გულახდილად უნდა ვისაუბრო, ეს ჩვევა მთელი ცხოვრება მახასიათებს. მინდა, აქ რაღაც საზარელი რამ ჩავიდინო და თქვენი დახმარება დამჭირდება და ამისთვის გამოყოფილი დრო, ვშიშობ, იწურება. და თუნდაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამ ქმედებამ ნაყოფი არ გამოიღოს, თუ არ ჩაიდინე, პასუხს როგორ გაიგებ? არავინ იცის, როგორ ინარჩუნებენ კავშირს ერთმანეთს შორის ეს ჯოგები. ნებისმიერ შემთხვევაში, არ ვაპირებ, გულხელდაკრეფილი ვიჯდე და ველოდო, როდის მომპარავენ ეს პირუტყვები არა მარტო სკოლას, არამედ თავად დღეს. ამას აქამდეც ვცდიდი, მაგრამ უკვე მოვხუცდი, ჯორდანი კიდევ ახალგაზრდაა. ძალიან ახალგაზრდა. ვინც უნდა იყვნენ ახლა, სულ ცოტა ხნის წინ ადამიანები იყვნენ. არ შემიძლია, ამაში მონაწილეობის უფლება მივცე.

— მზად ვარ, ჩემი წვლილი შევიტანო, სერ! — მტკიცედ თქვა ჯორდანმა. კლაიმ გაიფიქრა, რომ ბიჭი ყმაწვილ მუსლიმს ჰგავდა, რომელმაც წელზე შაჰიდის ქამარი შემოირტყა.

— მივესალმები შენს სიმამაცეს, ჯორდან, — დააიმედა დირექტორმა, — მაგრამ არა მგონია, შენი მონაწილეობა საჭირო იყოს, — მან თბილად შეხედა ბიჭს, მაგრამ, როდესაც სტუმრებისკენ მიბრუნდა, სახე გაუმკაცრდა, — თქვენ იარაღი გაქვთ, კარგი იარაღი, მე კი მხოლოდ 22-კალიბრიანი შაშხანა, რომელიც ერთჯერად ტყვიებს ისვრის და შესაძლოა, გაუმართავია, თუმცა, ლულა შევამოწმე და სუფთაა. მაგრამ მისი გამოყენების შემთხვევაშიც კი, ჩემი ვაზნები დიდი ხანია, დანესტიანდა. თუმცა, გარაჟში ავტოგასამართი სადგური გვაქვს და ბენზინის დახმარებით მათი დახოცვა შესაძლებელია.

ეტყობა, მათ სახეებზე თავზარდაცემა ამოიკითხა, იმიტომ, რომ თავი დააქნია, და კლაისთვის ის აღარ იყო გულკეთილი მისტერ ჩიპსი[1], იმიტომ, რომ ზეთით დახატულ უხუცეს პურიტანს ჰგავდა. ასეთს შეეძლო თვალის დაუხამხამებლად მიესაჯა ქალისთვის ჩამოხრჩობა, ან ჯადოქრობის ბრალდებით კოცონზე გაეგზავნა.

დირექტორი, პირველ რიგში, კლაის უქნევდა თავს. კლაის ეჭვი არ ეპარებოდა.

— კარგად მაქვს შეგნებული, ახლა რაც ვთქვი. ისიც მესმის, როგორი მოსასმენია, მაგრამ ეს არ იქნება მკვლელობა, სრულიადაც არა. ეს იქნება გაჟლეტა. მე ვერაფერს დაგაძალებთ. ნებისმიერ შემთხვევაში, დამეხმარებით თუ არა მათ დაწვაში, ჩემი შეტყობინება უნდა გადასცეთ.

---

[1] *მისტერ ჩიპსი — ჯეიმზ ჰილტონის რომანის „ნახვამდის, მისტერ ჩიპს“ (1935) მთავარი პერსონაჟი, ლათინური ენის მასწავლებელი, რომელიც მთელ თავის ცხოვრებასა და სიყვარულს მოსწავლეებს უძღვნის. რომანის მიხედვით 1939 წელს ფილმიც გადაიღეს.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ვის? — ამოიოხრა ელისმა.

— ყველას, ვისაც შეხვდებით, მის მაქსველ, — ის საჭმლის ნარჩენებით სავსე მაგიდაზე გადაიხარა, იმ მოსამართლის გამჭოლი მზერა ჰქონდა, რომელსაც არ ეშინია სასიკვდილო განაჩენის გამოტანისა, თვალები უელავდა, — უნდა მოუყვეთ, რა ემართებათ იმათ, ვინც ეშმაკის ინტერკომით შეტყობინება მიიღეს. ყველას უნდა მოუყვეთ. ეს უნდა გაიგოს ყველამ, ვისაც მოჰპარეს დღის სინათლე, ვიდრე ძალიან გვიან არ არის, — მოხუცმა სახეზე ჩამოისვა ხელი და კლაიმ დაინახა, თითები ოდნავ როგორ უკანკალებდა. შეიძლებოდა, ეს დირექტორის ასაკისთვის დაებრალებინა, მაგრამ მანამდე ტრემორის ნიშნები არ შეუნიშნავს, — ვშიშობთ, მალე ძალიან გვიან იქნება. ასე არ არის, ჯორდან?

— დიახ, სერ, — ბიჭი, რასაკვირველია, ფიქრობდა, რომ დირექტორმა რალაც იცოდა. მას სახეზე თავზარდაცემა ალბეჭდოდა.

— რა? რა ემართებათ? — იკითხა კლაიმ, — ეს მუსიკასა და ერთმანეთთან დაკავშირებულ ბუმბოქსებს ეხება, ხომ ასეა?

დირექტორი უცებ მოეშვა. უსაზღვროდ დაღლილი ჩანდა.

— არ არიან ერთმანეთთან შეერთებული. ნუთუ არ გახსოვთ, რა გითხარით, რომ თქვენი ორივე ვერსია მართებულია?

— დიახ, მაგრამ ვერ მივხვდი, რას გულისხმობდით...

— ერთი სტერეოფირსაკრავია მასში ჩადებული სი-დი დისკით, ამას მართალს ბრძანებთ. ერთი უბრალო დისკი სიმღერების ნაკრებით, როგორც ჯორდანი ამბობს, ამიტომ მეორდება ყველაფერი ისევ და ისევ, დაუსრულებლად.

— როგორ გაგვილიმა ბედმა, — წაიბურტყუნა ტომმა, მაგრამ მხოლოდ კლაიმ გაიგონა. სცადა, არდაის სიტყვების არსს ჩასწვდომოდა. *ერთმანეთთან არ არის შეერთებული.* ეს როგორ შეიძლება? შეუძლებელია.

— ეს სტერეოსისტემები, თუ გნებავთ, ბუმბოქსები დავარქვათ, მოედნის გარშემო დგას, — აგრძელებდა დირექტორი, — და ყველა ჩართულია. ღამით კარგად ჩანს, როგორ ანათებს წითელი ნათურები.

— დიახ, — დაადასტურა ელისმა, — შევნიშნე წითელი სინათლეები, მაგრამ რატომლაც ყურადღება არ მივაქციე.

— ...მაგრამ მათში არც დისკებია, არც აუდიოკასეტები და არც ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ისინი მხოლოდ მთავარი სისტემიდან იღებენ მუსიკას და რეტრანსლაციას ახდენენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— თუ პირები ღია აქვთ, მუსიკა იქიდანაც ისმის, — დაამატა ჯორდანმა, — ძალიან ჩუმი... ჩურჩულის მსგავსი... მაგრამ გაგონება შესაძლებელია.

— არა, — თავი გააქნია კლაიმ, — ეს შენი წარმოსახვაა, ბიჭუნა. ასეთი რამ შეუძლებელია მოხდეს.

— თავად არაფერი გამიგონია, — ალიარა დირექტორმა არდაიმ, — მაგრამ სმენაც არა მაქვს ისეთი მახვილი, როგორიც მაშინ, როდესაც ჭკუა მეკეტებოდა ჯინ ვინსენტსა[1] და „ბლუ კეპსზე". ეს შორეულ წარსულში იყო, როგორც ჯორდანი და მისი მეგობრები იტყოდნენ.

— თქვენ ხომ ძალიან ძველი სკოლის წარმომადგენელი ხართ, სერ, — ჯორდანის ხმაში სერიოზულობა და სინაზე ისმოდა.

— ჰო, ჯორდან, ასეა, — ბიჭუნას მხარზე ხელი წამოარტყა და მერე ისევ დანარჩენებს მიუბრუნდა, — თუ ჯორდანი ამბობს, რომ მუსიკა ისმის, მისი მჯერა.

— ეს შეუძლებელია, — არ იშლიდა კლაი, — გადამცემის გარეშე.

— *ისინი* გადასცემენ, — აუხსნა დირექტორმა, — ეს უნარი, როგორც ჩანს, იმპულსის მიღების შემდეგ ჩამოუყალიბდათ.

— ერთი წუთით, — ტომმა ხელი ასწია, თითქოს გზაზე მოძრაობას აწესრიგებდა, მერე ჩამოუშვა და ლაპარაკი დაიწყო, მერე ისევ ხელი ასწია. დირექტორ არდაის გვერდით მჯდომი ჯორდანი ყურადღებით აკვირდებოდა. ბოლოს, ტომმა თავისი აზრი ჩამოაყალიბა, — ტელეპათიაზე ვსაუბრობთ?

— როგორც ვხვდები, ეს არ არის le mot juste[2] იმ ფენომენის დასახასიათებლად, რომელზედაც ვსაუბრობთ, — უპასუხა დირექტორმა, — მაგრამ ტერმინებს რა მნიშვნელობა აქვს? მზად ვარ, ფსონად მთელი ჩემი გაყინული ჰამბურგერები შემოგთავაზოთ, რომ თქვენს საუბრებში ამ ტერმინმა უკვე გაიჟღერა, ხომ ასეა?

— თქვენ მოიგეთ, — დაარწმუნა კლაიმ.

— დიახ, რასაკვირველია, მაგრამ ჯოგის გრძნობა სულ სხვა რამეა, — შენიშნა ტომმა.

დირექტორმა ხშირი წარბები შეკითხვის ნიშნად ასწია.

---

[1] *ჯინ ვინსენტი (1935-1971) — ამერიკელი მომღერალი, ადრეული როკ-ენ-როლის კლასიკოსი. 1955-1958 წლებში აკომპანემენტს უწევდა მის მიერ ჩამოყალიბებული ჯგუფი „ბლუ კეპსი".*

[2] *Le mot juste (ფრანგ.) — მართებული სიტყვა, ტერმინი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰმ, იმიტომ, რომ... — ტომი გაჩუმდა და ალარ გაუგრძელებია. კლაი მიხვდა, რატომაც. ჯოგური ქცევა ადამიანს არ ახასიათებს და მათ ეს იცოდნენ იმ მომენტიდან, როდესაც ქალის უკან მიმავალი ჭუჭყიან კომბინეზონში გამოწყობილი მექანიკოსი ჯორჯი დაინახეს, ორივენი ტომის გაზონის გავლით ტროტუარისკენ, მერე კი სეილემის ქუჩის სავალი ნაწილისკენ გაემართნენ. ჯორჯი ქალთან ისე ახლოს იყო, კისერზე კბენა შეეძლო, მაგრამ არ უკბინა. რატომ? იმიტომ, რომ მობილოგიჟებისთვის კბენის სტადია დასრულდა. დაიწყო ჯოგებად, ნახირად — რაც გინდათ, დაარქვით — შეკრების სტადია.

ყოველ შემთხვევაში, ერთმანეთის კბენა შეწყვიტეს. თუ, რა თქმა უნდა...

— პროფესორო არდაი, თავიდან ისინი ყველას ხოცავდნენ.

— დიახ, — დაეთანხმა დირექტორი, — ჩვენ ბედმა გაგვილიმა და გადავრჩით, ასე არ არის, ჯორდან?

ჯორდანი შეხტა, მერე თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ყველგან მოსწავლეები დარბოდნენ. ზოგიერთი — მასწავლებელიც კი. ხოცავდნენ... იკბინებოდნენ... რაღაც უაზრობას გაჰყვიროდნენ... ერთ-ერთ სათბურში დავიმალე.

— მე კი ამ სახლის სხვენში, — დაამატა დირექტორმა, — პატარა ფანჯრიდან ვუყურებდი, კამპუსი, რომელიც მიყვარდა, როგორ იქცა ჯოჯოხეთად ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით.

ჯორდანმა განაგრძო:

— გადარჩენილთა უმრავლესობა ქალაქის ცენტრში გაიქცა. მერე დაბრუნდნენ. იქ, — და თავით ანიშნა ფეხბურთის მოედნისკენ.

— და დასკვნა რა არის? — იკითხა კლაიმ.

— მგონი, თავადაც იცით, მისტერ რიდელ.

— კლაი.

—კარგი, კლაი. ჩემი აზრით, აქ მომხდარი დროებითი ანარქია არ არის. ვფიქრობ, ეს ომის დასაწყისია. ის ხანმოკლე იქნება, მაგრამ უსასტიკესი.

— ხომ არ აჭარბებთ?

— არა. ჯერჯერობით, საკუთარ დაკვირვებებს ვეყრდნობი, საკუთარსა და ჯორდანისას. აქ დიდი ჯოგია, რომელზედაც დაკვირვება შესაძლებელია. ვხედავდით, როგორ მიდიოდნენ და ბრუნდებოდნენ, და ასევე, თუ შეიძლება ითქვას... როგორ *ისვენებდნენ.* ერთმანეთის ხოცვა შეწყვიტეს, მაგრამ ხოცავენ იმ ადამიანებს, რომლებსაც ჩვენ ნორმალურებს ვუწოდებთ. მე ამას ომს ვეძახი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— საკუთარი თვალით ნახეთ, ნორმალურებს როგორ ხოცავენ? — იკითხა ტომმა. მის გვერდით მჯდომმა ელისმა ზურგჩანთა გახსნა და ბეიბი-ნაიკი ამოიღო, ხელი მოუჭირა.

დირექტორმა სევდიანად შეხედა ტომს.

— ვნახე. სამწუხაროდ, ჯორდანმაც ნახა.

— ვერაფრით ვეხმარებოდით, — ჯორდანმა ცრემლები ველარ შეიკავა, — ძალიან ბევრნი იყვნენ. მამაკაცსა და ქალზე ვამბობ, გესმით? არ ვიცი, კამპუსში რა უნდოდათ, მაგრამ ბნელდებოდა და მათ, რასაკვირველია, ტონი-ფილდის არსებობის შესახებ არაფერი იცოდნენ. ქალი დაჭრილი იყო. კაცი ეხმარებოდა. *მათ* გადააწყდნენ, ოციოდე იქნებოდა, ქალაქიდან ბრუნდებოდნენ. კაცმა სცადა, ქალი ხელში ატატებული წაეყვანა, — ჯორდანს ხმა აუკანკალდა, — თვითონ, ალბათ, გაასწრებდა, მაგრამ ქალთან ერთად მარტო ჰორტონ-ჰოლამდე მიალწია. ეს ერთ-ერთი საერთო საცხოვრებელია. იქ დაეცა და დაეწივნენ. *ისინი*...

ჯორდანმა თავი მიაბრუნა, სახე მოხუცის მუქი რუხი ქსოვილის პიჯაკში ჩამალა. დირექტორის დიდი ხელი ჯორდანის კისერსა და ზურგს ეფერებოდა.

— ჩემი აზრით, იციან, მტერი ვინ არის, — დირექტორი თითქოს ხმამაღლა ფიქრობდა, — შესაძლოა, ეს ინფორმაცია პირველ შეტყობინებაშივე იდო. თქვენ რას იტყვით?

— შესაძლებელია, — დაეთანხმა კლაი. ასეთი ვარაუდი სულაც არ იყო საღ აზრს მოკლებული.

— რაც შეეხება იმას, რას აკეთებენ ღამით, როდესაც უმოძრაოდ წვანან, გახელილი თვალებით, მუსიკას უსმენენ, — დირექტორმა ჩვეული მოძრაობით ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ჯორდანს თვალები შეუმშრალა. კლაი ხედავდა, ძალიან ეშინოდა, მაგრამ საკუთარი ვარაუდის სისწორეში სრულიად დარწმუნებული ჩანდა, — ჩემი აზრით, ხელმეორე გადატვირთვა ხდება.

15

— წითელი სინათლეები შენიშნეთ? — დირექტორმა ლექტორის ისეთი ხმით იკითხა, რომელსაც აუდიტორიის უშორეს კუნჭულშიც კი გაიგონებდნენ, — მინიმუმ სამოცდასამი დავთვალე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— *ჩუმად!* — წაისისინა ტომმა. თავი ძლივს შეიკავა, რომ დირექტორისთვის პირზე ხელი არ აეფარებინა.

დირექტორმა მშვიდად შეხედა.

— დაგავიწყდათ, რას გეუბნებოდით წუხელ მუსიკალური სკამების შესახებ, ტომ?

ტომი, კლაი და არდაი ტურნიკეტთან იდგნენ. ტონი-ფილდისკენ მიმავალი თაღი მათ ზურგს უკან მოჩანდა. ელისი და ჯორდანი, საყოველთაო შეთანხმებით, ჩითემ-ლოჯში დარჩნენ. საფეხბურთო მოედნის თავზე მელოდიის „იპანემელი გოგონა“ ჯაზური არანჟირება ისმოდა. კლაიმ გაიფიქრა, რომ მობილოგიჟებისთვის ეს, ალბათ, ნამდვილი ჰიტი იყო.

— არა, — უპასუხა ტომმა, — ვიდრე მუსიკა უკრავს, არაფრის არ უნდა გვეშინოდეს. უბრალოდ, არ მინდა, ის ბიჭი ვიყო, რომელსაც რომელიმე უძილობით გატანჯული, საერთო წესიდან გამონაკლისი, ყელს გამოღადრავს.

— ასეთი რამ არ მოხდება.

— რატომ ხართ ასეთი დარწმუნებული, სერ? — შეეკითხა ტომი.

— იმიტომ, რომ... — მაპატიეთ ეს პატარა ლიტერატურული კალამბური, — იმას, რასაც ჩვენ ვხედავთ, ტომ, არ შეიძლება ძილი ეწოდოს.

ბეტონის პანდუსზე დაეშვა, რომლითაც ოდესღაც მოთამაშეები მინდორზე გადიოდნენ. შენიშნა, რომ კლაი და ტომი უკან არ მისდევდნენ, შეჩერდა და მათ მოთმინებით მიაჩერდა.

— ახალი ცოდნის შეძენა რისკის გარეშე შეუძლებელია, ხოლო მოცემულ მდგომარეობაში ცოდნა, შემიძლია ვთქვა, რომ გადამწყვეტი ფაქტორია. წავედით.

ორივენი მისი ხელჯოხის კაკუნს მიჰყვნენ და პანდუსით საფეხბურთო მოედნამდე მივიდნენ. კლაი ტომზე ცოტათი წინ მიდიოდა. დიახ, მოედნის პერიმეტრზე განთავსებული ბუმბოქსების კვების წყაროს ანთებულ ინდიკატორებს ხედავდა. დიდი, გადასატანი სტერეოფირსაკრავები ერთმანეთისგან ათი-თხუთმეტი ფუტის დაშორებით იდგა და თითოეულთან ერთმანეთის მიჯრით სხეულები მოჩანდა. მთვარით განათებული ამ სხეულების დანახვაზე თმა ყალყზე დაგიდგებოდა. ზედახორა კი არ იყო, თითოეული მისთვის გამოყოფილ ბალახის მოედნის მონაკვეთზე იწვა, არც ერთი კვადრატული დუიმი უაზროდ არ იკარგებოდა. გადახლართული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხელების წყალობით ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მთელი მოედანი რიგებად დაწყობილი ქაღალდის თოჯინებით იყო სავსე, მუსიკა კი — *„ისეთი მუსიკაა, სუპერმარკეტებში რომ აქვთ ხოლმე ჩართული“*, — გაიფიქრა კლაიმ, — ბნელ ზეცაში ადიოდა. კიდევ, ზეცაში ადიოდა რაღაც სხვაც: ჭუჭყის, დამპალი ხილისა და ბოსტნეულის, დაუბანელი სხეულების, ექსკრემენტების სუნი.

დირექტორმა საფეხბურთო კარს შემოუარა. ორივე კარი მოედნიდან გაათრიეს, გადააბრუნეს, ბადე დახიეს. აქ, ადამიანური ზღვის ნაპირთან, ოცდაათიოდე წლის მამაკაცი იწვა, ცალ ხელზე ადამიანის ნაკბენებისგან ჭრილობები ეტყობოდა. ჭრილობები „NASCAR“-ის წარწერიანი მაისურის სახელომდე ადიოდა. ჭრილობებში ინფექცია იყო შეჭრილი. მეორე ხელში ბეისბოლისტის წითელი ქუდი ჩაებღუჯა. კლაის ამ ქუდმა ელისის ხელში ჩაბღუჯული ბეიბი-ნაიკი გაახსენა. მამაკაცი უაზროდ მიშტერებოდა ვარსკვლავებს, ბეტ მიდლერმა კი ისევ ფრთების ქვეშ ქარზე დაიწყო სიმღერა.

— სალამი! — ხრინწიანად და გამყივანი ხმით წამოიყვირა დირექტორმა და ხელჯოხი მუცელზე მიაჭირა. მანამდე აჭერდა, ვიდრე მამაკაცმა არ გააკუა, — გამარჯობა-მეთქი!

— შეწყვიტეთ, — ლამის დაიკვნესა ტომმა.

დირექტორმა ტუჩები მოკუმა და მკაცრად გადახედა, მერე ხელჯოხის ბოლო იმ ბეისბოლის ქუდს გამოსდო, რომელიც მამაკაცს ეჭირა. ხელჯოხით გამოსწია. ქუდი ათიოდე ფუტზე გაფრინდა და შუახნის ქალის სახეზე დაეშვა. კლაი მოჯადოებულივით მისჩერებოდა, როგორ გადაიწია ცოტათი ქუდი და მის ქვეშ ცალი გახელილი თვალი გამოჩნდა.

მამაკაცმა, შენელებული კადრის მსგავსად, ზანტად წამოიწია, ის ხელი, რომელშიც ცოტა ხნის წინ ქუდი ეჭირა, მუშტად შეკრა, მერე ისევ ბალახზე დაეცა და მიჩუმდა.

— ასე ჰგონია, ისევ ხელში უჭირავს, — წაიჩურჩულა კლაიმ.

— შეიძლება, — უპასუხა დირექტორმა გულგრილად. ხელჯოხი ერთ-ერთ დაჩირქებულ ჭრილობას ატაკა. ალბათ, საზარლად მტკივნეული უნდა ყოფილიყო, მაგრამ მამაკაცს რეაქცია არ ჰქონია, ისევ ცას მიშტერებოდა, ხოლო ბეტ მიდლერმა ესტაფეტა დინ მარტინს გადასცა[1], — შემიძლია, ჯოხით კისერი გადავუმტვრიო,

[1] *დინ მარტინი (დინო პოლ კროჩეტი) (1917-1993) — ამერიკელი მომღერალი და მსახიობი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ ჩემს შეჩერებას არც კი ეცდება. არც მის გვერდით მწოლიარენი გაანძრევენ ხელს. თუმცა, დღისით, ალბათ, შუაზე გამგლეჯდნენ.

ტომი ერთ-ერთ გეტობლასტერთან ჩაცუცქდა.

— მასში ბატარეები დევს. წონის მიხედვით ვხვდები.

— დიახ. ყველაშია. როგორც ჩანს, ბატარეები სჭირდებათ, — დირექტორი ჩაფიქრდა, მერე დაამატა, თუმცა, კლაის აზრით, ამის დაზუსტება ზედმეტი იყო, — ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

— მათი რიგების დათვლა შეგვიძლია, ხომ ასეა? — იკითხა კლაიმ, — შეგვიძლია მათი რიცხვი შევამციროთ ისევე, როგორც 1880-იან წლებში მონადირეებმა გაჟლიტეს მოგზაური მტრედები.

დირექტორმა თავი დაუქნია.

— მიწაზე დაჯდომისთანავე ტვინს ასხმევინებდნენ, არა? ჩინებული ანალოგიაა, მაგრამ ჩემგან და ჩემი ხელჯოხისგან ნაკლებია სარგებელი. და თქვენ კი, ვშიშობ, ავტომატური იარაღითაც ბევრს ვერაფერს მოახერხებთ.

— არც სამყოფი ვაზნა მაქვს, — კლაიმ გაშხლართულ სხეულებს გადახედა. ამ სანახაობისგან თავი ასტკივდა, — აქ ექვსასი ან შვიდასი იქნება. იმათ არ ვთვლი, ვინც ტრიბუნების ქვეშაა.

— სერ, მისტერ არდაი, — ტომი დირექტორს მიუბრუნდა, — პირველად როდის...

— პირველად როდის მივხვდი ტრანსის სილრმეს? ამას მეკითხებით?

ტომმა თავი დაუქნია.

— მათ სანახავად პირველივე ღამეს გამოვედი. ჯოგი ასეთი მრავალრიცხოვანი არ იყო და აქეთ მხოლოდ ცნობისმოყვარეობა მეწეოდა. ჯორდანი ჩემთან არ იყო. ღამით სიფხიზლეზე გადასვლა ჯერ ვერ მოახერხა.

— იცით, თქვენ სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდეთ, — შენიშნა კლაიმ.

— ამას ვერაფერი მოვუხერხე, — უპასუხა დირექტორმა, — თითქოს ჰიპნოზირებული ვიყავი. მალე მივხვდი, გონზე რომ არ იყვნენ. მართალია, თვალები გახელილი აქვთ, მაგრამ ხელჯოხით რამდენიმე მარტივი ცდა საკმარისი აღმოჩნდა მათი მდგომარეობის დასადგენად.

კლაის დირექტორის კოჭლობა გაახსენდა, უნდოდა, ეკითხა, თუ აცნობიერებდა, რა დაემართებოდა, მისი ვარაუდი მცდარი რომ აღ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოჩენილიყო და მას თავს დასხმოდნენ, მაგრამ ხმა ალარ ამოულია. დირექტორი, უეჭველია, ახლახან ნათქვამს გაიმეორებდა: ახალი ცოდნის შეძენა ურისკოდ შეუძლებელია. ჯორდანი მართალს ამბობდა — მათ წინ მართლაც ძალიან ძველი სკოლის წარმომადგენელი იდგა და კლაი სულაც არ ისურვებდა ამ სკოლის თოთხმეტი წლის ალსაზრდელი ყოფილიყო, რომელიც დასატუქსად დირექტორის კაბინეტში გამოიძახეს.

ამასობაში არდაი მას უყურებდა და თავს აქნევდა.

— ექვსასი ან შვიდასი ძალიან შემცირებული რიცხვია, კლაი. ეს ხომ სოკერის სტანდარტული მოედანია. ექვსი ათასი კვადრატული იარდი.

— რამდენი არიან?

— თუ გავითვალისწინებთ, როგორ მიტყუპებული წვანან? სულ ცოტა, ათასი.

— მაგრამ სინამდვილეში აქ არ არიან, ხომ მართალია? და ამაში ეჭვი არ გეპარებათ.

— დარწმუნებული ვარ. მხოლოდ ყოველდღე ბრუნდებიან და დიდწილად ისეთები ალარ არიან, როგორიც მანამდე იყვნენ. ანუ, ალარ არიან ადამიანები. ჯორდანიც იმავეს ამბობს, მას კი მახვილი თვალი აქვს, მენდეთ.

— ახლა შეგვიძლია ლოჯში დავბრუნდეთ? — იკითხა ტომმა. ხმაზე ეტყობოდა, თავს ცუდად გრძნობდა.

— რასაკვირველია, — დაეთანხმა დირექტორი.

— ერთი წამით, — კლაიმ NASCAR-ის მაისურიანი ახალგაზრდა მამაკაცის სიახლოვეს ჩაიჩოქა. ძალიან არ სურდა, ასე მოქცევა — თავიდან ვერ იშორებდა ფიქრს, რომ ხელი, რომელსაც ცოტა ხნის წინ ბეისბოლისტის წითელი ქუდი ეჭირა, ახლა ყელში სწვდებოდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა. მიწის სიახლოვეს მყრალმა სუნმა იმატა. ეგონა, ამ სუნს შეეჩვია, მაგრამ შეცდა.

— კლაი, რას... — წამოიწყო ტომმა.

— ჩუ! — კლაი მამაკაცის ლია პირისკენ დაიხარა. შეზიზღდა, მაგრამ ისევ დაატანა თავს ძალა, უფრო მეტად დახრილიყო, იქამდე, სანამ ქვედა ტუჩზე ნერწყვი არ შენიშნა. ჯერ ეგონა, მოესმა, მაგრამ კიდევ ორი დუიმით მიუახლოვდა — ამ *არსების* კოცნაც კი შეეძლო, — და უკანასკნელი ეჭვიც გაიფანტა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ძალიან ჩუმი... ჩურჩულის მსგავსი... მაგრამ გაგონება შესაძლებელია“, — ასე თქვა ჯორდანმა.

კლაიმ გაიგონა და გაუგებარია, რატომ, მაგრამ მამაკაცის პირიდან სიტყვები ერთი-ორი მარცვლით ადრე ისმოდა, ვიდრე ბუმბოქსში: დინ მარტინი მღეროდა „ყველას ოდესღაც ვიღაც უყვარდა“.

გაიმართა და კინაღამ წამოიყვირა პისტოლეტის სროლის მსგავსი მუხლის სახსრის გატკაცუნების გამო. ტომმა ფარანი ასწია და დაჟინებით მიაცქერდა.

— რა? რა? იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ რაც ბიჭმა თქვა...

კლაიმ თავი დაუქნია.

— წავედით. დაბრუნების დროა.

როდესაც პანდუსის ნახევარი უკან მოიტოვეს, დირექტორს მხარში ჩააფრინდა. არდაის ამის გამო პროტესტი არ გამოუთქვამს.

— მართალს ამბობდით, სერ. ყველანი უნდა მოვსპოთ. გავანადგუროთ, რაც შეიძლება მეტი და რაც შეიძლება, სწრაფად. შესაძლოა, ეს ჩვენი ერთადერთი შესაძლებლობაა. ან იქნებ, თქვენი აზრით, ვცდები?

— არა, — თავი გააქნია არდაიმ, — საუბედუროდ, არა მგონია, ცდებოდეთ. როგორც უკვე გითხარით, ეს ომია ან მჯერა, რომ ომია, ომში კი მოწინააღმდეგეს კლავენ. ხომ არ აჯობებს, შინ დავბრუნდეთ და იქ ვიმსჯელოთ შემდეგ მოქმედებებზე? შეგვიძლია ცხელი შოკოლადიც დავლიოთ. ალბათ, ჩემსაში ცოტა „ბურბონს“ დავამატებთ, ბარბაროსს რა მოეთხოვება.

პანდუსის თავზე კლაი კიდევ ერთხელ შებრუნდა სიბნელეში გახვეული ტონი-ფილდისკენ, მაგრამ ვარსკვლავიანი ცის სინათლე საკმარისი გახლდათ სხეულების ხალიჩის დასანახად, რომელიც მთელ საფეხბურთო მოედანს ფარავდა, თავიდან ბოლომდე. ისიც გაიფიქრა, რომ ვერასოდეს მიხვდებოდა, რას უყურებს, ახლოს რომ არ მისულიყო და არ დაენახა, რასთან ჰქონდა საქმე... მაგრამ, როდესაც გაიაზრებ, რა ხდება...

თვალებმა უცნაური ოინი შესთავაზეს და თითქოს დაინახა, როგორ სუნთქავენ — რვაასივე თუ ათასივე — სუნთქავენ ერთიან ორგანიზმად. ამ სანახაობამ ისე შეაშინა, რომ სირბილით გაიქცა, ტომსა და დირექტორ არდაის რომ დასწეოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

16

დირექტორმა სამზარეულოში ცხელი შოკოლადი მოამზადა და მის სასტუმრო ოთახში, აირის ორი ლამპის სინათლეზე მიირთმევდნენ. კლაიმ იფიქრა, მოხუცი მოგვიანებით ისევ ცდის აკადემ-ავენიუზე გასვლას არდაის არმიაში ახალი მოხალისეების ასაყვანადო, მაგრამ ისე ეტყობოდა, დირექტორს გადაეწყვიტა, ხალხი უკვე საკმარისად მყავსო.

როგორც დირექტორი ამბობდა, ავტოგასამართი სადგური გარაჟში იყო და ბენზინს ზემოთ განლაგებული ოთხასგალონიანი ავზიდან იღებდა. მხოლოდ საცობის ამოღება იქნებოდა საჭირო. სათბურებში გადასატანი წვეთოვანი მოსარწყავი აპარატები ჰქონდათ, თითოეული — ოცდაათგალონიანი. ასეთი აპარატი, სულ მცირე, თორმეტი იყო. ერთ-ერთ ჯიპში აპარატებს ჩატვირთავდნენ, ხოლო მანქანას პანდუსის გავლით მოედნამდე მიიყვანდნენ.

— მოიცადეთ, — შეაწყვეტინა კლაიმ, — ვიდრე თქვენს პრაქტიკულ მოქმედებაზე მოვილაპარაკებთ, მინდოდა, თქვენგან თეორიული დასაბუთება მომესმინა, სერ, თუ, რასაკვირველია, ასეთი რამ არსებობს.

— თეორია, რა თქმა უნდა, არ არსებობს, — უპასუხა მოხუცმა, — მაგრამ მე და ჯორდანს დაკვირვებულობა არ გვაკლია, არც ინტუიციის ნაკლებობას ვუჩივით და გამოცდილებაც შევიძინეთ.

— კომპიუტერებზე ვგიჟდები, — ჯორდანმა ცხელი შოკოლადი მოსვა. კლაის მოეწონა ბიჭის ეს თავდაჯერებული განცხადება, ყოველგვარი ლიმილის გარეშე, — ნამდვილი მაკნერდი[1] ვარ. სულ მაინტერესებდა კომპიუტერები, რაც თავი მახსოვს.

ასე რომ, ეს მათი გადატვირთვაა, ეს არის და ეს. აკლია მხოლოდ შუბლზე ანთებული წარწერა: **გთხოვთ, დაელოდოთ პროგრამული უზრუნველყოფის ჩატვირთვას.**

— ვერ გავიგე, რისი თქმა გინდა, — აღიარა ტომმა.

— მე კი გავიგე, — ჩაერთო ელისი, — ჯორდან, შენი აზრით, იმპულსი მხოლოდ იმპულსი არ იყო, ასეა? ყველას, ვინც ის მოისმინა, მყარი დისკიდან ყველაფერი წაეშალა?

[1] *მაკნერდი — ადამიანი, რომელსაც კომპიუტერების გარდა, სხვა არაფერი აინტერესებს. ტერმინი მიღებულია ინგლისური სიტყვებისგან* **Macintosh** *— მაკინტოში და* **Nerd** *— ბოტანიკოსი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰო, ჰო, — თავი დაუქნია ჯორდანმა. ძალიან თავაზიანი იყო და ალარ დაუმატებია, „ეს ხომ ისედაც ცხადია“.

გაოგნებულმა ტომმა ელისს შეხედა, მაგრამ კლაიმ კარგად იცოდა, ტომი სულაც არ იყო გონებაშეზღუდული და ვერ წარმოედგინა, თუ ასე დაიბნეოდა.

— კომპიუტერი ხომ გქონდა, — თქვა ელისმა, — შენს პატარა კაბინეტში ვნახე.

— ჰო.

— და მასზე პროგრამა დაგიყენებია, ხომ ასეა?

— რასაკვირველია, — მაგრამ ტომი გაჩუმდა და ელისს შეხედა, ელისმა კი ტომს, — მათი *ტვინები? მათ ტვინებზე* ამბობ?

— აბა, თქვენი აზრით, თავის ტვინი სხვა რა არის? — იკითხა ჯორდანმა, — დიდი მყარი დისკი ორგანული მიკროსქემებით. არავინ იცის, რამდენი ბაიტია. რამდენი გიგაბაიტი[1] გუგოლპლექსის[2] ხარისხში, ბაიტების უსასრულო რიცხვი, — ხელები პატარა, კოხტა ყურებთან მიიტანა, — ამ ხელებს შორის.

— არ მჯერა, — თქვა ტომმა, მაგრამ ხმადაბლა, და მის სახეზე უსაზღვრო უმწეობა ჩანდა. კლაიმ კი გაიფიქრა, რომ *სჯერა.* თუ ბოსტონში დატრიალებულ საგიჟეთს გაიხსენებდა, შეუძლებელი იყო, გამოთქმული მოსაზრების მართებულობა არ დაგეჯერებინა. იმავდროულად, საზარლობაც იყო: მილიონობით, შესაძლოა, მილიარდობით, ერთდროულად გამოცარიელებული თავის ტვინი, ზუსტად ისე, როგორც ძლიერ მაგნიტს შეუძლია წაშალოს მთელი ინფორმაცია დისკიდან. წაბლისფერთმიანი ფერია გაახსენდა, პიტნისფერი მობილურის მქონე გოგონას მეგობარი. *„ვინ ხარ? რა ხდება?* — წამოიყვირა წაბლისფერთმიანმა ფერიამ, — *ვინ ხარ? მე ვინ ვარ?“* — მერე შუბლზე ხელი მიირტყა, თავით შეასკდა ლამპიონის სვეტს, ერთხელ კი არა, ორჯერ, და გაანადგურა ორთოდონტის ძვირად ღირებული ნამუშევარი.

„ვინ ხარ? მე ვინ ვარ?“

თანაც, ეს მისი ტელეფონი არ იყო. ის მხოლოდ ლაპარაკს უგდებდა ყურს და სრული დოზა არ მიულია.

---

[1] *გიგაბაიტი — ერთი მილიარდი ბაიტი.*

[2] *გუგოლპლექსი — ერთეული, რომელიც ათის გუგოლი ხარისხის ტოლია. გუგოლი ათობითი სისტემით გამოისახება როგორც 10^{100}, ანუ გუგოლპლექსი არის $10^{10^{100}}$.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კლაიმ, რომელიც უფრო მეტად გამოსახულებებით აზროვნებდა, ვიდრე სიტყვებით, ახლა წარმოიდგინა კომპიუტერის ეკრანი, რომელიც სავსეა შემდეგი სიტყვებით: ᲕᲘᲜ ᲮᲐᲠ ᲛᲔ ᲕᲘᲜ ᲕᲐᲠ ᲕᲘᲜ ᲮᲐᲠ ᲛᲔ ᲕᲘᲜ ᲕᲐᲠ ᲕᲘᲜ ᲮᲐᲠ ᲛᲔ ᲕᲘᲜ ᲕᲐᲠ ᲕᲘᲜ ᲮᲐᲠ ᲛᲔ ᲕᲘᲜ ᲕᲐᲠ ᲕᲘᲜ ᲮᲐᲠ ᲛᲔ ᲕᲘᲜ ᲕᲐᲠ ᲕᲘᲜ ᲮᲐᲠ ᲛᲔ ᲕᲘᲜ ᲕᲐᲠ და სულ ბოლოს, პირქუში წარწერა, დამადასტურებელი საბუთი რომ არ სჭირდება წაბლისფერთმიანი ფერიის ბედის მსგავსად:

ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲐ.

წაბლისფერთმიანი გოგონა — სანახევროდ წაშლილი მყარი დისკი? საშინელებაა, მაგრამ სიმართლეს ჰგავს.

— დიპლომი ინგლისურ ლიტერატურაში დავიცავი, მაგრამ ახალგაზრდობაში ფსიქოლოგიით ვიყავი გატაცებული, — აცნობა მათ დირექტორმა, — რასაკვირველია, ფროიდით დავიწყე, ყველა ფროიდით იწყებს, მერე იუნგი... ადლერი... უფრო და უფრო ღრმად ჩავედი. და ისე აღმოჩნდა, რომ თავის ტვინის მუშაობის შესახებ ყველა თეორიის მილმა უფრო დიადი დარვინის თეორიაა. ფროიდის ტერმინოლოგიით, პირველადი დირექტივა თვითგადარჩენაა, რასაც იდის კონცეფცია გამოხატავს. იუნგის აზრით, თვითგადარჩენა კიდევ უფრო დიადი იდეაა იმის თაობაზე, რომ სისხლს ცნობიერება აქვს. მგონი, არც ერთი მათგანი არ შეეკამათებოდა შემდეგ მოსაზრებას: თუ ადამიანის თავის ტვინიდან ერთი ხელის მოსმით გაქრება შეგნებული აზრები, მთელი მეხსიერება და ლოგიკურად აზროვნების უნარი, დარჩება რაღაც სუფთა და საზარელი.

დირექტორი კომენტარების მოლოდინში დადუმდა. ხმა არავის ამოუღია. დირექტორმა თავი დააქნია, თითქოს სხვას არც არაფერს ელოდა, და განაგრძო:

— თუმცა, არც ფროიდის, არც იუნგის მომხრეებს ეს ცალსახად არ უთქვამთ, მათ ნაშრომებზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გვაქვს რაღაც ბირთვი, საბაზისო ტალღა ან, თუ ჯორდანისთვის უფრო ნაცნობ ენაზე ვიტყვით, ერთადერთი წინადადება, ჩაწერილი პროგრამაში, რომლის წაშლა შეუძლებელია.

— პი-დი, — თქვა ჯორდანმა, — პირველადი დირექტივა.

— დიახ, — დაეთანხმა დირექტორი, — თუ სულ ძირამდე დავალთ, ჩვენი სახეობა სრულებითაც არ არის *Homo sapiens* — გონიერი ადამიანი. ჩვენი საფუძველი სიგიჟეა. და დარვინს, მეგობრებო,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მხოლოდ თავაზიანობის გამო არ უთქვამს: ჩვენ დედამიწის ბატონ-პატრონები გავხდით არა იმიტომ, რომ ყველაზე ჭკვიანები ვიყავით, არც იმიტომ, რომ ყველაზე ბრაზიანები, არა, მიზეზი ის არის, რომ ჯუნგლებში ნამდვილი გიჟები, ყველაზე სისხლისმსმელი ნაძირლები ვიყავით. და ჩვენი ეს არსი ხუთი დღის წინ იმპულსმა მთელი სიცხადით გამოავლინა.

17

— უარს ვამბობ, დავიჯერო, რომ გიჟები და მკვლელები ვიყავით, — განაცხადა ტომმა, — ღმერთო, მაშ, პართენონი? მიქელანჯელოს „დავითი“? ფირფიტა მთვარეზე, რომელზეც წერია: „ჩვენ მშვიდობიანად მოვედით მთელი კაცობრიობის სახელით“?

— იმ ფირფიტაზე რიჩარდ ნიქსონის სახელიც არის, — ცივად შენიშნა არდაიმ, — კვაკერის, რომელსაც ძნელია, მშვიდობიანი ადამიანი უწოდო. მისტერ მაკორტ, ტომ, მე ხომ კაცობრიობას პასუხისგებას არ ვთხოვ? ასეთი განზრახვა რომ მქონოდა, მივუთითებდი, რომ ყოველ მიქელანჯელოზე მარკიზ დე სადი მოდის, ყოველ განდიზე — ეიხმანი, ყოველ მარტინ ლუთერ კინგზე — უსამა ბინ ლადენი. მოდი, ასე ვთქვათ: ადამიანი პლანეტის მბრძანებელი თავისი ორი უნარის წყალობით გახდა: პირველია მისი გონება, მეორე კი აბსოლუტური მზადყოფნა, გაანადგუროს ყველა და ყველაფერი, რაც წინ ელობება.

წინ გადაიხარა და მსმენელებს ელვარე თვალები მოავლო.

— კაცობრიობის გონებამ, ბოლოს და ბოლოს, დასძლია კაცობრიობისთვის დამახასიათებელი მკვლელის ინსტინქტი, კეთილგონიერებამ სძლია ადამიანისთვის დამახასიათებელ სიგიჟის შეტევებს. და ესეც თვითგადარჩენისთვის მოხდა. დარწმუნებული ვარ, ბოლოს ეს ორი მახასიათებელი ერთმანეთს უკანასკნელად 1963 წლის ოქტომბერში[1], კუბაში განლაგებული რამდენიმე რაკეტის გამო შეეჯახა, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის. ფაქტი ის გახლავთ,

[1] *იგულისხმება კარიბის ზღვის კრიზისი (1962 წლის 14-28 ოქტომბერი).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ უმრავლესობა ვმალავდით იმას, რაც ჩვენში ყველაზე ცუდია, იმ მომენტამდე, ვიდრე ჩვენამდე მოალწია იმპულსმა და ნაშალა ყველაფერი, ჩვენი საზარელი ბაზისის გარდა.

— ვილაცამ ტასმანიური ეშმაკი გალიიდან გამოუშვა, — ნაიბურტყუნა ელისმა, — ვინ?

— ეს სრულებით არ უნდა გვაღელვებდეს, — უპასუხა დირექტორმა, — ეჭვი მაქვს, წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რას სჩადიოდნენ და რა შედეგს მოიტანდა. რამდენიმე წლის ან შესაძლოა, თვის განმავლობაში მიმდინარე ნაჩქარევი ცდების შემდეგ, ალბათ, იფიქრეს, რომ ტერორიზმის დამანგრეველი შტორმი გაათავისუფლეს, ამის ნაცვლად კი დასაბამი მიეცა წარმოუდგენელი ძალადობის ცუნამის და ის მუტაციას განიცდის. თუნდაც ეს დღეები საშინელებად გვეჩვენებოდეს, ადვილი შესაძლებელია, შემდეგ ისინი ორ ქარიშხალს შორის ჩანყნარების პერიოდად ალვიქვათ. ეს შეიძლება იყოს უკანასკნელი დღეები, როდესაც ჯერ კიდევ შეგვიძლია რაღაცის შეცვლა.

— როგორ შეიძლება ძალადობის მუტაცია? — იკითხა კლაიმ.

დირექტორს პასუხი არ გაუცია. ის თორმეტი წლის ჯორდანს მიუბრუნდა.

— გთხოვ, ყმანვილო.

— დიახ. კარგი, — ჯორდანი დადუმდა, აზრების თავმოყრას ცდილობდა, — ჩვენ თავის ტვინის პოტენციალის მხოლოდ უმცირეს ნაწილს ვიყენებთ. ეს იცოდით, ხომ ასეა?

— ჰო, — შემწყნარებლურად უპასუხა ტომმა, — წამიკითხავს.

ჯორდანმა თავი დაუქნია.

— თუნდაც რომ დავამატოთ უპირობო რეფლექსები და ქვეცნობიერი — სიზმრები, ინტუიცია, სექსუალური ლტოლვა და ასე შემდეგ, — ჩვენი ტვინი თითქმის ტყუილად მუშაობს.

— ჰოლმს, მაკვირვებთ, — ჩაურთო ტომმა.

— ტომ, არ არის ხუმრობის დრო! — შენიშნა ელისმა და ჯორდანმა გოგონას გაულიმა.

— სულაც არ ვხუმრობ. გონიერი ბიჭია.

— ასეც არის, — ცივად შენიშნა დირექტორმა, — შესაძლოა, ჯორდანს ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში პრობლემები აქვს, მაგრამ ჩვენს აკადემიაში სწავლის სტიპენდია ლამაზი თვალების ხათრით არ მიულია, — შენიშნა, რომ ბიჭმა დაიმორცხვა, ალერსით აუჩეჩა თმა და უთხრა, — განაგრძე, თუ შეიძლება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰოდა... — ჯორდანს გაწყვეტილი აზრის გაგრძელება გაუჭირდა, მაგრამ კლაიმ შენიშნა, რომ მალევე გაართვა თავი, — თუ წარმოვიდგენთ, რომ ჩვენი თავის ტვინი მყარი დისკია, ის თითქმის ცარიელია, — ამჯერადაც ჯორდანს მხოლოდ ელისმა გაუგო, — მოდი, ასე ვთქვათ: თუ ეკრანზე გამოვიძახეთ დისკის მახასიათებლები, მაშინ გამოვა წარწერა: ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ 2%, 98% ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘᲐ. არავინ იცის, რისთვის არის საჭირო ეს 98%, მაგრამ პოტენციალი უზარმაზარია. მაგალითისთვის აიღეთ ის ადამიანები, რომლებმაც ინსულტი გადაიტანეს. ისინი ზოგჯერ თავის ტვინის მანამდე მძინარე უბნების გამოცოცხლებას ახერხებენ, რათა ხელახლა ისწავლონ სიარული და ლაპარაკი; ანუ თავის ტვინში ყალიბდება ახალი გამტარები, რომლებიც დაზიანებულ უბნებს გვერდს უქცევს. სინათლე თავის ტვინის იმავე უბნებში ინთება, მაგრამ ახლა სხვა მხრიდან.

— ეს ყველაფერი გასწავლეს? — შეეკითხა კლაი.

— ეს კომპიუტერითა და კიბერნეტიკით ჩემი გატაცების ბუნებრივი შედეგია, — მხრები აიჩეჩა ჯორდანმა, — გარდა ამისა, კიბერპანკური ფანტასტიკა წამიკითხავს. უილიამ გიბსონი, ბრიუს სტერლინგი, ჯონ შირლი...

— ნილ სტივენსონი? — ჰკითხა ელისმა.

ჯორდანს სახე გაუბრწყინდა.

— ნილ სტივენსონი ღმერთია.

— მთავარს დავუბრუნდეთ, — ჩაერია დირექტორი მკაცრად, მაგრამ... თავაზიანად.

ჯორდანმა მხრები აიჩეჩა.

— თუ მყარ დისკს წაშლით, ის სპონტანურად მხოლოდ გრეგ ბირის რომანში შეიძლება აღდგეს, — ისევ გაიღიმა, მაგრამ როგორც კლაის მოეჩვენა, ამჯერად ნერვიულად, სულ რამდენიმე წამით. ღიმილის ნაწილი ელისს ეკუთვნოდა, რომელმაც, უბრალოდ, გააოგნა ყმაწვილი, — ადამიანები სხვა საქმეა.

— მაგრამ სიარულისა და ლაპარაკის ხელახლა სწავლასა და ბუმბოქსების ტელეპათიურად ჩართვას შორის ხომ დიდი განსხვავებაა, — ჩაურთო ტომმა, — ერთსა და მეორეს შორის უძირო უფსკრულია.

დარცხვენილი ჩანდა, რადგან გამოიყენა ტერმინი „ტელეპათია“ და სულ ტყუილად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— დიახ, თუმცა, ინსულტი, თუნდაც მისი ყველაზე მძიმე ფორმა, თავისი შედეგებით ის არ არის, რაც დაემართა ადამიანებს, რომლებიც მობილურებზე საუბრობდნენ იმპულსის გავრცელების მომენტში, — უპასუხა ჯორდანმა, — მე და დირექტორი... დირექტორი და მე ვფიქრობთ, რომ იმპულსმა არა მხოლოდ ნაშალა ადამიანების თავის ტვინიდან ყველაფერი, პირველადი დირექტივის გარდა, არამედ რალაც ჩატვირთა კიდეც. რალაც ისეთი, რაც ჩვენში იჯდა მილიონობით წელი, რაც მყარი დისკის თავისუფლად დარჩენილი 98%-ის შემადგენლობაში იყო.

კლაიმ ხელი დაადო ბეტ ნიკერსონის სამზარეულოს იატაკიდან აღებულ რევოლვერის ტარს.

— სასხლეტი, — თქვა მან.

ჯორდანს ისევ გაუბრწყინდა სახე.

— მართალია! *მუტაციური* სასხლეტი. ეს არასოდეს მოხდებოდა, რომ არა იმპულსით გამოწვეული ტვინების სრული გამორეცხვა და ის, რაც ახლა ჩნდება, ის, რაც ამ ადამიანებში ახლა ვითარდება, რომლებიც უკვე აღარ არიან ადამიანები...

— ეს ერთიანი ორგანიზმია, — გააწყვეტინა დირექტორმა, — ასეთია ჩვენი საერთო აზრი.

— დიახ, ეს ჩვეულებრივ ჯოგზე მეტია, — განაგრძობდა ჯორდანი, — ის, რაც მათ შეუძლიათ სი-დი-პლეიერებთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, მხოლოდ დასაწყისია. ასე ხდება, როდესაც პატარა ფეხსაცმლის ჩაცმას სწავლობს. იმაზე იფიქრეთ, რისი გაკეთება შეეძლებათ ერთი კვირის შემდეგ. ერთი თვის შემდეგ. ერთი წლის შემდეგ.

— შეიძლება, ცდებოდე, — ტომის ცივი ხმა გადატეხილი ტოტის გატკაცუნებასავით გაისმა.

— შეიძლება, მართალს ამბობდეს, — არ დაეთანხმა ელისი.

— დარწმუნებული ვარ, მართალს ამბობს, — დირექტორმა ბურბონშერეული ცხელი შოკოლადი მოსვა, — რასაკვირველია, მოხუცი ვარ და ჩემი დრო, ნებისმიერ შემთხვევაში, მიიწურა. ნებისმიერ გადაწყვეტილებას დავემორჩილები, რასაც თქვენ მიიღებთ, — მცირე პაუზა. დირექტორმა შეხედა კლაის, შემდეგ ტომს, შემდეგ ელისს, — თუ, რასაკვირველია, ეს სწორი გადაწყვეტილება იქნა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— იცით, ჯოგები გაერთიანებას შეეცდებიან, — დაამატა ჯორდანმა, — თუ, ჯერჯერობით, ერთმანეთის არ ესმით, ძალიან მალე აუცილებლად გაიგებენ ერთმანეთისას.

— სისულელეა, — ტომის ხმას დამაჯერებლობა აკლდა, — ზღაპარია მოჩვენებებზე.

— შეიძლება, — კლაის კამათი არ დაუწყია, — მაგრამ დასაფიქრებლად ღირს. ამ მომენტისთვის ჩვენ გვეკუთვნის ღამეები, მაგრამ თუ გადანყვეტენ, რომ ნაკლები ძილი სჭირდებათ? ან დაასკვნიან, რომ სიბნელის არ ეშინიათ?

ყველა დუმდა. გარეთ ქარი ამოვარდა. კლაი პატარა ყლუპებით სვამდა ცხელ შოკოლადს, რომელიც მანამდეც თბილი იყო, ახლა კი სულ გაცივდა. როდესაც თავი ასნია, ელისი დაინახა, რომელმაც ჭიქა დადგა და ისევ თავისი თილისმა, ბეიბი-ნაიკი, ჩაბლუჯა.

— მათი განადგურება მინდა, — თქვა მან, — იმათი, ვინც ახლა ფეხბურთის მოედანზე ნევს, მინდა, მოვსპოთ. არ ვამბობ, დავხოცოთ-მეთქი, იმიტომ, რომ ჯორდანი მართალს ამბობს, დარწმუნებული ვარ, მართალია, და ამის გაკეთება კაცობრიობის სახელით არ მინდა. მინდა ეს დედაჩემისა და მამაჩემის გამო გავაკეთო, იმიტომ, რომ მამაც ნავიდა. ვიცი, რომ დავკარგე, ვგრძნობ ამას. მინდა ჩემი მეგობრების, ვიკის და ტესის გამო. ჩემი ახლო მეგობრების, მაგრამ მათ მობილურები ჰქონდათ, ნუთითაც არ იშორებდნენ და ვიცი, ახლა რას ჰგვანან და სად სძინავთ: ალბათ, ასეთივე დაწყევლილ საფეხბურთო მოედანზე, — გოგონა ნამონითლდა და დირექტორს შეხედა, — მაპატიეთ, სერ.

დირექტორმა ხელი ჩაიქნია იმის ნიშნად, რომ საპატიებელი არაფერი იყო.

— შეგვიძლია ამის გაკეთება? — შეეკითხა ელისი, — შეგვიძლია, გავფლიტოთ?

ჩარლზ არდაიმ, რომელიც სამყაროს დანგრევის მომენტისთვის თავის კარიერას გეიტენის აკადემიაში დირექტორის თანამდებობაზე ამთავრებდა, იქედნური ღიმილით დროით დალდასმული კბილები გამოაჩინა და კლაიმ გაიფიქრა, რომ დიდი სიამოვნებით ჩაიხატავდა ამ ღიმილს: მასში სიბრალულის ნატამალი არ იყო.

— მის მაქსველ, შეგვიძლია, ვცადოთ, — უპასუხა მან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

18

მეორე დილით, ოთხ საათზე, ტომ მაკორტი ორ სათბურს შორის მდგარ საპიკნიკე მაგიდასთან იჯდა. სათბურები იმპულსის გადაცემის შემდეგ ძალიან დაზიანდა. ჯერ კიდევ მოლდენში ჩაცმულ „რიბოკის" ბოტასებში გამოწყობილი ფეხები სკამზე შემოეწყო, თავი კი მუხლებზე დაყრდნობილ ხელებზე ჩამოედო. ქარი თმას ჯერ ცალ მხარეს ურხევდა, მერე — მეორე მხარეს. ელისი მაგიდის მეორე მხარეს იჯდა და ნიკაპი ხელებზე ჩამოედო. რამდენიმე ფარნის სხივი მის სახეს სინათლის ლაქებად და ჩრდილებად ედო. მჭახე სინათლე კიდევ უფრო ლამაზს აჩენდა ელისს, მისი აშკარა დალლილობის მიუხედავად. გოგონას გვერდით მჯდარი დირექტორი საშინლად ქანცგამოცლილი ჩანდა. სათბურებში კოულმენის ორი ლამპის სინათლე მოუსვენარი სულებივით ლიცლიცებდა.

შემდეგ ლამპები სათბურის უკიდურეს კიდესთან გამოჩნდა. კლაიმ და ჯორდანმა სათბურის ორივე მხარეს არსებული უზარმაზარი ხვრელების მიუხედავად, მაინც კარით ისარგებლეს. რამდენიმე წამის შემდეგ კლაი უკვე ტომის გვერდით იჯდა, ხოლო ჯორდანმა ჩვეული ადგილი დაიკავა, დირექტორის გვერდით. ბიჭს ბენზინისა და სასუქის, უფრო მეტად კი უიმედობის სუნი ასდიოდა. კლაიმ სკამზე გასაღებების რამდენიმე აცმა დააგდო. მისი აზრით, აქ დარჩენა მანამდე შეეძლოთ, სანამ ოთხი ათასწლეულის შემდეგ მათ კვალს რომელიმე არქეოლოგი აღმოაჩენდა.

— ვწუხვარ, — წყნარად თქვა დირექტორმა არდაიმ, — თითქოს ყველაფერი ისეთი იოლი იყო.

— დიახ, — დაეთანხმა კლაი, — მართლაც ყველაფერი ადვილი ჩანდა: აავსე სათბურის სარწყავი ბენზინით, ჩატვირთე აპარატები პიკაპში, მანქანა ტონი-ფილდთან მიიყვანე, ბენზინი მოედანსა და მასზე მწოლიარეებს მოასხურე და ანთებული ასანთი გადააგდე, — თავი შეიკავა და არდაისთვის აღარ უთქვამს, რომ ჯორჯ უ. ბუშის ერაყული ავანტიურაც თავიდან ასეთივე მარტივი ჩანდა, — მოძებნე სარწყავი აპარატები, გადააგდე ანთებული ასანთი... — მაგრამ დადუმდა. რა საჭიროა ჭრილობაზე მარილის დაყრა?

— ტომ, კარგად ხარ? — უკვე მიხვდა, რომ ტომის ამტანობა უკიდურეს ზღვარს მიუახლოვდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰო, უბრალოდ, დავილალე, — ტომმა თავი ასწია და კლაის გაულიმა, — ღამით მორიგეობას მიჩვეული არა ვარ. ახლა რა ვქნათ?

— მგონი, უნდა დავიძინოთ, — უპასუხა კლაიმ, — გათენებამდე ორმოცი წუთი ან ცოტა მეტი დარჩა. აღმოსავლეთით უკვე ნათდება.

— ეს უსამართლობაა! — წამოიძახა ელისმა და გაბრაზებულმა ლოყები მოისრისა, — უსამართლობაა, ჩვენ ხომ *ასე ვცდილობდით!*

ცდილობდნენ, მაგრამ ყველაფერი ძალიან რთული აღმოჩნდა. ყოველი უმცირესი (და საბოლოოდ, უშედეგო) გამარჯვება შედეგი იყო იმასთან ბრძოლისა, რასაც დედამისი დიდ განავალს ეძახდა. კლაის არსების ერთი ნაწილი ამ ყველაფერში დირექტორ არდაის და... საკუთარ თავს ადანაშაულებდა, რადგან მაშინვე დაეთანხმა არდაის წინადადებას სარწყავი აპარატების გამოყენების თაობაზე და ამის კრიტიკულად გაანალიზება არც კი უცდია. მაგრამ მეორე ნაწილი კი ახლა ფიქრობდა, რომ ინგლისური ენისა და ლიტერატურის მოხუცი მასწავლებლის გეგმა, ბენზინით დაესველებინა საფეხბურთო მოედანი და ცეცხლი წაეკიდებინა, რაღაცით საარტილერიო ცეცხლთან ჯაყვით შებრძოლებას ჰგავდა. და მაინც... ჰო, ნამდვილად კარგი აზრი იყო...

ვიდრე არ გაირკვა, რომ შენობა, სადაც ბენზინის ავზია, ჩაკეტილი ყოფილა. გარაჟის უფროსის კაბინეტში ნახევარ საათზე მეტხანს ფარნების შუქზე ეძებდნენ არამარკირებული გასაღებების აცმას საწერი მაგიდის უკან, კედელზე ჩამოკიდებულ დაფაზე. ბენზინსაცავის გასაღები ბოლოს ჯორდანმა იპოვა.

მერე გაირკვა, რომ *მხოლოდ საცობის ამოღება* საქმეს არ უშველიდა. ეს იყო ხუფი და არა საცობი. და ბენზინსაცავივით, ისიც ჩაკეტილი. ისევ კაბინეტში დაბრუნდნენ, ისევ გაცხარებული ძებნა და ბოლოს, ავზთან საჭირო გასაღებით დაბრუნდნენ. მერე ელისმა მიუთითა იმაზე, რაც ცხადი იყო: რაკი ხუფი ავზის ქვემოთ დაემონტაჟებინათ, სიფონის ან შლანგის გარეშე მისი გახსნა იქაურობას ბენზინით წალეკავდა. კიდევ ერთი საათი დასჭირდა ხუფზე მორგებული შლანგის მოძებნას, მაგრამ ამაოდ. ტომმა მხოლოდ პატარა ძაბრი იპოვა, რამაც ყველა ლამის ისტერიკამდე მიიყვანა.

არც ერთ გასაღებს ნიშანი არ ედო (ყოველ შემთხვევაში, ისეთი, რომელიც გასაგები იქნებოდა უცხო პირისთვის), ამიტომ მანქანის-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თვის საჭირო გასალების მოძიება ისევ ცდის დახმარებით მოუხდათ. ამჯერად საქმე უფრო სწრაფად წავიდა, იმიტომ, რომ გარაჟის უკან სულ რვა პიკაპი იდგა.

ბოლოს სათბურებში გადაინაცვლეს. აქ აღმოჩნდა, რომ სარწყავი აპარატი თორმეტის ნაცვლად მხოლოდ რვაა და თითოეულში რვა გალონი ჩადის და არა ოცდაათი. თუ მათ ავსებას ბენზინის ავზიდან ისე შეძლებდნენ, რომ თავად არ გაილუმპებოდნენ, საერთო ჯამში მხოლოდ ოთხმოცი გალონს მიიღებდნენ, რომელიც შემდეგ საფეხბურთო მოედანზე უნდა მოეფრქვიათ. სწორედ იმის შეგნებამ, რომ ათასი მობილოგიჟის ბენზინის საწყალობელი ოთხმოცი გალონით განადგურება შეუძლებელია, ტომი, ელისი და დირექტორი სათბურთან მდგარ საპიკნიკე მაგიდასთან მიიყვანა. კლაიმ და ჯორდანმა მეტი შეუპოვრობა გამოიჩინეს და უფრო დიდი სარწყავი აპარატების საძებნელად წავიდნენ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ.

— რამდენიმე პატარა წყლის საფრქვევი ვნახეთ, — ძებნის შედეგები აცნობა დანარჩენებს კლაიმ, — იცით, რაზედაც ვამბობ, წყლის პისტოლეტებს ჰგავს, — გარდა ამისა, დიდი სარწყავები ჰერბიციდების ან თხევადი სასუქის სითხეებითაა სავსე. ჯერ ისინი უნდა გადავლვაროთ, ამისთვის რესპირატორებია საჭირო, თორემ მოვიწამლებით.

— რეალობა იკბინება, — დაასკვნა ელისმა, პაწაწინა ბოტასს დახედა და ჯიბეში შეინახა.

ჯორდანმა გასალები აიღო, რომელიც ერთ-ერთ პიკაპს მოერგო.

— შეგვიძლია ქალაქის ცენტრში წავიდეთ, მაღაზიაში „საიმედო ინვენტარი ბალისა და ბოსტნისთვის“. ალბათ, იქ ექნებათ სარწყავი აპარატები.

ტომმა თავი გააქნია.

— ცენტრი მილზე მეტითაა დაშორებული და თანაც, მთელ სავალ ნაწილზე მიტოვებული ან დაზიანებული მანქანებია დახვავებული. ზოგიერთს კი ავუქცევთ გვერდს, მაგრამ ყველას — ვერა. მინდვრითაც ვერ გადავჭრით. სახლები მეტისმეტად ახლო-ახლოს დგას. ამიტომ დადის ყველა ფეხით. აქა-იქ ველოსიპედისტებიც შეგვხვდნენ, მაგრამ ცოტანი იყვნენ. საჭეზე ფარითაც კი ველოსიპედით სიარული სახიფათოა.

— გვერდითი ქუჩებით ცენტრამდე მისვლა არ მოხერხდება? — იკითხა დირექტორმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ეს ხვალ ღამით შეგვიძლია ვცადოთ, — უპასუხა კლაიმ, — ჯერ ფეხით შევამონმოთ მარშრუტი, მერე პიკაპის ნასაყვანად დავბრუნდეთ, — მერე გაჩუმდა, — იმ მალაზიაში, ნესით, შლანგებიც უნდა იყოს.

— შენს ხმას დიდი ენთუზიაზმი არ ეტყობა, — შენიშნა ელისმა.

კლაიმ ამოიოხრა.

— გვერდითი ქუჩის გადაკეტვა არც ისე ძნელია. შესაძლოა, ხვალ ბედმა გაგვილიმოს, მაგრამ მაინც იმაზე მეტი ოფლის ღვრა მოგვიწევს, ვიდრე დღეს. არ ვიცი, იქნებ ყველაფერს ასე იმიტომ ვამუქებ, რომ დასვენება მჭირდება.

— რასაკვირველია, მიზეზი ეს არის, — დაეთანხმა დირექტორი, მაგრამ მის ხმაში სასონარკვეთა ისმოდა, — დასვენება ყველას გვჭირდება.

— ქუჩის გადალმა რომ ავტოგასამართი სადგურია, იმაზე რას იტყვით? — უიმედოდ იკითხა ჯორდანმა.

— რა ავტოგასამართი სადგური? — გამოცოცხლდა ელისი.

— სიტგოზე ამბობს, — უპასუხა დირექტორმა, — იგივე პრობლემაა, ჯორდან, ბევრი ბენზინია ავზებში, ტუმბოების ქვეშ, მაგრამ ელექტრობა არ არის, და ეჭვი მაქვს, რომ ბევრი ავზი, უბრალოდ, ცარიელია. დიდი-დიდი, რამდენიმე ორ და ხუთგალონიანი კანისტრა გაივსოს. მართლაც მგონია, რომ... — ალარ დაუსრულებია, რა ეგონა, — რა მოხდა, კლაი?

კლაის მათ წინ მიმავალი ტრიო გაახსენდა, კოჭლობით მიმავალი ქალი, რომელსაც მამაკაცი ეხმარებოდა. მათ ავტოგასამართ სადგურს ჩაუარეს.

— აკადემი-ბრუუვ-სიტგო. ასე ჰქვია იმ ავტოგასამართ სადგურს?

— დიახ...

— ვფიქრობ, იქ მხოლოდ ბენზინს არ ყიდდნენ, — არა მხოლოდ ასე ფიქრობდა, არამედ იცოდა, იმიტომ, რომ ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ორი ცისტერნიანი მანქანა იდგა. მაშინ შენიშნა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. საამისო მიზეზი არ ჰქონდა.

— არ ვიცი, რას... — წამოიწყო დირექტორმა, მერე დადუმდა და კლაის შეხედა, დროით შეჭმული კბილები ისევ იმ ნაცნობმა შეუბრალებელმა ლიმილმა გამოაჩინა, — ოჰ, — თქვა მან, — ოჰ! ოჰ, რა თქმა უნდა! დიახ!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომი გაოგნებული მისჩერებოდა ხან ერთს, ხან მეორეს. ელისმაც მის მაგალითს მიჰბაძა. ჯორდანი, უბრალოდ, ელოდებოდა.

— იქნებ აგვიხსნათ, რაზე ამბობთ? — იკითხა ტომმა.

კლაიმ ახსნა დააპირა, არა მხოლოდ ახსნა, არამედ გეგმაც შეადგინა, რომელსაც შეუძლებელია, არ ემუშავა. ერთი სული ჰქონდა, სხვებისთვის გაეზიარებინა, მაგრამ ტონი-ფილდზე მუსიკა შეწყდა. ერთბაშად არა, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა, არამედ ნელ-ნელა ხმა შემცირდა, თითქოს ვილაცამ ფირსაკრავი ლიფტის შახტში ჩააგდო.

— დღეს რაღაც ადრე მოუვიდათ, — წაიჩურჩულა ჯორდანმა.

ტომმა კლაის ხელზე ხელი მოუჭირა.

— აქ რაღაც რიგზე არ არის. იმ დაწყევლილი გეტობლასტერებიდან ერთ-ერთი დაკვრას აგრძელებს. მესმის, მაგრამ ძალიან სუსტი ხმა აქვს.

კლაიმ იცოდა, ძლიერი ქარი საფეხბურთო მოედნიდან ქროდა, იმიტომ, რომ ჰაერში დამპალი საკვების, გახრწნილი და ასობით დაუბანელი სხეულის სუნი იდგა. და კიდევ, ქარს მოჰქონდა მელოდია „სპილუჩას გასეირნება“ ლოურენს უელკისა და „მისი შამპან-მიუზიკ-მეიკერსის“ შესრულებით.

მერე სადღაც ჩრდილო-დასავლეთიდან — ათი ან შესაძლოა, ოცდაათი მილის დაშორებით, გააჩნია, რა მანძილზე შეეძლო ქარს გადატანა — ილუზორული, გაბმული კვნესა გაისმა. სიჩუმე მანამდე გაგრძელდა, სანამ საფეხბურთო მოედანზე მწოლიარეებმა ისეთივე გაბმული კვნესით არ უპასუხეს. მაგრამ ახლა ეს კვნესა უფრო ხმამაღალი გახლდათ. ეს პირველყოფილი, საიქიოდან დაბრუნებულთა კვნესა ვარსკვლავიან შავ ცაში აიჭრა.

ელისმა ორივე ხელი პირზე აიფარა. მათ შორის პაწაწინა ბეიბი-ნაიკი ვერტიკალურად ქანაობდა. თვალები გაფართოებოდა. ჯორდანმა ორივე ხელი წელზე შემოხვია დირექტორს და თავი მის მხარში ჩარგო.

— შეხედე, კლაი! — ტომი წამოდგა და სწრაფი ნაბიჯით გაემართა სათბურებს შორის დატოვებული გასასვლელისკენ, ხელით ცაზე მიუთითებდა, — ხედავ? ღმერთო, შეხედე!

ჩრდილო-დასავლეთით, საიდანაც ეს შორეული კვნესა მოისმა, ჰორიზონტი წითლად ვარვარებდა. მათ თვალწინ წითელი ნათება იზრდებოდა, ქარმა ისევ იმ საზარელი კვნესის ხმა მოიტანა... რასაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტონი-ფილდიდან ისეთივე, ოლონდ უფრო ხმამაღალი კვნესით უპასუხეს.

მათ ელისი შეუერთდა, შემდეგ დირექტორიც, რომელსაც ჯორდანისთვის მხარზე მოეხვია ხელი.

— თქვენი აზრით, ეს სად უნდა იყოს? — შეეკითხა კლაი და ნითელ ნათებაზე მიუთითა, რომელიც უკვე სუსტდებოდა.

— გლენ-ფოლსს ჰგავს, — თქვა დირექტორმა, — ან შესაძლოა, ლიტლტონია.

— სადაც უნდა იყოს, კიბორჩხალა გრილზე დევს, — თქვა ტომმა, — ისინი იწვიან... და ჩვენმა ჯოგმა ეს იცის. გაიგონეს.

— ან იგრძნეს, — დააზუსტა ელისმა. შიშის ჟრუანტელმა დაუარა, მერე გაიმართა და ბოროტად გაიღიმა, — იმედია, იგრძნეს!

თითქოს მის საპასუხოდ, ტონი-ფილდიდან კიდევ ერთი კვნესა მოისმა: მრავალი ხმა ერთ, თანაგრძნობის, ან შესაძლოა, გაზიარებული აგონიის გამომხატველ კვნესაში შეერთდა. ერთი ბუმბოქსი, კლაის აზრით, მთავარი, რომელშიც კომპაქტდისკი იდო, დაკვრას აგრძელებდა. ათი წუთის შემდეგ მას დანარჩენები აჰყვნენ. მუსიკა — ამჯერად, ეს იყო „შენ გვერდით" კარპენტერების[1] შესრულებით — თანდათან იკრებდა ძალას, სწორედ ისე, როგორც ცოტა ხნის წინ დადუმდა. იმ დროისთვის ხელჯოხზე დაყრდნობილ დირექტორ არდაის ისინი კოჭლობით მიჰყავდა ჩითემ-ლოჯისკენ. მალე მუსიკა ისევ შეწყდა. ამჯერად, გამოირთო, როგორც წინა დილით.

შორიდან, კაცმა არ იცის, რამდენი მილის იქით, სროლის სუსტი ხმა მოისმა. მერე თითქოს სამყარო მტრულად გაირინდა, ელოდებოდა, როდის შეცვლიდა ღამეს დღე.

19

როდესაც მზის პირველი წითელი სხივები აღმოსავლეთით ჰორიზონტზე ხის ტოტებს შორის გამოჩნდა, დაინახეს, მობილოგიტე-

[1] *კარპენტერები — და-ძმის, კარენისა და რიჩარდის დუეტი, რომელიც 1969 წელს ჩამოყალიბდა და იარსება 1983 წელს კარენის გარდაცვალებამდე.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბის პირველმა ჯგუფებმა როგორ დატოვეს საფეხბურთო მოედანი, ისინი გეიტენის ცენტრისა და ახლომდებარე მიკროორაიონებისკენ მიემართებოდნენ. აკადემ-ავენიუზე ფერდობიდან დაშვების დროს, ჯგუფებმა შემჭიდროებულობა ცოტათი დაკარგეს, თუმცა, მათი ქცევა ზუსტად ისეთი იყო, როგორიც ადრე, თითქოს გამთენიისას უჩვეულო არაფერი მომხდარა. მაგრამ კლაი მათ არ ენდობოდა, თვლიდა, რომ რაც შეიძლებოდა მალე, დღესვე უნდა მისულიყვნენ სიტგოში, თუ საერთოდ სურდათ ჩაფიქრებულის განხორციელება. დღის სინათლეზე თავშესაფრიდან გასვლა იმას ნიშნავდა, რომ შესაძლოა, რომელიმე *იმათგანის* მოკვლა მოუწევდათ, მაგრამ რაკი ჯოგებად მხოლოდ დილით და საღამოთი დადიოდნენ, კლაის ამგვარი რისკი დიდად არ აშინებდა.

სასტუმრო ოთახის ფანჯრებიდან თვალს ადევნებდნენ იმას, რასაც ელისმა „მკვდრების გარიჟრაჟი" დაარქვა. მერე ტომი და დირექტორი სამზარეულოში გავიდნენ. კლაიმ ისინი მაგიდასთან იპოვა. ორივეს მზის სხივები ანათებდა. ისხდნენ და ცივ ყავას სვამდნენ. ვიდრე კლაი თავისი გეგმის შესახებ დაიწყებდა საუბარს, ჯორდანი ხელზე შეეხო.

— მობილოგიუების ნაწილი აქ დარჩა, — მერე ხმადაბლა დაამატა, — ზოგიერთი ჩემი კლასელი იყო.

— მეგონა, ახლა ყველა კ-მარტშია[1] და რაიმეს იაფად შეძენას ცდილობს-მეთქი, — გამოეხმაურა ტომი.

სამზარეულოს კარში ელისი გამოჩნდა.

— ჯობია, ნახოთ. დარწმუნებული არა ვარ, რომ ეს ახალი საფეხურია მათ — არც კი ვიცი, რა დავარქვა, — ალბათ, განვითარებაში. შეიძლება, ეს არის კიდევაც განვითარება. არა, ნამდვილად ასეა.

— ჰო, რაც მართალია, მართალია, — პირქუშად შენიშნა ჯორდანმა.

აკადემიის ტერიტორიაზე დარჩენილი მობილოგიუები — კლაის აზრით, დაახლოებით ასამდე — ტრიბუნების ქვეშიდან გვამებს მოათრევდნენ. ჯერ საფეხბურთო მოედნის სამხრეთით მდებარე

[1] *კ-მარტი (K-Mart) — ფასდაკლებული საქონლით მოვაჭრე მაღაზიების ქსელი, რომლის სათავო ოფისი ილინოისშია. ქსელში ათასზე მეტი მაღაზიაა მთელი აშშ-ის ტერიტორიაზე. 2010 წელს მოგებამ 15 მლრდ დოლარს გადააჭარბა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ავტოსადგომზე და იქ მდგარი დაბალი, გრძელი შენობის უკან გადაჰქონდათ, მერე ახალი გვამებისთვის ბრუნდებოდნენ.

— ეგ შენობა დახურული მანეჟია, — განმარტა დირექტორმა, — გარდა ამისა, მანდვე ინახება სპორტული ინვენტარი. შენობის იქით დაქანებული ფერდობია. დარწმუნებული ვარ, გვამებს ქვემოთ ყრიან.

— ასე იქნება, — ჯორდანი აშკარად ცუდად გახდა, — ქვემოთ ჭაობია. გვამები გაიხრწნება.

— ისედაც იხრწნებოდა, ჯორდან, — მშვიდად შენიშნა ტომმა.

— ვიცი, — ბიჭი ლამის ატირდა, — მაგრამ მზეზე უფრო სწრაფად გაიხრწნებიან, — მცირე ხანს დუმდა, — სერ...

— დიახ, ჯორდან.

— ნოა ჩაცკი დავინახე. თქვენი პიესების კითხვის წრიდან.

დირექტორმა მხარზე ხელი მსუბუქად დაჰკრა. გაფითრდა.

— ყურადღებას ნუ მიაქცევ.

— ეს არც ისე იოლია, — წაიჩურჩულა ჯორდანმა, — ერთხელ ფოტო გადამიღო... თავისი... იცით, რითიც.

წინ კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდათ. დანარჩენებს უსიტყვოდ გამოეყო ათიოდე, ისრისებურად დაეწყვნენ, როგორც გადაფრენისას ბატებმა იციან, და შემტვრეული სათბურებისკენ გაემართნენ. მათ შორის ისიც იყო, ვისაც ჯორდანი ნოა ჩაცკის უწოდებდა. დანარჩენები ამ ათეულს რამდენიმე წამს თვალს ადევნებდნენ, მერე ისევ სამრიგად დაწყობილებმა ტრიბუნების ქვეშიდან გვამების გამოთრევა გააგრძელეს.

ოცდახუთი წუთის შემდეგ სათბურიდან ჯგუფი დაბრუნდა. ზოგიერთს არაფერი ეჭირა, მაგრამ უმრავლესობა ხრეშისა და სასუქების ტომრების გადასაზიდად საჭირო დიდ და პატარა საზიდრებს მიაგორებდა. მალე მობილოგიჟები გვამებს უკვე საზიდრებზე ტვირთავდნენ და მუშაობაც აჩქარდა.

— ეს უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია, — თქვა ტომმა.

— და არა ერთი, — დააზუსტა დირექტორმა, — სახლის დალაგება, ამისთვის ინსტრუმენტების გამოყენება.

— ძალიან არ მომწონს, — თქვა კლაიმ.

გაფითრებულმა ჯორდანმა, რომელსაც თავის ასაკზე ბევრად უფროსის შესახედაობა ჰქონდა, უპასუხა:

— არა მხოლოდ თქვენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

20

დღის პირველ საათამდე ეძინათ. მერე, როდესაც დარწმუნდნენ, რომ გვამების შემგროვებლებმა მუშაობა დაასრულეს და ქალაქში წავიდნენ დანარჩენებთან ერთად საკვების მოსაძიებლად, გეიტენის აკადემიის შესასვლელის ქვის სვეტებისკენ დაეშვნენ. ელისმა კლაის შეთავაზებული ვარიანტი — ყველაფერი მხოლოდ მან და ტომმა უნდა მოაგვარონ, — გააკრიტიკა: „არ არის საჭირო ბეტმენისა და რობინის როლების თამაში“, — თქვა გოგონამ.

— მე კი ყოველთვის მინდოდა, ბიჭი-საოცრება[1] ვყოფილიყავი, — ოდნავი ჩლიფინით წამოიძახა ტომმა, მაგრამ, როდესაც ელისმა გაბრაზებულმა შეხედა, ხოლო ხელი ნამცეცა ბეიბი-ნაიკს — შესამჩნევად შელახულს — მოუჭირა, მაშინვე უკან დაიხია, — მაპატიე.

— ქუჩის მეორე მხარეს, ავტოგასამართ სადგურთან, ორნი შეგიძლიათ გადახვიდეთ, — თქვა ელისმა, — ამაში მართლაც არის აზრი, ჩვენ კი ზურგიდან დაგიცავთ.

დირექტორმა შესთავაზა, ჯორდანი ლოჯში დაეტოვებინათ. ვიდრე გაცეცხლებული ბიჭი წინააღმდეგობის გაწევას დააპირებდა, ელისმა ჰკითხა:

— ჯორდან, როგორი მხედველობა გაქვს?

ყმაწვილმა გაულიმა და თვალები გაუბრწყინდა.

— ნორმალური. არ ვუჩივი.

— ვიდეოთამაშები გითამაშია? რომლებშიც ისვრიან?

— რა საკითხავია!

ელისმა თავისი პისტოლეტი გაუწოდა. კლაიმ შენიშნა, რომ ბიჭი კამერტონივით აცახცახდა, როდესაც მათი თითები ერთმანეთს შეეხო.

— რომ გიბრძანო, დაუმიზნე და ესროლე-მეთქი, ან დირექტორმა არდაიმ გითხრას, მოახერხებ?

— რასაკვირველია.

[1] *ბიჭი-საოცრება — იგივე რობინი, რომელიც ეხმარება ბეტმენს. კომიქსებში ბეტმენის შესახებ ეს სახელი რამდენიმე პერსონაჟს ჰქვია: დიკ გრეისონს, ჯეისონ ტოდს, ტიმ დრეიკს, სტეფანი ბრაუნს, დემიენ უეინსა და კერი კელის.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელისი არდაის მიუბრუნდა. მის სახეზე, მობოდიშებასთან ერთად, გამოწვევაც ჩანდა.

— არც ერთი წყვილი ხელი უქმად არ უნდა მოვაცდინოთ.

ახლა ყველანი შესასვლელთან იყვნენ, ხოლო **აკადემი-გროუვ-სიტგოს** ავტოგასამართი სადგური — ქუჩის მეორე მხარეს, ქალაქის ცენტრთან ცოტათი ახლოს. სვეტებთან იდგნენ და კიდევ მეორე, მომცრო წარწერას ხედავდნენ: **აკადემი-გროუვი — ავტოგასამართი სადგური — თხევადი აირი.** სადგურთან ერთადერთი მანქანა იდგა, გამოლებული კარით მძღოლის სავარძლის მხრიდან, ერთიანად მტვერში ამოგანგლული, თითქოს დიდი ხნის წინ მიატოვეს. შენობაში სადგურზე გამავალი დიდი ფანჯარა ჩამტვრეული იყო. შენობის მარჯვნივ, ახალ ინგლისში ძნელად გასახარებელი თელის ხეების ჩრდილში, პროპანით სავსე ორი ცისტერნიანი სატვირთო მანქანა იდგა. თითოეულს გვერდზე ეწერა: **აკადემი-გროუვი — ავტოგასამართი სადგური — თხევადი აირი. სამხრეთ ნიუ-ჰემფშირის მომსახურება 1982 წლიდან.**

აკადემ-ავენიუს ამ მონაკვეთზე მობილოგიჟები არ ჩანდნენ, მაგრამ სახლების უმრავლესობის წინ ფეხსაცმელები ეწყო. უმრავლესობის, მაგრამ არა — ყველა სახლის წინ. როგორც ჩანს, ლტოლვილების ნაკადი ამოიწურა. *„ძალიან ადრეა ამაზე საუბარი“*, — საკუთარი თავი გააფრთხილა კლაიმ.

— სერ, კლაი, ეს რა არის? — ჯორდანი ავენიუს ცენტრში მიუთითებდა, რომელიც ისევ 102-ე გზატკეცილად რჩებოდა, რაც უნდა ძნელი დასაჯერებელი ყოფილიყო ამ მზიან თბილ დღეს, რომლის სიჩუმეს მხოლოდ ჩიტების ჟღურტული და ხეების ტოტებში ქარის შრიალი არღვევდა. ჯორდანი ასფალტზე ღია ვარდისფერი ცარცით გამოყვანილ წარწერაზე მიუთითებდა, მაგრამ კლაი წარწერას წესიერად ვერ ხედავდა, ამიტომ თავი გააქნია.

— მზად ხარ? — ჰკითხა ტომს.

— რა თქმა უნდა, — ტომმა სცადა, უდარდელი ხმა ჰქონოდა, მაგრამ გაუპარსავ ყელზე ძარღვი ძლიერად უფეთქავდა, — შენ ბეტმენი ხარ, მე კი — ბიჭი-საოცრება.

ქუჩა იარაღით ხელში გადაჭრეს — ტომს პისტოლეტი ეჭირა, კლაის — რევოლვერი. კალაშნიკოვი კლაიმ ელისს დაუტოვა, მეტ-ნაკლებად იმაში დარწმუნებულმა, რომ უკუცემის ძალა გოგონას მიწაზე დააგდებდა, თუ ის იარაღის გამოყენებას შეეცდებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ასფალტზე ვარდისფერი წარწერა მოჩანდა:

კაშვაკი = არა-ტელ

— რამეს ხვდები? — შეეკითხა ტომი.

კლაიმ უარის ნიშნად თავი გააქნია. ჯერ ერთი, ვერაფერს ხვდებოდა და მეორეც, იმ მომენტში ეს სულ არ აღელვებდა. უნდოდა, რაც შეიძლება მალე მოშორებოდა აკადემ-ავენიუს შუაგულს, სადაც თავს ბრინჯის თასში ჩავარდნილ ჭიანჭველასავით დაუცველად გრძნობდა. მერე იმ აზრმა გაუელვა, პირველად — არა, რომ მზად იყო, სული გაეყიდა, ოღონდ კი სცოდნოდა, ცოცხალია თუ არა მისი შვილი და ახლა ისეთ უსაფრთხო ადგილზეა, სადაც ადამიანები იარაღს არ აძლევენ ყმაწვილებს, რომლებსაც ვიდეოთამაშები უთამაშიათ. ეს კი უცნაურად მოეჩვენა. ეგონა, პრიორიტეტები დიდი ხანია განსაზღვრა, პირადი ბანქოს დასტიდან კარტები სათითაოდ ამოჰქონდა, და უცებ კი ისეთი აზრები მოაწყდა თავში, ისეთი ცოცხალი და მტკივნეული, როგორც შეუხორცებელი ჭრილობა.

„წადი აქედან, ჯონი. აქ არაფერი გესაქმება. აქ არც შენი ადგილია, არც შესაფერისი დრო“.

პროპანისცისტერნიანი სატვირთო მანქანები ბოქლომებით იყო ჩაკეტილი, მაგრამ იმ დღეს ორივეს ბედმა გაუღიმა. გასაღებები ოფისში იპოვეს, ფირფიტის ქვეშ: **მანქანების გაყვანა შუალამიდან დილის ექვსამდე სასტიკად აკრძალულია. ამ ნესს გამონაკლისები არა აქვს.** თითოეულ აცმაზე ბრელოკი ეკიდა პატარა ცისტერნის სახით. კარიდან იმ კედლამდე, სადაც გასაღებები ინახებოდა, ნახევარი გზა იყო დარჩენილი, როდესაც ტომი კლაის მხარზე შეეხო.

ქუჩაში ერთმანეთის გვერდით ორი მობილოგიჟი მიდიოდა, მაგრამ უწესრიგოდ, ხელ-ფეხის მოძრაობა სინქრონულად შეუთანხმებელი ჩანდა. ერთ მათგანი ყუთიდან ტუინკისებს[1] ჭამდა და სახე კრემით, ნამცეცებითა და მინანქრით ჰქონდა მოთხვრილი. შორიახლოს მიმავალ ქალს ხელში გადაშლილი, დაახლოებით ყავის მაგიდისხელა წიგნი ეჭირა. კლაის ქალმა გუნდის მომღერალი მოაგონა, რომელსაც უზარმაზარი პარტიტურა გადაუშლია. წიგნის ყდას ამშვენებდა კოლი, რომელიც თასმებზე ჩამოკიდე-

[1] *ტუინკისი — ამერიკელი ხაბაზის, ჯეიმზ დიუერის მიერ გასული საუკუნის 30-იან წლებში გამოგონებული რეცეპტით დამზადებული ვანილისკრემიანი მოგრძო, ოქროსფერი ნამცხვარი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბულ, საავტომობილო ბორბლისგან დამზადებულ საქანელაზე ხტებოდა.

იმ ფაქტმა, რომ ქალს ხელში წიგნი უკულმა ეჭირა, კლაი დაამშვიდა. უფრო მეტად კი არაფრისმთქმელი, უაზრო სახეების ხილვამ შვებამ მოჰგვარა. ორნი მიდიოდნენ, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დღისით ჯოგური ინსტინქტი კიდევ უფრო სუსტდებოდა.

მაგრამ არ მოეწონა მათ ხელში წიგნის დანახვა.

არა, წიგნის დანახვა ძალიან არ მოეწონა.

მათ სვეტებს ჩაუარეს, ხოლო კლაიმ და ტომმა დაინახეს ელისის, ჯორდანისა და დირექტორის გაფართოებული თვალები, როდესაც ისინი სვეტების მილმა იცქირებოდნენ. ორმა გიჟმა გადაუარა ვარდისფერი ცარცით ტროტუარზე დატოვებულ წარწერას: „ᲙᲐᲨᲕᲐᲙᲘ=ᲐᲠᲐ-ᲢᲔᲚ“ — და ქალმა ტუინკისებიანი ყუთისკენ გაიწია, მის თანამგზავრს რომ ეჭირა ხელში. მერე წიგნი მოისროლა (ასფალტზე წიგნი ყდით მაღლა დაენარცხა და კლაიმ დაინახა, რომ ეს იყო *„მსოფლიოს 100 ყველაზე საყვარელი ძაღლი“*) და ისევ ყუთისკენ გაიწია. მამაკაცმა სახეში ისეთი ძალით გაარტყა, რომ ტურტლიანი თმა ყალყზე დაუდგა, ხოლო სილის ხმა დღის სიჩუმეში შორსაც გაისმა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ნაბიჯი არც ერთს შეუნელებია და არც მეორეს. ქალმა წარმოთქვა: „აუ!“, კაცმა რაღაც უპასუხა (კლაის მოესმა, როგორც *„იიინ!“*). ქალმა ისევ ნამცხვრისკენ გაიწია. ისინი სწორედ ავტოგასამართი სადგურის წინ იყვნენ. ამჯერად კაცმა კისერში მსუბუქად ჩასცხო ხელისგული, მერე ისევ ყუთში ჩაყო ხელი პირის ჩასატკბარუნებლად. ქალი გაჩერდა და შეხედა. ერთი წამის შემდეგ მამაკაციც გაჩერდა. ცოტათი წინ იყო წასული, ასე რომ, ქალისკენ ზურგშექცეული იდგა.

და კლაიმ მზის სინათლით გაჩახჩახებულ ავტოგასამართი სადგურის ოფისში უეცრად რაღაც იგრძნო. „არა, — გაიფიქრა მან, — *ოფისში არა, ჩემში. თითქოს სულის შეხუთვაა, ისეთი, როგორიც კიბეზე სწრაფად ასვლის შემდეგ გემართება*“.

მაგრამ მაინც ოფისში ხდებოდა რაღაც, იმიტომ, რომ...

ტომმა ფეხის წვერებზე აიწია და უჩურჩულა:

— ამას შენც გრძნობ?

კლაიმ თავი დაუქნია და მაგიდაზე თითით მიანიშნა. ოფისში ქარი არ უბერავდა, ნიავი არ იძვროდა, მაგრამ ფურცლები ირხეოდა. საფერფლეში ფერფლი დატრიალდა, ისე, როგორც წყალმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იცის დატრიალება აბაზანაში საცობის ამოღების შემდეგ, ხოლო ორი — არა, სამი ნამწვი უეცრად ცენტრისკენ გადაადგილდა, თითქოს ფერფლმა უბიძგაო.

მამაკაცი ქალისკენ შებრუნდა. სახეში მიაჩერდა. ქალიც უყურებდა. ახლა ერთმანეთს დაჟინებით უმზერდნენ. კლაისთვის მათი სახეები ისევ არაფერს გამოხატავდა, მაგრამ გრძნობდა, როგორ აებურძგლა მკლავებზე თმის ბუსუსები, ჩუმი წკრიალიც გაიგონა. მანქანების გაყვანის აკრძალვის შესახებ წარწერის ქვეშ, კედელზე ჩამოკიდებული გასაღებები წკრიალებდა. ისინიც აშკარად ამოძრავებულიყო და ერთმანეთს ეხლებოდა.

— აუ! — ქალმა ხელი გაიშვირა.

— *ეეეინ!* — უპასუხა კაცმა. კოსტიუმის ნაფლეთები შემორჩენოდა. შავი, მტვრიანი ფეხსაცმელი ეცვა. ექვსი დღით ადრე საშუალო რგოლის მენეჯერი იყო, კომივოიაჟორი ან საცხოვრებელი კომპლექსის მმართველი. ახლა კი მთელი უძრავი ქონება, რაც მის საზრუნავს წარმოადგენდა, ტუინკისების ერთი ყუთით შემოიფარგლებოდა. ყუთი გულში ჩაიკრა, გატკბილულ ტუჩებს აცმაცუნებდა, ყბებს გამალებული ამოძრავებდა.

— აუ! — არ ცხრებოდა ქალი. ერთის ნაცვლად ორივე ხელი გაიწვდინა უხსოვარი დროიდან ნაცნობი ჟესტით, რაც ნიშნავს „მომეცი!“ და გასაღებების წკრიალმაც იმატა. ტომისა და კლაის თავზე ფლუორესცენციული ნათურები აციმციმდა, თუმცა, ელექტროენერგია დიდი ხანია, გამორთული იყო, მერე ისევ ჩაქრა. ავტოგასამართ სადგურზე სამიდან ერთ-ერთი სვეტიდან პისტოლეტი ბუდიდან ჩასრიალდა და ასფალტზე ჟღრიალით დაეცა.

— აუ! — თქვა კაცმა. მხრებში მოიხარა, მისი სხეულიდან დაძაბულობა სადღაც გაქრა. დაძაბულობა გაქრა ჰაერშიც. გასაღებები აღარ წკრიალებდა. ფერფლის ნაწილაკებმა ტრიალი შეანელეს, მერე გაჩერდნენ.

„ვერც კი წარმოიდგენდი, რამე რომ მოხდა, რომ არა ბუდიდან გადმოვარდნილი საწვავის ჩასასხმელი პისტოლეტი და მაგიდაზე მდგარ საფერფლეში ცენტრისკენ წანაცვლებული ნამწვები“, — გაიფიქრა კლაიმ.

— აუ! — გაიმეორა ქალმა. ხელები ისევ წინ ჰქონდა გაშვერილი. მამაკაცი მიუახლოვდა, რომ ქალი ყუთს მისწვდომოდა. მან ორივე ხელში თითო ნამცხვარი ჩაბლუჯა და ისე დაიწყო ჭამა, შესახვევი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალალდი არც კი გაუხსნია, და კლაი მათმა ქცევამ ისევ დაამშვიდა, მაგრამ ცოტათი. ორივე მობილოგიუმა გზა ფეხების ფრატუნით განაგრძო, ქალი მხოლოდ წამით შეჩერდა, რომ ტუჩის კუთხით ცელოფანის ნაკუწი გადმოეფურთხებინა. წიგნი „მსოფლიოს 100 ყველაზე საყვარელი ძაღლი" აღარ აინტერესებდა.

— ეს რა იყო? — ჩუმი, აკანკალებული ხმით შეეკითხა ტომი, როდესაც წყვილი თვალს მიეფარა.

— არ ვიცი და რაც იყო, ძალიან არ მომწონს, — თქვა კლაიმ. ცისტერნიანი მანქანების გასალებები აილო და ერთი აცმა ტომს გაუწოდა, — მექანიკურგადამცემიანი მანქანის ტარება შეგიძლია?

— ტარება მექანიკურგადამცემიან მანქანაზე ვისწავლე. შენ?

კლაის გაეცინა.

— ტრადიციული ორიენტაცია მაქვს, ტომ. ტრადიციული ორიენტაციის ბიჭებმა იციან, როგორ გაუმკლავდნენ ჩვეულებრივ გადამცემ კოლოფს, ამას სწავლა არ სჭირდება. ეს სისხლში გვაქვს.

— ძალიან სასაცილოა, — თქვა ტომმა, რომელიც თითქოს არც უსმენდა, წინ იყურებოდა, თითქოს გონების თვალით ისევ იმ წყვილს უყურებდა. მის კისერზე ძარღვი კიდევ უფრო ძლიერად ფეთქავდა, — სამყაროს დასასრულია. და ახალი შესაძლებლობებიც მათთვის, ვინც ნორმალური აღარ არის, ასეა?

— სრული სიმართლეა. და ახალი შესაძლებლობები ნორმალურებისთვისაც, თუ ამ განავალს კონტროლს დაუქვემდებარებენ. წავედით, მოვრჩეთ საქმეს.

კარისკენ გაემართა, მაგრამ ტომმა ისევ შეაჩერა.

— მისმინე, ეს შეიძლებოდა დანარჩენებსაც ეგრძნოთ, ან არ ეგრძნოთ. თუ არ უგრძნიათ, იქნებ არ ღირდეს, ჯერჯერობით, ამის თქმა. შენ რას იტყვი?

კლაიმ გაიფიქრა ჯორდანზე, რომელიც მხედველობის არიდან არასოდეს უშვებდა დირექტორს, ელისზე, რომელსაც ხელში მუდამ ის პაწაწინა ბოტასი ეჭირა და რომლის დანახვაზე ტანში ჟრუანტელი უვლიდა. გაიფიქრა მათ ჩაშავებულ თვალებზე, იმაზეც, რისი გაკეთებაც ამ ღამისთვის ჩაიფიქრეს. არმაგედონი, ალბათ, მეტისმეტად თამამი განცხადება იყო, მაგრამ რაღაც ამგვარი იქნებოდა. ვინც უნდა ყოფილიყვნენ ამჟამად მობილოგიუები, ისინი მაინც ადამიანურ არსებებს წარმოადგენდნენ, რომელთა დაწვაც დაგეგმეს. დაწვა ცოცხლად. ათასობით არსების. ეს მძიმე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტვირთია. ამის გაფიქრებაზეც კი მის წარმოსახვას ტკივილი უმძაფრდებოდა.

— არა ვარ წინააღმდეგი. აღმართზე დაბალი სიჩქარით ავიდეთ, კარგი?

— ყველაზე დაბლით, რომელსაც კი მოვძებნი, — უპასუხა ტომმა. უკვე ცისტერნიანი მანქანებისკენ მიაბიჯებდნენ, — იმ სატვირთოს, როგორ ფიქრობ, რამდენი სიჩქარე აქვს?

— ერთი წინაც საკმარისია. იმის გათვალისწინებით, რომ დგანან, ჯერ უკანა სიჩქარის ძებნა მოგვიწევს.

— არა, — თავი გააქნია კლაიმ, — სამყაროს დასასრული იმით არის კარგი, რომ შეგიძლია, თავს უფლება მისცე და ეს წყეული მესერი გაიტანო.

ასეც მოიქცნენ.

21

აკადემიის კორპუსებიდან მაგისტრალამდე მიმავალ გრძელ, დაქანებულ ფერდობს დირექტორი არდაი და მისი ერთადერთი შემორჩენილი მოსწავლე აკადემიის ფერდობს უწოდებდნენ. აკურატულად გაკრეჭილი ბალახი ჯერ ისევ მწვანე იყო, თუმცა, მასზე პირველი ჩამოცვენილი ფოთლები გამოჩნდა. მოსაღამოვდა, მაგრამ აკადემიის ფერდობი ისევ ცარიელი იყო და მობილოგიუების დაბრუნების ნიშანწყალი არ ჩანდა. ელისი ჩითემ-ლოჯის გრძელ დერეფანში ბოლთას სცემდა და ყოველი მობრუნებისას სასტუმრო დარბაზის პანორამული ფანჯრიდან ათვალიერებდა მიდამოს. ფანჯრიდან შესანიშნავი ხედი იშლებოდა ფერდობზე, ორ სალექციო კორპუსსა და ტონი-ფილდზე. ნამცეცა ბოტასი მის მაჯაზე ქანაობდა.

დანარჩენები სამზარეულოში ისხდნენ და ქილის კოკა-კოლას სვამდნენ.

— უკან არ დაბრუნდებიან, — თქვა ელისმა ერთ-ერთი წრის გავლის შემდეგ, — გაიგეს ჩვენი განზრახვა, ჩვენი აზრები წაიკითხეს ან რაღაც სხვა საშუალება გამოიყენეს, მაგრამ არ დაბრუნდებიან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დერეფანში კიდევ ორი წრის გავლის შემდეგ, რომლის დროსაც აუცილებლად მიდიოდა პანორამულ ფანჯარასთან, გოგონამ ისევ სამზარეულოს მიაშურა:

— იქნებ საყოველთაო მიგრაცია დაიწყო? ამაზე რას ფიქრობთ? იქნებ სამხრეთისკენ დაიძრნენ, ზამთრის მოახლოება იგრძნეს, როგორც დაწყევლილმა მომთაბარე შაშვებმა?

პასუხისთვის არ დაუცდია. ისევ დერეფანში დააბიჯებდა.

— ნამდვილი კაპიტანი აქაბია, თავის მობის რომ დაეძებს, — თქვა დირექტორმა.

— შესაძლოა, ემინემი იდიოტია, მაგრამ ამ ბიჭზე[1] კი მართალი თქვა, — წამოსცდა ტომს.

— ვისზე ამბობთ, ტომ? — შეეკითხა დირექტორი. ტომმა პასუხად მხოლოდ ხელი ჩაიქნია.

ჯორდანმა საათს დახედა.

— გუშინ საღამოს ნახევარი საათით გვიან დაბრუნდნენ. თუ გინდათ, ვეტყვი ამის შესახებ.

— არა მგონია, ამან უშველოს, — უპასუხა კლაიმ, — ეს ყველაფერი უნდა გადახარშოს, მეტი არაფერი.

— წყობიდან არის გამოსული, ხომ ასეა, სერ?

— შენც ასე არა ხარ, ჯორდან?

— დიახ, — ჩუმად უპასუხა ჯორდანმა, — სრულ აუტში ვარ.

მომდევნო ჯერზე ელისმა სამზარეულოში შეიხედა, რათა ეთქვა:

— იქნებ უკეთესიც იყოს, თუ არ დაბრუნდნენ. არ ვიცი, თავიანთ ტვინებს ახლებურად გადატვირთავენ თუ არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რაღაც ძალიან ცუდი რამ გრძელდება. ეს დღეს იმ ორისგან ვიგრძენი. წიგნიანი ქალისა და ნამცხვრისყუთიანი კაცისგან, — თავი გააქნია, — ეშმაკმა წაიღოს.

და ვიდრე ვინმე ხმის ამოღებას მოასწრებდა, ისევ დერეფანში გავიდა საყარაულოდ, მაჯაზე ჩამოკიდებული ბეიბი-ნაიკის კონწიალით.

დირექტორმა ჯორდანს შეხედა.

— შენ თუ იგრძენი რამე, შვილო?

---

[1] *მობი — 1. 1851 წელს ჰერმან მელვილის მიერ დაწერილი რომანი „მობი დიკი“. მობი დიკი თეთრი კაშალოტია (ვეშაპი), რომლის დაჭერას ლამობს კაპიტანი აქაბი; 2. „მობი“ ამერიკელი მომღერლის, დიჯეისა და ფოტოგრაფის, რიჩარდ მელვილ ჰოლის მეტსახელია. ემინემმა მას „პატარა გოგონა“ უწოდა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვიდრე პასუხს გასცემდა, ჯორდანი შეყოყმანდა.

— რალაც ვიგრძენი. კეფაზე თმა ყალყზე დამიდგა.

დირექტორი მაგიდის მეორე მხარეს მსხდომთ მიუბრუნდა:

— თქვენ ორმა? თქვენ ხომ უფრო ახლოს იყავით?

მაგრამ პასუხის გაცემისგან ისინი ელისმა გადაარჩინა. სამზარეულოში აწითლებული ლოყებით, ფართოდ გახელილი თვალებით შევარდა. იატაკის ფილებზე მისი ბოტასების ძირები ჭრიალებდა.

— მოდიან, — თქვა გოგონამ.

22

პანორამულ ფანჯარასთან იდგნენ და უყურებდნენ, მობილოგიჟები მწყობრ რიგებად როგორ მოუყვებოდნენ აკადემიის ფერდობს. მათმა ჩრდილებმა მწვანე ბალახზე უზარმაზარი სპირალი წარმოქმნა. როგორც დირექტორი და ჯორდანი ეძახდნენ — ტონი-თაღთან — მიახლოებისთანავე, რიგები კიდევ უფრო შემჭიდროვდა და ისე მოჩანდა, თითქოს სპირალი ჩამავალი მზის ოქროსფერ სინათლეში ტრიალებდა, სინამდვილეში კი ჩრდილი უფრო შეიკრა და შემჭიდროვდა.

ელისი ნამცეცა ბოტასის გარეშე ველარ ძლებდა. მაჯიდან ჩამოიწყვიტა, ახლა მუჭში ეჭირა, რომელსაც შლიდა და კუმშავდა, შლიდა და კუმშავდა.

— დაინახავენ, რაც მოვიმოქმედეთ, შებრუნდებიან და წავლენ, — ხმადაბლა და სწრაფად თქვა, — წესით, ჭკუა უნდა ეყოთ, თუ წიგნების ალება შეუძლიათ, ასე უნდა მოხდეს.

— ვნახოთ, — თქვა კლაიმ. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მობილოგიჟები ტონი-ფილდზე *მივიდოდნენ*, თუნდაც რაიმე ისეთი შეენიშნათ, რაც მათ უცნაურ ჯგუფურ გონს საფრთხეზე მიანიშნებდა. სადაც იყო, დაბნელდებოდა, სხვაგან წასასვლელი კი არ ჰქონდათ. იავნანას სტრიქონი გაახსენდა, რომელსაც დედა უმღეროდა: „*დღეს ძალიან დავიღალეთ*“.

— იმედია, მოედანზე შევლენ, იმედია, იქვე დარჩებიან, — ელისმა უფრო დაუნია ხმას, — ასე მგონია, სადაცაა ავფეთქდები, —

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უცნაური ველური სიცილი ალმოხდა, — მაგრამ, წესით, *ესენი* უნდა აფეთქდნენ, ხომ ასეა? *ესენი,* — ტომი მისკენ შებრუნდა, — ყველაფერი რიგზეა. კარგად ვარ, ასე რომ, მოკეტე.

— უბრალოდ, იმის თქმა მინდოდა, რომ სწორედ ასე იქნება.

— ახალი საუკუნის უაზრობა. მამაჩემივით ლაპარაკობ. ჩარჩოების მეფესავით, — ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა და სწრაფად შეიმშრალა ხელისგულით.

— დამშვიდდი, ელის. იდექი და უყურე.

— ვეცდები, კარგი? ვეცდები.

— და მოეშვი მაგ ბოტასს, — ჯორდანის ხმაში გალიზიანება ისმოდა, — მაგის ჭრიალს ჭკუიდან გადავყავარ.

ელისმა თითქოს გაკვირვებულმა დახედა ბეიბი-ნაიკს, მერე ხელი თასმების ყულფში გაუყარა. უყურებდნენ, როგორ შემოვიდნენ მობილოგიჟები ტონი-თაღში. მათი რიგები შეთხელებულიყო და კლაის ეჭვი არ ეპარებოდა, ამაზე მეტი ადამიანი აკადემიის გამოსაშვები კლასის მოსწავლეების თამაშებს ესწრებოდა. დაინახეს, როგორ გაიარეს თაღი, მის მეორე მხარეს გამოჩნდნენ და მერე პანდუსებს დაუყვნენ. ეგონათ, მათი მოწესრიგებული სვლა ჯერ შენელდებოდა, მერე სულაც შეჩერდებოდნენ, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. მობილოგიჟებიდან უკანასკნელები, უმთავრესად, დაჭრილები და ტრავმირებულები, რომლებიც ერთმანეთს ეხმარებოდნენ, ისევ ჯგუფად შევიდნენ ფეხბურთის მოედანზე, მაგრამ გეიტენის აკადემიის კამპუსის დასავლეთი ნაწილის მილმა მზის ჩასვლიდან კარგა ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდნენ. როგორც საფოსტო მტრედები, რომლებიც ყოველთვის სამტრედეში ბრუნდებიან, ხოლო მერცხლები — კაპისტრანოში[1]. ცაზე პირველი ვარსკვლავის აკიაფებიდან ხუთ წუთში დინ მარტინმა „ყველას ოდესღაც ვილაც უყვარდა“ წამოიწყო.

— ტყუილად ვინერვიულე, ხომ ასეა? — იკითხა ელისმა, — სულელივით ვიქცეოდი. ასე ამბობს მამაჩემი.

— არა, — დაარწმუნა დირექტორმა, — ყველა სულელი მობილური ტელეფონით იყო, ძვირფასო. აი, რატომ არიან ისინი იქ, შენ კი აქ, ჩვენთან.

---

[1] *კაპისტრანო — ყოველწლიურად წმ. იოსების (19 მარტი) დღეს მთელი ამერიკის კლდის მერცხლები კალიფორნიაში, სოფელ სან-ხუან კაპისტრანოში ჩაფრინდებიან ხოლმე.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— როგორ მაინტერესებს, რაფი ახლა როგორ არის, — ჩაილაპარაკა ტომმა.

— როგორ მაინტერესებს, როგორ არიან ჯონი და შერონი, — დაამატა კლაიმ.

23

იმ ქარიანი შემოდგომის ღამის ათ საათზე მთვარისგან მხოლოდ მეოთხედი დარჩენილიყო. კლაი და ტომი ორკესტრისთვის განკუთვნილ ნიშაში იდგნენ, მასპინძლების ტრიბუნების მხარეს. მოედნიდან ბეტონის ბარიერი აშორებდათ, რომელიც სიმაღლით წელამდე სწვდებოდათ. მოედნის მხრიდან ბარიერზე რეზინის ფურცლები იყო აკრული. მათ მხარეს რამდენიმე დაჟანგული პიუპიტრი იდგა, ხოლო ნაგავი კოჭებამდე აღწევდა: საფეხბურთო მოედნიდან ქარს მოჰქონდა დახეული პაკეტები და ქაღალდის ნაკუწები, რომლებიც სწორედ აქ გროვდებოდა. მათ უკან, ზემოთ, ტურნიკეტებთან, ელისი და ჯორდანი აქეთ-იქით მხარში ედგნენ ხელჯოხზე დაყრდნობილ დირექტორს.

დები ბუნის ხმა მოედნის თავზე ისმოდა, მრავალრიცხოვანი დინამიკით გაძლიერებული. ჩვეულებრივ, მას ენაცვლებოდა ლი ენ უომეკი[1] სიმღერით „იმედია, ცეკვავ“, რასაც მოსდევდა ლოურენს უელკი და მისი „შამპან-მიუზიკ-მეიკერსი“, მაგრამ დღეს შესაძლოა, ამგვარი თანამიმდევრობა დარღვეულიყო.

ქარი გაძლიერდა და მას დახურული მანეჟის მიღმა მდებარე ჭაობიდან გვამების სუნი მოჰქონდა, რასაც ბეტონის ბარიერის მიღმა, ფეხბურთის მოედანზე მწოლიარე ცოცხალი არსებების სხეულების ჭუჭყისა და ოფლის სუნი ერთოდა. *„თუკი შეიძლება, მათ ცოცხალი უწოდო“*, — გაიფიქრა კლაიმ და გუნებაში მწარედ გაიღიმა. კაცობრიობის დიდი გასართობი, შესაძლოა, დიადიც, ლოგიკური დასაბუთების ძიებაა, მაგრამ დღეს თავის მოტყუებას არ აპირებდა: რასაკვირველია, ისინი ამას სიცოცხლეს უწოდებდნენ;

[1] *ლი ენ უომეკი (დაბ. 1966) — ამერიკელი ქანთრის მომღერალი და სიმღერების ავტორი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვინც უნდა ყოფილიყვნენ ადრე ან რადაც იქცნენ ამჟამად, ამას სიცოცხლეს უწოდებდნენ, ისე როგორც თავად კლაი.

— რას ელოდები? — შეეკითხა ტომი.

— არაფერს, — დაიჩურჩულა კლაიმ, — უბრალოდ... არაფერს.

ნიკერსონის სახლის სარდაფში ელისის ნაპოვნი ბუდიდან კლაიმ 45-კალიბრიანი „კოლტი" ამოიღო, რომელიც კვლავ დატენილი იყო. ელისმა ავტომატი შესთავაზა, რომელიც აქამდე არც კი უსვრიათ, მაგრამ კლაიმ უარი თქვა — თუ ეს რევოლვერი ვერ გააკეთებდა საქმეს, ესე იგი, სხვა ველარაფერი უშველიდა.

— ვერ გამიგია, ავტომატი რითია რევოლვერზე უარესი, თუ მას წამში ოცდაათი ან ორმოცი ტყვიის გასროლა შეუძლია, ცისტერნებს ხომ საცრად აქცევ.

კლაი ელისს დაეთანხმა, რომ მართლაც შეძლებდა ცისტერნა საცრად ექცია, მაგრამ ამ ღამეს მათ ცისტერნის დაცხრილვა კი არა, აირისთვის ცეცხლის მოკიდება სურდათ. მერე აუხსნა, რატომ დატენა ბეტ ნიკერსონმა თავისი იარაღი კანონით აკრძალული ვაზნებით. ისიც უთხრა, რომ ადრე ასეთ ვაზნებს მეტსახელად დუმ-დუმს[1] ეძახდნენ.

— კარგი. თუ რევოლვერმა არ უშველა, ყოველთვის შეგიძლია „სერ სწრაფი" გამოიყენო, — დაეთანხმა ელისი, — იმ შემთხვევაში, თუ ისინი... ხომ გესმის, — არ უთქვამს, მაგრამ თავდასხმა იგულისხმა და თავისუფალი ხელის თითებით, რომელშიც ბეიბი-ნაიკი არ ჰქონდა ჩაბლუჯული, ნაბიჯების გადადგმა აჩვენა, — თუ ასე მოხდა, რაც ძალი და ღონე გაქვს, გაიქეცი.

ქარმა კურსდამთავრებულების მისასალმებელი ტრანსპარანტი ჩამოგლიჯა და საფეხბურთო მოედანზე მწოლიარეთა სხეულებზე საცეკვაოდ გაუშვა. მოედნის გარშემო თითქოს სიბნელეში დაცურავდა ბუმბოქსების მანათობელი წითელი თვალები — ერთის გარდა, დანარჩენები სი-დი დისკის გარეშე უკრავდა. ტრანსპარანტი ერთ-ერთი სატვირთო მანქანის ბამპერს გამოედო, რამდენიმე წამს იტყლაშუნა, მერე ქარმა მოგლიჯა და სადღაც ღამეში გაფრინდა. სატვირთო მანქანები ერთმანეთის გვერდით, მოედნის ცენტრში იდგა და სხეულებს შორის ლითონის გორაკებივით ალმართულიყო. მობილოგიუებს მათ ქვეშაც ეძინათ და მათ გვერდითაც, ზოგიერ-

[1] *დუმ-დუმი — მსკდომი ტყვია, რომელიც უმძიმეს ჭრილობებს იწვევს.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თი ბორბლების სულ ახლოს იწვა. კლაის მოხეტიალე მტრედები გაახსენდა, რომლებსაც XIX საუკუნის მონადირეები მიწაზე დაშვებისას ხელკეტებით თავებს უხეთქდნენ. XX საუკუნის დასაწყისში ეს სახეობა გადაშენდა, მაგრამ... რასაკვირველია, ისინი მხოლოდ ფრინველები იყვნენ, თავიანთი პატარა, ფრინველისთვის შესაფერისი თავის ტვინით, რომელსაც გადატვირთვის უნარი არ ჰქონდა.

— კლაი, — დაუძახა ტომმა, — დარწმუნებული ხარ, რომ ამ საქმის ბოლომდე მიყვანა გინდა?

— არა, — უპასუხა კლაიმ. ახლა, როდესაც მხოლოდ ერთი ნაბიჯი იყო დარჩენილი, ძალიან ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა გაჩნდა. რა მოხდება, თუ ისე არ წარიმართა ყველაფერი, როგორც წარმოუდგენიათ? რას გააკეთებენ, თუ ყველაფერი გამოვიდა? — ეს იყო შემდეგი კითხვა, იმიტომ, რომ მოხეტიალე მტრედებს შურისძიება არ შეეძლოთ, მაგრამ, მეორე მხრივ, მინდორზე მწოლიარე ეს არსებები... — თუმცა, გავაკეთებ.

— მაშინ იმოქმედე, — უთხრა ტომმა, — იმიტომ, რომ სხვას ყველაფერს თავი დავანებოთ, „შენ ჩემი სიცოცხლის სინათლე ხარ“ მკვდარ ვირთხებს ჯოჯოხეთში გააცილებს.

კლაიმ 45-კალიბრიანი რევოლვერი ასწია, მარჯვენა მაჯას მარცხენა ხელი შემოავლო და მიზანში ამოილო მარცხენა ცისტერნა. ერთი მანქანისთვის ორი ტყვიის სროლას აპირებდა, ასევე ორის — მეორისთვის, ამის შემდეგ კიდევ თითო ტყვია დარჩებოდა თითოეული მანქანისთვის. თუ ტყვიები შედეგს ვერ მოიტანდა, მაშინ ავტომატს მოიშველიებდა, რომელსაც ელისი მხოლოდ „სერ სწრაფის“ სახელით მოიხსენიებდა.

— თუ ძალიან დიდი აფეთქება იქნა, ჩაიკუზე.

— ნუ ღელავ, — ტომს სახე დაემანჭა. როგორც ჩანს, გრძნობდა, რა მოჰყვებოდა სროლას.

დები ბუნი ხმამაღალ ფინალს უახლოვდებოდა და კლაიმ რატომღაც გადაწყვიტა, რომ მისთვის უნდა დაესწრო. *„თუ ამ მანძილიდან ააცილებ, მაიმუნი ხარ“*, — გაიფიქრა და სასხლეტს გამოჰკრა.

მეორე სროლის შესაძლებლობა აღარ ჰქონდა და აღარც იყო საჭირო. ღია წითელი ყვავილი ცისტერნის ცალ გვერდზე გაიშალა და მის შუქზე, გლუვი ზედაპირის ადგილზე, კლაიმ ღრმა ხვრელი დაინახა. ცისტერნის შიგნით კი ჯოჯოხეთი იყო და ის ახლა გა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რეთ გამოვარდა. ყვავილი მდინარედ იქცა, წითელი კი ნარინჯის-ფერ-თეთრით შეიცვალა.

— *დაწექი!* — დაიყვირა და ტომს ხელი ჰკრა, გადაეფარა იმ მომენტში, როდესაც ღამე უდაბნოში დღედ იქცა. ხმამაღალ შიშინს დაერთო „ბრახ“, რომელიც კლაიმ თავისი სხეულის ყველა ძვლით იგრძნო. თავზე ნამსხვრევები ეცემოდა. მოეჩვენა, რომ ტომმა დაიყვირა, თუმცა, დარწმუნებული არ იყო, რადგან მოედანმა კიდევ ერთხელ დაიგრიალა, ჰაერი კი გაცხელდა, გაცხელდა, გაცხელდა.

ტომს ნაწილობრივ კისერში, ნაწილობრივ კი საყელოში ხელი ჩაავლო და გაათრია ბეტონის პანდუსის უკან, რომელიც ტურნიკეტებისკენ მიდიოდა. თვალები ისე მოეჭუტა, მხოლოდ წვრილი ზოლი დარჩენილიყო, რათა ქუთუთოებს ისინი საფეხბურთო მოედნის შუაგულში აბრიალებული კაშკაშა კოცონისგან დაეცვა. მათგან მარჯვნივ, ტრიბუნებზე, რალაც უზარმაზარი დაენარცხა. შესაძლოა, ეს ერთ-ერთი მანქანის ძრავა იყო და ეჭვი არ ეპარებოდა, ფეხქვეშ გაჩენილი ლითონის ნამსხვრევები არც ისე დიდი ხნის წინ გეიტენის აკადემიის პიუპიტრებს წარმოადგენდა.

ტომმა იყვირა, სათვალე გვერდზე მოქცეოდა, მაგრამ უკვე ფეხზე იდგა, როგორც ჩანდა, სრულიად უვნებელი. გომორელი ლტოლვილებივით, ორივე ტურნიკეტებისკენ გაიქცა. კლაი საკუთარ და ტომის გრძელ, წვრილ, აბლაბუდის მსგავს ჩრდილებს ხედავდა; ყველაფერს ხედავდა, რაც ირგვლივ ეცემოდა: ხელები, ფეხები, ბამპერის ნაწილი, ქალის თავი აალებული თმით. მათ ზურგს უკან მეორედ გაისმა „ბრახ!“ ან შესაძლოა, მესამედაც, და ახლა თავად იყვირა. ფეხი აერია. გარშემო ტემპერატურა იმატებდა, ყველაფერი საშინლად კაშკაშა სინათლემ გაანათა. ისიც კი იფიქრა, ღმერთს ხომ არ შეეცილა.

„წარმოდგენა არ გვქონდა, რას ჩავდიოდით, — გაიფიქრა და გადმოფურთხებულ საღეჭ რეზინს, პიტნის კარამელის ყუთს, ცისფერ კეპს, უყურებდა, — *მცირედი წარმოდგენაც კი არ გვქონდა და ახლა საკუთარი უბადრუკი სიცოცხლით ვაგებთ პასუხს“.*

— ადექი! — გაისმა ტომის ხმა და გაიფიქრა, ტომი ყვირისო, მაგრამ ხმა დაახლოებით ერთი მილის დაშორებით ისმოდა. იგრძნო, ტომის ნატიფი, გრძელთითებიანი ხელები როგორ ჩაეჭიდა ცალ მკლავში. მერე ელისი გამოჩნდა და მეორე მკლავში ჩაეჭიდა და იმ სინათლეში გოგონა *თვალისმომჭრელად კაშკაშებდა.* კლაი ხედა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვდა, ნამცეცა ბოტასი როგორ გიჟურ რიტმში ქანაობდა მაჯაზე. ელისი სისხლით, სამოსის ნაგლეჯებით, აალებული ხორცის ნაფლეთებით იყო დაფარული.

კლაი წამოიწია, მერე ცალ მუხლზე დადგა, ხოლო ელისი არნახული ძალით ზემოთ მიათრევდა. მათ უკან პროპანის აირი დრაკონივით ღრიალებდა და სწორედ მაშინ შემოეშველათ ჯორდანი. მათკენ კოჭლობით, ავარდისფრებული სახით მოიჩქაროდა დირექტორი, რომლის თითოეული ნაოჭი ოფლს დაეცვარა.

— არა, ჯორდან, გზიდან გაიყვანე! — დაიყვირა ტომმა და ჯორდანმაც დირექტორს წელზე ხელი მოხვია, გვერდზე გაიყვანა და ამ დროს მოხუცი შებარბაცდა. ელისის ფეხებთან დაეცა ალმოდებული, ჭიპში რგოლგაყრილი ტორსი, რომელსაც გოგონამ ფეხი ჰკრა და ქვემოთ ჩააგდო. *„ხუთი წელია, სოკერს ვთამაშობ“*, — გაახსენდა კლაის მისი ნათქვამი. ცეცხლმოკიდებული პერანგის ნაგლეჯი ელისს კეფაში მოხვდა და კლაიმ მისი გადაგდება მანამდე მოასწრო, ვიდრე თმაზე ცეცხლი წაეკიდებოდა.

პანდუსის წვერს რომ მიაღწიეს, ავტომობილის სანახევროდ დამწვარი ბორბალი ღერძის ნაწილითურთ ტრიბუნის ბოლო რიგზე დაეცა. მათთვის გზა რომ გადაეჭრა, დაიწვებოდნენ, დირექტორი აუცილებლად დაიწვებოდა. ახლა კი გალწევა მოახერხეს, სუნთქვაშეკრულები გარბოდნენ, რომ შავი, ზეთოვანი ჭვარტლი არ შეესუნთქათ. წამის შემდეგ უკვე ტურნიკეტები გაიარეს. ჯორდანი დირექტორს ცალ მხარში ედგა, კლაი — მეორე მხარეს, მოხუცი თითქმის ხელით მიჰყავდათ. კლაის ყურში ორჯერ მოხვდა დირექტორის ხელჯოხი, მაგრამ ოცდაათი წამის შემდეგ უკვე ტონი-თაღის ქვემოთ იდგნენ, ცეცხლის უზარმაზარ სვეტს უყურებდნენ, რომელიც ტრიბუნებს, პრესის ლოჟას ასცდა. სახეებზე ყველას გაოგნება ალბეჭდოდა.

კურსდამთავრებულთა შეხვედრის მისასალმებელი ალმოდებული ტრანსპარანტი ქარმა მთავარ საბილეთო სალაროსთან დააგდო და იქვე დარჩა, ნაპერწკლებს ისროდა.

— იცოდი, რომ ამით დამთავრდებოდა? — შეეკითხა ტომი, თვალების გარშემო კანი თეთრი დარჩენოდა, დანარჩენი ასწითლებოდა. ულვაშის ნახევარიც დასწვოდა. კლაის მისი ხმა ესმოდა, მაგრამ ძალიან შორიდან. ყველა ბგერა მოგუდულიყო, ყურებში თითქოს ბამბა ედო ან სპეციალური საყურისით ჰქონდა დაფარული, სწო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რედ ისეთით, რომლის გაკეთებასაც არნი ნიკერსონი უეჭველად აიძულებდა ბეტს მათ საყვარელ ტირში სტუმრობისას. ტირში ორივენი ისროდნენ, ქამრის ცალ მხარეს მობილური ტელეფონები ეკიდათ, მეორე მხარეს — პეიჯერები.

— *ეს იცოდი?* — ტომმა მისი შენჯღრევა სცადა, მაგრამ მარტო პერანგი შერჩა ხელთ და ქამრამდე ჩამოახია.

— ჯანდაბა, გაგიჟდი? — კლაის არა მხოლოდ ხრინწიანი, არამედ, როგორც თავად ჩათვალა, თითქოს დახრუკული ხმა ჰქონდა, — გგონია, რევოლვერით ხელში იქ დავდგებოდი, რომ მცოდნოდა, რა მოხდებოდა? ბეტონის ბარიერი რომ არა, ორად გაგვგლეჯდა, ან იქვე აგვაორთქლებდა.

— დაუჯერებელია, — გაიცინა ტომმა, — შენი პერანგი გავხიე, ბეტმენ.

კლაის მისთვის თავის გახეთქა სურდა, თანაც უნდოდა, მოხვეოდა და ეკოცნა, იმიტომ, რომ ის ცოცხალი იყო.

— ლოჯში დაბრუნება მინდა, — ჯორდანის ხმაში აშკარა შიში ისმოდა.

— მართლაც, მოდი, უსაფრთხო მანძილზე გადავიდეთ, — დაეთანხმა დირექტორი. მთელი სხეულით აკანკალებდა, მაგრამ თვალს ვერ აცილებდა თაღის მილმა და ტრიბუნებზე მოკაშკაშე ჯოჯოხეთის კოცონს, — მადლობა ღმერთს, ქარი აკადემიის ფერდობისკენ უბერავს.

— სიარულს შეძლებთ, სერ? — შეეკითხა ტომი.

— დიახ, გმადლობ. თუ ჯორდანი დამეხმარება, დარწმუნებული ვარ, ლოჯამდე მისვლასაც შევძლებ.

— ეს გავაკეთეთ, — ელისი დაბნეულად იცილებდა სახიდან სხეულის ნაფლეთებს და სისხლის წვეთებს, მაგრამ კვალი მაინც ემჩნეოდა, ხოლო მისი თვალები... ასეთი თვალები კლაიმ მხოლოდ 1950-1960-იანი წლების რამდენიმე ფოტოსა და კომიქსში ნახა. ახსოვდა, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა როგორ ჩავიდა კარიკატურისტების კონგრესზე და იქ უოლეს ვუდი[1] ჰყვებოდა თავის მცდელობაზე, დაეხატა, მისი თქმით, პანიკის თვალები. ახლა კლაი სწორედ ამ თვალებს ხედავდა ბოსტონისგარეუბნელ თხუთმეტი წლის გოგონას სახეზე.

---

[1] *უოლეს ვუდი (1927-1981) — ცნობილი ამერიკელი კარიკატურისტი და მრავალი კომიქსის ავტორი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ელის, წავედით! — დაუძახა კლაიმ, — ლოჯში უნდა დავბრუნდეთ და ბარგი ჩავალაგოთ! აქედან უნდა წავიდეთ! — როგორც კი ეს სიტყვები თქვა, მეორედ გაიმეორა იმის გასაგებად, იყო თუ არა მათში სიმართლის ნატამალი. მეორედ წარმოთქმისას, სიმართლის გარდა, შიშიც გაისმა.

ელისის ყურებამდე კი ამ სიტყვებს, როგორც ჩანს, არ მიულწევია. მას უხაროდა. ზეიმობდა. გულისრევამდე ტკბებოდა ტრიუმფით, როგორც ბავშვი, რომელიც ჰელოუინის დღესასწაულზე შინისკენ მიმავალი კანფეტებს აგროვებს. თვალის გუგებში ცეცხლი ედგა.

— ვერავინ გადარჩა!

ტომმა კლაის ხელი სტაცა. ხელი ისე აეწვა, როგორც დამწვრობისას იცის.

— რა დაგემართა?

— ჩემი აზრით, შეცდომა დავუშვით, — უპასუხა კლაიმ.

— იგივე, რაც ავტოგასამართ სადგურზე? — შეეკითხა ტომი. დაგრეხილი სათვალის მილმა თვალები არ ულიმოდა, — როცა ქალი და კაცი ერთმანეთს იმ იდიოტური ნამცხვრის გამო...

— არა. უბრალოდ, ჩემი აზრით, შევცდით, — უპასუხა კლაიმ. თუმცა, შეეძლო უფრო გარკვევითაც ეთქვა. მან *იცოდა*, რომ შეცდომა დაუშვეს, — წავედით. ამალამვე უნდა გავუდგეთ გზას.

— თუკი ასე თვლი, წინააღმდეგი არა ვარ, — თავი დაუქნია ტომმა, — ელის, წავედით.

გოგონა მათ უკან გაჰყვა ჩითემ-ლოჯისკენ მიმავალ ბილიკზე, სადაც რამდენიმე ანთებული აირის ლამპა პანორამული ფანჯრის რაფაზე დაეტოვებინათ; მერე შებრუნდა და კიდევ ერთხელ შეხედა ფეხბურთის მოედანს. პრესის ლოჟა ტრიბუნებთან ერთად იწვოდა. ცაზე ვარსკვლავები გაქრა, მთვარე აჩრდილად იქცა, რომელიც ჯიგას[1] ცეკვავდა აირის უზარმაზარი მცხუნვარე კოცონის თავზე.

— დაიხოცნენ, ალარ არიან, შეიხრუკნენ, — თქვა გოგონამ, — დაიწვნენ, პატარა, მათი...

და ამ დროს გაისმა ყვირილი, მაგრამ ამჯერად არა გლენს-ფოლსიდან და არც ლიტლტონიდან, რომლებიც ათი მილით იყო დაშორებული გეიტენიდან. მისი წყარო საფეხბურთო მოედანზე, მათ

[1] *ჯიგა — ხალხური ცეკვა და მუსიკა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა XVI საუკუნის ინგლისში.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზურგს უკან იყო. ყვირილში არც გაბრაზება, არც მრისხანება ისმოდა, ეს იყო აგონიის ყვირილი, რაღაცის — ერთი არსების, ამასთან, *გონიერის*, ამაში კლაის ეჭვი არ ეპარებოდა, — ყვირილი, რამაც გამოიღვიძა და დაინახა, რომ ცოცხლად იწვის.

ელისი ანივლდა და ყურებზე ხელები აიფარა, მისი გადმოკარკლული თვალები კოცონს მიშტერებოდა.

— ყველაფერი უკან უნდა დავაბრუნოთ, — ჯორდანმა დირექტორს ხელი წაავლო, — სერ, ყველაფერი უნდა დავაბრუნოთ.

— ძალიან გვიანაა, ჯორდან, — უპასუხა არდაიმ.

24

დატენილი ზურგჩანთები ერთი საათის შემდეგ ჩითემ-ლოჯის გასასვლელთან დააწყვეს. თითოეულში ეწყო ორი ხელი სუფთა პერანგი, პაკეტები ჩირისა და ნიგვზის ნარევით, ხილის წვენების მუყაოს ყუთები, ცელოფანში გახვეული შებოლილი ძეხვი, ასევე, ბატარეები და სათადარიგო ფარნები. კლაიმ ტომი და ელისი დაარწმუნა, რაც შეიძლება სწრაფად ჩაელაგებინათ ნივთები, ახლა კი თავად მირბოდა ნამდაუწუმ პანორამულ ფანჯარასთან გარეთ გასახედად.

აირის კოცონმა სიმძლავრე თანდათან დაკარგა, მაგრამ ტრიბუნები და პრესის ლოჟა ჯერ კიდევ იწვოდა. ტონი-თაღი სიბნელეში ნალივით ანათებდა. საფეხბურთო მოედანზე ცოცხალი ვერაფერი გადარჩებოდა — ელისი მართალს ამბობდა — მაგრამ ლოჯში დაბრუნების შემდეგ (დირექტორი ისე ბარბაცებდა, როგორც ბებერი ლოთი, იმის მიუხედავად, რომ მხარში ედგნენ) კიდევ ორჯერ გაიგონეს ის საზარელი ყვირილი, რომელიც ადრე ქარს სხვა ჯოგებიდან მოჰქონდა. კლაი თავს არწმუნებდა, რომ ამ ყვირილში არ ისმოდა ბრაზი, რომ ეს მხოლოდ მისი წარმოსახვაა — დამნაშავის წარმოსახვა, მასობრივი მკვლელობის ჩამდენის წარმოსახვა — მაგრამ თავის ბოლომდე დარწმუნება ვერ შეძლო.

შეცდომა დაუშვეს, განა შეიძლებოდა სხვაგვარად მომხდარიყო? მან და ტომმა წინადღით იგრძნეს, როგორ იკრებდნენ ძალას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მობილოგიჟები, *დაინახეს* ამ ძალის გამოვლინება, არადა, მხოლოდ ორნი იყვნენ იმ ქუჩაში, მხოლოდ ორნი. უმოქმედოდ ხომ არ ისხდებოდნენ? ნუთუ საშუალება უნდა მიეცათ, გაეგრძელებინათ ძალის მოკრება?

„რალაცას გააკეთებ — ცუდია, არაფერს მოიმოქმედებ — ესეც ცუდია“, — წაიბურტყუნა და ფანჯარას ზურგი შეაქცია. ისიც არ იცოდა, რამდენ ხანს უყურებდა აალებულ სტადიონს და თავს აიძულებდა, საათისთვის არ შეეხედა. ვირთხა-პანიკისთვის დანებება ისეთი ადვილი იყო, თითქმის უკვე ამ მიჯნამდე მივიდა, მაგრამ რომ დანებებოდა, პანიკა სხვებსაც ადვილად გადაედებოდა, უპირველესად, ელისს. ელისი ჯერ კიდევ აკონტროლებდა თავს, მაგრამ მისი დაკარგვის ზღვარზე იდგა. ეს ძალიან მყიფე ზღვარია. *„ისეთი მყიფე, რომ მის მილმა გაზეთის კითხვა შეგიძლია“*, — შეეძლო ეთქვა ბინგოს მოთამაშე დედამისს. თავად ჯერ კიდევ ბავშვი ელისი თავს აკონტროლებდა უფრო იმიტომ, რომ სასოწარკვეთა არ დაუფლებოდა მეორე ბავშვს.

მეორე ბავშვი. ჯორდანი.

კლაი ჰოლისკენ სწრაფი ნაბიჯით გაემართა და დაინახა, რომ მეოთხე ზურგჩანთა ისევ არ იდო. მერე კიბეზე ჩამომავალი ტომი დაინახა. ისიც მარტო იყო.

— ბიჭი სად არის? — შეეკითხა კლაი. ყურების დაგუბებამ ცოტათი გაუარა, მაგრამ საკუთარი ხმაც კი შორიდან ესმოდა, თითქოს სხვა ლაპარაკობდა. მიხვდა, რომ მცირე ხანს ეს მდგომარეობა არ გაუვლიდა, — თითქოს ბარგის ჩალაგებაში უნდა მიხმარებოდი. არდაიმ თქვა, საერთო საცხოვრებლიდან სალაშქრო ჩანთა გამოიტანაო.

— არ მოდის, — ტომმა ლოყა მოიფხანა. დაღლილი, მოწყენილი, დაბნეული ჩანდა. და კიდევ, სანახევროდ შეტრუსული ულვაშით — სასაცილოც.

— *რაო?*

— ხმას დაუწიე, კლაი. ახალ ამბებს არ ვქმნი, მხოლოდ მოგახსენებ.

— მაშინ, თუ ღმერთი გწამს, ამიხსენი, რას ამბობ?

— დირექტორის გარეშე არ წამოვა. ასე თქვა, ვერ მაიძულებთო. და თუ სერიოზულად ფიქრობ, რომ დღეს უნდა წავიდეთ, ჩემი აზრით, მართალია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სამზარეულოდან ელისი გამოვიდა. დაიბანა, თმა კეფაზე აიწია, ახალი, თითქმის მუხლამდე სიგრძის პერანგი ჩაიცვა. კანი თითქოს ეწვოდა. კლაი ვარაუდობდა, რომ მასაც ამგვარადვე უპრიალებდა კანი. ალბათ, ბედმა გაულიმათ, რომ წყლულების გარეშე გადარჩნენ.

— ელის, — კლაი გოგონას მიუბრუნდა, — ძალიან მჭირდება, რომ მთელი შენი ქალური მომხიბვლელობა მოიშველიო და ჯორდანი დაარწმუნო. გაჯიუტდა.

გოგონამ ისე ჩაუარა, თითქოს მას არც ელაპარაკებოდნენ. თავის ზურგჩანთასთან მუხლებზე დადგა, გახსნა და შიგ გამალებით ქექვა დაიწყო. კლაი დაბნეული უყურებდა, როგორ ამოყარა ნივთები, მერე ტომს შეხედა და მის სახეზე თანაგრძნობა ამოიკითხა.

— რა? — იკითხა კლაიმ, — რა ჯანდაბა ხდება? — ის გაღიზიანება იგრძნო, რომელიც შერონთან ერთად ცხოვრების ბოლო პერიოდში ხშირად ეუფლებოდა ხოლმე და საკუთარი თავი ეზიზღებოდა, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფმა თავს უფლება მისცა, ნერვებს აჰყოლოდა, მაგრამ ეშმაკმა დალახვროს, რა საჭირო იყო ახალი გართულება? თმაზე ხელი გადაისვა, — რა მოხდა?

— მის მაჯას შეხედე, — უპასუხა ტომმა.

კლაიმ შეხედა და მხოლოდ ჭუჭყიანი თასმა დაინახა, ბეიბი-ნაიკი ალარ იყო. იგრძნო, როგორ შეეკუმშა გული. იქნებ ეს ყველაფერი არც ისეთი სისულელეა. თუ ნამცეცა ბოტასი ასე ბევრს ნიშნავდა ელისისთვის, იქნებ ის რალაცას *განასახიერებდა*? იმის მიუხედავად, რომ ჩვეულებრივი ბოტასი იყო.

სათადარიგო მაისური და სვიტრი (მკერდზე წარწერით **ბეი-ტენ-ბუსტერს-კლაბი**) იატაკზე ალმოჩნდა. გაგორდა ბატარეები. იატაკზე დაეცა ფარანი და მინის დამცავი პლასტმასის სახურავი გაიბზარა. ეს საკმარისი იყო იმისთვის, რათა კლაი დარწმუნებულიყო, რომ საქმე აქვს არა სკანდალთან, რომელსაც შერონ რიდელი აწყობდა სახლში ნიგვზიანი ყავის სასმლის ან „ჩანკი-მანკი ნაყინის" არქონის გამო. არა, ელისი ენით აუწერელმა შიშმა შეიპყრო.

გოგონას მიუახლოვდა, გვერდით ჩამოუჯდა და მაჯაზე ხელი მოჰკიდა. გრძნობდა, როგორ გარბოდა წამები, გადიოდა წუთები, რომლებითაც შეეძლოთ, ესარგებლათ და ქალაქიდან წასულიყვნენ. ასევე გრძნობდა, როგორ გამალებით უცემდა გული და ელისის თვალებს ხედავდა. მათში ჩანდა არა პანიკა, არამედ აგონია და კლაი მიხვდა, ეს პატარა ბოტასი მისთვის ყველაფერი იყო: დედა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამა, მეგობრები, ბეტ ნიკერსონი და მისი ქალიშვილი, ტონი-ფილ-
დის ჯოჯოხეთი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

— აქაც არ არის! — დაიყვირა ელისმა, — მეგონა, ჩავდე, მაგრამ
შევცდი! *ვერსად ვპოულობ!*

— ვერ პოულობ, ვიცი, საყვარელო, — კლაის მისი ხელები ეჭირა.
ჯერ ცალი ასწია მის მაჯაზე გაკვანძული თასმით, მერე მეორე, —
ხედავ? — დაიცადა, ვიდრე მზერა მაჯაზე ფოკუსირდებოდა, მერე
თასმის თავისუფალ ბოლოებს შეეხო, სადაც ადრე, მეორე კვანძზე,
ბეიბი-ნაიკი კონწიალობდა.

— რა გრძელი ყოფილა, — თქვა გოგონამ, — ადრე თასმები ასე-
თი გრძელი არ იყო.

კლაი შეეცადა, გაეხსენებინა, ბოლოს როდის დაინახა ნამცეცა
ბოტასი. თავს არწმუნებდა, რომ ასეთი რაიმეს გახსენება შეუძლე-
ბელია უკანასკნელი მოვლენების გამო, მაგრამ უეცრად გაახსენ-
და, თან ძალიან ცხადად. ბოტასი ელისის მაჯაზე მაშინ დაინახა,
როდესაც ის ტომთან ერთად წამოდგომაში ეხმარებოდა პროპანის
მეორე ცისტერნის აფეთქების შემდეგ. გოგონა სისხლით, სამოსის
ნაკუწებით, სხეულის ნაფლეთებით იყო მოსვრილი, მაგრამ მის მა-
ჯაზე ბეიბი-ნაიკი ეკიდა. მერე სცადა, გაეხსენებინა, ჰქონდა თუ არა
ბოტასი, როდესაც ცეცხლმოკიდებული ტორსი ფეხით მოისროლა
პანდუსიდან, და ჩათვალა, რომ არა. ზუსტად თქმა არ შეეძლო, მა-
გრამ გადაწყვიტა, რომ იმ მომენტში ელისს ბოტასი აღარ ჰქონდა.

— კვანძი მოეშვა, საყვარელო, მოეშვა და ჩამოვარდა.

— *დავკარგე?* — ელისს ვერ დაეჯერებინა. თვალები ცრემლით
აევსო, — *დარწმუნებული ხარ?*

— ჰო.

— ჩემი თილისმა იყო, ილბალი მოჰქონდა, — ლოყებზე ცრემლე-
ბი ჩამოუგორდა.

— არა, — მიახლოებული ტომი მხრებზე მოეხვია, — შენი ილბა-
ლი ჩვენ ვართ.

გოგონამ შეხედა.

— რა იცი?

— იმიტომ, რომ პირველმა გვიპოვე, — უპასუხა ტომმა, — და
მას შემდეგ ერთად ვართ.

ელისი ორივეს მოეხვია, ისინი კი გოგონას და ცოტა ხანს ასე ჩახ-
ვეულები იდგნენ, იატაკზე მიმოფანტულ ელისის ნივთებს შორის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

25

ცეცხლმა მიაღწია სალექციო კორპუსამდე, რომელსაც დირექტორი ჰეკერი-ჰოლს უწოდებდა. მერე, დილის ოთხი საათისთვის, ქარი ჩადგა და ხანძრის გავრცელება აღარ შეეძლო. გამთენიისას გეიტენის აკადემია ჯერ კიდევ ყარდა პროპანით, დამწვარი ხისა და უამრავი დამწვარი სხეულის სუნით. ახალი ინგლისის ოქტომბრის დილის იდეალურ ცას ლაქად აჩნდა სვეტად აზიდული შავი კვამლი და ჩითემ-ლოჯის დირექტორის რეზიდენციაში ისევ ადამიანები ცხოვრობდნენ. დომინოს პრინციპი ამოქმედდა: დირექტორი უმანქანოდ ვერ იმოგზაურებდა, ჯორდანი დირექტორის გარეშე არ წავიდოდა. არდაიმ მისი გადარწმუნება ვერ შეძლო. ელისი შეურიგდა თილისმის დაკარგვას, მაგრამ კატეგორიული უარი თქვა, აკადემიიდან ჯორდანის გარეშე წასულიყო. ტომი ელისის გარეშე არსად წავიდოდა, კლაის კი ვერ წარმოედგინა, ამ ორს დაშორებოდა, თუმცა, თავზარი დაეცა, როდესაც მიხვდა, რომ ეს ორეული, მის ცხოვრებაში სულ ახლახან შემოჭრილი, დროებით საკუთარ ვაჟიშვილზე მნიშვნელოვანი გახდა. ამასთან, დარწმუნებული იყო, რომ ძვირად დაუჯდებოდათ ტონი-ფილდში ჩადენილი, თუ ისევ გეიტენში დარჩებოდნენ, რომ არაფერი ვთქვათ დანაშაულის ადგილზე მათი პოვნის შესახებ.

ეგონა, გათენებასთან ერთად ხასიათი გამოუკეთდებოდა, მაგრამ შეცდა.

ხუთივე სასტუმრო ოთახის პანორამულ ფანჯარასთან იდგა და ელოდებოდა, მაგრამ, რასაკვირველია, ხანძრიდან არავინ გამოსულა და იქიდან აღარც ხმა ისმოდა, თუ არ ჩავთვლით, ცეცხლის ტკაცატკუცს, რომელიც ტრიბუნების ქვემოთ რომელილაც ნაგებობებს ნთქავდა, იმიტომ, რომ ტრიბუნებისგან აღარაფერი დარჩა. ათასამდე მობილოგიჟი, ელისის თქმით, ძვლებამდე დაიხრუკა და ამ დახრუკული ძვლების სუნი მთელი კამპუსის თავზე ტრიალებდა, ხუთივეს ყელში ეჩხირებოდა. კლაის ერთხელ გული აერია და იცოდა, სხვებსაც ასე დაემართათ, დირექტორსაც კი.

„შეცდომა დავუშვით“, — გაიფიქრა ისევ.

— უნდა წასულიყავით, — თქვა ჯორდანმა, — ჩვენ არაფერი გაგვიჭირდებოდა. აქამდე ხომ მოვიტანეთ თავი, ასე არ არის, სერ? — მიმართა დირექტორს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არდაის პასუხი არ გაუცია, დაჟინებით უყურებდა კლაის.

— რა მოხდა გუშინ, როდესაც შენ და ტომი ავტოგასამართი სადგურის ოფისში იყავით? მგონი, დღეს ასე იმიტომ გამოიყურებით, რომ იქ რალაც მოხდა.

— ჰოო? და როგორ გამოვიყურები?

— როგორც ნადირი, რომელმაც დაგებული ხაფანგის არსებობა იგრძნო. იმ ორმა, ქუჩაში, დაგინახათ?

— არა, ასეთი რამ არ ყოფილა, — კლაის არ მოეწონა, ნადირს რომ შეადარეს, მაგრამ ვერ მოეშორებინა ფიქრი იმაზე, რომ მისგან დიდად არ განსხვავდებოდა: ჟანგბადი და საკვები — სხეულის შიგნით, ნახშირორჟანგი და ექსკრემენტები — სხეულის გარეთ. რითი სჯობია ნადირს?

დირექტორმა მარცხენა გვერდი ნერვიულად დაიზილა. ეს ჟესტი, კლაისა და სხვა ბევრის აზრით, ზედმეტად თეატრალური გახლდათ. არა, მაყურებლის გასაღიზიანებლად არ იყო განკუთვნილი, მაგრამ აუდიტორიას უკანა რიგიდანაც უნდა დაენახა.

— მაშ, რა მოხდა?

რაკი ახლა აზრი არ ჰქონდა დანარჩენებისთვის ზედმეტი მღელვარების თავიდან არიდებას, კლაიმ დეტალურად უამბო დირექტორს ყველაფერი, რაც ნახეს და გაიგონეს ავტოგასამართი სადგურის ოფისში ყოფნისას: ჩხუბი ნამცხვრის ყუთისთვის, რაც კიდევ რალაცაში გადაიზარდა; მოუყვა მაგიდაზე აშრიალებული ფურცლების, საფერფლეში დატრიალებული ფერფლისა და ადგილწანაცვლებული ნამწვების, აწკრიალებული გასაღებების, ბენზინის ჩასასხმელი პისტოლეტის ბუდიდან ამოვარდნის შესახებ.

— ეს მეც დავინახე, — თქვა ჯორდანმა და ელისმაც დაუდასტურა.

ტომმა თქვა, რომ უეცრად სუნთქვა გაუჭირდა და მის სიტყვებს დაეთანხმა კლაიც. ორივე საკუთარი გრძნობების გადმოცემას ცდილობდა იმის თაობაზე, რომ ჰაერში რალაც უხილავი ენერგია იგრძნობოდა. კლაის თქმით, ასეთი რამ მხოლოდ ელჭექის წინ ხდება ხოლმე. ტომმა თქვა, რომ იმ წუთებში ჰაერი უფრო *დაიმუხტა*, უფრო დამძიმდა.

— მერე კაცმა იმ წყეული ნამცხვრის აღების უფლება მისცა და დაძაბულობა გაქრა, — დაამატა ტომმა, — ფერფლმა ტრიალი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეწყვიტა, გასაღებები აღარ წკრიალებდა, ჰაერიც წინანდებური დაბრუნდა, — მერე კლაის შეხედა, მისგან კვერის დაკვრას ელოდა. კლაიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ადრე რატომ არ მიამბეთ ეს ყველაფერი? — შეეკითხა არდაი.

— იმიტომ, რომ ეს არაფერს შეცვლიდა, — თქვა კლაიმ, — ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გაგვენადგურებინა ეს ბუდე.

— ჰო, — თავი დაუქნია ტომმა.

— თქვენი აზრით, მობილოგიჟები ფსიონიკებად იქცნენ? — უეცრად იკითხა ჯორდანმა.

— არ ვიცი, ეგ სიტყვა რას ნიშნავს, ჯორდან, — აღიარა ტომმა.

— პირველ რიგში, ადამიანებს, რომლებსაც ნივთების გადაადგილება შეუძლიათ მათზე შემთხვევით გაფიქრებით, როდესაც ემოციებზე კონტროლს კარგავენ, მაგრამ ფსიონიკების ისეთი თვისებები, როგორიცაა ტელეკინეზი და ლევიტაცია...

— ლევიტაცია? — წამოიყვირა ელისმა.

ჯორდანს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია და განაგრძო:

— მხოლოდ ტოტებია, ხოლო ფსიონიკური ხის ტანი ტელეპათიაა და თქვენ ამის გეშინიათ, ასეა? ტელეპათიის?

ტომმა თითით მოისინჯა არე ზედა ტუჩის თავზე, იქ, სადაც ულვაშის ერთი ნახევრიდან მხოლოდ აწითლებული კანი დარჩა.

— ჰმ, ასეთი რამ კი მიფიქრია, — მერე დადუმდა, — იქნებ მართლაც ასეა. არ ვიცი.

ჯორდანს არც ამ რეპლიკისთვის მიუქცევია ყურადღება.

— დავუშვათ, ისინი იცვლებიან. ნამდვილი ტელეპათები ხდებიან და არა უბრალოდ ზომბები ჯოგური ინსტინქტებით. და მერე რა? გეიტენის აკადემიის ჯოგი აღარ არსებობს, ყველა მოკვდა ისე, რომ არ იციან, ვინ დაწვა ისინი, იმიტომ, რომ ისეთ მდგომარეობაში დაიხოცნენ, რომელიც მათ ძილს უცვლის. შედეგად, თუ იმის გეშინიათ, რომ შესაძლოა, ტელეპათიურად გადაეცათ თქვენი სახელები და აღწერილობა თავისნაირებისთვის ახალი ინგლისის დანარჩენ შტატებში, შეგიძლიათ, მშვიდად იყოთ.

— ჯორდან... — წამოიწყო დირექტორმა და ისევ გვერდი დაიზილა.

— სერ, კარგად ხართ?

— ჰო. თუ შეიძლება, სააბაზანოდან ჩემი „ზანტაკი"[1] მოიტანე, კარგი? და მინერალური წყალი. კარგი ბიჭი ხარ.

[1] „ზანტაკი" — კუჭის წყლულის სამკურნალო პრეპარატი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯორდანი სწრაფი ნაბიჯით გაემართა კარისკენ.

— ნაღლელი გაქვთ, სერ? — შეეკითხა ტომი.

— არა, — უპასუხა დირექტორმა, — სტრესი... ძველი... დიდი ხნიდან შემოჩვეული ნაცნობი, ასე არ არის?

— გული ნესრიგში გაქვთ? — ხმადაბლა ჰკითხა ელისმა.

— იმედია, ასეა, — უდარდელი ღიმილით უპასუხა დირექტორმა, — თუ „ზანტაკმა" არ მიშველა, ალბათ, შეიძლება გულზეც დავფიქრდე, მაგრამ აქამდე ყოველთვის მშველოდა. დამატებითი საზრუნავი არავის სჭირდება, დანარჩენიც თავზე საყრელადაა. აჰ, გმადლობ, ჯორდან.

— ყოველთვის მზად ვარ, დაგეხმაროთ, სერ, — ბიჭმა ღიმილით გაუწოდა ჭიქით მინერალური წყალი და ტაბლეტი.

— მგონი, უკეთესია, თუ მათთან ერთად ნახვალ, — უთხრა არდამ ნამლის დალევის შემდეგ.

— სერ, თქვენდამი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ ისინი ვერაფრით გაიგებენ აქ რა მოხდა. ვერაფრით გაიგებენ.

დირექტორმა კითხვით აღსავსე მზერა ტომსა და კლაის მიაპყრო. ტომმა ხელი ასნია. კლაიმ მხრები აიჩეჩა. შეეძლო ხმამაღლა ეთქვა ის, რასაც გრძნობდა, რასაც გრძნობდნენ დანარჩენები და რაც მათაც კარგად იცოდნენ: *„შეცდომა დავუშვით და აქ დარჩენით კიდევ უფრო უარეს შეცდომას ჩავდივართ"*, მაგრამ ამის თქმას აზრი არ ჰქონდა. ჯორდანს სახეზე ენერა სიჯიუტე, რომლის მილმა საზარელი შიში იდგა. მისი გადაბირება წარმოუდგენელი იყო. გარდა ამისა, გათენდა. დღეები კი *იმათ* ეკუთვნოდათ.

ჯორდანს თმა აუჩეჩა.

— რაკი ასე ამბობ, ჯორდან, ნავალ და ერთ-ორ საათს ნავუძინებ.

ჯორდანს ეტყობოდა, რომ შვებით ამოისუნთქა.

— კარგი აზრია, სერ, თქვენს მაგალითს მივბაძავ.

— მე კი ძილის წინ მსოფლიოში სახელგანთქმულ ჩითემ-ლოჯის ოდნავ თბილ კაკაოს დავლევ, — თქვა ტომმა, — მერე კი, სავარაუდოდ, იმას გავიპარსავ, რაც ჩემი ულვაშისგან დარჩა. კვნესასა და ოხვრას რასაც გაიგებთ, ჩემი იქნება.

— შეიძლება, დავესწრო? — ჰკითხა ელისმა, — ყოველთვის ვოცნებობდი, მენახა, როგორ კვნესის და ოხრავს ზრდასრული მამაკაცი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

26

კლაი და ტომი მესამე სართულის პატარა საძინებელში მეზობლები იყვნენ. ელისს მეორეზე დარჩენილი ერთადერთი საძინებელი ოთახი დაუთმეს. როდესაც კლაი ბოტასებს იხდიდა, კარზე ფრთხილად დააკაკუნეს და ოთახში ისე, რომ პასუხისთვის არ დაუცდია, დირექტორი შევიდა. ყვრიმალები ალისფერი ჰქონდა, დანარჩენი სახე გაჰფითრებოდა.

— კარგად ხართ? — კლაი წამოდგა, — მაინც გულმა გიმტყუნათ, ასეა?

— მიხარია, ეს რომ მკითხეთ, — უპასუხა დირექტორმა, — არ ვიყავი დარწმუნებული, თუ ჩემი ჩარგული თესლი ნაყოფს გამოიღებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ ასე მოხდა, — შებრუნდა და დერეფანს გახედა, მერე კარი ხელჯოხით მიხურა, — ყურადღებით მისმინეთ, მისტერ კლაი რიდელ, და შეკითხვა მხოლოდ მაშინ დასვით, თუ ჩათვლით, რომ ამის გარეშე შეუძლებელია. ისე უნდა მოვახერხო, რომ დღის მეორე ნახევარში ან ხვალ ადრე დილით საწოლში მკვდარი მნახონ. თქვენ, რასაკვირველია, იტყვით, რომ გულმა ვერ გაუძლო, ხოლო მიზეზი იყო ის, რაც გუშინ ღამით გავაკეთეთ. გესმით ჩემი?

კლაიმ თავი დაუქნია. ესმოდა, მაგრამ პროტესტი, რომელსაც ძლივს იკავებდა, არ დასცდენია. პროტესტი მართებული იქნებოდა იმ, წინანდელ სამყაროში და არა — ახლანდელში. იცოდა, რატომ ჩაიფიქრა დირექტორმა ის, რაც ჩაიფიქრა.

— თუ ჯორდანი ჩემი თვითმკვლელობის მიზეზად იმას იეჭვებს, რომ მისი ყმაწვილური თავგანწირვით განპირობებული ვალდებულებისგან გათავისუფლება მსურდა, შესაძლოა, სიცოცხლე მოისწრაფოს. ან, სულ მცირე, როგორც ჩემს ახალგაზრდობაში ამბობდნენ, მელანქოლია შეეყაროს. ჩემზე იდარდებს, მაგრამ ეს დასაშვებია; ხოლო იმის რწმენა, რომ სიცოცხლე თვითმკვლელობით დავამთავრე, გეიტენის აკადემიის ტერიტორიის დატოვების საშუალებას არ მისცემს. ეს ხომ გესმით?

— დიახ, — თავი დაუქნია კლაიმ, მერე დაამატა, — სერ, კიდევ ერთი დღე მოიცადეთ. იქნებ რაზედაც ფიქრობთ... საჭირო არ იყოს. იქნებ თავის დაღწევა მოვახერხოთ, — ამის თავადაც არ სჯეროდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ნებისმიერ შემთხვევაში, არდაი ჩაფიქრებულის განხორციელებას არ დაახანებდა. მისი დაძაბუნებული სახე, მოკუმული ტუჩები, თვალების ელვარება მიღებული გადაწყვეტილების გარდაუვალობას მოწმობდა. და მაინც, კიდევ ერთხელ სცადა, — ერთ დღესაც მოიცადეთ. იქნებ არავინ მოვიდეს.

— თქვენ მოისმინეთ ის ყვირილი, — უპასუხა დირექტორმა, — ეს იყო მრისხანება. ისინი მოვლენ.

— შესაძლებელია, მაგრამ...

დირექტორმა ხელჯოხი ასწია და შეაჩერა.

— და თუ მოვიდნენ? თუ არა მხოლოდ ერთმანეთის, არამედ თქვენი აზრების წაკითხვაც შეუძლიათ, თუ კიდევ დარჩა რამე წასაკითხი?

კლაის ხმა არ ამოუღია, მდუმარედ უმზერდა დირექტორს.

— და თუნდაც არ შეეძლოთ აზრების კითხვა, რას მთავაზობთ? — განაგრძო დირექტორმა, — აქ დავრჩეთ და ეს გაგრძელდეს დღეები, კვირები? როდემდე? ვიდრე მიხრწნილობით არ გარდავიცვლები? მამაჩემმა ოთხმოცდაჩვიდმეტი წელი იცოცხლა, თქვენ კი ცოლი და შვილი გყავთ.

— ჩემი ცოლ-შვილი ან რიგზეა, ან არა. ამის თაობაზე უკვე ყველაფერი გადავწყვიტე.

რასაკვირველია, მოიტყუა და არდაი ამას კლაის სახის გამომეტყველებით მიხვდა, იმიტომ, რომ გაიღიმა.

— და გჯერათ, რომ თქვენმა შვილმაც თავისთვის უკვე ყველაფერი გადაწყვიტა, ისე, რომ არ იცის, მამამისი მოკვდა თუ გაგიჟდა? სულ რალაც ერთი კვირის გავლის შემდეგ?

— ეს წელს ქვევით დარტყმაა, — კლაის ხმა აუკანკალდა.

— მართლა? არ მეგონა, ორთაბრძოლა თუ გვქონდა. ნებისმიერ შემთხვევაში, მსაჯი არა გვყავს. ჩვენი, მამლაყინწების გარდა, სხვა არავინაა, — დირექტორმა დაკეტილ კარს გახედა, მერე კლაის მიუბრუნდა, — ძალიან მარტივი განტოლებაა. თქვენ არ შეგიძლიათ დარჩენა, მე არ შემიძლია წამოსვლა. და უკეთესი იქნება, ჯორდანი თქვენთან ერთად წამოვიდეს.

— მაგრამ თქვენი კოჭლ ცხენად გადაქცევა...

— არაფერიც, — გააწყვეტინა დირექტორმა, — ცხენებმა, ადამიანებისგან განსხვავებით, ევთანაზია არ იციან, — ტომმა კარი გააღო და შემოვიდა, ხოლო დირექტორს სიტყვა არ შეუწყვეტია, —

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კლაი, არასოდეს გიცდიათ ილუსტრაციების დახატვა? წიგნებისთვის?

— გამომცემლობების უმეტესობისთვის ჩემი სტილი მეტისმეტად მყვირალაა. თუმცა, რამდენიმე პატარა გამომცემლობისთვის ყდა დავხატე. მათი სპეციალიზაცია ფენტეზია, ასეთებია „გრანტი“ და „იულალია“. ასევე, ედგარ რაის ბეროუზის რომანები დავასურათე.

— ყოჩაღ! — წამოიყვირა დირექტორმა და ენერგიულად შეარხია ხელჯოხი. მაშინვე მზის წნული მოისრისა და შეიჭმუხნა, — ჯანდაბა, ისევ ძმარვა! მაპატიეთ, ძილის წინ რამდენიმე წუთით ყბედობისთვის შემოვიარე.

— როგორ გეკადრებათ, — ტომმა მზერით გააცილა. როდესაც ხელჯოხის ხმაზე შეატყო, რომ დირექტორი საკმაოდ შორს იყო და მის ხმას ვერ გაიგონებდა, კლაის მიუბრუნდა, — ცუდად არის? ძალიან გაფითრებულია.

— მგონი, კარგადაა, — კლაიმ ტომს სახეზე მიუთითა, — ულვაშის დარჩენილი ნახევრის გაპარსვას არ აპირებდი?

— ელისის იქ ყოფნის გამო გადავიფიქრე. ძალიან მომწონს, მაგრამ ხანდახან აუტანელია.

— ეს მხოლოდ და მხოლოდ პარანოიაა.

— გმადლობ, კლაი, რომ შემახსენე. მხოლოდ ერთი კვირა გავიდა და ჩემი ფსიქოანალიტიკოსი უკვე მეტისმეტად მაკლია.

— ბრალეულობის კომპლექსსა და განდიდების მანიასთან ერთად, — კლაი ორიდან ერთ-ერთ ვიწრო საწოლზე წამოწვა, თავქვეშ ხელები ამოიდო და ჭერს მიაშტერდა.

— ნანობ, აქედან რომ არ წავედით, ხომ ასეა? — შეეკითხა ტომი.

— სანაძლეო დავდოთ, — უპასუხა მონოტონური, უსიცოცხლო ხმით.

— აი, ნახავ, ყველაფერი რიგზე იქნება, კლაი.

— ასე ამბობ, მაგრამ ბრალეულობის კომპლექსი და განდიდების მანია გაქვს.

— მართალია, — დაეთანხმა ტომი, — მაგრამ დაახლოებით ყოველ ექვს კვირაში მას დაბალი თვითშეფასების შემოტევა ენაცვლება. ასეა თუ ისე...

— დღეისთვის უკვე ძალიან გვიანია, — დაასრულა კლაიმ.

— მართალია.

ამით დასრულდა ყველაფერი. თუმცა, ტომმა კიდევ რალაც თქვა, მაგრამ კლაის მხოლოდ „ჯორდანი ფიქრობს...“ მოესმა და დაეძინა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

27

ყვირილით გამოელვიძა, უფრო სწორად, ეგონა, ყვიროდა. ველურის თვალებით გადახედა მეორე საწოლს, სადაც ტკბილად ეძინა ტომს, რომელსაც თვალებზე რალაც, სავარაუდოდ, სამზარეულოს ტილო გადაეფარებინა და მიხვდა, ყვირილი მხოლოდ მის გონებაში ხმიანობდა. შესაძლოა, ამ ყვირილის რალაც ნაწილი მის ტუჩებსაც მოსწყდა, მაგრამ ის არც ისეთი ხმამაღალი იყო, გვერდით მწოლიარე გაელვიძებინა.

სიბნელეზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო — როგორ შეიძლება ბნელოდეს ნაშუადღევს, მაგრამ დაწოლის წინ ტომმა სქელი ფარდები ჩამოაფარა და ოთახში ბინდი იდგა. კლაი ერთხანს გაუნძრევლად ინვა ზურგზე, ისეთი გამშრალი პირით, თითქოს ნახერხი ჩააყარეს, ხოლო აჩქარებული გულისცემა ყურებში მორბენლის ნაბიჯების ხმად ესმოდა. ისე კი მთელ სახლში სიჩუმე იდგა. შესაძლოა, ჯერ კიდევ ვერ გადავიდნენ ღამით მღვიძარობის რიტმზე, მაგრამ წინაღამემ ქანცი გამოაცალა ყველას და იმ მომენტში კლაის ჩითემ-ლოჯში ჩქამი არ ესმოდა. გარეთ რომელილაც ჩიტი გალობდა, სადღაც შორიდან კი (*„გეიტენის ფარგლებს გარეთ“*, — გაიფიქრა კლაიმ) სირენის ჯიუტი ხმა ისმოდა.

ნუთუ ოდესმე დასიზმრებია ასეთი საზარელი კოშმარი? ალბათ, მხოლოდ ერთხელ. ჯონის დაბადებიდან ერთი თვის თავზე კლაის ესიზმრა: ჩვილი საწოლიდან ამოიყვანა საფენის გამოსაცვლელად, ხოლო ჯონის უმწეო სხეული ხელებში ნაწილ-ნაწილ ჩაეშალა, თითქოს თიხის იყო. იმ სიზმარს ახსნა იოლად მოუძებნა: მამობის, ყველაფრის გაფუჭების შიში. და ეს შიში მასში ჯერ კიდევ ცოცხლობდა, რაც დირექტორ არდაის თვალს არ გამოეპარა? მაშ, რას ნიშნავდა ეს კოშმარი?

რა მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა, კლაის მისი დავიწყება არ სურდა და გამოცდილებით იცოდა, ეს რომ არ დაეშვა, სწრაფად უნდა ემოქმედა.

ოთახში საწერი მაგიდა იდგა, ხოლო საწოლთან დაგდებული ჯინსის ერთ-ერთ ჯიბეში ბურთულიანი კალამი იდო. კლაიმ კალამი აიღო, ფეხშიშველმა გადაჭრა ოთახი და მაგიდის შუა უჯრა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამოალო. ის იპოვა, რასაც ეძებდა: საწერი ქაღალდის დასტა, თითოეულ ფურცელზე ორსტრიქონიანი წარწერით: **ბეიტენის აკადემია. ახალგაზრდა განათლებული გონება ლამპარია სიბნელეში**. ერთი ცალი ამოიღო და მაგიდაზე დადო. მქრქალი სინათლე სრულიად საკმარისი გახლდათ. კლაიმ ბურთულიანი კალმის წვერი გამოსწია და წამით გაირინდა, რათა სიზმარი უკეთ გაეხსენებინა.

ის, ტომი, ელისი და ჯორდანი ერთ მწკრივში იდგნენ რომელილაც სათამაშო მოედანზე. ტონი-ფილდის სოკერის მოედნის მსგავსზე — არა, იქნებ იქ, სადაც ამერიკულ ფეხბურთს თამაშობენ? სადღაც უკან რაღაც კონსტრუქციის ნაწილი მოჩანდა და მასზე წითელი ნათურები ციმციმებდა. წარმოდგენა არ ჰქონდა, რა კონსტრუქცია იყო, მაგრამ მათ გარშემო ზღვა ხალხი იდგა. მათ უყურებდნენ. ადამიანები დამახინჯებული სახეებითა და დაძონძილი სამოსით. ასე რომ, ეჭვი არ შეჰპარვია მათ ვინაობაში. ის და მისი მეგობრები გალიაში იყვნენ? არა, რაღაც პლატფორმაზე იდგნენ. და ეს იყო გალიები, მაგრამ ბადეების გარეშე. კლაიმ ვერ გაიგო, ეს როგორ შეიძლებოდა, მაგრამ ასე იყო. სიზმრის წვრილმანები უკვე ალარ ახსოვდა.

ტომი სულ ნაპირში იდგა. მას მამაკაცი მიუახლოვდა. უცნაური მამაკაცი. ხელი ასწია, ხელისგული ტომის თავს ზემოთ ალმოჩნდა. კლაიმ ვერ გაიხსენა, მამაკაცმა ეს როგორ მოახერხა, იმიტომ, რომ ტომი — ისევე როგორც ელისი, ჯორდანი და თავად კლაიც, შემალლებულ პლატფორმაზე იდგნენ, — მაგრამ ასე კი იყო. და მამაკაცმა თქვა: *Ecce homo insanus*[1] და ბრბომ, ათასობით ადამიანმა, ერთხმად ილრიალა: ᲐᲠ ᲛᲘᲔᲙᲐᲠᲛ! მამაკაცი კლაის მიუახლოვდა, იგივე ჟესტი და წინადადება გაიმეორა. ელისის თავს ზემოთ ხელის ალმართვისას მამაკაცმა თქვა: *Ecce femina insana.*[2] ჯორდანის თავზე — *Ecce puer insanus.*[3] და ყოველ ჯერზე ბრბო ერთნაირად პასუხობდა: ᲐᲠ ᲛᲘᲔᲙᲐᲠᲛ!

არც მამაკაცს (შოუს წამყვანს? მანეჟის მეპატრონეს?) არც ბრბოს, მთელი ამ რიტუალის განმავლობაში პირი არ გაუღია. რეპლიკების გაცვლა ტელეპათიური იყო.

---

[1] *Ecce homo insanus (ლათ.) — ეს მამაკაცი შეშლილია.*
[2] *Ecce femina insane (ლათ.) — ეს ქალი შეშლილია.*
[3] *Ecce puer insanus (ლათ.) — ეს ყმაწვილი შეშლილია.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მერე კლაი მარჯვენა ხელსა და აზროვნების პროცესს (ხელსა და თავის ტვინის იმ განსაკუთრებულ კუნჭულს, რომელიც ხელს ნარმართავდა) მიენდო და ხატვა დაიწყო. მთელი სიზმარი შეგაძრნუნებელი იყო — ბრალდების აბსურდულობა და ჩადენილის გამო გამოტანილი *სასჯელი* — მაგრამ ყველაზე საზარლად დაამახსოვრდა მამაკაცი, რომელიც თითოეულ მათგანს მიუახლოვდა, თავზე ხელისგული დაადო აუქციონის იმ მონაწილის დარად, რომელსაც ოლქის ბაზრობაზე თავისი საქონლის სარფიანად გაყიდვა უნდა. მაგრამ კლაი გრძნობდა, დამთრგუნველ შიშს იმ შემთხვევაში გაუმკლავდებოდა, თუ ქაღალდზე მამაკაცის სახებას გადაიტანდა.

შავკანიანი მამაკაცი, კეთილშობილური თავის ქალითა და ასკეტური სახით, გამხდარი, ლამის გაძვალტყავებული სხეულით. ქუდის ცალ მხარეს საზიზღარ სამკუთხა, თითქოს საჭრეთლით გამოჭრილ ნაჭრილობევში ხვეული შავი თმა გამოჩრილიყო. ვინრო მხრები. ბარძაყები თითქმის არ ჰქონდა. გრუზა ხვეული თმის ქვეშ კლაიმ სწრაფად დახატა მეცნიერის ფართო და ლამაზი შუბლი. მერე შუბლზე მიახატა კიდევ ერთი განასერი ჭრილობა, საიდანაც კანი ნარბზე იყო გადმოკიდებული და მთლიანად ფარავდა. კანის ეს ნაგლეჯი კლაიმ რეტუშით დაფარა. მარცხენა ლოყა გაგლეჯილი ჰქონდა, იქნებ ნაკბენი, და იმავე მხარეს ქვედა ტუჩი ჩანეულიყო, თითქოს დაღლილ ღიმილში გაშეშებული. კლაის თვალების დახატვა გაუჭირდა. ვერაფრით მოახერხა მათთვის მართებული გამომეტყველების მიცემა. სიზმარში ეს იყო ჯერ კიდევ ყველაფრის გამგები, ცოცხალი და, იმავდროულად, მკვდარი თვალები. ორი მცდელობის შემდეგ კლაი დანებდა და ახლა პულოვერის ხატვას შეუდგა, ვიდრე არ დავიწყებოდა, როგორ გამოიყურებოდა: კაპიუშონიანი, რომელსაც მოზარდები „კენგურუს“ ეძახიან (კლაიმ გვერდით მიაწერა „წითელი“ და ისარი მიახატა), გულმკერდის არეში თეთრი ასოებით გამოყვანილი წარწერით. გამხდარი მამაკაცის ტანისთვის პულოვერი მეტისმეტად დიდი იყო, ამიტომ ნაკეცი თეთრ წარწერას ფარავდა, თუმცა, კლაის თითქმის არ ეპარებოდა ეჭვი, რომ ეს უნდა ყოფილიყო სიტყვა „ჰარვარდი“. ამ სიტყვას დაჰყურებდა, როდესაც ტირილის ხმა მოესმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

28

ჯორდანი ტიროდა. კლაი მაშინვე მიხვდა. ჯინსი ჩაიცვა და ტომს გადახედა, რომელიც არ განძრეულა. *„გათიშულია“*, — გაიფიქრა კლაიმ. კარი გააღო, ფრთხილად გავიდა დერეფანში და კარი ჩუმად დახურა.

ელისს მაისური, წარწერით ბეიტენის აკადემია, ღამის პერანგის სანაცვლოდ ეცვა. ახლა ის მეორე სართულის ბაქანზე იჯდა და ხელი მოეხვია ბიჭისთვის. ჯორდანს მის მხარში ჩაერგო თავი. გოგონამ კლაის შიშველი ფეხის ხმის გაგონებისთანავე თავი ასწია და იქამდე დაილაპარაკა, ვიდრე კლაი იკითხავდა, — *„დირექტორს რა დაემართა?“* — რასაც მერე ინანებდა.

— კოშმარი ესიზმრა, — უთხრა ელისმა.

კლაიმ ის იკითხა, რაც მაშინვე მოაფიქრდა, იმიტომ, რომ მისი აზრით, ამ კითხვაზე პასუხი სასიცოცხლო მნიშვნელობის გახლდათ.

— შენ?

გოგონამ წარბები შეყარა. ფეხშიშველი, ცხენის კუდად შეკრული თმით, დამწვარი სახით, თითქოს მთელი დღე პლაჟზე გაატარა, ელისი ჯორდანის თერთმეტი წლის დას ჰგავდა.

— რა? არა. გავიგონე, დერეფანში რომ ტიროდა. ალბათ, უკვე გალვიძებული ვიყავი და...

— მოიცა, — უთხრა კლაიმ, — აქ იყავით.

მესამე სართულზე საძინებელში დაბრუნდა, მაგიდაზე დადებულ ნახატს ხელი დაავლო. იმწამს ტომმა თვალები გაახილა. შეშინებულმა მიმოიხედა, ვერ მიმხვდარიყო, სად იყო, მერე კლაი დაინახა და დამშვიდდა.

— რეალობაში დაბრუნება, — თქვა და თვალები მოისრისა, იდაყვს დაეყრდნო და წამოიწია, — მადლობა ღმერთს. რომელი საათია?

— ტომ, სიზმარი ნახე? კოშმარი?

ტომმა თავი დაუქნია.

— მგონი, ჰო. ტირილი გავიგონე. ჯორდანია?

— ჰო. რა დაგესიზმრა? გახსოვს?

— ვილაცამ შეშლილები გვიწოდა, — უპასუხა ტომმა და კლაიმ იგრძნო, როგორ დაუარა კუჭში სპაზმმა, — შეიძლება მართალიც არის. დანარჩენი დამავიწყდა. და რა? შენ...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კლაის ალარ დაუცდია. ისევ კიბისკენ გაიქცა. ჯორდანმა დამორცხვებულმა შეხედა, როდესაც ის მის გვერდით ჩამოჯდა. კომპიუტერის გენიოსი სადღაც გაქრა. თუ სახედამწვარი და ცხენის კუდად შეკრულთმიანი ელისი თერთმეტი წლისას ჰგავდა, ჯორდანს სულაც ცხრა წლის ბიჭის შესახედაობა ჰქონდა.

— ჯორდან, — უთხრა კლაიმ, — შენი სიზმარი... შენი კოშმარი... გახსოვს?

— ნელ-ნელა მავიწყდება, — უპასუხა ჯორდანმა, — მათ რალაც შემალლებულზე დაგვაყენეს. გვიყურებდნენ, თითქოს... არ ვიცი... თითქოს გარეული ცხოველები ვიყავით და მერე თქვეს...

— რომ შეშლილები ვართ.

ჯორდანს თვალები გაუფართოვდა.

— დიახ!

კლაიმ ზურგს უკან ფეხის ხმა გაიგონა: კიბეზე ტომი ჩამოდიოდა. უკან არც მიუხედავს. ჯორდანს თავისი ნახატი აჩვენა:

— ყველაფერს ეს კაცი ხელმძღვანელობდა?

ჯორდანს პასუხი არ გაუცია, თუმცა, სიტყვები არც იყო საჭირო, ნახატის დანახვისთანავე შეხტა და ელისის მკერდში ჩარგო თავი.

— ეს რა არის? — იკითხა გაოგნებულმა ელისმა და ნახატისკენ გაიწია, მაგრამ ტომმა დაასწრო.

— ღმერთო, — ტომმა ფურცელი მიაწოდა, — სიზმარი თითქმის დამავიწყდა, მაგრამ ეს გაგლეჯილი ლოყა ახლაც მახსოვს.

— და ტუჩი, — ჯორდანის დაგუდული ხმა მოისმა, — მახსოვს, მისი ტუჩი როგორ ეკიდა. სწორედ ეგ მიუთითებდა ჩვენზე იმათ. იმათ, — სხეულში ჟრუანტელმა დაუარა. ელისი ზურგზე ეფერებოდა, მერე ორივე ხელი შემოხვია და მაგრად მიიკრა.

კლაიმ ნახატი ახლა ელისს აჩვენა.

— რამე გეცნობა? ეს კაცი სიზმარში ნახე?

ელისმა თავი გააქნია და უკვე პასუხის გაცემას აპირებდა, რომ უეცრად ჩითემ-ლოჯის შესასვლელის მხრიდან გამაყრუებელი ზრიალი გასმა, რასაც ბრახუნის ხმები მოჰყვა. ელისმა დაიყვირა. ჯორდანი მთელი ძალით ჩაეჭიდა გოგონას, თითქოს სურდა, სხეულით გადახლართოდა. ტომმა კლაის მხარზე ხელი წაავლო.

— ოჰ, ღმერთო, ამის დედაც...

ისევ ზრიალი გაისმა, რასაც ელისის ყვირილი მოჰყვა.

— იარალი! — დაიყვირა კლაიმ, — იარალი!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთ წამს გაშეშდნენ, თითქოს პარალიზებულნი იყვნენ, მზით განათებულ კიბის ბაქანზე მდგარნი. მერე ისევ გაისმა გამაყრუებელი გრიალი, თითქოს ვილაც გიგანტურ ძვლებს აქეთ-იქით აგორებდა. ტომი მესამე სართულზე გაქანდა, უკან კლაი მიჰყვა, წინდიანი ფეხი საფეხურზე დაუცდა და რომ არ დაცემულიყო, მოაჯირს ჩაავლო ხელი. ელისმა ჯორდანს ხელი ჰკრა და თავისი ოთახისკენ გაიქცა, მაისურის კალთა მუხლებთან უფრიალებდა. ჯორდანი მეორე სართულის კიბის ბაქანზე მარტო დარჩა, ცრემლიან, საცრისხელად ქცეულ თვალებს ვერ აშორებდა ქვემოთ მიმავალ კიბესა და ჰოლს, რომელიც შემოსასვლელი კარისკენ მიდიოდა.

29

— მშვიდად, — თქვა კლაიმ, — მთავარია, არ ავღელდეთ, გესმით?

პირველი დარტყმებიდან ორი წუთიც არ იყო გასული, რომ სამივენი უკვე კიბის ძირში იდგნენ. ტომს ხელში გამოუყენებელი რუსული ავტომატი ეჭირა, რომელსაც მათ „სერ სწრაფი" დაარქვეს, ელისს — ორივე ხელში თითო ავტომატური პისტოლეტი და კლაის — ბეტ ნიკერსონის 45-კალიბრიანი რევოლვერი, რომელიც წინალამეს იმარჯვა და არ დაკარგა (თუმცა, ის კი ახსოვდა, რომ რევოლვერი ქამარში ჩაიმაგრა და მოგვიანებით იქვე იპოვა). ჯორდანი ისევ მეორე სართულის კიბის ბაქანზე იდგა. იქიდან პირველი სართულის ფანჯარა არ ჩანდა და კლაიმ იფიქრა, რომ ეს კარგიც იყო. ჩითემ-ლოჯში ნაშუადღევის მზეს სიმკვეთრე აკლდა და ეს კი ძალიანაც ცუდი იყო.

სიმკვეთრე აკლდა იმიტომ, რომ ყოველ ფანჯარასთან, რომელსაც კლაი ხედავდა, მობილოგიუები იდგნენ, მინებს აკრულები მათ მისჩერებოდნენ: ათობით, შესაძლოა, ასობით უმეტყველო სახე, უმრავლესობა უკანასკნელი ანარქიული კვირის განმავლობაში გადატანილი ბრძოლებით დასახიჩრებული და ჭრილობებით დაფარული. კლაი ხედავდა სახეებს, რომლებსაც აკლდათ თვალი, კბილები, ყურები; ხედავდა სისხლჩაქცევებს, დამწვრობებს, ჩა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოგლეჯილ კანს, გაშავებული სხეულის მოკონწიალე ნაფლეთებს. ყველა დუმდა, მაგრამ მათში აშკარად იგრძნობოდა უკანასკნელი შეტევისთვის მზადმყოფი მდევრის აზარტი, ხოლო ჰაერში ისევ გაჩნდა ის სულშემხუთავი გრძნობა, რომელიც თვალით უხილავი, არნახული სიძლიერის მქონე ძალის არსებობაზე მიუთითებდა, რომელსაც შეეძლო ნებისმიერ წამს ამოეხეთქა. კლაი ყოველ წამს ელოდებოდა, რომ იარაღი თავისით გაუსხლტებოდა ხელიდან და სროლას დაიწყებდა.

— *ჩვენკენ,* — გაიფიქრა მან.

— ახლა კი მესმის, რას გრძნობენ ომარები „ჰარბორ-სიფუდის“ რესტორნის აკვარიუმში იმ დღეს, როდესაც ორი ერთის ფასად შეგიძლია იყიდო, — წაიბურტყუნა ტომმა.

— არ არის საჭირო ნერვიულობა, — გაიმეორა კლაიმ, — დაე, პირველი ნაბიჯი მათ გადმოდგან.

მაგრამ პირველი ნაბიჯი არ ყოფილა. კარს იქით ისევ გრუხუნი გაისმა — კლაის მოეჩვენა, რომ პარმაღზე რაღაც დააგდეს — მერე კი არსებებმა, რომლებიც სინათლეს აბრკოლებდნენ, უკან დაიხიეს, თითქოს რაღაც სიგნალი მიიღეს, რომლის გაგონებაც მხოლოდ მათ შეეძლოთ, და ეს ძალიან ორგანიზებულად მოიმოქმედეს. დღის ამ მონაკვეთში, როგორც წესი, ჯოგად არ იკრიბებოდნენ ხოლმე, მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა. ამაზე ორი აზრი არ არსებობდა.

კლაი სასტუმრო ოთახის ფანჯარას რევოლვერით ხელში მიუახლოვდა, ტომი და ელისი უკან მიჰყვნენ. უყურებდა, როგორ დაიხიეს უკან მობილოგიჟებმა — მაგრამ ახლა გიჟებად აღარ ეჩვენებოდა ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობით, — უკან იხევდნენ არნახული სიმსუბუქით, სიმწყობრესა და ერთმანეთს შორის მცირე დაშორებას ინარჩუნებდნენ. ჩითემ-ლოჯსა და ტონი-ფილდის საფეხბურთო მინდვრის კვამლიან ნარჩენებს შორის გაჩერდნენ. ფოთლებჩამოცვენილ პლაცზე გამწკრივებულ ბრძოლაგამოვლილ ბატალიონს მოაგონებდნენ მნახველს. და ყველა თვალი, თუმცა, ისინი გამოცარიელებული უკვე აღარ იყო, დირექტორის რეზიდენციას მისჩერებოდა.

— რატომ აქვთ ასეთი ჭუჭყიანი ხელ-ფეხი? — იკითხა ვილაცამ მორცხვად. სამივე შებრუნდა. ჯორდანი. კლაის არც კი შეუნიშნავს ჩითემ-ლოჯის სიახლოვეს მდგარი ამ მდუმარე ადამიანების ხელებზე ჭვარტლი და ფერფლი. მაგრამ ვიდრე ვინმე ხმას ამოიღებდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯორდანმა შეკითხვას თავადვე გასცა პასუხი, — ისინი იქ იყვნენ, ხომ ასეა? რასაკვირველია. იქ მივიდნენ, რომ ენახათ, რა ვუყავით მათ მეგობრებს და განრისხებული არიან. ამას ვგრძნობ. თქვენ თუ გრძნობთ?

კლაის არ სურდა ეპასუხა „დიახ“, მაგრამ, რასაკვირველია, გრძნობდა, იმიტომ, რომ ეს გრძნობა ჰაერში ეკიდა, დაელექტროებული ღრუბლების შეგრძნება, რომლებიც საკმარისია, ერთმანეთს მიუახლოვდეს, რომ მეხი და ელვა გარდაუვალია. რასაკვირველია, ეს მრისხანება იყო. კლაის გაახსენდა ქერათმიანი ფერია, რომელიც საქმიან კოსტიუმში გამოწყობილ ქალს კბილებით კისერში ჩააფრინდა, და ხანდაზმული ქალი, რომელმაც ბოილსტონ-სტრიტზე ტრამვაის სადგურთან შეტაკება თავის სასარგებლოდ დაასრულა და ვერც კი ამჩნევდა, როგორ მოწვეთავდა სისხლი მისი მოკლედ შეკრეჭილი ჭალარა თმიდან. ის შიშველი, მაგრამ ბოტასიანი ახალგაზრდა მამაკაციც გაახსენდა, ქუჩაში რომ მირბოდა და მანქანის ანტენებს ატრიალებდა. ნუთუ ეგონა, ეს რისხვა სადღაც გაქრებოდა მას შემდეგ, რაც მათ ჯოგებად გაერთიანება დაიწყეს? თუ ასე იფიქრა, ძალიანაც შეცდა.

— ვგრძნობ, — პირველად ტომი ალაპარაკდა, — ჯორდან, თუ მათ ზებუნებრივი თვისებები აქვთ, რატომ არ გვაიძულებენ, თავი მოვიკლათ ან ერთმანეთი დავხოცოთ?

— ან შიგნიდან ააფეთქონ ჩვენი თავის ტვინი, — ელისს ხმა უკანკალებდა, — ეს ერთ ძველ ფილმში მაქვს ნანახი.

— არ ვიცი, — თქვა ჯორდანმა და კლაის შეხედა, — „დაფლეთილი კაცი“ სად არის?

— ასე ეძახი? — კლაიმ ნახატს დახედა, რომელიც მეორე ხელში ეჭირა: დაფლეთილი სხეული, დაფლეთილი სახელო, ფართხუნა ჯინსი. გადაწყვიტა, რომ „დაფლეთილი კაცი“ მართლაც საუკეთესო მეტსახელია „კენგურუში“ გამოწყობილისთვის, რომელსაც გულზე „ჰარვარდი“ აწერია.

— მე მას უბედურებას ვეძახი, ასე დავარქვი, — მიკნავლებული ხმით უპასუხა ჯორდანმა. ისევ დაუპატიჟებელ სტუმრებს შეხედა — სულ მცირე, სამას ან ოთხას მობილოგიჟს, რომლებიც, ღმერთმა იცის, რომელი ახლომდებარე ქალაქებიდან ჩამოსულიყვნენ, მერე კლაის მიუბრუნდა, — დაინახეთ?

— მხოლოდ კოშმარში, — უპასუხა კლაიმ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომმაც უარის ნიშნად თავი გააქნია.

— ჩემთვის ის მხოლოდ ნახატია, — თქვა ელისმა, — არ დამსიზმრებია და „კენგურუიანს" აქ ვერავის ვხედავ. რა უნდოდათ ფეხბურთის მოედანზე? გგონიათ, თავიანთი მკვდრები ამოიცნეს? — ამის თავადაც არ სჯეროდა, — განა იქ ახლაც ყველაფერი ცხელი არ არის? ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს.

— რას ელოდებიან? — იკითხა ტომმა, — თუ თავდასხმას არ აპირებენ, ერთმანეთის მუცელში დანებს რატომ არ გაუყრიან? რას ელოდებიან?

და კლაი უეცრად მიხვდა, რას ელოდებოდნენ და სად იყო ახლა „დაფლეთილი კაცი" — მისტერ დივეინი, მისი მათემატიკის მასწავლებელი როგორც ამბობდა: „აჰა! გონება გაუნათდა!" — შებრუნდა და ჰოლში გასასვლელი კარისკენ წავიდა.

— საით? — შეეკითხა ტომი.

— უნდა ვნახო, იქ რა დატოვეს, — უპასუხა კლაიმ.

უკან გაჰყვნენ. ტომი პირველი დაეწია, როდესაც კლაიმ კარის სახელურს ხელი მოჰკიდა.

— არა მგონია, ეს კარგი იდეა იყოს.

— შესაძლოა, ასეცაა, — დაეთანხმა კლაი, — მაგრამ სწორედ ამას ელოდებიან და იცი, რას გეტყვი? ჩვენი მოკვლა რომ ნდომოდათ, აქამდე ცოცხალი ალარ ვიქნებოდით.

— მართალს ამბობს, — ნაიჩურჩულა ჯორდანმა.

კლაიმ კარი გაალო. ჩითემ-ლოჯს დიდი პარმალი ჰქონდა, სადაც დაწნული ავეჯი იდგა და იქიდან მშვენიერი ხედი იშლებოდა აკადემ-ავენიუსკენ ჩამავალ აკადემიის ფერდობზე. მზიანი შემოდგომის ნაშუადღევს აქ დაჯდებოდი და ხედით დატკბებოდი, მაგრამ კლაის ახლა მიდამოს სილამაზე სრულებით არ აინტერესებდა. პარმალთან ისრისებრ მწკრივებად იდგნენ მობილოგიუები: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი მწკრივი. სულ ოცდაერთი. და პირველი იდგა სწორედ ის „დაფლეთილი კაცი" კლაის სიზმრიდან, თითქოს ნახატიდან გადმომხტარი და რეალურ ცხოვრებაში გაცოცხლებული. გაქუცული ნითელი „კენგურუს" მკერდზე მართლაც თეთრი ასოებით ეწერა „ჰარვარდი". მარცხენა ლოყის ამოგლეჯილი ნაწილი ადგილზე ჩაუბრუნებიათ და ცხვირის ფრთასთან დაუმაგრებიათ ორი უხეში ნაკერით, რომლებსაც შავ კანში ნახვრეტები დაეტოვებინათ. დანარჩენი ნახვრეტები უკვე მოშვებული მესამე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და მეოთხე ნაკერისგან დარჩენილიყო. კლაიმ გაიფიქრა, ეტყობა, ძაფის ნაცვლად ანკესის მკედი გამოიყენესო. ჩამოფლეთილი ტუჩიდან უჩანდა კბილები, რომლებსაც სულ ცოტა ხნის წინანდელი კარგი ორთოდონტის ნამუშევარი ეტყობოდა, მაგრამ ეს ყველაფერი მაშინ მოხდა, როდესაც სამყარო უფრო მშვიდობიანი ადგილი იყო.

კარის წინ, ხალიჩაზე, ასევე, მის ორივე მხარეს, შავი უფორმო ნივთების გროვა ამართულიყო. ის შეიძლებოდა რომელიმე სანახევროდ შეშლილი მოქანდაკის ხელოვნებაზე მისეული წარმოდგენის განსახიერება ყოფილიყო, მაგრამ კლაის მხოლოდ წამი დასჭირდა იმის მისახვედრად, რომ ეს ხანძრით გამლღვალი გეტობლასტერების გროვას წარმოადგენდა.

და უეცრად ელისმა იყვირა. როდესაც კლაიმ კარი გაალო, ერთმანეთზე ახორხლილი ბუმბოქსებიდან რამდენიმე ჩამოვარდა, და მათთან ერთად რაღაც ნივთიც, რომელიც, სავარაუდოდ, წვერზე იდო. ელისი წინ გაიჭრა და ვიდრე კლაი მის შეჩერებას მოახერხებდა, ერთი ავტომატური პისტოლეტი ხელიდან გააგდო და სწორედ იმ ნივთს ეცა. ნამცეცა ბოტასი. ხელი დასტაცა და გულში ჩაიხუტა.

კლაი გოგონას მილმა, ტომს უყურებდა, ტომი კი მას. ისინი ტელეპათები არ იყვნენ, მაგრამ იმ მომენტში სიტყვები არ სჭირდებოდათ. *„ახლა რა იქნება?“* — ამბობდა ტომის თვალები.

კლაი „დაფლეთილ კაცს“ მიუბრუნდა. თავს დაეკითხა, შეიძლება თუ არა, იგრძნო, როდესაც ვინმე შენს აზრებს კითხულობს, ან ამ მომენტში თუ კითხულობდნენ მისას. ხელი „დაფლეთილი კაცისკენ“ გაიშვირა, ისევ რევოლვერის ტარი ჰქონდა ჩაბლუჯული, მაგრამ არც „დაფლეთილი კაცი“, არც იქ მდგომთაგან რომელიმე სხვა, მუქარას ვერ გრძნობდა. კლაიმ ხელები ასწია ხელისგულებით მაღლა, თითქოს ეკითხებოდა: *„რა გინდათ?“*

„დაფლეთილმა კაცმა“ გაილიმა, თუმცა, ღიმილში მხიარულების ნატამალი არ ჩანდა. კლაიმ გაიფიქრა, რომ მის მუქ რუხ თვალებში მრისხანებას ხედავდა, მაგრამ ეს მრისხანება თითქოს მხოლოდ ზედაპირზე იყო. მის შიგნით სიცარიელე გახლდათ და ღიმილიც თოჯინას ღიმილს ჰგავდა.

„დაფლეთილმა კაცმა“ თავი გადახარა და თითი ასწია: *„მოიცადე“* და მაშინვე აკადემ-ავენიუდან, თითქოს რაღაც უხილავ ნიშან-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზე, გოდება და ყვირილი გაისმა. ეს იყო იმ ადამიანების გოდება და ყვირილი, რომლებსაც წამებით ხოცავენ, მას თან ველურების ყიჟინა ახლდა. თუმცა, ყიჟინა იშვიათად ისმოდა.

— *რას აკეთებთ?* — დაიყვირა ელისმა, წინ გაინია, ცალი ხელით ჩაჰბლაუჭებოდა ბოტასს და კონვულსიურად შლიდა და კუმშავდა თითებს. ხელებზე ვენები ისე დაებერა, რომ კანზე შავ ზოლებად მოჩანდა, — *რას აკეთებთ იქ ქვემოთ, ადამიანებთან?*

„თითქოს ისედაც ცხადი არ იყოს, რას აკეთებენ", — გაიფიქრა კლაიმ.

ელისმა მეორე, პისტოლეტიანი ხელი ასწია. ტომი ეცა და იარალი წაართვა, ვიდრე მან სასხლეტისთვის თითის გამოკვრა მოასწრო. ელისი მიუბრუნდა და თავისუფალი ხელით დაფხოჭნა.

— მომეცი! შენ რა, ეს ყვირილი არ გესმის? არ გესმის?

კლაიმ ტომს ძლივს მოაცილა. ჯორდანი მათ შიშჩამდგარი თვალებით უცქერდა, ხოლო „დაფლეთილი კაცი" ისრისებრი მწკრივის თავში იდგა, ილიმებოდა, ღიმილი კი მრისხანებას მალავდა, ხოლო მრისხანების იქით, რამდენადაც ეს კლაის შეეძლო, განესაზღვრა, სრულ სიცარიელეს დაესადგურებინა. მის მილმა სრულიად არაფერი იყო.

— მცველი მაინც ჩაკეტილია, — თქვა ტომმა მას შემდეგ, რაც იარაღს დახედა, — მადლობა ღმერთს ასეთი პატარა სიხარულებისთვის, — მერე ელისს მიუბრუნდა, — გინდა აქ ამოგვხოცონ?

— გგონია, წასვლის ნებას მოგვცემენ? — ელისი ისე ყვიროდა, სიტყვების გარჩევა შეუძლებელი იყო. ორივე ნესტოს ქვემოთ წვინტლის ბუშტუკები დაეკიდა. გეიტენის აკადემიის გვერდით გამავალი ქუჩიდან, რომლის ორივე მხარეს ხეები ხარობდა, ისევ გოდება და ყვირილი ისმოდა. ვიღაც ქალმა იყვირა: *„არა, გთხოვთ, არა!"* — მერე მისი ხმა ტკივილით გამონვეულ ღრიალში ჩაიკარგა.

— არ ვიცი, რას გვიპირებენ, — ტომის ხმას სიმშვიდე აკლდა, — მაგრამ დარწმუნებული ვარ, არ დაგვხოცავენ. სხვაგვარად ეს ყველაფერი არ მოხდებოდა. შეხედე, ელის, ვერ ხვდები, რომ ქვემოთ რაც ხდება, ჩვენთვის მოაწყვეს?

კანტიკუნტად სროლის ხმაც აღწევდა: ადამიანები თავის დაცვას ცდილობდნენ, მაგრამ სროლა იშვიათი იყო. მას გეიტენის აკადემიის მიმდებარე სახლებიდან გაოცებისა და ტკივილის გამომხატველი ყვირილი ჭარბობდა. იმ ადგილის ახლოს, სადაც ჯოგი დანვეს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყვირილი სულ ათ წუთს გრძელდებოდა, მაგრამ ზოგჯერ, გაიფიქრა კლაიმ, დრო მართლაც შეფარდებითი ცნება ხდებოდა.

ეს წუთები საათებად მოეჩვენა.

30

როდესაც გოდება და ყვირილი, ბოლოს და ბოლოს, შეწყდა, ელისი თავჩალუნული, მდუმარედ იდგა კლაისა და ტომს შორის. ორივე ავტომატური პისტოლეტი ჰოლის მაგიდაზე დადო, შესასვლელთან, რომელზედაც, ჩვეულებრივ, კეისებსა და ქუდებს ტოვებდნენ ხოლმე. მისთვის ხელი ჩაეჭიდა ჯორდანს, რომელიც გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა „დაფლეთილ კაცს“ და მისნაირებს, გარინდებული რომ იდგნენ პარმალთან. ასე გრძელდებოდა, ვიდრე ბიჭი დირექტორის არყოფნას შენიშნავდა. კლაიმ იცოდა, ეს ძალიან მალე მოხდებოდა, მერე კი მათ ამ დღის კიდევ ერთი საზარელი სცენა ელოდათ.

„დაფლეთილი კაცი“ წინ წამოვიდა, ხელები გაშალა, თითქოს თავის დაკვრას აპირებდა და უნდოდა, ეთქვა: *„მიმსახურეთ“*, მერე თავი ასწია და ხელი აკადემიის ფერდობისა და ქუჩისკენ გაიშვირა, თან გამოლებულ კართან, დამწვარი და გამლღვალი ბუმბოქსების ქანდაკების მილმა მდგარი ადამიანების პატარა ჯგუფს უყურებდა. კლაისთვის მისი გზავნილი საიდუმლოს არ წარმოადგენდა: *„გზა ხსნილია. წადით“*.

— შეიძლება, — უპასუხა მან, — შეიძლება, წავიდეთ კიდეც, ახლა კი ერთი რამე გავარკვიოთ: თქვენ ჩვენი დახოცვა შეგიძლიათ, თუ მოინდომებთ, ამისთვის ხალხი საკმარისად გყავთ, მაგრამ ხვალ სხვა გამოჩნდება, რომ უხელმძღვანელოს, იმიტომ, რომ პირადად ვიზრუნებ იმაზე, შენ სამუდამოდ აქ დარჩე.

„დაფლეთილმა კაცმა“ ხელები ლოყებზე მიიდო, თვალები დაუმრგვალდა: *„რას მეუბნები!“* — დანარჩენებს ისეთივე უმეტყველო სახეები ჰქონდათ, როგორიც რობოტებს. კლაი კიდევ რამდენიმე წამს უყურებდა „დაფლეთილ კაცს“, მერე კარი დაკეტა.

— მაპატიეთ, უბრალოდ, არ შემეძლო იქ დგომა და ყვირილის მოსმენა, — ამოიოხრა ელისმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ყველაფერი რიგზეა, — უპასუხა ტომმა, — ცოცხლები და უვნებლები ვართ და მათ მისტერ ბოტასი მოიტანეს.

ელისმა ნამცეცა ნივთს დახედა.

— ამით მოგვაგნეს? ყნოსვით მოდიოდნენ, მეძებარი ძაღლებივით?

— არა, — ჯორდანი ქოლგების ჩასადების გვერდით სკამზე იჯდა, დაპატარავებული, მხრებში მოხრილი და დაქანცული, — ეს მათი მეთოდია, გვაჩვენონ, რომ ჩვენზე ყველაფერი იციან. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია.

— ჰო, — თავი დაუქნია კლაიმ, — დარწმუნებული ვარ, იცოდნენ, ჩვენ რაც ჩავიდინეთ, ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე აქ მოვიდოდით. ჩვენი აზრებიდან გამოიტანეს, ისე, როგორც მისი სახება გამოვიტანეთ ჩვენი სიზმრებიდან.

— მე არ... — დაიწყო ელისმა.

— იმიტომ, რომ გაგელვიძა, — აუხსნა ტომმა, — მგონი, თუ საოქმელი ექნება, დაგესიზმრება და მის ხმას გაიგონებ კიდეც, — ცოტა ხანს დუმდა, — არაფერი მესმის, კლაი, *ჩვენ* ეს გავაკეთეთ, გავაკეთეთ და მათ *იცოდნენ*, რაც ჩავიდინეთ, დარწმუნებული ვარ.

— ასეა, — თავი დაუქნია კლაიმ.

— მაშინ რა საჭირო იყო იმ უდანაშაულო მგზავრების დახოცვა, თუ ასევე ადვილად შეეძლოთ აქ შემოცვენა და ჩვენი ამოწყვეტა? იმის თქმა მინდა, რომ ვერ ვხვდები საპასუხო დარტყმის კონცეფციას, აზრი არ მესმის.

და ამ დროს ჯორდანი წამოხტა და შეშფოთებულმა მიმოიხედა.

— დირექტორი სად არის?

31

კლაი ჯორდანს მხოლოდ მეორე სართულის კიბის ბაქანზე დაეწია.

— მოიცა, ჯორდან!

— არა, — ბიჭს სახე ჩვეულებრივზე მეტად გაჰფითრებოდა, მჯსზე შეძრწუნება აღბეჭდილიყო. თმა გასწენოდა და კლაიმ გაი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფიქრა, შეკრეჭა სჭირდებაო, მაგრამ ახლა თითქოს მთელი თმა ყალყზე ედგა, — ამ ხმაურში უნდა ჩამოსულიყო. ჩვენთან იქნებოდა, რამე რომ არ მომხდარიყო, — ტუჩები აუკანკალდა, — გახსოვთ, გუშინ მთელი საღამო გვერდს იზელდა? იქნებ ძმარვა არ დაუცხრა?

— ჯორდან...

ბიჭს აღარაფერი ესმოდა და კლაი დარწმუნებული იყო, სულ გადაავიწყდა „დაფლეთილი კაცი", კართან მდგარი მობილოგიჟები, ყოველ შემთხვევაში, ამწუთას აღარ ახსოვდა. კლაის ხელიდან გაუსხლტა და დერეფანში ყვირილით გაიქცა, — *სერ! სერ!* — კედლებიდან კი წარბშეკრული უმზერდნენ გეიტენის აკადემიის ყოფილი დირექტორები, რომლებსაც ეს თანამდებობა XIX-XX საუკუნეებში ეკავათ.

კლაიმ ქვემოთ გადაიხედა. ელისის დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა: გოგონა კიბის ბოლო საფეხურზე თავჩაქინდრული იჯდა, იმ დაწყევლილ ბოტასს დასჩერებოდა, თითქოს იორიკის თავის ქალა იყო, ტომმა კი ნელ-ნელა დაიწყო მეორე სართულზე ასვლა.

— ცუდად იქნება საქმე? — შეეკითხა კლაის.

— ჰმ... ჯორდანი ფიქრობს, რომ დირექტორი აუცილებლად ჩვენ გვერდით იქნებოდა, რამე რომ არ მოსვლოდა, ყოველ შემთხვევაში...

ჯორდანი აყვირდა. ეს გამყივანი სოპრანო კლაის პირდაპირ თავის ტვინში ისარივით ურტყამდა. ბიჭისკენ პირველად ტომი გაიქცა. კლაი კიბის ბაქანზე, დერეფნის ბოლოში გაირინდა. დაახლოებით სამ, შესაძლოა, შვიდ წამს იდგა და ფიქრობდა: „*ასე არ ყვირიან, თუ ნახულობენ ადამიანს, რომელიც თითქოს გულის შეტევით გარდაიცვალა. ალბათ, მოხუცმა გადაამლაშა. იქნებ სხვა ტაბლეტები დალია?*" დერეფნის ნახევარი უკვე გავლილი ჰქონდა, როდესაც ტომის ყვირილი მოესმა:

— ღმერთო, ჯორდან, არ შეხედო, არ შეხედო, ჯორდან! — თითქოს ყველა სიტყვა შეერთდა.

— დამიცადე! — დაუძახა ელისმა, მაგრამ კლაის არ დაუცდია. დირექტორის აპარტამენტის კარი ღია იყო. წიგნებით სავსე კაბინეტი დაინახა და ახლა უკვე უსარგებლო გამათბობელი. საძინებელში გაღებული კარიდან კაბინეტში დღის სინათლე შემოდიოდა. ტომი მაგიდის წინ იდგა და ჯორდანის სახე მუცელზე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიეკრა. დირექტორი მაგიდასთან იჯდა. მისი სიმძიმით გორგოლაჭებიანი სავარძელი ოდნავ უკან გაწეულიყო. ჩარლზ არდაი ერთადერთი დარჩენილი თვალით ჭერში იყურებოდა. აბურდული ჭალარა სკამის საზურგეზე ეფინა. კლაის იმ პიანისტს აგონებდა, რომელმაც რთული ნაწარმოების უკანასკნელი აკორდი დაუკრა.

ელისის შეძრწუნებული, ხმაჩამწყდარი ყვირილი გაიგონა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. საკუთარ სხეულში თავს მგზავრად გრძნობდა. კლაი მაგიდას მიუახლოვდა და ფურცელს დახედა, რომელიც დირექტორის წინ იდო. სისხლის ლაქების მიუხედავად, მასზე დაწერილი სიტყვები გაარჩია: დირექტორს მკაფიო და დახვეწილი ხელწერა ჰქონდა. „ძველი სკოლა“, როგორც ჯორდანმა თქვა.

aliene geisteskrank
insamo
elnebajos vansinnig fou
atamagaokashii gek dolzinuig
hullu

gila
meshuge nebun
dement

კლაიმ მხოლოდ ინგლისური იცოდა და სკოლაში ცოტა ხანს ფრანგულ ენას სწავლობდა, მაგრამ ისედაც ყველაფერს მიხვდა: „დაფლეთილ კაცს“ უნდოდა, ისინი წასულიყვნენ და როგორლაც მიხვდა, რომ დირექტორი არდაი მეტისმეტად ხანდაზმული და ავადმყოფი იყო საიმისოდ, რომ მათ გაჰყოლოდა. მან აიძულა დირექტორი, საწერ მაგიდასთან დამჯდარიყო, თოთხმეტ სხვადასხვა ენაზე დაეწერა სიტყვა „შეშლილი“, მერე თავისი ავტოკალმის წვერი — მარჯვენა თვალში, იმის იქით კი თავის ტვინში შეერჭო.

— იმათ აიძულეს თავის მოკვლა, ასე არ არის? — იკითხა ელისმა მოგუდული ხმით, — *რატომ ის და არა ჩვენ? რატომ ის და არა ჩვენ? რა უნდათ?*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კლაის „დაფლეთილი კაცის“ ხელი გაახსენდა, რომელსაც ის აკადემ-ავენიუსკენ — იმავე ნიუ-ჰემფშირის 102-ე გზატკეცილისკენ — იშვერდა. მობილოგიჟების, რომლებიც აღარ იყვნენ გიჟები (ან იყვნენ, მაგრამ რაღაც სხვა, აქამდე უცნობი შინაარსით) სურვილი ის იყო, რომ ისინი წასულიყვნენ. სხვა მოსაზრება ამ საკითხზე არ არსებობდა. იქნებ კარგიცაა, რომ არ არსებობდა. შესანიშნავია. იქნებ ასე გამოიხატებოდა მათი გულმოწყალება?!

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვარდები ჭკნება, ეს ბალი კვდება

www.PDF.ChiaturaINFO.GE

1

დერეფნის შორეულ ბოლოში მდგარ კამოდში ოცამდე სუფრა იპოვეს და დირექტორ არდაის სუდარად გამოიყენეს. ელისმა სუფრის ბოლოების გადაკერება მოინდომა, მაგრამ მერე თვალები ცრემლებით აევსო: არც მისი კერვის ოსტატობა, არც ნერვები, ამ საქმისთვის არ გამოდგებოდა. გოგონა ტომმა შეცვალა — სუფრა გაშალა და სწრაფად, თითქმის პროფესიონალის გაწაფულობით, გადააკერა. მისი ხელების მოძრაობამ კლაის მოკრივე გააახსენა, რომელიც დარტყმას უხილავ მსხალზე ამუშავებს.

— არც იფიქრო გახუმრება, — თავის აუწევლად უთხრა ტომმა, — ვაფასებ იმას, რაც ზემოთ მოიმოქმედე, იმიტომ, რომ თავად ამას ვერასოდეს მოვახერხებდი, მაგრამ ახლა ვერავითარ ხუმრობას ვერ ავიტან, ყველაზე უკბილოს, „უილისა და გრეისის“[1] მსგავსსაც კი. ნერვები დაწყვეტაზე მაქვს.

— მესმის შენი, — უთხრა კლაიმ.

გახუმრება აზრადაც არ მოსვლია. ზემოთ ჩადენილს რაც შეეხება, საჭირო იყო თვალიდან კალმის გამოღება. იქ ხომ არ დატოვებდნენ. ჰოდა, კლაიმაც კალამი გამოიღო. იმ მომენტში თავშებრუნებული, ოთახის საპირისპირო კუთხეს უყურებდა, ცდილობდა, არ ეფიქრა, იმწუთას რასაც აკეთებდა, არც შეკითხვა დაესვა, კალამი ასე მყარად რატომ იჯდა სხეულში. დიდწილად ეს მოახერხა, მაგრამ კალამმა მოხუცის თვალბუდეზე შეხებისას დაილრჭიალა, როდესაც უკვე ძალა დაატანა და აამოძრავა, ამოძრობისას ჩქაფუნის ხმაც გაისმა და მერე მისი წვერიდან მაგიდაზე რაღაც დაეტყეპა. კლაიმ გაიფიქრა, რომ ეს ხმები სიცოცხლის ბოლომდე ეხსომებოდა, მა-

[1] „უილი და გრეისი“ — პოპულარული ამერიკული კომედიური ტელესერიალი, რამდენიმე „გრემის“ მფლობელი, „ოქროს გლობუსის“ ნომინანტი, NBC-ს არხზე გადიოდა 1998-2006 წლებში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრამ კალამი მაინც ამოილო და ეს ყველაზე მნიშვნელოვანი გახლ-დათ იმ დროს.

გარეთ ათასობით მობილოგიჟი ისევ მდელოზე იდგა კეამლა-დენილი საფეხბურთო მოედნის ნაშთებსა და ჩითემ-ლოჯს შორის, იდგნენ დღის მეორე ნახევრის განმავლობაში. მერე, დაახლოებით ხუთი საათისთვის, მთელი ჯოგი ხმის ამოუღებლად გეიტენის ცენ-ტრისკენ გაემართა. კლაიმ და ტომმა სუფრის სუდარაში გახვეული დირექტორის ცხედარი სათადარიგო კიბიდან გაიტანეს და უკანა კარის პარმალზე დაასვენეს. გადარჩენილთა ოთხეული სამზარეუ-ლოში შეიკრიბა. ჭამდნენ — ახალი დღის განრიგით საუზმობდნენ, — როდესაც ჩრდილები შესამჩნევად დაგრძელდა.

მათ გასაკვირად, ჯორდანმა კარგად ჭამა. ლოყები ასწითლე-ბოდა, პირს არ აჩერებდა. გეიტენის აკადემიაში თავის ცხოვრებას იხსენებდა, იმ გავლენას, რომელიც დირექტორმა მოახდინა უმე-გობრო, ამერიკის პატარა ქალაქში დაბადებული ყმაწვილის, კომ-პიუტერის ფანატის გულსა და გონებაზე. მოგონებების სიცხადემ კლაიზე ცუდად იმოქმედა. თუ გავითვალისწინებთ ელისისა და ტო-მის უხერხულ მზერას, მას რომ გადახედავდნენ ხანდახან, მიხვდა, რომ ისინიც იმავე მდგომარეობაში იყვნენ. ეჭვის შეტანა არ შეი-ძლებოდა, რომ ჯორდანი ნელ-ნელა ჭკუიდან გადადიოდა, მაგრამ ამ პრობლემას როგორ გამკლავებოდნენ, წარმოდგენა არ ჰქონ-დათ, ფსიქიატრთან მისი გაშვება კი არ შეეძლოთ.

როდესაც სულ დაბნელდა, ტომმა ბიჭს შესთავაზა, ცოტა ხნით დაწოლილიყო. ჯორდანმა უპასუხა, რომ მხოლოდ დირექტორის დასაფლავების შემდეგ დაწვებოდა დასასვენებლად. ჯორდანის თქმით, საფლავი ჩითემ-ლოჯის ბოსტანში უნდა ამოეთხარათ. ისიც დაამატა, რომ ბოსტნის კვლებს დირექტორი გამარჯვების პარკს უწოდებდა, მაგრამ მისთვის არ აუხსნია, რატომ დაარქვა ეს სახელი.

— იქ უნდა დავმარხოთ, — თქვა ჯორდანმა ღიმილით. ლოყები უხურდა. ღრმად ჩავარდნილი თვალები აღფრთოვანებას, მხიარუ-ლებას, სიგიჟეს ან ამ ყველაფერს ერთად გამოხატავდა, — არა მხო-ლოდ იმიტომ, რომ ბოსტანში რბილი მიწაა, არამედ იმიტომ, რომ ის ადგილი ყველაზე მეტად უყვარდა, ვგულისხმობ ადგილს ამ კედ-ლების გარეთ. რას იტყვით? *ისინი* წავიდნენ, ღამით არ დადიან და ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. საფლავის გათხრა აირის ლამპების შუქზე შეგვიძლია. რას იტყვით?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომმა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ უპასუხა:

— ნიჩბები არის?

— მებალის ფარდულში. სათბურშიც კი არ დაგჭირდებათ წასვლა, — ჯორდანმა გაიცინა.

— მოდი, გავაკეთოთ ეს, — თქვა ელისმა, — დავმარხოთ და დავამთავროთ ეს საქმე.

— მერე დასასვენებლად წახვალ, — კლაიმ ჯორდანს შეხედა.

— რა თქმა უნდა! რა თქმა უნდა! — სწრაფად უპასუხა ბიჭმა. სკამიდან წამოხტა და სამზარეულოში დატრიალდა, — წამოდით! — ისე ეპატიჟებოდა, თითქოს დაჭერობანა უნდა ეთამაშათ.

და მათაც ჩითემ-ლოჯის ბოსტანში დირექტორისთვის საფლავი გაჭრეს, ლობიოებსა და პამიდვრებს შორის დამარხეს. ტომმა და კლაიმ სუდარაში გახვეული ცხედარი სამი ფუტის სილრმეში ჩაუშვეს. ვიდრე თხრიდნენ, სცხელოდათ, მაგრამ როგორც კი დაასრულეს, მიხვდნენ, რომ ცივი ღამეა, თითქმის ყინავდა. მათ თავზე ვარსკვლავები კაშკაშებდა, მაგრამ აკადემიის ფერდობზე უკვე ნისლი მოჩანდა. აკადემ-ავენიუ ამ თეთრ საბურველში იყო უკვე გახვეული. მის ზემოთ მხოლოდ ძალზე მაღალი სახლების სახურავების შპილები მოჩანდა.

— რა ცუდია, რომ კარგი ლექსები არ ვიცი, — ჯორდანს ლოყები უფრო გაუწითლდა. თვალები აღარ უელავდა, არამედ სიშავეში ჩაკარგულიყო. მთელი სხეულით კანკალებდა, თუმცა, ორი ჯემპრი ეცვა. საუბრისას მისი ბაგეების სიახლოვეს ორთქლი მოჩანდა, — დირექტორს პოეზია უყვარდა, თვლიდა, რომ ამაზე უკეთესი არაფერია. ის — ჯორდანის მთელი საღამოს განმავლობაში მხიარული ხმა, ბოლოს და ბოლოს, გაიბზარა, — ძველი სკოლის ჭეშმარიტი წარმომადგენელი იყო.

ელისმა გულში ჩაიკრა. ჯორდანმა თავის გათავისუფლება სცადა, მერე დანებდა.

— აი, რას გეტყვი, — ტომმა ბიჭს შეხედა, — მოდი, ჯერ სიცივისგან დავიცვათ, მერე კი ლექსს წავიკითხავ. კარგი?

— ზეპირად მართლაც იცით ლექსები?

— მართლაც ვიცი.

— ისეთი ჭკვიანი ხართ, ტომ, გმადლობ, — ჯორდანის სახეზე განაწამები ღიმილი გამოჩნდა.

საფლავი მალევე ამოავსეს, თუმცა, ბოლოს საჭირო გახდა, სხვა კვლებიდანაც აელოთ მიწის ფენა, იმისთვის, რომ ბორცვი მიწის ზე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაპირს ასცდენოდა. იმ დროისთვის, როდესაც დაასრულეს, კლაის ოფლმა დაასხა და მის სუნს გრძნობდა. შხაპის მიღება უკვე დიდი ხანია ოცნებად ექცა.

ელისმა ჯორდანის შეკავება სცადა, მაგრამ მან თავი გაითავისუფლა და შიშველი ხელებით აყრიდა მიწას საფლავს, და როდესაც კლაი გვერდების შემოსწორებას შეუდგა, ბიჭს თვალები გაშეშებოდა და მთვრალივით ბანცალებდა.

ამის მიუხედავად, თვალს არ აცილებდა ტომს.

— მიდით. ხომ შემპირდით?

კლაი ელოდებოდა, რომ ჯორდანი დაამატებდა: *„დაე, ეს კარგი ლექსი იყოს, სენიორ, თორემ ტყვით გაგიმასპინძლდებით"* — სემ პენკიპას[1] რომელიმე ვესტერნის მთავარი პერსონაჟის, მკვლელი ბანდიტის დამახასიათებელი ინტონაციით.

ტომი საფლავთან დადგა. კლაიმ გაიფიქრა, რომ იქ იდგა, სადაც მიცვალებულის თავი იყო, მაგრამ ზუსტად გახსენება დალილობისგან ალარ შეეძლო. ეს კი არა, ისიც ველარ გაიხსენა, დირექტორს ჩარლზი ერქვა თუ რობერტი. ნისლის საცეცები უკვე ტომის ტერფებსა და წვივებს მისწვდა, ლობიოს გამხმარ ღეროებს შორის მოიპარებოდა. ტომმა კეპი მოიხადა. ელისმაც. კლაიმ თავისკენ წაილო ხელი და მერელა გაახსენდა, რომ თავზე არაფერი ეხურა.

— სწორია! — წამოიძახა ჯორდანმა და გაიღიმა, — ქუდები მოიხადეთ! ქუდები მოიხადეთ დირექტორის პატივსაცემად, — თავადაც თავშიშველი იყო, მაგრამ წარმოსახვითი ქუდი ჰაერში აისროლა და კლაი ისევ შიშმა შეიპყრო ყმაწვილის ფსიქიკური მდგომარეობის გამო, — ახლა კი ლექსი, მიდი, ტომ!

— კარგი, — უპასუხა ტომმა, — მაგრამ ჩუმად უნდა იდგე, ასე უნდა გამოხატო პატივისცემა.

ჯორდანმა ტუჩებთან თითი მიიტანა და ანიშნა, რომ ყველაფერი ესმის. თვალებში ჩამდგარი გლოვით კლაი მიხვდა, რომ ბიჭს სალი გონება ჯერ კიდევ შერჩენოდა.

მან მეგობარი დაკარგა, მაგრამ ჭკუაზე ჯერ არ შეშლილიყო.

---

[1] *სემუელ დეივიდ პენკიპა (1925-1984) — ამერიკელი კინორეჟისორი და სცენარისტი, ძირითადად, ვესტერნებს ილებდა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაპირს ასცდენოდა. იმ დროისთვის, როდესაც დაასრულეს, კლაის ოფლმა დაასხა და მის სუნს გრძნობდა. შხაპის მიღება უკვე დიდი ხანია ოცნებად ექცა.

ელისმა ჯორდანის შეკავება სცადა, მაგრამ მან თავი გაითავისუფლა და შიშველი ხელებით აყრიდა მიწას საფლავს, და როდესაც კლაი გვერდების შემოსწორებას შეუდგა, ბიჭს თვალები გაშეშებოდა და მთვრალივით ბანცალებდა.

ამის მიუხედავად, თვალს არ აცილებდა ტომს.

— მიდით. ხომ შემპირდით?

კლაი ელოდებოდა, რომ ჯორდანი დაამატებდა: *„დაე, ეს კარგი ლექსი იყოს, სენიორ, თორემ ტყვიით გაგიმასპინძლდებით“* — სემ პენკიპას[1] რომელიმე ვესტერნის მთავარი პერსონაჟის, მკვლელი ბანდიტის დამახასიათებელი ინტონაციით.

ტომი საფლავთან დადგა. კლაიმ გაიფიქრა, რომ იქ იდგა, სადაც მიცვალებულის თავი იყო, მაგრამ ზუსტად გახსენება დაღლილობისგან აღარ შეეძლო. ეს კი არა, ისიც ველარ გაიხსენა, დირექტორს ჩარლზი ერქვა თუ რობერტი. ნისლის საცეცები უკვე ტომის ტერფებსა და წვივებს მისწვდა, ლობიოს გამხმარ ღეროებს შორის მოიპარებოდა. ტომმა კეპი მოიხადა. ელისმაც. კლაიმ თავისკენ წაიღო ხელი და მერელა გაახსენდა, რომ თავზე არაფერი ეხურა.

— სწორია! — წამოიძახა ჯორდანმა და გაიღიმა, — ქუდები მოიხადეთ! ქუდები მოიხადეთ დირექტორის პატივსაცემად, — თავადაც თავშიშველი იყო, მაგრამ წარმოსახვითი ქუდი ჰაერში აისროლა და კლაი ისევ შიშმა შეიპყრო ყმაწვილის ფსიქიკური მდგომარეობის გამო, — ახლა კი ლექსი, მიდი, ტომ!

— კარგი, — უპასუხა ტომმა, — მაგრამ ჩუმად უნდა იდგე, ასე უნდა გამოხატო პატივისცემა.

ჯორდანმა ტუჩებთან თითი მიიტანა და ანიშნა, რომ ყველაფერი ესმის. თვალებში ჩამდგარი გლოვით კლაი მიხვდა, რომ ბიჭს საღი გონება ჯერ კიდევ შერჩენოდა.

მან მეგობარი დაკარგა, მაგრამ ჭკუაზე ჯერ არ შეშლილიყო.

---

[1] *სემუელ დეივიდ პენკიპა (1925-1984) — ამერიკელი კინორეჟისორი და სცენარისტი, ძირითადად, ვესტერნებს იღებდა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კლაი ელოდა. აინტერესებდა, ტომი რაზე შეაჩერებდა არჩევანს. ეგონა, ფროსტის, ან შესაძლოა, სულაც შექსპირის რომელიმე ნაწარმოებს წაიკითხავდა (დირექტორს უეჭველად მოეწონებოდა შექსპირისეული „კვლავ როდის შევხვდეთ ჩვენ ერთმანეთსო, როს ინვიმებს თუ იქუხ-იჭექსო?“[1]), ან იქნებ რალაც უჩვეულო და უცნაური, ტომ მაკორტისეული მომცრო ექსპრომტი, მაგრამ ნამდვილად არ ელოდა ტომის ბაგეთაგან ლოცვას.

— შენ, უფალო, არ დაგვილიო შენი თანაგრძნობა; შენი ნყალობა და შენი ჭეშმარიტება მუდამ გვიცავენ ჩვენ. რადგან გარე შემოგვეხვია აურაცხელი უბედურება, ნამოგვეწივნენ ცოდვანი ჩვენი და არ შეგვეძლო დანახვა; ჩვენი თმის ბეწვებზე მეტად მომრავლდნენ და გულმა მიგვატოვა. ისურვე, უფალო, ჩვენი დახსნა; უფალო, ჩვენს დასახმარებლად გამოეშურე.[2]

ნამცეცა ბოტასს ჩაფრენილი ელისი საფლავის ბოლოში იდგა. იდგა თავდახრილი, ხშირ-ხშირად და ჩუმად ამოისლუკუნებდა.

ტომი აგრძელებდა. ხელი, ხელისგულით ქვემოთ, საფლავის ზემოთ ეკავა, თითები მოეკეცა:

— დაე, შერცხვნენ და გაწბილდნენ, ვინც ჩვენი სულების დალუპვას ეძებს, უკუიქცნენ და თავი მოეჭრათ ჩვენს ავის მნდომებს; დაე, შეძრწოლდნენ სირცხვილისაგან, ვინც გვეუბნებოდა: „ოჰო! ოჰო! აი, აქ წევს მკვდარი, მიწად ქცეული“.

— დირექტორო, როგორ მწყდება გული! — ხმის კანკალით ნამოიძახა ჯორდანმა, — როგორ მწყდება გული, რომ ეს არ არის სწორი, სერ! ისე მენანება, რომ მოკვდით, — თვალები გადაატრიალა და ახალგათხრილ საფლავზე დაეცა. ნისლმა მაშინვე თავის თეთრ მკლავებში მოიქცია.

კლაიმ ასწია და კისერზე პულსი მოუსინჯა. ძლიერი და თანაბარი.

— უბრალოდ, გრძნობა დაკარგა. რას კითხულობდი, ტომ?

— მეორმოცე ფსალმუნის თავისუფალ ინტერპრეტაციას. მოდი, ბიჭი სახლში შევიყვანოთ.

---

[1] *უილიამ შექსპირი, „მაკბეტ“; გამომცემლობა „პალიტრა L“, „მეფე ლირი“, „ოტელო“, „მაკბეტ“, 2013, გვ. 238.*

[2] *ტომი კითხულობს მეფე დავითის 39 (40) ფსალმუნის ნაწყვეტს, მაგრამ „მე“ შეცვლილია სიტყვით „ჩვენ“. ბიბლია, ორ წიგნად, წიგნი I, გვ. 566.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არა, — უთხრა კლაიმ, — თუ ძალიან გრძელი არ არის, ბოლომდე წაიკითხე.

— ჰო, გთხოვ, — მხარი აუბა კლაის ელისმაც, — ბოლომდე წაიკითხე. ის მშვენიერია. სულის ჭრილობის მალამოა.

ტომი ისევ საფლავისკენ შებრუნდა. იქნებ თავის ხელში აყვანა სჭირდებოდა, ან იქნებ ადგილს იხსენებდა, საიდანაც უნდა გაეგრძელებინა.

— აი, განისვენებს მიცვალებული, მიწის მტვერი,[1] და აქვე ვდგავართ ჩვენ, ცოცხლები, ბედკრულნი და გლახაკნი. ჩვენი დამხმარე და მხსნელი შენა ხარ, ღმერთო ჩვენო, ნუ დააყოვნებ. ამინ.

— ამინ, — გაიმეორეს კლაიმ და ელისმა.

— მოდი, ბიჭი სახლში შევიყვანოთ, — გაიმეორა ტომმა, — აქ ძალიან ცივა.

— ეს ახალი ინგლისის მაცხოვრის პირველი ეკლესიის დეიდებმა გასწავლეს?

— ჰო, — ტომმა თავი დაუქნია, — ბევრი ფსალმუნი ვიცი ზეპირად, ამისთვის დამატებითი დესერტი მეკუთვნოდა. კიდევ, ქუჩის კუთხეში მოწყალების თხოვნა მასწავლეს და ისიც, ოც წუთში უნივერმაღ „სირსის“ ავტოსადგომის ყველა მანქანის საქარე მინაზე როგორ მიმემაგრებინა ფურცლები ქადაგებებით *„მილიონი წელი ჯოჯოხეთში“* ან *„არც ერთი ყლუპი წყალი“*. მოდი, დავაწვინოთ. დარწმუნებული ვარ, ხვალ ნაშუადღევის ოთხ საათამდე იძინებს და რომ გაიღვიძებს, ბევრად უკეთ იქნება.

— რა მოხდება, თუ ის კაცი მოვა, გაგლეჯილი ლოყით, და დაინახავს, რომ ჩვენ ისევ აქ ვართ, თუმცა, წასვლა გვიბრძანა? — იკითხა ელისმა.

კლაის აზრით, ეს კარგი შეკითხვა იყო, მაგრამ არა ისეთი, რომელზეც დიდხანს საჭიროა ფიქრი. ან „დაფლეთილი კაცი“ კიდევ ერთი დღით დარჩენის უფლებას მისცემდათ, ან არა. და როდესაც კლაი ხელში ატატებული ჯორდანით შენობაში შებრუნდა, მიხვდა, მეტისმეტად დაქანცული იყო, „დაფლეთილი კაცის“ ხვალინდელ გადაწყვეტილებაზე რომ ენერვიულა.

---

[1] *თავისუფალი ინტერპრეტაცია ძველი აღთქმიდან: „გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტვრისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად“ (დაბადება, 2:7).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

2

დაახლოებით დილის ოთხ საათზე ელისმა კლაისა და ტომს ღამე მშვიდობისა უსურვა და დასაძინებლად წავიდა. ორი მამაკაცი სამზარეულოში იჯდა და ყინულიან ჩაის სვამდა, ბევრს არ ლაპარაკობდნენ. არც არაფერი იყო სალაპარაკო. მერე, გათენებამდე ცოტა ხნით ადრე, კიდევ ერთი საზარელი კვნესა გაისმა, სადღაც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ნისლი გამოარღვია. კვნესა ჰაერში ტორტმანებდა, როგორც მოჩვენების ღრიალი ძველ საშინელებათა ფილმში, მერე გაწოვა დაიწყო, და მაშინ უპასუხა მას ბევრად ხმამაღალმა კვნესამ გეიტენიდან, სადაც „დაფლეთილმა კაცმა“ თავისი დიდი ჯოგი წაიყვანა.

კლაი და ტომი პარმაღზე გავიდნენ, გამდნარი ბუმბოქსებისგან აღმართული ბარიერი გაარღვიეს, რომ კიბემდე მისულიყვნენ, მაგრამ ვერაფერი დაინახეს. მთელი სამყარო გათეთრებულიყო. ცოტა ხანს იდგნენ, მერე ისევ შენობაში შებრუნდნენ.

არც სასიკვდილო გმინვას, არც თანამგრძნობთა კვნესას ელისისა და ჯორდანის ძილი არ დაურღვევია. ტომსა და კლაის ეს მხოლოდ უხაროდათ. გზების შელახული ატლასი, ჩაკეცილი კუთხეებით, სამზარეულოში, პროდუქტების დასამუშავებელ მაგიდაზე იდო. ტომმა გადაფურცლა.

— შეიძლება ჰუკსეტში ყვიროდნენ, ან სანკუკში. ეს ნიუ-ჰემფშირის ჩრდილო-აღმოსავლეთის დიდი ქალაქებია. საინტერესოა, რამდენი მოკლეს და როგორ.

კლაიმ თავი გააქნია.

— იმედია, ბევრი, — ცივად, არცთუ მხიარულად გაიღიმა ტომმა, — იმედია, არა ნაკლები, ვიდრე ჩვენ, და ისინიც ნელა იხრუკებოდნენ. რესტორნების ერთი ქსელი გამახსენდა, შემწვარი წიწილების რეკლამა ჰქონდათ. ხვალ ღამით მივდივართ?

— თუ „დაფლეთილი კაცი“ ამ დღესაც გვაცოცხლებს, ვფიქრობ, წასვლა მოგვინევს. შენ ასე არ ფიქრობ?

— არ ვიცი, სხვა რა არჩევანი გვაქვს, — უპასუხა ტომმა, — მაგრამ, კლაი, აი, რას გეტყვი: ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ხბო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვიყო, რომელიც სასაკლაოზე შეჰყავთ, და ჩემი თანამოძმეების სისხლის სუნი ნესტოებში მიღიტინებს.

კლაიც იმავეს გრძნობდა, მაგრამ კვლავ რჩებოდა კითხვა: თუ ამ კოლექტიურ გონს მკვლელობა სწყუროდა, რატომ არ მოხდა ეს აქ? მათი დახოცვა გუშინ საღამოს შეეძლოთ, ნაცვლად იმისა, პარმალზე გამდნარი ბუმბოქსები დაეხვავებინათ და ზემოდან ელისის თილისმა, ნამცეცა ბოტასი დაედოთ.

ტომმა დაამთქნარა.

— მეძინება. შეგიძლია ერთი-ორი საათი გაძლო?

— ჰო, — უპასუხა კლაიმ. სიმართლე ითქვას, ძილი არ ეკარებოდა. სხეული, რასაკვირველია, მოექანცა, მაგრამ აზრების ნაკადი არა და არ წყდებოდა. თუ უეცრად შენელდებოდა, მაშინვე ახსენდებოდა ის ხმა, რომელიც კალამმა გამოსცა დირექტორის თვალიდან ამოღებისას — ძვალზე ლითონის ჩუმი ღრჭიალი, — რა არის?

— ის, რომ თუ დღეს ჩვენს დახოცვას გადაწყვეტენ, ჩემს თავს მე მივხედავ. ყველაფერს ჩემებურად გავაკეთებ. მათ რა საშუალებები აქვთ, უკვე ვნახე. მეთანხმები?

კლაიმ გაიფიქრა, რომ თუ კოლექტიურმა გონმა, რომლის განსხეულება „დაფლეთილი კაცი" იყო, მართლაც აიძულა დირექტორი, თვალში კალამი შეერჭო, ჩითემ-ლოჯის ოთხ ბინადარს უახლოეს ხანში მოუწევდა იმის გარკვევა, გამოირიცხებოდა თუ არა თვითმკვლელობის ვარიანტი, მაგრამ არ სურდა, ტომი დასაძინებლად ამ აზრით წასულიყო და მხოლოდ თავი დაუქნია.

— ავტომატს ზემოთ წავილებ. შენ ამ დიდ 45-კალიბრიან რევოლვერს დაიტოვებ?

— ბეტ ნიკერსონის საყვარელ იარაღს. ჰო.

— მაშინ, ღამე მშვიდობისა. თუ დაინახე ან იგრძენი, რომ მოდიან, იყვირე, — ტომი რამდენიმე წამით დადუმდა, — თუ ამის დრო გექნა ან თუ საშუალება მოგცეს.

კლაი უყურებდა, როგორ გავიდა ტომი სამზარეულოდან, თან იმაზე ფიქრობდა, ტომი როგორ ერთი ფეხით უსწრებდა მის აზრებს. როგორ მოსწონდა ტომი. უნდოდა, უკეთ გასცნობოდა, მაგრამ ამის შესაძლებლობა მეტად მცირე იყო. და ჯონი და შერონი? ისინი არასოდეს ყოფილან ასე შორს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

3

დილის რვა საათზე კლაი დირექტორის „გამარჯვების პარკის“ განაპირას, სკამზე იჯდა და საკუთარ თავს ეუბნებოდა, რომ არა უკიდურესი დაღლილობა, ადგებოდა და მის საფლავზე რაიმე ნიშანს დატოვებდა. დიდ ძალისხმევას ეს არ საჭიროებდა. მოხუცი ამგვარ პატივს თუნდაც იმიტომ იმსახურებდა, რომ თავის თავზე აილო უკანასკნელ მოსწავლეზე ზრუნვა. მაგრამ ისე მოხდა, რომ კლაიმ არ იცოდა, შეძლებდა თუ არა სკამიდან წელის ათრევას, სახლამდე მიბობღებასა და ტომის გაღვიძებას, რომ მას მორიგეობა გადაებარებინა.

კიდევ ერთი მშვენიერი, ცივი შემოდგომის დღე ელოდათ, იდეალურად შესაფერისი ვაშლის საკრეფად, სიდრის დასაყენებლად, ფეხბურთის სათამაშოდ. ნისლი ჯერ ისევ სქელი იყო, მაგრამ მზის პირველმა სხივებმა უკვე გაარღვიეს მისი საბურველი და ახლა კლაის გარშემო ყველაფერი თეთრ სინათლეში ცურავდა. ჰაერში წყლის პაწაწინა წვეთები ეკიდა, მისი გადაღლილი თვალების წინ ასობით ცისარტყელა ტრიალებდა.

ამ დამაბრმავებელ სითეთრეში რაღაც წითელი გამოჩნდა. წამით მოეჩვენა, რომ „დაფლეთილი კაცის“ წითელი „კენგურუ“ ჰაერში თავისით გადაადგილდებოდა, მაგრამ როდესაც კლაის მიუახლოვდა, მის თავზე ყავისფერი სახე, ყავისფერი ხელის მტევნები გამოჩნდა. იმ დილით „დაფლეთილ კაცს“ თავზე კაპიუშონი ეხურა და მის ჩარჩოში იყო მოქცეული გალიმებული, დამახინჯებული სახე უსიცოცხლო თვალებით.

ახლა კლაი მეცნიერის მაღალ შუბლსაც ხედავდა, ნაიარევითურთ. და კიდევ, ჭუჭყიან, ფორმადაკარგულ ჯინსს დახეული ჯიბეებით, რომელიც მთელი კვირა იყო, პატრონს არ გაუხდია.

და გულისპირზე წარწერას: ჰარვარდი.

ბეტ ნიკერსონის 45-კალიბრიანი რევოლვერის ბუდე კლაის ქამარზე ეკიდა, მაგრამ იარაღისთვის ხელიც არ დაუკარებია. „დაფლეთილი კაცი“ კლაისგან ათი ფუტის დაშორებით გაჩერდა. დირექტორის საფლავზე იდგა და კლაიმ დაიჯერა, რომ ასე შეგნებულად მოიქცა.

— რა გინდა? — შეეკითხა „დაფლეთილ კაცს“ და პასუხად მიიღო: „შენთან დალაპარაკება“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იჯდა, „დაფლეთილ კაცს“ მიშტერებოდა და გაოგნებისგან ლაპარაკის უნარი წართმეოდა. „დაფლეთილმა კაცმა“ ჩაიცინა, თუ, რასაკვირველია, გაცინება შეეძლო ჩამოფლეთილი ქვედა ტუჩით, ხელები გაშალა, თითქოს ამბობდა: *„ეს ყველაფერი სისულელეა“*.

— თქვი, რისი თქმაც გინდა, — კლაი მოემზადა იმისთვის, რომ მეორედ დაკარგავდა ხმას, თუმცა, მიხვდა, რომ ამისთვის შემზადება შეუძლებელია. ეს იგივეა, მუცლითმეზღაპრის მუხლზე წონასწორობის შენარჩუნების მცდელობით დაკავებულ ხის თოჯინად იქცე.

„წადით. ამალამ“.

კლაიმ ძალა მოიკრიბა და თქვა:

— გეყოფა, შეწყვიტე!

„დაფლეთილი კაცი“ ელოდებოდა, განსხეულებულ მოლოდინად ქცეულიყო.

— მგონი, თუ ძალიან მოვინდომე, მოვახერხებ შენს შეჩერებას, — განაგრძო კლაიმ, — არა ვარ დარწმუნებული, მაგრამ, ვფიქრობ, შევძლებ.

„დაფლეთილი კაცი“ ისევ მოთმინებით უსმენდა. მის სახეზე იკითხებოდა: *„დაამთავრე?“*

— განაგრძე, — უთხრა კლაიმ და მანაც უპასუხა: *„შემეძლო, მომეყვანა. ბევრი. მარტო მოვედი“*.

კლაიმ ივარაუდა, რომ ტელეპათიურად „დაფლეთილი კაცი“ ისევ ჯოგთან იყო დაკავშირებული და დაასკვნა, რომ არ ცდებოდა.

„წადით. დღეს. ჩრდილოეთი“. კლაი ელოდებოდა, მაგრამ, როცა მიხვდა, „დაფლეთილი კაცი“ მეტის თქმას არ აპირებდა, ჰკითხა:

— სად? რატომ?

ამჯერად სიტყვები აღარ დასჭირვებია: მის წინ უეცრად გამოსახულება გაჩნდა. ისეთი მკვეთრი, რომ კლაი ვერ მიხვდა, მის გონებაში აღმოცენდა თუ „დაფლეთილმა კაცმა“ ნისლის ეკრანი გამოიყენა. ზუსტად ისეთი წარწერა იყო, როგორიც ასფალტზე, ვარდისფერი ცარცით შესრულებული:

კაშვაკი = არა-ტელ

— არ მესმის, ეს რა არის, — თქვა კლაიმ.

მაგრამ „დაფლეთილი კაცი“ უკვე მიდიოდა. ერთ წამს კლაი მის „კენგურუს“ ხედავდა კაშკაშა მზით განათებულ ნისლში, მერე ისიც გაქრა. კლაიმ იმითლა ინუგეშა თავი, რომ მაინც აპირებდა ჩრდი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლოეთისკენ წასვლას და მათ აკადემიაში კიდევ ერთი დღის გატარების უფლება მისცეს. ეს უკანასკნელი იმას ნიშნავდა, რომ მორიგეობა საჭირო ალარ იყო. ამიტომ დასაძინებლად წასვლა გადაწყვიტა, ხელი რომ არ შეეშალა დანარჩენების ტკბილი ძილისთვის.

4

ჯორდანმა ნორმალურ გონებაზე გაიღვიძა, თვალები წინანდებურად ალარ უელავდა. ქვასავით მაგარ ბლითს ლრლნიდა და კლაის მონათხრობს უსმენდა დილით „დაფლეთილ კაცთან" შეხვედრის შესახებ. როდესაც კლაიმ მოყოლა დაასრულა, გზების ატლასი აიღო, ნიგნის ბოლოს საძიებელი გადაშალა, საჭირო გვერდი მოძებნა მენის შტატის დასავლეთ ნაწილში და ქალაქი მიუთითა ფრაიბურგის ზემოთ.

— აი, კაშვაკი, ალმოსავლეთით, და ლიტლ-კაშვაკი — დასავლეთით, სწორედ ნიუ-ჰემფშირის საზღვართან. მაშინვე მივხვდი, რომ ეს ნაცნობი სახელია. ტბის გამო, — რუკაზე ცისფერ ლაქას თითი დაადო, — თითქმის ისეთივე დიდია, როგორიც სებაგო[1].

ელისი ატლასისკენ დაიხარა, რომ ტბის სახელწოდება წაეკითხა.

— კაშ... კაშვაკამაკი, მგონი, ასე ჰქვია.

— მუნიციპალურ კვაზიკორპორაციაში[2] შედის, სახელწოდებით TR-90, — ჯორდანმა ისევ ატლასზე დააკაკუნა თითი, — როგორც კი ამას გაიგებ, მაშინვე ცხადი ხდება, რატომ უდრის კაშვაკი არა-ტელს. მარტივი შეკითხვაა ცხადი პასუხით, ასე არ არის?

— მკვდარი ზონაა, ხომ ასეა? — იკითხა ტომმა, — არც რეტრანსლატორები, არც მობილური ტელეფონები, არც მიკროტალღების დიაპაზონი.

---

[1] მენის შტატში 2500 ტბაა. მათგან ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს სებაგო — დასასვენებელი პოპულარული ადგილი.

[2] მუნიციპალური კვაზიკორპორაცია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია, რომელსაც ხშირად იურიდიული პირის უფლებები აქვს მინიჭებული, მაგრამ სრული თვითმმართველობით არ სარგებლობს. ასეთ ტერიტორიაზე სრულფასოვანი ინფრასტრუქტურა არ არსებობს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯორდანმა ძლივძლივობით გაიღიმა.

— ჩემი აზრით, იქ უამრავ ადამიანს შინ ექნება თანამგზავრული ანტენები, მაგრამ მთლიანობაში, მართალს ამბობთ.

— არ მესმის, — წამოიწყო ელისმა, — რატომ სურთ, გაგვგზავნონ იქ, სადაც მობილური კავშირგაბმულობა არ არის, ანუ ადამიანების უმეტესობა ნორმალურია?

— იმავე წარმატებით შეგვიძლია, ვიკითხოთ, რატომ შეგვინარჩუნეს სიცოცხლე, — თქვა ტომმა.

— იქნებ ჩვენი ცოცხალ მართვად იარაღად გადაქცევა სურთ, რომ მერე იქაურობა დაბომბონ, — ივარაუდა ჯორდანმა, — ჩვენც მოგვიშორებენ თავიდან და მათაც. ორ კურდღელს დაიჭერენ.

ყველა დუმდა და ბიჭის სიტყვებზე ფიქრობდა.

— მოდი, წავიდეთ და იქვე გავარკვიოთ, — თქვა ბოლოს ელისმა, — მაგრამ მე პირადად არავის დაბომბვას არ ვაპირებ.

ჯორდანმა სევდიანად შეხედა.

— უკვე ნახე, რაც დამართეს დირექტორს. გგონია, თუ საქმე ამაზე მიდგა, არჩევანის საშუალება გექნება?

5

გეიტენის აკადემიის მოპირდაპირე მხარეს, აკადემ-ავენიუს სახლების უმეტესობის პარმაღებზე ისევ ეწყო ფეხსაცმელები, მაგრამ ახლა ხედავდნენ, რომ სახლებს კარები შემტვრეული ჰქონდა, ან ანჯამებზე ეკიდა. გაზონზე დატოვებულ რამდენიმე გვამში მობილოგიჟები ამოიცნეს, მაგრამ, ძირითადად, დაეხოცათ უდანაშაულო მოგზაურები, რომლებიც არასაჭირო დროს არასაჭირო ადგილზე აღმოჩნდნენ. სწორედ მათ არ ეცვათ ფეხსაცმელი, მათი ფეხები კი სადღაც მოშორებით ეყარა: შურისძიების მსხვერპლთა უმეტესობა, უბრალოდ, დაანაწევრეს.

აკადემიის ტერიტორია ჩამოიტოვეს, აკადემ-ავენიუ ისევ 102-ე გზატკეცილი გახდა, მაგრამ ანგარიშსწორების კვალი კიდევ ერთი მილის მანძილზე ხვდებოდათ გზის ორივე მხარეს. ელისი თვალდახუჭული მიდიოდა, ტომს ხელი ჩაეკიდა მისთვის და ისე მიჰყა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვდა, როგორც ბრმა. კლაიმ იგივე შესთავაზა ჯორდანსაც, მაგრამ მან უარის ნიშნად თავი გააქნია და სავალი გზის შუაში მიაბიჯებდა გამხდარი ყმაწვილი ზურგჩანთითა და გრძელი თმით. ერთი-ორჯერ თვალი შეავლო მსხვერპლთა გვამებს და მერე მხოლოდ საკუთარ ბოტასებს დასცქეროდა.

— ასობით არიან, — წამოსცდა ტომს. საღამოს რვა საათი იყო, დაბნელდა, მაგრამ მაინც იმაზე მეტს ხედავდნენ, ვიდრე დანახვა სურდათ. აკადემ-ავენიუსა და სპოფორდ-სტრიტის კუთხეში გზის მაჩვენებელ ფირნიშთან რომ შეუხვიეს, გოგონა დაინახეს, წითელ შარვალსა და თეთრ მეზღვაურულ ბლუზაში. ათი წლის იქნებოდა, მეტის — არა. ფეხშიშველი. ათიოდე იარდის დაშორებით იდგა კარშემტვრეული სახლი, საიდანაც, ალბათ, გამოათრიეს, შეწყალებას ევედრებოდა, მაგრამ მაინც არ დაინდვეს, — *ასობით.*

— იქნებ არც ისე ბევრნი არიან, — არ დაეთანხმა კლაი, — ჩვენებიდან ბევრი შეიარაღებული იყო და ამ ნაძირლებიდან ნაწილი დახოცეს. ვილაცა აკუწეს. ერთი დავინახე, თვალში ისარი ჰქონდა გარჭობილი.

— ამის *მიზეზი* ჩვენ ვართ, — თქვა ტომმა, — შენი აზრით, შეგვიძლია თავი იმათ *მივაკუთვნოთ*, ვისაც შენ „ჩვენებს“ უწოდებ?

პასუხი მიიღეს ოთხი საათის შემდეგ, როდესაც წასახემსებლად შეჩერდნენ. იმ დროისთვის უკვე 156-ე გზატკეცილზე იყვნენ და ფირნიშის წარწერის თანახმად, დასათვალიერებელ მოედანზე იმყოფებოდნენ, საიდანაც გზატკეცილის დასავლეთით მდებარე ისტორიულ ფლინტ-ჰილზე შესანიშნავი ხედი იშლებოდა. კლაის შეეძლო, წარმოედგინა, რომ ხედი მართლაც დაუვიწყარი იქნებოდა, თუ აქ შუადღისას მოხვდებოდნენ და არა შუაღამისას, დღის და არა აირის ლამპების სინათლეზე.

უკვე დესერტს შეექცეოდნენ, გამხმარ „ორეოს“ ორცხობილებს, რომ გზატკეცილზე ექვსკაციანი ჯგუფი გამოჩნდა. ყველანი მათზე უფროსები იყვნენ ასაკით. სამნი საკვებით დატვირთულ საზიდრებს მიაგორებდნენ, ყველა შეიარაღებული იყო. იმ ღამეს სხვა მგზავრი არ შეხვედრიათ.

— ეი! — ხელი დაუქნია მათ ტომმა, — აქ კიდევ ერთი მაგიდაა. არ გინდათ, შეისვენოთ?

ისინი შეჩერდნენ. ორი ქალიდან უფრო ხანდაზმულმა, ბებიამ, რომლის ჭალარა თმა ვარსკვლავების სინათლეზე ვერცხლისფრად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კიაფობდა, უკვე ასწია საპასუხოდ ხელი, მაგრამ დაქნევა ველარ მოასწრო.

— ისინი არიან, — მიუთითა მათზე ერთ-ერთმა მამაკაცმა და კლაიმ უშეცდომოდ ამოიკითხა მის ხმაში ზიზღიცა და შიშიც, — ბანდა გეიტენიდან.

— ჯოჯოხეთში წასულხარ, მეგობარო, — დაამატა მეორე მამაკაცმა და მათ გზა გააგრძელეს, ნაბიჯსაც აუჩქარეს, თუმცა, ბებია კოჭლობდა და ერთ-ერთი მამაკაცი ავტომანქანა „სატურნზე" ბამპერით ჩაჭედილი „სუბარუს" გარშემოვლაში დაეხმარა.

ამის გაგონებაზე ელისი ისე შეხტა, კინალამ ლამპა გადააყირავა.

— ყურადღებას ნუ აქცევ, საყვარელო, — ხელი ჩასჭიდა კლაიმ.

ელისმა მის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია.

— ყოველ შემთხვევაში, ჩვენ *რალაც* მაინც გავაკეთეთ! — დაუყვირა მიმავლებს გოგონამ, — *თქვენ* რა გააკეთეთ? *რა გააკეთეთ*, თქვენი დედაც?

— გეტყვი, რაც გავაკეთეთ, — უპასუხა მამაკაცმა. პატარა ჯგუფი უკვე გასცდენოდა დასათვალიერებელ მოედანს, ამიტომ ის შემობრუნდა. შეეძლო, ისე ევლო, ფეხქვეშ არ ეცქირა, იმიტომ, რომ გარშემო ორ ასეულ იარდზე მიტოვებული მანქანის ჭაჭანება არ ჩანდა, — ჩვენს მცდელობას ნორმალურების სიკვდილი არ გამოუწვევია. ისინი კი ჩვენზე მეტნი არიან, თუ ეს ჯერ კიდევ ვერ შენიშნეთ.

— სისულელეს ჩმახავთ, არც კი იცით, ეს სიმართლეა თუ არა! — დაიყვირა ჯორდანმა და კლაი ახლა მიხვდა, რომ აკადემიის დატოვების შემდეგ ბიჭმა პირველად დაილაპარაკა.

— შეიძლება, მართალია, შეიძლება — არა, მაგრამ მათ რალაც ზებუნებრივისა და ძლიერის უნარი აქვთ. შეგიძლიათ, დამიჯერეთ. ამბობენ, რომ თავს დაგვანებებენ, თუ ჩვენ მოვეშვებით მათ და *თქვენ*. და ჩვენც ვეუბნებით, როგორც იტყვით-მეთქი.

— *თუ* იმის გჯერათ, რასაც ისინი ჩაგაგონებენ, *იდიოტები* ყოფილხართ! — დაიყვირა ელისმა.

კაცი მიტრიალდა, ხელი ისე აიქნია, რომ გასაგები იყო, რასაც უთვლიდა დასათვალიერებელ მოედანზე მყოფებს, მაგრამ ხმა ალარ ამოუღია.

ოთხივე თვალს ადევნებდა საზიდრებიან ჯგუფს, ვიდრე თვალს არ მიეფარა, მერე ერთმანეთს გადახედეს უამრავი ინიციალით აჭრელებული მაგიდის გარშემო მსხდომებმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ესე იგი, უკვე ვიცით, — დაასკვნა ტომმა, — ჩვენ განკიცხულნი ვართ.

— შესაძლოა, არა, თუ მობილოგიუებს ის უნდათ, რომ ჩვენც იქ წავიდეთ, სადაც სხვა ნორმალურები მიდიან, — თქვა კლაიმ, — შეიძლება, ჩვენ კიდევ სხვები ვართ.

— ვინ? — იკითხა ელისმა.

კლაიმ წარმოიდგინა, ვინც, მაგრამ არაფერი უთქვამს. ახლა, შუალამისას, ეს განსაკუთრებით არ სურდა.

— ახლა უფრო მეტად მაინტერესებს კენტ-პონდი. იქ აუცილებლად უნდა მოვხვდე, იმისთვის, რომ გავარკვიო, შევძლებ თუ ვერა ცოლისა და შვილის პოვნას.

— მათი იქ პოვნის შესაძლებლობა მეტისმეტად მცირეა, ასე არ არის? — ხმადაბლა და ალერსიანად იკითხა ტომმა, — ამას ვგულისხმობ: იმის მიუხედავად, მობილოგიუები გახდნენ თუ ნორმალურ ადამიანებად დარჩნენ, ალბათ, ქალაქიდან უკვე წავიდნენ.

— თუ ყველაფერი რიგზეა, ბარათს დატოვებდნენ, — უპასუხა კლაიმ, — ნებისმიერ შემთხვევაში, ძებნის გასაგრძელებლად ჩემი სახლი საუკეთესო ათვლის წერტილია.

და ვიდრე სახლში არ მოხვდებოდა, არ აპირებდა იმაზე დაფიქრებას, რატომ შეარჩია მათთვის „დაფლეთილმა კაცმა" ის უსაფრთხო ადგილი, სადაც ადამიანებს ისინი ეზიზღებათ და მათი ეშინიათ?!

ან როგორ შეიძლებოდა უსაფრთხო ადგილი ყოფილიყო კაშვაკი, თუ მის შესახებ მობილოგიუებმა იცოდნენ?!

6

ნელა მიიწევდნენ აღმოსავლეთისკენ, მე-19 გზატკეცილით, რომლითაც შტატებს შორის საზღვარი უნდა გადაელახათ და მენის შტატის სილრმეში შესულიყვნენ, მაგრამ იმ ღამეს საზღვრის გადალახვა ვერ შეძლეს. ნიუ-ჰემფშირის ყველა გზა ამ მხარეში ქალაქ როჩესტერზე გადიოდა, როჩესტერისგან კი მხოლოდ ნახანძრალი დარჩენილიყო. ხანძარი ახლაც არ იყო ჩამქრალი, ფერფლისა და ჭვარტლის ფენების ქვეშ ხრჩოლავდა და ამიტომ ქალაქის თა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვზე რადიოაქტიური ნათების მსგავსი სინათლე იდგა. ინიციატივა ელისმა აიღო და ყველაზე საზარელი ნანგრევების გვერდის ავლით დასავლეთისკენ მიჰყავდა ისინი. რამდენჯერმე დაინახეს ტროტუარებზე წარწერა КАШУАКИ=АРА-ТЕЛ, ერთხელ კი შესაფრქვევი საღებავით საფოსტო ყუთზე ეწერა.

— გრანდიოზული ჯარიმა და პატიმრობა გუანტანამოს ბაზაში, — პირქუშად ჩაიცინა ტომმა.

არჩეულმა გზამ ისინი როჩესტერის სავაჭრო ცენტრის ავტოსადგომზე მიიყვანა. იქ მისვლამდე დიდი ხნით ადრე დინამიკებით გაძლიერებული მუსიკის ხმა გაიგონეს: კლაის აზრით, ნიუ-ეიჯის სტილის მუსიკა იყო და ძალიან ჰგავდა იმას, რასაც მალაზიებში რთავენ ხოლმე. ავტოსადგომი ნაგავს წაელეკა — იქ დატოვებული რამდენიმე ავტომანქანაც კი სრულიად ჩამალულიყო მის გროვაში. ქარს ხრწნაშეპარული სხეულების მყრალი სუნი მოჰქონდა.

— ჯოგი სადღაც ახლოსაა, — ჩაილაპარაკა ტომმა.

ავტოსადგომის გვერდით სასაფლაო იყო. მას სამხრეთიდან და დასავლეთიდან შემოუარეს და როცა ავტოსადგომი უკან მოიტოვეს, უკვე საკმაოდ ახლოდან ხედავდნენ ხეებს შორის ბუმბოქსების წითელი ნათურების ციმციმს.

— ხომ არ დავწვათ? — უეცრად თქვა ელისმა, როდესაც ისევ ჩრდილოეთის მთავარ ქუჩაზე დაბრუნდნენ, — აქ ახლომახლო მოიძებნება აირისცისტერნიანი მანქანა.

— ჰო, ბეიბი! — ჯორდანმა ორივე მუშტი შემართა და პირველად გამოცოცხლდა მას შემდეგ, რაც ჩითემ-ლოჯი დატოვეს, — შური ვიძიოთ დირექტორისთვის!

— მე თუ მკითხავთ, არ ღირს, — თავი გააქნია ტომმა.

— გეშინია, მათი მოთმინება არ ამოიწუროს? — შეეკითხა კლაი და გაუკვირდა, რომ ელისის აზრს მხარი დაუჭირა. კიდევ ერთი ჯოგის დაწვა სრული სიგიჟე რომ იყო, ეჭვი არ ეპარებოდა.

„მზად ვარ, ეს ჩავიდინო, იმიტომ, რომ ეს იქნება „მისტის“ ყველაზე ამაზრზენი ვერსია, რაც კი ცხოვრებაში მსმენია, — გაიფიქრა კლაიმ, — *და ეს მაცოფებს“.*

— მიზეზი სხვაა, — უპასუხა ტომმა, — იქ ხედავ? — და მიუთითა ქუჩაზე, რომელიც სავაჭრო ცენტრსა და სასაფლაოს შორის იყო. ავტომანქანებით გაჭედილი. თითქმის ყველა ავტოსადგომიდან გასვლის დროისთვის გაჩერებულიყო. კლაიმ ადვილად წარმოიდ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გინა, ამ მანქანების პატრონები როგორ ცდილობდნენ შინ მალე დაბრუნებას იმპულსის გავრცელების შემდეგ. ყველას უნდოდა, გაეგო, რა ხდებოდა, კარგად არიან თუ არა მათი ახლობლები. სხვაზე არაფერზე ფიქრობდნენ, არაფერს ეჭვობდნენ და ხელი დასტაცეს მობილურ ტელეფონებს.

— იქ რა არის?

— მოდი, იმ ქუჩაზე გავუხვიოთ, ოლონდ ფრთხილად.

— რა დაინახე, ტომ?

— ჯერ არ გეტყვით. იქნებ არც არაფერია. ტროტუარიდან რაც შეიძლება შორს იყავით, ხეებქვეშ. ეშმაკმა წაილოს ეს საცობი. იქ, ალბათ, გვამებია.

ტუობლი-სტრიტსა და ვესტსაიდის სასაფლაოს შორის გვამები თავზე საყრელად იყო. როდესაც ხეებამდე მიაღწიეს, „მისტიმ“ ადგილი დაუთმო „გული სან-ფრანცისკოში დავტოვე“ დამტკბარ ვერსიას და ისევ დაინახეს ინდიკატორების წითელი ნათურების ციმციმი. მერე კლაიმ კიდევ რაღაც შენიშნა და შეჩერდა.

— ღმერთო, — წაიჩურჩულა.

ტომმა თავი დაუქნია.

— რა? — ჩუმად იკითხა ჯორდანმა, — რა?

ელისი დუმდა, მაგრამ კლაის მზერის მიმართულებითა და მისი ჩამოყრილი მხრებით მიხვდა, რომ თავადაც იგივე დაინახა. სასაფლაოს მთელ პერიმეტრს შაშხანებით შეიარაღებული ადამიანები იცავდნენ. კლაიმ ჯორდანს თავი მიაბრუნებინა და ბიჭმა მაშინვე ჩამოყარა მხრები.

— წავედით, — წაიჩურჩულა მან, — ეს სუნი გულს მირევს.

7

როჩესტერიდან (ჯერ კიდევ ხედავდნენ სამხრეთის ჰორიზონტზე პულსირებად წითელ სინათლეს) ჩრდილოეთით, დაახლოებით ოთხი მილით დაშორებულ მელროუზ-კორნერთან, კიდევ ერთ დასასვენებელ მოედანს მიადგნენ. აქ არა მხოლოდ სკამები და მაგიდები, არამედ ქვებით ამოშენებული კოცონის დასანთები ადგილიც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოყო. კლაი, ტომი და ჯორდანი შეშის შესაგროვებლად ნავიდნენ. ელისმა განაცხადა, სკაუტი ვარო და თავისი ოსტატობა მართლაც უჩვენა, როდესაც მალე გააჩალა პატარა კოცონი, მერე კი მასზე სამი ქილა ჩაშუშული ლობიო გააცხელა. ვიდრე ჭამდნენ, მოგზაურთა ორმა მცირე ჯგუფმა ჩაიარა. მათკენ არავის გაუხედავს, არც ხელი დაუქნევია, ხმაც არ ამოუღიათ.

როდესაც შიმშილი ოდნავ დაიცხრო, კლაი ტომს მიუბრუნდა:

— როგორ მოახერხე იმ იარაღიანი დარაჯების დანახვა, ტომ? სავაჭრო ცენტრის ავტოსადგომიდან? მგონი, დროა, სახელი შეიცვალო და „არნივის თვალი" დაირქვა.

ტომმა თავი გააქნია.

— უბრალოდ, ბედმა გამილიმა და კიდევ, ეს ნათება, როჩესტერის. ხომ მიხვდი, ნაკვერჩხლები.

კლაიმ თავი დაუქნია. ისინი ყველაფერს მიხვდნენ.

— სასაფლაოსკენ საჭირო დროს და საჭირო კუთხით გავიხედე, ჰოდა, იარაღზე ასხლეტილი სინათლე დავინახე. ჩემს თავს ვუთხარი, ასეთი რამ შეუძლებელია, ალბათ, ეს ლითონის მესრის ნაწილებია ან რაღაც სხვა რამ-მეთქი, მაგრამ, — ტომმა ამოიოხრა, ქილა შეუჭმელი ლობიოთი გვერდზე გადადო, — თავადაც ნახეთ.

— იქნებ მობილოგიელები იყვნენ? — ივარაუდა ჯორდანმა, მაგრამ კლაი მის ხმაზე მიხვდა, ამის თავადაც არ სჯეროდა.

— მობილოგიელები ღამღამობით არ ფხიზლობენ, — შეახსენა ელისმა.

— იქნებ ახლა ძილისთვის ნაკლები დრო სჭირდებათ, — მხრები აიჩეჩა ჯორდანმა, — იქნებ ეს მათი ახალი პროგრამის ნაწილია.

როდესაც მათზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს მობილოგიელები ორგანული კომპიუტერები იყვნენ, კლაის მთელ სხეულში ჟრუანტელი უვლიდა.

— ჯორდან, მათ იარაღი არა აქვთ, — შენიშნა ტომმა, — იარაღი არ სჭირდებათ.

— ესე იგი, ახლა რამდენიმე ნაძირალა და გამყიდველი გადაიბირეს, რომლებიც მათ ძილს იცავენ, — ელისის ხმაში ზიზღი და შეკავებული ტირილი ისმოდა, — იმედია, ყველანი ჯოჯოხეთში მოხვდებიან.

კლაის ხმა არ ამოუღია, მაგრამ გაახსენდა ის ხალხი, რომელსაც ღამის პირველ ნახევარში შეხვდნენ, სურსათის საზიდრებით რომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიათრევდნენ, მამაკაცის ხმაში შიში და ზიზღი, როდესაც მათ გეიტენის ბანდა უწოდა. *„ასეთივე წარმატებით შეეძლო დილინჯერის*[1] *ბანდა ეწოდებინა,* — გაიფიქრა კლაიმ და მაშინვე ერთმა აზრმა გაუელვა, — *ამიერიდან მათ მობილოგიუებს კი არა, არამედ მობილოადამიანებს დავუძახებ* — მერე უფრო სახიფათო აზრმა არ მოასვენა, — *მოლალატე როდიდან ალარ არის გამყიდველი?* — პასუხიც მაშინვე თავადვე გასცა, — *როდესაც მოლალატეები უმრავლესობაში არიან და იმ მომენტიდან, ის, ვინც არ იყო, მოლალატე ხდება“.*

თუ რომანტიკოსი ხარ, ასეთ ადამიანებს შეგიძლია, იატაკქვეშელები უწოდო, თუ რომანტიკოსი არა ხარ — განკიცხული.

ან იქნებ დამნაშავეები?!

პატარა ქალაქ ჰეიეს-სტეიშენამდე მივიდნენ და ღამის გასათევად შეჩერდნენ ნახევრად დანგრეულ მოტელში, რომელსაც „მოჩურჩულე ფიჭვები“ ეწოდებოდა. სასტუმროდან მოჩანდა მაჩვენებელი ფირნიში: **მე-19 გზატკეცილამდე — 7 მილი სენფორდ ბერუიკს კენტ-პონდი.** ნომრების წინ ფეხსაცმელი ალარ დაუწყვიათ.

როგორც ჩანს, ამის საჭიროება ალარ არსებობდა.

8

ისევ იმ დაწყევლილი მოედნის პლატფორმაზე იდგა, რალაცნაირად მოძრაობის უნარდაკარგული და ყველა მას მისჩერებოდა. ჰორიზონტზე იგივე კონსტრუქცია მოჩანდა, თავზე მოციმციმე წითელი სინათლით. მოედანი დიდი იყო, უფრო დიდი, ვიდრე ფოქსბორო[2]. მისი მეგობრების გარდა, პლატფორმაზე სხვებიც იყვნენ. გვერდით კიდევ მოჩანდა ასეთივე პლატფორმები. ტომის მარცხნივ ფეხმძიმე ქალი იდგა, „ჰარლეი-დევიდსონის“ სახელოებმოხეული მაისური

[1] *ჯონ დილინჯერი (1902-1934) — ცნობილი ბოროტმოქმედი, ბანკების მძარცველი. მოკლა გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტმა.*

[2] *ფოქსბორო — ქალაქი მასაჩუსეტსის შტატში, რომელსაც ფეხბურთის პროფესიული გუნდი ჰყავს, სახელწოდებით „ახალი ინგლისის პატრიოტები“.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეცვა; კლაის მარჯვნივ კი — ხანდაზმული მამაკაცი, დირექტორის ასაკის არა, მაგრამ აშკარად უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის მზადმყოფი: ჭალარაშერეული თმა ცხენის კუდად შეეკრა კეფაზე, მის ჩამოგრძელებულ ინტელიგენტურ სახეზე შიში იკითხებოდა; და კიდევ, ერთი ახალგაზრდა მამაკაცი, „მაიამელი დელფინების“ ლოგოიანი შელახული კეპით.

ათასობით მაყურებელს შორის კლაი ხედავდა ადამიანებს, რომლებსაც იცნობდა, და ეს არ გაჰკვირვებია: სწორედ ასე ხდება სიზმრებში. ხან სატელეფონო ჯიხურში პირველი კლასის მასწავლებელთან ერთად აღმოჩნდები, ხოლო წუთის შემდეგ ემპაირ-სტეიტ-ბილდინგის პანორამულ მოედანზე დგახარ „დესტინის ჩაილდის“ წევრებთან ერთად.

ამ სიზმარში „დესტინის ჩაილდი“ არ იყო, მაგრამ კლაიმ ის ახალგაზრდა ნახა, რომელიც ქუჩაში შიშველი მირბოდა ავტომობილის ანტენებით ხელში (ახლა ტყავის შარვალი და სუფთა თეთრი მაისური ეცვა), კიდევ ზურგჩანთიანი ხანდაზმული მამაკაცი, რომელმაც ელისს პატარა ქალბატონი უწოდა, და კოჭლი ბებია. ბებიამ კლაისა და მის მეგობრებზე ანიშნა, რომლებიც ორმოცდაათიარდიან ხაზზე[1] იდგნენ, მერე კლაის გვერდით მდგარ ქალს გამოელაპარაკა და... კლაის არ გაჰკვირვებია, როდესაც ეს ქალი მისტერ სკოტონის რძალი აღმოჩნდა. *„ეს გეიტენის ბანდაა“*, — ჩიფჩიფით თქვა ბებიამ და მისტერ სკოტონის რძლის სქელი ზედა ტუჩი იქედნურმა ღიმილმა ზემოთ ასწია.

„მიშველეთ! — იყვირა პლატფორმაზე ტომის გვერდით მდგარმა ქალმა და მისტერ სკოტონის რძალს შეხედა, — *მეც მინდა თქვენსავით ბავშვის გაჩენა. მიშველეთ!“ „ამაზე იქამდე უნდა გეფიქრა, სანამ დრო იყო“*, — უპასუხა მისტერ სკოტონის რძალმა და კლაიმ გაიაზრა, რომ წინა სიზმრის მსგავსად, არავინ ლაპარაკობდა, ურთიერთობა ტელეპათიური იყო.

„დაფლეთილმა კაცმა“ პლატფორმების შემოვლა დაიწყო, ხელს თითოეულის თავზე ასწევდა, სწორედ ისე, როგორც ტომს ეჭირა ხელი დირექტორის საფლავის თავზე: ხელისგულით ქვემოთ, ოდნავ მოხრილი თითებით. მერე მის მაჯაზე საიდენტიფიკაციო სამა-

[1] *ორმოცდაათიარდიანი ხაზი — ამერიკული ფეხბურთის მოედნის მოსანიშნად გამოყენებული ერთ-ერთი ხაზი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯური შენიშნა, რალაც იმის მსგავსი, რომელიც ექიმებს უკეთიათ მუდმივი მონიტორინგისას და საჭიროების შემთხვევაში, განგაშის ატეხა შეუძლიათ. მოულოდნელად იმასაც მიხვდა, რომ სტადიონზე ელექტრობა იყო: ნათურები კაშკაშებდა. მიხვდა, როგორ შეეძლო „დაფლეთილ კაცს" მათ თავზემოთ სჭეროდა ხელი — ის მიწაზე კი არ დადიოდა, არამედ ოთხი ფუტის სიმაღლეზე ჰაერში მისრიალებდა.

„*Ecce homo insanus*, — ამბობდა ის, — *Ecce femina insana*", — და ყოველ ჯერზე ბრბო ღრიალით პასუხობდა: არ მიეკარო! უნისონში ყვიროდნენ მობილოადამიანებიცა და ნორმალურებიც, იმიტომ, რომ ახლა მათ შორის განსხვავება აღარ არსებობდა. ასე იყო კლაის სიზმარში.

9

დღის მეორე ნახევარში გაეღვიძა, საღამოვდებოდა, მოკუნტული, მოტელის ბრტყელ ბალიშს ჩაჰხუტებოდა. ნომრიდან გასულმა ჯორდანი და ელისი დაინახა: ავტოსადგომსა და მოტელს შორის ბორდიურის ქვაზე ჩამომსხდარიყვნენ. ელისს ჯორდანისთვის მხარზე მოეხვია ხელი. ჯორდანს ელისის მხარზე ედო თავი და ხელი წელზე შემოეხვია. კეფაზე ჯორდანს თმა აბურდოდა. კლაი მათ გვერდით ჩამოჯდა. მენის შტატისა და მე-19 გზატკეცილისკენ მიმავალი გზა სრულიად ცარიელი იყო, თუ არ ჩავთვლით სავალი ნაწილის შუაში მდგარ ფედექსის სამსახურის საფოსტო ფურგონს, გახსნილი უკანა კარით, და მასზე შემსკდარ მოტოციკლეტს.

კლაი ჩამოჯდა.

— ხომ არ...

— „*Ecce puer, insanus*", — უპასუხა ჯორდანმა ისე, რომ ელისის მხარიდან თავი არ აუწევია, — ეს მე ვარ.

— მე კი *femina*, — დაამატა ელისმა, — კლაი, კაშვაკში სტადიონი არის? თუ არის, მაგ ადგილს სათოფეზეც არ მივუახლოვდები.

მათ ზურგს უკან კარი დაიხურა. მოახლოებული ნაბიჯების ხმა გაისმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არც მე, — ტომი დანარჩენების გვერდით ჩამოჯდა, — ბევრი ნაკლი მაქვს, ამას ვაღიარებ, მაგრამ არასოდეს შემიმჩნევია, საკუთარი თავისთვის მკვლელობის წყურვილი.

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, მგონი, იქ დაწყებითი სკოლაა, — უპასუხა კლაიმ, — უფროსი ასაკის ბავშვები ავტობუსით დადიან ტაშმორში.

— ეგ ვირტუალური სტადიონია, — ჩაურთო ჯორდანმა.

— რა? — შეეკითხა ტომი, — გინდა თქვა, ისეთი, როგორიც კომპიუტერულ თამაშებშია?

— სწორედ ისეთი, როგორიც კომპიუტერულ თამაშებშია, — ჯორდანმა თავი ასწია, თვალს არ აშორებდა სენფორდის, ბეროუკსისა და კენტ-პონდისკენ მიმავალ გზატკეცილს, — მნიშვნელობა არა აქვს, მაგისთვის მიმიფურთხებია. თუ არც მობილოადამიანები მოგვეკარებიან და არც ნორმალურები, სხვა ვინლა უნდა მოგვეკაროს? — კლაის არასოდეს უნახავს მოზარდის თვალებში ასეთი დიდი სევდა, — ვინ მოგვეკარება?

პასუხი არავის გაუცია.

— „დაფლეთილი კაცი“ მოგვეკარება? — ჯორდანმა ოდნავ აუწია ხმას, — „დაფლეთილი კაცი“ თუ მოგვეკარება? შეიძლება ასეც იყოს, იმიტომ, რომ თვალს გვადევნებს, ამას ვგრძნობ, გვითვალთვალებს.

— ჯორდან, აჭარბებ, — თქვა კლაიმ, თუმცა, მიხვდა, რომ ჯორდანის ვერსია სიმართლეს მოკლებული არ იყო. თუ მათ ასეთ სიზმარს უგზავნიდნენ, მაშინ სავსებით შესაძლებელია, „დაფლეთილი კაცი“ მართლაც უთვალთვალებს მათ. მისამართი თუ არ იცი, წერილს ვერ გაგზავნი.

— არ მინდა კაშვაკში წასვლა, — განაცხადა ელისმა, — სულერთია, არის თუ არა იქ მობილური კავშირი. უფრო აიდაჰოში წავალ.

— კაშვაკში, აიდაჰოში და სადმე სხვაგან წასვლამდე ჯერ მაინც კენტ-პონდში წავალ, — შეახსენა კლაიმ, — იქამდე კიდევ ორი ღამის გზაა. კარგი იქნება, ჩემთან დარჩეთ, მაგრამ თუ არ გინდათ, გაგიგებთ.

— კლაიმ საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოს, ასე რომ, მოდი, მისი თანამგზავრები ვიყოთ, — თქვა ტომმა, — მერე გადავწყვიტოთ, შემდეგ როგორლა ვიცხოვროთ, თუ, რასაკვირველია, სხვა ვარიანტები არა გაქვთ.

სხვა ვარიანტები არ არსებობდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

10

მე-19 გზატკეცილზე ხშირად ხვდებოდათ მონაკვეთები, ზოგჯერ ოთხი მილის სიგრძისაც კი, სადაც მანქანის ჭაჭანება არ იყო, და ეს კი სპრინტერებს წაახალისებდა. ჯორდანმა ასეთი სახელი დაარქვა იმ კრეტინებს, რომლებიც არად აგდებდნენ საკუთარ თუ სხვის სიცოცხლეს და უზარმაზარი სისწრაფითა და ჩართული ფარებით მიქროდნენ.

კლაი და დანარჩენები მოახლოებული ფარნების სინათლეს შორიდანვე ამჩნევდნენ, სასწრაფოდ ტოვებდნენ სავალ ნაწილს და ბუჩქებში გადადიოდნენ, თუ წინ მიტოვებული ან დამტვრეული მანქანა იყო. ჯორდანი მათ სპრინტერთა რიფებს უწოდებდა. სპრინტერი ჩაიქროლებდა, მანქანაში მსხდომები რაღაცას ღრიალებდნენ (გვარიანად გალეშილები). თუ გზაზე მხოლოდ ერთი მიტოვებული მანქანა იყო, მძღოლი მას გვერდს აუქცევდა და გზას გააგრძელებდა. თუ გზა ერთიანად ჩახერგილი იყო, სპრინტერი მაინც გავლას ცდილობდა. როდესაც არ გამოსდიოდა, მაშინ ის და მისი მგზავრები ავტომანქანას ტოვებდნენ და ფეხით მიემართებოდნენ აღმოსავლეთისკენ კიდევ ერთი ამგვარი მანქანისა და მსგავსი გასართობის ძიებაში. კლაის მათი გზა ბიძგების სერიად წარმოედგინა, თავად სპრინტერებს კი... გარეწრებად თვლიდა, რომლებსაც მხოლოდ უსიამოვნების მოტანა შეუძლიათ. ამ სამყაროში უსიამოვნება ისედაც თავზე საყრელი იყო, „შფოთისთავზე" მისი წინათგრძნობა კი სავსებით გამართლდა.

ის მეოთხე იყო იმ სპრინტერებს შორის, რომლებსაც მე-19 გზატკეცილზე პირველ ღამეს შეხვდნენ. როდესაც სიბნელეში ფარების სინათლემ ისინი, გზის ნაპირზე მდგარნი, ამოატივტივა, სპრინტერის ყურადღება უპირველესად ელისმა მიიქცია. ჩაქროლილი შავი „კადილაკ-ესკალადას" ფანჯრიდან გადმოიწია, ქარი შუბლზე გრძელ შავ თმას უწენავდა, და დაიყვირა: *„პატარა ნაბოზარო, მომინუნნე!"* — მანქანის დანარჩენი მგზავრები ღრიალებდნენ. ვილაცამ დაიყვირა: *„რა მაგრად თქვი!"* და კლაისაც კი ეს ყვირილი სამხრეთბოსტონური აქცენტით გამოთქმულ ექსტაზად მოეჩვენა.

— გადასარევია! — იყო ელისის კომენტარი.

— ზოგ ადამიანს არ... — დაიწყო ტომმა, მაგრამ ვიდრე წინადადებას დაამთავრებდა, რა არა აქვს ზოგიერთ ადამიანს, წინ, შო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რიახლოს, სიბნელიდან, მუხრუჭის წივილი, დარტყმისა და მინების მსხვრევის ხმა გაისმა.

— შენი დედაც! — ამოიოხრა კლაიმ და გაიქცა. ელისმა მას ოცი იარდით გაასწრო, — ნუ ჩქარობ, შეიძლება სახიფათო ტიპები არიან, — დაადევნა კლაიმ.

ელისმა თავზემოთ ერთ-ერთი ავტომატური პისტოლეტი ასწია, კლაის რომ დაენახა, მერე წინ გაიჭრა და მათ შორის მანძილი უფრო და უფრო გაიზარდა.

ტომი აქოშინებული დაეწია კლაის. ჯორდანი ტომის გვერდით მირბოდა და ისიც ძლივს სუნთქავდა.

— თუ სერიოზულად დაშავდნენ, რა უნდა ვქნათ? — შეეკითხა ტომი, — სასწრაფო გამოვიძახოთ?

— არ ვიცი, — უპასუხა კლაიმ, მაგრამ ის ახლა უფრო მეტად ელისზე ფიქრობდა, რომელმაც იარაღი დაანახვა. მან იცოდა.

11

ელისს გზატკეცილის მომდევნო შესახვევში დაეწივნენ. გოგონა „ესკალადასთან“ იდგა. მანქანაში უსაფრთხოების ბალიშები ამოქმედდა, მაგრამ ის ახლა გვერდზე გადაბრუნებულიყო. ავარიის მიზეზის მიხვედრა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა: მანქანა საათში სამოც მილზე მეტი სიჩქარით შევარდა მოსახვევში და მიტოვებულ რძის მანქანას შეასკდა. მძღოლმა საჭის დამორჩილება მაინც მოახერხა და პირდაპირი შესკდომა თავიდან აიცილა. ახლა ჯერ კიდევ არ იყო გონს მოსული, მანქანას გარშემო უვლიდა და სახიდან თმას იშორებდა. ცხვირიდან და გამსკდარი შუბლიდან სისხლი მოსდიოდა. კლაი ავტომობილს მიუახლოვდა, ფეხქვეშ მინის ნამცეცები უხრაშუნებდა, სალონში შეიხედა. ფარნის სინათლეზე სისხლი მხოლოდ საჭეზე აღმოჩნდა. მგზავრებმა დამოუკიდებლად გადმოსვლა მოახერხეს და ერთის გარდა, ყველა, შესაძლოა, ინსტინქტურად, გაიქცა. მძღოლთან დარჩა ტანდაბალი, გამხდარი, ცხრამეტიოდე წლის ბიჭი, მუწუკებისგან დარჩენილი ნაწიბურებით სახეზე,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დალრეცილი კბილებითა და გრძელი, წითური თმით. კი არ ლაპარაკობდა, რატრატებდა, რითაც კლაის პატარა ძაღლი სპაიკი მოაგონა დისნეის მულტფილმიდან, ბულდოგს რომ ალმერთებს.

— კარგად ხარ, „შფოთო"? — შეეკითხა ის. კლაიმ ჩათვალა, რომ ეს *„შფოთისთავის"* შემოკლებაა სამხრეთბოსტონურად, — ამის დედაც, სისხლი წყალივით მოგდის. ამის დედაც, მეგონა, დავიხოცეთ, — მერე კლაის მიუბრუნდა, — რას მიშტერებიხარ?

— მოკეტე, — უთხრა კლაიმ, მაგრამ შექმნილი გარემოების გათვალისწინებით, არც ისე ბოროტად.

წითურმა კლაიზე მიუთითა და მერე თავის მეგობარს მიუბრუნდა:

— ერთ-ერთი იმათგანია, „შფოთო"! *იმ გარეწრებიდანაა!*

— მოკეტე, ჰაროლდ, — ბრაზით უთხრა „შფოთისთავმა", მერე კლაის, ტომს, ელისსა და ჯორდანს შეხედა.

— მოდი, შუბლს შეგიხვევ, — შესთავაზა ელისმა. პისტოლეტი ბუდეში ჩაიდო, ზურგჩანთა მოიხსნა და შიგ იქექებოდა, — პლასტირი მაქვს, მარლა და წყალბადის ზეჟანგიც. მართალია, ცოტას მოგწიწკნის, მაგრამ მოითმინე, ინფექციის შეჭრას ჯობია, ხომ ასეა?

— თუ იმას გავითვალისწინებთ, რაც ამ ჯეელმა ჩავლისას გითხრა, იმაზე მეტად ქრისტიანი ხარ, ვიდრე მე ვიყავი ჩემი სიცოცხლის საუკეთესო წლებში, — ტომმა „სერ სწრაფი" მხრიდან ჩამოიღო და ახლა ხელში ეჭირა, თან ჰაროლდსა და „შფოთისთავს" თვალს არ აცილებდა.

„შფოთისთავი" ოცდახუთიოდე წლის იქნებოდა. მისი როკვოკალისტის გრძელი, შავი თმა ახლა სისხლს შეეწებებინა. მან ჯერ რძის მანქანასა და „კადილაკ-ესკალადას" შეხედა, მერე ელისს, რომელსაც ცალ ხელში მარლა ეჭირა და მეორეში — წყალბადის ზეჟანგის ბოთლი.

— ტომი, ფრიტო და ის ბიჭი, სულ რომ ცხვირს იჩიჩქნიდა, გაიქცნენ, — არატრატდა წითური ლაწირაკი, მერე მხრები გაშალა, — მე კიდე დავრჩი, „შფოთო"! ამის დედაც, ძმაო, ისე მოგდის სისხლი, როგორც დაკლულ გოჭს.

ელისმა მარლა წყალბადის ზეჟანგით დაასველა და „შფოთისთავისკენ" გადადგა ნაბიჯი, მან კი მაშინვე უკან დაიხია.

— მომშორდი! საწამლავი ხარ!

— ეგენი არიან! — აყვირდა ჰაროლდი, — სიზმრიდან! ხომ გითხარი!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არ მომიახლოვდე! — დაიყვირა „შფოთისთავმა", — ნაგავო ნაბიჭვარო! ყველანი ეგეთები ხართ!

კლაის უეცრად ძალიან მოუნდა, ადგილზე მიეხვრიტა და ეს სულაც არ გაპკვირვებია. „შფოთისთავი" ავი ძაღლივით იქცეოდა და ავ ძაღლს ჰგავდა, კუთხეში მიმწყვდეული ილრინებოდა, დასაკბენად მზადმყოფს კბილები დაეკრიჭა. და როგორ ექცევიან ამგვარ ძაღლებს, როდესაც ალტერნატივა არ არსებობს? განა ტყვიას არ ახლიან? მაგრამ მათ, რასაკვირველია, ალტერნატივა ჰქონდათ, და თუ ელისს სურდა კეთილი სამარიელი ყოფილიყო ამ მუტრუკისთვის, რომელმაც ნაბოზარი უწოდა, რას იზამ, კლაი ეგზეკუციისგან თავს შეიკავებდა... მაგრამ ძალიან სურდა რაღაცის გარკვევა, ვიდრე ამ ბიჭებს თავის გზაზე გაუშვებდა.

მაგ სიზმრებს ვინმე გიგზავნით? ვთქვათ, ნითელკენგურუიანი კაცი?

„შფოთისთავმა" მხრები აიჩეჩა. პერანგს ნაჭერი მოახია და სახიდან სისხლი მოიწმინდა. თანდათან გონება უნათდებოდა და უკეთ გრძნობდა, რა მოხდა.

— ჰარვარდი, ჰო. ასე არ არის, ჰაროლდ?

ნითურმა ლაწირაკმა თავი დაუქნია.

— ჰო, ჰარვარდი. შავკანიანი ჯეელია, მაგრამ ეს სიზმრები არ არის. თუ არ იცი, რა აზრი აქვს თქმას? დაწყევლილი ტრანსლაციაა. ტრანსლაცია ძილში. თუ არ გესმის, ესე იგი, საწამლავი ხარ. ეგრე არ არის, „შფოთო"?

— ბიჭებო, მაგრად ჩაფლავდით, — „შფოთისთავი" ჩაფიქრებული ლაპარაკობდა, — ახლოს არ მომეკაროთ.

— ჩვენი ადგილი გვექნება, ეგრე არ არი, „შფოთო"? მენში, ჰო, ასეა. ვისაც იმპულსი არ მიულია, იქ მიდის და იქ თავს დაგვანებებენ. ვინადირებთ, ვითევზავებთ და ჩვენს გემოზე შევჭამთ იმას, რასაც მინა იძლევა. ასე ამბობს ეგ „ჰარვარდი".

და ამის გჯერათ? — ელისის ხმაში დაუფარავი გაკვირვება ისმოდა.

„შფოთისთავმა" თითი მიუშვირა.

— მოკეტე, ძუკნა!

— მგონი, ჯობია, შენ მოკეტო, — უპასუხა ჯორდანმა, — შეიარალებული ვართ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჯერ უნდა დაფიქრდე, ვიდრე გვესვრი! — აწივლდა ჰაროლდი, — იმაზე იფიქრე, „ჰარვარდი“ რას გიზამს ჩვენი დახოცვისთვის, ლანირაკო!

— არაფერსაც არ გვიზამს, — უპასუხა კლაიმ.

— თქვენ... — წამოიწყო „შფოთისთავმა“, მაგრამ ვიდრე გააგრძელებდა, კლაიმ მისკენ გაიწია, გაშალა ბეტ ნიკერსონის რევოლვერიანი ხელი და მთელი ძალით სილა გააწნა. იარალმა ყბაზე კანი გახეთქა და კლაის აზრით, ეს უკეთესი წამალი იყო, ვიდრე წყალბადის ზეჟანგი, რომელზედაც „შფოთისთავმა“ უარი თქვა, მაგრამ თურმე ცდებოდა.

დარტყმამ „შფოთისთავი“ რძის მანქანას მიახეთქა და კლაის შეშლილის გადმოკარკლული თვალებით მიაშტერდა. ჰაროლდმა უნებურად გაიწია წინ. ტომმა „სერ სწრაფი“ დაუმიზნა და თავი გააქნია. ჰაროლდი მოიკუნტა, უკან დაიხია, ტურტლიანი ფრჩხილების კვნეტას მოჰყვა. თვალები უეცრად დიდი და წყლიანი გაუხდა.

— ჩვენ ახლა წავალთ, — წამოიწყო კლაიმ, — გირჩევთ, აქ ერთ საათს დარჩეთ, თუ მართლა აღარ გსურთ ჩვენი დანახვა. სიცოცხლეს გჩუქნით. თუ კიდევ ერთხელ შეგხვდით — გამოემშვიდობებით, — ერთი ნაბიჯით დაიხია, ტომსა და დანარჩენებს შეუერთდა, მაგრამ თვალს არ აცილებდა სახეგასისხლიანებულ ადამიანს, რომელსაც ვერ დაეჯერებინა, რომ ამგვარი რამ მის თავს ხდებოდა. კლაიმ კი ფრენკ ბაკად წარმოიდგინა თავი, ლომების მომთვინიერებლად შორეული წარსულიდან, რომელსაც მოთვინიერების მთავარ ელემენტად ძლიერი ნებისყოფა მიაჩნდა, — და კიდევ, არ ვიცი, მობილოადამიანებს რატომ სურთ, ყველა ნორმალური კაშვაკში ჩავიდეს, მაგრამ ის კი ვიცი, სადგომებს ჩვეულებრივ, სასაკლაოზე გასაყვანი საქონლისთვის ამზადებენ ხოლმე. შეგიძლიათ ამაზე მაშინ იფიქროთ, როდესაც მორიგ ტრანსლაციას მიიღებთ.

— წადი შენი, — ჩაიფრუტუნა „შფოთისთავმა“, მაგრამ თვალები დახარა და თავის ფეხსაცმელს დააცქერდა.

— კლაი, — დაუძახა ტომმა, — დროს ნულარ ვკარგავთ!

— და იცოდე, თვალებში აღარ შეგვეჩხირო, „შფოთისთავო“, — გააფრთხილა წასვლის წინ კლაიმ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

12

„შფოთისთავმა“ და ჰაროლდმა როგორღაც მოახერხეს მათთვის წინ გასწრება, ან შესაძლოა, გარისკეს და დღისით, ვიდრე კლაის, ტომს, ელისსა და ჯორდანს ნიუ-ჰემფშირიდან ორასიოდე იარდით დაშორებულ, მაგრამ უკვე მენის შტატის ტერიტორიაზე მდებარე მოტელში, სახელად „საზღვრისპირა“, ეძინათ, ხუთი-ათი მილი ფეხით გაიარეს. ეს წყვილი, ალბათ, სალმონ-ფოლზის დასათვალიერებელ მოედანზე იყო ჩასაფრებული, ხოლო „შფოთისთავმა“ თავისი ახალი მანქანა იქ მიტოვებულ თორმეტიოდეს შორის მიმალა. ასეა თუ ისე, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ის იყო, რომ „შფოთისთავმა“ და ჰაროლდმა მათ გაუსწრეს, მათ გამოჩენას ელოდებოდნენ და ზურგიდან დაარტყეს.

კლაის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია მანქანის ძრავის მზარდი ღმუილის, არც ჯორდანის რეპლიკისთვის: „აი, კიდევ ერთი სპრინტერი“. ისინი უკვე მის მშობლიურ მხარეში იყვნენ და როდესაც მორიგი ნაცნობი ორიენტირი (თევზის რესტორანი „ფრენო ლობსტერ პაუნდი“, მოტელ „საზღვრისპირადან“ აღმოსავლეთით ორიოდე მილით დაშორებული კაფე-სანაყინე „შეიკის ტესტი ფრიზი“, გენერალ ჯოშუა ჩემბერლენის ქანდაკება პატარა ქალაქ ტერბულას მოედანზე) გაიარეს, სულ უფრო უძლიერდებოდა გრძნობა, თითქოს გარშემო ყველაფერი რეალობა კი არა, სიზმარი გახლდათ. არც კი სჯეროდა, უკვე მენში თუ იყვნენ, ვიდრე „შეიკისის“ თავზე უზარმაზარი პლასტმასის ნაყინის ლოლო არ დაინახა. ეს ლოლო ახლა ერთდროულად პროზაულიც იყო და ეგზოტიკურიც, როგორც შეშლილის კოშმარის მატერიალური განსხეულება. ნაყინის ბურთულის სპირალურად დახვეული წვერი ვარსკვლავიან ცაში აწვდილიყო.

— სპრინტერისთვის მეტისმეტად ჩახერგილი გზაა, — თქვა ელისმა.

გზის კიდეზე გადავიდნენ, როდესაც ფარებმა გორაკის წვერი გაანათა, რომელიც უკვე ჩამოიტოვეს. გზის სავალი ნაწილის შუაში გადაბრუნებული პიკაპი ეგდო. ტომმა გაიფიქრა, რომ მათ უკან მომავალი ავტომობილი, სავარაუდოდ, პიკაპს დაეჯახებოდა, მაგრამ ფარებმა მარცხნივ გაანათა იმ წამის შემდეგ, რაც ავტომობილმა გორაკის წვერი გაიარა. სპრინტერმა ადვილად აუარა გვერდი პი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კაპს, გზიდან გადავიდა და მალევე დაბრუნდა გზის სავალ ნაწილზე. მოგვიანებით კლაიმ ივარაუდა, რომ „შფოთისთავმა“ და ჰაროლდმა ეს მონაკვეთი წინასწარ დაზვერეს და ყველა „რიფი“ მონიშნეს.

იდგნენ და უყურებდნენ. მოახლოებულ ფარებთან ყველაზე ახლოს კლაი იდგა, მისგან მარცხნივ — ელისი, ტომი და ჯორდანი — ელისის მარცხნივ. ტომს ჯორდანისთვის მხარზე ხელი ჰქონდა მოხვეული.

— ჰმ, ძალიან სწრაფად მოდის, — თქვა ჯორდანმა. მის ხმაში მღელვარება არ იგრძნობოდა, მხოლოდ ის აღნიშნა, რასაც ხედავდა. ვერც კლაიმ იგრძნო ხიფათი, ცუდი წინათგრძნობაც კი არ გასჩენია. სულ გადაავიწყდა „შფოთისთავიცა“ და ჰაროლდიც.

სადაც იდგნენ, იმ ადგილის დასავლეთით, ორმოცდაათიოდე ფუტში, სპორტული მანქანა იყო მიგდებული, შესაძლოა, „ემ-ჯი“, ორი ბორბლით გზის გადალმა გადასულიყო. სპრინტერის ავტომობილის საჭესთან მჯდომმა ჰაროლდმა ოდნავ გვერდზე გაუხვია, რომ მას არ შესჯახებოდა, სულ ოდნავ გაიწია, მაგრამ, სავარაუდოდ, ამან „შფოთისთავს“ უკეთ დამიზნებაში ხელი შეუშალა. ან არა. იქნებ კლაის სულაც არ უმიზნებდა? იქნებ თავიდანვე ელისი ჰყავდა მიზანში ამოღებული?

იმ ღამეს სადა „შევროლე-სედანი“ აირჩიეს. „შფოთისთავი“ უკანა სავარძელზე მუხლებით იდგა და სანახევროდ ფანჯარაში იყო გადმოკიდებული. ხელში წიდაბეტონის დაკბილული ბლოკი ეკავა. გაურკვევლად დაილრიალა, რალაც იმგვარად, კომიქსების გვერდებზე რომ ხატავდა კლაი: „იაااა!“ და ბლოკი ისროლა. სიბნელეში მან მოკლე, სასიკვდილო მანძილი გადალახა და ელისს მოხვდა თავში. კლაიმ სამუდამოდ დაიმახსოვრა ეს ხმა, რომელიც დარტყმას ახლდა. გოგონას ხელიდან გაუვარდა ფარანი (რომელიც „შფოთისთავს“ დამიზნებისას დაეხმარა, თუმცა, ყველას ანთებული ფარნები ეჭირა ხელში), დასუსტებული თითებიდან გამოცურდა, გზაზე დაეცა, ხოლო სინათლის კონუსმა ასფალტი, ქვები, გაჩერების მანიშნებელი სასიგნალო ნიშნის ნამსხვრევი გაანათა, ყალბ ლალის თვალს რომ ჰგავდა.

კლაიმ ელისის გვერდით დაიჩოქა, სახელს ეძახდა, მაგრამ საკუთარი ხმა აღარ ესმოდა — ის „სერ სწრაფის“ გრუხუნმა ჩაახშო, რომელიც, როგორც იქნა, გამოცდას გადიოდა. სროლამ ყველაფერი გაანათა და მან ელისის სახის მარცხენა მხრიდან (*ღმერთო, რა დაემართა ამ სახეს*) ნაკადად მომდინარე სისხლი დაინახა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მერე სროლა შეწყდა. ტომი ყვიროდა:

— ლულამ მაღლა აიწია, ვერ გავაჩერე, მგონი, მთელი მჭიდი ჰაერში გავუშვი.

ჯორდანი ღრიალებდა:

— დაჭრილია? მოახვედრა?

კლაი კი იმაზე ფიქრობდა, როგორ სთავაზობდა ელისი „შფოთისთავს“ შუბლის წყალბადის ზეჟანგით მოწმენდასა და მერე შეხვევას. *„მართალია, ცოტას მოგწიწკნის, მაგრამ მოითმინე, ინფექციის შეჭრას ჯობია, ხომ ასეა?“* — ახლა კი კლაიმ უნდა შეაჩეროს სისხლდენა, და რაც შეიძლება სწრაფად. ქურთუკი გაიხადა. მერე სვიტრიც. სვიტრის გამოყენება გადაწყვიტა, თავზე შემოახვია დაწყვეტილ ჩალმასავით.

ტომის აცახცახებულმა ფარნის სხივმა წიდაბეტონის ბლოკი მოძებნა და გაშეშდა. ბლოკზე სისხლი და თმა დარჩენილიყო. ეს ჯორდანმა დაინახა და აყვირდა. კლაი მძიმედ სუნთქავდა, ღამის სიცივის მიუხედავად, ოფლი ღვარად მოსდიოდა, ელისის თავის სვიტრით შეხვევას შეუდგა. სვიტრი წამში გაიჟღინთა სისხლით. კლაის ეგონა, ხელზე სველი, თბილი ხელთათმანები ეცვა. ტომის ფარნის სინათლემ ახლა ელისზე გადაინაცვლა. ცხვირამდე სვიტრში შეხვეული თავით ისლამისტი ექსტრემისტების ტყვეს ჰგავდა ინტერნეტში განთავსებული ფოტოებიდან. ლოყა (ის, რაც ლოყისგან დარჩა) და ყელი სისხლით იყო დაფარული. ტომიც აყვირდა.

„მომეხმარეთ, — უნდოდა, ეთქვა კლაის, — *გეყოფათ ყვირილი ორივეს და მომეხმარეთ“*, — მაგრამ ხმის ამოღება ვერ შეძლო. ისღა დარჩენოდა, მაგრად მიეჭირა სვიტრი ელისის თავის დარბილებული ნაწილისთვის, ის გაეხსენებინა, როგორ მოსდიოდა სისხლი ელისს მაშინ, როდესაც პირველად შეხვდნენ და იმაზე ეფიქრა, რომ მაშინ იოლად გადარჩა.

გოგონას ხელებს კონვულსიები აცახცახებდა, თითებიდან გზისპირა ჭუჭყი სცვიოდა. *„იქნებ ვინმემ ხელში ნამცეცა ბოტასი მისცეს“*, — გაიფიქრა კლაიმ, მაგრამ ბეიბი-ნაიკი ზურგჩანთაში იდო, რომელზედაც ახლა ელისის თავი ესვენა. ესვენა გატეხილი თავით, თავი კი გაუტეხა ადამიანმა, რომელსაც იდიოტური ანგარიშსწორება სურდა. ფეხებიც მოძრაობდა. ხედავდა და გრძნობდა, როგორ მოედინებოდა მისი სხეულიდან სისხლი, სვიტრის გავლით ხელებზე ესხმებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ეს, ეს[illegible] ქვეყნიერების დასასრული“, — გაიფიქრა კლაიმ. თავი ასწია და ცაზე ცისკრის ვარსკვლავი დაინახა.

13

გოგონას გონება სრულად არ დაუკარგავს, მაგრამ არც გრძნობაზე მოსულა. ტომი თავს მოერია და კლაის ელისის ზემოთ, გორაკის წვერზე აყვანაში დაეხმარა. იქ ხეები იზრდებოდა, რამდენადაც კლაის ახსოვდა, ვაშლის ბალი. გაახსენდა, რომ ის და შერონი ერთხელ აქ ვაშლის საკრეფად მოვიდნენ, როდესაც ჯონი ჯერ კიდევ ძალიან პატარა იყო. მაშინ ოჯახში სიმშვიდე სუფევდა, არ კამათობდნენ ფულზე, პატივმოყვარეობაზე, მომავალზე.

— როგორც ამბობენ, არ შეიძლება თავის ქალის მძიმე ტრავმის დროს ადამიანის გადაყვანა, — ბუტბუტებდა ჯორდანი, რომელიც მათ უკან მიჰყვებოდა ზურგჩანთით ხელში.

— ამას მნიშვნელობა აღარ აქვს, — უპასუხა კლაიმ, — ელისი ველარ იცოცხლებს, ჯორდან, ყოველ შემთხვევაში, ასეთი ჭრილობით. არა მგონია, საავადმყოფოშიც კი მისთვის ეშველათ, — დაინახა, ბიჭს სახე როგორ შეეცვალა, ამისთვის სინათლე საკმარისი იყო, — ძალიან ვნუხვარ.

გოგონა ბალახზე დააწვინეს. ტომმა დოზატორიანი ბოთლიდან წყალი მოასმევინა და მანაც ცოტა დალია. ჯორდანმა ხელში ნამცეცა ბოტასი ჩაუდო. ელისმა აილო, ხელი მოუჭირა და მასზე სისხლიანი კვალი დატოვა. მერე ისხდნენ და მის სიკვდილს ელოდნენ. ელოდნენ მთელი ღამე.

14

— მამამ მითხრა, რომ რაც დარჩა, შემიძლია, შევჭამო, ამიტომ ნუ მიბრაზდებით, — ეს სიტყვები დაახლოებით თერთმეტ საათზე თქვა. თავი ტომის ზურგჩანთაზე ედო, რომელშიც მან საბანი ჩადო. საბა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნი მოტელიდან წამოიღეს, სახელად „მშვენიერი დაბლობი". მოტელი მეტუინის განაპირას იდგა, მაგრამ ახლა ისე ეჩვენებოდათ, რომ იქ სხვა ცხოვრებაში გაათიეს ღამე. უკეთეს ცხოვრებაში. ზურგჩანთა სისხლით გაიჟღინთა. ელისის ერთადერთი თვალი ახლა ვარსკვლავებს მიშტერებოდა. თითებგაშლილი მარცხენა ხელი ბალახზე ედო. საათზე მეტი იყო, უმოძრაოდ იწვა. მარჯვენა ხელი ნამცეცა ბოტასს ჩაჰფრენოდა. ხელს უჭერდა და უშვებდა. უჭერდა და უშვებდა.

— ელის, წყალი გინდა? — შეეკითხა კლაი, — კიდევ დალევ?

გოგონას პასუხი არ გაუცია.

15

მოგვიანებით — კლაის საათით თორმეტ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე, — ვილაცას ჰკითხა, შეეძლო თუ არა დასაბანად წასვლა. ათი წუთის შემდეგ თქვა:

— ეს ტამპონები არ მინდა, ჭუჭყიანია, — და გაიცინა. სრულიად ბუნებრივად გაიცინა, რითაც კლაი და ტომი შეაშინა და გააღვიძა მთვლემარე ჯორდანი. ბიჭმა დაინახა, რა მდგომარეობაშიც იყო და ატირდა. მოშორებით გავიდა. როდესაც ტომი გვერდით მიუჯდა და მისი დამშვიდება სცადა, ჯორდანი აყვირდა და მოითხოვა, მარტო დამტოვეთო.

სამს ოცი წუთი აკლდა, როდესაც გზაზე ნორმალური ადამიანების მცირე ჯგუფმა ჩაიარა. სიბნელეს ბევრი ფარანი ანათებდა. კლაი გორაკის ნაპირს მიუახლოვდა და დაიძახა:

— თქვენ შორის ექიმი ხომ არ არის? — თუმცა, დიდი იმედი არ ჰქონია.

ფარნები შეჩერდნენ. ბნელმა ფიგურებმა ერთმანეთში ჩურჩული დაიწყეს, მერე მას ქალის ხმამ უპასუხა, ლამაზმა ხმამ:

— თავი დაგვანებეთ. თქვენ მიუკარებლები ხართ.

ტომი კლაის ამოუდგა:

— ლევიტელმაც ჩაიარა.[1] ქალბატონო, თქვენ კი, როგორც მეფე ჯეიმზი იტყოდა, თქვენი დედაც...

[1] *ტომს მხედველობაში აქვს ლუკას სახარებაში მოთხრობილი იესოს იგავი კეთილი სამარიელის შესახებ — ლევიტელმა ნაცემსა და გახძარცულს ისე ჩაუარა, დახმარება არ აღმოუჩინა (10:25-37).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მათ ზურგს უკან ელისმა უეცრად სრულიად გარკვევით და ცხადად წარმოთქვა:

— ის ტიპები, მანქანიდან, თავისას მიიღებენ. არა იმიტომ, რომ თქვენ გაგიწიოთ სამსახური, არამედ სხვებისთვის ჭკუის სასწავლებლად. ალბათ, ამას ხვდებით.

ტომმა ცივი ხელები კლაის მაჯაში ჩაავლო.

— ღმერთო, ხმაზე ეტყობა, გონს მოვიდა.

კლაიმ ტომის ხელები თავისაში მოიქცია და მოუჭირა.

— ეს არ არის ელისი. ის ჯეელი, წითელკენგურუიანი, დინამიკად იყენებს.

სიბნელეში ჩანდა, რომ ტომს თვალები გაუფართოვდა.

— რა იცი?

— ვიცი, — უპასუხა კლაიმ.

მათ ქვემოთ ფარნები ამოძრავდა. მალე სრულიად გაქრნენ, რაც კლაის გაუხარდა კიდეც. რაც აქ ხდებოდა, მხოლოდ მათ ეხებოდა და მეტს არავის.

16

შუალამისას, ოთხის ნახევრისთვის, ელისმა თქვა:

— ოჰ, დედიკო, რა ცუდია! ვარდები ჭკნება, ეს ბალი კვდება, — მერე უფრო მხიარულად დაამატა, — თოვლი მოვა? თოვლისგან ციხესიმაგრეს გავაკეთებთ, ფოთოლს გავაკეთებთ, ჩიტს გავაკეთებთ, ჩიტს გავაკეთებთ, ხელს გავაკეთებთ, ლურჯ ხელს...

დადუმდა და ვარსკვლავებს მიაჩერდა, რომლებიც საათის ისარივით ატრიალებდნენ ღამეს. ციოდა. რაც კი შეიძლებოდა, ყველაფერი ელისს დაახურეს. ლაპარაკისას პირიდან ორთქლი გამოსდიოდა. სისხლდენა, როგორც იქნა, შეწყდა. გოგონას გვერდით ჯორდანი იჯდა, მარცხენა ხელზე ეფერებოდა, რომელიც უკვე მოკვდა და ახლა მთელი სხეულის სიკვდილს ელოდებოდა.

— ის მელოდია იმღერე, მე რომ მომწონს, — ითხოვა ელისმა, — ჰოლისა და ოუტსის.[1]

[1] *დერილ ჰოლი და ჯონ ოუტსი — ფილადელფიელი დუეტი, მღერიან ბალადებს სოულის სტილში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დღემდე.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

17

ხუთის ოც წუთზე თქვა:

— ეს უმშვენიერესი კაბაა.

ყველანი მის გარშემო იდგნენ. კლაიმ თქვა, ჩემი აზრით, დასასრული ახლოს არისო.

— რა ფერისაა, ელის? — შეეკითხა კლაი. პასუხს არ ელოდებოდა, მაგრამ გოგონამ *უპასუხა*:

— მწვანე.

— სად უნდა ჩაიცვა?

— მაგიდასთან ქალბატონები მიდიან, — ისევ ბოტასს უჭერდა ხელს, მაგრამ თითები უკვე ნელა მოძრაობდა. ნაჭრილობევზე სისხლი შეხმა, ფარნების სინათლეზე ფაიფურივით ელავდა, — მაგიდასთან ქალბატონები მიდიან. მაგიდასთან ქალბატონები მიდიან. მისტერ რიკარდი თავის ადგილზე რჩება, ქალბატონები კი მაგიდასთან მიდიან.

— მართალს ამბობ, ძვირფასო, — ალერსიანად თქვა ტომმა, — მისტერ რიკარდი თავის ადგილზე დარჩა, ასე არ არის?

— მაგიდასთან ქალბატონები მიდიან, — დარჩენილი თვალით კლაის მიაჩერდა და მეორედ დაილაპარაკა სხვისი ხმით. ამჯერად მხოლოდ ოთხი სიტყვა თქვა, — შენი ბიჭი ჩვენ გვყავს.

— ტყუი, — წაიჩურჩულა კლაიმ. მუშტები მოიმარჯვა, თავი ძლივს შეიკავა, რომ მომაკვდავი გოგონასთვის არ დაერტყა, — ტყუი, ნაბიჭვარო.

— ქალბატონები მაგიდასთან მიდიან და ჩაის ვსვამთ, — თქვა ელისმა.

18

ალმოსავლეთით ცისკიდური განათდა. ტომი კლაის გვერდით იჯდა. მის ხელს შეეხო.

— თუ ისინი აზრებს კითხულობენ, ისევე ადვილად შეეძლოთ იმის გაგება, როგორ დარდობ შენს ბიჭზე, როგორც „გუგლში“ ეძებ რალაცას. მაგ ჯეელმა ელისი გამოიყენა შენთან დასაკავშირებლად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ვიცი, — უთხრა კლაიმ. კიდევ სხვა რამეც იცოდა: შესაძლოა, „ჰარვარდმა“ სიმართლე თქვა, — იცი, მუდმივად რაზე ვფიქრობ?

ტომმა თავი გააქნია.

— როცა პატარა იყო, სამი თუ ოთხი წლის, მაშინ შერონს და მე ყველაფერი რიგზე გვქონდა და ბიჭუნა ჯონის ვეძახდით. ჰოდა, ტელეფონის ყოველ ზარზე მორბოდა ყვირილით: მე-მე-ტე-ტე! მე-მე-ტე-ტე! ეს გვაოცებდა. მერე, თუ ბებიამისი ან ბაბუამისი რეკავდა, ვეუბნებოდით, შენ-შენ-ტე-ტე და ყურმილს ვაძლევდით. დღემდე მახსოვს, რამხელა იყო მის პაწაწინა ხელებში ის დაწყევლილი ყურმილი, როცა ყურთან მიჰქონდა...

— კლაი, გეყოფა.

— ახლა კი... ახლა ... — ველარ გააგრძელა. აღარც იყო საჭირო.

— ბიჭებო, მოდით! — დაიძახა ჯორდანმა ტკივილიანი ხმით, — ჩქარა!

ელისთან მივიდნენ. კრუნჩხვამ გოგონა მიწიდან წამოსწია, თალივით მოიხარა. ერთადერთი თვალი გადმოეკარკლა, ტუჩის კუთხეები ქვემოთ დაეშვა. მერე, უეცრად, მთელი სხეული მოეშვა. სახელი წარმოთქვა, რომელიც მათთვის არაფერს ნიშნავდა — „ჰენრი“ — და უკანასკნელად ჩააფრინდა ბეიბი-ნაიკს. მერე თითები მოდუნდა და ბოტასი გადმოვარდა. ელისმა ამოიოხრა, უკანასკნელი თეთრი ღრუბელი, თითქმის გამჭვირვალე, მისი ბაგეებიდან ამოვიდა.

ჯორდანმა კლაისა და ტომს შეხედა, მერე ისევ კლაის:

— ის...

— ჰო, — უთხრა კლაიმ.

ჯორდანი აქვითინდა. კლაიმ ელისს საშუალება მისცა, კიდევ რამდენიმე წამს ეცქირა გაფერმკრთალებული ვარსკვლავებისთვის, მერე თვალები დაუხუჭა.

19

ბალის ახლოს ფერმერის სახლი იდგა. ერთ-ერთ ფარდულში ნიჩბები იპოვეს და გოგონა ვაშლის ხის ძირში დამარხეს, ხელში ნამცეცა ბოტასით. ყველანი შეთანხმდნენ, რომ ელისი ისურვებ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და, ბეიბი-ნაიკი სამუდამოდ მასთან ყოფილიყო. მერე, ჯორდანის თხოვნით, ტომმა მეორმოცე ფსალმუნი წარმოთქვა, მაგრამ ამჯერად უკანასკნელი სიტყვები გაჭირვებით ამოთქვა. მერე თითოეული მოაჩყვა იმას, თუ როგორი დაამახსოვრდა ელისი. ამ იმპროვიზებული პანაშვიდის დროს შორიახლოს მობილოგიჟების მცირე ჯოგმა ჩაიარა. ისინი დაინახეს, მაგრამ არავინ მიახლოებია. კლაის სრულებით არ გაჰკვირვებია, ისინი უკვე შეშლილები, მიუკარებლები იყვნენ და ეჭვი არ ეპარებოდა, „შფოთისთავი" და ჰაროლდი მწარედ ინანებდნენ ჩადენილს.

დღის უმეტესი ნაწილი ფერმერის სახლში გაატარეს, ეძინათ. მერე კენტ-პონდისკენ გასწიეს. კლაის უკვე აღარ ჰქონდა იქ ვაჟის ნახვის იმედი, მაგრამ იქნებ ბიჭს წერილი დაეტოვებინა, ან შესაძლოა, შერონსაც. იმის გაგება, რომ ქალი ცოცხალია, ცოტათი მაინც გაუფანტავდა თავს დამტყდარ სევდას, რომელიც ტყვიის მოსასხამივით მძიმედ ანვა.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კენტ-პონდი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

1

მისი ძველი სახლი — სახლი, სადაც იმპულსის გავრცელების მომენტში ჯონი და შერონი ცხოვრობდნენ, — ლივერი-ლეინზე იდგა, კენტ-პონდის გეოგრაფიულ ცენტრად მიჩნეული გაფუჭებული შუქნიშნიდან ჩრდილოეთით, ორი კვარტალის დაშორებით. უძრავი ქონების გაყიდვის შესახებ განცხადებებში ასეთ სახლებზე, ჩვეულებრივ, წერდნენ, რომ მათ რემონტი ესაჭიროებათ — ამიტომაც იყო ფასი დაბალი — ან ახალდაქორწინებულთათვის განკუთვნილ სახლებს ეძახდნენ, თითქოს ამით სურდათ სიიაფის გამართლება. განშორებამდე კლაი და შერონი ხუმრობდნენ, რომ ეს ახალდაქორწინებულთათვის სახლი მათთვის პენსიონერთა სახლადაც იქცეოდა. როდესაც შერონი დაორსულდა, თუ გოგონა დაიბადებოდა, ოლივია უნდა დაერქმიათ. ასეთ შემთხვევაში, ამბობდა შერონი, ის იქნება ერთადერთი ლივი ლივერი-ლეინიდან. ღმერთო, რამდენს იცინოდნენ მაშინ.

კლაი, ტომი და ჯორდანი — საბრალო ჯორდანი, ჩაფიქრებული და მდუმარე ჯორდანი, ახლა მხოლოდ მეორედ თუ მესამედ დასმულ შეკითხვაზე რეაგირებდა — ოქტომბრის მეორე კვირის ქარიან ღამეს, დაახლოებით შუაღამისას, მთავარი ქუჩისა და ლივერი-ლეინის გზაჯვარედინზე მივიდნენ. კლაი ველურივით მიაჩერდა წარწერას — ШЕЧЕРДИ! ქუჩის შესასვლელში, რომელსაც ბოლო თვეებში მხოლოდ სტუმრობდა. ბოსტონში მის წასვლამდე აეროზოლის საღებავით შესრულებული წარწერა — АТОМУРИ ЕНЕРГЕТИКА — ისევ მოჩანდა. ШЕЧЕРДИ! АТОМУРИ ЕНЕРГЕТИКА. ШЕЧЕРДИ!

АТОМУРИ ЕНЕРГЕТИКА. აზრს ვერ ჩასწვდა. მნიშვნელობა ესმოდა, მაგრამ ეჭვი არ ეპარებოდა, ეს რაღაც პოლიტიკურ განცხადებასავით იყო (ქალაქი რომ შემოევლო, მსგავს წარწერას ყველა იმ ნიშანზე ნახავდა, რომელსაც ШЕЧЕРДИ! ეწერა. და ასე იყო მე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზობელ ქალაქებში, სპრინგვეილსა და ექტონშიც). ახლა არ ესმოდა, როგორ შეიძლებოდა შინაარსი წინანდებური დარჩენილიყო სამყაროს სრული შეცვლის შემდეგ. ასეთი გრძნობა დაეუფლა: თუ დიდხანს უყურებ წარწერას ШЕЧЕРДИ! АТОМУРИ ЕНЕРГЕТИКА, მასში გაიხსნება პორტალი, ხვრელი დროში, ისე როგორც ეს სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის რომანებშია და ამ ხვრელით მოხვდება წარსულში, სადაც ყველაფერი წინანდებურად დახვდება. იმპულსისა და მისი დამანგრეველი შედეგების გარეშე.

— კლაი? — დაუძახა ტომმა, — კარგად ხარ?

— ეს ჩემი ქუჩაა, — უპასუხა კლაიმ, თითქოს ეს სიტყვები ყველაფერს განმარტავდა, მერე, ისე, რომ თავს ანგარიშს აღარ უწევდა, გაიქცა.

ლივერი-ლეინი ჩიხი იყო ქალაქის ამ მხარეს მდებარე სხვა ქუჩების მსგავსად. მთავარი ქუჩიდან იწყებოდა და კენტის გორაკით მთავრდებოდა. ეს უკანასკნელი სინამდვილეში ქარითა და მზით დახრუკული და გამომშრალი მთა გახლდათ. ქუჩას მუხების ტოტები გადაჰფაროდა. ჩამოცვენილი ფოთოლი ფეხქვეშ ხრაშუნობდა. ქუჩაში მრავლად იყო მიტოვებული მანქანებიც. ორი რადიატორებით გადაბმულიყო პირისპირ შეტაკებისას, ლითონის მხურვალე ამბორისას.

— სად გაიქცა? — მოისმა ჯორდანის ხმა.

კლაიმ უეცრად ცუდად იგრძნო თავი იმ შიშის გამო, რაც ბიჭის ხმაში ისმოდა, მაგრამ თავს ვერ მოერია.

— ყველაფერი რიგზეა, — უპასუხა ჯორდანს ტომმა, — გაიქცეს.

კლაი მიტოვებულ მანქანებს მარჯვედ უქცევდა გვერდს, მისი ფარანი სადღაც წინ ანათებდა. მორიგი ზიგზაგის შემდეგ სინათლის კონა მისტერ კრეტსკის სახეს დაეცა. მისტერ კრეტსკი ჯონის ყოველთვის აძლევდა კანფეტს, როდესაც ბიჭი მასთან თმის შესაჭრელად მიდიოდა. ჯონი ისევ ბიჭუნა ჯონი იყო, რომელიც სახლში ტელეფონის ზარის გაგონებისას ყვიროდა: „მე-მე-ტე-ტე! მე-მე-ტე-ტე!“ მისტერ კრეტსკი ტროტუარზე, თავისი სახლის წინ იწვა, სანახევროდ მუხის ფოთლებით დაფარული და მისთვის ცხვირი მოეჭამათ.

„მათ მკვდრებს ვიპოვი“, — ეს აზრი დაუსრულებლად უტრიალებდა გონებაში, — განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც ელისს დაემართა. მერე სხვა, კიდევ უფრო საშინელმა აზრმა გაუელვა (მაგრამ კრიტიკულ მომენტებში მისი გონება ყოველთვის სიმართლეს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამბობდა): „თუ რომელიმე მკვდარი უნდა ნახო, დაე, ეს... შერონი იყოს“.

მათი სახლი მარცხნივ ბოლო იყო („მარცხნივ ბოლო“,[1] ადრე ყოველთვის ბოროტი ჩაცინებით შეახსენებდა შერონი, მას შემდეგაც კი, რაც ხუმრობა გაცვდა) და მისასვლელი გზა გარემონტებულ გარაჟთან მიდიოდა, რომელშიც ძლივს ეტეოდა ერთი ავტომანქანა. კლაის სული ეხუთებოდა, მაგრამ სიჩქარე არ შეუნელებია. სახლთან მისასვლელი გზა გაირბინა და ფოთლები მიმოიფანტა, ფერდში — უსიამოვნო წიწკნა, ხოლო პირში ლითონის გემო იგრძნო. ასე ეგონა, ჰაერი ყელს უწვავდა. ფარანი ასწია და გარაჟს მიანათა.

ცარიელია. ახლა ისაა საკითხავი, ეს კარგია თუ ცუდი?

შემობრუნდა და მისკენ მომავალი ტომისა და ჯორდანის ფარნების სინათლეები დაინახა. თავისი ფარანი უკანა შესასვლელის კარს მიანათა. გაოგნებისგან გული ლამის ამოუვარდა. სამი კიბე აირბინა, ფეხი გაუცურდა და კინალამ ხელით ჩატეხა კარის მინის პანელი, როდესაც ზედ სკოჩით მიკრული ნერილის ჩამოხევას ცდილობდა. ერთი, სულაც ნახევარი საათით გვიან რომ მოსულიყვნენ, დაუნდობელი ღამის ქარი მას ჩამოხევდა და ტყეებსა და მინდვრებში ნაიღებდა. კლაი მზად იყო, *შერონი* მოეკლა იმისთვის, რომ თავი არ შეიწუხა და ბარათი სათანადოდ არ დაამაგრა, ამგვარი უდარდელობა სჩვეოდა ყველაფერში, მაგრამ...

ბარათი შერონს არ დაუტოვებია.

2

ჯორდანი პარმაღს მიუახლოვდა, პირველ საფეხურზე შეჩერდა და ფარანი კლაის მიანათა. ტომი უკან მიდიოდა, ქოშინით, ყოველ ნაბიჯზე ხმამაღლა აშრიალებდა ფოთლებს. ისიც ჯორდანის გვერ-

[1] *„მარცხნივ ბოლო სახლი“ რეჟისორ უეს კრეივენის ფილმია (1972) ორი გოგონას სადისტური მკვლელობისა და მათი მამის კიდევ უფრო სასტიკი და ამაზრზენი შურისძიების შესახებ.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დით დადგა და ფარანი კლაის ხელში ფურცელს მიანათა, მერე სინათლის კონა გადაიტანა მხატვრის სახეზე, რომელიც მეხდაცემულივით გაშეშებული იდგა.

— სულ დამავიწყდა ეს დაწყევლილი დედამისის დიაბეტი, — თქვა მან და ორივეს კარზე ნაპოვნი ბარათი გაუწოდა. ტომმა და ჯორდანმა ერთად წაიკითხეს:

„მამიკო

რალაც საშინელება მოხდა, რაც, ალბათ, შენც იცი. იმედია, კარგად ხარ და ამის წაკითხვას შეძლებ. მიჩ სტრაინმანი, ჯორჯ გენდრონი და მე ახლა ერთად ვართ. ადამიანები ჭკუაზე იშლებიან და, ჩვენი აზრით, მობილური ტელეფონებით. მამა ეს ყველაზე ცუდია და მეშინოდა და აქ მოვედი. ჩემი ტელეფონის დამტვრევა მინდოდა. მაგრამ შევცდი, იმიტომ, რომ ტელეფონი სახლში არ დამხვდა. დედამ თან წაილო, ხო, იცი, ბებია ავად არის და მასთან უფრო ხშირად დაერეკა უნდოდა. ღმერთს გეფიცები, ძალიან შემეშინდა, იმიტომ, რო ვილაცამ მისტერ კრეტსკი მოკლა. ბევრი ადამიანები მკვდრებია ან გაგიჟდა, როგორც რალაც საშინელებათა ფილმში, მაგრამ როგორც გავიგეთ, ადამიანები (ნორმალურები) მუნიციპალიტეტში იკრიბებიან და იქ მივდივართ. შეიძლება დედა უკვე იქ არის, მაგრამ, ღმერთო, მან ხომ ჩემი მობილური წაილო. მამიკო, დროზე ჩამოდი, გეხვეწები, წამიყვანე.

შენი შვილი

ჯონ გეივინ რიდელი“.

ტომმა დაასრულა წერილის კითხვა და როცა ლაპარაკი დაიწყო, მისი ხმის შემპარავმა ალერსიანობამ კლაი იმაზე მეტად დააშინა, ვიდრე ჯიქურმა გაფრთხილებამ.

— იცი, ის ადამიანები, რომლებიც მუნიციპალიტეტში შეიკრიბნენ, ალბათ, უკვე გაიფანტებოდნენ, ასე არ არის? ათი დღე გავიდა მას შემდეგ და ეს სამყარო ამ ხნის განმავლობაში საფუძვლიანად შეტორტმანდა.

— ვიცი, — უპასუხა კლაიმ. თვალები ეწვოდა და გრძნობდა, როგორ აუკანკალდა ხმა, — ისიც ვიცი, რომ დედამისი, შესაძლოა... — მხრები აიჩეჩა, ხელი სიბნელისკენ გაიქნია და ის ქვეყნიერება დაანახვა, ჩამოცვენილი ფოთლებით დაფარული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბილიკის მილმა რომ იყო, — მაგრამ, ტომ, უნდა მივიდე მუნიციპალიტეტში და ვნახო. იქნებ ბარათი დატოვეს, საით წავიდნენ. იქნებ კიდევ დაწერა.

— ჰო, — თავი დაუქნია ტომმა, — რასაკვირველია. იქ კი გადავწყვეტთ, როგორ მოვიქცეთ, — მის ხმაში მხოლოდ ალერსი ისმოდა, კლაის კი თითქოს სურდა, ტომს დაეცინა და რალაც ამდაგვარი ეთქვა — *„გეყოფა, მეგობარო, ნუთუ ისეთი მიამიტი ხარ, გგონია, ისევ ნახავ? დაბრუნდი ამ დაწყევლილ დედამინაზე“.*

ჯორდანმა მეორედ წაიკითხა ბარათი, შეიძლება, მესამედ და მეოთხედაც. მწუხარებისა და თავზარდაცემის მიუხედავად, რომელიც კლაის თავს დაატყდა, სურდა, ბოდიში მოეხადა ჯორდანისთვის იმ შეცდომებისთვის, რომელიც შვილის წერილში ამოიკითხა, შეეხსენებინა ჯორდანისთვის, რომ ჯონი პარმალზე ბარათს მოკუნტული წერდა, შოკურ მდგომარეობაში, მისი მეგობრები კი ქუჩაში დატრიალებულ ქაოსს შეჰყურებდნენ.

ჯორდანმა წერილი დაუშვა.

— თქვენი შვილი როგორ გამოიყურება?

კლაის უნდოდა, ეკითხა, რას ნიშნავს ეს შეკითხვაო, მაგრამ გადაიფიქრა, არ სურდა, პასუხი სცოდნოდა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

— ჯონი შენზე ერთი თავით დაბალია. ჩასკვნილი. მუქი წაბლისფერი თმით.

— გამხდარი არ არის? არც ქერა?

— არა. ეგ მისი მეგობარია, ჯორჯი.

ჯორდანმა და ტომმა ერთმანეთს გადახედეს. ნაღვლიანი მზერა იყო, მაგრამ, კლაის აზრით, მათში შვებაც ამოიკითხა.

— რა? — იკითხა კლაიმ, — რა დაინახეთ? მითხარით.

— ქუჩის იმ მხარეს, — წამოიწყო ტომმა, — შენ მორბოდი და ვერ შეამჩნიე, სამი სახლის იქით მკვდარი ბიჭუნა წევს. ქერა, გამხდარი, წითელი ზურგჩანთით.

— ჯორჯ გენდრონია, — უპასუხა კლაიმ. ის ცნობდა ჯორჯის წითელ სასკოლო ზურგჩანთას, ისე როგორც ჯონის ლურჯ ზურგჩანთას სინათლის ამრეკლავი ზოლებით, — მეოთხე კლასში მან ჯონისთან ერთად პურიტანელთა სოფლის მაკეტი ააგო ისტორიაში აღებული პროექტისთვის. ორივემ უმაღლესი შეფასება მიიღო. შეუძლებელია, ჯორჯი მკვდარი იყოს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ, რასაკვირველია, ეს სავსებით შესაძლებელი იყო. კლაი პარმალზე ჩამოჯდა, რომელმაც, ჩვეულებისამებრ, მისი სიმძიმის ქვეშ დაიჭრიალა, და სახეზე ხელები აიფარა.

3

მუნიციპალიტეტის შენობა პონდ-სტრიტისა და მილ-სტრიტის კუთხეში იდგა, ქალაქის პარკისა და გუბურის პირდაპირ, რომელმაც მისცა კიდეც სახელი[1] ქალაქს. ავტოსადგომი თითქმის ცარიელი იყო, თუ არ ჩავთვლით თანამშრომლებისთვის გათვალისწინებულ ადგილებს. მიტოვებულ მანქანებს მთლიანად ჩაეხერგათ ვიქტორიანული ეპოქის სტილის თეთრ შენობამდე მისასვლელი ორივე ქუჩა. ადამიანები რაც შეიძლებოდა ახლოს მიდიოდნენ მანქანით, მერე კი ფეხით აგრძელებდნენ გზას. კლაი, ტომი და ჯორდანი დაგვიანებულები იყვნენ, ამიტომ თითოეული იარდის გავლას დიდ ძალისხმევას ახმარდნენ. მუნიციპალიტეტის შენობიდან ორი კვარტალის დაშორებით მანქანებით კერძო სახლების წინ გაზონებიც კი გაჭედილიყო. ათობით სახლისგან ნახანძრალილა დარჩა. ზოგიერთი ჯერ კიდევ ბოლავდა.

კლაიმ ლივერი-ლეინზე ბიჭის ცხედარს საბანი გადააფარა — ის მართლაც ჯონის მეგობარი ჯორჯი იყო, — მაგრამ ვერაფრით დაეხმარებოდნენ ათობით და შესაძლოა, ასობით გაბერილ ცხედარს, რომლებსაც მრავლად წააწყდნენ, ვიდრე ნელა მიდიოდნენ ლივერი-ლეინიდან კენტ-პონდის მუნიციპალიტეტის შენობისკენ. სიბნელეში კლაი ვერავის ცნობდა. შესაძლოა, ვერც დღისით ეცნო. ამ ერთი კვირის განმავლობაში ყვავებს უქმად არ დაუკარგავთ დრო.

ფიქრით ისევ და ისევ უბრუნდებოდა ჯორჯ გენდრონს, რომელიც პირქვე, გასისხლიანებულ ფოთლებზე იწვა. ჯონის ბარათში ეწერა, რომ მასთან ერთად იყვნენ ჯორჯი და მიჩი, კიდევ ერთი მეგობარი მეშვიდე კლასიდან. რაც ჯორჯს დაემართა, უკვე მას შემდეგ მოხდა, რაც ჯონიმ ბარათი უკანა შესასვლელის კარს ნა-

[1] *კენტ-პონდი სიტყვასიტყვით ინგლისურ ენაზე „კენტის გუბურას" ნიშნავს.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩქარევად სკოჩით მიაკრა და სამივემ რიდელების სახლი დატოვა. რაკი გასისხლიანებულ ფოთლებზე მხოლოდ ჯორჯი იწვა, კლაის შეეძლო, ჩაეთვალა, რომ ჯონი და მიჩი ლივერი-ლეინიდან ცოცხლები წავიდნენ.

„რასაკვირველია, ვერაფერს ვივარაუდებთ, ჩვენ ვბჭობთ და თავს ვიტყუებთ, რეალობა კი დაგვცინის, — გაიფიქრა კლაიმ, — *ელის მაქსველის სახარებიდან; ღმერთო, სასუფეველი დაუმკვიდრე“.*

და მართლაც, ჯორჯის მკვლელს შეეძლო მათ გამოსდევნებოდა და სადღაც დაეჭირა. მთავარ ქუჩაზე, დაგუეის ქუჩაზე, ან ლორელ-უეიზე. მათთვის შვედური ფოლადისგან დამზადებული დანა ან მანქანის ანტენა გაეყარა...

მუნიციპალიტეტის ავტოსადგომს მიუახლოვდნენ. მარცხნივ პიკაპმა იქამდე მისვლა მიწაყრილის გავლით სცადა, მაგრამ ასფალტამდე ვიდრე მიაღწევდა, ხუთი იარდის დაშორებით რომელიღაც ჭაობიან თხრილში ჩავარდა. მარჯვნივ ქალი ეგდო, ყელზე მრავლობითი ჭრილობებით, მისი სახე ჩიტებს შავი ნახვრეტებითა და სისხლიანი ზოლებით გაეფერადებინათ. თავზე „პორტლენდელი სელაპების“[1] კეპი ეხურა, ხელში ისევ ჩანთა ეჭირა.

მკვლელებს ფული აღარ აინტერესებდათ.

ტომმა მხარზე ხელი დაადო. მოულოდნელობისგან კლაი შეხტა.

— მოეშვი იმაზე ფიქრს, რა შეიძლებოდა, მომხდარიყო.

— შენ რა იცი...

— ამისთვის აზრების წაკითხვა საჭირო არ არის. თუ აქ შენს ვაჟს იპოვი — ეჭვი მეპარება, ასე მოხდეს, — დარწმუნებული ვარ, ყველაფერს მოგიყვება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამაზე ფიქრს რა აზრი აქვს?

— ჰო, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ, ტომ... მე *ვიცნობდი* ჯორჯ გენდრონს. ბავშვები ხანდახან კონექტიკუტს ეძახდნენ, იმიტომ, რომ მისი ოჯახი იქიდან არის გადმოსული. ჩვენს ეზოში ჰოთ-დოგები და ჰამბურგერები უჭამია. მამამისი მოდიოდა ჩვენთან და ერთად ვუყურებდით თამაშებს „პატრიოტების“ მონაწილეობით.

— ვიცი, — თავი დაუქნია ტომმა, — ვიცი, — მერე მკაცრად დაამატა, — ჯორდან, ნუ მისჩერებიხარ მაგ ქალს, არ ადგება და არ გაივლის.

[1] *„პორტლენდელი სელაპები“ — ქალაქ პორტლენდის პროფესიული საკალათბურთო გუნდი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯორდანმა მის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია, ისევ ქალს მისჩერებოდა, ყვავების ამოჭმული სახით.

— მობილოგიჟებმა თავიანთი მკვდრების მიხედვა დაიწყეს, როგორც კი რაღაც საბაზისო საპროგრამო საფეხურზე გავიდნენ, — თქვა მან, — მერე რა, რომ მხოლოდ ჭაობში აგდებდნენ ტრიბუნების ქვეშიდან გამოთრეულებს, ისინი რაღაცას მაინც ცდილობდნენ, მაგრამ ჩვენი გვამები ფეხებზე ჰკიდიათ. სადაც დაეცნენ, იქვე ტოვებენ გასახრწნელად, — კლაისა და ტომს მიუბრუნდა, — რასაც უნდა ამბობდნენ და გვპირდებოდნენ, მათი ნდობა შეუძლებელია, — მის ხმაში მრისხანება ისმოდა, — *შეუძლებელია*, გესმით?

— სავსებით გეთანხმები, — უპასუხა ტომმა.

— მეც, — მხარი აუბა კლაიმ.

ტომმა მუნიციპალიტეტისკენ გაიქნია თავი. შენობაზე ჯერ კიდევ ანათებდა ხანგრძლივი მოხმარების აკუმულატორზე მომუშავე ავარიული განათების რამდენიმე ნათურა. მათგან მქრქალი ყვითელი ფერი ეფინებოდა თანამშრომლების მანქანებს, რომლებსაც თანდათან ფარავდა ფოთლები.

— წავიდეთ და ვნახოთ, რა დატოვეს.

— ჰო, წავიდეთ, — ამოიოხრა კლაიმ. ჯონი წავიდა, უკვე ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ სადღაც, მისი გონების რომელიღაც კუნჭულში, ჯერ კიდევ ღვიოდა იმედი, რომ მუნიციპალიტეტის შენობაში შესული გაიგებს შეძახილს: „მამიკო!" და ბიჭი მკლავებში ჩაუვარდება, ცოცხალი, რეალური, და არა მთელი ამ კოშმარის ფანტასმაგორია.

4

მუნიციპალიტეტში არავინ რომ არ იყო, მაშინვე მიხვდნენ, როგორც კი მის კარზე წარწერა დაინახეს. ავარიული განათების სუსტ სინათლეზე წითელი საღებავით გამოყვანილი აცაბაცა ასოები სისხლით დაწერილს ჰგავდა:

კაშვაკი=არა-ტელ

— რა მანძილზეა აქედან კაშვაკი? — იკითხა ტომმა.

კლაი ჩაფიქრდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჩემი აზრით, ოთხმოცი მილით უნდა იყოს დაშორებული, თითქმის ზუსტად ჩრდილოეთით. გზის დიდი ნაწილი შეიძლება 160-ე გზატკეცილით გაიარო, მაგრამ TR-ში მოხვედრილმა როგორ უნდა იარო, არ ვიცი.

— და რას წარმოადგენს ეს TR? — დაინტერესდა ჯორდანი.

— თითქმის დაუსახლებელ ტერიტორიას. იქ რამდენიმე დაბაა, რამდენიმე ქვის სამტეხლო, მიკმაკის ტომის ინდიელების[1] მიყრუებული რეზერვაცია ჩრდილოეთში, მაგრამ, ძირითადად, ეს არის ტყეები, დათვები და ირმები, — კლაიმ სახელური მოქაჩა და კარი მაშინვე გაიღო, — მინდა ვნახო, შიგნით რა ხდება. თუ არ გინდათ შემოსვლა, თქვენი ნებაა.

— არა, შემოვალთ, — თავი გააქნია ტომმა, — ასე არ არის, ჯორდან?

— რა თქმა უნდა, — ამოიოხრა ჯორდანმა, თითქოს ძალიან რთული დავალება უნდა შეესრულებინა, მერე გაიღიმა, — ნახეთ, ანთებული ნათურები! ვინ იცის, კიდევ როდის ვნახავთ.

5

ჯონი რიდელი ბნელი ოთახიდან არ გამოვარდნილა, რომ მამამისის მკლავებში აღმოჩენილიყო, მაგრამ შენობაში აირის ქურებსა და გრილზე მომზადებული საკვების სუნი ტრიალებდა. მათ იმპულსის შემდეგ აქ თავშეფარებული ადამიანები იყენებდნენ. საკონფერენციო დარბაზის ახლოს, დერეფანში, განცხადებების დაფა იყო გაკრული ქალაქში მიმდინარე და მომავალი ღონისძიებების შესახებ, ახლა კი იქ ორასამდე ხელნაწერი ბარათი მიემაგრებინათ. კლაის დაძაბულობისგან სუნთქვა შეეკრა, ყურადღებით, იმ მეცნიერისთვის დამახასიათებელი სიჯიუტით შეუდგა მათ დათვალიერებას, რომელიც დარწმუნებულია, რომ მარიამ მაგდალინელის სახარება აღმოაჩინა. ეშინოდა იმის, რაც შეიძლებოდა ეპოვა, და

[1] *მიკმაკის ტომის ინდიელები, ძირითადად, კანადაში ცხოვრობენ. აშშ-ის ტერიტორიაზე მათი საბინადროა მენის შტატის ჩრდილო-აღმოსავლეთი და მასაჩუსეტსი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმისაც, რომ შეიძლებოდა, ბარათი აქ არ ალმოჩენილიყო. ტომი და ჯორდანი საკონფერენციო დარბაზში გაერიდნენ. დარბაზი ლტოლვილების დანატოვარი ნაგვით იყო სავსე. როგორც ჩანს, მათ დარბაზში რამდენიმე დღე-ღამე გაატარეს დახმარების იმედად, რომელსაც ამაოდ ელოდნენ.

ბარათების კითხვისას კლაი მიხვდა, რა დასკვნა გამოიტანეს გადარჩენილებმა: შეუძლიათ მიიღონ რალაც უფრო მეტი, ვიდრე დახმარებაა. დაიჯერეს, რომ კაშვაკი ხსნა იყო. რატომ მაინცდამაინც ამ ქალაქში, როდესაც TR-90-ის მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ჩრდილოეთითა და დასავლეთით, არ არსებობდა მობილური კავშირგაბმულობა, არ იყო სიგნალის მიღებისა და გადაცემის შესაძლებლობა? განცხადებების დაფაზე გაკრულმა ბარათებმა ამ კითხვას პასუხი ვერ გასცა. ავტორთა უმრავლესობას რატომღაც მიაჩნდა, რომ მკითხველი მიზეზს ისედაც მიხვდებოდა. ანუ, ყველამ იცის, ყველა იქ მიდის. მაგრამ ისიც კი, ვინც რალაცის ახსნას ცდილობდა, საზარელ კოშმარსა და ეიფორიას შორის იხლიჩებოდა, ძლივს ახერხებდა გრძნობების მოთოკვას. ასე რომ, ბარათებში საუბარი იყო კაშვაკისკენ მიმავალ ყვითელი აგურის გზასა და უახლოეს გადარჩენაზე.

ბარათების ორი მესამედის წაკითხვის შემდეგ კლაიმ, როგორც იქნა, შვილის ნაცნობი მრგვალი ხელწერა ამოიცნო — მის ბარათს სანახევროდ ფარავდა აირის ნოლანის ბარათი, ქალის, რომელსაც კლაი კარგად იცნობდა: ის უფასოდ მუშაობდა ადგილობრივ პანწინა ბიბლიოთეკაში — და გაიფიქრა: *„ღმერთო, მადლობელი ვარ შენი. ულრმესი მადლობა“*.

ფრთხილად ჩამოხსნა ბარათი, რომ არ გახეულიყო. 3 ოქტომბრით იყო დათარიღებული. კლაიმ სცადა, გაეხსენებინა, სად იყო 3 ოქტომბრის ღამეს, მაგრამ ამაოდ. ნორტ-რიდინგის ფერმაში თუ მოტელში „მშვენიერი დაბლობი“, მეტუინთან? უფრო ფერმაში, მაგრამ გადაჭრით ვერ იტყოდა. ყველაფერი თითქოს შეიკუმშა, გადანაცვლდა, როდესაც გონების მოკრებას ცდილობდა, საფეთქელზე ფარნებმიმაგრებული კაცი იმ ახალგაზრდაში ერეოდა, რომელიც ხელში მანქანის ანტენებით მირბოდა, მისტერ რიკარდიმ თითქოს სიცოცხლე მოისწრაფა არა ჩამოხრჩობით, არამედ მინის ნამსხვრევების ჭამით, ხოლო ტომის ბოსტანში კიტრსა და პამიდორს თითქოს ელისი წყვეტდა და თქვლეფდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„გეყოფა“, — წაიჩურჩულა და ბარათს ჩაულრმავდა. შეცდომები ნაკლები იყო, ტექსტიც უფრო დაწყობილი ჩანდა, მაგრამ ის შიში, რომელსაც ავტორი განიცდიდა, აშკარად იგრძნობოდა:

„3 ოქტომბერი

საყვარელო მამიკო,

იმედია, ცოცხალი ხარ და ამ ბარათს მიიღებ. მე და მიჩი კარგად ვართ, მაგრამ ჰიუ დარდანმა ჯორჯი დაიჭირა და, მგონი, მოკლა. მე და მიჩი, უბრალოდ, უფრო სწრაფად გავრბოდით. ვგრძნობდი, რო ჩემი ბრალია, მაგრამ მიჩმა თქვა, საიდან უნდა გცოდნოდა, ის ხო მობილოიდია და დანარჩენებივით იქცევა და შენი ბრალი არ არისო.

მამიკო, ეს ყველაზე უარესი არ არის. დედიკო იმათთანაა, დღეს დავინახე ერთ-ერთ ჯოგში (აქ მაგათ ჯოგებს ეძახიან), დანარჩენებივით ცუდად არ გამოიყურებოდა, მაგრამ ვიცი, მასთან რო მივიდე, ვერ მიცნობს და მომკლავს, როგორც კი დამინახავს. თუ დაინახე, არ მოტყუვდე. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ეს სიმართლეა.

კაშვაკში მივდივართ (ეს ზემოთ არის, ჩრდილოეთში), ხვალ ან იმის მერე დღეს. მიჩის დედაა აქ და ისე ძალიან მშურს, მზად ვარ, მიჩი მოვკლა. მამიკო, ვიცი, მობილური არა გაქვს და აქ კიდევ ყველა კაშვაკზე ლაპარაკობს, რომ იქ არაფერია საშიში. თუ ეს ბარათი მიიღე, გთხოვ, მოდი და წამიყვანე.

მთელი გულით მიყვარხარ,

შენი შვილი

ჯონ გეივინ რიდელი“.

შერონის შესახებ რაც გაიგო, მაშინაც კი კლაი თავს იკავებდა, მაგრამ, როდესაც წაიკითხა „მთელი გულით მიყვარხარ“, თავს ვეღარ მოერია. თავისი თორმეტი წლის ბიჭის ნაწერს აკოცა, განცხადებების დაფას შეხედა — უკვე ცუდად ხედავდა, ყველაფერი ორმაგი და სამმაგი ეჩვენებოდა თვალებში მომდგარი ცრემლების გამო — და დაიგმინა. ტომმა და ჯორდანმა მაშინვე მოირბინეს.

— კლაი, რა? — შეეკითხა ტომი, — რა მოხდა? — მის ხელებში ფურცელი დაინახა, ბლოკნოტიდან ამოხეული ყვითელი ფურცელი, და კლაის ხელიდან გამოსტაცა. ჯორდანთან ერთად წაიკითხა ჯონის ბარათი.

— კაშვაკში მივდივარ, — კლაის ხმა ჩაუწყდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კლაი, ეს არც ისე კარგი იდეაა, — ფრთხილად შენიშნა ჯორ-დანმა, — იმის გათვალისწინებით, რაც ჩვენ გეიტენის აკადემიაში ჩავიდინეთ.

— არ მაინტერესებს. კაშვაკში მივდივარ. ჩემი შვილი უნდა მო-ვძებნო.

6

კენტ-პონდის მუნიციპალიტეტში თავშეფარებულმა ლტოლვი-ლებმა ნასვლის შემდეგ ბლომად სურსათი დატოვეს. ალბათ, ყვე-ლა ერთად TR-90-ისა და კაშვაკისკენ გაემართა. კლაიმ, ტომმა და ჯორდანმა ქათმის სალათის კონსერვი და გამხმარი პური ჭამეს, ხოლო დესერტად ხილის სალათის ქილები გახსნეს.

როდესაც ჭამა დაასრულეს, ტომი ჯორდანისკენ დაიხარა და რაღაც უჩურჩულა. ბიჭმა თავი დაუქნია. ორივე ნამოდგა.

— თუ წინააღმდეგი არა ხარ, ერთი-ორი წუთით გავალთ, კლაი. ჯორდანმა და მე უნდა მოვითათბიროთ.

კლაიმ თავი დაუქნია. როგორც კი წავიდნენ, ხილის სალათის კი-დევ ერთი ქილა გახსნა და ჯონის ბარათი მეცხრედ თუ მეათედ ნა-კითხა. სიმართლე ითქვას, თითქმის ზეპირადაც ისწავლა. ასევე ცხა-დად ახსოვდა ელისის სიკვდილი, მაგრამ ის თითქოს სხვა სიცოცხლე-ში შეემთხვა სხვა კლაიტონ რიდელს. მის ადრეულ, შავ ვარიანტს.

სალათა შეჭამა და ბარათს უკვე ჯიბეში ინახავდა, როდესაც დე-რეფნიდან ტომი და ჯორდანი გამოჩნდნენ, ადვოკატებს ჰგავდნენ, საქმის სასამართლოში მოსმენის დროს დარბაზიდან სათათბიროდ გასულებს, ეს იმ დღეებში, როდესაც ადვოკატები ჯერ კიდევ არსე-ბობდნენ. ტომს ისევ მხარზე მოეხვია ხელი ჯორდანისთვის. გახა-რებულები ნამდვილად არ ჩანდნენ, მაგრამ მშვიდები და მიზანდა-სახულები იყვნენ.

— კლაი, — წამოიწყო ტომმა, — ჩვენ ყველაფერი ავწონ-დავწო-ნეთ და...

— ჩემთან ერთად წამოსვლა არ გინდათ, კარგად მესმის თქვენი.

— ვიცი, რომ თქვენი შვილია და სხვაც ყველაფერი, — განაგრძო ჯორდანმა, — მაგრამ...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— შენც იცი, ის ერთადერთია, რაც დამრჩა, დედამისი — კლაის ბაგეებს უსიხარულო ჩაცინება მოსწყდა, — დედამისი. შერონი. არა, ეს ნამდვილი ბედის ირონიაა. მთელი ამ ნერვიულობის მერე, რომ ის დაწყევლილი წითელი გველი ბიჭს უკბენდა... არჩევანის საშუალება რომ მქონოდა, ვარჩევდი, შერონისთვის ეკბინა, — როგორც იქნა, ხმამაღლა ამოთქვა, თითქოს ხორხიდან ხორცის გაჩხერილი ნაჭერი ამოაგდო, — და იცი, ახლა რას ვგრძნობ? თითქოს ეშმაკთან გარიგება დავდე და ეშმაკმა მხარი ამიბა.

ტომს მისი აღსარებისთვის ყურადღება არ მიუქცევია. როდესაც ლაპარაკი დაიწყო, სიტყვებს ფრთხილად არჩევდა, რომ კლაი არ აფეთქებულიყო დაუზვერავი დანალმული მინდორივით:

— ისინი ვერ გვიტანენ. ჯერ ვერავის იტანდნენ, ახლა მეორე ფაზაზე გადავიდნენ და მარტო ჩვენ ვერ გვიტანენ. კაშვაკში რაც უნდა ხდებოდეს, იქ წასვლა მათი იდეაა, ამიტომ კარგს არაფერს უნდა ველოდოთ.

— თუ გადატვირთვის რაღაც ახალ, უფრო მაღალ დონეზე გადადიან, შეიძლება მიაღწიონ იცხოვრე-და-სხვაც-აცხოვრე საფეხურამდე, — უპასუხა კლაიმ. გადაბირებას აზრი არ ჰქონდა, შეუძლებელია, მათ ეს არ სცოდნოდათ. ის *ვალდებულია*, კაშვაკში წავიდეს.

— მეეჭვება, — თავი გააქნია ჯორდანმა, — გახსოვთ, რას ამბობდით სასაკლაოზე?

— კლაი, ჩვენ ნორმალურები ვართ და ეს პირველი სტრაიკია[1], — არ უთმობდა ტომი, — მათი ერთი ჯოგი დავწვით და ეს კი ერთად აღებული მეორე და მესამე სტრაიკია. იცხოვრე-და-სხვაც-აცხოვრე ჩვენ არ გვეხება.

— როგორ შეიძლება ჩვენ გვეხებოდეს? — დაამატა ჯორდანმა, — „დაფლეთილი კაცი“ შეშლილებს გვიწოდებს.

— და მიუკარებლებს, — შეახსენა კლაიმ, — ასე რომ, არაფერი დამემართება, ხომ ასეა?

მეტი არც არაფერი იყო სათქმელი.

[1] *სტრაიკი ბეისბოლში ბეტერის მიერ გაშვებული დარტყმაა. მესამე დარტყმის გაშვების შემდეგ ბეტერი თამაშს ეთიშება. გარდა ამისა, გასული საუკუნის 90-იან წლებში აშშ-ში მიიღეს ე.წ. სამი სტრაიკის კანონები, რომელთა თანახმად, სამი სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ სასჯელი უფრო მკაცრი იყო.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

7

ტომმა და ჯორდანმა დასავლეთით, ნიუ-ჰემფშირის გავლით ვერმონტისკენ წასვლა გადაწყვიტეს, ᲙᲐᲨᲕᲐᲙᲘ=ᲐᲠᲐ-ᲢᲔᲚ უკან უნდა მოეტოვებინათ (და ჰორიზონტს მილმა) და რაც შეიძლებოდა სწრაფად. როგორც კლაიმ თქვა, მათთვის ათვლის წერტილი იყო კენტ-პონდში რკალად შემოსული მე-11 გზატკეცილი.

— მე ᲣᲒ გზატკეცილი 160-მდე მიმიყვანს, თქვენ კი გზას გააგრძელებთ ლაკონიამდე, ეგ ნიუ-ჰემფშირის ცენტრშია. მართალია, პირდაპირი მარშრუტი არ არის, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს? თვითმფრინავზე ხომ არ აგვიანებთ?

ჯორდანმა თვალები მოისრისა, შუბლიდან თმა გადაიწია. კლაიმ უკვე იცოდა, ეს ჟესტი მის უკიდურეს დაღლილობასა და მღელვარებას მოასწავებდა. ხვდებოდა, როგორ მოენატრებოდა ჯორდანი, ტომი — უფრო მეტად.

— ღმერთო, როგორ მინდა აქ ახლა ელისი იყოს, — ამოიოხრა ჯორდანმა, — ის მოახერხებდა და გადაგათქმევინებდათ.

— ვერ გადამათქმევინებდა, — არ დაეთანხმა კლაი. და მაინც, მთელი გულით სურდა, ელისს მაინც ეცადა. მთელი გულით სურდა, ამ ცხოვრებაში ელისს კიდევ ბევრი რამ ეცადა. თხუთმეტი წელი არ არის ის ასაკი, როდესაც ადამიანი უნდა მოკვდეს.

— შენი ამჟამინდელი გეგმები „იულიუს კეისრის“ მეოთხე მოქმედებას მაგონებს, — თავი გააქნია ტომმა, — მეხუთეში ყველა მახვილზე წამოეგო.

პონდ-სტრიტზე ავტომობილებს უქცევდნენ გვერდს, რომ გასასვლელი ეპოვათ. მათ ზურგს უკან ნელ-ნელა ქრებოდა მუნიციპალიტეტის საავარიო განათების ნათურები. წინ გაფუჭებული შუქნიშანი ქალაქის გეოგრაფიულ ცენტრს დასცქეროდა და ქარი ოდნავ არხევდა.

— ნუ იქნები ასეთი გამოუსწორებელი პესიმისტი, — კლაიმ თავს პირობა მისცა, რომ თავს შეიკავებდა, არ სურდა, ასეთ ცუდ ხასიათზე დამშვიდობებოდა მეგობრებს, მაგრამ თავშეკავების რესურსი ელეოდა.

— მაპატიე, ძალიან დაღლილი ვარ საიმისოდ, რომ ჩვენი საბრძოლო სულისკვეთების ამაღლება ვცადო, — თქვა ტომმა, — მან შემოუარა მაჩვენებელს წარწერით: **ᲛᲔ-11 ᲖᲖᲐᲢᲙᲔᲪᲘᲚᲘ — 12**

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვილი, — და თუ გინდა, გულახდილად გეტყვი, გული მეწურება იმის გაფიქრებაზე, რომ ერთმანეთს უნდა დაეშორდეთ.

— ტომ, მაპატიე.

— რომ ვიცოდე, არსებობს ხუთიდან თუნდაც ერთი შესაძლებლობა ამ ამბის კარგად დამთავრებისა, ან ერთი ორმოცდაათიდან... პრინციპში, რა მნიშვნელობა აქვს, ტომმა ფარანი ჯორდანს მიანათა, — რას იტყვი? არსებობს რამე არგუმენტი ამ სიგიჟის საწინააღმდეგოდ?

ჯორდანი ჩაფიქრდა, მერე უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

— დირექტორმა ერთხელ რაღაც მითხრა. გინდათ, მოისმინოთ?

ტომმა ფარნით ანიშნა თანხმობა. ფარანმა გაანათა სარეკლამო ფარი ახალი ფილმის შესახებ, მთავარ როლში ტომ ჰენკსით, და მეზობლად მდებარე აფთიაქი:

— მიდი.

— თქვა, რომ გონებას მხოლოდ ფიქრი შეუძლია, სულს სწყურია, ხოლო გული... გულმა იცის.

— ამინ, — ალერსიანად თქვა კლაიმ.

აღმოსავლეთით, მარკეტ-სტრიტზე გავიდნენ, რომელიც ორი მილის იქით 19A გზატკეცილად იქცა. პირველის დასრულების შემდეგ ტროტუარები გაქრა და ფერმები გამოჩნდა. მეორის ბოლოს კიდევ ერთი გაფუჭებული შუქნიშანი გამოჩნდა და კიდევ, ნიშნული, მე-11 გზატკეცილთან გადაკვეთის აღსანიშნავად. გზაჯვარედინზე სამი კაცი იჯდა. საძილე ტომრებიდან მხოლოდ თავები მოჩანდა. ერთი კლაიმ მაშინვე იცნო, როგორც კი ფარანი მიუშვირა: ხანდაზმული მამაკაცი, მოგრძო ინტელიგენტური სახითა და ცხენის კუდად შეკრული ჭალარით. მეორე მამაკაცის „მაიამელი დელფინების“ კეპიც ნაცნობი ეჩვენა. მერე ტომმა ფარანი ქალს მიანათა, რომელიც ცხენისკუდიანი მამაკაცის გვერდით იჯდა და თქვა: „თქვენ“.

კლაის არ შეეძლო, ეთქვა, ეცვა თუ არა ქალს „პარლეი-დევიდსონის“ გადაჭრილსახელოებიანი მაისური, საძილე ტომარა სამოსს უფარავდა, მაგრამ იცოდა, ასეთი მაისური ერთ-ერთ ზურგჩანთაში აუცილებლად იქნებოდა. ზურგჩანთები კი მე-11 გზატკეცილის მაჩვენებლის ქვეშ, ასფალტზე ეწყო. ისიც იცოდა, ქალი ფეხმძიმედ იყო. ეს ორი მოტელ „მოჩურჩულე ფიჭვებში“ დაესიზმრა, ელისის დალუპვამდე ორი დღით ადრე. დაესიზმრა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ ერთად იდგნენ პროჟექტორების კაშკაშა სინათლეში, პლატ-ფორმებზე.

ჭალარათმიანი მამაკაცი წამოდგა და საძილე ტომარა ჩაცურ-და. მათ იარაღი ჰქონდათ, მაგრამ ცარიელი ხელები აჩვენა. ქალიც ასევე მოიქცა, ხოლო როდესაც მისი საძილე ტომარაც ჩაცურდა, ეჭვის შეტანა აღარ შეიძლებოდა, რომ ფეხმძიმედაა. „დელფინე-ბის" კეპიანი მამაკაცი ტანმაღალი, ორმოციოდე წლის იყო. მანაც ხელები ასწია. სამივე ასე იდგა რამდენიმე წამს, მერე ჭალარათმიან-მა გულის ჯიბიდან შავი პლასტმასისჩარჩოიანი სათვალე ამოიღო და გაიკეთა. მათი ამონასუნთქი ორთქლი მე-11 გზატკეცილის მაჩვენებლის თავზე ადიოდა, სადაც ისრები დასავლეთისა და ჩრ-დილოეთის მიმართულებებს უჩვენებდა.

— აჰა, აჰა, — თავი დაიქნია მან, — ჰარვარდის პრეზიდენტმა თქვა, რომ შესაძლოა, ამ გზით წამოსულიყავით და ასეც მოხდა. ჭკვიანი ბიჭია ეს ჰარვარდის პრეზიდენტი, თუმცა, ძალიან ახალ-გაზრდა ასეთი თანამდებობისთვის და კიდევ, ჩემი აზრით, პლასტი-კური ქირურგიაც არ აწყენდა პოტენციურ მდიდარ სპონსორებთან შეხვედრამდე.

— ვინ ხართ? — შეეკითხა კლაი.

— სახიდან ფარნის სხივი მომაშორეთ, თუ შეიძლება, ახალგაზრ-დავ, და სიამოვნებით გიპასუხებთ.

ტომმა და ჯორდანმა ფარნები ასფალტისკენ დახარეს, ასევე მოიქცა კლაი, მაგრამ ხელი ისევ ბეტ ნიკერსონის რევოლვერის ტარზე ედო.

— დენიელ ჰარტუიკი ვარ, ჰავერჰილიდან, მასაჩუსეტსიდან, — გაეცნო ჭალარათმიანი, — ეს ახალგაზრდა ლედი დენიზ ლინკია, ასევე ჰავერჰილიდან. მის მარჯვნივ რომ ჯენტლმენია, რეი უისენგი გახლავთ, მეზობელი ქალაქიდან.

— მოხარული ვარ, რომ გაგიცანით, — რეი უისენგმა თავი ოდ-ნავ დახარა, უხერხულად, სასაცილოდ და საყვარლად გამოუვიდა.

კლაიმ რევოლვერის ტარიდან ხელი აიღო.

— მაგრამ ჩვენს სახელებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, — განაგრძო დენიელ ჰარტუიკმა, — მთავარი ის არის, ვინ ვართ ჩვენ მობილოიდებისთვის, — მათ უყურებდა და მზერაში ღიმილის ნატა-მალი არ ჩანდა, — ჩვენ შეშლილები ვართ. თქვენსავით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

8

დენიზი და რეი საჭმელს აირის სალაშქრო ქურებზე ამზადებდნენ („ეს კონსერვის სოსისები არც ისე ცუდია, თუ კარგად მოხარშავ", — თავისი დაკვირვება გაუზიარა მათ რეიმ), ვიდრე ისინი საუბრობდნენ, უფრო სწორად, ძირითადად, დენი საუბრობდა. იმით დაიწყო, რომ საათს დახედა — სამის ოცი წუთი იყო, — და განაცხადა, რომ სამზე თავისი პატარა მამაცი გუნდით გზას უნდა დასდგომოდა. გათენებამდე, ვიდრე გზებზე მობილოიდები გამოჩნდებოდნენ, რაც შეიძლება მეტი მილის გავლა სურდათ.

— იმიტომ, რომ, ალბათ, შეამჩნევდით, ღამღამობით არსად დადიან, — განმარტა მან, — ეს მაინც გვიწყობს ხელს. მერე, როდესაც მათი პროგრამირება დასრულდება ან დასასრულისკენ წავა, ალბათ, ღამითაც შეძლებენ გადაადგილებას, მანამდე კი...

— ესე იგი, ეთანხმებით იმ აზრს, რომ სწორედ ეს ხდება? — შეეკითხა ჯორდანი. ელისის სიკვდილის შემდეგ პირველად გამოავლინა დაინტერესება. დენს ხელი სტაცა, — ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ მათში პირველადი პროგრამა იტვირთება, როგორც იმ კომპიუტერებში, რომელთა მყარი დისკებიდან...

— მთელი ინფორმაცია ნაშალეს, ჰო, ჰო, — თავი დაუქნია დენმა, თითქოს ეს ყველაფერი ისედაც ცხადი იყო.

— მაშ, თქვენ მეცნიერი ხართ? — ჰკითხა ტომმა.

დენმა გაულიმა.

— ჰავერჰილის ტექნიკისა და ხელოვნების უნივერსიტეტში სოციოლოგიის კათედრას ვხელმძღვანელობდი. თუ ჰარვარდის პრეზიდენტს კოშმარი დაესიზმრა, ის კოშმარი სწორედ მე ვიქნები.

დენ ჰარტუიკმა, დენიზ ლინკმა და რეი უისენგმა ერთი კი არა, ორი ჯოგი გაანადგურეს. პირველი — ჰავერჰილის ძველი მანქანების საყრელის ავტოსადგომზე, სადაც შემთხვევით მოხვდნენ; მაშინ მათი ჯგუფი ექვსი კაცისგან შედგებოდა და ქალაქიდან გაღწევას ცდილობდნენ. ეს იმპულსის გავრცელებიდან ორი დღის შემდეგ მოხდა, როდესაც მობილოადამიანები ჯერ კიდევ მობილოგიჟები იყვნენ, თავში ყველაფერი არეული ჰქონდათ, ერთმანეთსაც ხოცავდნენ და შეფეთებულ ნორმალურებსაც. პირველი ჯოგი მცირე, დაახლოებით სამოცდათხუთმეტსულიანი, იყო და ისინი ბენზინით დაწვეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მეორედ, ნეშუაში, დინამიტი გამოვიყენეთ, რომელიც სამშენებლო მოედანზე ვიპოვეთ, — დაამატა დენიზმა, — იმ დროისთვის უკვე დავკარგეთ ჩარლი, რალფი და არტური. რალფი და არტური წავიდნენ. ჩარლი კი, საბრალო მოხუცი ჩარლი, გულის შეტევით გარდაიცვალა. ასეა თუ ისე, დინამიტის გამოყენება რეიმ იცის, ერთ დროს გზების მშენებელი იყო.

რეიმ, რომელიც ამ დროს ქვაბში მაკარონს ურევდა, თავისუფალი ხელი ასწია და შეკრული მუშტი შეარხია.

— ამის მერე, — განაგრძო დენმა, — აქა-იქ უკვე ეს წარწერები გვხვდებოდა, КАШВАКИ=АРА-ТЕЛ. მოგვეწონა, არა, დენიზ?

— ჰო, — თავი დაუქნია დენიზმა, — ერთი-ორი-და-შინ-ხარ. ისედაც ჩრდილოეთით მივდიოდით, როგორც თქვენ, მაგრამ ამის ნახვის მერე ტემპს მოვუმატეთ. ერთადერთი ვიყავი, ვისაც ეს იდეა სრულებით არ მოსწონდა, იმიტომ, რომ იმპულსის გამო ქმარი დავკარგე. ეგ ნაგვები არიან იმის მიზეზი, რომ ჩემს შვილს არ ეცოდინება, მამამისი ვინ არის, — მან დაინახა, კლაი როგორ შეიჭმუხნა და თქვა, — მაპატიეთ, ვიცით, რომ თქვენი ვაჟი კაშვაკშია.

კლაი გაოგნდა.

— ჰო, — თავი დააქნია დენმა და რეის გადაწოდებული საჭმლიანი თეფში ჩამოართვა, — ჰარვარდის პრეზიდენტმა ყველაფერი იცის, გვხედავს, ყველაზე სათანადო დოსიე აქვს... ყოველ შემთხვევაში, სურს, დაგვაჯეროს, რომ ასეა, — მერე ჯორდანს თვალი ჩაუკრა და ჯორდანმა გაიღიმა.

— დენმა უკვე გამანათლა, — თქვა დენიზმა, — რომელილაც ტერორისტულმა ჯგუფმა თუ სულაც იდეურად შერეკილმა გიჟებმა სადღაც გარაჟში დაიწყეს ეს პროცესი, მაგრამ წარმოდგენა არავის ჰქონდა, შედეგად რას მოიტანდა. მობილოიდები მხოლოდ მათთვის განკუთვნილ როლს ასრულებენ. შეშლილობის დროს რაც ჩაიდინეს, ამისთვის პასუხისმგებლები არ არიან. პასუხისმგებლები ვერც ახლა იქნებიან, იმიტომ, რომ...

— იმიტომ, რომ ჯგუფურ იმპერატივს ემორჩილებიან, — ჩაურთო ტომმა, — როგორც მიგრაციის დროს.

— ეს ჯგუფური იმპერატივია, მაგრამ არა მიგრაცია, — რეი თავისი თეფშით დანარჩენებს მიუჯდა, — დენი ამას, უბრალოდ, თვითგადარჩენას უწოდებს და მგონი, მართალია. რაც უნდა იყოს, ვალდებული ვართ, თავის შესაფარებელი ვიპოვოთ... როგორ ვთქვა... მანამდე, სანამ წვიმა გადაილებს და გამოიდარებს. გესმით?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— სიზმრები მას შემდეგ დაიწყო, რაც პირველი ჯოგი გავანადგურეთ, — ისევ დენმა გააგრძელა, — დასამახსოვრებელი სიზმრები. *Kere humo. insanus* — ერთობ ჰარვარდულია. იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც ნეშუაში ჯოგი ავაფეთქეთ, თავად ჰარვარდის პრეზიდენტი გვეახლა ხუთასი უახლოესი მეგობრის თანხლებით, — დენი სწრაფად და აკურატულად ჭამდა.

— და თქვენს პარმაღზე გამლღვალი ბუმბოქსების გროვა დატოვა, — ივარაუდა კლაიმ.

— კი, ზოგიერთი გამლღვალი იყო, — ალიარა დენიზმა, — მაგრამ, ძირითადად, დეტალები მოიტანეს, — და პირქუშად გაილიმა, — ბუმბოქსებზე სულ არ მწყდება გული. მათი მუსიკალური გემოვნება გულისამრევია.

— თქვენ მას ჰარვარდის პრეზიდენტს ეძახით, ჩვენ კი „დაფლეთილ კაცს", — ტომმა თეფში გვერდით გადადო და ზურგჩანთა გახსნა. ცოტა ხანს იქექებოდა და მერე ნახატი ამოიღო, რომელიც კლაიმ იმ დღეს დახატა, როდესაც დირექტორი აიძულეს, თავი მოეკლა. დენიზს თვალები გაუფართოვდა და ნახატი რეი უისენგს გადასცა, ამ უკანასკნელმა კი გაოცებისგან დაუსტვინა.

ბოლოს ნახატი დენმა აიღო და პატივისცემით შეხედა ტომს.

— თქვენ დახატეთ?

ტომმა კლაიზე ანიშნა.

— ძალიან ნიჭიერი ხართ.

— ოდესღაც ვსწავლობდი, — უპასუხა კლაიმ, მერე ტომს მიუბრუნდა, რომლის ზურგჩანთაშიც რუკები ეწყო, — გეიტენიდან ნეშუა შორს არის?

— დაახლოებით ოცდაათი მილი იქნება.

კლაიმ თავი დაუქნია და მერე დენ ჰარტუიკს შეხედა.

— გელაპარაკებოდათ? ის ჯეელი, წითელკენგურუიანი.

დენმა დენიზს შეხედა და ის შებრუნდა. რეი გაზქურას მიუბრუნდა, ალბათ, იმიტომ, რომ გამოერთო და შეეფუთა, და კლაი ყველაფერს მიხვდა.

— *ვისი მეშვეობით* ლაპარაკობდა?

— ჩემი, — თქვა დენმა, — ეს საშინელებაა. გამოგიცდიათ?

— ჰო. შეიძლება ამის თავიდან აცილება, მაგრამ მაშინ ვერ გაიგებ, რა სურს. თავისი სიძლიერის დასამტკიცებლად მოიმოქმედა ეს? როგორ ფიქრობთ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ალბათ, — მხრები აიჩეჩა დენმა, — მაგრამ მთავარი მხოლოდ ეს არ არის. მეეჭვება, საუბარი შეეძლოთ. *ბგერების გამოცემა* შეუძლიათ და დარწმუნებული ვარ, ფიქრიც, თუმცა, ისე არა, როგორც ადრე, მაგრამ სიტყვების გამოთქმა რომ შეეძლოთ, ძალიან საეჭვოა.

— ჯერჯერობით, — ჩაურთო ჯორდანმა.

— ჯერჯერობით, — დაეთანხმა დენი. თავის საათს დახედა და მას კლაიმაც მიჰბაძა. სამს ოცი წუთი აკლდა.

— ჩრდილოეთისკენ წასვლა გვიბრძანა, — განაგრძო რეიმ, — გვითხრა: КАШВАКИ=АРА-ТЕЛ. გაგვაფრთხილა, რომ აღარავის დავწვავთ და ავაფეთქებთ, იმიტომ, რომ ახლა დაცვა ჰყავთ.

— ჰო, როჩესტერში ვნახეთ, — თქვა ტომმა.

— და ნახეთ უამრავი წარწერა КАШВАКИ=АРА-ТЕЛ.

სამივემ თავი დაუქნია.

— მხოლოდ და მხოლოდ როგორც სოციოლოგს, ამ წარწერამ ინტერესი აღმიძრა, — შენიშნა დენმა, — იმიტომ კი არა, რომ ისინი გაჩნდა: დარწმუნებული ვარ, წერა იმპულსის მიღებისთანავე დაიწყეს იმ გადარჩენილებმა, რომლებმაც ჩათვალეს, რომ არსებობს ისეთი ადგილი, სადაც მობილური ტელეფონი არ იჭერს და შესაბამისად, იდეალური თავშესაფარი იქნება. მე სხვა რამემ დამაინტერესა: როგორ გავრცელდა ასე სწრაფად იდეა და თავად წარწერები უმცირეს ფრაგმენტებად დანაწილებულ საზოგადოებაში, სადაც აღარ არსებობს ინფორმაციის გადაცემის ჩვეული საშუალებები, გარდა ადამიანური კომუნიკაციისა. პასუხი, რასაკვირველია, ცხადი გახლდათ: შეიქმნა კომუნიკაციის ახალი ფორმა და ის მხოლოდ ერთი ჯგუფისთვის იყო ხელმისაწვდომი.

— ტელეპათია, — წაიჩურჩულა ჯორდანმა, — *ისინი*. მობილოიდები. იმათ უნდათ, რომ კაშვაკში წავიდეთ, — კლაის შეშინებულმა შეხედა, — ეს მართლაც სასაკლაოს ფიცარნაგია. კლაი, იქ *არ შეიძლება* თქვენი წასვლა. ეს ДАФЛЕЕНИЛИ КАЦИС იდეაა!

ვიდრე კლაი ხმას ამოიღებდა, დენ ჰარტუიკმა განაგრძო. სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი პოსტულატის თანახმად, ლექციის შეწყვეტა მხოლოდ ლექტორის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

— ვშიშობ, ჩვენი დისკუსია უნდა შევწყვიტოთ. რაღაც უნდა გაჩვენოთ, უფრო სწორად, ჰარვარდის პრეზიდენტმა *მოითხოვა*, თქვენთვის გვეჩვენებინა.

— სიზმრებში თუ პირადად? — შეეკითხა ტომი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— სიზმრებში, — უსიცოცხლო ხმით თქვა დენიზმა, — ჩვენ ეს ვაუბატონი პირადად მხოლოდ ერთხელ ვნახეთ, ნეშუაში მისი ჯოგის აფეთქების შემდეგ, და ისიც, შორიდან.

— გვამოწმებდა, — თქვა რეიმ, — ყოველ შემთხვევაში, მე ასე ჩავთვალე.

დენი მოჩვენებითი მოთმინებით უცდიდა შეკითხვებისა და მათზე პასუხების ციკლის დასრულებას, მერე მაშინვე ისარგებლა პაუზით:

— სიამოვნებით დავეთანხმეთ, იმიტომ, რომ ამისთვის გზიდან გადახვევა საჭირო არ არის...

— მაშ, თქვენც ჩრდილოეთით მიდიხართ? — შეაწყვეტინა კლაიმ. დენის სახეზე გაღიზიანება დაეტყო და მან ისევ საათს დახედა.

— თუ გზის მაჩვენებელს შეხედავთ, კარგად დაინახავთ, რომ არჩევანის საშუალებაა. ჩვენ დასავლეთისკენ მივდივართ და არა ჩრდილოეთით.

— მართალია, — წაიბურტყუნა რეიმ, — შესაძლოა, სულელი ვარ, მაგრამ არა — შეშლილი.

— ის, რასაც გაჩვენებთ, უპირველესად ჩვენს მიზნებს შეესაბამება და არა მათსას, — განაგრძო დენმა, — და სხვათა შორის, რაკი საუბარია ჰარვარდის პრეზიდენტზე, ან, თუ გნებავთ, „დაფლეთილ კაცზე“, ვფიქრობ, რომ გვეჩვენა, შეცდომა დაუშვა. და შესაძლოა, ძალიან სერიოზული. სინამდვილეში, ის მხოლოდ და მხოლოდ ფსევდოპოდიაა[1], რომელიც კოლექტიურმა გონმა, ერთგვარმა დიდმა ჯოგმა წინ წამოსწია, რათა ურთიერთობა ჰქონდეს ნორმალურ ადამიანებსა და ჩვენისთანა სპეციფიკურად შეშლილ ნორმალურებთან. ვვარაუდობ, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით თითოეულმა დიდმა ჯოგმა ამის მსგავსი ფსევდოპოდია წარმოქმნა, ან შესაძლოა, რამდენიმეც კი. ამიტომ, როდესაც „დაფლეთილ კაცს“ ესაუბრებით, შეცდომას უშვებთ, თუ გგონიათ, რომ *მოცემულ* ადამიანთან გაქვთ ურთიერთობა — თქვენ ჯოგს ესაუბრებით.

— რატომ არ გინდათ ის გვაჩვენოთ, რაც, მისი აზრით, უნდა ვნახოთ? — შეეკითხა კლაი. სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობდა, მა-

[1] *ფსევდოპოდია ერთუჯრედიანი ორგანიზმებისა და ზოგიერთი უჯრედის დროებითი ციტოპლაზმური გამონაზარდია, რაც მათ გადაადგილებაში ან საკვების მოპოვებაში ეხმარება.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრამ თავში ათასი ფიქრი აუფუთფუთდა. ცხადი მხოლოდ ერთი რამ იყო: ჯონი როგორმე კაშვაკში შეხვედრამდე უნდა იპოვოს, თორემ იქ ჩასვლის შემდეგ ყველაფერი შეიძლება მოხდეს, სხვაგვარად შვილის გადარჩენის შანსი არ ექნება. კეთილგონიერება კარნახობდა, რომ ჯონი უკვე კაშვაკშია, მაგრამ მეორე, არცთუ რაციონალური ხმა ამტკიცებდა, რაღაც მიზეზით ჯონი და ისინი, ვინც მასთან ერთად მიდიოდნენ, შესაძლოა, გზაში შეყოვნდნენ. ვთქვათ, ეჭვი შეიტანეს საკუთარი დასკვნების მართებულობაში. ამის გაუთვალისწინებლობა არ შეიძლებოდა. არც სეგრეგაციის ვერსიის. იქნებ მობილოადამიანები ნორმალურებისთვის TR-90-ში რეზერვაციას ქმნიან. ბოლოს ისევ ჯორდანის ნათქვამ დირექტორ არდაის აფორიზმს დაუბრუნდა: „გონებას მხოლოდ ფიქრი შეუძლია, სულს სწყურია...“

— მაშინ აქეთ უნდა წავიდეთ. შორს არ არის, — დენმა ფარანი აილო და მე-11 გზატკეცილის იმ ნაწილს მიუახლოვდა, რომელიც ჩრდილოეთით მიდიოდა, და გზას მიანათა.

— მაპატიეთ, მაგრამ მე არ წამოვალ, — თქვა დენიზმა, — ყველაფერი ვნახე. ერთხელ... და საკმარისია.

— ვფიქრობ, ნანახმა გარკვეულწილად უნდა გაგახაროთ, — განაგრძო დენმა, — რასაკვირველია, იმავე ქმედებამ ჩემს პატარა ჯგუფს, ასევე თქვენსასაც, უნდა განუმტკიცოს აზრი, რომ ძალაუფლება ახლა მობილოიდების ხელშია და მათ უნდა დავემორჩილოთ, — შეჩერდა, — ჩვენ მოვედით. სონოგრამის გამოგზავნისას ჰარვარდის პრეზიდენტმა იმაზე იზრუნა, რომ ძაღლი დაგვენახა და საჭირო სახლი არ გამოგვრჩენოდა, — მისი ფარნის სინათლემ საფოსტო ყუთზე მიხატული კოლის გამოსახულება გაანათა, — ძალიან ვწუხვარ, რომ ამის ნახვა ჯორდანს მოუწევს, მაგრამ აშკარად უკეთესია, იცოდე, ვისთან გაქვს საქმე, — დენმა ფარანი მაღლა ასწია. პირველ სხივს რეის ფარნის სხივი შეუერთდა. მათ ერთსართულიანი ხის სახლის ფრონტონი გაანათეს. სახლს წინ პატარა მოლი ჰქონდა.

„შფოთისთავი“ შესასვლელი კარისა და სასტუმრო ოთახის ფანჯარას შორის გაეკრათ. სამოსიდან მხოლოდ გასისხლიანებული ტრუსი შერჩენოდა. უზარმაზარი, რელსების ძელებზე დასამაგრებლად გამოყენებული ლურსმნებისმაგვარი რამ მოუჩანდა მაჯებიდან, ტერფებიდან, იდაყვებიდან და მუხლებიდან. *„იქნებ არის კიდევაც რელსების დასამაგრებელი ლურსმნები“*, — გაიფიქრა კლაიმ. „შფოთისთავის“ ქვემოთ ფეხებგაჩაჩხული იჯდა ჰაროლდი. ისე, როგორც ელისს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მათი პირველი შეხვედრისას, ჰაროლდსაც მკერდი სისხლით ჰქონდა მოსვრილი, ოღონდ სისხლი ცხვირიდან არ მოსდიოდა. მინის მჭრელი ნატეხი, რომლითაც ჰაროლდმა „შფოთისთავის" კედელზე გაკვრის შემდეგ ყელი გამოიჭრა, ჯერ ისევ ცალ ხელში ეჭირა.

„შფოთისთავის" მკერდზე, კისერზე ჩამოკიდებულ თოკზე დამაგრებული მუყაოს ნაჭერი მოჩანდა მთავრული შავი ასოებით დაწერილი სამი სიტყვით: **JUSTITIA EST COMMODATUM.**

9

— იმ შემთხვევისთვის, თუ ლათინური არ იცით... — წამოიწყო დენ ჰარტუიკმა.

— ამ წინადადების გასაგებად ჩემი სასკოლო ცოდნა სრულიად საკმარისია, — უპასუხა ტომმა, — „სამართლიანობა აღდგენილია". ეს ელისის მკვლელობის გამოა, იმის გამო, რომ მათ გაბედეს ერთ-ერთ მიუკარებელზე ხელის აღმართვა.

— სრული სიმართლეა, — დენმა ფარანი გამორთო. მას რეიმ მიჰბაძა, — ეს მკვლელობა სხვებისთვისაც გაფრთხილებაა. და *იმათ* არ მოუკლავთ, თუმცა, სულ ადვილად შეეძლოთ.

— ვიცით, — უპასუხა კლაიმ, — ეს გეიტენში ვნახეთ. მას შემდეგ, რაც მათი ჯოგი დავწვით.

— ნეშუაშიც იგივე მოიმოქმედეს, — პირქუშად დაამატა რეიმ, — ის ყვირილი, სანამ ცოცხალი ვარ, მემახსოვრება. დაწყევლილი კოშმარი. ვერც ამას დავივიწყებ, — ხელი სახლის ბნელი სილუეტისკენ გაიქნია, — პატარას აიძულეს, დიდი კედელზე გაეკრა, დიდს კი წინააღმდეგობის გაწევის საშუალება არ მისცეს. მერე პატარას უბრძანეს, ყელი გამოეჭრა.

— ზუსტად ასე მოექცნენ დირექტორ არდაის, — ჯორდანმა კლაის ხელზე ხელი მოჰკიდა.

— ეს მათი გონის სიძლიერეა, — თქვა რეიმ, — და დენის აზრით, ეს გონი ყველას აიძულებს ჩრდილოეთით წასვლას, შესაძლოა, კაშვაკში, ჩვენც ჩრდილოეთით წასვლას გვაიძულებს, თუმცა, თავს ვეუბნებით, რომ მხოლოდ ამის ჩვენება გვინდოდა თქვენთვის და დარწმუნება, შემოგვიერთდეთ. გესმით, რისი თქმა მსურს?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— „დაფლეთილმა კაცმა“ ჩემს ვაჟზე რამე მოგიყვათ? — შეეკითხა კლაი.

— არა, — უპასუხა დენმა, — რომ მოეყოლა, გავიგებდით, რომ სხვა ნორმალურებთან ერთად ისიც იქ მიდის, რომ კაშვაკში სასიხარულო შეხვედრა გელით. იცით, რა, დაივიწყეთ ეგ სიზმრები, რომლებშიც პლატფორმაზე დგახართ, ხოლო ჰარვარდის პრეზიდენტი აღტაცებულ ბრბოს ეუბნება, რომ შეშლილი ხართ. ეს არ არის გამოსავალი თქვენთვის, შეუძლებელია, იყოს. დარწმუნებული ვარ, უკვე განიხილეთ ბედნიერი დასასრულის მქონე ყველა შესაძლო სცენარი, რომელთა შორის მთავარია ის, რომ კაშვაკი და მთელი დანარჩენი ტერიტორია, სადაც არ არის მობილური კავშირგაბმულობა, ნორმალური ადამიანებისთვის ნამდვილი ნაკრძალია, სადაც იმ ადამიანებს, რომლებიც იმპულსით არ შექანებულან, ხელს არავინ ახლებს. უფრო მართებული თქვენი ყმანვილი მეგობრის სიტყვებია სასაკლაოს ფიცარნაგის შესახებ. ის უფრო შეესატყვისება სიმართლეს, მაგრამ თუნდაც დავუშვათ, რომ ნორმალურ ადამიანებს იქ მართლაც ხელს არავინ ახლებს, როგორ შეიძლება მობილოიდებმა ის გვაპატიონ, რაც ჩვენ ჩავიდინეთ? ჩვენ, ჯოგების მკვლელებმა?

კლაიმ არ იცოდა ამ კითხვებზე პასუხი.

სიბნელეში დენმა საათს დახედა.

— ოთხი საათი დაინყო. მოდი, დავბრუნდეთ. დენიზმა, ალბათ, უკვე ყველაფერი ჩაალაგა. დრო მოვიდა, გადანყვეტილება მიიღოთ: ან ერთმანეთს უნდა დავშორდეთ, ან ერთად ნავიდეთ.

„მაგრამ თქვენთან ერთად წამოსვლა ჩემს შვილთან განშორებას ნიშნავს“, — გაიფიქრა კლაიმ. ასეთი რამ კი მხოლო მაშინ შეეძლო, თუ დანამდვილებით ეცოდინებოდა: ბიჭუნა ჯონი მკვდარია.

ან უკვე აღარ არის ნორმალური.

10

— დასავლეთში მოხვედრას როგორ აპირებთ? — იკითხა კლაიმ, ვიდრე გზაჯვარედინისკენ მიდიოდნენ, — ღამეები ჯერ კიდევ ჩვენია, მაგრამ დღეები მათ ეკუთვნით და კარგად იცით, ყველაფრის ჩამდენები არიან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ფხიზლობისას შეგვიძლია, ჩვენს ტვინში არ შემოვუშვათ, — უპასუხა დენმა, — ამისთვის მცირე ძალისხმევა იქნება საჭირო, მაგრამ ეს შესაძლებელია. რიგრიგობით დავიძინებთ, ყოველ შემთხვევაში, ერთხანს. და კიდევ ერთი მთავარი მომენტი: თავი ჯოგებისგან რაც შეიძლება შორს უნდა დავიჭიროთ.

— აქედან ის გამომდინარეობს, რომ რაც შეიძლება მალე უნდა მოვხვდეთ დასავლეთ ნიუ-ჰემფშირში, იქიდან კი ვერმონტში, — განაგრძო რეიმ, — რაც შეიძლება შორს მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიებიდან, — ფარნის სხივი დენიზისკენ მიმართა, რომელიც ზურგჩანთებზე მიყუდებული იჯდა, — ყველაფერი მზადაა, ძვირფასო?

— ჰო, მზადაა, — თავი დაუქნია ქალმა, — სამწუხაროა, რომ არაფრის ტარების ნებას არ მაძლევთ.

— შენ უკვე ატარებ საკუთარ შვილს, — ალერსიანად უთხრა რეიმ, — ეს საკმარისია... და შეგვიძლია საძილე ტომრები აქ დავტოვოთ.

— ზოგ ადგილებში ფეხით სიარულს მანქანით სვლა სჯობს, — შენიშნა დენმა, — რეი დარწმუნებულია, რომ სოფლების გზები არ იქნება ძალიან გადაჭედილი და ათობით მილის მანქანით გავლას შევძლებთ, ვიდრე საცობს წავაწყდებით. ჩვენ კარგი რუკები გვაქვს, — ცალ ფეხზე ჩაიჩოქა და თავისი ზურგჩანთა აილო, მერე კლაის შეხედა და მწარედ გაიღიმა, — ვიცი, მცირეა ჩვენი შანსი. იდიოტი არა ვარ, ეს ისე, ეჭვი რომ არ შეგეპაროთ, მაგრამ ჩვენ მათი ორი ჯოგი გავანადგურეთ, ასობით მობილოიდი მოვკალით და არ მინდა, მათ ერთ-ერთ პლატფორმაზე ალმოვჩნდე.

— მარტო ეს არ გველოდება, — ჩაერია ტომი. კლაი თავს დაეკითხა, მიხვდა თუ არა ტომი, რომ უკვე ჰარტუიკის ბანაკში გადავიდა. როგორც ჩანს, ასეც იყო. ტომი ჭკვიანი იყო, — ჩვენ მათ ცოცხლები ვჭირდებით.

— მართალია, — თავი დაუქნია დენმა, — შეგვიძლია, დავუძვრეთ. კლაი, მათ ჯერ კიდევ არა აქვთ საკმარისი ძალა. ჰო, ქსელი გაშალეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მას ბევრი ნახვრეტი აქვს.

— ჯანდაბა, მათ ერთხელაც არ გამოუცვლიათ ტანსაცმელი, — ჩაიცინა დენიზმა. კლაი ამ ქალით აღფრთოვანებული იყო. შვიდი თვის ორსული მაინც იქნებოდა და კაჟივით გაუტეხელი ჩანდა. გული დასწყდა, რომ ელისს მისი გაცნობის საშუალება არ მიეცა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— *შევძლებთ* მათგან თავის დაძვრენას, — არ ცხრებოდა დენი, — ვერმონტიდან კანადაში გადავალთ, ან ნიუ-იორკში. ხუთი სამზე უკეთესია, მაგრამ ექვსი ხუთს სჯობია. სამი დაიძინებს და სამი დღისით იფხიზლებს, მათი იდიოტური ტელეპათიის თავიდან ასარიდებლად. ჩვენი საკუთარი, პატარა ჯოგი გვექნება. ამაზე რას იტყვი?

კლაიმ ნელა გააქნია თავი.

— ჩემი შვილის მოსაძებნად წავალ.

— კლაი, კიდევ ერთხელ დაფიქრდი, — სთხოვა ტომმა, — *გთხოვ*.

— თავი დაანებეთ, — თქვა ჯორდანმა, — მან უკვე ყველაფერი გადაწყვიტა, — მივიდა და კლაის მოეხვია, — იმედია, იპოვით. და მაინც, თუ შვილს შეხვდით, არა მგონია, მერე ჩვენი პოვნა შეძლოთ.

— რასაკვირველია, შევძლებ, — კლაიმ ჯორდანს ლოყაზე აკოცა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, — ტელეპათს მოვიტაცებ და კომპასად გამოვიყენებთ. შეიძლება, ეს თავად „დაფლეთილი კაცი" იყოს, — მერე ტომს მიუბრუნდა და ხელი გაუწოდა.

ტომმა გაწვდილ ხელს ყურადღება არ მიაქცია, კლაის მოეხვია, ჯერ ერთ ლოყაზე აკოცა, მერე მეორეზე.

— შენ სიკვდილს გადამარჩინე, — ჩასჩურჩულა ყურში. კლაის მისი ცხელი სუნთქვა ულიტინებდა. ჯაგარი ლოყაზე ჩხვლეტდა, — ნება მომეცი, შენი გადავარჩინო. წამოდი ჩვენთან ერთად.

— არ შემიძლია, ტომ, შვილი უნდა ვიპოვო.

ტომმა უკან დაიხია და შეხედა.

— ვიცი, ვიცი, რომ ასე უნდა მოიქცე.

ტომმა თვალები მოიწმინდა.

— ჯანდაბა, გულს მირევს ეს *წყეული* დამშვიდობების რიტუალი. მე ხომ ჩემს კატასაც ვერ დავემშვიდობე წესიერად.

11

კლაი გზაჯვარედინზე იდგა და უყურებდა, სულ უფრო და უფრო შორს როგორ იკარგებოდა მათი ფარნების სინათლე. ჯორდანის ფარანს არ აცილებდა, თვალს, რომელიც უკანასკნელი დაფარა სიბნელემ. სულ ერთ წამს პაწაწინა ნაპერწკლად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამოჩნდა დასავლეთით მდებარე პირველივე გორაკის თავზე, თითქოს ჯორდახი გაჩერდა და უკან მოიხედა, და თითქოს ხელი დაუქნია, მერე კი გაქრა და გარშემო ისევ წყვდიადი ჩამონვა. კლაიმ ამოიოხრა. ჰაერი ხორხში ვიბრირებდა, ცრემლის წასკდომას წინასწარმეტყველებდა. ზურგჩანთა გაიკეთა და მე-11 გზატკეცილს ჩრდილოეთისკენ დაადგა. დაახლოებით ხუთის ოც წუთზე ნორტ-ბერუიკის ტერიტორიული საზღვარი გადაკვეთა და კენტ-პონდი უკან მოიტოვა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამბიციურობინგო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

1

ყველა საფუძველი არსებობდა იმისთვის, რომ ნორმალურ ცხოვრებას დაჰბრუნებოდა და დღისით ემოგზაურა: კლაიმ ზუსტად იცოდა, მობილოადამიანები ხელს არ ახლებდნენ. ჯერ ერთი, ის მიუკარებელი გახლდათ და მეორე, მათ სურდათ, კაშვაკში ჩასულიყო. მაგრამ პრობლემამ იჩინა თავი: ღამით ფხიზლობას დაეჩვია. *„მჭირდება მხოლოდ და მხოლოდ კუბო და მოსასხამი, რომელშიც გავეხვევი მასში ჩაწოლის წინ“*, — გაიფიქრა კლაიმ.

ტომსა და ჯორდანთან განშორების შემდეგ პირველ წითელ და ცივ განთიადს სპრინგვეილის განაპირას შეხვდა. სპრინგვეილის ტყის მუზეუმის შენობის გვერდით კლაიმ პატარა სახლი შენიშნა, სავარაუდოდ, მუზეუმის მცველის კოტეჯი, და მყუდრო მოეჩვენა. უკანა კარის ბოქლომი გატეხა და შევიდა. გაუხარდა, როდესაც სახლში შეშის ღუმელი და წყალსაქაჩი ალმოაჩინა. იმედი არც საკუჭნაომ გაუცრუა — თავზე საყრელი იყო ხანგრძლივად შესანახი პროდუქტი, რომლისთვისაც ხელი არავის უხლია. ალმოჩენების დასაგვირგვინებლად შვრიის ფაფა მოიხარშა, რომელსაც ფხვნილით მომზადებული რძე დააყოლა, შაქრითა და ქიშმიშით შეზავებული.

საკუჭნაოში ასევე იპოვა ფოლგის პაკეტები ლორიანი ერბოკვერცხის ნახევარფაბრიკატით. თაროებზე წიგნებივით ჩაემწკრივებინათ. ერთი ულუფა მოამზადა და მაშინვე შეჭამა, დანარჩენი პაკეტები ზურგჩანთაში შეინახა. მას შემდეგ, რაც იმაზე უკეთესი საჭმელი მიირთვა, ვიდრე მოელოდა, კლაი საძინებელში გავიდა, დაწვა და მაშინვე დაეძინა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

2

გზის ორივე მხარეს გრძელი პავილიონები იდგა.

ეს აღარ იყო მე-11 გზატკეცილი თავისი ფერმებით, პატარა ქალაქებითა და დაბებით, გაშლილი მინდვრებით, პირველადი მოხმარების საქონლის მაღაზიებითა და ავტოგასამართი სადგურებით ერთმანეთისგან ყოველი ათი-თხუთმეტი მილის დაშორებით, არამედ უდაბურ ადგილებში გაყვანილი გზატკეცილი. ორივე მხარეს ზედ გზისპირა თხრილებს ესაზღვრებოდა ხშირი ტყეები. გამყოფი თეთრი ხაზის იქით და აქეთ ხალხის რიგები იდგა.

მარცხნივ და მარჯვნივ დინამიკებით გაძლიერებული ხმა ისმოდა: *„მარცხნივ და მარჯვნივ, ორრიგად დადექით!“*

ეს ხმა ძალიან ჰგავდა ოჰაიოს შტატის ქალაქ აკრონში გამართულ ბაზრობაზე „ბინგოს“ პავილიონში წამყვანის ხმას, მაგრამ კლაი რაც უფრო უახლოვდებოდა იქაურობას, მიხვდა, დინამიკით გაძლიერებული ხმა მის გონებაში ხმიანობდა. და ეს „დაფლეთილი კაცის“ ხმა იყო. მაგრამ „დაფლეთილი კაცი“ ხომ, როგორც მას დენი უწოდებდა, მხოლოდ და მხოლოდ ფსევდოპოდიაა. ასე რომ, კლაის ჯოგის ხმა ესმოდა.

„მარცხნივ და მარჯვნივ, ორრიგად. ყველაფერი სწორია. სწორედ ასე!“

„სად ვარ? რატომ არავინ ზედაც არ მიყურებს? რატომ არ მეუბნებიან: ეი, მეგობარო, წინ რატომ მიძვრები, შენს რიგს დაელოდე?“

წინ ორი რიგი ერთმანეთს სცილდებოდა, ერთი მხარე მარცხენა პავილიონისკენ მიდიოდა, მეორე — მარჯვენისკენ. ასეთ პავილიონებში ის ფირმები, რომლებსაც ღია ცის ქვეშ რომელიმე ღონისძიების მომსახურება ევალებათ, ჩვეულებრივ, შვედურ მაგიდებს შლიან ხოლმე. ახლა კლაი ხედავდა, რომ თითოეული პავილიონის წინ რიგი კიდევ ათ-თორმეტ პაწაწინა რიგად იყოფოდა. ადამიანები კონცერტზე მისულ ფანებს ჰგავდნენ, რომლებიც ელოდებიან, მებილეთე როდის მოხევს ბილეთის ყუას და დარბაზში შეუშვებს.

გზის ცენტრში, იმ ადგილზე, სადაც ორი რიგი იყოფოდა, „დაფლეთილი კაცი“ იდგა, ისევ ის წითელი გაცვეთილი „კენგურუ“ ეცვა.

„მარცხნივ და მარჯვნივ, ქალბატონებო და ბატონებო! — ბაგეები არ უმოძრავებდა. სიტყვები ტელეპათიურად გადაიცემოდა, ჯოგის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ენერგიით გაძლიერებული, — *იმოძრავეთ, იმოძრავეთ! ყველას ექნება იმის შესაძლებლობა, თავის ახლობელს დაურეკოს, ვიდრე შევა ტერიტორიაზე, სადაც არ არის მობილური კავშირი!"*

ამ სიტყვების გაგონებაზე კლაი შეხტა. შეაძრწუნა იმის შეგნებამ, რომ ეს ყველაფერი ერთხელ უკვე იყო. ასეა, როდესაც კარგ ხუმრობას ათი ან ოცი წლის შემდეგ ხელახლა გაიგონებ.

„ეს რა არის? — შეეკითხა „დაფლეთილ კაცს", — *აქ რას აკეთებთ? რა ხდება?"*

„დაფლეთილ კაცს" მისთვის ზედაც არ შეუხედავს და კლაიმ იცოდა, რატომაც. ის იმ ადგილზე მოხვდა, სადაც 160-ე გზატკეცილი კაშვაკში შედის და ეს სიზმარი იყო. მომხდარს რაც შეეხება...

„ეს მობილობინგოა, — გაიფიქრა კლაიმ, — *სატელეფონო ბინგო, ამ თამაშს აქ, პავილიონებში თამაშობენ".*

„ნუ შეყოვნდებით, ქალბატონებო და ბატონებო! — აგრძელებდა ტრანსლაციას „დაფლეთილი კაცი", — *მხოლოდ ორი საათი დარჩა მზის ჩასვლამდე, ჩვენ კი გვინდა, რაც შეიძლება ბევრი თქვენგანი გავატაროთ სამუშაო დღის დასრულებამდე!"*

გავატაროთ.

ნუთუ ეს სიზმარია?

კლაიმ ჩაუარა რიგს, რომელიც უხვევდა და მარცხენა პავილიონამდე მიდიოდა. წინასწარ იცოდა, რასაც ნახავდა. ყოველი პატარა რიგის წინ მობილოადამიანი იდგა, ლოურენს უელკის, დინ მარტინის, დები ბუნის ტალანტის დამფასებლები. რიგის სათავეში მოქცეულს მებილეთე (ჭუჭყიან სამოსში, იმაზე მეტად დასახიჩრებული თვითგადარჩენისთვის ამ თერთმეტდღიან ბრძოლაში, ვიდრე „დაფლეთილი კაცი" იყო) მობილურ ტელეფონს უწვდიდა.

კლაის თვალწინ ერთ-ერთი რიგის თავში მდგარმა მამაკაცმა ტელეფონი აილო, სამჯერ დააჭირა ღილაკს და სწრაფად მიიდო ყურთან. „ალო, დე? — თქვა მან, — „დედა, შენ..." — და უცებ გაჩუმდა. თვალები გამოუცარიელდა, სახე აულელვებელ, უგრძნობელ ნიღბად ექცა. მობილური ყურს მოსცილდა. მებილეთემ, რომელიც მამაკაცს გონიერების დაკარგვაში დაეხმარა, ტელეფონი გამოართვა, მამაკაცს პავილიონისკენ უბიძგა და ახლა რიგში შემდეგს შესთავაზა, წინ წასულიყო.

„მარცხნივ და მარჯვნივ, — აგრძელებდა „დაფლეთილი კაცი", — *იმოძრავეთ, იმოძრავეთ!"*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მამაკაცი, რომელსაც დედასთან დარეკვა სურდა, პავილიონში შევიდა. კლაი ხედავდა იქ თავმოყრილ ასობით ადამიანს. თუ ერთმანეთს გზას ულობავდნენ, მაშინ მსუბუქი ტკაცუნის ხმა ისმოდა. ის არა, რაც ადრე, იმიტომ, რომ...

იმიტომ, რომ სიგნალი შეიცვალა.

„მარცხნივ და მარჯვნივ, ქალბატონებო და ბატონებო! ნუ გაჩერდებით, ჯერ კიდევ ბევრმა უნდა მოასწროს დაბნელებამდე გავლა!“

კლაიმ ჯონი დაინახა. ჯინსებით, პატარების ლიგის[1] კეპით, „რედ-სოკსის“ საყვარელი მაისურით ტიმ უეიკფილდის[2] სახელითა და მისი ნომრით ზურგზე. კლაისგან სამი რიგით იყო დაშორებული, ის-ის იყო, მებილეთესთან მივიდოდა.

კლაი შვილისკენ გაიქცა, მაგრამ გადაელობნენ. ბამატარე! — ილრიალა, მაგრამ კაცი, რომელიც მის წინ იდგა, ნერვიულად ინაცვლებდა ფეხიდან ფეხზე, თითქოს მოშარდვა უნდოდა და თავს ძლივს იკავებდა, მაგრამ მისი გაგება არ შეეძლო. ეს ყველაფერი სიზმარში ხდებოდა და კლაი ნორმალური იყო, ანუ ტელეპათიის უნარს არ ფლობდა.

კაცსა და მის შემდეგ ქალს შორის გაძვრა. მერე მეორე რიგში გაიარა, მხოლოდ იმაზე იყო კონცენტრირებული, ჯონიმდე მიელწია. წარმოდგენა არ ჰქონდა, ეს ადამიანები მოჩვენებები იყვნენ თუ მატერიალური ობიექტები. ჯონიმდე სწორედ იმ მომენტში მივიდა, როდესაც ქალმა (შეძრწუნებულმა ამ ქალში მისტერ სკოტონის რძალი ამოიცნო, ისევ ფეხმძიმე, მაგრამ ახლა ცალი თვალის გარეშე) ბიჭს „მოტოროლას“ ფირმის ტელეფონი გაუწოდა.

„უბრალოდ, აკრიფე 911, — პირის გაულებლად თქვა ქალმა, — ყველა ზარი 911-ის გავლით მიდის“.

— არა, ჯონი, არა! — დაიყვირა კლაიმ, სცადა, მობილურისთვის ხელი ეტაცა, როდესაც ბიჭუნა ჯონიმ ნომრის აკრეფა დაიწყო, სწორედ იმ ნომრის, რომლის აკრეფასაც ასწავლიდნენ, თუ რაიმე მოხდებოდა, — *არ დარეკო!*

ჯონიმ ცოტათი მარცხნივ გაიწია, თითქოს არ სურდა, ფეხმძიმე მებილეთე ქალის ჩამქრალ თვალს დაენახა, როგორ აჭერს ლი-

---

[1] *პატარების ლიგა — აშშ-ში ბავშვთა ბეისბოლის გუნდების ლიგა.*

[2] *ტიმ უეიკფილდი — „რედ-სოკსის“ გამარჯვებული გუნდის ერთ-ერთი ბოთამაშე.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლაკებს თითს, და კლაიმ ხელი ააცილა. შეიძლება, ვერც მოეხერხებინა ჯონის შეჩერება. ეს ყველაფერი ხომ ესიზმრებოდა.

ჯონიმ დაასრულა ნომრის აკრეფა — სამ ღილაკზე თითის დაჭერას დიდი დრო არ სჭირდება — მერე დააჭირა ღილაკს SEND და მობილური ყურთან მიიდო. „ალო, *მამა? მამა, გესმის ჩემი? გესმის? თუ გესმის, გეხვეწები, ჩამოდი და...*“ — ბიჭი ისე იდგა, რომ კლაი მხოლოდ მის ცალ თვალს ხედავდა, მაგრამ ესეც სრულიად საკმარისი იყო. თვალში სინათლე ჩაუქრა, მხრები ჩამოყარა, ყურიდან ტელეფონი მოიცილა. მისტერ სკოტონის რძალმა ტურტლიანი ხელით მობილური გამოსტაცა, მერე ჯონის კისერში ხელი წაავლო და კაშვაკში შეაგდო, იმათთან, ვინც იქ უსაფრთხო ადგილის საძიებლად ჩავიდნენ, მერე მობილური რიგში შემდეგს გადასცა დასარეკად.

„მარცხნივ და მარჯვნივ, რიგებში ჩადექით!“ — გრიალებდა კლაის გონებაში „დაფლეთილი კაცის“ ხმა და როდესაც მუზეუმის მცველის კოტეჯში გამოიღვიძა, შვილის სახელს ყვიროდა, ხოლო ფანჯრის მილმა საღამოს ბინდი იდგა.

3

შუაღამისას კლაიმ პატარა ქალაქამდე, ნორტ-შეპლიმდე მიაღწია. უსაზიზღრესი ცივი წვიმა წამოვიდა, რომელიც ალაგ-ალაგ თოვლში გადადიოდა — შერონი ასეთ ამინდს ფაფის წვიმას ეძახდა. მოახლოებული მანქანის ხმაზე გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა (ეს ისევ კარგად ნაცნობი მე-11 გზატკეცილი იყო და არა ის, სიზმარში ნანახი) და გავიდა პატარა მოედანზე, მაღაზიის წინ, სახელწოდებით „შვიდიდან თერთმეტამდე“[1]. როდესაც ფარები გამოჩნდა, ერთმანეთის გვერდიგვერდ მქროლავი ორი სპრინტერი დაინახა. ნამდვილი სიგიჟე. კლაი ავტოგასამართი სადგურის ტუმბოს უკან იდგა, არც იმალებოდა, მაგრამ თვალშიც არ ეჩხირებოდა,

[1] *„შვიდიდან თერთმეტამდე“ — სასურსათო მაღაზიების ქსელის სახელწოდება, სადაც ერთნაირი ასორტიმენტის საკვები, ასევე პირველადი მოხმარების საგნები და ჟურნალ-გაზეთები იყიდება.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უყურებდა ჩაქროლილი ავტომანქანების წყალობით გაშხეფებულ წვეთებს, თითქოს წარსული ცხოვრების ხილვა იყო. როგორც მოეჩვენა, ერთ-ერთი მანქანა რარიტეტული „კორვეტი“ უნდა ყოფილიყო, თუმცა, სახლის კუთხეში მბჟუტავი ავარიული განათების ერთი ნათურა დასაზუსტებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. მრბოლელებმა მთელი ნორტ-შეპლის სატრანსპორტო სისტემას ჩამოუქროლეს (შუქნიშნები არ მუშაობდა), ერთხანს მანქანების უკანა ფარები სიბნელეში ციმციმებდა, მერე ისინიც გაქრა წვიმის ფარდის მიღმა. კლაიმ ისევ გაიფიქრა: „*შეშლილები*, — ხოლო როდესაც გზის სავალ ნაწილს დაუბრუნდა, კიდევ ერთმა აზრმა გაუელვა თავში, — *შეშლილობაზე შენ რა გაქვს სათქმელი?*“

რაც მართალია, მართალია. იმიტომ, რომ სიზმარი მობილობინგოს თაობაზე არ იყო სიზმარი, უფრო სწორად, *მხოლოდ* სიზმარს არ წარმოადგენდა. კლაის ეჭვი არ ეპარებოდა ამაში. მობილოიდები თავიანთ მზარდ ტელეპათიურ შესაძლებლობებს იყენებდნენ, რათა არ დაეკარგათ ისინი, ვინც მათ ჯოგებს ხოცავდნენ. სწორადაც იქცეოდნენ. შესაძლოა, პრობლემები შეჰქმნოდათ ისეთი ჯგუფებისგან, როგორიც, მაგალითად, დენი ჰარტუიკისა იყო, მაგრამ ეეჭვებოდა, ეს მომხდარიყო. უცნაურია, მაგრამ ტელეპათია მეტისმეტად ჰგავდა სატელეფონო კავშირს: ორმხრივად გადაიცემოდა. და თავად... რაღად იქცა? მოჩვენებად რომელილაც მოწყობილობაში? ჰო, რაღაც ამგვარია. და თუკი მათ შეეძლოთ მისი თვალთვალი, ესე იგი, მასაც შეეძლო იმათი თვალთვალი. ყოველ შემთხვევაში, სიზმარში. ნებისმიერ სიზმარში.

კაშვაკის საზღვარზე არსებობდა თუ არა ნამდვილი პავილიონები, სადაც ნორმალურები რიგში იდგნენ და ელოდებოდნენ, როდის დაკარგავდნენ აზროვნების უნარს? კლაის აზრით, არსებობდა, არსებობდა არა მხოლოდ კაშვაკში, არამედ ყველა *მსგავს* ადგილზე მთელი ქვეყნისა და მსოფლიოს ტერიტორიაზე. შესაძლოა, ამ პავილიონებში დასაქმებულ მობილოიდებს სამუშაო უკვე შემოაკლდათ, მაგრამ საკუთრივ საკონტროლო-გამშვები პუნქტები (*გარდაქმნის* წერტილები) აუცილებლად დარჩა.

მობილოიდები ტელეპათიას იყენებდნენ, მათი ჯგუფური ხმა ნორმალურებს არწმუნებდა, კაშვაკში წასულიყვნენ. არწმუნებდა *სიზმრებში*. და აქედან ის გამომდინარეობს, რომ მობილოიდები ჭკვიანები და ანგარიშიანები იყვნენ? არა, თუ, რასაკვირველია,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჭკვიანად არ თვლი ობობას, რომელსაც ქსელის გაბმა შეუძლია, ან ანგარიშიანად ნიანგს, რომელსაც მსხვერპლის მოლოდინში წყალში ფიცარივით გაშეშება შეუძლია. კლაი, რომელიც მე-11 გზატკეცილით კაშვაკამდე მიმავალ 160-ე გზატკეცილზე უნდა გასულიყო, იმაზე ფიქრობდა, რომ ტელეპათიურ სიგნალს, სულ მცირე, სამი შეტყობინება უნდა გაეგზავნა:

„მოდი და უსაფრთხოდ იქნები, აღარ დაგჭირდება თვითგადარჩენისთვის ბრძოლა“.

„მოდი და შენნაირებთან ერთად უსაფრთხო ადგილზე იქნები“.

„მოდი და შეძლებ ახლობლებთან დალაპარაკებას“.

მოდი. ჰო, ეს არის მთავარი სიტყვა, ხოლო, როგორც კი მიუახლოვდებოდი, არჩევანის უფლება გერთმეოდა. ტელეპათია და უსაფრთხოებაზე ოცნება ყელში გწვდებოდა და აღარ გიშვებდა. რიგში დგებოდი. უსმენდი, როგორ გეუბნებოდა „დაფლეთილი კაცის“ ხმა, რომ წინ უნდა წახვიდე, რომ ყველას აქვს ახლობელთან დარეკვის საშუალება, მაგრამ ჯერ ისევ ბევრი ადამიანი უნდა გავატაროთ მზის ამოსვლამდე და ამიტომ მოვუსმენთ, ბეტ მიდლერი როგორ მღერის თავის სიმღერას „ქარი ჩემს ფრთებქვეშ“.

როგორ შეეძლოთ ამ ყველაფრის მოხერხება იმის მიუხედავად, რომ ელექტრობა გამოირთო, მეგაპოლისები გადაიწვა, *ცივილიზაცია* სისხლიან ჭაში ჩაიძირა? როგორ შეეძლოთ, ჩაენაცვლებინათ მილიონობით მობილოიდი, რომელიც დაიღუპა თავდაპირველი იმპულსის და შემდეგ, ჯოგების განადგურების შედეგად? შეეძლოთ, იმიტომ, რომ იმპულსის ტრანსლირება გრძელდებოდა. სადღაც, ტერორისტების ლაბორატორიაში, ან ვილაც შეშლილის გარაჟში რომელილაც გადამცემი აკუმულატორებზე აგრძელებდა მუშაობას, ხოლო რომელილაც მოდემი ისევ გადასცემდა ამ გამანადგურებელ სიგნალს; მიმართავდა თანამგზავრებისკენ, რომლებიც აგრძელებდნენ დედამიწის სიახლოვეს ორბიტაზე ტრიალს, ან ავრცელებდა მიკროტალღური რეტრანსლატორებით, მთელ პლანეტას ფოლადის სალტედ რომ არტყია. და სად შეიძლებოდა დაგერეკა, დარწმუნებულს იმაში, რომ ზარი გავა და თუნდაც, ავტომოპასუხე შეგეხმიანება?

911-ზე, რასაკვირველია.

და სწორედ ეს დაემართა ბიჭუნა ჯონის.

კლაიმ იცოდა, რაც მოხდა. ანუ, უკვე დააგვიანა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაშ, რატომლა მიდიოდა ისევ ჩრდილოეთით, ამ ყინულივით ცივ წვიმაში? მის წინ ნიუფილდი იყო, არც ისე შორს, იქიდან კი მე-11-დან 160-ე გზატკეცილზე უნდა გადაეხვია. ეჭვი არ ეპარებოდა, ამ გზატკეცილზე არც ისე დიდი ხანი დასჭირდებოდა გზის მაჩვენებლებზე (ან სადმე სხვაგან) დატოვებული წარწერების წაკითხვას. მაშ, *რატომ* მიდიოდა?

მაგრამ კლაიმ იცოდა, რატომაც, ისე როგორც იცოდა, რომ შორიდან მოლწეული გრუხუნის ხმა ერთ-ერთი სპრინტერისთვის რბოლის დასრულებას მოასწავებდა. ჩრდილოეთით სვლას აგრძელებდა საკუთარი სახლის კარზე ნაპოვნი ბარათის გამო, რომელიც სასწაულით ჩაუვარდა ხელთ, ვიდრე ქარმა არ მოჰგლიჯა სკოჩის ის ერთადერთი ზოლიც, დანარჩენები უკვე აეწყვიტა. ჩრდილოეთით მიდიოდა მეორე ბარათის გამო, რომელიც მუნიციპალიტეტის შენობაში განცხადებების დაფაზე იპოვა აირის ნოლანის დისთვის მიწერილი ბარათით სანახევროდ დაფარული. ორივე ბარათში მისი ვაჟი ერთსა და იმავეს წერდა, მთავრული ასოებით: ბეხვეწები, მოდი და წამიყვანე.

თუ ჯონის წაყვანა დააგვიანდა, იქნებ არ დაუგვიანია სხვა რამ: შეეძლო, ვაჟი ენახა და ეთქვა, რომ სცადა. ყველაფერს გაუძლებდა და ამას მოახერხებდა, თუნდაც ამისთვის ერთ-ერთი მობილური ტელეფონის გამოყენება ეიძულებინათ.

პლატფორმებს, ათასობით მაყურებელს რაც შეეხება...

„კაშვაკში ფეხბურთის მოედანი არ არის“, — უთხრა საკუთარ თავს.

მაგრამ მაშინვე გაახსენდა ჯორდანის სიტყვები: *„ეს ვირტუალური სტადიონია“*.

კლაიმ გონებიდან განდევნა ეს აზრი. თავიდან მოიშორა. გადაწყვეტილება მიიღო. გიჟური გადაწყვეტილება, მაგრამ ახლა ხომ მთელი მსოფლიო შეიშალა, ასე რომ, ისიც ამ სამყაროს კანონების შესაბამისად ცხოვრობდა.

4

სამს თხუთმეტი წუთი აკლდა, როდესაც გადაყვლეფილი ტერფებით, ერთიანად გალუმპული, სპრინგვეილის მუზეუმის მცველის სახლიდან წამოღებული კაპიუშონიანი ქურთუკის მიუხედავად,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კლაი 160-ე გზატკეცილზე გავიდა. გზაჯვარედინი შეჯახებული მანქანებით იყო გაჭედილი, რასაც მიემატა ნორტ-შეპლიში ჩაქროლილი „კორვეტი“. მძღოლმა, ეტყობა, თავით გაამტვრია საქარე მინა და ახლა ხის ტოტზე თავდალმა ეკიდა, ხელებჩამოშვებული. როდესაც კლაიმ მისი აწევა და სახეზე შეხედვა სცადა, რათა მიმხვდარიყო, ცოცხალია თუ არა, სხეულის ტორსი ასფალტზე დაეცა და მას ნაწლავები მიჰყვა. კლაიმ სატელეგრაფო სვეტამდე ძლივს მიაღწია, მიადო უეცრად საოცრად გაცხელებული შუბლი და იქამდე აღებინებდა, ვიდრე კუჭი მთლიანად არ დაიცალა.

გზაჯვარედინის მეორე მხარეს, იქ, სადაც 160-ე გზატკეცილი ჩრდილოეთისკენ გრძელდებოდა, პატარა მაღაზია, „ყველა წვრილმანი“, მოჩანდა. წარწერა ვიტრინაზე იუწყებოდა, რომ ყიდდნენ ინდურ ტკბილეულს ნიკ-ნაკის სიროფში. ეტყობოდა, მაღაზია ბევრჯერ გაძარცვეს, მაგრამ სახურავი ისევ ჰქონდა და იქ თავის შეფარება შეეძლო წვიმისა და იმ უეცარი საზარლობისგან, რაც ახლახან შეეფეთა. კლაი მაღაზიაში შევიდა და თავდახრილი დაჯდა. ასე გაუნძრევლად იჯდა მანამ, სანამ არ მიხვდა, რომ, ასე თუ ისე, გრძნობაზე მოვიდა და გონების დაკარგვა არ ემუქრებოდა. მაღაზიაში გვამები იყო, ცხვირში ხრწნის სუნი ულიტინებდა, მაგრამ ვილაცას ყველასთვის ბრეზენტი გადაეფარებინა, ორის გარდა, და ისინი კი ნაწილ-ნაწილ არ იშლებოდნენ. ლუდის კარადა-მაცივარი დამტვრეული და გამოცარიელებული იყო, გამაგრილებელი სასმელების კარადა კი — მხოლოდ შემტვრეული. კლაიმ ჯანჯაფილის ლუდი აიღო და დიდი ყლუპებით დაიწყო სმა, მხოლოდ დასაბოყინებლად ისვენებდა. ცოტა ხნის შემდეგ მიხვდა, რომ თავს უკეთ გრძნობდა.

მეგობრების არყოფნას მწვავედ გრძნობდა. საბრალო, რომელმაც სიცოცხლე ამ გზაჯვარედინზე დაასრულა, ერთადერთი სპრინტერი იყო, ვინც იმ ღამით შეხვდა. არც ლტოლვილ მოგზაურთა ჯგუფებს გადაჰყრია გზად. ასე რომ, მთელი ღამე საკუთარ ფიქრებთან მარტომ გაატარა. იქნებ იმ სალამოს ამინდი არ უწყობდა ხელს ფეხით სიარულს, ან იქნებ ყველა ნორმალური ამიერიდან მხოლოდ დღისით მოგზაურობდა? რატომაც არა, თუკი მობილიზებმა მკვლელობები შეწყვიტეს და მათ გარდაქმნაზე გადავიდნენ.

უეცრად გაიაზრა, რომ არსად გაუგონია, ელისის თქმით, ჯოგის მუსიკა. იქნებ ყველა ჯოგი სადღაც აქედან სამხრეთით იყო, იმ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთი დიდი ჯოგის გამოკლებით (ეჭვი არ ეპარებოდა, დიდი უნდა ყოფილიყო), რომლის ძალისხმევით ნორმალურები მობილიზდები ხდებოდნენ. კლაი წინააღმდეგი სრულებით არ გახლდათ. შესაძლებლობა, არ მოესმინა „იმედია, ცეკვავ“ და „საზაფხულო ადგილის“ თემა, მისთვის ნამდვილი საჩუქარი იყო.

გადაწყვიტა, მაქსიმუმ ერთ საათს ევლო, მერე კი ღამის გასათევი შესაფერისი ადგილი მოეძებნა. ცივმა წვიმამ ბოლო მოუღო. „ათასი წვრილმანის“ მაღაზიიდან გამოვიდა. არც „კორვეტისთვის“ შეუხედავს და არც მის გვერდით ადამიანის სხეულის ნაწილებისთვის.

5

მაგრამ თითქმის გათენებამდე იარა, იმიტომ, რომ წვიმა შეწყდა, გარდა ამისა, 160-ე გზატკეცილზე თავშესაფრის პოვნა არც ისე იოლი აღმოჩნდა. ბოლოს, ხუთის ნახევარზე, ტყვიებით დაცხრილულ გზის მაჩვენებელს ჩაუარა, წარწერით: ГЕРЛИВИЛЬИ ШЕСАСВЛЕЛИ. САЖАЛАЖО ТИПИС ДАСАХЛЕБА ТИВИТММАРТИВЕЛОБИС УФЛЕБИС БАРЕШЕ. ათი წუთის შემდეგ გერლივილის ქვის სამტეხლომდე მიაღწია. ეს იყო უზარმაზარი კარიერი რამდენიმე ფარდულით, წვიმით დასველებული სატვირთო მანქანებითა და გარაჟით. კლაიმ ჯერ ერთ-ერთ ფარდულში დააპირა თავის შეფარება, მაგრამ მერე გადაწყვიტა, რაიმე უკეთესი მოეძებნა და გზა გააგრძელა. არც ჯოგის მუსიკა ისმოდა საიდანმე, არც მოგზაურთა ჯგუფები შეხვედრია. თითქოს დედამიწაზე ერთადერთი ცოცხალი ადამიანი იყო.

მაგრამ კლაი ცდებოდა. სამტეხლოს უკან მოტოვებიდან ათ წუთში გორაკზე ავიდა და ქვემოთ პატარა ქალაქი დაინახა. გზად პირველად გერლივილის მოხალისეთა სახანძრო რაზმის შენობა შეხვდა (დაფაზე განცხადებას მოჰკრა თვალი: АР ДАБАВИЧЧЕТИ СИСХЛИС ЧАБАРЕБА ХЕЛУИНИС ДЛЕС! — ეტყობა, სპრინგვეილის ჩრდილოეთით სიტყვა „ჰელოუინის“ სწორად დაწერა ალარავის შეეძლო). შენობის წინ, ძველი და მიტოვებული სახანძრო მანქა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნის ბამპერთან, ორი მობილოიდი პირისპირ იდგა. მანქანა კორეის ომის[1] დროს, ალბათ, სულ ახალთახალი იქნებოდა.

როდესაც კლაიმ მათ ფარანი მიანათა, ორივე მისკენ შებრუნდა, მერე ისევ ერთმანეთს მიაჩერდნენ. მამაკაცებიდან ერთი ოცდახუთიოდე წლის იყო, მეორე — მასზე, სულ ცოტა, ორჯერ უფროსი. მობილოიდები რომ იყვნენ, ეჭვს არ იწვევდა: დაფლეთილი სამოსი ნაკუწებად ეკიდათ სხეულზე, ნაკაწრებითა და ჭრილობებით დაფარული სახეები ჰქონდათ, ახალგაზრდას ცალ ხელზე მძიმე ხარისხის დამწვრობა მოუჩანდა, უფროსს მარცხენა თვალი ანთებით დაბერილი ქუთუთოს ქვეშ უელავდა. მაგრამ მათ გარეგნობას მნიშვნელობა იმდენად არ ჰქონდა, რამდენადაც იმ შეგრძნებებს, რაც კლაიმ მოცემულ მომენტში გააცნობიერა: ისევ იგივე სუნთქვის გაძნელება, რაც სიტბოს ავტოგასამართი სადგურის ოფისში ტომთან ერთად პროპანიანი მანქანის გასაღების ასაღებად შესულმა იგრძნო. მისი შეგრძნებები აშკარად თვალით უხილავ, მაგრამ მზარდ ძალაზე მიუთითებდა.

და ეს ყველაფერი ხდებოდა *ღამით*. წვიმის ხშირი ღრუბლების გათვალისწინებით, გათენება ჯერ კიდევ შორს იყო. მაშ, რატომ ფხიზლობდნენ ეს ბიჭები?

კლაიმ ფარანი გამორთო, ყოველი შემთხვევისთვის 45-კალიბრიანი „კოლტი" ამოიღო და გადაწყვიტა, ეყურებინა, რა მოხდებოდა. რამდენიმე წამს არაფერი შეცვლილა, მაგრამ ეს უცნაური შეგრძნება, სუნთქვაში ხელს რომ უშლიდა, იმას მოწმობდა, საქმე იოლად არ დასრულდებოდა. მერე ხმამაღალი ზუზუნი გაისმა, თითქოს ხერხის ხმას ჰგავდა. კლაიმ თავი ასწია და დაინახა, როგორ დაიწყო რხევა ელექტროგადამცემმა კაბელებმა.

— *წა-დი!* — ახალგაზრდამ არნახული გაჭირვებით ამოხეთქა მარცვლები. კლაი მოულოდნელობისგან შეხტა. თითი სასხლეტზე რომ სდებოდა, მისი იარაღი გაისვრიდა. არა, ეს არ იყო „აუ" ან „იიინ", არამედ ნამდვილი სიტყვა. კლაიმ გაიფიქრა, რომ მის გონებაშიც გაისმა იგივე, ოღონდ სუსტად, ძალიან სუსტად, როგორც მილევადი ექო.

— შენ-დი! — უპასუხა უფროსმა. ფართხუნა ბერმუდები ეცვა უზარმაზარი ყავისფერი ლაქით მოსვრილ უკანალზე — ან მიწით,

[1] *კორეის ომი — 1950 წლის 25 ივნისი-1953 წლის 27 ივლისი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ან განავლით. ისიც გაჭირვებით ამოთქვამდა მარცვლებს, ამჯერად კლაის გონებაში მათი ექო არ გაუგონია. უცნაურია, მაგრამ ახლა დაასკვნა, რომ პირველ შემთხვევაში ექო მაინც იყო.

მობილოიდებს კლაი აღარ ახსოვდათ. ეჭვი არ ეპარებოდა.

— *ჩემი!* — ახალგაზრდამ სიტყვა თითქოს გადმოაფურთხა. ძალიან ეძნელებოდა მისი წარმოთქმა. მთელი სხეული დაჭიმა, ეს რომ მოეხერხებინა. მის ზურგს უკან გარაჟის ფართო კარის რამდენიმე პატარა ფანჯრის მინა ჩაიმსხვრა.

ამას ხანგრძლივი პაუზა მოჰყვა. კლაი მოჯადოებულივით იდგა და თვალს ვერ აცილებდა. კენტ-პონდიდან წამოსვლის შემდეგ პირველად დაივინყა ჯონი. უფროსი მამაკაცი, ეტყობა, გამალებული ფიქრობდა, მასში დაუცხრომელი ბრძოლა მიმდინარეობდა და კლაის აზრით, ამ ბრძოლას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა: გრძნობების სიტყვით გადმოცემა, როგორც ადრე სჩვეოდათ, ვიდრე იმპულსმა მეტყველების უნარი წაართვათ.

სახანძრო რაზმის შენობის, ფაქტობრივად კი, ჩვეულებრივი გარაჟის, სახურავზე სიგნალიზაცია ჩაირთო, თითქოს ელექტროენერგიის მიწოდება აღადგინეს. აინთო ძველი სახანძრო მანქანების ფარები, წითელი ციმციმები, რომლებმაც გაანათეს მამაკაცები, მათი ჩრდილები ასფალტზე აირეკლა და მერე ჩაქრა.

— *წადი შენი!* — უფროსმა მამაკაცმა ეს სიტყვები ისე წარმოთქვა, თითქოს ყელში გაჩხერილი ხორცის ნაჭრები გადმოაფურთხა.

— *ჩემანქანა!* — იყვირა ახალგაზრდამ და კლაის გონებაში იმავე ხმამ წაიჩურჩულა: „*ჩემი მანქანა*". ყველაფერი გასაგებია. ადრე ტუინკისების ყუთი ვერ გაიყვეს, ახლა კი — ძველი სახანძრო მანქანა. მაგრამ ეს *ლამით* ხდებოდა, ჰო, მართალია, ლამე იწურებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ სიბნელე იყო, და კიდევ, თითქმის ლაპარაკი დაიწყეს. ჯანდაბა, თითქმის კი არა, *ლაპარაკობდნენ!*

თუმცა, ლაპარაკის დრო, როგორც ჩანს, ამოიწურა. ახალგაზრდამ თავი დახარა და უფროსს მკერდში დაეტაკა. უფროსი მიწაზე გაიშხლართა. ახალგაზრდა მის ფეხებს წამოედო და ჩაიჩოქა.

— *ჯანდაბა!* — დაიყვირა მან.

— *შენი დედაც!* — ყვირილით უპასუხა მეორემ. ყველაფერი გასაგებია. შეუძლებელია, „*შენი დედაც*" სხვა რამეში აგერიოს.

ორივე წამოდგა, ერთმანეთისგან დაახლოებით თხუთმეტი ფუტი აშორებდათ. კლაი სხეულით გრძნობდა მათ ურთიერთსი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ძულვილს, რომელიც მის თავში დაფუთფუთებდა, თვალებს ანვეებოდა, გარეთ გაღწევას ლამობდა.

— *ეს ჩემანქანა!* — თქვა ახალგაზრდამ და კლაის გონებაში ისევ გაისმა ჩურჩული: *„ეს ჩემი მანქანაა“*.

უფროსმა მამაკაცმა ღრმად ჩაისუნთქა, ხელი ასწია და ახალგაზრდა მობილოიდს შუათითი დაანახვა.

— *დაჯექი! ამაზე!* — გარკვევით და ცხადად წარმოთქვა მან.

ახლა ორივემ დახარა თავი და ერთმანეთისკენ გაქანდნენ. თავები ისეთი გამაყრუებელი ზათქით შეეჯახა ერთმანეთს, რომ კლაის შეაჟრჟოლა. ახლა გარაჟის კარის ყველა ფანჯარა ჩაიმსხვრა. სიგნალიზაციამ ხანგრძლივი საბრძოლო ყიჟინა ამოუშვა და მერე მიჩუმდა. გარაჟის სახურავის ქვეშ ფლუორესცენციული ნათურები სამ წამს ენთო შეშლილობის სუფთა ენერგიის წყალობით. უეცრად ბრიტნი სპირსი ამღერდა: *„ვაი!.. ეს ისევ ჩავიდინე“*. აზრიალებული კაბელები გასკდა და კლაის კინალამ თავზე დაეცა. მან ნაბიჯის წინ წადგმა მოასწრო. მათში ძაბვა არ იქნებოდა, მაგრამ...

უფროსი მამაკაცი მუხლებზე დაეცა, ყურებიდან სისხლი წამოუვიდა. *„ჩემი მანქანა!“* — თქვა სრულიად ცხადად, გარკვევით და მერე ასფალტზე პირქვე დაეცა.

ახალგაზრდა კლაისკენ შებრუნდა, თითქოს სურდა, მას, როგორც მოწმეს, მისი გამარჯვება დაედასტურებინა. აბურდული თმა სისხლით ჰქონდა მოსვრილი, სისხლი ჩამოსდიოდა თვალებს შორის, მერე ცხვირზე ორ ნაკადად გაყოფილი ტუჩის კუთხეებისკენ მიიწევდა. თვალები, როგორც კლაიმ შენიშნა, გამოცარიელებული ალარ იყო. მათში სიგიჟე ამოიკითხა. და კლაი მიხვდა: თუ მთელი ციკლის ბოლო ეს არის, შვილის გადარჩენას ველარ შეძლებს.

— *ჩემანქანა!* — დაიყვირა ახალგაზრდამ, — *ჩემანქანა! ჩემანქანა!* — მის ყვირილს, თითქოს თანხმობის ნიშნად, სახანძრო მანქანის სირენა აჰყვა, — *ჩემან...*

კლაიმ ესროლა. მერე იარაღი ბუდეში ჩააბრუნა.

„რატომაც არა, — გაიფიქრა, — *პლატფორმაზე ჩემი დაყენება მხოლოდ ერთხელ შეუძლიათ“*. მაგრამ, როდესაც ქალაქ გერლიბილის იმ ნაწილში არსებული ერთადერთი მოტელის ნომრის კარს ამტვრევდა, მღელვარებისგან ჯერ ისევ ცახცახებდა... და ძალიან დიდი დრო მოანდომა ჩაძინებას. „დაფლეთილი კაცის“ ნაცვლად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიზმრად შვილი ესტუმრა. ჭუჭყიანი, გამოცარიელებული თვალებით, და ყოველთვის, როდესაც კლაი ეძახდა, ერთნაირად პასუხობდა: *„წადი შენი, ჩემანქანა!“*

6

ამ სიზმრის გამო დაბნელებამდე დიდი ხნით ადრე გაიღვიძა, მაგრამ მიხვდა, დაძინებას ველარ შეძლებდა, ამიტომ ისევ გზას გაუდგა. საკუთარ თავს უთხრა, გერლივილიდან გასვლისთანავე, მართალია, ეს ქალაქი გარშემო არსებული დასახლებებისგან დიდად არ განსხვავდებოდა, გზას აუცილებლად მანქანით გააგრძელებდა. რატომაც არა? და მართლაც, მე-11 გზატკეცილის გადაკვეთაზე, მანქანების სასაფლაოს შემდეგ, გზა თითქმის ყველგან სრულიად თავისუფალი დახვდა. უბრალოდ, ღამით სიბნელისა და წვიმის გამო ეს ვერც კი შენიშნა.

„დაფლეთილმა კაცმა“ და მისმა მეგობრებმა გზა გაწმინდეს, — გაიფიქრა კლაიმ, — *რასაკვირველია, გაწმინდეს, ეს ხომ დაწყევლილი სასაკლაოსკენ მიმავალი ფიცარნაგია. ის სასაკლაოზე მიმიყვანს. მე ხომ ვალი მმართებს. ალბათ, უნდათ, ბეჭდით დამდალონ* GADASTDILIA *და რაც შეიძლება, მალე ჩააბარონ საქმე არქივში. ძალიან მეცოდება ტომი, ჯორდანი და ის სამიც. საინტერესოა, შეძლეს თუ არა სოფლის გზებზე გასვლა, რომლებიც მათ ცენტრალურ ნიუ-ჰემფშირამდე და...“* — გორაკის თავზე ავიდა და ფიქრი მაშინვე გაუწყდა. ქვემოთ, გზის შუაში, პატარა სასკოლო ავტობუსი იყო გაჩერებული გვერდზე წარწერით: **MEENIS STATI. 38-E SASKOLO OLQI. NIUFILDI.** ავტობუსზე მიყუდებულიყვნენ მამაკაცი და ბიჭი. ბიჭისთვის მხარზე მეგობრულად მოეხვია ხელი კაცს და ამ ჟესტს კლაი ნებისმიერ ადგილზე იცნობდა. ვიდრე თითქოს მეხდაცემულივით გაუნძრევლად იდგა და თვალებს არ უჯერებდა, ავტობუსიდან მეორე მამაკაცი ჩამოვიდა. გრძელი, ჭალარა თმა ცხენის კუდად შეეკრა. მერე მაისურში გამოწყობილი ორსული ქალი გამოჩნდა. მაისური ღია ცისფერი იყო და არა შავი, წარწერით: **HARLEI-DEVIDSONI.** ის იყო, დენიზი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯორდანმა თვალი მოჰკრა და დაუძახა, მერე ტომის ხელს დაუსხლტა და გორაკის წვერისკენ გაიქცა. კლაიც მის შესახვედრად გაექანა. ავტობუსიდან ოცდაათიოდე იარდის დაშორებით შეხვდნენ ერთმანეთს.

— კლაი! — ჯორდანი სიხარულით ყყიოდა, — მართლა თქვენ ხართ!

— მე ვარ, — დაეთანხმა კლაი. ჯორდანი ჩაიხუტა. აკოცა. ჯორდანი ჯონი არ იყო, მაგრამ გარკვეული ხნით მისი ჩანაცვლება შეეძლო. ბიჭი მკერდზე მიიკრა, მის ჩამოგრძელებულ სახეს დააცქერდა, ჩაშავებული თვალები შენიშნა, — თქვენ რალას აკეთებთ აქ?

ჯორდანს თვალები აევლვრა.

— ვერ შევძელით... ყველაფერი... მხოლოდ ოცნება იყო.

დიდი ნაბიჯებით ტომმაც მოაღწია. ისევ არ მიაქცია ყურადღება კლაის გაწვდილ ხელს და მოეხვია.

— როგორ ხარ, ვან გოგ? — შეეკითხა.

— ნორმალურად. ძალიან მიხარია თქვენთან შეხვედრა, მაგრამ არ მესმის...

ტომმა გაილიმა, მომხიბლავი, დაღლილი ღიმილით. კბილები აუელვარდა.

— ეს ბიჭი-კომპიუტერი ცდილობს, აგიხსნას, რომ როგორც აღმოჩნდა, არჩევანის საშუალება არ გვქონდა. წამოდი ჩვენს პატარა ყვითელ ავტობუსთან. რეი ამბობს, თუ წინ გზა თავისუფალია, მე კი მგონია, სწორედ ასე იქნება, კაშვაკში მზის ჩასვლამდე ჩავალთ თუნდაც საათში ოცდაათი მილის სიჩქარით. ოდესმე თუ წაგიკითხავს „სახლი-მოჩვენება გორაკზე“?[1]

კლაიმ უარის ნიშნად თავი გააქნია, შეკითხვას ვერ მიხვდა.

— ფილმი ვნახე.

— იქ ერთი წინადადებაა, რომელიც შექმნილ მდგომარეობას ახასიათებს. მოგზაურობა შეყვარებულების შეხვედრით მთავრდება. როგორც ჩანს, მაინც მოვახერხებ შენი ვაჟის ნახვას.

სკოლის ავტობუსისკენ წავიდნენ. დენ ჰარტუიკმა კლაის მენთოლის კანფეტების ლითონის ყუთი გაუწოდა. დენს ხელი უკანკალებდა. ტომისა და ჯორდანის მსგავსად ქანცგამოცლილი ჩანდა. კლაი

[1] *„სახლი-მოჩვენება გორაკზე“ შირლი ჯენსონის რომანია, რომელიც 1959 წელს გამოქვეყნდა. რომანის მიხედვით გადაღებული იმავე სახელწოდების ფილმი ეკრანებზე 1999 წელს გამოვიდა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავს თითქოს სიზმარში გრძნობდა და მექანიკურად აილო კანფეტი. სამყარო ინგრეოდა თუ არა, მნიშვნელობა არ ჰქონდა, კანფეტმა მაინც სუნთქვა შეუკრა.

— სალამი, მეგობარო, — რეი ავტობუსის საჭეს უჯდა, კეპი შებრუნებული ეხურა. მის ხელში სიგარეტი ბოლავდა. დაღლილი სახე ჰქონდა. კლაის კი არა, საქარე მინას უყურებდა.

— ეი, რეი, ცოტათი გაყოჩაღდი, — უთხრა კლაიმ.

რეიმ გაილიმა.

— როგორც მახსენდება, ეგ სიტყვები ადრეც მომისმენია.

— ჰო, ალბათ, ასჯერ და მეტადაც. სიამოვნებით გეტყოდი, შენი დანახვა მიხარია-მეთქი, მაგრამ თუ შექმნილ გარემოებებს გავითვალისწინებთ, ალბათ, ამის მოსმენა ახლა არ გსურს.

რეიმ უპასუხა, მაგრამ ისევ წინ, საქარე მინას უყურებდა:

— აქ კიდევ ვილაც არის და მისი ნახვა ნამდვილად არ უნდა გინდოდეს.

კლაი შორს მიმავალ გზას დააკვირდა. ყველამ წინ გაიხედა. 160-ე გზატკეცილი ოთხი-ხუთი მილის დაშორებით, მომდევნო გორაკზე ადიოდა და მის თავზე იმავე წითელ „კენგურუში“, კიდევ უფრო რომ გაჭუჭყიანებულიყო, მკერდზე წარწერით: ჰარვარდი, იდგა და მათ უმზერდა „დაფლეთილი კაცი“. მის გარშემო დაახლოებით ორმოცდაათი მობილოიდი იდგა. შენიშნა, რომ ყველა მას უყურებდა. ხელი ასწია და აქეთ-იქით გააქნია, თითქოს საქარე მინის გაწმენდა სურდა. მერე შებრუნდა და წავიდა. მისი ამალა (*„მისი ჯოგი“*, — გაიფიქრა კლაიმ) უკან მიჰყვებოდა, ლათინური V-ს მსგავსად დაწყობილი. მალე თვალს მიეფარნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE



www.PDF.ChiaturaINFO.GE

1

მოშორებით, გზაზე, დასასვენებელ მოედანზე შეჩერდნენ. ჭამის ხალისი არ ჰქონდათ, მაგრამ კლაის კითხვების დასმის შესაძლებლობა მიეცა. რეი პირს არაფერს აკარებდა, იჯდა შორიახლო, ბარბეკიუს ქვის ფილაზე, ენეოდა და ყურს უგდებდა. საუბარში არ ერეოდა. კლაის მოეჩვენა, რომ გულგატეხილი იყო მომხდარით.

— აქ გაჩერებას ვფიქრობთ, — დენმა შემოდგომის ფერებით აფერადებულ, წინვიანი და ფოთლოვანი ხეებით გარშემორტყმულ დასასვენებელ მოედანზე ხელით მიუთითა. იქვე მდინარე მორაკრაკებდა, ხოლო მოედნიდან საფეხმავლო ბილიკები მიდიოდა და გზის მაჩვენებელი ნიშანი მოჩანდა, წარწერით: **თუ გასეირნებას გადაწყვეტთ, თან წაიღეთ რუკა!** ალბათ, აქ გავჩერდებით, იმიტომ, რომ — მერე ჯორდანს მიუბრუნდა, — შენ თუ იტყოდი, რომ აქ ვჩერდებით, ჯორდან? როგორც ვატყობ, ყველაზე აშკარა აღქმის უნარი გაქვს.

— ჰო, — მაშინვე უპასუხა ჯორდანმა, — იმიტომ, რომ აქ ყველაფერი ნამდვილია.

— მართალია, — რეი თავჩაღუნული ლაპარაკობდა, — აქა ვართ. ესეც ასე, — ხელი დაარტყა ქვის ფილას, რომელზედაც იჯდა და მისმა საქორწინო ბეჭედმა დაიწკარუნა, — და ისევ ერთად ვართ, როგორც მათ სურდათ.

— არაფერი მესმის, — გულწრფელად აღიარა კლაიმ.

— ბოლომდე ყველაფერი არც ჩვენ გვესმის, — უპასუხა დენმა.

— ისინი იმაზე ძლიერები აღმოჩნდნენ, ვიდრე წარმომედგინა, — დაამატა ტომმა, — აი, რას მივხვდი, — სათვალე მოიხსნა, მინები პერანგით გაიწმინდა. დაღლილი, დაბნეული იყო და ათი წლით იმაზე უფროსი ტომი უყურებდა ახლა კლაის, ვიდრე ბოსტონში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეხვდა, — ისინი ჩვენს თავებში შემოიჭრნენ. იქ თავის ნებაზე იქცევიან. არაფრის შანსი არ დაგვიტოვეს.

— ძალიან დალლილი სახე გაქვთ ყველას, — შენიშნა კლაიმ.

დენიზს გაეცინა.

— ჰო. აქამდე ჯერ კიდევ უნდა მივიდეთ. მოკლედ, მე-11 გზატკეცილზე შენთან დაშორების შემდეგ დასავლეთისკენ ნავედით. იქამდე ვიარეთ, ვიდრე ალმოსავლეთი არ განათდა. მანქანის აყვანას აზრი არ ჰქონდა. მაგისტრალზე საშინელი საცობი იყო. ოთხიოდე მილი თავისუფალი და მერე...

— საგზაო რიფები, ვიცი, — თავი დაუქნია კლაიმ.

— რეიმ თქვა, მანქანები შემცირდება, როგორც კი სპოლდინგის ავტომაგისტრალის დასავლეთით გადავალთო, მაგრამ დღის გატარება მოტელში გადავწყვიტეთ, სახელად „ბინდი".

— მსმენია, — ისევ დაემოწმა კლაი, — ბონის ტყეების საზღვარზეა. ჩვენთან მაგ მოტელზე ცუდი ხმები დადიოდა.

— მართლა? — დენიზმა მხრები აიჩეჩა, — ჰოდა, იქამდე მივედით და ბიჭუნა ჯორდანი ამბობს: არნახულ საუზმეს მოგიმზადებთ, როგორიც არასოდეს გიჭამიათო. ჩვენ კი ვეუბნებით: „ოცნებე, შვილო, ოცნებას კაცი არ მოუკლავს". და ყველაზე სასაცილო ის არის, რომ ეს ოცნება ახდა. მოტელში მივდივართ და იქ გვხვდება ელექტრობა და ბიჭი მართლაც ამზადებს საუზმეს. გრანდიოზულ საუზმეს. ასეთი რამ მართლაც არ გვიჭამია. მისი ნიჭი დავაფასეთ. ეს საუზმეების საუზმე იყო. დალაგებით ვყვები, რამე ხომ არ გამოგრჩა?

დენმა, ტომმა და ჯორდანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიეს. რეიმ ახალი სიგარეტი გააბოლა.

დენიზის თანახმად, რესტორანში ისაუზმეს, რამაც კლაი ძალიან გააოცა: ოიტისოდენა ეჭვი არ ეპარებოდა, რომ არავითარი რესტორანი მოტელ „ბინდს" *არ ჰქონდა*. ჩვეულებრივი მოტელი იყო, მენისა და ნიუ-ჰემფშირის საზღვარზე ასეთი ასობითაა. როგორც ამბობდნენ, კლიენტს სერვისიდან სთავაზობდნენ მხოლოდ ცივ შხაპსა და საკაბელო ტელევიზიას. მხოლოდ უფროსებისთვის განკუთვნილი არხებით.

მონაყოლი კი სულ უფრო და უფრო უცნაური ხდებოდა. სასადილო დარბაზში მუსიკალური ავტომატი იდგა. არავითარი ლოუ-რენს უელკი და დები ბუნი, მხოლოდ სისხლის ამაჩუხჩუხებელი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიმღერები (მათ შორის — დონა სამერის „Hot Stuff") და იმის ნაცვლად, დასაძინებლად წასულიყვნენ, ცეკვავდნენ, ცეკვავდნენ გაშმაგებით, ორი თუ სამი საათი. მერე, ვიდრე ბოლოს და ბოლოს, დაძინებას გადაწყვეტდნენ, ისევ ჭამეს მუცლის ამოყორვამდე, მაგრამ ამჯერად მზარეულობა დენიზმა იკისრა. მერე, როგორც იქნა, დაიძინეს.

— და დაგვესიზმრა, თითქოს ფეხით მივდიოდით, — დენი ისეთი სიმწრით ლაპარაკობდა, რომ კლაი ალელდა. ის ადამიანი ალარ იყო, რომელმაც ორი ღამის წინ უთხრა: *„თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ფხიზლობისას შეგვიძლია ისინი ჩვენს ტვინში არ შემოვუშვათ"* და *„შევძლებთ მათგან თავის დაძვრენას, მათ ძალა ჯერ კიდევ არ შემატებიათ"*. ახლა მან გაიცინა, თუმცა, მისი სიცილი მხიარული სულაც არ იყო, — რასაკვირველია, დაგვესიზმრა, რომ ფეხით მივდიოდით, იმიტომ, რომ მივდიოდით კიდეც. მთელი დღე ვიარეთ.

— ზუსტად ასე არა, — შეუსწორა ტომმა, — მაგალითად, მესიზმრა, რომ მანქანა მიმყავს...

— ჰო, მანქანა მიგყავდა, — დაუდასტურა ჯორდანმა, — მაგრამ მხოლოდ ერთი თუ ორი საათი. ეს მაშინ მოხდა, როცა გვესიზმრა, თითქოს იმ მოტელში გვძინავს. „ბინდში". მეც მესიზმრა, რომ მანქანა მიმყავდა. ეს იყო სიზმარი სიზმარში, მაგრამ უკვე ნამდვილი.

— ხედავ? — გაეცინა ტომს და ჯორდანს თმა აუჩეჩა, — რალაც თვალსაზრისით ჯორდანმა ყველაფერი იცოდა.

— ვირტუალური რეალობა, — თქვა ჯორდანმა, — აი, ეს იყო. ეს იგივეა, ვიდეოთამაშში მოხვდე. ჯერჯერობით, ეს არც ისეთი დამაჯერებელი რეალობაა, — ჩრდილოეთისკენ გაიხედა, საითაც „დაფლეთილი კაცი" წავიდა, სადაც კაშვაკი იყო, — ის უფრო ხარისხიანი მაშინ გახდება, როდესაც *მოძლიერდებიან.*

— მაგ ნაგვებს ეს არ შეუძლიათ დაბნელების შემდეგ, — ჩაურთო რეიმ, — დასაძინებლად უნდა დაწვნენ.

— და დღის ბოლოს ჩვენ ეს გავაკეთეთ, — დაამატა დენმა, — ასეთი იყო მათი მიზანი — ქანცი გაგვწყვეტოდა, რომ ველარც გაგვეაზრა, რა ხდება, დალამებისასაც კი, როდესაც მათი კონტროლი მცირდება. დღისით ჰარვარდის პრეზიდენტი მუდამ სადღაც ახლოს იყო თავისი არცთუ მცირერიცხოვანი ჯოგით, თავისი მენტალური ძალისმიერი ველით გვფარავდა და ჯორდანისეულ ვირტუალურ რეალობას ქმნიდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ალბათ, ასე იყო, — დაეთანხმა დენიზი, — ჰო.

და კლაი მიხვდა, ეს ყველაფერი მაშინ ხდებოდა, როდესაც თავად მუზეუმის მცველის სახლში ეძინა.

— მარტო ქანცის გამოცლა არ სურდათ, — შენიშნა ტომმა, — და არც მხოლოდ ის, რომ ჩრდილოეთისკენ წავსულიყავით. მათ სურდათ, ისევ ერთად ვყოფილიყავით.

ხუთივე გონს 47-ე გზატკეცილის (მენის შტატის 47-ე გზატკეცილზე) სანახევროდ დანგრეულ მოტელში მოვიდა, რომელიც გრეიტ-უოკსის სამხრეთით მდებარეობდა.

ტომის თქმით, სრული დეზორიენტაციის გრძნობა დაეუფლათ და ნათლად აზროვნებაში ხელს უფრო მეტად უშლიდათ სადღაც ახლოს ჩართული ჯოგის მუსიკა. ეჭვი ჰქონდათ, რომ რაღაც მოხდა, მაგრამ ბუნდოვანი აზრების სიტყვებად ჩამოყალიბება მხოლოდ ჯორდანმა მოახერხა, სწორედ ჯორდანი მივიდა უმთავრეს დასკვნამდე: გაქცევის მცდელობა ჩაიშალა. ჰო, რასაკვირველია, შესაძლებელი იყო მოტელიდან შეუმჩნევლად გასვლა და ისევ დასავლეთით სიარული, მაგრამ ეს განა რამდენი ხანი გაგრძელდებოდა? ჯერ ერთი, ქანცი გასძვრათ, და მეორე, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა დაკარგეს. ჯორდანმა ისიც ივარაუდა, რომ ისინი რამდენიმე ნორმალურს გამოიყენებდნენ მათზე ღამით თვალთვალისთვის.

— ვჭამეთ, — თქვა დენიზმა, — იმიტომ, რომ როგორი სასტიკი დაღლილებიც ვიყავით, ისევე არანორმალურად გვშიოდა. მერე მართლა დასაძინებლად დავწექით და მეორე დილამდე გვეძინა.

— პირველად მე გავიღვიძე, — განაგრძო ტომმა, — ეზოში „დაფლეთილი კაცი“ იდგა. თავი დამიკრა და ხელით მანიშნა გზა. კლაის ეს ჟესტი შესანიშნავად ახსოვდა. *„გზა თავისუფალია. შეგიძლიათ წახვიდეთ“*, — შემეძლო იქვე მიმეხვრიტა, „სერ სწრაფი“ თან მქონდა, მაგრამ ეს ხომ არაფერს შეცვლიდა?

კლაიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მართლაც არაფერს შეცვლიდა.

ისევ გზაზე, 47-ე გზატკეცილზე გავიდნენ. მერე, ტომის თქმით, იგრძნეს, როგორ უბიძგებდნენ ტყეზე გამავალი გზისკენ, რომელიც რუკაზე აღნიშნული არ იყო და თითქოს სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მიემართებოდა.

— იმ დილით სიზმრები არ გინახავთ? — შეეკითხა კლაი, — არც რაიმე ზმანება?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არავითარი, — განაგრძო ტომმა, — იცოდნენ, გაკვეთილი ავითვისეთ. ბოლოს და ბოლოს, მათ ხომ აზრების წაკითხვა შეუძლიათ.

— გაიგონეს, როგორ ვიყვირეთ, „გნებდებით!" — დენის ხმაში დანებებისა და დამარცხების სიმწარე იგრძნობოდა, — რეი, ზედმეტი სიგარეტი ხომ არა გაქვს? მართალია, მოწევას თავი დავანებე, მაგრამ, მგონი, დროა, ამ ჩვევას დავუბრუნდე.

რეიმ ხმის ამოუღებლად გადაუგდო კოლოფი.

— თითქოს ვილაცის ხელი გმართავს, ზურგში გიბიძგებს, მაგრამ ეს ყველაფერი ტვინში ხდება, — ასე ახსნა შეგრძნებები ტომმა, — სულაც არ არის ეს სასიამოვნო. დაუპატიჟებელი თავხედი სტუმარია... და მთელი ამ ხნის განმავლობაში არ გვცილდებოდა იმის შეგრძნება, რომ „დაფლეთილი კაცი" თავისი ჯოგითურთ სადღაც აქვეა, ჩვენთან ერთად მოდის. ზოგჯერ, ხეებს შორის, რამდენიმე მათგანს დავლანდავდით ხოლმე, მაგრამ, როგორც წესი, აშკარად არ ჩანდნენ.

— ესე იგი, ისინი ჯოგებად დადიან არა მარტო დილით და საღამოს, — შენიშნა კლაიმ.

— ჰო, ყველაფერი იცვლება, — დაუდასტურა დენმა, — ჯორდანს თავისი, სხვათა შორის, საკმაოდ საინტერესო თეორია აქვს, რომელსაც დამამტკიცებელი საბუთები ამყარებს. გარდა ამისა, ჩვენ განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოვადგენთ, — სიგარეტი გააბოლა, კვამლი ჩაისუნთქა და დაახველა, — ჯანდაბა, ხომ ვიცოდი, ტყუილად კი არ დამინებებია თავი, — მერე გააგრძელა, — თუ იცოდი, რომ ფრენა შეუძლიათ? ლევიტაცია. სხვათა შორის, საკმაოდ მოსახერხებელია საცობით გაჭედილ გზებზე. იგივეა, რაც მფრინავი ხალიჩის ქონა.

დაახლოებით ერთი მილი იარეს გზაზე, რომელიც თითქოს არსით მიდიოდა, და ბოლოს ხის სახლს მიადგნენ, რომლის წინ პიკაპი იდგა. გასაღები მანქანაში იყო ჩატოვებული. რეი საჭეს მიუჯდა, ჯორდანი და ტომი საბარგულში აძვრნენ. არავის გაჰკვირვებია, როდესაც ტყის გზამ უეცრად ჩრდილოეთისკენ შეუხვია. სწორედ მისი დასრულებისთანავე მათ თავებში ჩადებულმა კომპასმა — მეორე, მერე მესამე გზაზე გაიყვანა. ეს გზები თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ბილიკებისგან, მუხლამდე ბალახით იყო დაფარული. ბოლოს, ჭაობიან ადგილზე მოხვდნენ და პიკაპი შლამში ჩაე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფლო, მაგრამ ფეხით ერთსაათიანი სიარულის შემდეგ მე-11 გზატკეცილზე გავიდნენ, 160-ესთან გადაკვეთის ადგილიდან ცოტათი სამხრეთით.

— იქ ორი მკვდარი მობილოიდი ეგდო, — ჩაურთო ტომმა, — ჯერ კიდევ თბილი. ჩამსხვრეული მინები. დაგლეჯილი სადენები. ყვავებს ლხინი გაემართათ.

კლაიმ დააპირა მოეყოლა, რა მოხდა გერლივილის სახანძროს წინ, მაგრამ გადაიფიქრა. გადაწყვიტა, რომ მისი მონაყოლი შექმნილ მდგომარეობაზე გავლენას ვერ მოახდენდა, იმიტომ, რომ თავზე საყრელად იყვნენ მობილოიდები, რომლებიც ერთმანეთში არ ჩხუბობდნენ, და ისინიც, ვინც ტომსა და დანარჩენებს კაშვაკში ჩასვლას აიძულებდნენ.

მაგრამ პატარა ყვითელ ავტობუსამდე ისინი ჯოგს არ მიუყვანია. ის რეიმ აღმოაჩინა, როდესაც მაღაზია „ათას წვრილმანში" გამაგრილებელი სასმელების იმავე კარადიდან, საიდანაც კლაიმ ჯანჯაფილის ლუდის ქილა აიღო, დანარჩენები გამაგრილებელ სასმელებს სვამდნენ. რეიმ ავტობუსს კედელში გაჭრილი ფანჯრიდან მოჰკრა თვალი.

მერე მხოლოდ ერთხელ შეჩერდნენ: გერლივილის სამტეხლოს გრანიტზე კოცონი გააჩალეს საჭმლის მოსამზადებლად. „ათას წვრილმანში" ფეხსაცმელიც გამოიცვალეს — ჭაობიან ადგილებში მარშით სიარულის შემდეგ მუხლებამდე ტალახში იყვნენ — და ცოტა ხნით დაისვენეს. როგორც ჩანს, გერლივილის მოტელს მაშინ ჩაუარეს, როდესაც კლაის ეძინა, იმიტომ, რომ სულ მალე ისინი აიძულეს, შეჩერებულიყვნენ.

— ჰოდა, ახლა აქა ვართ, — თქვა ტომმა, — საქმე თითქმის დაიხურა, — ხელით მოხაზა ცა, მიწა, ხეები, — ოდესმე, შვილო, ეს ყველაფერი შენი იქნება.

— ეგ მბიძგებელი ხელი ჩემს თავის ტვინში აღარ არის, ყოველ შემთხვევაში, დროებით, — წამოიწყო დენიზმა, — და ამისთვის მათი მადლობელი ვარ. იცით, ყველაზე საშინელი პირველი დღე იყო. იმის თქმა მსურს, რომ ყველაზე მწვავედ ეს ჯორდანმა იგრძნო, ის მიხვდა, რალაც ისე რომ არ არის, მაგრამ ჩვენ ყველამ მეტ-ნაკლები სიძლიერით... იგივე ვიგრძენით.

— ჰო, — კისერი მოიქექა რეიმ, — თითქოს საბავშვო წიგნში მოვხვდით მოლაპარაკე ჩიტებითა და გველებით. ისინი გეუბნებიან:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„კარგად ხარ, ყველაფერი რიგზეა, ნუ მიაქცევ ყურადღებას, რომ დალლილობისგან ძლივს დაბობღავ, ყველაფერი მაგრად იქნება. ყველაფერი მაგრად იქნება“, — ასე ამბობდნენ ლინში, სადაც მე გავიზარდე.

— „ლინი, ლინი, ცოდვის ქალაქი, სამოთხეში გინდა, ჯოჯოხეთი კი გელის“, — წაიმღერა ტომმა.

— ჰო, შენ ეკლესიაში გზრდიდნენ, გასაგებია, — თავი დაუქნია რეიმ, — ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ბიჭმა იცოდა, რაღაც ისე რომ არ არის. მეც ვიცოდი და, მგონი, ყველამ. თუ ტვინის ნატამალი მაინც შეგრჩა და ისევ იმას ფიქრობ, რომ შეიძლება მათ დაუძვრე...

— მე ამის მანამ მჯეროდა, სანამ შემეძლო... იმიტომ, რომ მინდოდა, დამეჯერებინა, — გააწყვეტინა დენმა, — მაგრამ პატიოსნად გითხრათ, ამის შანსი არ გვქონდა. შეიძლება, ეს მოახერხონ სხვა ნორმალურებმა, მაგრამ ჩვენ, ჯოგების მკვლელებმა — არა. იმათ ჩვენი ხელში ჩაგდება სურდათ, ნებისმიერ ფასად.

— და თქვენი აზრით, რა გველოდება? — იკითხა კლაიმ.

— სიკვდილი, — აუღელვებლად უპასუხა ტომმა, — ყოველ შემთხვევაში, წესიერად მაინც გამოვიძინებ.

კლაის გონებაში რაღაც ნელ-ნელა ჩამოყალიბდა. მანამდე დენმა ახსენა, რომ მობილოიდების ქცევა შეიცვალა და ამის შესახებ ჯორდანს თავისი თეორია ჰქონდა. ახლა კი დაამატა: *„ნებისმიერ ფასად“*.

— აქედან არც ისე შორს ორი მობილოიდი ვნახე, ერთმანეთთან იჩხუბეს, — თქვა ბოლოს კლაიმ.

— ჰო? — დაინტერესების გარეშე იკითხა დენმა.

— *ლამით*, — დაამატა კლაიმ, — და მაშინ ყველამ შეხედა, — სახანძრო მანქანისთვის იჩხუბეს. როგორც ბავშვები ჩხუბობენ სათამაშოს ხელში ჩასაგდებად. ერთისგან ტელეპათიური სიგნალი მივიღე, მაგრამ, იმავდროულად, ორივე ლაპარაკობდა.

— ლაპარაკობდნენ? — უნდობლად შეეკითხა დენიზი, — ნამდვილი სიტყვებით?

— ნამდვილი სიტყვებით. მართალია, ყოველთვის გარკვევით ვერ წარმოთქვამდნენ, მაგრამ სიტყვები იყო. რამდენი ახალი გვამი ნახეთ, ვიდრე აქ მოხვიდოდით? მარტო ეს ორი?

— ალბათ, ათი-თორმეტი, — უპასუხა დენმა, — მას მერე, რაც იქ გავილვიძეთ, სადაც ნამდვილად ვიყავით, — მერე დანარჩენებს გა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დახედა. ტომმა, ჯორდანმა და დენიზმა თავი დაუქნიეს. რეიმ მხრები აიჩეჩა და მორიგი სიგარეტი გააბოლა, — მაგრამ სიკვდილის მიზეზის დადგენა ძნელია. შეიძლება ძველ მდგომარეობას უბრუნდებიან, ეს ჯორდანის თეორიას შეესაბამება, თუმცა, თითქოს მეტყველების უნარის შეძენა გათვალისწინებული არ არის. იქნებ, უბრალოდ, გვამებია, რომლებიც ჯოგმა არ წამოკრიფა. ახლა მკვდრების მიხედვა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი არ არის.

— მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი *ჩვენ ვართ* და სულ მალე გვაიძულებენ, გზა გავაგრძელოთ, — თქვა ტომმა, — არა მგონია, მილება... სტადიონზე მილება დღეს მოაწყონ, ალბათ, ხვალ იქნება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ სალამოს, დაბნელებამდე, კაშვაკში მისვლას გვაიძულებენ.

— ჯორდან, რა არის შენი თეორია? — შეეკითხა კლაი.

— ჩემი აზრით, პირველად პროგრამაში ჭია იყო, — უპასუხა ჯორდანმა.

2

— არ მესმის, — თავი გააქნია კლაიმ, — მაგრამ ეს გასაკვირი არ არის. კომპიუტერს რაც შეეხება, მხოლოდ და მხოლოდ ვორდის, ადობი-ილუსტრეიტერისა და მაკმეილის[1] მომხმარებელი ვარ. სხვა დანარჩენში არაფერი გამეგება. ჩემს მაკზე პასიანსი როგორ გამეშალა, ჯონიმ მასწავლა, — ამ სიტყვებმა ტკივილი მიაყენა. კიდევ უფრო შეწუხდა, როდესაც გაახსენდა, ჯონის ხელი როგორ იდო მის ხელზე და მაუსით მოქმედებას ასწავლიდა.

— კომპიუტერის ჭია რა არის, ხომ იცით?

— რალაც, რაც კომპიუტერში ხვდება და პროგრამებს აფუჭებს, ასე არაა?

ჯორდანმა თვალები გადაატრიალა, მერე თქვა:

— დაახლოებით. შეუძლია, კომპიუტერში შეძვრეს, გააფუჭოს ფაილები და მყარი დისკიც. თუ იმ მასალაში მოხვდა, რომელსაც გზავნით,

[1] *ვორდი (Word), ადობი-ილუსტრეიტერი (Adobe Illustrator), მაკმეილი (Mac-Mail) — ჩამოთვლილია ტექსტური რედაქტორის, გრაფიკული და მეილის მილება-გაგზავნის პროგრამების სახელწოდებები.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიმაგრებულ ფაილებშიც, ჭიას კი იქ მოხვედრა შეუძლია, მაშინ ავირუსებს მათაც და ვრცელდება. ზოგჯერ ჭიის კლონები ჩნდება. თავად ჭიას მუტაციის უნარი აქვს და ისე ხდება, რომ მისი კლონების მუტაცია კიდევ უფრო დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. გესმით?

— მესმის.

— იმპულსი კომპიუტერული პროგრამაა, რომელიც მოდემით გაუშვეს, ეს ერთადერთი საშუალებაა ქსელში გასავრცელებლად. და ეს პროგრამა დღემდე მოდემით ვრცელდება. მაგრამ მასში ჭია იყო და, ჰოდა, ახლა ის შიგნიდან ანადგურებს პროგრამას. ყოველდღიურად უფრო და უფრო აზიანებს. ნშნგ. იცით, რა არის ნშნგ?

— სან-ხოსემდე როგორ ჩავიდე, ისიც კი არ ვიცი, — უპასუხა კლაიმ.

— შემოკლებაა წინადადების „ნაგავი შეგაქვს, ნაგავი გამოგაქვს“.[1] ჩვენი აზრით, ის პუნქტები, სადაც მობილოიდები ნორმალურებს...

კლაის თავისი სიზმარი გაახსენდა.

— მაგასთან დაკავშირებით ყველაფერი გასაგებია.

— მაგრამ ახლა ცუდ პროგრამას იღებენ, გესმით? და ამას მოწმობს ფაქტები, იმიტომ, რომ ყველაზე ახალი მობილოიდები საერთო მასიდან გამოირჩევიან. ჩხუბობენ, სხვებისგან განსხვავებულად იქცევიან, უბრალოდ, ერთი ხელის მოსმით იხოცებიან.

— ასეთი დასკვნისთვის საკმარისი ფაქტები არა გაქვს, — მაშინვე უპასუხა კლაიმ. ჯონიზე ფიქრობდა.

ჯორდანს თვალები ჩაუქრა.

— მართალია, — მაგრამ მაშინვე ასწია ნიკაპი, — მაგრამ ეს ლოგიკურია. თუ ამოსავალი დებულება სწორია, რომ ეს ჭიაა, რომელიც სულ უფრო და უფრო ღრმად შედის პროგრამაში, მაშინ ყველაფერი ლოგიკას ექვემდებარება, ისევე როგორც ლათინური, რომელსაც იყენებენ. ახალი მობილოიდების გადატვირთვა ხდება, მაგრამ ახალი, გიჟური, არასტანდარტული გადატვირთვაა. ისინი ტელეპათიურ უნარებს კი იძენენ, მაგრამ კვლავინდებურად შეუძლიათ მეტყველება. ისინი...

— ჯორდან, *არ შეიძლება* ასეთი შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება მხოლოდ ორი მობილოიდის ქცევის საფუძველზე, რომლებიც...

[1] *ნშნგ (ნაგავი შეგაქვს, ნაგავი გამოგაქვს) — ინგლისურად ეს არის GIGO – Garbage in, Garbage out.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ ჯორდანს მისი სიტყვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია. სიმართლე ითქვას, ის საკუთარ თავს ესაუბრებოდა.

— ისინი ჯოგის წევრები არ ხდებიან, ან ყოველ შემთხვევაში, სრულფასოვანი წევრები არ არიან, იმიტომ, რომ ჯოგური იმპერატივი შეცდომით ჩაიბეჭდება. ამის ნაცვლად, გვიანამდე ღვიძავთ და ადრე დგებიან. ისევ აგრესიულები არიან თავისნაირებთან. და თუ პროგრამა სულ უფრო და უფრო უარესდება, თავადაც ხომ ხვდებით ამას? ბოლოს ვინც გახდა მობილოიდი, ის პირველი მოკვდება.

— ნამდვილი „სამყაროთა ომია“, — შენიშნა ტომმა.

— რაო? — მიუბრუნდა დენიზი, — მაგ ფილმის[1] სანახავად არ წავსულვარ. ჩავთვალე, რომ მეტისმეტად საშინელი რალაც იქნებოდა.

— უცხოპლანეტელებს ანადგურებს ვირუსი, რომელიც უსაფრთხოა ჩვენი ორგანიზმებისთვის, — განმარტა ტომმა, — ნამდვილი უზენაესი სამართლიანობა სახეზეა: მობილოიდები კომპიუტერული ვირუსისგან იხოცებიან.

— აგრესიულობას რაც შეეხება, მივესალმები, — ჩაიბურტყუნა დენმა, — დაე, ერთმანეთი გაუჟუჟავთ ამ დიად ბრძოლაში.

კლაი ისევ ჯონიზე ფიქრობდა. შერონზე, მაგრამ უფრო მეტად, ჯონიზე, რომელმაც დაწერა: *გეხვეწები, მოდი და წამიყვანე.* დიდი ასოებით დაწერა, თავისი ორივე სახელი მიაწერა და გვარიც, თითქოს ამით საკუთარ თხოვნას მეტი წონა შესძინა.

— თუ ეგ ბრძოლა ამ სალამოს არ მოხდა, ჩვენთვის დიდი ვერაფერი შელავათი იქნება, — რეი უისენგი წამოდგა და გაიზმორა, — ისინი, უბრალოდ, კაშვაკში მიგვერეკებიან. ჰოდა, ვიდრე ამის შესაძლებლობა ჯერ კიდევ არის, მინდა, მოვშარდო. უჩემოდ ნუ წახვალთ.

— ავტობუსით ნამდვილად ვერ წავალთ, — დაადევნა ტომმა რეის, რომელიც უკვე ბილიკს გაუყვა, — გასაღები შენ გიდევს ჯიბეში.

— იმედია, ყველაფერი გამოგივა, — ხუმრობით მიაძახა დენიზმა.

— ენამახვილები არავის უყვარს, ძვირფასო, — უპასუხა რეიმ, ვიდრე თვალს მიეფარებოდა.

— რას გვიპირებენ? თქვენ რას ფიქრობთ? — იკითხა კლაიმ.

ჯორდანმა მხრები აიჩეჩა.

---

[1] *ჰერბერტ უელსის რომანის „სამყაროთა ომი“ ეკრანიზაცია ეკრანებზე 2005 წელს გამოვიდა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— შეიძლება, რალაც საკაბელო ჭიელევით იყო, მაგრამ ქვეყნის სხვა რეგიონებთან დაკავშირებული. იქნებ მთელ მსოფლიოსთანაც. ამის ვარაუდის საფუძველს სტადიონის ზომები მაძლევს...

— და ლათინურიც, — ჩაერია, დენი, — ეს ხომ **lingua franca**[1] -ა.

— კი მაგრამ, ენა რალაში სჭირდებათ? — ვერ მიხვდა კლაი, — ისინი ხომ ტელეპათები არიან?

— ისინი, ძირითადად, სიტყვებით აზროვნებენ, — შეახსენა ტომმა, — ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. ასეა თუ ისე, ისინი ჩვენს სიკვდილით დასჯას აპირებენ, კლაი, ასე ფიქრობს ჯორდანი, დენი, და მეც.

— მეც, — ხმადაბლა დაამატა დენიზმა, რომელიც თავის მუცელს ეფერებოდა.

— უფრო ლათინური, ვიდრე **lingua franca**. და უკვე ვნახეთ, როგორ გამოიყენეს.

— „შეფოთისთავი" და ჰარიოლდი. ჰო, — თავი დაუქნია კლაიმ.

— ჯორდანს კიდევ ერთი იდეა აქვს, — ტომმა ბიჭს შეხედა, — ჩემი აზრით, უნდა მოუსმინო, კლაი. ყოველი შემთხვევისთვის. მიდი, ჯორდან.

ბიჭმა თავი გააქნია.

— არ შეიძლება.

ტომმა და დენ ჰარტუიკმა ერთმანეთს გადახედეს.

— ერთ-ერთმა თქვენგანმა მაინც უნდა მითხრას, — თქვა კლაიმ, — არა ვარ მართალი?

ხმა ჯორდანმა ამოიღო:

— ისინი ტელეპათები არიან, ამიტომ იცვამ, ვინ არიან ჩვენი ყველაზე საყვარელი ადამიანები.

კლაი მიხვდა, რომ ეს სიტყვები რალაც საზარელს მალავდა, მაგრამ მაინც ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა ბიჭი.

— მერე რა?

— პროვიდენსში ძმა მყავს, — უპასუხა ტომმა, — თუ ის ერთ-ერთი იმათგანია, სწორედ ის გახდება ჩემი ჯალათი. რასაკვირველია, თუ ჯორდანი მართალია.

— ჩემი და, — ამოიოხრა დენ ჰარტუიკმა.

[1] *Lingua franca* — *უნივერსალური ენა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჩემი ზედამხედველი საერთო საცხოვრებელში, — ჯორდანი გაფითრდა, — მას მობილური ჰქონდა, უკანასკნელი თაობის, რომელიც ვიდეოს ილებდა.

— ჩემი ქმარი, — აქვითინდა დენიზი, — რა იქნება, მკვდარი იყოს. ღმერთს ვევედრები, რომ მოკვდეს.

კიდევ რამდენიმე წამს კლაის არაფერი ესმოდა, მერე ყველაფერს მიხვდა, — *„ჯონი? ჩემი ჯონი?“* — დაინახა „დაფლეთილი კაცის“ ხელი თავზემოთ, გაიგონა, როგორ გამოაცხადა განაჩენი: *„Ecce homo insanus“* და მაშინ დაინახა საკუთარი ვაჟი, მისკენ მიმავალი, პატარების ლიგის კეპით, რომელიც შებრუნებული ეხურა; „რედ-სოკსის“ საყვარელ მაისურში, ზურგზე ტიმ უეიკფილდის გვარით. ჯონი, ასეთი პატარა, რომელსაც მილიონობით წყვილი თვალი მიაცილებდა ტელეპათიური ქსელის ჯოგური ენერგიის წყალობით.

მოლიმარი ბიჭუნა ჯონი. უიარაღო.

მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი კბილებით შეიარაღებული.

3

მოედანზე ჩამოწოლილი სიჩუმე რეიმ დაარღვია, თუმცა, ის მათ გვერდით არ იყო.

— ოჰ, ღმერთო! — გაისმა სადღაც ბილიკიდან, — შენი დედაც! — და პაუზის შემდეგ, — ეი, კლაი!

— რა მოხდა? — შეეხმიანა კლაი.

— აქ მთელი ცხოვრება გაატარე, ხომ ასეა? — ხმით რეი სრულებით არ ჰგავდა ყველაფრით კმაყოფილ ტურისტს. კლაიმ დანარჩენებს გადახედა და მათ გაოცებული მზერით უპასუხეს. ჯორდანმა მხრები აიჩეჩა და ხელები გაშალა, რამდენიმე წამით მობილოომის მსხვერპლიდან ჩვეულებრივ ბიჭუნად იქცა.

— ჰმ... შტატის ცენტრალურ ნაწილში ვცხოვრობდი, პრინციპში, ჰო, — კლაი ფეხზე წამოდგა, — რა მოხდა?

— მაშინ უნდა იცოდე, როგორ გამოიყურება შხამიანი თუთუბო და შხამიანი მუხა, ხომ ასეა?

დენიზმა გაცინება დააპირა, მაგრამ მოასწრო და ორივე ხელი პირზე აიფარა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰო, — კლაიმ თავი ვერ შეიკავა და გაიღიმა, იმიტომ, რომ გართლაც შეეძლო ამ მცენარეების სხვათაგან გამორჩევა. ერთხელ ისინი ჯონისა და მის მეგობრებს აჩვენა და აუხსნა, რატომ არ შეიძლებოდა, მათ მიჰკარებოდნენ.

— თუ შეიძლება, მოდი და შეხედე, — სთხოვა რეიმ, — ოლონდ მარტო მოდი, — მერე შეუჩერებლად დაამატა, — დენიზ, ყოველგვარი ტელეპათიის გარეშე ვგრძნობ, რომ იცინი. პირში წინდა ჩაიჩურთე, გოგონა.

კლაი დასასვენებელი მოედნიდან გავიდა, ჩაუარა გზის მაჩვენებელს — წარწერით: **თუ გასეირნებას გადაწყვეტთ, თან ნაიღეთ რუკა!** — მორაკრაკე მდინარეს. ტყე, როგორც შემოდგომაზე იცის, ულამაზესი იყო. წითლის სხვადასხვა ტონალობას წიწვოვანი ხეების მუქი მწვანე ფერი ეხამებოდა და გაიფიქრა (პირველად — არა), რომ თუ ადამიანს სიკვდილი უწერია, ამისთვის წელიწადის უარესი დროებიც არსებობს.

ეგონა, რეის ჩაწეული შარვლით დაინახავდა, მაგრამ არა, რეი ფიჭვიდან ჩამოცვენილი წიწვების ხალიჩაზე იდგა და შარვალიც თავის ადგილზე იყო. მის გვერდით შხამიანი თუთუბო არ ჩანდა, გარშემო ფოთლოვანი არაფერი იზრდებოდა. ასეთი ფერმკრთალი სახე კლაიმ მხოლოდ ერთხელ ნახა, როდესაც ელისი ნიკერსონების სამზარეულოდან სასტუმრო ოთახში გაიქცა და იქ აღებინა. კანი კი არ გასთეთრებოდა, არამედ თითქოს მოჰკვდომოდა. სიცოცხლე მხოლოდ თვალებში შერჩენოდა. ისინი უელავდა.

— აქ მოდი, — ასეთი ჩურჩულით მხოლოდ ციხის ეზოში ლაპარაკობენ, — მდინარის ხმაურში კლაიმ ძლივს გაარჩია სიტყვები, — ჩქარა. დრო ძალიან ცოტა დაგვრჩა.

— რეი, რა ჯანდაბაა...

— უბრალოდ, მისმინე. დენი და შენი მეგობარი ტომი მეტისმეტად ჭკვიანები არიან. ჯორდანიც. ზოგჯერ ჭკუა ხელს გიშლის. დენიზი ამ მხრივ უკეთესი ვარიანტია, მაგრამ ფეხმძიმედაა. ფეხმძიმე ქალს ვერ ვენდობი. ასე რომ, შენლა დარჩი, მისტერ მხატვარო. არ მომწონს, რომ ისევ ეძებ შენს შვილს, არადა, მისი საქმე წასულია. გულის სილრმეში იცი, შვილს ვერ დაიბრუნებ.

— ბიჭებო, ყველაფერი რიგზეა? — გაისმა დენიზის ხმა და კლაიმ, მართალია, რეის სიტყვებით გაოგნებულმა, მაგრამ მაინც გაიგონა მის ხმაში სიცივე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რეი, არ ვიცი, რას...

— არ იცი და დაე, ასე იყოს. უბრალოდ, *მისმინე*. ის, რაც უნდა ამ წითელკენგურუიან ნაგავს, არ მოხდება, თუ შენ ამას არ დაუშვებ. ესაა ყველაფერი, რაც უნდა იცოდე.

რეიმ ტყავის შარვალში ხელი ჩაყო, მობილური ტელეფონი და ქალალდის ზოლი ამოიღო. მობილური ჭუჭყის ფენით იყო დაფარული, ანუ მას კაბინეტებში კი არა, საველე პირობებში იყენებდნენ.

— ჯიბეში ჩაიდე. მოვა დრო და აქ ჩაწერილი ნომერი აკრიფე. როდის მოვა ეს დრო, მიხვდები. იმედია, მიხვდები.

კლაიმ მობილური აიღო. შეეძლო, აელო, შეეძლო, ხელიდან გაეშვა. ქალალდის ზოლი თითებიდან გაუსხლტა.

— *აიღე!* — მრისხანედ წაისისინა რეიმ.

კლაი დაიხარა და ქალალდის ზოლი აიღო. ათციფრიანი ნომერი დაინახა. პირველი სამი მენის შტატის კოდი იყო.

— *რეი, ისინი ხომ აზრებს კითხულობენ!* თუ ეს ტელეფონი მექნება...

— ჰო! — წაიჩურჩულა მან, — ისინი შენს თავში შემოძვრებიან და გაარკვევენ, რას ფიქრობ ამ დაწყევლილ მობილურ ტელეფონზე! სხვაზე რაზე შეიძლება იფიქრო პირველი ოქტომბრის შემდეგ? ყოველ შემთხვევაში, იმათ, ვისაც ამის უნარი შერჩენია, ჰა?

კლაი ჭუჭყიან, გაცვეთილ მობილურს დასცქეროდა. მასზე ორი ნებოვანი ზოლი იყო გადაკრული. ერთზე, ზედაზე, ეწერა: **მისტერ ფოგერტი,** ქვედაზე: **გერლივილის ქვის სამტეხლოს საკუთრება. გატანა აკრძალულია.**

— ჩაიდე შენს დაწყევლილ *ჯიბეში!*

ბრძანებით ნათქვამმა კი არა, მისი თვალების ავადმყოფურმა ელვარებამ აიძულა, დამორჩილებოდა. კლაი მობილურისა და ქალალდის ზოლის ჯიბეში ჩადებას შეუდგა. ჯინსი ეცვა, ბევრად ვიწრო ჯიბეებით, ვიდრე რეის ტყავის შარვალს ჰქონდა. მინას დასცქეროდა, იმაზე ფიქრობდა, როგორ გაეწია უფრო ფართოდ ჯიბე, როდესაც რეი მისკენ დაიხარა, ბუდიდან ორმოცდახუთკალიბრიანი რევოლვერი ამოაცალა. კლაიმ თავი ასწია და დაინახა, რეის იარალი ნიკაპზე მიებჯინა.

— შენს ბიჭს ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევ, კლაი. დამიჯერე. ეს ხომ ცხოვრება არ არის.

— რეი, არა!

რეიმ სასხლეტს დააჭირა. ორმოცდახუთკალიბრიანი „კოლტიდან“ გაშვებულმა ნაკვეთილმა ტყვიამ თავის ნახევარი წააცალა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტოტებიდან უთვალავი ყვავი აფრინდა. კლაი ვერც კი წარმოიდგენდა, ამდენი ფრინველი თუ მიმალულიყო ფოთლებში. შემოდგომის ცა მათმა ყრანტალმა გააყრუა.

ყვავების ყრანტალი კლაის ღრიალმა ჩაახშო.

4

ფიჭვნარში რბილი, შავი მიწის გათხრა ახალი დაწყებული ჰქონდათ, რომ მათ ტვინებში მობილოიდები შეძვრნენ. კლაიმ პირველად იგრძნო ზემოქმედება. როგორც ტომი ამბობდა, თითქოს ვილაცის ძლიერი ხელი ზურგში უბიძგებდა, მაგრამ ხელიცა და ზურგიც ახლა თავის ტვინში იყო. არც ერთი სიტყვა არ გაუგონია. მხოლოდ უბიძგებდნენ.

— დაგვამთავრებინეთ! — დაიყვირა მან და მაშინვე საკუთარ თავს უპასუხა უფრო მაღალი, კარგად ნაცნობი ხმით, — არა! წადით! ახლა!

— ხუთი წუთი! — არ თმობდა კლაი.

ამჯერად ჯოგმა ხმად დენიზი გამოიყენა.

— წადით! ახლა!

ტომმა რეის სხეული ოდნავ გათხრილ მიწაში ჩააგდო (თავის დარჩენილი ნაწილი ავტობუსის ერთ-ერთი სავარძლის თავმისადების გადასაფარებელში ჩადეს). რამდენიმე მუჭა მიწა მიაყარეს. ხელებით დაიზილეს საფეთქლები. გაუსაძლისი ტკივილი ტანჯავდათ.

— კარგი, კარგი, — თქვა კლაიმ და მაშინვე უპასუხა საკუთარ თავს, — წადით. ახლავე.

ბილიკით დაბრუნდნენ დასასვენებელ მოედანზე, წინ ჯორდანი მიუძღოდათ. ძალიან ფერმკრთალი იყო, მაგრამ, კლაის აზრით, ისეთი მაინც არა, როგორიც რეი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთს. ისეთი ნამდვილად არა. *„ეს ხომ ცხოვრება არ არის“*, — ასე თქვა სიკვდილის წინ.

გზატკეცილის მეორე მხარეს, თითქოს აღლუმზე გამოსული, ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე ჩამწკრივებულიყვნენ მობილოიდები. სულ მცირე, ოთხასი, მაგრამ მათ შორის „დაფლეთილი კაცი“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არ ჩანდა. დაასკვნა, რომ ის მათთან შეხვედრისთვის ემზადებოდა, მის სახლში ხომ ბევრი სავანე იყო.[1]

„თითოეულში სატელეფონო ხაზით“, — გაიფიქრა კლაიმ.

ავტობუსისკენ რომ გაემართნენ, მწკრივს სამი მობილოიდი გამოეყო. ორმა ჩხუბი დაიწყო, ერთმანეთს ტანისამოსი შემოახიეს, ხოლო მათი ბრდღვინვის სიტყვებად მიჩნევა სავსებით შესაძლებელი იყო (კლაის მოეჩვენა, თითქოს ერთმა თქვა *„ბოზისშვილო“*, მაგრამ შეიძლებოდა, შეცდა კიდეც). მესამე ნიუფილდისკენ მიმავალ გზას გაუყვა.

— მართალია, მწკრივი დატოვე, ჯარისკაცო! — ისტერიკულად აყვირდა დენიზი, — *ყველამ*, დატოვეთ მწკრივი!

მაგრამ არავინ განძრეულა და ვიდრე დეზერტირი შესახვევამდე მივიდოდა, რომლის იქით 160-ე გზატკეცილი სამხრეთით იკარგებოდა, ჩასკვნილმა ხანდაზმულმა მობილოიდმა ხელი გაიშვირა, მოგზაურს თავში სწვდა და მკვეთრად მოატრიალა. მოგზაური მაშინვე ასფალტზე დაენარცხა.

— გასაღები რეის აქვს, — დენს დაღლილი ხმა ჰქონდა. ცხენის კუდის უმეტესი ნაწილი ჩამოშლოდა და ახლა თმა მხრებზე ეფინა, — ვილაც უნდა დაბრუნდეს და...

— მე ავიღე, — უპასუხა კლაიმ, — საჭესთან დავჯდები, — პატარა ავტობუსის გვერდითა კარი გააღო. გრძნობდა, როგორ უბიძგებდნენ ზურგში. ხელები ჭუჭყითა და სისხლით ჰქონდა მოსვრილი. ჯიბეს მობილური ტელეფონი უმძიმებდა და თავში ეშმაკურმა აზრმა გაუელვა: იქნებ ადამმა და ევამ სამოთხიდან წასვლამდე რამდენიმე ვაშლი მონყვიტეს. რაღაც მაინც რომ გაეღეჭათ გრძელ გზაზე, შვიდას სატელევიზიო არხამდე და ლონდონის მეტროს ბომბებით გაძეძგილ ზურგჩანთებამდე რომ მიდიოდა, — დასხედით!

ტომმა რაღაც უცნაურად შეხედა.

— არ არის აუცილებელი ასეთი მხიარულება, ვან გოგ.

— რატომაც არა? — გაიღიმა კლაიმ. მერე საკუთარ თავს შეეკითხა, იქნებ მისი ღიმილი ისეთივეა, როგორიც რეის იყო, საზარელი და შემაძრწუნებელი, — ყოველ შემთხვევაში, თქვენი ყაყანის დიდხანს მოსმენა არ მომინევს. ყველანი ბორტზე! შემდეგი გაჩერებაა ᲙᲐᲨᲕᲐᲙᲘ=ᲐᲠᲐ-ᲢᲔᲚ.

---

[1] *გამოყენებულია სახარების სიტყვები: „მამაჩემის სახლში ბევრი სავანეა. ასე რომ არა, განა გეტყოდით, მივდივარ, რათა ადგილი გაგიმზადოთ-მეთქი?“ (იოანე; 14:2).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ ავტობუსში ასვლამდე იარაღის გადაგდება მოუხდათ.

მენტალური ბრძანება არც ერთს არ მიულია, არც მათი სხეულის კონტროლი დაქვემდებარებია რაიმე სუპერძალას. კლაის არ დასჭირვებია, თვალი ედევნებინა, მისი ხელი როგორ ილებდა ბუდიდან 45-კალიბრიან რევოლვერს. ეგონა, მობილოიდებს ეს არ შეეძლოთ, ყოველ შემთხვევაში, იმ მომენტში. მათი ხმების გამოყენებაც არ შეეძლოთ სათანადო ნებართვის გარეშე. მაგრამ მათ იგრძნეს ქავილი თავში, საშინელი, აუტანელი, გაძლების უკიდურეს საზღვრამდე მისული.

— ოჰ, *ღვთისმშობელო!* — ხმადაბლა წამოიყვირა დენიზმა და რამდენადაც შეეძლო, შორს მოისროლა 22-კალიბრიანი პისტოლეტი, რომელსაც წელზე ატარებდა. იარაღი ასფალტზე დაეცა. დენმა თავისი ავტომატური პისტოლეტი გადააგდო და ყოველი შემთხვევისთვის მონადირის დანაც მიაყოლა. დანა, მჭრელი პირით წინ, ლამის 160-ე გზატკეცილამდე გაფრინდა, მაგრამ იქ მდგარი მობილოიდებიდან არავინ განძრეულა და თვალიც არ დაუხამხამებია.

ჯორდანმა თავისი პისტოლეტი ავტობუსის სიახლოვეს, მიწაზე მოისროლა. მერე, ტკივილისგან სახედამანჭულმა და აკვნესებულმა, ზურგჩანთიდან ელისის იარაღიც ამოაძვრინა და ისიც მოისროლა. ასევე მოექცა ტომი „სერ სწრაფს“.

ავტობუსთან დახვავებულ იარაღს კლაიმ თავისი 45-კალიბრიანი რევოლვერიც დაამატა. იმპულსის გავრცელების შემდეგ ამ რევოლვერმა ორი კაცის სიცოცხლე შეიწირა, ასე რომ, დაუნანებლად მოიცილა თავიდან.

— აჰა, — თქვა და თვალებში შეხედა მობილოიდების ჭუჭყიან, დასახიჩრებულ სახეებს, რომლებიც გზატკეცილის მეორე მხარეს იდგნენ და უყურებდნენ, მაგრამ ყველა მათგანის განსხეულება „დაფლეთილი კაცი“ იყო, — სულ ესაა. კმაყოფილი ხართ? — და მაშინვე მიიღო პასუხი: *„რატომ. გააკეთა. იმან რატომ?“*

კლაიმ ნერწყვი გადაყლაპა. პასუხი მხოლოდ მობილოიდებს არ აინტერესებდათ. დენი და დანარჩენებიც უყურებდნენ. ჯორდანი, როგორც კლაიმ შენიშნა, ტომის ქამარს ჩაეჭიდა, თითქოს კლაის პასუხის ისე ეშინოდა, როგორც პატარას ქუჩის ხმაურის, რომელზედაც სატვირთო მანქანები მიხრიგინებენ.

— მან თქვა, რომ თქვენი ცხოვრების წესი ცხოვრება არ არის, — უპასუხა კლაიმ, — აიღო ჩემი რევოლვერი და ტვინი იქამდე გაასხა, ვიდრე მის შეჩერებას მოვახერხებდი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიჩუმეს მხოლოდ ყვავების ყრანტალი არღვევდა. მერე ჯორდანმა თქვა, ცივად და უაპელაციოდ: *„ჩვენი ცხოვრების წესი. ერთადერთია“*.

მერე დენმა თქვა, ისევ ისე ცივად: (*„როგორც ჩანს, მათ მრისხანება სჩვევიათ“*, — გაიფიქრა კლაიმ) *„ადით. ავტობუსში“*.

სალონში ავიდნენ. კლაი საჭესთან დაჯდა და გასაღები გადაატრიალა. ჩრდილოეთით, 160-ე გზატკეცილს გაუყვა. ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ მარცხნივ რაღაც მოძრაობა დაინახა. მობილოიდები. ისინიც ჩრდილოეთით მიდიოდნენ. გზის სავალი ნაწილის გასწვრივ, მის თავზე, თითქოს უხილავ კონვეიერზე იდგნენ, მიწის ზემოთ რვა დუიმის სიმაღლეზე რომ გაებათ. მოშორებით, სადაც გზა გორაკზე ადიოდა, უფრო მაღლაც იწევდნენ, თხუთმეტი ფუტის სიმაღლეზე, და ღრუბლებით თითქმის მთლიანად დაფარული ცის ქვეშ ადამიანების თალი იქმნებოდა. მობილოიდები, რომლებიც გორაკებზე ადიოდნენ და ჩადიოდნენ, კლაის უჩინარ „ამერიკულ მთებზე“ მსხდომ ადამიანებს აგონებდა.

მერე გრაციოზული სიმეტრია დაირღვა. ერთ-ერთი ფიგურა ჩამოვარდა, თითქოს იხვი გასროლით მოკლეს, და შვიდი ფუტის სიმაღლიდან მიწას დაენარცხა. მამაკაცი, ნაფლეთებად ქცეულ სპორტულ კოსტიუმში, ადგილზე დატრიალდა. ცალ ფეხზე წამოდგომას ცდილობდა და მეორეს მიათრევდა. როდესაც საათში თხუთმეტი მილის სიჩქარით მიმავალმა ავტობუსმა ჩაუარა, კლაიმ მისი ბრაზით მოქცეული სახე დაინახა, ტუჩებს აცმაცუნებდა და კლაის ეჭვი არ ეპარებოდა, სიკვდილის წინ სათქმელი სიტყვების ამოთქმას ცდილობდა.

— ესე იგი, ახლა უკვე ყველაფერი ვიცით, — დაარღვია სიჩუმე ტომმა. ჯორდანთან ერთად უკანა სავარძელზე იჯდა, რომლის უკან, საბარგო განყოფილებაში, მათი ზურგჩანთები ეწყო, — პრიმატები ადამიანებად იქცნენ, ადამიანები — მობილოიდებად, მობილოიდები — ლევიტაციის უნარის მქონე ტელეპათებად ტურეტის სინდრომით. ამით დასრულდა ევოლუცია.

— ტურეტის სინდრომი რა არის? — შეეკითხა ჯორდანი.

— ეშმაკმა წამილოს, თუ ვიცოდე, შვილო, — და გასაოცარია, მაგრამ ყველამ გაიცინა. სულ მალე სულს ძლივს ითქვამდნენ, ჯორდანიც კი, რომელმაც არ იცოდა, რატომ იცინოდა, ხოლო პატარა, ყვითელი ავტობუსი ნელა მიემართებოდა ჩრდილოეთისკენ. მობილოიდები წინ უსწრებდნენ, მერე ზემოთ იწევდნენ, იწევდნენ და ამ პროცესიას დასასრული არ უჩანდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კომპაქტი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

1

რეის თავის მოკვლის ადგილიდან, დასასვენებელი ადგილიდან, ერთი საათის გასულები იყვნენ, როდესაც ჩაუარეს სარეკლამო დაფას წარწერით:

ჩრდილოეთის ოლქების გამოფენა
5-15 ოქტომბერი
მოდით, ყველანი მოდით!!!
მოინახულეთ კაშვაკამაკის ჰოლი
და არ დაგავიწყდეთ უნიკალური
„ჩრდილოეთის მხარე“
• სლოტები (მათ შორის — ტეხასური ჰოლდ'ემი)
• „ინდური ბინგო“

თქვენ იტყვით „ოჰო!!!“

— ღმერთო, — ამოიოხრა კლაიმ, — გამოფენა. კაშვაკამაკის ჰოლი. ღმერთო. სწორედ იქ არის ჯოგისთვის შესაფერისი ადგილი.

— ეს რა გამოფენაა? — იკითხა დენიზმა.

— ჩვეულებრივი საოლქო ბაზრობა, — უპასუხა კლაიმ, — მაგრამ დანარჩენებზე უფრო მასშტაბური და თავისუფალი, იმიტომ, რომ TR-ში არ არსებობს არავითარი მკაცრი წესები, ისე, როგორც ეს ქალაქებშია მიღებული. ისევ ეს ჩრდილოეთის მხარე. მენში ყველამ იცის ამ ჩრდილოეთის მხარისა და კაშვაკის გამოფენის შესახებ. არანაკლები დიდებითაა მოსილი, ვიდრე მოტელი „ბინდი“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომი დაინტერესდა, რითი გაითქვა სახელი ჩრდილოეთის ოლქების გამოფენამ, მაგრამ, სანამ კლაი პასუხის გაცემას მოასწრებდა, დენიზმა წამოიყვირა:

— იესო და მარიამ! ვიცი, რომ მობილოიდები არიან, მაგრამ მათ დანახვაზე მაინც გული მერევა.

ქალი და მამაკაცი გზის გასწვრივ მტვერში ეყარნენ. მკვდრები, გაუგებარი იყო, ერთმანეთს ეხვეოდნენ თუ გაცხარებული შეტაკებისას მოესწრაფათ სიცოცხლე, მაგრამ მობილოიდების ცხოვრების წესს მოსაფერებლად მოხვევა თითქოს არ შეესაბამებოდა. ჩრდილოეთისკენ მიმავალ გზაზე კიდევ თორმეტიოდე გვამი ეგდო, იმ ჯოგის დანაკლისი, რომელიც მათ წასაყვანად იყო მოსული, და კიდევ, ორჯერ იმაზე მეტი სამხრეთისკენ მიმავალი მობილოიდი ნახეს, წყვილ-წყვილად თუ მარტო მიმავალი. ერთმა წყვილმა, რომელიც აშკარად ვერ აზროვნებდა, ავტობუსის გაჩერება სცადა, ავტობუსით სურდათ მგზავრობა.

— რა კარგი იქნება, ყველანი რომ წავიდნენ ჯოგიდან ან დაიხოცონ იქამდე, ვიდრე ის მოხდება, რასაც ხვალ გვიპირებენ, — მეოცნებე ხმით თქვა ტომმა.

— მაგის იმედი არ უნდა გვქონდეს, — უპასუხა დენმა, — თითოეულ მოკლულსა და დეზერტირს ათი და თხუთმეტი ისეთი ცვლის, რომლის პროგრამაც წინანდებურად მუშაობს, და ღმერთმა იცის, ეგეთი რამდენი გველოდება კაშვაკში.

— ნურც მაგის იმედი გაქვთ, — ცოტა არ იყოს, მეტისმეტი აგრესიულობით დაუპირისპირდა უკანა სავარძელზე მჯდარი ჯორდანი, — პროგრამის ვირუსი — ჭია — ხელწამოსაკრავი რამ სულაც არ არის. თავიდან შეიძლება მართლაც ასე ჩანს, მაგრამ მერე იქნება „ბუმ“ და ალარაფერი იმუშავებს. სტარ-მაგს ვთამაშობ, უფრო სწორად, ვთამაშობდი, მერე ერთმა კალიფორნიელმა ბიჭმა, რომელიც სულ აგებდა, ადგა და სისტემაში ჭია გაუშვა, მწყობრიდან გამოიყვანა ყველა სერვერი. ამიტომ მაგ ნაგვის გამო დაახლოებით ნახევარი მილიონი მოთამაშე ისევ კომპიუტერულ კრიბიჯს დაუბრუნდა.

— ჩვენ ერთი კვირა არა გვაქვს, ჯორდან, — შეახსენა დენიზმა.

— ვიცი, — თავი დაუქნია ბიჭმა, — და ისიც ვიცი, ერთ ღამეში არ შეიშლებიან, მაგრამ ასეთი რამ შესაძლებელია მოხდეს. იმედს არ ვკარგავ. არ მსურს, სიცოცხლე რეისავით დავასრულო. მან ხომ იმედი დაკარგა, — ჯორდანს ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომი მოეხვია.

— რეივით არ დაამთავრებ სიცოცხლეს. გაიზრდები და ისეთივე გახდები, როგორიც ბილ გეიტსია.

— არ მინდა, გავიზარდო და ისეთი გავხდე, როგორიც ბილ გეიტსია, — პირქუშად უპასუხა ჯორდანმა, — სანაძლეო დავდოთ, ბილ გეიტსს მობილური ტელეფონი ჰქონდა. მეტიც, სანაძლეო დავდოთ, რომ ათი მობილური მაინც ჰქონდა, — ბიჭი წელში გაიმართა, — მაგრამ ძალიან ბევრს დავთმობდი იმის გასაგებად, რამდენი რეტრანსლატორი განაგრძობს მუშაობას ამ დაწყევლილი *ელექტრობის* გათიშვის შემდეგ.

— სსმფს[1], — ამოიოხრა დენმა.

ტომი და ჯორდანი მისკენ შებრუნდნენ. ტომის ტუჩები ლიმილისმაგვარმა რალაცამ გააპო. მას კლაიმაც კი შეავლო თვალი უკანა ხედვის სარკეში.

— თქვენ გგონიათ, ვხუმრობ. ნეტავ ასე იყოს. ამაზე რომელიღაც ჟურნალში წავიკითხე სტატია. როცა ჩემი ექიმის მოსაცდელში ვიჯექი არც ისე სასიამოვნო გამოკვლევის მოლოდინში, როდესაც ხელზე ხელთათმანს იცვამენ და მერე...

— ძალიან გთხოვ, — შეაწყვეტინა დენიზმა, — გამოვტოვოთ ექიმთან შენი ვიზიტის მიზეზის აღწერა. ისედაც გული გვიწუხს ყველას. სტატიაში რა წაიკითხე?

— 9/11-ის შემდეგ სსმფს-მ კონგრესისგან მოითხოვა და მიიღო კიდეც მოზრდილი თანხა, ზუსტი რიცხვი არ მახსოვს, მაგრამ ათეულობით მილიონ დოლარზე იყო საუბარი, ავარიული გენერატორების მეშვეობით რეტრანსლატორების ქსელის ასაგებად მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელსაც ხანგრძლივი ვადით უნდა ემოქმედა ტერორისტების თავდასხმის შემთხვევაში, — დენი დადუმდა, — როგორც ვხვდები, ფული ტყუილად არ დახარჯულა.

— სსმფს, — გაიმეორა ტომმა, — აღარც კი ვიცი, ვიცინო თუ ვიტირო.

— გირჩევდი, შენი კონგრესმენისთვის მიგეწერა, — მიუბრუნდა დენიზი, — მაგრამ, ეტყობა, უკვე ჭკუაზე არის შეშლილი.

---

[1] *საგანგებო სიტუაციების მართვის ფედერალური სააგენტო (FEMA – Federal Emergency Management Agency) — დაარსდა 1979 წელს ადამიანების მოქმედებით, სტიქიური მოვლენებით ან ბირთვული ომით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების პირობებში მმართველობის ფედერალური ორგანოების საქმიანობის კოორდინირების მიზნით.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ეგ იმპულსამდეც შეშლილი იყო, — ტომი აშკარად რაღაც სხვაზე ფიქრობდა. კისერი მოიქექა, მერე ფანჯარაში გაიხედა, — სსმფს, არადა, ლოგიკურია. ეს დამპალი სსმფს.

— მე კი *ძალიან მაინტერესებს*, რატომ დახარჯეს ამდენი ძალისხმევა ჩვენს აქ ჩამოსაყვანად, — თემა შეცვალა დენმა.

— და იმის გარანტიით, რომ რეის მაგალითს არავინ მიჰბაძავს, — დაამატა დენიზმა, — ამასაც ნუ დაივიწყებთ, — მცირე ხანს დუმდა, — არც მივბაძავდი. თვითმკვლელობა ცოდვაა. აქ რაც უნდათ, ის მიქნან, მაგრამ იმ ქვეყნად ჩემს შვილთან ერთად წავალ. ამის მტკიცედ მჯერა.

— ლათინური, აი, რა არ მაძლევს მოსვენებას, — წამოიწყო დენმა, — ჯორდან, შეიძლება თუ არა მობილოიდებს აეღოთ ის, რაც ადრე არსებობდა, გადაეკეთებინათ და ახალი პროგრამა მიეღოთ? თუ ის ძველი არ ეწინააღმდეგება მათ... ჰმმმმ... როგორ ვთქვა... შორსმიმავალ მიზნებს?

— ალბათ, შეიძლება, — უპასუხა ჯორდანმა, — ზუსტად არ ვიცი, იმიტომ, რომ ჩვენთვის უცნობია, ზუსტად რა სახის ბრძანებებს შეიცავდა იმპულსი. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არ არის კომპიუტერული პროგრამირება. ის თვითგანვითარებადი პროგრამაა. ორგანული. როგორც სწავლება. ჰო, ჩემი აზრით, ის შესწავლადი პროგრამაა. როგორც დირექტორი იტყოდა, ამ განმარტებაში სრულად ეწერება, მაგრამ ისინი ყველანი ერთად სწავლობენ, იმიტომ, რომ...

— ტელეპათიის წყალობით, — ჩაურთო ტომმა.

— ასეა, — დაეთანხმა ჯორდანი. სახეზე აღელვება დაეტყო.

— ლათინური რატომ არ გაძლევთ მოსვენებას? — შეეკითხა ჯლაი დენს და უკანა ხედვის სარკეში ჩაიხედა.

— ტომმა თქვა, ლათინური სამართლიანობის ენაა და ჩემი აზრითაც, ასეა, მაგრამ გარდა ამისა, მგონი, შურისძიების ენაცაა, — დენი წინ გადაიხარა. სათვალის მინების მილმა მის თვალებში დაღლილობა და ნუხილი ჩამდგარიყო, — იმიტომ, რომ ლათინურით თუ მის გარეშე, *მათ არ შეუძლიათ ფიქრი*. დარწმუნებული ვარ. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. მათი მამოძრავებელი ძალა არა რაციონალური აზროვნება, არამედ პირწმინდა მრისხანებისგან შობილი ბრბოს შეგნებაა.

— ვაპროტესტებ, თქვენო ღირსებავ, ეს ფროიდისეული გამონათქვამია! — მხიარულად წამოიძახა ტომმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— შეიძლება, ფროიდი, შეიძლება, ლორენცი, — უპასუხა დენმა, — მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, სცადეთ და გააბათილეთ ჩემი მოსაზრება. ნუთუ შეიძლება გაგვიკვირდეს, როდესაც ამგვარი ერთიანობა, სიძულვილითა და მრისხანებით გამოკვებილი, სამართლიანობას შურისძიებით შეცვლის?

— ამას რამე მნიშვნელობა აქვს? — იკითხა ტომმა.

— შესაძლოა, ჩვენთვის აქვს, — თქვა დენმა, — ერთხელ ამერიკაში მოქმედი ლინჩის სასამართლოების შესახებ საბაზო კურსს ვკითხულობდი და დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, შურისძიება გაცილებით სასტიკ და მტანჯველ სიკვდილს განაპირობებს.

2

ამ საუბრიდან მცირე ხანში გზის იმ მონაკვეთზე გავიდნენ, რომელსაც კლაი კარგად იცნობდა, და გული დასწყდა, რადგან რეალურ ცხოვრებაში შტატის ამ ნაწილში არასოდეს ყოფილა. იყო მხოლოდ ერთხელ, ნორმალურების მობილოიდებად გარდაქმნის შესახებ სიზმარში.

გზის სავალ ნაწილზე გარდიგარდმო ღია მწვანე საღებავით ეწერა: ᲙᲐᲨᲕᲐᲙᲘ=ᲐᲠᲐ-ᲢᲔᲚ. ავტობუსმა წარწერას საათში ოცდაათი მილის სიჩქარით გადაუარა, ხოლო მობილოიდები ისევ წინ უსწრებდნენ მათ, მარცხენა მხარეს კუდიანებივით მიფრინავდნენ.

„ეს სიზმარი არ ყოფილა, — გაიფიქრა კლაიმ და გზის ორივე მხარეს ნაგვით სავსე ბუჩქებს შეავლო თვალი. ლუდისა და უალკოჰოლო სასმლის ქილებით სავსე იყო იქაურობა. კარტოფილის ჩიფსების, დორიტოსისა და ჩიზ-დუდლზის დახეული პაკეტები ბორბლების ქვეშ შარიშურობდა, — *აქ ნორმალურები ორრიგად იდგნენ, ჩიფსებს ჭამდნენ, ლუდსა და გაზიან სასმელს აყოლებდნენ, თავში უჩვეულო ქავილს გრძნობდნენ, თითქოს ვილაცის უხილავი ხელი ზურგში უბიძგებდათ, რომ ყველაზე ახლობელი ადამიანისთვის, რომელიც იმპულსის დროს დაკარგეს, ტელეფონით რამდენიმე სიტყვა ეთქვათ. აქ იდგნენ და უსმენდნენ, როგორ ამბობდა „დაფლეთილი კაცი“: „მარცხნივ და მარჯვნივ, ორრიგად, ყველაფერი*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სწორია! სწორედ ასე! იმოძრავეთ! იმოძრავეთ! კიდევ ბევრმა უნდა მოასწროს გავლა დაბნელებამდე!".

გზიდან მოშორებით, წინ, ხეები მოჩანდა. ის, რაც ადრე საძოვარი იყო, სადაც ცხვრები და ძროხები ბალახს ცოხნიდნენ, ახლა ისე გაეთელათ, თითქოს ამ ადგილზე როკკონცერტი ჩაეტარებინოთ. ერთი პავილიონი ქარს წაელო, მაგრამ მეორე, ხეებში გახლართული, ბინდში ისე ფართხალებდა, როგორც გრძელი, ყავისფერი ენა.

— ეს ადგილი დამესიზმრა, — აღელვებისგან ხმა აუკანკალდა ჯორდანს.

— მართლა? — შეეკითხა კლაი, — მეც.

— აქ ნორმალურები მოდიოდნენ, მაჩვენებლის მიხედვით, „კაშვაკი=არა-ტელ", და მათ სწორედ ამ ადგილზე ხვდებოდნენ, — დასძინა ჯორდანმა, — რაღაც საკონტროლო-გამშვები პუნქტებივით იყო, არა, კლაი?

— რაღაც თვალსაზრისით, ჰო, — დაეთანხმა კლაი, — ჰო, საკონტროლო-გამშვებ პუნქტებს ჰგავდა.

— დიდი მუყაოს ყუთები ედგათ, მობილურებით სავსე, — ჰყვებოდა ჯორდანი. ეს დეტალი კლაის თავისი სიზმრიდან არ ახსოვდა, მაგრამ ბიჭის სიტყვების მართებულობაში ეჭვი არ ეპარებოდა, — მობილურების მთა... და ყველა ნორმალურს დარეკვის საშუალება ჰქონდა. ბედნიერები.

— ეს როდის დაგესიზმრა, ჯორდი? — შეეკითხა დენიზი.

— წუხელ, — ჯორდანმა სარკეში თვალი თვალში გაუყარა კლაის, — მათ იცოდნენ, რომ იმ ადამიანებს, ვისთანაც დარეკვა სურდათ, ვერ დაელაპარაკებოდნენ. სულის სილრმეში იცოდნენ, მაგრამ მაინც რეკავდნენ. მობილურს იღებდნენ. ნომერს კრეფდნენ და უსმენდნენ. უმეტესობა წინააღმდეგობასაც კი არ უწევდა. რატომ, კლაი?

— ალბათ, იმიტომ, რომ ბრძოლით დაილალნენ, — უპასუხა კლაიმ, — სხვებად ყოფნამ დალალა. უნდოდათ, ახლებურად მოესმინათ „სპილუჩას გასეირნება".

დატკეპნილი მიწის მონაკვეთები გაიარეს, სადაც პავილიონები იდგა. წინ მაგისტრალისგან გადასახვევი და გვერდითი გზა მოჩანდა. უფრო ფართო, უკეთესი მიწის საფრით, ვიდრე ძირითადი მაგისტრალი. მობილოიდები სწორედ ამ გვერდითა გზაზე უხვევდნენ და ხეების მილმა ალარ ჩანდნენ, ხოლო ხეების თავზე, დაახლოებით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნახევარი მილის ან ცოტა მეტის დაშორებით, ფოლადის ნაგებობა მოჩანდა, რომელიც კლაიმ ერთ-ერთ სიზმარში ნახა. გაიფიქრა, რომ შესაძლოა, ეს ერთ-ერთი ატრაქციონი იყო, ან შესაძლოა, პარაშუტით გადმოსახტომი კოშკი. მაგისტრალისა და გვერდითა გზის გადაკვეთაზე სარეკლამო დაფა იდგა ბედნიერი ოჯახის გამოსახულებით (მამა, დედა, ბიჭუნა და მისი უმცროსი და), რომელიც საოცრებათა ქვეყანაში მიდიოდა, სადაც მას დახვდებოდა ატრაქციონები, თამაშები, სასოფლო-სამეურნეო მილნევათა გამოფენა.

ჩრდილოეთის ოლქების გამოფენა
ფეიერვერკების გალა-შოუ 5 ოქტომბერს
ენვიეთ კაშვაკამაკის ჰოლს
„ჩრდილოეთის მხარე“ ღიაა
24/7 5-15 ოქტომბერი
თქვენ იტყვით, „ოჰო!!!“

სარეკლამო ფართან კლაიმ „დაფლეთილი კაცი“ დაინახა. მან ხელი ნინ გამოიშვირა, თითქოს ამბობდა: *„შეჩერდი!“*

„ოჰ, ღმერთო“, — გაიფიქრა კლაიმ და პატარა ავტობუსი მის გვერდით გააჩერა. „დაფლეთილი კაცის“ თვალები, რომლებიც კლაიმ გეიტენში ყოფნისას ვერ დახატა, ერთდროულად ჩამქრალიც იყო და თან არაჯანსაღი ინტერესით სავსე. კლაი თავს არწმუნებდა, შეუძლებელია, ერთდროულად ასეთი ყოფილიყო მისი თვალები, მაგრამ აშკარად იყო. დიდწილად თვალები სრულიად უაზრო ჰქონდა, მაგრამ დროდადრო ისინი უსიამოვნოდ ცოცხლდებოდა.

„შეუძლებელია, ჩვენთან ერთად მგზავრობის სურვილი ჰქონდეს!“

მაგრამ „დაფლეთილ კაცს“ სწორედ ეს სურდა. მან ხელები კარისკენ გაიშვირა, ჯერ მიატყუპა, მერე გაშალა. თავად ჟესტი ზიზღს არ იწვევდა (თითქოს მამაკაცი მათ უჩვენებდა, ეს ჩიტი გაფრინდაო), მაგრამ ხელები ჭუჭყისგან გაშავებოდა, ხოლო მარცხენაზე ნეკი ორ ადგილზე გადატეხოდა.

„აი, თურმე, როგორი არიან ისინი, ახალი ადამიანები, — გაიფიქრა კლაიმ, — *ტელეპათები, რომლებიც არ იბანენ“.*

— არ ამოუშვა, — დენიზს ხმა უკანკალებდა.

კლაიმ, რომელმაც ავტობუსის გვერდით მობილოიდების გაჩერებული კონვეიერი დაინახა, თავი გააქნია.

— არჩევანი არა მაქვს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ისინი შენს თავში შემოძვრებიან და გაიგებენ, რას ფიქრობ დაწყევლილ მობილურზე, — თქვა რეიმ, თითქმის ჩაიფრუტუნა, — განა პირველი ოქტომბრის შემდეგ ყველა ამაზე არ ფიქრობს?“

„იმედია, მართალი ხარ, რეი, — გაიფიქრა კლაიმ, — იმიტომ, რომ დაბნელებამდე კიდევ ნახევარი საათია. სულ ცოტა, ნახევარი საათი“.

ბერკეტი გამოსწია და კარი გააღო. „დაფლეთილი კაცი“, გახეთქილი ქვედა ტუჩით, რომელიც მარადიულ ღიმილში გაყინულიყო, სალონში ავიდა. ჩონჩხად ქცეულ სხეულზე ჭუჭყიანი წითელი „კენგურუ“ ისე ეკიდა, როგორც საკიდარზე. ავტობუსში მსხდომთაგან ვერც ერთი ნორმალური ვერ დაიკვეხნიდა სისუფთავეს, პირველი ოქტომბრის შემდეგ პირად ჰიგიენაზე ზრუნვას პრიორიტეტული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მაგრამ იმ სიმყრალემ, რომელიც „დაფლეთილი კაცისგან“ მოდიოდა, კლაის ლამის თვალები აუწვა. ეს იყო დამწიფებული ყველის სუნი, რომელიც თბილ ოთახში დატოვეს დასალპობად.

„დაფლეთილი კაცი“ კართან, პირით მძღოლისკენ მდებარე სკამზე ჩამოჯდა და კლაის მიაჩერდა. მის თვალებში ბურუსი და რაღაც უცნაური ცნობისმოყვარეობა იდგა.

მერე ტომი ალაპარაკდა, წვრილი, მრისხანებით აკანკალებული ხმით, რომელიც კლაიმ მხოლოდ ერთხელ მოისმინა — მაშინ ტომმა ფაშფაშა დედაკაცს მიაძახა: „მორჩა, თამაში დამთავრებულია“, როდესაც ქალი ელისს სამყაროს დასასრულის შესახებ უქადაგებდა, თან ბიბლიას იქნევდა.

— რა გინდათ ჩვენგან? მთელი მსოფლიო თქვენი გახდა, *ჩვენგან* რა გინდათ?

„დაფლეთილი კაცის“ დამახინჯებული ტუჩები შეირხა და წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ჯორდანს წამოსცდა. მხოლოდ ერთი სიტყვა, ნათქვამი უსიცოცხლო, განყენებული ხმით: „*სამართლიანობა*“.

— როდესაც სამართლიანობაზეა საუბარი, — მიუთითა დენმა, — ვეჭვობ, წარმოდგენა გქონდეთ, ეს რა არის.

„დაფლეთილმა კაცმა“ ჟესტით უპასუხა: ხელი გვერდითა გზისკენ გაიშვირა, ხელისგულით ზემოთ, თითქოს ამბობდა: „*წადი*“.

ავტობუსის დაძვრასთან ერთად მობილოიდების კონვეიერიც ამოძრავდა. რამდენიმე მწკრივიდან გამოვარდა, ჩხუბობდნენ, მაგრამ კლაიმ უკანა ხედვის სარკეში სხვებიც დაინახა, რომლებიც გზატკეცილისკენ დაიძრნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მეომრებს კარგავ, — შენიშნა კლაიმ.

„დაფლეთილ კაცს“ არ უპასუხია, ჯოგმა უკანასკნელი წინადადების კომენტირება საჭიროდ არ ჩათვალა. მისი თვალები, ხან გამოცარიელებული, ხან ცნობისმოყვარე, ხან გამოცარიელებული და ცნობისმოყვარე ერთდროულად, ისევ კლაის უმზერდა. კლაიმ თავი დაარწმუნა, რომ მათ მზერას მთელი სხეულით გრძნობდა. „დაფლეთილ კაცს“ ჭუჭყისგან განაცრისფრებული, გადაჯვარედინებული თითები მუხლებზე, ოდესლაც ლურჯ ჯინსზე ედო. მერე გაიღიმა. იქნებ ეს მისი პასუხი იყო. დენი მართალი აღმოჩნდა. მწკრივიდან გასულ თითოეულ მობილოიდზე (ჯორდანის თქმით, აწყვეტილზე) ათობით სხვა მოდიოდა, მაგრამ კლაის წარმოდგენა არ ჰქონდა, რამდენი იყვნენ, ვიდრე ნახევარი საათის შემდეგ ტყე არ მიილია. ხის თაღის ქვეშ გაიარეს, რომელსაც ეწერა: **კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩრდილოეთის ოლქების გამოფენაზე.**

3

— ღმერთო დიდებულო! — აღმოხდა დენს.

დენიზმა უკეთ გამოხატა ის გრძნობა, რომელმაც კლაი მოიცვა: მან მოგუდული ხმით იყვირა.

პირველ სავარძელზე მოკალათებული „დაფლეთილი კაცი“ კლაის სანახევროდ გამოცარიელებული თვალებით უმზერდა, გონებასუსტი ბავშვის გაბოროტებული თვალებით, რომელიც მზადაა, რამდენიმე ბუზს ფრთები დააგლიჯოს. „*მოგწონს?* — თითქოს ამბობდა მისი იქედნური ღიმილი, — *მაგარია, არა? მთელი გუნდი აქ არის!*“ რასაკვირველია, იქედნური ღიმილის მნიშვნელობა ყველაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო, მათ შორის: „*ვიცი, ჯიბეში რა გიდევს*“.

თაღის იქით ცენტრალური ხეივანი და ატრაქციონები იწყებოდა. თუ გავითვალისწინებთ, ისინი როგორ იდგა, ყველაფერი იმპულსამდე იყო განთავსებული. კლაიმ არ იცოდა, გამოფენის ტექნიკურმა სამსახურმა ზუსტად რამდენი პავილიონის დადგმა მოასწრო, იმიტომ, რომ ზოგიერთი ქარმა წაილო, ისევე, როგორც ბაზრობიდან ექვსი თუ რვა მილის დაშორებით მდებარე საკონ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტროლლო-გამშვები პუნქტის პავილიონები. ამჟამად დაახლოებით ექვსიოდე პავილიონი მოჩანდა და მათ კალთებს თითქოს საღამოს ქარი არხევდა. სანახევროდ იყო აწყობილი ატრაქციონი „შეშლილი ჭიქები“ და „საშინელებათა სახლი“, ცენტრალური ხეივნის მეორე მხარეს (ფასადის იმ ნაწილზე, რისი აწყობაც მოასწრეს, მოჩანდა წარწერა: **ნეგისმიერის შეშინებას შევძლებთ!** — და მის ქვემოთ ჩონჩხები ცეკვავდნენ). გამოსაყენებლად მზად მხოლოდ ეშმაკის ბორბალი და პარაშუტით გადმოსახტომი კოშკი იყო, მაგრამ ილუმინაციის არარსებობის გამო ორივე მეტისმეტად პირქუშად მოჩანდა, კლაის წამების გიგანტურ იარაღებს აგონებდა. მაგრამ კოშკის თავზე ერთადერთი წითელი ნათურა ციმციმებდა, როგორც ჩანს, აკუმულატორით მომუშავე.

კოშკისგან მოშორებით წითლად მოპირკეთებული, გრძელი, ათეულობით ფარდულის სიგრძის თეთრი შენობა იდგა. მის კედლებზე ჩალა შემოეწყოთ. ამ იაფფასიან საიზოლაციო ფენაში ალაგ-ალაგ, ერთმანეთისგან ათი-თორმეტი ფუტის დაშორებით, ამერიკის დროშების ხის ტარები ჩაერჭოთ. დროშებს საღამოს ქარი არხევდა. კედლებიც დროშის ფერებში შესრულებული ნაჭრის გირლანდებით გაეწყოთ და მოჩანდა ღია ცისფერი წარწერა:

ჩრდილოეთის ოლქების გამოფენა
კაშვაკამაკის ჰოლი

მაგრამ მათ ყურადღებას სრულიად სხვა რამ იპყრობდა. პარაშუტით გადმოსახტომი კოშკი კაშვაკამაკის ჰოლიდან რამდენიმე აკრის ფართობის მოედნით იყო დაშორებული. სწორედ იქ იკრიბებოდა ხოლმე ხალხი, რომ ეყურებინა შინაური ცხოველების კონკურსების, ტრაქტორების სიმძლავრის დემონსტრირების, საღამოს კონცერტებისა და, რა თქმა უნდა, გამოფენის გახსნისა და დახურვის აღსანიშნავი ფეიერვერკისთვის. მოედნის მთელ პერიმეტრს ლამპიონები და დინამიკებისთვის განკუთვნილი სვეტები გასდევდა. ახლა ეს მინდორი მობილოიდებით იყო სავსე. მხარდამხარ, პირით თაღისკენ იდგნენ და პატარა, ყვითელ ავტობუსს თვალს არ აცილებდნენ.

კლაის ყოველგვარი იმედი, რომ ჯონის — ან შერონს — დაინახავდა, იმ წუთს გაცამტვერდა. ჯერ გაიფიქრა, რომ მოედანზე დაახლოებით ხუთი ათასი მობილოიდი უნდა ყოფილიყო. მერე ისინი ახლომდებარე ავტოსადგომზეც დაინახა და თავდაპირველი რიცხვი შეიცვალა მატების სასარგებლოდ. რვა ათასი. სულ მცირე, რვა ათასი მობილოიდი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„დაფლეთილი კაცი" ისევ ავტობუსში იჯდა, იმ სავარძელზე, რომელსაც, ჩვეულებრივ, ნიუფილდის სკოლის დაწყებითი სკოლის მესამეკლასელი იკავებდა ხოლმე, კლაის ულიმოდა, მოგლეჯილი ქვედა ტუჩის ცალი მხრიდან კბილები მოუჩანდა. *„მოგწონს?"* — თითქოს ამას ამბობდა ეს იქედნური ღიმილი და კლაიმ ისევ შეახსენა საკუთარ თავს, რომ შესაძლოა, ასეთი ღიმილი უამრავ სხვა რამეს ნიშნავდეს.

— ამ სალამოს ვინ იმღერებს? ვინს გილი?[1] თუ, ბიჭებო, ბანკის გაძარცვა მოახერხეთ და ალან ჯექსონი[2] ჩამოიყვანეთ? — ტომი გახუმრებას ცდილობდა და კლაის მისი ტაშით დაჯილდოება სურდა, მაგრამ ტომის ხმაში აშკარად ისმოდა შიში.

„დაფლეთილმა კაცმა" კლაის შეხედა და შუბლზე პატარა ვერტიკალური ნაოჭი გაუჩნდა, თითქოს რაღაცამ ჩიხში შეიყვანა.

კლაის ცენტრალური ხეივნის, პარაშუტის გადმოსახტომი კოშკისა და მის მიღმა შეკრებილი მდუმარე ბრბოსკენ ნელა მიჰყავდა ავტობუსი. გვამები აქაც მრავლად იყო, იმ მკვდარ ბუზებს აგონებდა, რომლებსაც უეცარი აცივების შემდეგ ფანჯრის რაფაზე პოულობ. მთელი ყურადღება ხელების მოდუნებისკენ მიმართა. არ სურდა, „დაფლეთილ კაცს" დაენახა, როგორ გაუთეთრდა საჭეზე ჩაბღუჯული თითები.

„და ეცადე, ჩქარა არ იარო. მშვიდად და ნელა წადი. მარტო შენ გიყურებს. მობილოიდებს რაც შეეხება, რაზე ფიქრობს ყველა პირველი ოქტომბრის შემდეგ?"

„დაფლეთილმა კაცმა" კლაის გამრუდებული თითი მოუშვირა.

— არა-ტელ, შენ, — წარმოთქვა კლაიმ უცხო ხმით, — *Insanus*.

— ჰო, არა-ტელ მე, ისინი არა-ტელ, აქ აშკარად საქმე არაფერი გვექნება, — უპასუხა კლაიმ, — მაგრამ შენ, ალბათ, ჩვენზე იზრუნებ, ასე არ არის?

„დაფლეთილმა კაცმა" გაილიმა, თითქოს ამბობდა, დიახ, ასეა, მაგრამ ვერტიკალური ნაოჭი ისევ ადგილზე რჩებოდა. რაღაცის გამო ისევ ჩიხში იყო. იქნებ კლაი რიდელის თავში რაღაც აზრები არ მოეწონა?

---

[1] *ვინს გილი (დაბ. 1957) — ამერიკელი ქანთრისა და ბლუზის მომღერალი, მულტიინსტრუმენტალისტი, „გრემის" მრავალი პრიზის მფლობელი.*

[2] *ალან ჯექსონი (დაბ. 1958) — ამერიკელი ქანთრის მომღერალი და ავტორი. მთელ მსოფლიოში მისი 80 მლნ-ზე მეტი ჩანაწერია გაყიდული. ის ქანთრის მეფედ ითვლება.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კლაიმ უკანა ხედვის სარკეში დაინახა, როგორ უახლოვდებოდნენ ცენტრალურ ხეივანს.

— ტომ, შენ მკითხე, რა არის ჩრდილოეთის მხარე.

— მაპატიე, კლაი, მაგრამ ჩემი ინტერესი ამოიწურა, — უპასუხა ტომმა, — შესაძლოა, იმიტომ, რომ არ ველოდი ამდენ დამხვდურს.

— მაგრამ ეს მართლაც საინტერესოა! — წამოიძახა აგზნებულმა კლაიმ.

— რა არის ასეთი? — შეეკითხა ჯორდანი.

ღმერთო, დალოცე ჯორდანი. მას ცნობისმოყვარეობა სიცოცხლის ბოლო წუთამდე გაჰყვებოდა.

— ჩრდილოეთის მხარის გამოფენა XIX საუკუნეში დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა, — აუხსნა კლაიმ, — ჩვეულებრივი სასოფლო-სამეურნეო ბაზრობა იყო, სადაც ადგილობრივი ხელოსნების ნაწარმი, საკვები, შინაური საქონელი და ფრინველი იყიდებოდა. ეს ყველაფერი გამოფენილი იყო კაშვაკამაკის ჰოლში, სადაც... როგორც ჩანს, ამალამ დაგვტოვებენ.

„დაფლეთილ კაცს“ შეავლო თვალი, მაგრამ ის არც არაფრის დადასტურებას, არც უარყოფას არ აპირებდა. მარტო კბილები დაეკრიჭა. პატარა ვერტიკალური ნაოჭი მისი შუბლიდან გაქრა.

— კლაი, შეხედე, — დენიზი ცდილობდა, ხმის კანკალი არ დასტყობოდა.

კლაი საქარე მინას მიაჩერდა და მაშინვე მუხრუჭს დააჭირა ფეხი. ბრბოდან მოხუცი ქალი ბარბაცით გამოვიდა, ორივე ფეხზე დაჩირქებული ჭრილობები მოუჩანდა. პარაშუტით გადმოსახტომ კოშკს შემოუარა, რამდენჯერმე წაიბორძიკა „საშინელებათა სახლის“ სამშენებლო კონსტრუქციებზე, რომლებიც მოამზადეს, მაგრამ ბოლომდე აწყობა იმპულსის გამო ველარ დაასრულეს, მერე მოუხერხებლად გაიქცა ავტობუსისკენ. მიირბინა და საქარე მინაზე ართრიტით დაკრუნჩხული ხელები ააბრახუნა. ქალის სახეზე კლაიმ ის სიცარიელე კი არ დაინახა, რასაც მობილოიდებს უკავშირებდა, არამედ სრული დეზორიენტაცია. სახის ასეთი გამომეტყველება უკვე ენახა. *„ვინ ხარ?“* — ეკითხებოდა ნაბლისფერთმიანი ფერია. ნაბლისფერთმიანი ფერია, რომელმაც იმპულსი სრულად ვერ მიიღო. *„მე ვინ ვარ?“*

კვადრატულად დამწკრივებული ცხრა მობილოიდი უკან გაჰყვა მოხუც ქალს, რომლის შეშლილი სახე კლაისგან სულ რაღაც ხუთი ფუტით იყო დაშორებული. მისი ბაგეები ირხეოდა და კლაიმ ოთხი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიტყვა გაარჩია, ერთდროულად ყურითა და გონებით: *„წამიყვანეთ, თქვენ სადაც მიდიხართ“*.

„არა მგონია, იქ წასვლა მოგინდეთ, სადაც ჩვენ მივდივართ, ქალბატონო“, — გაიფიქრა კლაიმ.

მერე მობილოიდებმა ხელი სტაცეს და უკან, მინდვრისკენ გააქანეს. ქალი გასხლტომას ცდილობდა, მაგრამ ისინი შეუბრალებლები იყვნენ. კლაიმ მისი მზერა დაიჭირა და გაიფიქრა, რომ ეს იმ ქალის თვალები იყო, რომელიც თავს ბედნიერად ჩათვლიდა განსანმენდელში მოხვედრისთვის, მაგრამ მას ჯოჯოხეთი ელოდა.

„დაფლეთილმა კაცმა“ ისევ გაიშვირა ხელი, ხელისგულით ზემოთ, საჩვენებელი თითით წინ: *„წავედით“*.

მოხუცმა ქალმა საქარე მინაზე თავისი ხელის ანაბეჭდი დატოვა, ბუნდოვანი, მაგრამ მაინც შესამჩნევი. კლაი ამ ანაბეჭდის მილმა იყურებოდა, როდესაც გაზის სატერფულს დააწვა.

4

— ასეა თუ ისე, 1999 წლამდე გამოფენა დიდი ინტერესს არ იწვევდა. თუ ადამიანი შტატის ამ ნაწილში ცხოვრობდა, გასართობად, ატრაქციონებზე საქანაოდ, რაიმე საინტერესოს სანახავად ფრაიბურგის ბაზრობაზე მიდიოდა, — საკუთარი ხმა მაგნიტოფონზე ჩაწერილივით ესმოდა. ეს იყო საუბარი საუბრისთვის. გაახსენდა ბოსტონის ქუჩებში ტურისტებით სავსე ამფიბიები, რომელთა მძღოლები ქალაქის ღირსშესანიშნაობების შესახებ ჰყვებოდნენ, — მერე, ახალი ასწლეულის დასაწყისში, შტატის ინდიელების საქმეთა ბიურომ ტერიტორიის ტოპოგრაფიული აღწერა დაიწყო. ყველამ კარგად იცოდა, ბაზრობა სოკაბეიზინის რეზერვაციის მახლობლად იყო, მაგრამ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ კაშვაკამაკის ჰოლის ჩრდილოეთი ნაწილი, ფაქტობრივად, რეზერვაციის ტერიტორიაზე მდებარეობდა, ანუ მიკმაკების მიწაზე. არც გამოფენის ორგანიზატორები იყვნენ ჩლუნგები და არც ტომის სათათბირო საბჭოს წევრები. ისინი შეთანხმდნენ, რომ შენობის ჩრდილოეთი ნაწილიდან პატარა მაღაზიებს აიღებდნენ და იქ სათამაშო ავტომატებს დადგამდნენ, და თვალის დახამხამებაში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩრდილოეთის მხარის გამოფენა მენის ყველაზე დიდ საშემოდგომო ბაზრობად გადაიქცა.

პარაშუტით გადასახტომ კოშკს მიუახლოვდნენ. კლაიმ საჭე მარცხნივ მიატრიალა, რომ პატარა ავტობუსი კოშკსა და „საშინელებათა სახლის“ დაუმთავრებელ სამშენებლო კონსტრუქციებს შორის გაეტარებინა, მაგრამ „დაფლეთილმა კაცმა“ ჰაერში ერთმანეთს მსუბუქად დაჰკრა ხელები. კლაიმ ავტობუსი გააჩერა. „დაფლეთილი კაცი“ წამოდგა და კარისკენ გაემართა. კლაიმ ბერკეტი გამოსწია, კარი გაიღო და „დაფლეთილი კაცი“ ჩავიდა. მერე კლაის მიუბრუნდა, ხელი მიპატიჟების ნიშნად დაუქნია.

— რას აკეთებს? — იკითხა დენიზმა. თავიანთი ადგილებიდან „დაფლეთილ კაცს“ ვერავინ ხედავდა.

— ჩასასვლელად გვეპატიჟება.

კლაი წამოდგა. ბარძაყის ზედა ნაწილს რეის მიცემული მობილური ამძიმებდა. ქვემოთ რომ დაეხედა, დაინახავდა, როგორ იყო ამობურცული ჯინსის ჯიბე. მაისურის კალთა ქვემოთ დაქაჩა, მობილურის დაფარვას ცდილობდა. *„დიდი ამბავი, მობილური ტელეფონი. ყველა ამაზე ფიქრობს“*.

— უნდა ჩავიდეთ? — იკითხა შეშინებულმა ჯორდანმა.

— არჩევანი არა გვაქვს, — იყო კლაის პასუხი, — წავედით, ბაზრობა დავათვალიეროთ.

5

„დაფლეთილმა კაცმა“ ისინი მდუმარე ბრბოსკენ წაიყვანა. ბრბო ორად გაიყო, მხოლოდ ძალიან ვიწრო, ალბათ, საყლაპავისხელა, გასასვლელი დატოვა, პარაშუტით გადმოსახტომი კოშკიდან კაშვაკამაკის ჰოლამდე. კლაიმ დანარჩენებთან ერთად სატვირთო მანქანებით გადაჭედილ ავტოსადგომს ჩაუარა. თითოეულის ბორტს ამშვენებდა ბაზრობის მოწყობაზე პასუხისმგებელი კომპანია „ახალი ინგლისის გასართობი კორპორაციის“ ლოგო: ატრაქციონ „რუსული მთების“ გამოსახულება. მერე ისინი ბრბომ შთანთქა.

კლაის ასე ეგონა, ეს ფეხით გასეირნება არასოდეს დასრულდებოდა. ჰაერში მყრალი სუნი იდგა, რომლის ატანა შეუძლებელი იყო,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ის მიუხედავად, რომ ქარი უბერავდა. ხედავდა, როგორ ადგამდა ფეხებს, ნინ „დაფლეთილი კაცის“ ნითელი „კენგურუ“ მოჩანდა, მაგრამ შენობის ორმაგი, ნითელი, ლურჯი და თეთრი ქსოვილის გირლანდებით მორთული კარი ისევ მიუნვდომლად შორს იყო. ჭუჭყისა და სისხლის, შარდისა და განავლის, დამნვარი, ანთებით დაზიანებული, დაჩირქებული სხეულის, პირდაპირ სხეულებზე ხრწნადი ქსოვილის სუნს კიდევ რაღაც შემატებოდა. ახალი, უცნობი სუნი და, ალბათ, მისი მიჩნევა შეშლილობის სუნად მეტისმეტად მარტივი რამ გახლდათ.

„მგონი, ტელეპათიის სუნია. თუ ასეა, ამისთვის მზად არა ვართ. ის ჩვენთვის მეტისმეტად ძლიერია. რაღაცნაირად შიგნიდან ნვავს თავის ტვინს, ზუსტად ისე, როგორც დიდ ძაბვას შეუძლია ავტომობილში სადენები დაწვას ან...“

— მომეხმარეთ! — ზურგს უკან ჯორდანმა იყვირა, — მომეხმარეთ, გონებას კარგავს!

კლაი შებრუნდა და დენიზი დაინახა, რომელიც მუხლებზე მდგარი ხელებით მიწას ეყრდნობოდა. ჯორდანიც მის გვერდით ჩაჩოქილიყო, ქალის ცალი ხელი კისერზე შემოედო, მაგრამ დენიზის ანევისთვის ძალა არ ჰყოფნიდა. ტომსა და დენის დახმარება არ შეეძლოთ. მობილოიდებმა მეტისმეტად ვიწრო გასასვლელი დატოვეს. დენიზმა თავი ასწია და წამით კლაის თვალებში შეხედა. გონება ჯერ კიდევ არ დაეკარგა, მაგრამ მზერა დაებინდა, მისი თვალები დაჭრილი ირმისას ჰგავდა. ბალახზე აღებინა და რუხი ლორწო ამოილო, ისევ ჩალუნა თავი. სახეზე თმა ფარდასავით ჩამოეშალა.

— მიშველეთ! — ისევ იყვირა ჯორდანმა. ატირდა.

კლაი უკან დაბრუნდა, მობილოიდებს მუჯლუგუნებით უმასპინძლდებოდა, რომ დენიზს მეორე მხრიდან ამოსდგომოდა.

— გაინიეთ! — უყვიროდა მათ, — გაინიეთ, ფეხმძიმედაა, იდიოტებო, თვალები გაახილეთ, ვერ ხედავთ, ფეხმ...

ჯერ ბლუზა იცნო. დახურულყელიანი, თეთრი აბრეშუმის ბლუზა, რომელსაც ყოველთვის ექიმისას ეძახდა. მისი აზრით, ეს იყო შერონის ყველაზე სექსუალური სამოსი, შესაძლოა, საყელოს გამო. შერონი შიშველი მოსწონდა, მაგრამ უფრო მეტ სიამოვნებას იღებდა, როდესაც ამ ბლუზაში გამოწყობილს მკერდზე ეალერსებოდა. მის ძუძუებს იქამდე სრესდა, ვიდრე კერტები ქსოვილის შიგნით არ აიბზიკებოდა. ახლა შერონის ექიმის ბლუზა ადგილ-ადგილ ჭუჭყისგან გაშავებულიყო, სხვაგან კი სისხლის ალისფერი ლაქები აჩნ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და. ერთი სახელო ნაკერზე იყო გარღვეული. „*დანარჩენებივით ცუდად არ გამოიყურება*“, — წერდა ჯონი, მაგრამ ვერც იმას იტყოდი, კარგი სანახავიაო. აშკარად ალარ იყო ის შერონ რიდელი, რომელიც სკოლაში ექიმის ბლუზითა და მუქი წითელი ქვედაკაბით ნავიდა მაშინ, როდესაც მისმა ქმარმა ბოსტონში ხელი მოაწერა შეთანხმებას, მათ ფინანსურ სიძნელეებს რომ ბოლოს მოუღებდა; ეს ხელშეკრულება შერონს აიძულებდა, ელიარებინა, რომ ქმრის „ძვირად ღირებულ ჰობიზე“ თავდასხმების მიზეზი ქალის გადაჭარბებული შიში და კლაის ნიჭისადმი უნდობლობა გახლდათ (ყოველ შემთხვევაში, თავად კლაი ასე ფიქრობდა). ქერა თმა ზოლებად ჩამოშლოდა. სახეზე ნაკაწრები აჩნდა, ცალი ყური სანახევროდ მოგლეჯილი ჰქონდა, ხოლო ჭრილობაზე შემხმარი სისხლის მტკივნეული გორგალი მოჩანდა. რალაც მუქი ფერის ეჭამა და მისი ნარჩენები პირის კუთხეებში მიჰკრობოდა. ამ პირს ყოველდღიურად კოცნიდა თითქმის თხუთმეტი წლის განმავლობაში. ქალი კლაის უყურებდა, უფრო სწორად, მის მიღმა იყურებოდა იმ იდიოტური ნახევარღიმილით, რომელიც მობილოიდებს სახიდან არ სცილდებოდათ.

— *კლაი, დამეხმარე!* — ლამის ქვითინებდა ჯორდანი.

კლაი აწმყოში დაბრუნდა. შერონი აქ არ იყო — უპირველესად, ეს უნდა დაემახსოვრებინა. უკვე ორი კვირაა, შერონი ალარ არსებობდა. იმ მომენტიდან, როდესაც იმპულსის დღეს ჯონის პატარა წითელი მობილურით დარეკა.

— გაიწიე, ძუკნა! — ულრიალა ქალს, რომელიც მისი ცოლი იყო. ვიდრე ქალმა ოდნავ წინ წაიწია, მისი ადგილის დაკავება მოასწრო, — ეს ქალი ფეხმძიმედაა, ასე რომ, გაიწიე! — მერე დაიხარა, დენიზის მეორე ხელი კისერზე შემოიხვია და ასწია.

— წინ წადი, — უთხრა ტომმა ჯორდანს, — მე უკეთ მოვახერხებ.

ჯორდანს დენიზის ხელი საკმარისად დიდხანს ეჭირა, რათა ტომს მისი თავის კისერზე შემოხვევა მოესწრო. ტომმა და კლაიმ ქალი უკანასკნელი ოთხმოცდაათი იარდი ატარეს, კაშვაკამაკის ჰოლის კარამდე მიიყვანეს, სადაც მათ „დაფლეთილი კაცი“ ელოდებოდა. იმ დროისთვის დენიზი უკვე ბურტყუნებდა, რომ მისთვის ხელი გაეშვათ, უკვე კარგადაა, თავადაც შეძლებს სიარულს, მაგრამ ტომი ხელს არ უშვებდა. არც კლაი. ხელი რომ გაეშვა, შესაძლოა, უკან მიეხედა შერონის მოსაძებნად. ეს კი არ სურდა.

„დაფლეთილმა კაცმა“ კლაის გაულიმა. ამჯერად ღიმილი საკმარისად აზრიანი იყო — თითქოს, რალაც საერთო ხუმრობაზე იცი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნოდნენ. „*შერონი?* — თავს დაეკითხა კლაი, — *ეს ხუმრობა შერონია?*"

მაგრამ, ალბათ, არა, იმიტომ, რომ „დაფლეთილი კაცის" მომდევნო ჟესტს მისალებად ჩათვლიდა წინა ცხოვრებაში, მაგრამ აქ სრულიად ზედმეტი ჩანდა: მარჯვენა ხელი სახის მარჯვენა მხარისკენ ასწია, დიდი თითი ყურთან მოხვდა, ხოლო ნეკი — პირთან. „დაფლეთილი კაცი" უჩვენებდა, თითქოს ტელეფონზე საუბრობსო.

— არა-ტელ-შენ-შენ, — თქვა დენიზმა უცხო ხმით, მერე უკვე საკუთრით დაამატა, — ვერ ვიტან, ამას რომ აკეთებ, გესმის თუ არა!

„დაფლეთილ კაცს" მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ხელი ისევ სახის მარჯვენა მხარეს ეჭირა, ცერი — ყურთან, ნეკი — პირთან და კლაის უმზერდა. კლაის სულ ერთი წამით მოეჩვენა, რომ მან კლაის ჯიბესაც შეხედა, სადაც მობილური ედო. მერე დენიზმა ისევ გაიმეორა სიტყვები, თითქოს ბიჭუნა ჯონის ჰბაძავდა: „*არა-ტელ-შენ-შენ*". „დაფლეთილმა კაცმა" გაცინება სცადა, მაგრამ მისი გაგლეჯილი ტუჩებით ეს საშინელი დასანახი იყო. კლაი ზურგში გრძნობდა ჯოგის მზერას, რომელსაც აშკარად ფიზიკური წონა ჰქონდა.

მერე კაშვაკამაკის ჰოლის ორმაგი კარი თავისით გაიღო, შენობიდან იქ ათწლეულობით დაგროვილი სუნი გამოვარდა, რაც ჯოგის სიმყრალის საწინააღმდეგო შესანიშნავი ანტიდოტი აღმოჩნდა: შენობაში ტკბილეულის, მურაბების, ჩალის, შინაური ცხოველების სუნი ტრიალებდა. შიგნით უკუნეთიც არ იდგა, რადგან აკუმულატორებზე მომუშავე საავარიო განათება სუსტად, მაგრამ ჯერ ისევ ანათებდა. კლაი გააოცა ამდენი დღის შემდეგაც კი განათების დანახვამ, ისიც კი იფიქრა, რომ მობილოიდები ავარიულ განათებას თიშავდნენ და ცდილობდნენ, მათი ჩამოსვლის დროისთვის ელექტრობა დაეხვედრებინათ, მაგრამ ეს ვერსია დიდად საეჭვო იყო. „დაფლეთილი კაცი" არაფერს ამბობდა. მარტო იღიმებოდა და ხელით აჩვენებდა, შენობაში შესულიყვნენ.

— დიდი სიამოვნებით, ნაბიჭვარო, — უპასუხა ტომმა, — დენიზ, დარნმუნებული ხარ, რომ სიარულს შეძლებ?

— ჰო, მაგრამ მანამდე რაღაც უნდა გავაკეთო, — ქალმა ღრმად ამოისუნთქა, მერე „დაფლეთილ კაცს" სახეში შეაფურთხა, — აჰა, თან წაიღე საღორეთში, ღორისთავიანო!

„დაფლეთილ კაცს" ხმა არ ამოუღია. იდგა და კლაის ულიმოდა. იმ ხუმრობის გამო, რომელიც მხოლოდ ამ ორმა იცოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

6

მათთვის საკვები არავის მოუტანია, მაგრამ კაშვაკამაკის ჰოლში საკმარისზე მეტად იდგა საკვებით სავსე გასაყიდი ავტომატები, ხოლო დენმა იარაღებისთვის განკუთვნილ საკუჭნაოში, შენობის სამხრეთ ბოლოში, ძალაყინი იპოვა. დანარჩენები იდგნენ და უყურებდნენ, როგორ ხსნიდა ტკბილეულის ავტომატს. *„რასაკვირველია, შეშლილები ვართ,* — გაიფიქრა კლაიმ, — *სადილზე ბეიბი რუთს*[1] *ვჭამთ, ხოლო ხვალ საუზმედ პეიდეი*[2] *გვექნება“,* — და სწორედ ამ დროს გაისმა მუსიკა. ამჯერად ეს არ იყო „შენ გაანათე ჩემი ცხოვრება“ ან „სპილუჩას გასეირნება“. არა, უზარმაზარი მინდვრის გარშემო სვეტებზე დამაგრებული მძლავრი დინამიკებიდან რაღაც ნელი და დიადი გაისმა. კლაის ეს მელოდია უკვე მოსმენილი ჰქონდა, მაგრამ ძალიან დიდი ხნის წინ. მან სევდით აავსო, სხეულში ურუანტელმა დაუარა.

— ღმერთო, — ამოიოხრა დენმა, — მგონი, ალბინონია[3].

— არა, — თქვა ტომმა, — პახელბელი[4]. კანონი რე მაჟორი.

— რასაკვირველია, — დენის ხმაში საკუთარი თავით უკმაყოფილება გამოსჭვიოდა.

— ისეთი გრძნობაა... — დაიწყო დენიზმა, მერე დადუმდა. თავის ბოტასებს დახედა.

— რა? — შეეკითხა კლაი, — განაგრძეთ. თქვენ გარშემო მეგობრები არიან.

— მოგონებების ბგერას ჰგავს, — უპასუხა დენიზმა, — თითქოს მეტი ალარაფერი დარჩათ.

— ჰო, — თავი დაუქნია დენმა, — მგონი...

— ეი! — დაიყვირა ჯორდანმა. ის ერთ-ერთი პატარა ფანჯრიდან მინდორს უყურებდა. ფანჯარა საკმაოდ მაღლა იყო, ამიტომ ბიჭი ფეხის წვერებზე იდგა, — ნახეთ, იქ რა ხდება!

---

[1] *ბეიბი რუთი (Baby Ruth) — შოკოლადის ბატონი, რომლის შემადგენლობაშია არაქისი, კარამელი, ნუგა. ამ ტკბილეულს 1921 წლიდან Curtiss Candy Company აწარმოებდა, 1990 წლიდან კი მას „ნესტლე“ აწარმოებს.*

[2] *პეიდეი (PayDay) — ტკბილეულის ბატონი, მარილიანი მიწის თხილის ნატეხებით დაფარული კარამელი. რეცეპტი 1932 წელს გამოიგონა ფრენკ მარტოჩომ. აწარმოებს კომპანია „ჰერში“.*

[3] *ტომაზო ალბინონი (1671-1750) — იტალიელი კომპოზიტორი, მევიოლინე.*

[4] *იოჰან პახელბელი (1653-1706) — გერმანელი კომპოზიტორი და ორგანისტი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფანჯრებთან მივიდნენ, რომლებიც ფართო მოედანს გადაჰყურებდა. დაბნელდა. მუქი ცის ფონზე დიხაძიკებიანი სვეტები და ლამპიონები შავ დარაჯებად მოჩანდნენ. პარაშუტით გადმოსახტომი კოშკის თავზე წითლად ციმციმებდა ერთადერთი ნათურა. წინ, ზუსტად მათ პირდაპირ, ათასობით მობილოიდი მუხლებზე დაეცა, თითქოს მუსლიმებივით ლოცვას აპირებდნენ პახელბელის მუსიკის ფონზე, მოგონებებს რომ უცვლიდა მათ. მერე ძირაზე გაწვნენ, ერთდროულად, როგორც ერთი, რამაც ჰაერი შეარხია და მინიდან ქალალდის ცარიელი დახეული პაკეტები და პლასტმასის დაჭყლეტილი ჭიქები ახვეტა.

— იავნანა უტვინოების არმიისთვის, — ჩაიბურტყუნა კლაიმ, — თუ რაიმეს ვაპირებთ, მხოლოდ ეს ღამე გვაქვს.

— ვაპირებთ? — შეეკითხა ტომი, — და რას უნდა ვაპირებდეთ? იმ ორი კარის გაღება ვცადე, მაგრამ ჩაკეტილია. ვფიქრობ, დანარჩენებიც.

დენმა ძალაყინი აღმართა.

— არა მგონია, მაგან გვიშველოს, — თავი გააქნია კლაიმ, — ეს კარგია ავტომატებისთვის, მაგრამ ხომ გახსოვთ, აქაურობას კაზინოდ იყენებდნენ, — ხალიჩებით მორთული შენობის ჩრდილოეთ ნაწილზე მიუთითა, სადაც ცალხელა ბანდიტების გამოსახულებები იდგა, რომელთა ქრომირებული დეტალები საავარიო ნათურების სუსტ სინათლეზე ლაპლაპებდა, — ძალაყინით ასეთი კარის შემტვრევა შეუძლებელია.

— ფანჯრები? — იკითხა დენმა და მერე შეკითხვას თავადვე უპასუხა, — მარტო ჯორდანი თუ გაეტევა.

— მოდი, ვჭამოთ, — შესთავაზა კლაიმ, — მერე ჩამოვსხდეთ და შევეცადოთ, მოვდუნდეთ. აქამდე ამის შესაძლებლობა არ გვქონია.

— მოდუნების შემდეგ რას გავაკეთებთ? — შეეკითხა დენი.

— თქვენ ის გააკეთეთ, რაც მოგესურვებათ, — უპასუხა კლაიმ, — მე კი თითქმის ორი კვირაა არ დამიხატავს. ხატვა მომენატრა, ამიტომ დავხატავ.

— ქალალდი არა გაქვთ, — შენიშნა ჯორდანმა.

კლაიმ გაიღიმა.

— როცა ქალალდი არა მაქვს, გონებაში ვხატავ.

ჯორდანმა უნდობლად შეხედა, ეგონა, კლაი დასცინოდა. როცა მიხვდა, რომ კლაის მსგავსი რამ გონებაშიც არ გაუვლია, კიდევ ერთი კითხვა დასვა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— გონებაში ხატვა, ალბათ, არც ისე მოსახერხებელი უნდა იყოს, როგორც ფურცელზე, ასე არ არის?

— არა, უკეთესიცაა. იმის ნაცვლად, რომ ნახატის ესა თუ ის ნაწილი წავშალო, ახლიდან წარმოვიდგენ ხოლმე, რაც მსურს.

რალაცამ გაიჩხაკუნა და ტკბილეულით მოვაჭრე ავტომატის კარი გაიღო.

— ბინგო! — წამოიძახა დენმა და თავზემოთ ძალაყინი ასწია, — ვინ თქვა, რომ კოლეჯის პროფესორი რეალურ ცხოვრებაში არაფრად ვარგა?

— შეხედეთ! — ხარბად წამოიძახა დენიზმა და დენისთვის ყურადღება არ მიუქცევია, — „ჯუნიორ მინტსის“[1] მთელი თარო! — და ხელი ავტომატისკენ წაიღო.

— კლაი? — დაუძახა ტომმა.

— რა?

— არა მგონია, შენი შვილი დაგენახა, ხომ ასეა? არც შენი ცოლი? სანდრა?

— შერონი, — შეუსწორა კლაიმ, — არ დამინახავს, — მერე დენიზის ფართო ბარძაყის მილმა ავტომატში შეიხედა, — ეს რა, „ბატერფინგერებია“?[2]

7

ნახევარი საათის შემდეგ ტკბილეულით დანაყრდნენ და გაზიანი გამაგრილებელი სასმლის გასაყიდი ავტომატი გახსნეს. შემდეგ ყველა კარი შეამოწმეს და ყველა ჩაკეტილი აღმოჩნდა. დენმა ძალაყინის გამოყენება სცადა, მაგრამ ის იატაკსა და კარს შორისაც კი ვერ შეეტია. მართალია, კარი ხის ჩანდა, მაგრამ, ტომის აზრით, შიგნით ლითონის უნდა ყოფილიყო.

---

[1] *„ჯუნიორ მინტსი“ (Junior Mnts) — პიტნის შიგთავსიანი, შავი შოკოლადით დაფარული ბურთულები. 1949 წელს გამოიგონა James O. Welch Company-მ.*

[2] *ბატერფინგერი (Butterfinger) — 1923 წელს ჩიკაგოში ოტო შნერინგის მიერ გამოგონებული ტკბილეული, რომელსაც ამჟამად „ნესტლე“ აწარმოებს. შედგება შოკოლადით დაფარული მარცვლეულის ფანტელისა და არაქისის კარაქის გულსართისგან. 1999 წლიდან ეს ტკბილეული აღარ იყიდება გერმანიაში, რადგან გამოყენებული მარცვლეული გენმოდიფიცირებულია.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— სავარაუდოდ, ყველას სიგნალიზაცია აქვს, — დაამატა კლაიმ, — თუ მათ გაღებას შეეცდებით, აუცილებლად მოვა რეზერვაციის პოლიცია და კამერაში ნაგვაცუნცულებს.

რაკი დარწმუნდნენ, კარებს ვერაფერს მოუხერხებდნენ, დენიზი, დენი, ტომი და ჯორდანი წრიულად დასხდნენ ნოხზე, სათამაშო ავტომატების სიახლოვეს. კლაი ბეტონზე მოკალათდა, ზურგით მიეყუდა ორმაგ კარს, რომლის გავლითაც „დაფლეთილმა კაცმა“ მათ კაშვაკამაკის ჰოლში შესვლა შესთავაზა ჟესტით: *„მხოლოდ თქვენ მერე, დილით შევხვდებით“.*

კლაის აზრების კონცენტრაცია სხვა სასაცილო ჟესტზე სურდა: ცერი — ყურთან და ნეკი — პირთან, ყურთან მიტანილი მობილური ტელეფონის იმიტაცია, მაგრამ ერთბაშად — არა. საკუთარი, არცთუ მწირი გამოცდილებით იცოდა, ასეთ შემთხვევებში ყველაზე მოკლე გზა შემოვლა, ანუ უკანა კარიდან შესვლაა. ჰოდა, ისიც მიეყუდა ხის პანელს, რომელიც ლითონს ფარავდა, თვალები დახუჭა და კომიქსის გვერდი წარმოიდგინა. ეს არ იყო *„სევდიანი მანანწალა“* — *„სევდიანი მანანწალა“* დასრულდა, მან ეს ყველაზე უკეთ იცოდა, — არა, ახალი კომიქსის გვერდი იყო. პირობითი სათაურით „მობილური ტელეფონი“. მანამდე, სანამ რაიმე უკეთესს მოიფიქრებდა. ეს იქნებოდა ამაღელვებელი საგა სამყაროს დასასრულის შესახებ, როდესაც მობილოიდების ურდოებს ერთი მუჭა უკანასკნელი ნორმალურები დაუპირისპირდნენ.

მაგრამ ეს არ იყო მართებული მიდგომა. არა, თავდაპირველი შეხედვით მართებული ჩანდა, ისე, როგორც ეს კარი ჰგავდა ხისას, თუმცა, სინამდვილეში სულაც არ იყო. მობილოიდების რიგები მნიშვნელოვნადაა შეთხელებული, სხვაგვარად ეს შეუძლებელია. რამდენი დაილუპა იმპულსის შემდეგ მომხდარი ძალადობით? ნახევარი? კლაის გაახსენდა, როგორი გააფთრებით ესხმოდნენ თავს არა მარტო ნორმალურებს, არამედ ერთმანეთსაც. *„ალბათ, სამოცპროცენტზე მეტი, შესაძლოა, სამოცდაათიც“*. ამას ემატება მძიმე ჭრილობებით, ინფექციებით, სიცივით, ახალი შეტაკებებით და, უბრალოდ, რაღაც სისულელის გამო დახოცილები და, რასაკვირველია, ჯოგების ჟლეტა. საინტერესოა, რამდენი *განადგურდა?* და საერთოდაც, კიდევ რამდენი გადარჩა ასეთი დიდი ჯოგის მსგავსი?

კლაიმ გაიფიქრა, რომ ამას ხვალ გაარკვევდნენ, თუ შეშლილთა საჯაროდ დასჯის სანახაობას სხვა ჯოგებიც შეუერთდებოდნენ. თუმცა, ეს ინფორმაცია მათ სარგებლობას ველარ მოუტანდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არა აქვს მნიშვნელობა. ეს საკითხი გამოვტოვოთ. თუ მთელი წინა ამბები ერთ გვერდზე უნდა დაეტიოს, ბევრი რამის გამოტოვებაა საჭირო, რათა ყველაფერი ტექსტისთვის განკუთვნილ მონაკვეთში ჩაეტიოს. ეს დაუწერელი კანონია. მობილოიდების მდგომარეობას ზუსტად აღწერს შემდეგი ოთხი სიტყვა: *მათ დიდი დანაკარგი აქვთ.* ისინი ბევრნი არიან, არა მარტო ბევრნი, არნახულად ბევრნი, მაგრამ, ალბათ, ასე ფიქრობდნენ მოგზაურ მტრედებზეც იმ მომენტამდე, სანამ ისინი სრულიად გაქრებოდნენ, იმიტომ, რომ უკანასკნელ წამამდე მოგზაური მტრედები გუნდებად დაფრინავდნენ და ეს გუნდები ცას აბნელებდა. და ვერც ვერავინ ამჩნევდა, თანდათან როგორ მცირდებოდა ეს გუნდები. ვერ ამჩნევდნენ მანამ, სანამ სრულიად არ გაქრნენ. ვიდრე უკანასკნელიც არ გაანადგურეს. ამოჟლიტეს. Finito. ბახ-ბახ.

„*და კიდევ,* — გააგრძელა ფიქრი კლაიმ, — *იმათ კიდევ ერთი პრობლემა დაემატათ, ეს პროგრამის ხარვეზია. ეს ჭია. და აქედან რა გამომდინარეობს? როგორც ჩანს, ამ ბიჭებს იმაზე ნაკლები ვადა დარჩათ, ვიდრე დინოზავრებს, თუმცა, მათ აითვისეს ტელეპათია, ლევიტაცია და ათასი სხვა რამ*".

კარგი, წინარე ისტორიისთვის საკმარისია. ახლა, რა იქნება შენს ილუსტრაციაზე? სწორედ იმაზე, რომლითაც კომიქსი გინდა დაიწყო? რასაკვირველია, კლაი რიდელი და რეი უისენგი. ისინი ტყეში დგანან. რეის ბეტ ნიკერსონის 45-კალიბრიანი რევოლვერი აქვს, ლულა ნიკაპის ქვეშ მიუდვია, კლაის კი ხელში უჭირავს...

მობილური ტელეფონი, რა თქმა უნდა. სწორედ ის, რომელიც რეიმ გერლივილის ქვის სამტეხლოდან წამოიღო.

КЛАЙ (შეშინებული): — РЕЙ, ШЕЧЕРДИ! ЭС ХОМ УАЗРОБАА! АР ГАХСОВС? КАШВАКШИ АР АРИС МОБИЛУРИ КАВ...

სულ ტყუილად! ბახ! მთავრული ყვითელი ასოებით სისხლის შხეფებზე, ჰო, მართლაც შხეფებია, იმიტომ, რომ არნი ნიკერსონმა ცოლის კუთვნილ რევოლვერში წაკვეთილთავიანი ტყვიები წინდახედულად ჩაალაგა (ისინი ინტერნეტით იყიდება პარანოიდულ ამერიკულ საიტებზე) და რეის თავის ზედა ნაწილი ახლა წითელ გეიზერად იქცა. უკან, ფონზე (იმპულსი რომ არა, კლაი რიდელი თავისი შემოქმედებისთვის დამახასიათებელი ამ ნიშნით, კარგად შერჩეული მეორადი დეტალებით, მთელ მსოფლიოში გაითქვამდა სახელს) ერთადერთი დამფრთხალი ყვავი, რომელიც ტოტიდან ფრინდება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ჯანდაბა, არაჩვეულებრივი გვერდია", — გაიფიქრა კლაიმ. იმ დღეებში, როდესაც კომიქსების ძველი კოდექსი მოქმედებდა, სისხლის გამოსახვა შედევრად ვერ ჩაითვლებოდა, მაგრამ ახლა სხვა დროა. და თუმცა, კლაის სინამდვილეში არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, რომ ნორმალურების მობილიზებად გარდაქმნის პუნქტების იქით მობილური კავშირი აღარ არსებობდა, მაშინ რომ ეს მოეფიქრებინა, აუცილებლად იტყოდა, მაგრამ ვერ მოასწრო. მისი დრო იწურებოდა. რეიმ თავი მოიკლა, რათა „დაფლეთილ კაცსა" და მის მეგობრებს ეს ტელეფონი მის თავის ტვინში არ დაენახათ, და სწორედ ეს გახლდათ ყველაზე მწარე ირონია. „დაფლეთილმა კაცმა" ყველაფერი შეიტყო იმ მობილურის თაობაზე, რომლის დაფარვაც რეის სურდა. გაიგო, რომ ტელეფონი კლაის აქვს... და ეს ფეხებზე ეკიდა.

კაშვაკამაკის ჰოლის ორმაგ კართან მდგარმა „დაფლეთილმა კაცმა" ხელი სახესთან მიიდო, ცერი — ყურთან და ნეკი — პირთან, დანარჩენი სამი გახლეჩილ და გაუპარსავ ლოყასთან და დენიზი გამოიყენა იმ სიტყვების სათქმელად, ეჭვს რომ არ ტოვებდა: *არა-ტელ-შენ-შენ.*

სწორიც არის. იმიტომ, რომ კაშვაკი=არა-ტელ.

რეი ამაოდ დაილუპა. მაშ, რატომ არ სწყვეტდა ეს გულს?

კლაიმ გააცნობიერა, რომ თვლემს, როგორც ხშირად ხდებოდა მაშინ, თუ გონებაში ხატავდა. რეალობას მოსწყდა. და ამის სულ არ რცხვენოდა, იმიტომ, რომ თავს ზუსტად ისე გრძნობდა, როგორც მაშინ, სულ ცოტა რომ რჩებოდა სურათისა და ამბის შერწყმამდე. ეს ბედნიერი წუთები გახლდათ, იმას ჰგავდა, როდესაც ადამიანი უახლოვდება კარს, რომლის მილმაც მას ელიან. იმ მოგზაურობის დასასრულს, რასაც შეყვარებულების შეხვედრა მოსდევს. ამგვარი განცდისთვის არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც გრძნობდა.

რეი უისენგი გამოუსადეგარი მობილური ტელეფონისთვის მოკვდა. თუ მარტო ეს ტელეფონი არ იყო? ახლა კლაიმ სხვა გამოსახულება დაინახა. ერთ-ერთი წინანდელი, რასაც სურათის ზიგზაგიანი ჩარჩო მოწმობდა.

მსხვილი ხედი: რეის ჭუჭყიანი მობილური უჭირავს და ქალალდის ზოლი, ზედ ჩაწერილი ტელეფონის ნომრით. რეის ცერი რიცხვებს ფარავს, მხოლოდ მენის შტატის კოდი ჩანს.

რეი (საუბრის ბუშტში): — **როდესაც ამის დრო მოვა, ეს ნომერი აკრიფე. დრო როდის დადგება, მიხვდები. იმედია, მიხვდები.**

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„კაშვაკამაკიდან ვერავის დავურეკავ, რეი, იმიტომ, რომ კაშვაკი=არა-ტელ. შეგიძლია ჰარვარდის პრეზიდენტს ჰკითხო“.

და თითქოს, ყველაფრის საბოლოოდ გასარკვევად, კიდევ ერთი გამოსახულება ზიგზაგიანი ჩარჩოთი. 160-ე გზატკეცილი. უკან პატარა, ყვითელი ავტობუსი მოჩანს ბორტზე წარწერით: **მენის შტატის 38-ე სასკოლო ოლქი. ნიუფილდი.** უფრო ახლოს, გზის სავალ ნაწილზე, ასფალტზე წერია: **კაშვაკი=არა-ტელ.**

ისევ დეტალურად დამუშავებული ფონი: გამაგრილებელი სასმლის ცარიელი ქილები, ბუჩქის ტოტს გამოდებული ვილაცის დაკარგული მაისური, მოშორებით ქარის წაფრიალებული პავილიონი, რომელიც ტოტებიდან ყავისფერ ენასავით გადმოკიდებულა. ავტობუსის თავზე საუბრის ოთხი ბუშტი დახატა. მათში ზუსტად ის სიტყვები არ წერია, რაც მაშინ სინამდვილეში თქვეს (მთვლემარეც კი ხვდებოდა ამას), მაგრამ ახლა მნიშვნელობა არ ჰქონდა. ისტორიული სიმართლე მოცემული მომენტისთვის მეორეხარისხოვანი გახლდათ.

იმაზე ფიქრობდა, რომ ყველაზე მთავარი რაც იყო, საჭირო დროს მიხვდებოდა.

ДЕНИЗИ (საუბრის ბუშტი): — ეს ის ადგილია, სადაც ისინი...

ТОМИ (საუბრის ბუშტი): — სადაც გარდაქმნა ხდება... სწორია. რიგში დგები როგორც ნორმალური, რეკავ, მერე გამოფენაზე შედიხარ როგორც ერთ-ერთი მათგანი. აი, ასეთი ამბავია.

ДЕНИ (საუბრის ბუშტი): — აქ რატომ? რატომ გამოფენის ტერიტორიაზე?

КЛАИ (საუბრის ბუშტი): — არ გახსოვთ? КАШВАКИ=АРА-ТЕЛ. მათ ნორმალურები მილების ზონის საზღვარზე დააყენეს. იმის იქით კავშირი აღარ მუშაობს. NADA. ZIP. ტელეფონის დისპლეიზე აღარაფერი ჩანს.

კიდევ ერთი გამოსახულება. მსხვილი ხედით — „დაფლეთილი კაცი“ მთელი მისი დიდებულებით. დამახინჯებული პირით ილიმება და ასეთი მრავლისმთქმელი ჟესტი. *„რეის რალაც იდეა ჰქონდა მობილურის გამოყენების თაობაზე, ისეთი დიდებული, რომ საერთოდ დაავიწყდა აქ მობილური კავშირის არარსებობა. ალბათ, კვებეკამდე უნდა ჩავიდეთ, რომ დისპლეიზე სიგნალის მილების დამადასტურებელი თუნდაც ერთი ხაზი გაჩნდეს. ეს სასაცილოა, მაგრამ ყველაზე სასაცილო, იცით, რა არის? მობილური ავილე! აი, რა არის სასაცილო!“*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაშ, რა გამოდის, რეი ტყუილად მოკვდა? შეიძლება, მაგრამ კლაის გონებაში უკვე სხვა გამოსახულება გამოიკვეთა. გარეთ პახელბელი ფორემ[1] შეცვალა, ფორე კი — ვივალდიმ. მუსიკა ახლა არა ბუმბოქსებიდან, არამედ დინამიკებიდან ისმოდა. მუქი დინამიკები ჩაბნელებული ცის ფონზე, ხოლო უკან ნახევრად აწყობილი ატრაქციონების კარკასები, წინა პლანზე კი კაშვაკამაკის ჰოლის გირლანდებით მორთული შენობა იაფფასიანი ჩალის თბოიზოლაციით. სურათის დასრულებას ერთი მცირე დეტალი აკლდა, მცირე დეტალების გამოსახვის სიზუსტით კი კლაი რიდელს ვიწრო წრეებში უკვე კარგად იცნობდნენ. თვალები გაახილა და წელში გაიმართა, კარს მოსცილდა. დანარჩენები ისევ ხალიჩაზე წრედ ისხდნენ შენობის ჩრდილოეთ ნაწილში. კლაიმ არ იცოდა, რამდენი ხანი დაჰყო კართან, მაგრამ, ალბათ, დიდი დრო გავიდა, იმიტომ, რომ უკანალი დაუბუჟდა.

— ეი, ბიჭებო! — დაძახება დააპირა, მაგრამ ხმის ამოღება ვერ შეძლო. ყელი გაუშრა. ჩაახველა და მეორედ სცადა, — ეი! — და ისინი შემობრუნდნენ. მის ხმაში რაღაცამ აიძულა ჯორდანი, ფეხზე წამომხტარიყო. მას ტომმა მიჰბაძა.

კლაი მათკენ დიდი ხნით ერთ პოზაში ჯდომისგან დაბუჟებული ფეხებით ფრთხილად მიაბიჯებდა. გზადაგზა ჯიბიდან მობილური ამოიღო. სწორედ ის, რისთვისაც რეი მოკვდა, დაივიწყა რა კაშვაკამაკის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი: აქ, ჩრდილოეთის მხარის გამოფენის ტერიტორიაზე, ეს საგნები არ მუშაობდა.

8

— რა სარგებლობა მოაქვს, თუ არ მუშაობს? — შეეკითხა დენი. მას კლაის აგზნება გადაედო, მაგრამ მალევე გაუნელდა, როდესაც დაინახა, რომ ხელში ციხიდან გასვლის გეგმა კი არა, კიდევ ერთი დაწყევლილი მობილური ეჭირა. ჭუჭყიანი, ძველისძველი „მოტოროლა" გაბზარული კორპუსით. დანარჩენები ტელეფონს შიშითა და ცნობისმოყვარეობით დასცქეროდნენ.

[1] *გაბრიელ ფორე (1815-1924) — ფრანგი კომპოზიტორი, რომლის ნაწარმოებები, ძირითადად, ლირიკული ხასიათისაა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ცოტა ხანს მოითმინეთ, — თქვა კლაიმ, — ხომ შეგიძლიათ?

— წინ მთელი ღამე გვაქვს, — უპასუხა დენმა, სათვალე მოიხსნა და მინების წმენდას შეუდგა, — როგორმე ხომ უნდა გადავაგოროთ?

— მაღაზიაში „ათასი წვრილმანი" საკვების ასაღებად შეხვედით და შენობის გვერდით სასკოლო ავტობუსი დაინახეთ, ასე არ იყო? — იკითხა კლაიმ.

— თითქოს მილიარდობით წელი გავიდა მას შემდეგ, — დენიზმა ქვედა ტუჩი წინ წამოსწია და შუბლზე ჩამოშლილ კულულს შეუბერა.

— *რეიმ* იპოვა ავტობუსი, — განაგრძო კლაიმ, — თორმეტადგილიანი...

— თექვსმეტიანი, — დააზუსტა დენმა, — ასე აწერია წინ, პანელზე. ეტყობა, აქაურ სკოლებში მოსწავლეების რაოდენობა *მცირეა*.

— თექვსმეტი ადგილი, რასაც ემატება უკანა რიგის იქით საბარგო განყოფილება ზურგჩანთებისა და საექსკურსიო ბარგის დასაწყობად. გზა ავტობუსით გააგრძელეთ, ხოლო როდესაც გერლივილის ქვის სამტეხლოსთან მიხვედით, დარწმუნებული ვარ, იქ შეჩერება სწორედ რეის წინადადება იყო.

— იცი, რა, მართალს ამბობ, — დაუდასტურა ტომმა, — თქვა, რომ ცხელი კერძის მომზადება და დასვენება შეგვეძლო. საიდან იცი ეს, კლაი?

— მივხვდი, იმიტომ, რომ გონებაში დავხატე, — უპასუხა კლაიმ და პრინციპში, მისი სიტყვები სინამდვილეს შეესატყვისებოდა: ყველაფერს ხედავდა, რასაც სიტყვებით გადმოსცემდა, — დენ, თქვენ, დენიზმა და რეიმ, ორი ჯოგი გაანადგურეთ. პირველ შემთხვევაში, ბენზინით, მეორედ — დინამიტით. რეიმ იცოდა, დინამიტი როგორ გამოეყენებინა, ეს გზების მშენებლობის დროს ისწავლა.

— ამის დედაც, — ამოიოხრა ტომმა, — დინამიტი ქვის სამტეხლოში იპოვა, არა? ვიდრე გვეძინა. ეს მაშინ *შეეძლო* გაეკეთებინა, როცა მკვდრებივით გვეძინა.

— სწორედ რეიმ გაგვაღვიძა, — დაამატა დენიზმა.

— არ ვიცი, დინამიტი იპოვა თუ რაიმე სხვა სახის ასაფეთქებელი ნივთიერება, — განაგრძო კლაიმ, — მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, ვიდრე გეძინათ, რეიმ ის პატარა, ყვითელი ავტობუსი ბორბლებიან ბომბად აქცია.

— ასაფეთქებელი მანქანის უკან არის, — მიხვდა ჯორდანი, საბარგო განყოფილებაში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კლაიმ თავი დაუქნია.

ჯორდანმა ხელები მომუშტა.

— და რამდენია, თქვენი აზრით?

— აფეთქებამდე ვერაფერს გავიგებთ, — უპასუხა კლაიმ.

— თუ სწორად მესმის, — ისევ წამოიწყო ტომმა. გარეთ ვივალდი მოცარტის „მშვენიერმა ღამის მუსიკამ" შეცვალა. თავისი განვითარებით მობილოიდებმა აშკარად გაუსწრეს დები ბუნს, — ბომბი ავტობუსის უკანა ნაწილში დამალა, მერე მობილური ტელეფონი როგორღაც დეტონატორად გადააკეთა.

კლაიმ თავი დაუქნია.

— მე ასე წარმომიდგენია. ჩემი აზრით, ქვის სამტეხლოს ოფისში ორი მობილური იპოვა. როგორც ვიცი, მეტიც შეეძლო, ეპოვა, ისინი, რომლებსაც იქაური თანამშრომლები იყენებდნენ. მობილურები ახლა ისეთი ძვირი აღარ ღირს. ასე თუ ისე, ერთ-ერთი დეტონატორის სახით ასაფეთქებელს მიუერთა. ასე იქცევიან აჯანყებულები, როდესაც ერაყში გზის პირას ბომბებს აფეთქებენ.

— ეს ყველაფერი მაშინ გააკეთა, როცა გვეძინა? — იკითხა დენიზმა, — და არაფერი გვითხრა?

— არ გაამხილა, იმისთვის, რომ ეს ინფორმაცია თქვენს თავის ტვინში არ მოხვედრილიყო, — უპასუხა კლაიმ.

— და თავი მოიკლა, რომ არც მის თავში დარჩენილიყო, — დაამატა დენმა და მწარედ ჩაიცინა, — ჯანდაბა, ის გმირია! მაგრამ ის დაავიწყდა, რომ მობილურები აღარ მუშაობს იმ ადგილის იქით, სადაც მათ თავიანთი დაწყევლილი პავილიონები გაშალეს, რისი გავლის შემდეგაც ნორმალურები მობილოიდები ხდებიან! და დარწმუნებული ვარ, იქაც კი ძლივს მუშაობდნენ!

— მართალია, — გაილიმა კლაიმ, — აი, რატომ მომცა „დაფლეთილმა კაცმა" ამ ტელეფონის დატოვების უფლება. არ იცოდა, რისთვის დამჭირდებოდა. ასეა თუ ისე, არა ვარ დარწმუნებული, რომ საერთოდ აზროვნება შეუძლიათ.

— როგორც ჩვენ, ისე არ შეუძლიათ, — შეაწყვეტინა ჯორდანმა, — და ვერც ვერასოდეს შეძლებენ.

— ...მაგრამ ეს მობილური მას დიდად არც ადარდებდა, იმიტომ, რომ იცოდა: ეს აქ არ მუშაობს. რომც დავრეკო, მობილოიდადაც ვერ გადავიქცევი, იმიტომ, რომ კაშვაკი=არა-ტელ. იმიტომაც მითხრა: არა-ტელ-შენ-შენ.

— მაშ, რატომლა ილიმებით? — შეეკითხა დენიზი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— იმიტომ, რომ ის ვიცი, რაც არ იცის „დაფლეთილმა კაცმა", — უპასუხა კლაიმ, — *რაც მათ არ იციან*, — ჯორდანს მიუბრუნდა, — მანქანის ტარება იცი?

ჯორდანის სახეზე აშკარად იკითხებოდა გაოგნება.

— მისმინეთ, სხვათა შორის, მხოლოდ თორმეტი წლის ვარ. ანუ, როგორ უნდა ვიცოდე?

— კარტის საჭესთან თუ მჯდარხარ? ან თოვლმავლის?

— ჰო... რა თქმა უნდა... ნეშუას ახლოს კარტინგის ტრასაა და ერთი-ორჯერ...

— ეს საკმარისია. დიდ მანძილზე წასვლა მაინც არ გჭირდება. იმ პირობით, რომ ავტობუსი პარაშუტით გადმოსახტომ კოშკთან დატოვეს. და დარწმუნებული ვარ, ისევ იქ არის. ავტობუსის ტარება ნამდვილად არ იციან, ისევე როგორც ფიქრი.

— კლაი, გაგიჟდი? — შეეკითხა ტომი.

— არა, — უპასუხა კლაიმ, — ხვალ თავიანთ ვირტუალურ სტადიონზე შეუძლიათ ჯოგების გამნადგურებლების საჯარო სიკვდილით დასჯა მოაწყონ, მაგრამ ჩვენ ამაში მონაწილეობას *არ მივიღებთ*. აქედან მივდივართ.

9

პატარა ფანჯრების მინები სქელი იყო, მაგრამ დენის ძალაყინი მათ იოლად გაუმკლავდა. ის, ტომი და კლაი რიგრიგობით მუშაობდნენ, ვიდრე ყველა ნამსხვრევი არ ჩამოიღეს. მერე დენიზმა სვიტრი გაიხადა და ქვედა რაფაზე გადააფარა.

— ჯორდან, როგორ ხარ? — შეეკითხა ტომი.

ბიჭმა თავი დაუქნია. ეშინოდა. ტუჩები გაჰფითრებოდა, მაგრამ თავს აკონტროლებდა. გარეთ მობილოიდების ძილისპირულმა ერთი წრე დაასრულა და თავიდან დაიწყო: ისევ გაისმა პახელბელის კანონი, რომელსაც დენიზმა მოგონებების ბგერა უწოდა.

— რიგზე ვარ, — უპასუხა ჯორდანმა, — თუ ახლა არა, ვიქნები. ასე მგონია. როგორც კი საქმეს შევუდგები.

— ტომ, იქნებ შენ შეძლო გაძრომა, — წამოიწყო კლაიმ.

ჯორდანის მხარზემოთ ტომმა პატარა ფანჯარას ახედა, სიგანით თვრამეტ დუიმს არ აღემატებოდა, და თავი გააქნია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— თავს გავართმევ, — თქვა ჯორდანმა.

— კარგი. კიდევ გაიმეორე, რა უნდა გააკეთო.

— შემოვუარო შენობას და ავტობუსის საბარგო განყოფილებაში შევიხედო. დავრწმუნდე, რომ იქ ასაფეთქებელია, მაგრამ ხელი არაფერს ვახლო. მეორე მობილური ტელეფონი ვიპოვო.

— სწორია და უნდა შეამოწმო, ჩართულია თუ არა. თუ ჩართული არ არის...

— ვიცი, ჩავრთო, — *„სულელი ხომ არა ვარ“*, — იკითხებოდა ჯორდანის მზერაში, — მერე ძრავა ჩავრთო.

— არა, ჩქარობ.

— მძღოლის სავარძელი წინ მივწიო, რომ სატერფულებს მივწვდე, *მერე* ჩავრთო ძრავა.

— სწორია.

— გავიარო პარაშუტით გადმოსახტომ კოშკსა და „საშინელებათა სახლს“ შორის. ძალიან ნელა. შეიძლება გადავუარო რომელიმე სამშენებლო კონსტრუქციას, რომლის აგებაც ვერ მოასწრეს და შესაძლოა, ისინი ჩამოინგრეს, მაგრამ ამან არ უნდა შემაჩეროს.

— კარგია.

— მათთან რაც შეიძლება, ახლოს უნდა მივიდე.

— ჰო, სწორედ ასეა. მერე აქ დაბრუნდი, ამ ფანჯარასთან, იმისთვის, რომ შენობა შენსა და აფეთქებას შორის იყოს.

— იმას შორის, რაც, იმედია, აფეთქდება, — ჩაურთო დენმა.

კლაის ერჩივნა, ასეთი კომენტარი არ მოესმინა, მაგრამ დენისთვის არაფერი უთქვამს. დაიხარა და ჯორდანს ლოყაზე აკოცა.

— მიყვარხარ და შენ ეს კარგად იცი.

ჯორდანი სწრაფად, მაგრამ მაგრად მოეხვია. მერე ტომი. მერე დენიზი.

დენმა ბიჭს ხელი გაუწოდა, მერე თქვა:

— ოჰ, რა ჯანდაბაა! — და ჯორდანს თავისი ტორები მოხვია. კლაი, რომელსაც დენ ჰარტუიკი გულზე დიდად არ ეხატებოდა, ახლა მისდამი მეტი სიმპათიით განიმსჭვალა.

10

კლაიმ ხელის თითები გადააჯვარედინა, რომ ჯორდანს მათზე ფეხი დაედო, და ბიჭი ასწია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— იცოდე, ეს ჩაყვინთვასავითაა, ოლონდ არა წყალში, არამედ ჩალაში, — გააფრთხილა ჯორდანი, — ხელები მაღლა და გარეთ.

ჯორდანმა ხელები ასწია და ჩატეხილ ფანჯარაში გადაყო, ღამის სიშავეში. მუქი თმის ქვეშ მისი სახე კიდევ უფრო გაფითრებული ჩანდა, გარდამავალი ასაკის პირველი მუწუკები პატარა კოცონებივით ულაპლაპებდა. ეშინოდა და კლაი ვერ გაამტყუნებდა. ათი ფუტის სიმაღლიდან უნდა გადამხტარიყო, მერე ელოდა დაშვება, მართალია, ჩალაზე, მაგრამ მაინც უხეში დაშვება. კლაი იმედოვნებდა, რომ ჯორდანი დაიმახსოვრებდა, ხელები წინ უნდა გასწიოს და მოიკუნტოს. კაშვაკამაკის ჰოლის გვერდით დამტვრეული თუ იწვებოდა, ვერავითარ სარგებლობას ვერ მოიტანდა.

— ჯორდან, გინდა სამამდე დავითვალო?

— ჯანდაბა, არა! დროზე, სანამ შიშით ჩავიფსი!

— მაშინ ხელები წინ გეჭიროს, მიდი! — დაიყვირა კლაიმ და ერთად შეტყუპებული ხელები ასწია. ჯორდანი ფანჯარაში გავარდა და გაქრა. კლაის არ გაუგონია, როგორ დაეშვა. გარეთ მუსიკა გრგვინავდა.

დანარჩენებიც მოგროვდნენ ფანჯარასთან, რომელიც მათი თავების ზემოთ იყო.

— ჯორდან? — დაიძახა ტომმა, — ჯორდან, აქა ხარ?

რამდენიმე წამს ხმა არ ისმოდა და კლაიმ უკვე წარმოიდგინა, რომ ჯორდანმა კისერი მოიტეხა დაცემისას. მერე ბიჭის აკანკალებული ხმა გაიგონეს:

— აქა ვარ. ჯანდაბა, მტკივა. იდაყვი მოვიყოლე. მარცხენა. ხელი არ მემორჩილება. ერთ წამს.

იდგნენ და ელოდნენ. დენიზმა კლაის ხელი მოძებნა და ჩაეჭიდა.

— მოძრაობს, — თქვა ბოლოს ჯორდანმა, — მგონი, ყველაფერი რიგზეა, მაგრამ, ალბათ, უკეთესია, სკოლის ექიმს ვაჩვენო.

გაეცინათ. მეტისმეტად ხმამაღლა.

ტომმა პერანგიდან მოხეულ ქსოვილს გასალები გამოაბა, ხოლო თავად ქსოვილი ქამრის ბალთაზე დაამაგრა. კლაიმ ისევ გადააჯვარედინა ხელები და ახლა ტომი ასწია.

— ჯორდან, ახლა გასალებს მოგაწვდი. მზად ხარ?

— ჰო.

ტომი რაფას მოეჭიდა, ქვემოთ ჩაიხედა, მერე ქამარი ჩააგდო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კარგი, გასალები აიღე. ახლა მისმინე: მხოლოდ იმის გაკეთებას გთხოვთ, რასაც მოახერხებ. დამატებითი წუთები არ გექნება. გასაგებია?

— ჰო.

— მაშინ წადი. დროს ნუ დაკარგავ, — დაელოდა, ყურს უგდებდა, მერე დაამატა, — წავიდა. ღმერთო, ხელი მოუმართე, მამაცი ბიჭია. ჩამომსვი.

11

ჯორდანმა შენობა დატოვა იმ კუთხიდან, რომელიც მძინარე ჯოგის მინდორს იყო დაშორებული. კლაიმ, ტომმა, დენიზმა და დენმა ოთახი გადაკვეთეს და იმ ფანჯარასთან მივიდნენ, რომელიც ცენტრალურ ხეივანს გადაჰყურებდა. სამივე მამაკაცმა გალებული სავაჭრო ავტომატი გვერდზე დააწვინა და კედელთან მიათრია. ავტომატზე ასულ კლაისა და დენს ფანჯარაში გახედვა შეეძლოთ. ტომი ფეხის წვერებზე უნდა აწეულიყო. კლაიმ ავტომატზე ყუთი შემოდგა, რომ დენიზსაც შესძლებოდა დანახვა, თან იმედოვნებდა, ქალი ყუთიდან არ ჩამოვარდებოდა და მშობიარობა არ დაეწყებოდა.

დაინახეს, ჯორდანმა როგორ მიაღწია მძინარეებამდე, ერთ წამს იდგა რაღაცაზე ჩაფიქრებული, მერე მარცხნივ გაუხვია. კლაიმ გაიფიქრა, რომ სიბნელეში მის მოძრაობას მას შემდეგაც ხედავდა, რაც ჯორდანმა ჯოგით დაფარულ მოედანს შემოუარა და გაქრა.

— შენი აზრით, რამდენი ხანი დასჭირდება, რომ დაბრუნდეს? — შეეკითხა ტომი.

კლაიმ მხოლოდ თავი გააქნია. არ იცოდა. ეს უამრავ ფაქტორზე იყო დამოკიდებული და მათ შორის ერთ-ერთს ჯოგის სიდიდე წარმოადგენდა.

— თუ უკვე ჩაიხედეს საბარგულში? — იკითხა დენიზმა.

— თუ *ჯორდიმ* ჩაიხედა საბარგულში და იქ არაფერია? — იკითხა დენმა და კლაიმ ძლივს შეიკავა თავი, რომ პროფესორისთვის ერჩია, უარყოფითი აზრები ხმამაღლა არ გამოეთქვა.

დრო გადიოდა. კი არ გადიოდა, მიიზლაზნებოდა. პარაშუტით გადმოსახტომი კოშკის თავზე ისევ ციმციმებდა წითელი ნათურა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პახელბელი ფორემ შეცვალა, ფორე — ვივალდიმ. კლაის უეცრად გაახსენდა მძინარე ბიჭი, რომელიც საყიდლებისთვის განკუთვნილი საზიდრიდან გადმოვარდა, მერე მამაკაცი — სავარაუდოდ, მისი მამა არ უნდა ყოფილიყო, — მასთან ერთად რომ ჩამოჯდა ბორდიურზე და თქვა: *„ახლა გრეგორი აკოცებს და ალარ ეტკინება“*. სალაშქროტომრიანი ხანდაზმული მამაკაციც გაახსენდა, „სპილუჩას გასეირნების“ მოსასმენად რომ შეჩერდა და თქვა: *„ჯორჯიც რიგიანად ატარებდა დროს“*. საკუთარი ბავშვობაც გაახსენდა, ბინგოს სათამაშო პავილიონში თამაშის წამყვანი როგორ მუდმივად ერთსა და იმავეს აცხადებდა: *„მზის სინათლის ვიტამინი!“* — როდესაც პინგ-პონგით სავსე ტრიალადან ნომერი B-12 ამოჰქონდა. თუმცა, მზის ვიტამინი სინამდვილეში D ვიტამინია.

დრო კიდევ უფრო ნელა მიიზლაზნებოდა, თითო ჯერზე დუიმის მეოთხედს თუ გადიოდა და კლაის იმედი გადაეწურა. თუ ავტობუსის ძრავა უნდა ამუშავებულიყო, მისი ხმა აქამდე უკვე უნდა გაეგონათ.

— რაღაც ისე არ არის, — ყველას აზრი ხმამაღლა თქვა ტომმა.

— იქნებ, არა, — არ დაეთანხმა კლაი, რომელიც ცდილობდა, ხმას არ დასტყობოდა ის სიმძიმე, რომელმაც მის გულში დაისადგურა.

— არა. ტომი მართალს ამბობს, — დენიზი ლამის ატირდა, — ისე შემიყვარდა და ის უფრო მამაცია, ვიდრე იყო სატანა თავის პირველ ღამეს ჯოჯოხეთში. ავტობუსის დაძვრა რომ მოეხერხებინა, უკვე დავინახავდით.

გასაკვირია, მაგრამ ამჯერად დენი ოპტიმისტთა რიგებში ალმოჩნდა.

— ჩვენ ხომ არ ვიცით, რა მოხდა. ღრმად ისუნთქეთ და დაიოკეთ თქვენი წარმოსახვა.

კლაიმ სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. დინამიკებიდან შუბერტის „ავე მარია“ ისმოდა. კლაიმ გაიფიქრა: *„სულს მივყიდდი, ოღონდ კი ახლა ნორმალური როკ-ენ-როლი მომასმენინა, ჩაკ ბერი და მისი „ოჰ, კეროლ“ ან U2 და მისი „როდესაც ქალაქში სიყვარული მოდის“*.

ფანჯრის მილმა ჩანდა მხოლოდ სიბნელე, კოშკის თავზე მოციმციმე წითელი ნათურა, რომელიც ენერგიას აკუმულატორიდან ილებდა.

— ამწიე, — ტომი ავტომატიდან ჩახტა, — ფანჯარაში გაძრომას ვცდი. იქნებ ვიპოვო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ტომ, თუ შემეშალა და საბარგო განყოფილებაში ასაფეთქებელი არ არის... — წამოიწყო კლაიმ.

— ჯანდაბას ასაფეთქებელი, — ჩაიფრუტუნა ტომმა, — ჯორდანი მინდა მოვ...

— ეი! — დაიყვირა დენმა, — *ყველაფერი რიგზეა!* ჩვენმა ბიჭმა თავი გაართვა! — და მუშტი კედელს დაჰკრა ფანჯრის გვერდით.

კლაი მიბრუნდა და ფარების სინათლე დაინახა, სიბნელეს რომ აპობდა. რამდენიმე აკრი ფართობის მოედანზე გაწოლილი სხეულებიდან თითქოს კვამლმა დაიწყო ამოსვლა. ფარების სიმკვეთრე იზრდებოდა, მცირდებოდა, ისევ იზრდებოდა და კლაიმ ნათლად წარმოიდგინა მძღოლის სავარძელში ჯორდანი, რომელიც ცდისა და შეცდომის მეთოდით არკვევდა ღილაკებისა და ბერკეტების დანიშნულებას.

მერე ფარების სხივები ნელა დაიძრა წინ. ჯორდანს შორი განათება ჰქონდა ჩართული.

— მიდი, საყვარელო, — ამოიოხრა დენიზმა, — მიდი, სულიკო, — ყუთზე მდგარი ცალი ხელით დენს იყო ჩაჭიდებული, მეორით — კლაის, — არაჩვეულებრივი ხარ, გააგრძელე.

სინათლე კაშვაკამაკის ჰოლიდან შებრუნდა, მინდვრის მარცხნივ მწოლიარეთა ხალიჩა გაანათა.

— რას აკეთებს? — თითქმის ამოიკვნესა ტომმა.

— სწორედ იქ არის „საშინელებათა სახლის" კედელი, რომლის აგებაც ვერ მოასწრეს, — უპასუხა კლაიმ, — ყველაფერი რიგზეა. ოდნავ შეყოვნდა. ჩემი აზრით, საშიში არაფერია.

„თუ ფეხი არ აუცდა სატერფულზე. თუ მუხრუჭისა და გაზის სატერფულები არ აერია და თუ ამ დაწყევლილ „საშინელებათა სახლში" არ შევარდა და იქ არ გაეჩხირა".

ელოდებოდნენ. ფარების სინათლემ ისევ გაანათა კაშვაკამაკის ჰოლის საძირკველი. და შორი განათების წყალობით კლაიმ დაინახა, რატომ დასჭირდა ჯორდანს ამდენი ხანი ავტობუსამდე მისასვლელად და მის წამოსაყვანად. ყველა მობილოიდს არ ეძინა. ათობით მათგანი, ალბათ, ისინიც, ვინც დაზიანებული პროგრამა მიიღო, ფხიზლობდა და უმიზნოდ დაბორიალებდა. სადღაც მიდიოდნენ, მწოლიარეებს ფეხს წამოჰკრავდნენ ხოლმე და ისევ აგრძელებდნენ გზას, მათი მუქი სილუეტები წყალში ჩაგდებული ქვის შემდეგ გავრცელებული ტალღებივით ინაცვლებდა შუბერტის „ავე მარიას" ფონზე. ერთ-ერთი, შუბლზე გრძელი სისხლიანი ჭრილობით, რო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მელიც ნაოჭს ჰგავდა, ახლა კაშვაკამაკის ჰოლის კედლის გასნვრივ მიდიოდა, ხელი კედელზე ედო, როგორც ბრმას.

— გეყოფა, ჯორდან, — წაიბურტყუნა კლაიმ, როდესაც ფარები მინდვრის შორეულ ბოლოში დინამიკის სვეტს გაუსწორდა, — გამორთე ძრავა და აქეთ გამოიქეცი.

და თითქოს ჯორდანმა გაიგონა მისი ნათქვამი. ავტობუსი შეჩერდა. რამდენიმე წამს მხოლოდ მობილოიდების მოძრავი სილუეტები და მწოლიარეთა თბილი სხეულებიდან ადენილი ოხშივარი მოჩანდა. მერე გაიგონეს, როგორ დაილმუვლა ავტობუსის ძრავამ, მუსიკა გადაფარა და ფარები დაიძრა.

— არა, ჯორდან, რას აკეთებ? — დაიყვირა ტომმა.

დენიზი უკან გახტა და კლაის რომ არ დაეჭირა, ყუთიდან გადავარდებოდა.

ავტობუსი მძინარეთა სხეულებზე გადადიოდა. მძინარე ჯოგზე. ფარები ხან იწევდა, ხან ეშვებოდა. ანათებდა მწოლიარეთა სხეულებს, ცას, ისევ სხეულებს. ავტობუსი მარცხნივ გადაიხარა, მერე პირვანდელ კურსს დაუბრუნდა, მერე მარჯვნივ გადაქანდა. რამდენიმე წამს კაშკაშა სინათლის კონამ მობილოიდის მკაფიო სილუეტი გაანათა, თითქოს შავი ქაღალდისგან იყო გამოჭრილი. მობილოიდმა ხელები ასწია, ბეტერის შედეგიანი დარტყმით გახარებულის დარად და მერე რადიატორის ცხაურის ქვემოთ გაუჩინარდა.

ჯორდანი მოედნის შუაში გავიდა და ავტობუსი გააჩერა. ფარები ისევ ენთო, რადიატორის ცხაურიდან სისხლი წვეთავდა. თვალები მოიჩრდილა და კლაი ახლა პატარა, ბნელ ფიგურას ხედავდა — დანარჩენებისგან ენერგიული მოძრაობებითა და მიზანდასახულობით გამორჩეულს, — რომელიც ავტობუსის გვერდითა კართან გამოჩნდა და მერე კაშვაკამაკის ჰოლისკენ დაიძრა. მერე ჯორდანი წაიქცა და კლაიმ გაიფიქრა, რომ ველარ ნახავს, მაგრამ დენმა იყვირა:

— *აი, იქ არის, იქ!*

კლაიმ ბიჭი ახლა ათი იარდით უფრო ახლოს დაინახა, უფრო მარცხნივ იმ ადგილიდან, სადაც წელან ბიჭი მხედველობის არიდან დაკარგა. ალბათ, ბიჭი მწოლიარეთა სხეულებზე მიფორთხავდა, ვიდრე ისევ წამოდგებოდა.

როდესაც ჯორდანი ისევ ავტობუსის ფარების სინათლის არეალში მოექცა, მათ დაინახეს მისი ორმოცფუტიანი ჩრდილი და თავად ჯორდანი. რასაკვირველია, სახე არ ჩანდა, რადგან სინათლის წყარო უკან იყო, მაგრამ ხედავდნენ, როგორი ზიგზაგებით მიიწე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვდა წინ, მობილოიდების სხეულების გავლით. იმათ, ვინც იწვნენ, არსებობა შეეწყვიტათ. ისინი, ვინც ფხიზლობდა და ჯორდანისგან შორს იყვნენ, მას ყურადღებასაც არ აქცევდნენ, ხოლო ჯორდანთან ახლოს მყოფები მის დაჭერას ცდილობდნენ. ჯორდანმა ორს თავი დააღწია, ხოლო მესამე, ვიღაც ქალი, მას თმაში სწვდა.

— *ხელი გაუშვი!* — იღრიალა კლაიმ. ქალის სახეს ვერ არჩევდა, მაგრამ რატომღაც გადაწყვიტა, რომ ის ოდესღაც მისი ცოლი იყო, — *გაატარე!*

ქალი ხელს არ უშვებდა, მაგრამ ჯორდანი მაჯაში ჩაეჭიდა, ამოატრიალა, მერე თავად მუხლებზე დადგა და ქალს გვერდი აუქცია. ქალმა ისევ სცადა დაჭერა, თუმცა, პერანგი თითებიდან გაუსხლტა. მერე თავის გზაზე წავიდა.

კლაიმ შენიშნა, რომ ფხიზლად მყოფი მობილოიდების ნაწილმა ავტობუსისკენ გასწია. ალბათ, ფარების სინათლე იზიდავდათ.

კლაი ავტომატიდან ჩახტა (ამჯერად დენ ჰარტუიკმა დაიჭირა დენიზი, რომ არ ჩამოვარდნილიყო ყუთიდან) და ძალაყინს სტაცა ხელი. ადრინდელ ადგილზე დაბრუნდა და ის ფანჯარა ჩაამსხვრია, საიდანაც მოედანს უყურებდა.

— *ჯორდან!* — დაუყვირა ბიჭს, — *მეორე მხარეს გაიქეცი! უკნიდან შემოუარე!*

ჯორდანმა თავი ასწია, კლაის ყვირილზე მიბრუნდა და წაიქცა, ფეხი რალაცას წამოსდო, ფეხს, ხელს ან კისერს. როდესაც წამოდგომა დააპირა, სიბნელიდან ამოზრდილი ხელი ბიჭს კისერში სწვდა.

— ღმერთო, გთხოვ, არა! — წაიჩურჩულა ტომმა.

ჯორდანი წინ გადახტა, როგორც საფეხბურთო გუნდის მცველი, რომელსაც ბურთის დაფარვა სურს, ორივე ფეხზე მყარად დადგა და თავი დააღწია. ბარბაცით, მაგრამ მიდიოდა. კლაი ხედავდა ბიჭის აელვარებულ თვალებს, გულმკერდს, სწრაფად რომ აუდ-ჩაუდიოდა, და როდესაც ჯორდანი შენობას მიუახლოვდა, გაიგონა, ხარბად როგორ ისუნთქავდა ჰაერს.

„ვერ შეძლებს, — გაიფიქრა კლაიმ, — *ვერასოდეს. არადა, უკვე ისე ახლოს იყო“.*

მაგრამ ჯორდანმა შეძლო. ორმა მობილოიდმა, რომელიც კედლის სიახლოვეს მიბარბაცებდა, ბიჭი ყურადღების ღირსადაც არ ჩათვალა, როდესაც ჯორდანმა მათ ჩაურბინა და შენობის შორეულ კუთხეში შეუხვია. ოთხივე ჩამოხტა ავტომატიდან და მოპირდაპირე კედლისკენ გადაინაცვლეს, პირველად — დენიზმა თავისი მუცლით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჯორდან! — დაიყვირა ქალმა, ხან ფეხის წვერებზე იწევდა, ხან ისევ მყარად დგებოდა, — ჯორდან, ჯორდი, აქა ხარ? ღვთის გულისთვის, ბიჭი, ხმა ამოიღე, რამე გვითხარი!

— მე... — ხმამაღალი ამოოხვრა გაიგონეს. კლაის სადღაც შორიდან ტომის სიცილი მოესმა, იგრძნო მისი ხელის დატყაპუნება თავის ზურგზე, — არ მეგონა... — ისევ ხმამაღალი ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა, — ასე ძნელი თუ იყო... ადამიანებზე გადავლა.

— და ვინ გთხოვა ამის გაკეთება? — დაიყვირა კლაიმ. ადგილს ვერ პოულობდა იმიტომ, რომ არ შეეძლო, ბიჭს მოხვეოდა, კარგად შეეჯანჯღარებინა, მისი თავგანწირული მამაცური სახე კოცნით დაეფარა. გული ეწურებოდა, რომ ჯორდანის დანახვაც კი არ შეეძლო, — მე გითხარი, რაც შეიძლება *ახლოს* მიიყვანე ავტობუსი და არა ზედ გადაუარე-მეთქი!

— ეს... — ხმამაღალი ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა, — დირექტორისთვის გავაკეთე, — ბიჭის ხმაში ქოშინის გარდა გამოწვევაც ისმოდა, — დირექტორი ამათ მოკლეს. ამათ და მაგათმა „დაფლეთილმა კაცმა“. მაგათ და იმ ნაგავმა ჰარვარდის პრეზიდენტმა. მინდა, ამისთვის პასუხი აგონ. მინდა, თავის თავზე იწვნიოს.

— ამდენი ხანი რატომ შეყოვნდი? — ჰკითხა დენიზმა, — გელოდებოდით და შენ კი არა და არ ჩანდი!

— გარშემო დაბორიალებენ, ათობით, — უპასუხა ჯორდანმა, — შეიძლება, ასობით. რალაც ისე არ არის ან იქნებ ყველაფერი სნორია და ისინი იცვლებიან, მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად ვრცელდება. გზააბნეულებივით დადიან. არ ესმით, საით მიდიან. მათგან სულ თავის დაღწევა მიწევდა. ავტობუსთან მისვლა მარტო ცენტრალური ხეივნის გავლით მოვახერხე, — მერე გაიცინა, თან პირით ისევ ჰაერს იჭერდა, — მერე ავტობუსი *არ დაიქოქა*! დაიჯერებთ? ვატრიალებდი და ვატრიალებდი გასაღებს და ყოველ ჯერზე პატარა ტკაცანი მესმოდა. კინალამ ისტერიკა დამენყო, მაგრამ თავს ამის უფლებას ვერ მივცემდი! ვიცოდი, ასე რომ მომხდარიყო, დირექტორს გული დასწყდებოდა.

— ოჰ, ჯორდი, — ამოიოხრა ტომმა.

— და მიზეზი თუ იცით, რა იყო? თურმე ღვედი უნდა გამეკეთებინა. ღვედები მგზავრების სავარძლებს არა აქვს, მაგრამ ავტობუსის ძრავა არ ამუშავდება, თუ მძღოლმა ღვედი არ გაიკეთა. მაპატიეთ, ამდენი ხანი რომ მოვანდომე, მაგრამ ახლა აქა ვარ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— და შეიძლება დავასკვნათ, რომ საბარგული ცარიელი არ არის? — შეეკითხა დენი.

— ნამდვილად, არა, — უპასუხა ჯორდანმა, — რალაც ნითელი აგურების მსგავსითაა სავსე. და ასეთი აგური იქ უთვალავია, — ჯორდანი უკვე ნორმალურად სუნთქავდა, — ზემოდან საბანი აფარია და მობილური ადევს. რეიმ სკოჩით მიამაგრა რამდენიმე აგურს. ტელეფონი ჩართულია დატოვებული, პორტი[1] ჰქონდა მიერთებული, როგორსაც, ვთქვათ, ფაქსისთვის ან ინფორმაციის კომპიუტერში გადასატანად იყენებენ. მავთული აგურებში იკარგება. დეტონატორი არ მინახავს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ისიც სადღაც შუაშია, — ბიჭმა ღრმად ამოიოხრა, — მობილურის დისპლეიზე სიგნალის მიღების ალმნიშვნელი სამი ხაზი იყო. სამი ხაზი.

კლაიმ თავი დააქნია. არ შემცდარა. თითქოს კაშვაკი მკვდარი ზონაა მობილური კავშირგაბმულობისთვის — ამისთვის საკმარისია, ჩრდილოეთის მხარის გამოფენის გზისკენ გადაუხვიო. მობილოიდებმა ეს ინფორმაცია ნორმალურების თავის ტვინებში ძრომიალისას მოიპოვეს და სათავისოდ გამოიყენეს. ასე გაჩნდა წარწერა კაშვაკი=არა-ტელ, რომელიც ყვავილის ეპიდემიასავით გავრცელდა. მაგრამ რომელიმე მობილოიდმა თუ სცადა გამოფენის ტერიტორიიდან მობილურით დარეკვა? რასაკვირველია, არა. ან რისთვის სჭირდებოდათ? როდესაც ტელეპათი ხარ, ტელეფონი არ გჭირდება, თუ ჯოგის წევრი ან რალაც მთელის ნაწილი — რამდენადაც ეს შესაძლებელია, — ორმაგად ალარ არის საჭირო ტელეფონი.

მაგრამ TR-90-ის ამ მონაკვეთზე მობილურებს *უნდა* ემუშავა. რატომ? იმიტომ, რომ აქ იყვნენ კომპანია „ნიუ-ინგლენდ ემიუზმენტ კორპორეიშენის“ თანამშრომლები. XXI საუკუნეში ის გუნდი, რომელიც უზრუნველყოფს მოედნების მომზადებას როკკონცერტების, თეატრალური კოლექტივების გასტროლების, ნატურალური სცენების გადალებისთვის, მთლიანად და სრულიად დამოკიდებულია მობილურ კავშირგაბმულობაზე. ეს განსაკუთრებით ეხება ცივილიზაციისგან დაშორებულ, იზოლირებულ ადგილებს, სადაც კავშირგაბმულობა თითქმის ან საერთოდ არ არის. და თუ ასეთ ადგილზე არც გადამცემი-რეტრანსლატორია? მსგავს შემთხვევაში აღნიშნული კომპანიების წარმომადგენლებს საკუთარი აღჭურვილობა ჩააქვთ და ადგილზე ამონტაჟებენ. არალეგალურია? რა-

[1] *პორტი — (აქ) ინფორმაციის შემავალ-გამავალი მოწყობილობა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საკვირველია, მაგრამ თუ იმ ხაზებით ვიმსჯელებთ, რომლებიც ჯორდანმა მობილური ტელეფონის დისპლეიზე დაინახა, მას უნდა ემუშავა და, რაკი ენერგია ამ ალჭურვილობას აკუმულატორებით მიეწოდებოდა, ის მართლაც *ძველებურად* მუშაობდა. მოწყობილობა გამოფენის ყველაზე მაღალ წერტილში დააყენეს.

პარაშუტით გადმოსახტომი კოშკის წვერზე.

12

დენმა დარბაზი გადაჭრა, ისევ ავტომატზე აძვრა და ფანჯარაში გაიხედა.

— ბრბო ავტობუსის გარშემოა, — თქვა მან, — ყველაზე მეტი კი ფარების წინ. გეგონება, ჰგონიათ, რომ ავტობუსში პოპვარსკვლავი იმალება. ისინი, ვინც უშუალოდ ავტობუსთან იწვნენ, უკვე გაბრტყელებული არიან, — კლაის მიუბრუნდა და მის ხელში ჭუჭყიან „მოტოროლას“ მიაჩერდა, — თუ ამის გაკეთება გადაწყვიტეთ, დროა, რომელიმე კაბინაში არ აძვრეს და ავტობუსი უკან არ წაიყვანოს.

— ძრავა უნდა გამომერთო, მაგრამ, მეგონა, ფარებიც ჩაქრებოდა, მე კი მობილოიდების დანახვა მინდოდა.

— ყველაფერი რიგზეა, ჯორდან, — უთხრა კლაიმ, — ნუ გეშინია. ახლავე.

მაგრამ ჯიბეში, საიდანაც მობილური ამოიღო, მეტი ალარაფერი იყო. ქალალდის ზოლი ჩაწერილი ტელეფონის ნომრით გაქრა.

13

კლაი და ტომი იატაკზე ეძებდნენ — შეშლილებივით აცქერდებოდნენ ყოველ მონაკვეთს. დენი ისევ ავტომატზე იდგა და დროდადრო მათ გარეთ არსებულ სიტუაციას ამცნობდა, რომ ერთი მობილოიდი უკვე კაბინაში აცოცდა. დენიზმა იყვირა:

— სდექ! გაჩუმდი!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყველა გაშეშდა და ქალს მიაჩერდა. კლაის გული უკვე ყელში ებჯინებოდა. საკუთარი უდარდელობა ვერ დაეჯერებინა. „*რეი ამისთვის მოკვდა, შენ უტვინო ნაგავო!* — ყვიროდა მისი სხეულის რომელიღაც ნაწილი, — *ამისთვის მოკვდა, შენ კი ნომერი დაკარგე!*“

დენიზმა თვალები დახუჭა, თავი დახარა, ხელისგულები მკერდთან მიიტანა. მერე სწრაფად, წამლერებით წარმოთქვა:

— ტონი, ტონი, მოდი, რაღაც დავკარგეთ, მოგვაძებნინე.

— ეს რაღა ჯანდაბაა? — გაისმა გაოცებული დენის ხმა.

— ლოცვა წმინდა ანტონიოს სახელზე, — მშვიდად უპასუხა დენიზმა, — საეკლესიო სკოლაში მასწავლეს. ყოველთვის მშველის.

— რა ლოცვა? — ამოიკვნესა ტომმა.

დენიზს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მთელი ყურადღება კლაიზე გადაიტანა.

— იატაკზე არ არის, ხომ ასეა?

— მგონი, არა. არა, არ არის.

— სალონში კიდევ ორი შეძვრა, — გააგრძელა დენმა, — მინასაწმენდები ჩართეს და გამორთეს. ალბათ, ერთ-ერთი...

— დენ, ძალიან გთხოვ, ხმა ჩაიწყვიტე, — დენიზი კლაის თვალს არ აცილებდა. ძალიან მშვიდი იყო, — თუ ფურცელი ავტობუსში ან ქუჩაში დაკარგეთ, ის სამუდამოდ დაკარგულია, ხომ ასეა?

— დიახ, — ამოიოხრა კლაიმ.

— ესე იგი, ჩვენ ვიცით, რომ იქ არ შეიძლება იყოს.

— საიდან ვიცით?

— იმიტომ, რომ ღმერთი ამას არ დაუშვებდა.

— მგონი, ახლა თავი შიგნიდან ამიფეთქდება, — ტომის ხმა საოცრად მშვიდი იყო.

დენიზმა ისევ არ მიაქცია ყურადღება.

— მაშ, რომელი ჯიბე არ შეგიმოწმებიათ?

— ყველა... — წამოიწყო კლაიმ და დადუმდა. დენიზს თვალს არ აშორებდა, მერე ჯინსის დიდი ჯიბის შიგნით ჩაკერებული, საათისთვის განკუთვნილი პატარა ჯიბე მოსინჯა და მასში ქაღალდის ზოლი იდო. არ ახსოვდა, იქ როდის ჩადო, მაგრამ ფაქტია, იქ იყო. ამოაცოცა და გარდაცვლილის ხელით მიწერილი ნომერი წაიკითხა: 207-919-9811.

— ჩემი სახელით მადლობა გადაუხადეთ წმინდა ანტონიოს, — სთხოვა ქალს.

— თუ ყველაფერი გამოვიდა, წმინდა ანტონიოს ვთხოვ, ღმერთს გადაუხადოს მადლობა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— დენიზ! — დაუძახა ტომმა.

ქალი მისკენ შებრუნდა.

— თუ შეიძლება, ჩემი სახელითაც.

14

ოთხივე ორმაგ კართან იდგა, იმედი ჰქონდათ, მისი ლითონის შიგთავსი მათ დაიცავდა. ჯორდანი იმ ფანჯარასთან ჩაცუცქდა, საიდანაც გადაძვრა. ის მოედნისგან ყველაზე დაშორებულ კუთხეში იყო.

— რა ვქნათ, თუ აფეთქებამ კედელი ვერ გაანგრია? — იკითხა ტომმა.

— რამეს მოვიფიქრებთ, — უპასუხა კლაიმ.

— თუ რეის ბომბი არ აფეთქდა? — ახლა დენმა იკითხა.

— რა იქნება, გაჩუმდე? — ჩაიფრუტუნა დენიზმა, — მიდი, კლაი. ნუ დაველოდებით შესაფერის მუსიკას.

მობილურს სახურავი ახადა და ჩაბნელებულ დისპლეის დახედა. მაშინ გაიაზრა, რომ ადრევე უნდა შეემოწმებინა სიგნალის არსებობა, იქამდე, ვიდრე ჯორდანს ავტობუსთან გაგზავნიდა. ამაზე არ უფიქრია. არც ერთს. სულელურად გამოვიდა. ისევე სულელურად, როგორც იმის დავიწყება, რომელ ჯიბეში ჩაიდო ტელეფონისნომრიანი ქალალდის ზოლი. ჩართვის ღილაკს დააჭირა. ტელეფონმა დაიწრიპინა. რამდენიმე წამს არაფერი შეცვლილა, მერე დისპლეიზე სამი ხაზი ნათლად და გარკვევით გამოჩნდა. ტელეფონი უწყვეტი კავშირის ზონაში იყო. კლაიმ ნომერი აკრიფა, მერე თითი დააჭირა კლავიშს CALL.

— ჯორდან, მანდ მზად ხარ?

— ჰო!

— თქვენ? — დანარჩენებს ჰკითხა კლაიმ.

— მიდი, სანამ გული გამისკდა, — თქვა ტომმა.

კლაის თვალწინ გამოსახულება გაჩნდა, თავისი სიმკვეთრით კოშმარული: ბიჭუნა ჯონი სულ ახლოს იმ ადგილთან, სადაც ავტობუსი გაჩერდა. ზურგზე წევს, თვალებგახელილი, გულხელდაკრეფილი, საყვარელი „რედ-სოკსის“ მაისური აცვია და მუსიკას უსმენს, მისი თავის ტვინი კი გადატვირთვას აგრძელებს, ახალ პროგრამას ემორჩილება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კლაიმ ეს გამოსახულება უკუაგდო.

— ტონი, ტონი, მოდი, — გაიმეორა დენიზის სიტყვები, თავადაც ვერ მიხვდა, რატომ, მერე ლილაკს თითი დააჭირა და დარეკა ტელეფონზე, რომელიც ავტობუსის საბარგულში იდო.

მოასწრო დაეთვალა: *„მისისიპი ერთი“*, *„მისისიპი ორი“*, მერე, თითქოს კაშვაკამაკის ჰოლის გარეთ მთელი სამყარო აფეთქდა და მისმა ღრიალმა ტომაზო ალბინონის ადაჟიო ჩაყლაპა. მიედინის მხარეს გამავალი ყველა ფანჯარა ჩაიმსხვრა. შენობაში გაჩენილი ხვრელებიდან ალისფერი სინათლე შემოიჭრა, მისი სამხრეთი ნაწილი აღარ არსებობდა — ის პანელების, მინის ნამსხვრევების, ჩალის ქარბორბალად იქცა. ორმაგი კარი, რომლის უკანაც ისხდნენ, მოიღუნა. დენიზმა ხელები შემოიხვია მუცელზე, თითქოს თავის ჯერ კიდევ დაუბადებელ პატარას იცავდა, გარეთ კი შემაძრწუნებელი ყვირილი ისმოდა. სულ ერთი წამით ეს ხმა კლაის თითქოს ტკივნს უხერხავდა. მერე ეს შეგრძნება გაქრა, მაგრამ ყვირილი ისევ ედგა ყურებში. ყვირილი ადამიანების, რომლებიც ცოცხლად იწვიან ჯოჯოხეთში.

სახურავზე რაღაც დაეცა. რაღაც ისეთი მძიმე, რომ შენობა შეტორტმანდა. კლაიმ დენიზი ფეხზე წამოაყენა, ქალი შეშლილის თვალებით უყურებდა, თითქოს აღარ იცოდა, ვინ იყო და სად.

— *წავედით!* — იყვირა კლაიმ მთელი ძალით, მაგრამ საკუთარი ხმა ძლივს ესმოდა, სადღაც შორიდან, ბამბის უსქელესი ფენის გავლით მოდიოდა, — *წავედით, აქაურობას უნდა მოვშორდეთ!*

ტომი წამოდგა. დენმა მას მიჰბაძა, იატაკიდან წამოიწია, მაგრამ საჯდომზე დაეცა. მეორე მცდელობამ გაამართლა. მან ტომს ხელი ჩაავლო, ტომმა — დენიზს. ასე ხელიხელჩაკიდებული გაიქცნენ ჰოლის ბოლოში გაჩენილი ხვრელისკენ. იქ იპოვეს ჯორდანი, რომელიც თვალებგაფართოებული მისჩერებოდა იმას, რაც ერთმა სატელეფონო ზარმა მოიმოქმედა.

15

უზარმაზარი ფეხი, რომელიც კაშვაკამაკის ჰოლის სახურავზე აბრახუნდა, სასკოლო ავტობუსის მოზრდილი ნაწილი ალმოჩნდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სახურავს ცეცხლი წაეკიდა. მათ პირდაპირ, ალმოდებული ჩალის მილმა, რამდენიმე სავარძელი ეგდო, მათაც ცეცხლი ეკიდა. სავარძლების ფოლადის კარკასები სპაგეტივით გაბრტყელებულიყო. ჰაერში სამოსის ნაწილები დაფრინავდა: პერანგები, ქუდები, შარვლები, შორტები, ცეცხლწაკიდებული ბიუსტჰალტერი. კლაიმ დაინახა, სულ ცოტაც და, ცეცხლი შთანთქავდა კედლების ქვემო კიდეზე შემოყოლებულ ჩალის საიზოლაციო ფენას. შენობიდან დროზე გამოასწრეს.

მოედანზე, სადაც ადრე კონცერტებს ატარებდნენ, ცეკვავდნენ და კონკურსებს მართავდნენ, აქა-იქ მიყრილ-მოყრილი ავტობუსის ნაწილებისგან გაჩენილი კოცონები მოჩანდა. ეს ნაწილები დიდ რადიუსს მოიცავდა. კლაიმ ცეცხლი შენიშნა, სულ ცოტა, სამასი იარდით დაშორებულ ხეებს შორისაც. სამხრეთით იწვოდა დაუსრულებელი „საშინელებათა სახლი“ და რაღაც ალმოდებულს მოჰკრა თვალი, სავარაუდოდ, ადამიანის ტორსს, რომელიც პარაშუტიდან გადმოსახტომი კოშკის წვერისკენ, კონსტრუქციაში გაჩხერილიყო.

თავად ჯოგი მკვდარი და მომაკვდავი მობილოიდების გროვად იქცა. ჯგუფური ტელეპათია აღარ არსებობდა (თუმცა, ამ ფსიქიკური ძალის სუსტი ნაკადები დროდადრო მაინც აღწევდა მის გონებამდე და თმა ყალყზე უდგებოდა, ხოლო კანი ებურძგლებოდა), მაგრამ გადარჩენილებს მხოლოდ ყვირილი შეეძლოთ და მათი ყვირილი სიბნელეს ავსებდა. კლაი მობილურზე დარეკავდა, მაშინაც კი, წარმოდგენილი რომ ჰქონოდა, რა საშინელებას გამოიწვევდა ეს ზარი — პირველი რამდენიმე წამი თავისი თვალსაზრისის შესაცვლელად არც კი გამოუყენებია, — მაგრამ რასაც ახლა ხედავდა, მის წარმოდგენას აღემატებოდა.

ხანძრის სინათლე სრულიად საკმარისი იყო, იმაზე მეტი დაენახათ, ვიდრე სურდათ.

გულისამრევი დამახინჯებული სხეულები, სისხლის გუბეები, მოგლეჯილი კიდურები, მაგრამ ამ ყველაფერზე საზარელი გაფანტული სამოსი და ფეხსაცმელი იყო, რომელთა შიგნით სხეულები აღარ ჩანდა, თითქოს აფეთქებამ ჯოგი ორთქლად აქცია. მათ შესახვედრად მამაკაცი მოდიოდა, კისერზე მიდებული ხელით მოთქრიალე სისხლის შეჩერებას ლამობდა, რომელიც კაშვაკამაკის ჰოლის ცეცხლწაკიდებული სახურავის სინათლეზე ნარინჯისფერი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩანდა. მუცლიდან გადმოცვენილი შიგნეულობა აქეთ-იქით ქანაობდა. როცა მათ გვერდით ფართოდ გახელილი, გამოცარიელებული თვალებით ჩაიარა, ნანლავების ახალი, მოკაშკაშე გორგლები გადმოცვივდა მუცლიდან.

ჯორდანი რაღაცას ამბობდა, მაგრამ ყვირილში, გმინვაში, ალმოდებული ხეების ტკაცატკუცში კლაიმ სიტყვები ვერ გაარჩია და თავი ბიჭისკენ დახარა.

— ეს უნდა გაგვეკეთებინა, მხოლოდ ეს შეგვეძლო! — ამბობდა ჯორდანი. უყურებდა თავმოგლეჯილ ქალს, უფეხოდ დარჩენილ მამაკაცს, გაგლეჯილ სხეულს, რომელიც სისხლით სავსე ვარცლს წააგავდა. მოშორებით ავტობუსის ორი ალმოდებული სავარძელი დასცემოდა ქალებს, რომლებიც ჩახუტებულები დაიხოცნენ, — ასე უნდა მოვქცეულიყავით! ამის მეტი არაფერი შეგვეძლო! სულ ეს არის, რაც შევძელით!

— მართალია, ბიჭი, სახით ჩემკენ მოიხედე და ისე იარე! — უთხრა კლაიმ და ჯორდანმაც სახე მის გვერდში ჩამალა. რასაკვირველია, ასე სიარული მოუხერხებელი იყო, მაგრამ სხვაგვარად არ გამოდიოდა.

შემოუარეს მოედანს, სადაც ჯოგი იწვა, და გაემართნენ ცენტრალური ხეივნისკენ, ატრაქციონებისკენ, რომლებსაც აუცილებლად ააგებდნენ, იმპულსი რომ არა. კაშვაკამაკის ჰოლს ცეცხლი უფრო ძლიერად მოედო, სულ უფრო მეტად ანათებდა მოედანს. მუქი სილუეტები (ბევრი შიშველი ან სანახევროდ შიშველი, აფეთქების ძალამ მათ სამოსი შემოაძარცვა) იდგნენ, ბანცალებდნენ ან სადღაც მილასლასებდნენ. ასეთების დათვლა შეუძლებელი იყო. მათი პატარა ჯგუფის სიახლოვეს ალმოჩენილები არავითარ ინტერესს არ ამჟღავნებდნენ. გზას აგრძელებდნენ ცენტრალური ხეივნისკენ ან გამოფენის ტერიტორიიდან დასავლეთით მდებარე ტყეებს აფარებდნენ თავს. კლაის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მალე სიცივე მათ ბოლოს მოუღებდა, თუ, რასაკვირველია, ისევ ჯოგად არ შეიკრიბებოდნენ. მაგრამ ამ უკანასკნელის შესაძლებლობა დიდად საეჭვო გახლდათ. ნანილობრივ ვირუსის წყალობით, მაგრამ უმთავრესად ჯორდანის გადაწყვეტილების გამო, როდესაც მან მოედნის შუაგულში შესვლა გადაწყვიტა და მნიშვნელოვნად გაზარდა დაზიანების არე, როგორც ეს პროპანის ცისტერნების აფეთქებისას მოიმოქმედეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„რომ სცოდნოდათ, რითი დასრულდებოდა მოხუცის მოკვლა... — გაიფიქრა კლაიმ, მაგრამ მაშინვე ახალმა აზრმა გაუელვა, — *რა-გორ უნდა სცოდნოდათ?"*

იმ ადგილს მიუახლოვდნენ, სადაც გამოფენის მომსახურე პერსონალის სატვირთო მანქანები და საცხოვრებელი ფურგონები იდგა. იქვე მინაზე მიიკლაკნებოდა ელექტროკაბელები, ხოლო ფურგონებს შორის მოჩანდა იმათი ოჯახური ყოფის აქსესუარები, რომლებიც, ძირითადად, გზაში ცხოვრობენ: ბარბეკიუ, აირის გრილები, შეზლონგები, ჰამაკი, საშრობი, რომელზედაც ბოლო ორი კვირა სარეცხი ეკიდა.

— მოდი, რამე ბორბლებიანი და გასაღებიანი ვიპოვოთ და აქაურობას მოვშორდეთ, — თქვა დენმა, — გამოფენამდე გზა ცარიელია და თუ ფრთხილად ვივლით, 160-ე გზატკეცილით საკმაოდ შორ მანძილზე ნავალთ ჩრდილოეთით, — ხელი დასახელებული მიმართულებით გაიშვირა, — იქნებ *მთელი* არა-ტელ ტერიტორიაც გავიაროთ.

კლაიმ სატვირთო ფურგონი შენიშნა, წარწერით: ლემსის სამლებრო და სანტექნიკური მომსახურება. უკანა კარი არ იყო ჩაკეტილი. ფურგონში სანტექნიკით სავსე ყუთები ეწყო, მაგრამ ისიც იპოვა, რასაც ეძებდა: საღებავ-სპრეი. ოთხივე ბალონი აიღო, რადგან დარწმუნდა, რომ ისინი სავსე ან თითქმის სავსე იყო.

— რად გინდა? — შეეკითხა ტომი.

— წავიდეთ აქედან, *გთხოვთ*, — საწყალობლად თქვა დენიზმა, — აღარ შემიძლია ამის ატანა, თანაც შარვალი სულ სისხლით გაიჟღინთა, — მერე ატირდა.

ცენტრალურ ხეივანს მიაშურეს, „შეშლილი ჭიქების" კარუსელსა და დაუმთავრებელ საბავშვო რკინიგზას შორის, სახელწოდებით „ჩარლი ჩუქუ-ჩუქუ".

— შეხედეთ! — ხელი გაიშვირა ტომმა.

— ოჰ... ღმერთო... ჩემო, — ამოიოხრა დენმა.

ბილეთების სალაროს შპილზე ნაფლეთებად ქცეული, დამწვარი და კვამლიანი წითელი, კაპიუშონიანი სვიტრი ფრიალებდა, ისეთი, რომელსაც „კენგურუსაც" ეძახიან. ნახვრეტის გარშემო, რომელიც, ალბათ, ავტობუსის რომელიმე დეტალმა შეამტვრია, სისხლის დიდი ლაქა მოჩანდა. ვიდრე სისხლი გულზე წარწერის ყველა ასოს დაფარავდა, კლაიმ თვალი შეავლო ჯერ კიდევ თეთრად დარჩენილ ასოებს: ჰარ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

16

— ამ დაწყევლილი სამოსის შიგნით არავინაა, ხოლო თუ ნახერეტის სიდიდით ვიმსჯელებთ, გულზე ლია ოპერაცია გაუკეთეს ანესთეზიის გარეშე, — თქვა დენიზმა, — ამიტომ, როდესაც ცქერა მოგბეზრდებათ...

— ცენტრალური ხეივნის სამხრეთ ბოლოში კიდევ ერთი ავტოსადგომია, — თქვა ტომმა, — იქ ძვირად ღირებული, ლამაზი მანქანებია. ალბათ, უფროსობის. შეიძლება, ბედმა გაგვილიმოს.

ბედმა გაულიმათ, მაგრამ არა ძვირად ღირებულ და ლამაზ ავტომანქანებთან. პატარა სატვირთო იპოვეს, წარწერით — ტაიკო, წყლის გაწმენდის ექსპერტი, რომელიც ლამაზი მანქანების უკან იდგა და ავტოსადგომიდან გასასვლელი ჩაეკეტა. თუმცა, ტაიკოს მძღოლს გასაღები მანქანაში წინდახედულად ჩაეტოვებინა იმ შემთხვევისთვის, თუ უფროსობას სასწრაფოდ დასჭირდებოდა წასვლა. კლაიმ ისინი ცეცხლის, გვამებისა და ყვირილისგან შორს წაიყვანა. დაბალი სიჩქარით, ფრთხილად მიდიოდნენ და მიაღწიეს გამოფენის გზის ძირითად მაგისტრალთან გადაკვეთამდე, სადაც სარეკლამო ფარი აღმართულიყო უკვე არარსებული ბედნიერი ოჯახის გამოსახულებით (იქნებ არც არასოდეს არსებობდა). როდესაც მანქანა ფარს გაუსწორდა, კლაიმ მანქანა გააჩერა და სიჩქარის ბერკეტი ნეიტრალურ მდგომარეობაში გადაიყვანა.

— საჭესთან ერთ-ერთი თქვენგანი უნდა დაჯდეს, — თქვა მან.

— რატომ, კლაი? — შეეკითხა ჯორდანი, თუმცა, ბიჭს კლაიმ ხმაზე შეატყო, პასუხი მან ისედაც იცოდა.

— იმიტომ, რომ აქ ჩამოვალ.

— არა!

— ჰო. ჩემი შვილი უნდა მოვძებნო.

— ის, ალბათ, იმ მინდორზე მოკვდა, ოღონდ არ თქვა, რომ სასტიკი ვარ, უბრალოდ, ეს რეალობაა.

— ვიცი, ტომ, მაგრამ ისიც ვიცი, გადარჩენის შესაძლებლობა ჰქონდა... და ეს შენც იცი. ჯორდანმა თქვა, ბევრი მობილოიდი უაზროდ დალასლასებდა, თითქოს საბოლოოდ აებნათ გზა-კვალიო.

— კლაი... ძვირფასო... — მიუბრუნდა დენიზი, — თუნდაც ცოცხალი, ის შეიძლება ახლა ტყეში სანახევროდ ნაცლილი თავით დაიარება. ძალიან არ მომწონს, რასაც ვამბობ, მაგრამ იქნებ სნორედ ასეა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კლაიმ თავი დაუქნია.

— ისიც ვიცი, რომ შეიძლება აქედან უფრო ადრე გავიდა, ვიდრე ჩვენ ჩაკეტილები ვიყავით და გერლივილისკენ გაემართა. დანარჩენი ორი ვნახე, გზატკეცილზე მიდიოდნენ. დანარჩენებს აქეთ რომ მოვდიოდით, გავასწარით. ისინი მეც ვნახე და თქვენც.

— მხატვრის წარმოსახვასთან კამათს აზრი არა აქვს? — ნაღვლიანად ჰკითხა ტომმა.

— არა, — დაუდასტურა კლაიმ, — მაგრამ ძალიან მინდა, შენ და ჯორდანი ერთი წუთით გადმოხვიდეთ.

ტომმა ამოიოხრა.

— რატომაც არა?

17

წყლის გასაწმენდად საჭირო აპარატურით სავსე პატარა სატვირთო მანქანის გვერდით სანამ იდგნენ, გზად რამდენიმე დაბნეულმა მობილოიდმა ჩაიარა. ეტყობოდათ, ბევრი არაფერი ესმოდათ. ტომმა და ჯორდანმა მათ ყურადღება არ მიაქციეს, არც მობილოიდებს გამოუხატავთ ინტერესი. ჰორიზონტი ჩრდილო-დასავლეთით წითელ-ნარინჯისფრად შეილება: კაშვაკამაკის ჰოლიდან ცეცხლი ტყეს გადაედო.

— ამჯერად სამუდამოდ დამშვიდობება საჭირო არ არის, — კლაი ცდილობდა, ყურადღება არ მიექცია ჯორდანის აცრემლებული თვალებისთვის, — ისევ ვაპირებ თქვენთან შეხვედრას. აიღე, ტომ, — მობილური გაუწოდა, რომლითაც აფეთქება მოაწყო. ტომმა გამოართვა, — ჩრდილოეთით წადით. სულ ამოწმეთ, არის თუ არა რადიოსიგნალი. თუ წააწყდით საგზაო რიფებს, რომელთათვის გვერდის აქცევა შეუძლებელია, მანამდე იარეთ, სანამ გზა ისევ არ გათავისუფლდება. მერე სხვა მანქანა იპოვეთ. კავშირი რენჯლიში უნდა იყოს. იქ ზაფხულობით იახტებით დასეირნობენ, შემოდგომაზე ნადირობენ, ზამთარში თხილამურებით სრიალებენ. რენჯლის მერე აუცილებლად მოხვდებით მუდმივი კავშირგაბმულობის ზონაში, თან დღეებიც აღარ იქნება საშიში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— დარწმუნებული ვარ, ახლაც აღარ არის საშიში, — ჯორდანმა თვალები მოიწმინდა.

კლაიმ თავი დაუქნია.

— შეიძლება, მართალს ამბობ. ასეა თუ ისე, გარემოების მიხედვით იმოქმედეთ. რენჯლიდან ასიოდე მილს რომ გაივლით, იპოვეთ ხის სახლი, კოტეჯი, რაც იქნება, აავსეთ საკვების მარაგით და იქ გამოიზამთრეთ. კარგად იცით, ამათ ზამთარში რაც დაემართებათ, ხომ ასეა?

— თუ ჯგუფური გონი დაიშალა და ისინი სამხრეთისკენ არ წავლენ, ყველა დაიღუპება, — თქვა ტომმა, — ყოველ შემთხვევაში, ისინი, ვინც მეისონ-დიკსონის[1] ჩრდილოეთით აღმოჩნდება.

— მეც ასე ვფიქრობ. ცენტრალურ კონსოლზე საღებავის ბალონები დავტოვე. ყოველ ოც მილში ასფალტზე დაწერთ ტ-ჯ-დ, დიდი ასოებით. გასაგებია?

— ტ-ჯ-დ, — გაიმეორა ჯორდანმა, — ტომი, ჯორდანი, დენი, დენიზი.

— სწორია. ეცადეთ, წარწერა რაც შეიძლება დიდი იყოს, თუ გზატკეცილს იცვლით, ისრით. თუ სოფლის გზაზე გადაუხვევთ, წარწერა ხეებზე დატოვეთ, ყოველთვის გზის მარჯვენა მხარეს. იქ დავიწყებ ძებნას. გასაგებია?

— ყოველთვის მარჯვნივ, — თავი დაუქნია ტომმა, — კლაი, ნამოდი ჩვენთან ერთად.

— არა... და გვეყოფა ამ თემაზე, ისედაც ცუდად ვარ. ყოველთვის, როდესაც მანქანას გამოიცვლით, ძველი გზატკეცილის შუაში დატოვეთ და იმასაც გვერდზე მიაწერეთ ტ-ჯ-დ, კარგი?

— კარგი. ჯობია, გვიპოვო.

— აუცილებლად გიპოვით. ერთხანს ეს სახიფათო სამყარო იქნება, მაგრამ ისეთი აღარ, როგორიც აქამდე. ჯორდან, რაღაც მინდა გკითხო.

— კარგი.

— თუ ჯონი ვიპოვე და გაირკვა, რომ ყველაზე ცუდი, რაც მას შეემთხვა, კაშვაკის შესასვლელთან განხორციელებული სატელეფონო ზარია, როგორ მოვიქცე?

ჯორდანი გაოგნებული მიაჩერდა.

---

[1] *მეისონ-დიკსონის ხაზი პენსილვანიის შტატის სამხრეთი საზღვარია. სამოქალაქო ომის დროს ეს იყო თავისუფალ და მონათმფლობელ შტატებს შორის საზღვარი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— *მე* საიდან უნდა ვიცოდე? ღმერთო, კლაი? იმას გულისხმობ... *ღმერთო!*

— შენ მიხვდი, რომ მათი გადატვირთვა ხდებოდა, — შეახსენა კლაიმ.

— ამას... მივხვდი.

კლაი ხვდებოდა, რომ ეს მხოლოდ ვარაუდი არ იყო. იყო ბევრად მეტი, ვიდრე მიხვედრა. ისიც ესმოდა, ჯორდანს ქანცი გამოეცალა, ეშინოდა. ბიჭის წინ ცალ მუხლზე დაიჩოქა და მისი ხელი თავისაში მოიქცია.

— ნუ გეშინია. ამაზე ცუდი აღარაფერი დაემართება. იცის ღმერთმა, არა.

— კლაი, — ჯორდანმა ტომს შეხედა, — ადამიანები კომპიუტერები არ არიან. ტომ, უთხარი!

— მაგრამ კომპიუტერები ადამიანებს ჰგვანან, ასე არ არის? — უპასუხა ტომმა, — იმიტომ, რომ ჩვენ იმას ვქმნით, რაც ვიცით. შენ მიხვდი გადატვირთვისა და ჭიის შესახებ. ამიტომ უთხარი ის, რასაც ფიქრობ. უფრო სავარაუდო ის არის, რომ შვილს ვერ იპოვის. და თუ იპოვა, — ტომმა მხრები აიჩეჩა, — როგორც თვითონ თქვა, ამაზე უარესი რა უნდა მოხდეს?

ჯორდანი ჩაფიქრდა, ქვედა ტუჩს იკვნეტდა. საზარლად გამოიყურებოდა, დალლილი, სისხლით მოსვრილი პერანგით.

— მოდიხართ? — მანქანიდან დაიძახა დენმა.

— ერთი წუთით, — უპასუხა ტომმა, მერე ალერსიანად დაამატა, — ჯორდან...

ჯორდანი კიდევ რამდენიმე წუთს დუმდა, ბოლოს კლაის შეხედა:

— კიდევ ერთი მობილური ტელეფონი დაგჭირდებათ... და ისეთ ადგილზე უნდა წაიყვანოთ, სადაც სიგნალს მიიღებთ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სისტემის
შენახვა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

1

კლაი 160-ე გზატკეცილის შუაგულში იდგა, იმ ადგილზე, სადაც მზიან ამინდში სარეკლამო ფარი თავის ჩრდილს დატოვებდა, და უმზერდა მანქანის უკანა ფარების სინათლეს, სახამ თვალს არ მიეფარნენ. ვერაფრით იშორებდა იმ აზრს, რომ ველარასოდეს ხახავდა ვერც ტომს, ველარც ჯორდანს („ვარდები ტკბება", კარნახობდა შინაგანი ხმა), მაგრამ ჩაახშო, ნინათგრძნობაში გადაზრდის საშუალება არ მისცა. მათ უკვე ორჯერ იპოვეს ერთმანეთი, ღმერთი კი სამობითაა, ასე ამბობს ხალხი.

ჩავლილი მობილოიდი დაინახა სახის ნახევარზე შემხმარსისხლიანი მამაკაცი, პირველი დაჭრილი ლტოლვილი, რომელმაც ჩრდილოეთის ოლქების გამოფენის ტერიტორია დატოვა მას შემდეგ, რაც დაინახა, იქ რა დატრიალდა. კიდევ ბევრი შეხვდებოდა ასეთი, მათ თუ გაასნრებდა, აი, რატომ გადანყვიტა 160-ე გზატკეცილით სამხრეთისკენ ნასვლა. არავითარი საფუძველი იმისა, რომ მისი შვილი სამხრეთისკენ გაემართა, არ არსებობდა, თუმცა, იმედოვნებდა, ჯონის წინანდელი გონიერების უმცირესი ნაწილი მაინც უკარნახებდა, სად მდებარეობდა სახლი. კლაიმ ის მაინც იცოდა, რა მიმართულებით უნდა ეელო, რომ, სავარაუდოდ, მას შეხვედროდა.

კიდევ ერთი მობილოიდი გვერდითა გზიდან სამხრეთით, ერთი მილის დაშორებით შეხვდა. ამჯერად ქალი იყო, რომელიც წინ და უკან მიმოდიოდა გზატკეცილზე და თავის გემბანზე ბოლთისმცემელ გემის კაპიტანს ჰგავდა. ისეთი დაჟინებით მიაჩერდა კლაის, რომ მან ხელებიც კი ასწია სავარაუდო თავდასხმის მოსაგერიებლად.

მაგრამ ქალი თავდასხმას არ აპირებდა.

— ვინ ნა-ქცა? — იკითხა მან, კლაის თავში კი სრულიად გარკვევით გაისმა: *„ვინ ნაიქცა? მაბიკო, ვინ ნაიქცა?"*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არ ვიცი, — უპასუხა კლაიმ და ჩაუარა, — არ დამინახავს.

— სად ა-მე? — ახლა გაბრაზებით დაეკითხა ქალი და კლაიმ გონებით გაიგონა: *„სად ვარ ახლა?“* — პასუხის გაცემა არ უცდია, მაგრამ მაშინვე მოაგონდა ნაბლისფერთმიანი ფერია: *„ვინ ხარ? მე ვინ ვარ?“*

კლაიმ ნაბიჯს აუჩქარა, მაგრამ მანძილი მასსა და მაგისტრალზე აქეთ-იქით მოსიარულე ქალს შორის არც ისე სწრაფად იზრდებოდა, როგორც მას სურდა, იმიტომ, რომ ქალმა მოასწრო და ისეთი შეკითხვა დასვა, რამაც კლაის ძარღვებში სისხლი გაუყინა:

— ვინ ნაბ-ფერია?

კლაის გონებაში კი ასე გაისმა: *„ვინ არის ნაბლისფერთმიანი ფერია?“*

2

პირველ სახლში, რომლის კარიც შეამტვრია, იარაღი არ იყო, მაგრამ გრძელტარიანი ფარნები იპოვა და მათ სახეში ანათებდა ყველა შემხვედრ მობილოიდს, რომლებიც გზატკეცილზე მოაფრატუნებდნენ ფეხებს და მუდამ ერთ შეკითხვას სვამდა, ცდილობდა, ერთდროულად დაესვა გონებითაც და სიტყვიერადაც, როგორც საპროექციო ფარანი სლაიდის გამოსახულებას ეკრანზე გადასცემს: „ბიჭი ხომ არ გინახავთ?“ — პასუხებს არ ილებდა ან ხანდახან თუ გაიელვებდა მის გონებაში აზრების ნაკუწები.

მეორე სახლის გვერდით კლაიმ ახალთახალი „დოჯ-რემი“ ალმოაჩინა, მაგრამ მასში ჩაჯდომა გადაიფიქრა. თუ ჯონი ამ გზით მიდიოდა, ის ფეხით ივლიდა. მანქანით მგზავრობის შემთხვევაში, ძალიან ნელა სიარულის შემთხვევაშიც კი, შესაძლოა, ბიჭისთვის თვალი ვერ მოეკრა. საკუჭნაოში ალმოჩენილი ლორის კონსერვის ქილა ზედ მიმაგრებული გასახსნელით მაშინვე გახსნა და ლეჭვა-ლეჭვით დაუბრუნდა გზატკეცილს. ლორისნარჩენებიანი ქილის ბუჩქებში გადაგდებას აპირებდა, მაგრამ დაინახა ხანდაზმული მობილოიდი, რომელიც საფოსტო ყუთთან იდგა და მშიერი და სევდიანი მზერით მიაცილებდა. კლაიმ ქილა გაუწოდა და მობილოიდმა აიღო. მერე, თითოეული სიტყვის მკაფიოდ წარმოთქმით, თან გონებაში ჯონის მიახლოებითი სურათის დახატვით, კლაიმ ჰკითხა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ბიჭი ხომ არ გინახავთ?

მოხუცი ლორს ღეჭავდა. ლუკმა გადაყლაპა. თითქოს ჩაფიქრდა, მერე თქვა:

— ვიშურვებდი.

— ვისურვებდი, — თავი დაუქნია კლაიმ, — გასაგებია, გმადლობ, — და გზა გააგრძელა.

მესამე სახლში, სამხრეთით ერთი მილის დაშორებით, სარდაფში .30-30-იანი ვინჩესტერი და ვაზნების სამი კოლოფი იპოვა. სამზარეულოში მობილური იდო, დამტენთან მიერთებული. დამტენი, რასაკვირველია, არ მუშაობდა, მაგრამ, როდესაც მობილურს ხელი დააჭირა, ტელეფონმა დაიწრიპინა და ეკრანი მაშინვე განათდა. სიგნალის აღმნიშვნელი მხოლოდ ერთი ხაზი გამოჩნდა. კლაის არ გაჰკვირვებია. ნორმალურების მობილოიდებად გადაქცევის პუნქტი მიღების ზონის ზუსტად საზღვარზე მდებარეობდა.

კარისკენ გაემართა ცალ ხელში დატენილი კარაბინითა და მეორეში — ფარნითა და ქამარზე მიმაგრებული მობილურით, მაგრამ უეცრად დაატყდა თავს დაღლილობა. კლაი გვერდზე გადაიხარა, თითქოს რბილი ჩაქუჩი ჩაარტყეს. გზის გაგრძელება უნდოდა, მაგრამ, იმავდროულად, დაღლილობით დაბინდულ თავის ტვინში შემორჩენილი საღი აზრი კარნახობდა, ახლა უმჯობესი იყო, დაეძინა. და მართლაც, ეს ყველაზე კარგი გადაწყვეტილება იქნებოდა. თუ ჯონიმ იმ მოედნიდან წასვლა მოასწრო და ახლა გზაზე მიდიოდა, ახლა მასაც უნდა სძინებოდა.

— დილის ცვლაზე გადადი, კლაიტონ, — წაიბურტყუნა, — იმას, ვისაც ეძებ, ღამით, ფარნის შუქზე ვერ იპოვი.

პატარა სახლი იყო, კლაიმ ივარაუდა, რომ აქ თავის დროზე ხანდაზმული წყვილი ცხოვრობდა, რასაც მოწმობდა ფოტოები სასტუმრო ოთახსა და საძინებელში, ასევე მოაჯირები სააბაზანოში. აკურატულად მილაგებული საწოლი დახვდა. ზემოდან დაწვა, მხოლოდ ფეხსაცმელი გაიხადა. თავი როგორც კი დადო, დაღლილობამ საწოლს მიაჯაჭვა. ადგომას ვერავინ და ვერაფერი აიძულებდა. საძინებელში რაღაცის სურნელი იდგა, როგორც კლაიმ ჩათვალა, ხანდაზმული ქალის. ბებიის მშრალი სუნამოს სურნელს ჰგავდა და ეს სურნელიც ისეთივე დაღლილი ეჩვენებოდა, როგორიც თავად იყო. ამ საძინებლის სიჩუმეში გამოფენის მოედანზე მოწყობილი ჟლეტა ისეთი შორეული და არარეალური ეჩვენა, როგორც იმ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კომიქსის იდეა, რომელიც ჯერ არ დაუხატავს. ძალიან დამღლელი საქმიანობაა. „უმჯობესია, ისევ „სევდიან მანანწალასთან" დარჩე, — ალბათ, ეტყოდა შერონი, ის, წინანდელი, ნაზი შერონი, — დარჩი შენს აპოკალიფსის კოვბოებთან".

თითქოს გონება სხეულიდან გარეთ გავიდა, ზემოდან დაჰყურებდა. ზლაზვნით, აუჩქარებლად დაუბრუნდა იმ მომენტს, როდესაც სამნი იდგნენ წყლის გაწმენდის ექსპერტების სატვირთო მანქანასთან, ჯორდანსა და ტომთან განმირების წინ. ჯორდანმა ის გაიმეორა, რასაც გეიტენში ამბობდა: ადამიანის თავის ტვინი მხოლოდ და მხოლოდ მყარი დისკია, იმპულსმა კი იქიდან მთელი ინფორმაცია წაშალა. ჯორდანმა თქვა, რომ იმპულსმა ადამიანის თავის ტვინზე ისევე იმოქმედა, როგორც ელექტრომაგნიტური გამოსახულება მოქმედებს ჩვეულებრივი კომპიუტერის მყარ დისკზე.

„ალარაფერი დარჩა ბირთვის გარდა, — თქვა ჯორდანმა, — ხოლო ბირთვი მკვლელობაა. მაგრამ, რაკი თავის ტვინი ორგანული მყარი დისკია, მანამდე ჩაწერილი ინფორმაციის აღდგენა დაიწყო. გადატვირთვა. მაგრამ მიღებულ ბრძანებაში ვირუსი იყო. დამამტკიცებელი საბუთი არა მაქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს ჯოგური ქცევა, ტელეპათია, ლევიტაცია — ეს ყველაფერი ვირუსის შედეგია. ვირუსი თავიდანვე იყო პროგრამაში, ამიტომ გახდა ის გადატვირთვის ნაწილი. გესმით, რას ვამბობ?"

კლაიმ თავი დაუქნია. ბიჭი მათ სისხლით მოთხვრილი, დაღლილი სახით უყურებდა, საკუთარი ვერსიის გაზიარება სურდა.

„ამასობაში კი იმპულსის ტრანსლირება გრძელდება, ხომ ასეა? იმიტომ, რომ სადღაც არსებობს აკუმულატორზე მომუშავე კომპიუტერი და ის აგრძელებს პროგრამის გადაცემას. პროგრამის შექმნა დასრულებული არ არის, მასში ვირუსია, რომელიც მუტაციას განაგრძობს. დროთა განმავლობაში, შესაძლოა, შეწყდეს, ან პროგრამა ისე გაფუჭდეს, რომ თავისით გამოირთვება. მანამდე კი... ალბათ... მისი გამოყენება შეგიძლიათ. მე ვთქვი, ალბათ, ხომ გესმით? ეს ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, აკეთებს თუ არა თავის ტვინი იმასვე, რასაც საგულდაგულოდ დაცული კომპიუტერი ელექტრომაგნიტური გამოსხივების შემთხვევაში".

ტომი შეეკითხა, რას აკეთებენ კომპიუტერებიო, და ჯორდანმა დაღლილი ღიმილით უპასუხა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ისინი სისტემას ინახავენ. მთელი ინფორმაციის სარეზერვო კოპირება ხდება. თუ ადამიანებსაც მსგავსი რამ ემართებათ, შეგიძლიათ, მობილოიდის პროგრამა წაშალოთ და დროთა განმავლობაში ძველი პროგრამა ჩაიტვირთება“.

„ის ადამიანურ პროგრამას გულისხმობდა“, — წაიბურტყუნა კლაიმ ბნელ საძინებელში, თან მშრალი სუნამოს მოტკბო, სუსტ სურნელს ისუნთქავდა. ადამიანური პროგრამა, რომელიც სადღაც, თავის ტვინის ხვეულებშია ჩამალული. ყველაფერი, უკანასკნელ ბაიტამდე. უკვე იძინებდა. და თუ სიზმრის ნახვა ეწერა, იმედი ჰქონდა, ეს არ იქნებოდა ჩრდილოეთის მხარის გამოფენის მოედნის სასაკლაო.

სანამ დაიძინებდა, თავში კიდევ ერთმა აზრმა გაუელვა: შესაძლოა, დროთა განმავლობაში მობილოიდები გამოკეთდნენ. ჰო, ისინი ძალადობისა და სისასტიკის შვილები არიან, მაგრამ მშობიარობა ყოველთვის მძიმეა, ხშირად — ძალდატანებითი, ხშირად — საზარელიც. როგორც კი ჯოგებად გაერთიანება და ტელეპათიის უნარი შეიძინეს, მათში ძალადობამ იკლო. რამდენადაც კლაიმ იცოდა, ნორმალურებს აღარ ებრძოდნენ, თუ, რასაკვირველია, ნორმალურების მობილოიდებად გადაქცევას საომარ ოპერაციად არ მივიჩნევთ. მათი ჯოგების განადგურებისას ჩადენილ სიმხეცეს თუ გავითვალისწინებთ, ის სავსებით ჯდებოდა ადამიანური ქცევის ჩარჩოებში. მათ რომ არავინ გაჰკარებოდა, იქნებ დედამიწის უკეთესი მცველები გამხდარიყვნენ დროთა განმავლობაში, ვიდრე ეგრეთ წოდებული ნორმალურები იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, თუ ლევიტაციის უნარს გავითვალისწინებთ, არავითარ შემთხვევაში არ ჩადგებოდნენ რიგში საწვავის შთანმთქმელი ჯიპის ახალი მოდელის შესაძენად, სხვა პრიმიტიულ მომხმარებლურ ინსტინქტებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ჯანდაბა, მათი მუსიკალური გემოვნებაც კი გაუმჯობესდა.

„მაგრამ სხვა რა არჩევანი გვქონდა? — გაიფიქრა კლაიმ, — *თვითგადარჩენა სიყვარულს ჰგავს. ორივე ბრმაა“.*

ძილმა გულში ჩაიკრა და კლაის არ დასიზმრებია გამოფენის სასაკლაო. ისევ იმ პავილიონში მოხვდა, სადაც ბინგოს თამაშობდნენ, წამყვანმა ისევ გამოაცხადა: *„B-12 — ეს მზის ვიტამინია“*, და კლაიმ იგრძნო, ვილაც როგორ მოეჭიდა შარვალზე. კლაიმ მაგიდის ქვეშ ჩაიხედა. იქ ჯონი იჯდა და ულიმოდა. სადღაც ტელეფონმა დარეკა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

3

ლტოლვილ-მობილოიდებს სისასტიკე ჯერ სულმთლად დავიწყებული არ ჰქონდათ. მეორე დღეს, ნაშუადღევს, რომელიც ნესტიანი და ცივი გამოდგა, რაც ნოემბრის დადგომას მოასნავებდა, კლაი შეჩერდა და თვალს ადევნებდა გზის პირას ერთმანეთს შეჭიდებულ ორ მობილოიდს. ჯერ ერთმანეთს მუშტები დაუშინეს, მერე იკანრებოდნენ, ბოლოს თავებს ურტყამდნენ, კისერსა და სახეში კბენდნენ. ამასთან, ჰაერში ანევა დაიწყეს. პირდაღებული კლაი უყურებდა, როგორ ავიდნენ ათიოდე ფუტის სიმაღლეზე, თან კბენას აგრძელებდნენ. ფეხები — განზე, თითქოს მიწაზე მყარად იდგნენ. მერე ერთმა მონინაალმდეგეს, ჰეკი ფიუელის მაისურიანს, კბილები ცხვირში ჩაასო, ხელი ჰკრა და მაისურიანი ქვასავით დაეცა ასფალტზე. ვიდრე ეცემოდა, მოჭმული ცხვირიდან სისხლი შადრევანივით ასხამდა. ვინც უკბინა, ზემოდან უყურებდა, ეტყობა, მაშინ გაიაზრა, დაახლოებით მეორე სართულის სიმაღლეზე რომ იყო, და თავადაც დაეცა. *„როგორც დამბო[1], რომელმაც ჯადოსნური ბუმბული დაკარგა“*, — გაიფიქრა კლაიმ. იმან, ვინც იკბინებოდა, მუხლი გაიტეხა და როდესაც კლაიმ ჩაუარა, მტვერში იწვა, სისხლით მოთხვრილი კბილები მოუჩანდა.

მაგრამ ეს ორი წესიდან გამონაკლისი აღმოჩნდა. მობილოიდების უმეტესობა, რომლებიც იმ დღეს კლაის შეხვდნენ — ნორმალურები არც იმ დღეს, არც მომდევნო კვირის განმავლობაში არ უნახავს, — ჯოგის გონის მხარდაჭერის გარეშე დარჩენილები, თავგზააბნეულებსა და გონდაკარგულებს ჰგავდნენ, არ ესმოდათ, ვინ არიან, სად არიან, აქ როგორ მოხვდნენ. კლაი ისევ იმაზე ფიქრობდა, რაც ჯორდანმა განშორების წინ უთხრა, ვიდრე სატვირთო მანქანით ჩრდილოეთის ტყეებისკენ გაემართებოდა, სადაც არ არსებობდა მობილური კავშირგაბმულობა: *„თუ ჭია მუტაციას განაგრძობს, უკანასკნელი, ვინც იმპულსი მიიღო, არც მობილოიდი იქნება და აღარც ნორმალური“*.

კლაის აზრით, ჯორდანი ისეთებზე ამბობდა, როგორიც, მაგალითად, წაბლისფერთმიანი ფერია იყო, თუმცა, ისინი პირველისა და მეორის მდგომარეობას შორის სრულიად სხვა მიზეზით აღმოჩნდნენ. *„ვინ ხარ? მე ვინ ვარ?“* — მათ თვალებში ამ შეკითხვებს ხედავ-

[1] *დამბო — 1941 წელს გამოსული დისნეის იმავე სახელწოდების გმირი, პატარა სპილო.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და — მეტიც, იცოდა, სწორედ ამ შეკითხვების დასმას ლამობდნენ, როდესაც რალაცას ბურტყუნებდნენ თავის გაურკვეველ ენაზე.

დაულალავად ეკითხებოდა: *„ბიჭი ხომ არ გისახავთ?"* — და გონებაში ჯონის პორტრეტის შექმნას ცდილობდა, თუმცა, გარკვეული პასუხის მილების იმედი გადაენურა. ძირითადად, პასუხს ვერ ილებდა. მომდევნო ღამე გერლივილიდან ხუთი მილის დაშორებით, ჩრდილოეთით, ერთ-ერთ ტრეილერში გაატარა. დილით, ათის რალაც წუთებზე, პატარა ფიგურა შეამჩნია, ქალაქ გერლივილის პანაწინა, ერთკვარტალიანი საქმიანი უბნის კაფეს წინ, ბორდიურზე იჯდა.

„შეუძლებელია, — გაიფიქრა, მაგრამ ნაბიჯს აუჩქარა, ხოლო როდესაც ახლოს მივიდა, ისე ახლოს, რომ ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა, ეს ბავშვი იყო და არა მოზრდილი, გაიქცა. ახალი ზურგჩანთა ეხლებოდა, ზემოთ-ქვემოთ დახტოდა. ფეხებმა თავისით მოძებნა ტროტუარი და ფეხსაცმლის ხმა ბეტონზე გაისმა.

ბიჭი იყო.

ძალიან გამხდარი, გრძელთმიანი; თმა თითქმის „რედ-სოკსის" მაისურის მხრებზე ეფინა.

— *ჯონი!* — დაიყვირა კლაიმ, — *ბიჭუნა ჯონი!*

ბიჭი ყვირილზე შებრუნდა. შეხტა. პირი გააღო. თვალებში არაფერი იკითხებოდა, შიშიც კი არა. თითქოს გაიფიქრა, უნდა გავიქცეო, მაგრამ ვიდრე ფეხის გადადგმას მოასწრებდა, კლაი ეცა. მოეხვია, კოცნით დაუფარა ჭუჭყიანი, ადამიანური ემოციებისგან დაცლილი სახე და მორლვეული პირი.

— ჯონი, — თქვა კლაიმ, — ჯონი, შენს წასაყვანად მოვედი. მოვედი. შენთან მოვედი. შენს წასაყვანად.

და რალაც მომენტში — შესაძლოა, მხოლოდ იმიტომ, რომ მამაკაცმა, რომელიც ეხვეოდა, აიტაცა და ჰაერში დაატრიალა, — ბიჭმა კლაის კისერზე ხელები შემოხვია და კიდევ რალაც თქვა. კლაის არ სჯეროდა, რომ ეს მხოლოდ ბგერები იყო, უაზრო ბგერები, ისეთივე, როგორსაც გამოსცემს ქარი, როდესაც ბოთლის ყელიდან ამოვარდება. ბიჭმა სიტყვა წარმოთქვა. იქნებ უნდოდა, ეთქვა, რომ დაიღალა, რალაც *ალეს*-ის მსგავსი.

ან იქნებ, „*აიკო*" თქვა, თითქმის „მამიკო", როგორც თექვსმეტი თვისამ პირველად დაუძახა.

კლაი ამ უკანასკნელ ვერსიას ჩაეჭიდა. უნდა დაეჯერებინა, რომ მის კისერს შემოხვეულმა ამ ფერმკრთალმა, ჭუჭყიანმა, შიმშილით დაძაბუნებულმა ბავშვმა მასში მამა ამოიცნო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

4

მაგრამ ერთი კვირის შემდეგ უკვე იმაზე ფიქრობდა, რომ ეს მეტად მწირი ხელჩასაჭიდი იყო. ბგერა, რომელიც, შესაძლოა, ყოფილიყო სიტყვა, შესაძლოა, ყოფილიყო „*მაბა*".

ახლა ბიჭს საძინებლის ერთ-ერთ კარადაში ეძინა. თავად ჯონი წინააღმდეგი არ იყო, კლაის კი მოჰბეზრდა შვილის საწოლის ქვეშიდან გამოთრევა. ეს პატარა, მყუდრო, ლამის საშვილოსხოს მსგავსი თავშესაფარი ჯონის მოსწონდა. შესაძლოა, ასეთი გახდა გარდაქმნის შემდეგ. იმ გარდაქმნის. კაშვაკში მობილოიდებმა მისი ვაჟი უტვინო, სიმშვიდედაკარგულ არსებად აქციეს, რომელიც ჯოგშიც კი ვერ პოულობდა ადგილს.

გარეთ საღამოს მოლრუბლული ციდან თოვლი ცვიოდა. სპრინგვეილის ჩაბნელებულ მთავარ ქუჩაზე ცივი ქარი ქროდა, ფანტელებს თავს უყრიდა და მათგან მოტრიალე გველებს ქმნიდა. თითქოს თოვლის მოსვლა ჯერ ძალიან ადრე იყო, მაგრამ ასე შორს, ჩრდილოეთში, ის უფრო ადრეც წამოსულა. თუ მსგავსი ამინდი მადლიერების დღეს[1] იდგა, გიკვირდა, თუ ჰელოუინის დღეს, ორმაგად გიკვირდა, მერე ვილაც შეგახსენებდა, რომ მენის შტატში ცხოვრობ და არა სადღაც, კუნძულ კაპრიზე.

კლაი თავს ეკითხებოდა, სად იყვნენ ახლა ტომი, ჯორდანი, დენი და დენიზი. აინტერესებდა, რა მოხდებოდა, როდესაც დენიზის მშობიარობის დრო დადგებოდა. მაგრამ ჩათვალა, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა, დენიზი ამტანი და მიზანდასახული იყო. თავს ეკითხებოდა, იხსენებდნენ თუ არა ისევე ხშირად მასაც ტომი და ჯორდანი, ენატრებოდა ჯორდანის სერიოზული თვალები, ტომის ირონიული ღიმილი. არ დასცალდა ამ ღიმილით ტკბობა, იმიტომ, რომ თავს დამტყდარი საშინელება ღიმილისთვის საბაბს ნაკლებად იძლეოდა.

ცდილობდა, გაეხსენებინა, ცხოვრებაში კიდევ როდის უგრძნია თავი ისე მარტოსულად, როგორც ამ ბოლო კვირას, რომელიც ვაჟთან ერთად გაატარა. მსგავსი ვერაფერი გაიხსენა.

კლაიმ მობილურ ტელეფონს დახედა, რომელიც ხელში ეჭირა. ყველაზე მეტ კითხვას სწორედ ეს ხელსაწყო ბადებდა. უნდა დარეკოს თუ არა კიდევ ერთხელ? დისპლეიზე მითითებული სამი ხაზი

[1] *მადლიერების დღეს აშშ-ში ნოემბრის მეოთხე ხუთშაბათს აღნიშნავენ.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უნყვეტი სიგნალის არსებობაზე მიუთითებდა, მაგრამ აკუმულატორი უკვე დამჯდარი იყო და კლაიმ ეს კარგად იცოდა. ვერც იმის იმედად იქნებოდა, რომ იმპულსის ტრანსლირება დაუსრულებლად გაგრძელდებოდა. აკუმულატორები, რითაც ენერგია კომპიუტერს მიეწოდებოდა და შემდეგ გადადიოდა საკომუნიკაციო თანამგზავრებზე (თუ ეს მართლაც ასე ხდებოდა), ასევე დაჯდებოდა; ან იმპულსი მუტაციის შედეგად ჩვეულებრივ ელექტრომაგნიტურ ტალღად გადაიქცეოდა, იდიოტის ბუტბუტად ან ყურისნამლებ ლრჭიალად, რომელიც ზოგჯერ ფაქსის ნომრის შეცდომით აკრეფისას ისმის.

თოვლი. თოვლი ოცდაერთ ნოემბერს. დღეს ოცდაერთი *იყო?* დღეების სათვალავი აერია. მხოლოდ ერთი რამ იცოდა: გარეთ მობილოიდები იხოცებოდნენ. კვდებოდა სულ უფრო მეტი და მეტი. ჯონიც ერთ-ერთი იმათგანი იქნებოდა, კლაის რომ არ ეპოვა.

შემდეგი შეკითხვა ასეთი გახლდათ: ვინ იპოვა?

ვინ გადაარჩინა?

აიკო.

მამიკო?

შეიძლება.

მას შემდეგ ბიჭს არაფერი წარმოუთქვამს ისეთი, რაც ოდნავ მაინც ჰგავდა სიტყვას. ის კლაისთან ერთად ხალისით მიდიოდა... მაგრამ ნებისმიერ მომენტში შეეძლო შებრუნება და სულ სხვა მიმართულებით გზის გაგრძელება. ასეთ დროს კლაი ხელს სტაცებდა ხოლმე, როგორც იმ პატარას, რომელსაც სუპერმარკეტის ავტოსადგომზე მარტო არ უშვებენ, და ყოველ ჯერზე კლაის ახსენდებოდა მოსამართი რობოტი, რომლითაც ბავშვობაში თამაშობდა. რობოტს შეეძლო კუთხემდე მისვლა, მერე იდგა და ადგილს ტკეპნიდა, სანამ არ შეაბრუნებდი და პირით ოთახის შუაგულისკენ არ დააყენებდი.

ჯონიმ კლაის ხელებიდან გასხლტომა სცადა, როდესაც მან გასაღებიანი ავტომობილი იპოვა, მაგრამ როგორც კი კლაიმ მისი სავარძელზე დასმა, ღვედის შეკვრა და მანქანის დაძვრა მოახერხა, ჯონი დამშვიდდა და ჰიპნოტიზებულივით იჯდა. ფანჯრის ჩამოსანევი ღილაკიც კი იპოვა, სახე ქარს მიუშვირა, თვალები დახუჭა და თავი ასნია. კლაი უმზერდა, როგორ აფრიალებდა ქარი მისი შვილის ჭუჭყიან თმას და ფიქრობდა: *„ღმერთო, მიშველე, ასე მგონია, ძალლთან ერთად ვმგზავრობ“.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მას შემდეგ, რაც გზატკეცილზე შემოხვდათ ისეთი საგზაო რიფი, რომლის გარშემოვლა შეუძლებელი იყო, კლაი ჯონის კაბინიდან გადასვლაში დაეხმარა და აღმოჩნდა, რომ მას ჩაესველებინა. *„არა მხოლოდ მეტყველებას გადაეჩვია, არამედ ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაც პირადი ჰიგიენის დაცვით,* — გაიფიქრა თავზარდაცემულმა კლაიმ, — *ქრისტე ყავარჯნებით“.* ასეც იყო, მაგრამ შედეგი არც ისეთი გამანადგურებელი აღმოჩნდა, როგორც კლაი ვარაუდობდა. ჰო, შარვლის დროზე ჩაწევას ჯონი გადაეჩვია, მაგრამ თუ კლაი მანქანას გააჩერებდა და ბიჭი მინდორში მიჰყავდა, ჯონი, სურვილის შემთხვევაში, შარდავდა, ხოლო ნაწლავის დასაცლელად ჩაიცუცქებდა და მეოცნებე სახით ცას ასცქეროდა.

შესაძლოა, ჩიტების ფრენას ადევნებდა თვალს. ან იქნებ არც ადევნებდა?!

მოსაქმება პირადი ჰიგიენის დაცვით აღარ იცოდა, მაგრამ ხელახლა შეეჩვია. კლაის უნებურად გაახსენდა ის ძაღლები, რომლებიც წარსულში ჰყავდა.

ოღონდ ძაღლები შუაღამისას არ იღვიძებდნენ და თხუთმეტი წუთის განმავლობაში არ ყვიროდნენ.

5

პირველ ღამეს „ათასი წვრილმანის“ სიახლოვეს შეჩერდნენ და როდესაც ყვირილი დაიწყო, კლაის ეგონა, ჯონი კვდებოდა. ბიჭმა მის მკლავებში დაიძინა, მაგრამ როდესაც კლაიმ ელდანაკრავივით უეცრად გამოიღვიძა, ბავშვი გამქრალიყო. ჯონი საწოლზე კი არა, მის ქვეშ იპოვა. კლაი შეძვრა მტვრით დაფარულ ვიწრო სამეფოში, სადაც ლეიბის ძირი სულ რაღაც დუიმით იყო დაშორებული მისი თავიდან, ხელი სტაცა გამხდარ სხეულს, რკინის ზამბარასავით დაჭიმულს. ასეთი პატარა ფილტვებიდან იმგვარი ყვირილის ამოშვება წარმოუდგენელი იყო და კლაი მიხვდა, ყვირილი მხოლოდ გონებაში ესმოდა. მთელ სხეულზე თმა ყალყზე დაუდგა, ბოქვენზეც კი.

საწოლის ქვეშ ჯონი დაახლოებით თხუთმეტ წუთს ყვიროდა. მერე ისევე მოულოდნელად ჩაჩუმდა, როგორც აყვირდა. სხეული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოეშვა. კლაი იძულებული გახდა, ყური ბიჭისთვის ნეკნზე დაედო — ჯონის ცალმა ხელმა როგორლაც კისერზე მოუჭირა, — რათა დარწმუნებულიყო, რომ ბავშვი ისევ სუნთქავს.

ცარიელ ტომარასავით მოჩვარული ჯონი საწოლის ქვეშიდან გამოათრია და მტვრიანი, ჭუჭყიანი სხეული საწოლზე დააწვინა. მის გვერდით თითქმის ერთი საათი იწვა, სანამ ღრმად არ ჩაეძინა. დილით გამოღვიძებულს საწოლი ისევ ცარიელი დახვდა. ჯონი მის ქვეშ შემძვრალიყო. როგორც გალახული ძაღლი, რომელიც ისეთ თავშესაფარს ეძებს, სადაც ვერავინ მისწვდება. სრული წინააღმდეგობა მობილოიდების წინანდელ საქციელთან, მაგრამ... ჯონი ხომ მათ არ ჰგავდა. ის, ღმერთო, უშველე, რაღაც ახალი არსება გახლდათ.

6

ახლა სპრინგვეილის ტყის მუზეუმის მცველის მყუდრო კოტეჯში იყვნენ. საჭმელი საკმარისად ჰქონდათ, სამზარეულოში შეშის ღუმელი იდგა, ხოლო ხელის ტუმბო სუფთა სასმელ წყალს ქაჩავდა. ბიოტუალეტიც იყო, თუმცა, ჯონი მას არ იყენებდა, კლაის ეზოში გაჰყავდა. მოკლედ, ყველაფერი ისე იყო, როგორც 1908 წელს (ბიოტუალეტის გამოკლებით).

მშვიდი კვირა გამოდგა, თუ არ ჩავთვლით ჯონის ღამეულ ყვირილის შეტევებს. კლაის ფიქრის დრო ჰქონდა, მაგრამ ახლა, როდესაც სასტუმრო ოთახის ფანჯარასთან იდგა და ქუჩაში მორიალე თოვლის ფანტელებს უყურებდა, კარადაში კი თავშეფარებულ მის შვილს ეძინა, მიხვდა, ფიქრისთვის დრო ამოიწურა. თავისთავად ალარაფერი შეიცვლებოდა. რაიმეს შეცვლა მხოლოდ მას შეეძლო.

„კიდევ ერთი მობილური ტელეფონი დაგჭირდებათ და ისეთ ადგილზე უნდა წაიყვანოთ, სადაც სიგნალს მიიღებთ“, — უთხრა ჯორდანმა.

სიგნალი აქ იყო. სრული დაფარვის ზონაში იყვნენ. ამას მოწმობდა ხაზები მობილურის დისპლეიზე.

„ამაზე უარესი რა უნდა მოხდეს?“ — იკითხა ტომმა და მხრები აიჩეჩა. რასაკვირველია, მას შეეძლო მხრები აეჩეჩა, ასე არ არის? ჯონი ხომ ტომის შვილი არ იყო, ტომს უკვე ჰყავდა საკუთარი ვაჟი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ეს ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, აკეთებს თუ არა თავის ტვინი იმასვე, რასაც საგულდაგულოდ დაცული კომპიუტერი ელექტრომაგნიტური გამოსხივების შემთხვევაში, — თქვა ჯორდანმა, — *ისინი სისტემას ინახავენ. მთელი ინფორმაციის სარეზერვო კოპირება ხდება“.*

ინფორმაციის შენახვა. წინადადება, რომელსაც ფასდაუდებელი ძალა აქვს.

მაგრამ შენ მობილოიდების პროგრამა იმისთვის უნდა წაშალო, რომ ადგილი გაუთავისუფლო მეორე, ძალიან თეორიულ გადატვირთვას და ჯორდანის თეორია (ჯონიმ *ისევ* მიიღოს იმპულსი, რაც მინავლებული ნაკვერჩხლიდან ხანძრის ისევ აგიზგიზებას ნიშნავს) ახლა ძალიან, ძალიან საეჭვო ჩანდა, საშიშიც კი, იმის გათვალისწინებით, რომ კლაის არ შეიძლებოდა, სცოდნოდა, იმპულსის მუტაციის შემდეგ... როგორ შეიცვალა პროგრამა (*ჩვენ ვბჭობთ და თავს ვიტყუებთ, რეალობა კი დაგვცინის*), თუ, რასაკვირველია, იმპულსის ტრანსლაცია ისევ ხდებოდა.

— სარეზერვო კოპირება, — წაიჩურჩულა კლაიმ. ფანჯრის მილმა დღის უკანასკნელი ნიშნები შეუბრალებლად ქრებოდა. ქარში მბრუნავი თოვლის ფიფქები სულ უფრო მეტად ემსგავსებოდნენ მოჩვენებებს.

იმპულსი ახლა სხვანაირი იყო, კლაის ეჭვი არ ეპარებოდა. ის იმ პირველ, ღამით ფხიზელ მობილოიდებს ჰგავდა, რომლებსაც გერლივილის მოხალისეთა სახანძრო განყოფილებასთან გადაეყარა. ისინი ძველი სახანძრო მანქანისთვის ჩხუბობდნენ, მაგრამ მხოლოდ ეს არ იყო საქმე. ისინი ლაპარაკობდნენ!

არა მხოლოდ ბგერებს ამოთქვამდნენ, რომელიც შეიძლებოდა, სიტყვებად მიგეჩნია, არამედ ლაპარაკობდნენ. ბევრს — არა, სალამოს კოქტეილზე შეხვედრისას ძალდაუტანებელ საუბარს მათი ლაპარაკი არ ჰგავდა, მაგრამ ეს მეტყველება იყო. *„წადი. შენ წადი. ჯანდაბა, შენ ამბობ“* და მოდიდან გაუსვლელი *„ჩემანქანა“*. ის ორი — პირველი ჩამოსხმის მობილოიდებისგან, — „დაფლეთილი კაცის“ ერის მობილოიდებისგან განსხვავდებოდა, ჯონი კი ამ ორისგან განსხვავდებოდა. რატომ? იმიტომ, რომ ჭია იმპულსის პროგრამას ხრავდა და პროგრამა მუტაციას განიცდიდა? ალბათ.

დასასრულ, ვიდრე ჯორდანი აკოცებდა და ჩრდილოეთისკენ გაემგზავრებოდა, ეს უთხრა: *„თუ პროგრამის ახალ ვერსიას შეახვედრებთ იმას, რომელიც ჯონიმ და დანარჩენებმა გარდაქმნის*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პუნქტებში მიიღეს, ისინი, სავარაუდოდ, ერთმანეთს შეჭამენ, იმიტომ, რომ ჭიები ასე იქცევიან. ისინი სხვა პროგრამებს ჭამენ".

და მაშინ, თუ ძველი პროგრამა შენარჩუნებულია... თუ სარეზერვო კოპირება მოხდა...

მღელვარებისგან გონებაარეულ კლაის ელისი გაახსენდა, — ელისი, რომელმაც დედა დაკარგა; ელისი, რომელმაც თავის თავში იპოვა ძალა, თავისი შიშები ბეიბი-ნაიკად გარდაექმნა. გეიტენიდან გასვლის შემდეგ ოთხი საათი იყო გასული, 156-ე გზატკეცილზე იყვნენ. ტომმა ნორმალური ადამიანების სხვა ჯგუფს დაუძახა, ხომ არ სურდათ მათაც დასასვენებელ მოედანზე შეჩერება. *„ისინი არიან,* — თქვა მაშინ იმათგან ერთ-ერთმა მამაკაცმა, — *ბანდა გეიტენიდან".* მეორე მამაკაცმა ტომი ჯოჯოხეთში გაგზავნა და მაშინ ელისი ფეხზე წამოხტა. წამოხტა და თქვა:

— ელისმა თქვა, რომ ჩვენ რაღაც მაინც გავაკეთეთ, — კლაიმ ფანჯრებს მიღმა სწრაფად ჩამომდგარ სიბნელეს შეხედა, — მერე იმათ ჰკითხა: *„თქვენ* რა გააკეთეთ? *რა გააკეთეთ,* თქვენი დედაც?"

პასუხი სწორედ ეს იყო — გარდაცვლილი გოგონას სიტყვები.

ბიჭუნა ჯონის მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა. კლაის მხოლოდ ორი არჩევანი ჰქონდა: ყველაფერი ისე დაეტოვებინა, როგორც იყო ან სანამ დრო ჰქონდა, რაღაც შეეცვალა. თუ, რა თქმა უნდა, კიდევ ჰქონდა დრო. კლაიმ ფარნით გაინათა საძინებლისკენ მიმავალი გზა. სანახევროდ გამოღებული კარიდან ჯონის სახეს ხედავდა. გვერდზე ინვა, ლოყის ქვეშ ხელი ამოედო, შუბლზე თმა ჩამოშლოდა, ისევ იმ ბიჭს ჰგავდა, რომელსაც კლაიმ ათასი წლის წინ გამომშვიდობებისას აკოცა, ვიდრე ბოსტონში წავიდოდა *„სევდიანი მაწანწალას"* ნახატებით სავსე ჩანთით. უფრო გამხდარიყო, მაგრამ ისევ იმ ბიჭუნას ჰგავდა. განსხვავება თვალში საცემი მხოლოდ მისი სიფხიზლისას იყო. მოშვებული პირი და გამოცარიელებული თვალები. ჩამოყრილი მხრები და ჩამოკიდებული ხელები.

კლაიმ კარადის კარი ბოლომდე გამოაღო. საწოლთან მუხლებზე დაეშვა. ჯონი შეირხა, როდესაც ფარნის სხივი სახეზე დაეცა, მერე ისევ მიყუჩდა. კლაი ეკლესიაში არ დადიოდა, უკანასკნელი კვირების მოვლენებს მასში ღმერთის რწმენა არ გაუმყარებია, მაგრამ ისე მოხდა, რომ ვაჟი იპოვა, გონებაში ილოცა იმის სახელზე, ვისაც მისი გაგება შეეძლო. მოკლედ და კონკრეტულად: *„ტონი, ტონი, მოდი, რაც დაკარგულია, მაპოვნინე".*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მობილურის სახურავი ახადა და ჩართვის ღილაკს დააჭირა. მობილურმა დაინკრიალა. დისპლეი ქარვისფრად განათდა. რადიოსიგნალის სამი ზოლი მოჩანდა. კლაი შეყოვნდა, თითქოს არ იცოდა, ვისთვის დაერეკა, რომელი იყო ის აბონენტი, რომელიც აუცილებლად უპასუხებდა. ასეთი კი მხოლოდ ერთადერთი იყო, ის, რომელზედაც არჩევანი შეაჩერეს „დაფლეთილმა კაცმა“ და მისმა მეგობრებმა.

სამი ციფრის აკრეფის შემდეგ კლაიმ ხელი გაიშვირა და ჯონი შეანჯღრია. ბიჭს გალვიძება არ სურდა. დაიკვნესა და ჩაწევა სცადა. მერე გადაბრუნება. კლაიმ არც ერთის, არც მეორის საშუალება არ მისცა.

— ჯონი! ბიჭუნა ჯონი! გაიღვიძე! — უფრო ძლიერად შეანჯღრია. მანამ არ მოეშვა, სანამ ბავშვმა გამოცარიელებული თვალები არ გაახილა. სიფრთხილით შეხედა, მაგრამ მათში ადამიანისთვის დამახასიათებელი ცნობისმოყვარეობა არ ჩანდა. ეს იმ ძალლის გამოხედვა იყო, რომელიც ცემასა და ცუდად მოპყრობას მიეჩვია, და კლაის გული ეწურებოდა ყოველთვის, როდესაც ამ მზერას ხედავდა.

„ეს უკანასკნელი შესაძლებლობაა, — გაიფიქრა მან, — *ნუთუ მართლა გინდა, ეს გააკეთო? წარმატების შანსი ათიდან ერთია, არც კი“.*

მაგრამ განა რამდენი იყო ჯონის პოვნის შანსი? ან იმის, რომ მან კაშვაკამაკი აფეთქებამდე დატოვა? ათასიდან ერთი? ათი ათასიდან ერთი? ნუთუ ამ დაშინებული, ცნობისმოყვარეობას მოკლებული მზერით აპირებს ცხოვრებას, როდესაც ჯონი ცამეტი წლის გახდება, თხუთმეტი წლის, მერე ოცდაერთის? ნუთუ იმას შეეგუება, მის ვაჟს ტანსაცმლის კარადაში ეძინოს? ტუალეტის ნაცვლად მოსასაქმებლად ეზოში გადიოდეს?

„ჩვენ რალაც მაინც გავაკეთეთ“, — თქვა ელის მაქსველმა.

კლაიმ კლავიატურის თავზე დისპლეის შეხედა. მასზე გამოცხადებულ ბედისწერასავით ციმციმებდა 911.

ჯონის თვალები ეხუჭებოდა. კლაიმ ისევ შეანჯღრია, რომ არ ჩასძინებოდა. შეანჯღრია მარცხენა ხელით, ხოლო მარჯვენა ხელის ცერი დააჭირა ღილაკს CALL. მხოლოდ იმის დრო დარჩა, დაეთვალა: *მისისიპი* ერთი და *მისისიპი* ორი, ვიდრე დისპლეიზე სიტყვა CALLING შეიცვალა სიტყვით CONNECTED. და როდესაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს მოხდა, კლაიტონ რიდელმა საკუთარ თავს უფლება არ მისცა, კიდევ მეტხანს ეფიქრა.

— ეი, ბიჭუნა ჯონი, — თქვა მან, — შენ-შენ-ტე-ტე, — და ვაუიშ-ვილს მობილური ყურზე მიადო.

2004 წლის 30 დეკემბერი — 2005 წლის 17 ოქტომბერი
სენტერ-ლოუელი, მენის შტატი

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სარჩევი

იმპუღსი.....7
ბოღდენი.....79
ბეიტენის აკადემია.....157
ვარდები ჭკნება, ეს ბალი კვდება.....265
კენტ-პონდი.....303
ბოგიღოგინგო.....333
ჭია.....351
კაშვაკი.....371
სიხტების შენახვა.....421

www.PDF.ChiaturaINFO.GE